



ჰარუკი მურაქამი

კატკა პლაჟზე

ჰარუკი მურაკამი

კაფკა პლაჟზე

რომანი

მთარგმნელი თამარ სუბელიანი

რედაქტორი ანა ჭაბაშვილი

დამკაბადონებელი ლადო ლომსაძე

ყდის დიზაინერი თამარ თათელაძე

ქართული გამოცემა © «ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა», 2014

ყველა უფლება დაცულია.

შპს «ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა»

დავით აღმაშენებლის 150, 0112, თბილისი

ელფოსტა: info@sulakauri.ge;

www.sulakauri.ge

Haruki Murakami

Kafka on the Shore

Copyright © Haruki Murakami, 2002

Georgian edition © Sulakauri publishing, 2014

All rights reserved

Sulakauri Publishing

150 Agmashenebeli Ave.

0112 Tbilisi, Georgia

ბიჭი, სახელად ყვავი

– და ფულის ამბავში როგორ ხარ? გადაწყვიტე ეგ საქმე?–ზარმაცად ლეჩავს სიტყვებს ბიჭი, სახელად ყვავი. ეგრე იცის, გეგონება, ღრმა ძილიდან ახლა გამოიღვიძაო – პირის კუნთები დამძიმებული აქვს და ვერ ემორჩილება. არადა თვალთმაქცობს, სრულიად ფხიზელია. როგორც ყოველთვის.

თავს ვუქნევ.

– რამდენი?

გონებაში ვითვლი.

– დაახლოებით სამი ათას ხუთასია ნაღდით, ცოტა, შემოდლია, ბარათიდანაც მოვხსნა. ბევრი კი არ არის, მაგრამ ერთხანს მეყოფა.

– არა უშავს. – მეუბნება ყვავი, – ოღონდ ეგ – დასაწყისისთვის.

ისევ თავს ვუქნევ.

– არა მგონია, ეგ ფული სანტა კლაუსს მოეტანოს შობას.

– არა.

ყვავი დამცინავად იღიმება და აქეთ-იქით იხედება.

– უჯრები დაჩხრიკე, არა?

არაფერს ვპასუხობ. იცის, ვის ფულზეც ვლაპარაკობთ, არ არის ბევრი მიდებ-მოდება საჭირო. ცდილობს გამაღიზიანოს.

– დაიკიდე, – მეუბნება ყვავი, – ეს ფული გჭირდება და როგორღაც უნდა იშოვო – იმათხოვრო, ისესხო ან მოიპარო. მამაშენის ფულია. ვისი რა საქმეა?! კარგი, თავიდან გეყოფა, მაგრამ მერე რას აპირებ? ფულს ტყეში ვერ დაკრეფ სოკოსავით. აქ ჭამა დაგჭირდება, იქ თავზე – ჭერი. ეგ ფული მალე შემოგადნება ხელში.

– ამაზე, დრო რომ მოვა, მერე ვიფიქრებ.

– დრო რომ მოვა, მერე. – ყვავი ისე იმეორებს, გეგონება, ამ სიტყვებს ხელით წონისო.

თავს ვუქნევ.

– მაინც? მუშაობას დაიწყებ ან რამე?

– ჰო, რა.

თავს აქნევს, არაო.

– ჯერ ამ ცხოვრებისა ბევრი არაფერი იცი. რანაირი სამუშაო უნდა იშოვოს ახლა 15 წლის ბიჭმა უცხო ადგილას, სკოლაც არ დაგიმთავრებია. ისე ვინ მიგიღებს სამსახურში.

ვწითლდები – ბევრიც არ მინდა.

– კარგი, – მეუბნება, – ყველაფერს ახლა იწყებ და აღარ დაგთრგუნავ ამ სისულელებით. ბოლოს და ბოლოს შენი ცხოვრებაა და ისე მოიქეცი, როგორც ჩაფიქრებული გაქვს.

ჰო, ჩემი ცხოვრებაა.

– ერთ რამეს კი გეტყვი. თუ გინდა, რომ გამოგივიდეს, მაგარი უნდა იყო.

– ვცდილობ, რაც შემძლია.

– ექვი არ მეპარება, – ყვავი მეუბნება, – ამ ბოლო წლებში ძალა მოგემატა, ფაქტია.

ისევ თავს ვუქნევ.

– მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, ჯერ მხოლოდ თხუთმეტის ხარ, ცხოვრება ახლა დაიწყო და ქვეყნად კიდევ იმდენი რამეა, რაც არ გინახავს და ვერც წარმოიდგენ.

მამაჩემის კაბინეტში ვსხედვართ გვერდიგვერდ ძველ სავარძელზე, როგორც ყოველთვის. ყვავს მოსწონს კაბინეტი და პატარ-პატარა ნივთები ირგვლივ. აი, ახლაც პრესპაპიეს ათამაშებს – შუშის ფუტკარს. რას მიეკარებოდა, მამაჩემი სახლში რომ ყოფილიყო!

– აქედან უნდა გავაღწიო, – ვეუბნები, – ორი აზრი არ არსებობს.

– კი, ეგრეა, – პრესპაპიეს მაგიდაზე აბრუნებს და ხელებს თავქვეშ იწყობს, – მაგრამ გაქცევით ყველაფერი მაინც ვერ გადაწყდება... არ მინდა, დღესასწაული ჩაგიშხამო, მაგრამ, არა მგონია, გაქცევით რამე შეიცვალოს. მნიშვნელობა არა აქვს, რამსიშორებე გაიქცევი. ვითომ, რაც უფრო შორს წახვალ, უკეთესი იქნება? მანძილი პრობლემებს ვერ მოაგვარებს.

ყვავი ოხრავს, თითის წვერებს დახუჭულ ქუთუთოებს აჭერს და წყვილიდან აღმოთქვამს.

– ვითამაშოთ? – მეკითხება.

– მოდი. – ვეუბნები. თვალებს ვხუჭავ და ღრმად ვისუნთქავ ჰაერს.

– დავიწყეთ? წარმოიდგინე საშინელი ქვიშის ქარბორბალა, სხვა ყველაფერი გამოიბერტყე თავიდან.

ისე ვიქცევი, როგორც მეუბნება. აღარაფერზე ვფიქრობ. იმასაც კი ვივიწყებ, ვინ ვარ. სრულიად ცარიელი ვარ.

შემდეგ საგნები იკვეთება. საგნები, რომლებსაც ჩვენ ორივე, მამაჩემის კაბინეტში ტყავის ძველ დივანზე ჩამომსხდარი მე და ყვავი, შეგვიძლია ვხედავდეთ.

– ზოგჯერ ბედისწერა ქვიშის პატარა ქარბორბალას ჰგავს, რომელიც გამუდმებით იცვლის მიმართულებას. – ამბობს ყვავი.

ზოგჯერ ბედისწერა ქვიშის პატარა ქარბორბალას ჰგავს, რომელიც გამუდმებით იცვლის მიმართულებას. ცდილობ, გაექცე, მაგრამ ქარბორბალაც იქით მოდის, მხარს იცვლი და ფეხდაფეხ მოგდევს.

და ასე ყოველ ჯერზე – ისევ და ისევ ასრულებ ამ მოძრაობას, როგორც გარიჟრაჟზე ავბედით ცეკვას სიკვდილის მეუფესთან. ხვდები რატომ? ქარბორბალა საიდანღაც კი არ ქრის. ქარბორბალა არ არის ვიღაც სხვა. ქარბორბალა შენა ხარ. ქარბორბალა შენშია. ისლა დაგრჩენია, დანებდე, ფეხი აუწყო, ყურები ამოიგმანო, რომ ქვიშამ ვერ შემოაღწიოს, და ფეხდაფეხ მისდიო. არც მზეა, არც მთვარე, არც მიმართულება, არც დრო. მარტო თეთრი ქვიშა ტრიალებს მაღლა ცაში უწვრილეს ფხვნილად დაქუცმაცებული ძვლებივით. აი, ასეთი ქვიშის ქარბორბალა უნდა წარმოიდგინო.

და წარმოვიდგინე: ძაბრი, რომელიც ბაგირივით ისვეტება ცაში.

თვალეები მაგრად მაქვს დახუჭული, ყურებში – თითები დაცობილი, რომ ქვიშის ნაწილაკები არ ჩამიცვივდეს. ქვიშის ქარბორბალა პირდაპირ ჩემკენ მოემართება, მალე დამეცემა. კანით ვგრძნობ, რომ ჯერ შორს არის, მაგრამ უკვე მაწვება. ახლა გადამყლაპავს.

ბიჭი, სახელად ყვავი, მხრებზე ხელს ნაზად მხვევს. გრიგალი ქრება.

– ამიერიდან – მნიშვნელობა არა აქვს, როგორ – შენ უმაგრეს 15 წლის ბიჭად უნდა იქცე. რას იზამ, სხვა გზა არა გაქვს, მარტო ეს გადაგარჩენს. ამისთვის საჭიროა, თვითონ გაიგო, რა არის ნამდვილი სიმტკიცე. გესმის?

თვალეები დახუჭული მაქვს და არ ვპასუხობ. მინდა, რომ ასევე წამიღოს ძილმა, მისი ხელით მხარზე. მესმის ფრთების ფრთხილის ძლივს გასაგონი ხმა.

ნახევრად მძინარეს ყვავის ჩურჩული ჩამესმის.

– შენ მსოფლიოში ყველაზე ძლიერი 15 წლის ბიჭი უნდა გახდე.

თითქოს გულს მუქლურჯად მისვირინგებს ამ სიტყვებით.

შენ, რა თქმა უნდა, თავს დააღწევ ამ სასტიკ ქარიშხალს, დაუნდობელს, მეტაფიზიკურს, სიმბოლურს. მაგრამ მისმა მეტაფიზიკურობამ ან სიმბოლურობამ არ შეგაცდინოს: ის ათასი სამართებელივით უწყალოდ დაგისერავს ხორცს. ხალხი სისხლს დაღვრის, შენც დაღვრი. ნამდვილს. პეშვები აგვესება, საკუთარი და სხვისი სისხლით.

და როცა ქარიშხალი ჩადგება, ვერ გაიხსენებ, როგორ გადარჩი. იმასაც კი ვერ დაიჯერებ, რომ ქარიშხალი ჩადგა. მაგრამ ერთი რამ კი იქნება ცხადი. გრიგალს თავს რომ დააღწევ, ისევ ის აღარ იქნები. აი, რა არის ქარიშხლის აზრი.

თხუთმეტი რომ შემისრულდება, სახლიდან გავიქცევი სადმე შორეულ ქალაქში და პატარა ბიბლიოთეკის კუთხეში დავსახლდები. ყველაფერი დაწვრილებით რომ აგიხსნათ, ერთი კვირა მაინც მომინდება. ასე რომ, მარტო ძირითადს გეტყვით – თხუთმეტი რომ შემისრულდება, სახლიდან გავიქცევი სადმე შორეულ ქალაქში და პატარა ბიბლიოთეკის კუთხეში დავსახლდები. ზღაპარსა ჰგავს, მაგრამ, დამიჯერეთ, არ არის ზღაპარი, საიდანაც არ უნდა შეხედოთ.

მამაჩემის კაბინეტიდან ფულის გარდა სხვა რამეებიც მომაქვს: ძველი პატარა ოქროს სანთებელა – დიზაინი მომწონს, წონაცა აქვს – და ბასრი დასაკეცი დანა. ირმის გასატყავებელია, უზარმაზარი, ხუთდუმიანი პირით. საზღვარგარეთ მოგზაურობის დროს შეიძენდა. უჯრიდან ვიღებ ძლიერ, კამკაშა ჯიბის ფანარს და ცისფერ «რევოს» სათვალეს, იქნებ ასაკი შემმატოს.

მამაჩემის საყვარელი Sea-Dweller Oyster Rolex-ის წამოღებაც მინდა. მშვენიერი საათია, მაგრამ ისეთი ძვირად ღირებულია, ყურადღებას მიიპყრობს. ჩემი მალვიძარიანი და წამზომიანი იაფფასიანი, პლასტმასის Casio უფრო გამომადგება. როლექსს დანანებით უჯრაში ვაბრუნებ.

სხვა უჯრიდან ფოტოს ვიღებ. ჩემს უფროს დასთან ერთად ვარ გადაღებული სადღაც პლაჟზე. პატარები ვართ. ლალად ვიცინით. ჩემი და ნახევრადაა მიბრუნებული, სახის ცალი მხარე ჩრდილში აქვს მოქცეული – ღიმილის ნაწილი წაკვეთილია. ბერძნული ტრაგედიის ორაზროვან ნიღაბსა ჰგავს. სახელმძღვანელოში მინახავს ეგეთი. ნათელი და ბნელი. იმედი და სასოწარკვეთა. სილალე და მწუხარება. ნდობა და მართობა.

მე, პირიქით, პირდაპირ, უტიფრად ვიყურები კამერაში. ჩვენ გარდა პლაჟზე არავინაა. ორივეს საბანაო კოსტიუმები გვაცვია – იმისი მთლიანია, წითელი, ყვავილებით მოჩითული, ჩემი – ძველი, მოფლამული ლურჯი ნიფხავია. პლასტმასის ჯოხი მიჭირავს. ზღვის თეთრი ქაფი ტერფებზე გვწვდება.

ვინ გადაიღო, როდის, ან სად, წარმოდგენა არა მაქვს. ნუთუ ასეთი ბედნიერი ვიყავი? ან მამაჩემმა რატომ შეინახა მარტო ეს ფოტო? რა უცნაურია. სამის უნდა ვიყო, ჩემი და – ცხრისა.

ასე ვეწყობოდით ერთმანეთს? არც კი მახსოვს, ოჯახს პლაჟზე წავეყვანე. საერთოდ არ მახსოვს, ერთად სადმე წავსულიყავით. არა უშავს, მაგრამ მაინც არ ვაპირებ, მამაჩემს დავუტოვო ფოტო და საფულეში ვიდებ. და დედას ფოტო ერთიც არა მაქვს. ეტყობა, მამამ სუყველა გაანადგურა.

ვიფიქრე და გადავწყვიტე, მობილურიც თან წავიღო. როგორც კი მამაჩემი აღმოაჩენს, რომ მობილური გამქრალია, ალბათ, სატელეფონო კომპანიას მოსთხოვს, მომსახურება შემიწყვიტონ. მაინც ვჩურთავ ზურგჩანთაში თავის დამტენიანად. რატომაც არა, ეგ არ დამამძიმებს. როდესაც გამორთავენ, გადავაგდებ.

მარტო აუცილებელი ნივთები უნდა წავიღო. ყველაზე მეტად ტანსაცმლის შერჩევა მიჭირს. კარგი, ერთი-ორ სვიტრს და რამდენიმე წყვილ საცვალს ჩავალაგებ, მაგრამ შარვლებს, პერანგებს, ხელთათმანებს, კაშნეს, შორტებს ან ქურთუკს რა ვუყო? რამდენი რამეა!

ერთი კი ზუსტად ვიცი, არ მინდა, უცხო ადგილებში ვიხეტილო უზარმაზარი ზურგჩანთით, რომელიც ლამის გაჰკვივის, დაიჭით ეს გაქცეულიო. მერე პოლიციაც ჩამავლებს და თვალის დახამხამებასაც ვერ მოვასწრებ, ისე დამაბრუნებს სახლში. თუ, რა თქმა უნდა, იქამდე ადგილობრივ ბანდებს არ ჩავუვარდები ხელში.

გადავწყვიტე, ცივ მხარეში არ წავიდე. თბილი ადგილები უნდა ავირჩიო. ქურთუკისა და ხელთათმანების წაღება არ დამჭირდება და ორიოდ ხელი ტანსაცმლითაც გავიტან როგორმე თავს. ისეთ ტანსაცმელს ვირჩევ, რომელიც ადვილად ირეცხება და ნაკლებ ადგილს იკავებს, კოხტად ვკეცავ და ზურგჩანთაში ვაწყობ.

ზურგჩანთაშივე ვალაგებ საძილე ტომარას, რომელიც მარტივად და მჭიდროდ იხვევა, ტუალეტის ნივთებს, საწვიმარს, წიგნაკს და კალამს, უოკმენს – აბა, უმუსიკოდ როგორ! – სათადარიგო ბატარეებს და ათამდე დისკს. სამზარეულოს ხარახურის თან წაღება საჭირო არ არის, მძიმეცაა და ბევრ ადგილსაც იკავებს, საჭმლის ყიდვას ნებისმიერ მაღაზაშიც შევძლებ.

ჩემი სიის შეკვეცას დიდი დრო მიაქვს. ხან ვამატებ რაღაცებს, ხან ვაკლებ, ისევ უამრავ რამეს ვამატებ და მერე ისევ ვშლი.

ჩემი მეთხუთმეტე დაბადების დღე იდეალური დროა სახლიდან წასასვლელად. იქამდე ძალიან ადრეა. დაბადების დღის შემდეგ კი, რომ არ წავიდე, შანსს ხელიდან გავუშვებ.

ბოლო ორი წლის მანძილზე ინტენსიურად ვვარჯიშობდი – ამ დღისთვის ვემზადებოდი. ძიუდოში წვრთნა საშუალო სკოლის[1] პირველი წლიდანვე დავიწყე, მაღალ კლასებშიც მონდომებით ვვარჯიშობდი. მაგრამ სკოლის არც ერთი გუნდის წევრი არ გავმხდარვარ. თავისუფალ დროს სკოლის მოედანზე დავრბოდი, ვცურავდი ან სპორტულ დარბაზში ვვარჯიშობდი. იქაური ახალგაზრდა მწვრთნელები უფასო გაკვეთილებს მიტარებდნენ, მიჩვენებდნენ საუკეთესო გასაჭიმ ვარჯიშებს და მასწავლიდნენ, როგორ გამოიყენებინა ტრენაჟორები სიმაღლეში მოსამატებლად. მათგან გავიგე, რომელ კუნთებს ვიყენებთ ყოველდღიურად, რომლების გაძლიერება შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ტრენაჟორებით, პრესის სწორად გავარჯიშებაც მათგან ვისწავლე.

მაღალი ვარ და ვარჯიშმა მხარბეჭიანიც გამხადა. უცნობებს ჩვიდმეტი წლისა მაინც ვგონივარ. ეგ რომ არ იყოს, წარმოგიდგენიათ, რა პრობლემები შემექმნება?!

მწვრთნელებისა და დამლაგებლის გარდა, რომელიც დღეგამოშვებით მოდის სახლში, თითქმის არავის ველაპარაკები. სკოლაში მარტო მაშინ ვიღებ ხმას, როცა მეტი გზა არა მაქვს.

დიდი ხანია, მე და მამაჩემი თავს ვარიდებთ ერთმანეთთან შეხვედრას. ერთ ჭერქვეშ ვცხოვრობთ, მაგრამ ჩვენი განრიგი ერთმანეთს არ ემთხვევა. უმეტეს დროს თავის სტუდიაში ატარებს. მეც ყველანაირად ვცდილობ, თავი ავარიდო.

მაღალი სოციალური ფენის ან ძალიან მდიდარი ადამიანების შვილებისთვის განკუთვნილ კერძო სკოლაში ვსწავლობ. აქედან ავტომატურად მოხვდები უმაღლეს სკოლაში, თუ რამე სერიოზულ დანაშაულს არ ჩაიდენ. ყველა მოსწავლეს კოხტად აცვია, ყველას სწორი კბილები აქვს და ყველა საშინლად მოსაწყენია.

არც ერთი მეგობარი არა მყავს. ირგვლივ კედლები აღვიმართე და არავის ვაძლევ მათი გადმოლახვის საშუალებას, არც მე ვუღებ კარს ვინმეს. ჰოდა ასეთი ტიპი ვის უნდა მოეწონოს? შორიდან მადევნებენ თვალს, ალბათ ვპულვარ ყველას, ან იქნებ ეშიანიათ კიდევ. კარგია, რომ არ მაწუხებენ. უამრავი რამე მაქვს მისახედი. გარდა ამისა სასკოლო ბიბლიოთეკის წიგნებშიც ვიქეჩები.

გაკვეთილებს ყოველთვის ყურადღებით ვისმენ, ასე მირჩია ბიჭმა, სახელად ყვავმა.

რა თქმა უნდა, სკოლაში შესწავლილ ფაქტებს თუ ტექნიკას რეალურ ცხოვრებაში ვერ გამოიყენებ. შევხედოთ სიმართლეს თვალეზში – მასწავლებლები გონებაჩლუნგების ხროვანა. მაგრამ უნდა გახსოვდეს: შენ სახლიდან გარბიხარ. ალბათ, აღარასდროს მოგეცემა სკოლაში სიარულის შანსი და ამიტომ, გინდა თუ არ გინდა, ვიდრე დრო გაქვს, ყველაფერი უნდა შთანთქა, რასაც გასწავლიან. საშრობ ქაღალდად უნდა იქცე და ყველაფერი შეისრუტო. მერე გადაარჩევ, რა დაიტოვო და რა მოიშორო.

ისე ვიქცეოდი, როგორც მითხრა. როგორც ყოველთვის, დავუჯერე. ჩემი ტვინი ღრუბლად იქცა, გაკვეთილზე წარმოთქმულ ყოველ სიტყვას ვიჭერდი და ვისრუტავდი, ვშიფრავდი და ვიმახსოვრებდი. ამის წყალობით გაკვეთილების შემდეგ მეცადინეობა თითქმის არ მჭირდებოდა, გამოცდების დროს კი საუკეთესო შეფასებებს ვიღებდი.

ნელ-ნელა ნაკვეთები ფოლადივით მტკიცე გამიხდა. თანდათან უფრო და უფრო ჩუმი ვხდებოდი. საგულდაგულოდ ვცდილობდი, ემოციები დამემალა, რომ არც კლასელებს შეეტყვოთ, რაზე ვფიქრობდი და არც მასწავლებლებს. მალე უფროსების სამყაროს ნაწილი გავხდებოდი და ვიცოდი, თუ გადარჩენა მინდოდა, სხვებზე გაცილებით ამტანი უნდა ვყოფილიყავი.

ხვლიკივით ცივ მზერას ვაწყებდი სარკეში. არაფრისმთქმელი გამომეტყველება მაქვს. ვერ ვიხსენებ, ბოლოს როდის გავიცინე, გავუღიმე ვინმეს, თუნდაც საკუთარ თავს.

ყოველთვის არ შემიძლია ამ სიჩუმის ატანა და განმარტოება. ზოგჯერ ის კედლები, რომლებიც ამოვიშენე, ინგრევა. ეს იშვიათად ხდება. მაგრამ ზოგჯერ, ვიდრე გავანალიზებდე, რა ხდება, მე უკვე შიშველი ვარ და უმწეო, და სრულიად დაბნეული. წინასწარმეტყველება იქვეა, ახლოს, როგორც წყალი ბნელ ჭაში.

ის ყოველთვის შენშია, სადაც არის დამალული, ზოგჯერ კი გაუფრთხილებლად მოგასკდება, ყოველ უჯრედს გითომავს. სისხლში იხრობი, სუნთქვა შეუძლებელი ხდება. ჭერში ამოჭრილ ხვრელს ეჭიდები, მაგრამ ჰაერი მშრალია და ყელს გითუთქავს. წყალი და წყურვილი, სიცივე და სიცხე – ყველაფერი შენს დასამარცხებლად ერთიანდება.

ამ უზარმაზარ სამყაროში არსად არ არის ერთი ციდა ადგილიც კი, სადაც თავს შეაფარებდი. ხმის გამცემს ეძებ, მაგრამ სიჩუმეს აწყდები. სიჩუმე გსურს, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ წყევლა ჩაგესმის. ზოგჯერ ეს წინასწარმეტყველური ხმა შენში ჩამალულ საიდუმლო ჩამრთველს აწვება.

შენი გული ჰგავს თავსხმა წვიმების შემდეგ აზვირთებულ მდინარეს, რომელიც ნაპირებს ეხეთქება. მოზღვავებულ წყალს საგზაო ნიშნები დაუტბორავს და წაუღეკავს.

ყოველთვის, როდესაც ახალ ამბებში წყალდიდობას გიჩვენებენ, საკუთარ თავს უმეორებ, აი, ეს ვარ მე, აი, ასეთია ჩემი გულიო.

სახლიდან გაქცევამდე ხელ-პირს ვიბან, ფრჩხილებს ვიჭრი, ყურებს ვიწმენდ და კბილებს ვიხეხავ. თავს ვიმოწმებ, ყველაფერი ხომ სუფთად მაქვს. ზოგჯერ ყველაზე მნიშვნელოვანია, მოწესრიგებული იყო. ყურადღებით ვაკვირდები სარკეში საკუთარ ანარეკლს.

ჩემი სახე შექმნეს გენებმა, რომლებიც მამისგან და დედისგან მერგო (ისე კი, აღარც მახსოვს, როგორი იყო დედაჩემი). შეიძლება ემოციები დავმალო, საკუთარი განცდები არ გავამჟღავნო, ვივარჯიშო, მაგრამ გარეგნობას ვერ შევიცვლი. სარკეში ვაწყდები მამაჩემის გრძელ, მუქ წარბებს და ღრმა ნაოჭებს მათ შორის. რომ მომესურვებინა, მამაჩემის მოკვლასაც შევძლებდი, საკმაოდ ძლიერი ვარ, დედასაც დავივიწყებდი, მაგრამ საკუთარ გენეტიკურ კოდს ვერ წავშლი. ამისთვის ჩემი განადგურება იქნება საჭირო.

წყევლის გამოა.

ჩემში ჩამარხული მექანიზმის.

შენში ჩამარხული მექანიზმის...

შუქს ვაქრობ და აბაზანიდან გამოვდივარ. მძიმე, მწუხარე სიჩუმე გამეფებულა სახლში. იმ არარსებული ადამიანების ჩურჩული, მკვდრების სუნთქვა... უძრავად მდგომი თვალებს ვაცეცებ, ღრმად ვსუნთქავ. საათი სამს აჩვენებს. საათის ისრები ორაზროვნად გამოიყურებიან, მაგრამ, ვიცი, ჩემს მხარეს არ არიან. უკვე დროა, აქაურობას გამოვემშვიდობო. ზურგჩანთას ვიღებ და ზურგზე ვიკიდებ. რამდენჯერ მიტარებია, მაგრამ ახლა გაცილებით მძიმედ მეჩვენება.

სიკოკუზე წასვლა გადავწყვიტე. არ ვიცი, რატომ სიკოკუ, მაგრამ რუკაზე დაკვირვებით მივხვდი, რომ აქეთ უნდა წავიდე. ყოველთვის, როცა რუკას დავყურებ, ვგრძნობ, სიკოკუ თავისკენ მეწევა. ტოკიოსგან მოშორებითაა, სამხრეთით. თბილი კლიმატია. არასოდეს ვყოფილვარ. იქ არც მეგობრები ან ნათესავები მყავს და ამიტომ, თუ ვინმე ძებნას დამიწყებს, ეჭვიც არ მეპარება, სიკოკუ ყველაზე ბოლოს მოაგონდებათ.

სალაროში წინასწარ შეკვეთილი ბილეთი ავიღე და ღამის ავტობუსში ავძვერი. ეს ყველაზე იაფი საშუალებაა ტაკამაცუში მოსახვედრად – სულ რაღაც ოთხმოცდაათი დოლარის საქმეა. არავინ ყურადღებას არ მაქცევს, არც მეკითხებიან, რამდენი წლის ხარო, მეორედ არც კი მიყურებენ. ავტობუსის მძღოლი მექანიკურად მიმოწმებს ბილეთს.

ადგილების მხოლოდ მესამედია დაკავებული. ძირითადად ჩემსავით მარტო მგზავრობენ. ავტობუსში სიჩუმეა. ტაკამაცუმდე ათი საათის გზაა, დილაადრინ ჩავალთ. ჩემთვის ამას არა აქვს მნიშვნელობა, დრო, რამდენიც გინდა, იმდენი მაქვს. ავტობუსი რვა საათზე ტოვებს სადგურს და სკამს ვეყრდნობი. იმწამსვე ჩემი გონება დაცლილ ბატარეასავით ითიშება და ვიძინებ.

შუალამით კოკისპირული წვიმა იწყება. დროდადრო მეღვიძება, ფანჯრიდან ნახევრად ვწევ ჩითის ფარდას და გავყურებ გზატკეცილს, რომელზეც მივქრევართ. წვიმის წვეთები შუშას ეშხეფება, ბუნდოვნად მოჩანს ერთმანეთისგან თანაბრად დაშორებული ლამპიონები, რომლებიც ისე გაჭიმულან მთელ გზაზე, გეგონება დედამიწას ზომავენო. სინათლე უეცრად სკდება და მყისიერად უჩინარდება. საათს დავყურებ. თორმეტს გადასცდა.

მაშინვე მახსენდება, რომ ჩემი მეთხუთმეტე დაბადების დღეა.

– ე, გილოცავ დაბადების დღეს, – მეუბნება ბიჭი, სახელად ყვავი.

– გმადლობ.

წყევლა კვლავ თან მდევს ჩრდილივით. ვამოწმებ, კედლები ისევ დგას თუ არა ჩემ გარშემო. შემდეგ ფარდას ვუშვებ და ისევ ვიძინებ.

2

აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტის მიერ უმაღლესი რანგის საიდუმლოდ კლასიფიცირებული ეს დოკუმენტი ინფორმაციის თავისუფლების აქტის მიღების გამო 1986 წელს გამოქვეყნდა. დოკუმენტი ამჟამად ვაშინგტონის ნაციონალურ არქივში ინახება და ხელმისაწვდომია დაინტერესებულ პირთათვის.

ეს გამოძიება ჩატარდა მაიორ ჯეიმს პ. უორენის ხელმძღვანელობით 1946 წლის მარტ-აპრილში. ადგილობრივ გამოძიებას იამანასის პრეფექტურის ...ის (სახელი წაშლილია) ოლქში უმცროსი ლეიტენანტი რობერტ ო'კონორი და უფროსი სერჟანტი ჰაროლდ კატაიამა წარმართავდნენ. ყველა დაკითხვაზე ლეიტენანტი ო'კონორი სვამდა კითხვებს. სერჟანტმა კატაიამამ უზრუნველყო იაპონურიდან თარგმნა, კერძო პირმა უილიამ კოენმა კი დოკუმენტები მოაწესრიგა. ჩვენებებს თორმეტი დღის განმავლობაში იღებდნენ იამანასის პრეფექტურის ქალაქ ...ის (სახელი წაშლილია) საქალაქო დარბაზის მისაღებ ოთახში. ლეიტენანტ ო'კონორს ჩვენება მისცეს შემდეგმა თვითმხილველებმა : ...ის (სახელი წაშლილია) ოლქის ქალაქ ...ის (სახელი წაშლილია) საჯარო სკოლის მასწავლებელმა ქალმა, იმავე ქალაქში მცხოვრებმა ექიმმა, ორმა ადგილობრივმა პოლიციელმა და ექვსმა ბავშვმა. თანდართული რუკები (მასშტაბი 1:10 000 და 1:2 000) შეადგინა შინაგან საქმეთა სამინისტროს ტოპოგრაფიის ინსტიტუტმა.

აშშ არმიის ცნობათა განყოფილების ანგარიში

დათარიღებული 1946 წლის 12 მაისით.

სახელწოდება: მოხსენება გორაკ ბრინჯის ჯამის შემთხვევის შესახებ, 1944.

დოკუმენტის ნომერი: PTYX-722-8936745-42213-WWN.

შემდეგი ჩვენება ჩამოერთვა სეცუკო ოკამოჩის (26 წლის), ...ის (სახელი წაშლილია) ოლქის ქალაქ ...ის (სახელი წაშლილია) საჯარო სკოლის მასწავლებელს, მეოთხე B კლასის ხელმძღვანელს.

ამ ჩვენებასთან დაკავშირებული მასალა ხელმისაწვდომია აპლიკაციის ნომრით PTYX-722-SQ-118.

ლეიტენანტ ო'კონორის შთაბეჭდილებები: სეცუკო ოკამოჩი მიმზიდველი, კოხტა ქალია, ის კითხვებზე ზუსტად და გულახდილად გვაძლევდა პასუხებს. ჯერ კიდევ შოკშია მომხდარი შემთხვევის გამო. როდესაც ჩაფიქრდებოდა, იძაბებოდა და ამ დროს ჩვეულებრივზე ნელა ლაპარაკობდა.

მგონი, გახდა თუ არა დილის ათი საათი, მაშინ შევნიშნე ცაში ვერცხლისფერი ნათება. კაშკაშა ვერცხლისფერი ელვარება. სწორედ რაღაც მეტალის ანარეკლი უნდა ყოფილიყო. ეს სინათლე ძალიან ნელა მოძრაობდა ცაში აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ. ყველამ ჩავთვალეთ, რომ B-29 იყო. ზუსტად ჩვენ ზემოთ. მის დასანახად მაღლა უნდა აგვეხედა. ცა ნათელი იყო, ლურჯი, ეს სინათლე კი ისეთი თვალისმომჭრელი, რომ იმ ვერცხლისფერი დურალუმინის რაღაცის გარდა ვეღარაფერს ვხედავდით.

მაგრამ ფორმა ვერ გავარჩიეთ, ძალიან მაღლა იყო. მეგონა, ვერც თვითონ შეგვამჩნევდნენ, ამიტომ არ შეგვშინებია, რომ თავს დაგვესხმებოდნენ ან ბომბებს დაგვიშენდნენ. ბომბების მთებში ჩამოყრას რა აზრი აქვს. ვიფიქრე, თვითმფრინავის ან რომელიმე დიდი ქალაქის დასაბომბად მიფრინავს, ან თავდასხმის შემდეგ უკან ბრუნდება-მეთქი. ამიტომ სვლა განვაგრძეთ. მარტო ის მახსოვს, რა საუცხოო და თვალწარმტაცი იყო ეს ნათება.

სამხედრო დოკუმენტაციის მიხედვით, აშშ-ს ბომბდამშენებს ან რომელიმე სხვა სახის ავიაციას იმ რეგიონზე არ გადაუფრენია 1944 წლის შვიდი ნოემბრის დილის ათი საათისთვის.

მაგრამ ის საგანი მე დავინახე, მეც და ჩემმა თექვსმეტმა მოსწავლემაც. ყველამ იფიქრა, რომ B-29 იყო. B-29-ები ბევრჯერ გვენახა. მხოლოდ ამ ტიპის თვითმფრინავებს შეუძლიათ ასეთ სიმაღლეზე ფრენა. ჩვენს პრეფექტურაში პატარა საავიაციო ბაზა იყო და მინახავს იაპონური თვითმფრინავები, მაგრამ ისინი ყველა ძალიან პატარა იყო და არ შეეძლოთ ისეთ სიმაღლეზე ფრენა. გარდა ამისა, დურალუმინისგან არეკლილი სინათლე აშკარად გამოირჩევა სხვა მეტალებისგან არეკლილი სინათლისგან, B-29-ის გარდა კი არც ერთი სხვა თვითმფრინავი დურალუმინისგან არ მზადდება. თუმცა ისიც საეჭვოდ მომეჩვენა, რომ ეს საგანი მარტო დაფრინავდა და არა ფორმირებასთან ერთად.

ამ რეგიონში დაიბადეთ?

არა, ჰიროშიმაში დაიბადე. 1941 წელს გავთხოვდი და მას შემდეგ დავსახლდი აქ. ჩემი მეუღლე ამ პრეფექტურის სკოლის მაღალ კლასებში მუსიკას ასწავლიდა. 1943 წელს ჯარში

გაიწვიეს და 1945 წლის ივნისში ლუსონთან ბრძოლის დროს დაიღუპა. როგორც შემდეგ შევიტყე, თურმე საბრძოლო მასალებს იცავდა მანილასთან ახლო და იქ ამერიკული ბომბდამშენების გახსნილმა ცეცხლმა იმსხვერპლა. შვილები არ გვყავს.

რამდენი ბავშვი წაიყვანეთ იმ პიკნიკზე?

სულ თექვსმეტი გოგონა და ბიჭი. ორი ბავშვი ავად იყო, დანარჩენები კი იქ იყვნენ. რვა ბიჭი და რვა გოგონა. აქედან ხუთი ტოკიოდან იყო ევაკუირებული.

სკოლიდან ცხრა საათზე გამოვედით. ჩვეულებრივი სასკოლო პიკნიკი იყო და ამიტომ ყველას თან ჰქონდა მათარა და ლანჩის კოლოფი. წიგნები ან სხვა სასწავლო მასალა თან არ წაგვიღია. გორაკზე იმიტომ ავდიოდით, რომ სკოლები და გარეული, საკვებად ვარგისი მცენარეები მოგვეგროვებინა. ჩვენ სამეურნეო მიწებზე ვცხოვრობდით, აქ საკვების მოპოვება არ ჭირდა, თუმცა არც თავზე საყრელად გვქონდა. საკვები მკაცრად ნაწილდებოდა და უმეტესობა მაინც შიმშილობდა.

ამიტომ ბავშვებს ხელს ვუწყობდით, რომ საჭმელად გამოსადეგი მცენარეები მოეგროვებინათ. ომი იყო და, რა თქმა უნდა, სწავლაზე მნიშვნელოვანი იმ დროს ეს იყო. ასეთ სასკოლო პიკნიკებზე ყველა დადიოდა. ჩვენი სკოლა ბორცვებითა და ტყეებით იყო გარშემორტყმული. ამ მხრივ, ალბათ, დალოცვილები ვიყავით. ქალაქებში ხალხი შიმშილობდა. ტაივანის და კონტინენტის გზები ჩაკეტილი იყო, ამიტომ ქალაქები საშინლად იტანჯებოდნენ უსაჭმელოდ და უსაწვავოდ.

თქვენ ახსენეთ, ხუთი მოსწავლე ტოკიოდან იყო ევაკუირებულიო. ისინი კარგად ეწყობოდნენ ადგილობრივ ბავშვებს?

ჩემი კლასის მოსწავლეებს არაფერი გასჭირვებიათ. ის ორი გარემო, რომლებშიც ეს ორი ჯგუფი იზრდებოდა, რა თქმა უნდა, სრულიად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან – ერთნი სოფლად ცხოვრობდნენ, მეორენი – ტოკიოში. ისინი სხვადასხვანაირად ლაპარაკობდნენ და ეცვათ. ადგილობრივი ბავშვები ღარიბი გლეხების ოჯახებიდან იყვნენ, მაშინ როცა ტოკიოელი ბავშვების უმეტესობის მამები კომპანიებში ან საჯარო სამსახურში მუშაობდნენ. ამიტომ ვერ ვიტყვი, რომ კარგად უგებდნენ ერთმანეთს.

თავიდან იგრძნობოდა მათ შორის დამაბულობა. ერთმანეთს აბუჩად არ იგდებდნენ და არც ჩხბუბობდნენ, მაგრამ ერთ ჯგუფს არ ესმოდა მეორისა. ისინი თავ-თავიანთთვის იყვნენ – ადგილობრივი ბავშვები – ადგილობრივებთან, ტოკიოელი ბავშვებს კი თავისი პატარა ჯგუფი ჰქონდათ. თუმცა ეს მხოლოდ ორ თვეს გაგრძელდა. შემდეგ კი კარგად შეეწყვნენ ერთმანეთს. ხომ იცით, როგორც ხდება. როდესაც ბავშვები თამაშს იწყებენ და მთელი გულითა და სულით ჩაერთვებიან, ასეთი რამეები აღარ ადარდებთ.

მინდა, რაც შეიძლება დეტალურად აღვნიშნოთ ადგილი, სადაც იმ დღეს ბავშვები წაიყვანეთ.

ამ გორაკზე ხშირად მივდიოდით პიკნიკის მოსაწყობად. მრგვალი ბორცვი იყო, რომელიც პირქვე დამხოხილ ბრინჯის ჯამს ჰგავდა და ეგრეც ვეძახდით. სკოლიდან დასავლეთით უნდა

გველო, საკმაოდ ახლოს. არ იყო ციცაბო, ყველას შეეძლო იქ ასვლა. ბავშვების ტემპით დაახლოებით ორ საათს ვუნდებოდით. გზადაგზა ტყეში სოკოს აგროვებდნენ და წავიხემსებდით ხოლმე. ბავშვებს, ბუნებრივია, ასეთი გასეირნება კლასში ყოფნაზე მეტად მოსწონდათ.

მბრწყინავმა თვითმფრინავმა, რომელიც ცაში შევნიშნეთ, შეგვახსენა, რომ ქვეყნად ომი იყო, თუმცა ძალიან მცირე ხნით, შემდეგ ისევ კარგი განწყობა დაგვიბრუნდა. ცაზე ღრუბელიც კი არ ჭაჭანებდა, სიო არ იძვროდა, გარშემო ყველაფერი დადუმებული იყო და მარტო ჩიტების ჭიკჭიკი გვესმოდა ტყეებიდან. ომი თითქოს სხვა, შორეულ ქვეყანაში მძვინვარებდა და ჩვენთან ხელი არ ჰკონდა. გზადაგზა ვმღეროდით, ზოგჯერ ჩიტებსაც კი ვბამავდით. თუ ომს არ გავითვალისწინებთ, იდეალური დილა იდგა.

თვითმფრინავის მსგავსი საგანი მაშინვე შეამჩნიეთ, როგორც კი ტყეში შეხვედით, არა?

დიახ. ხუთი წუთი არ იყო გასული, რაც ტყეში შევედით. ბორცვზე ამავალი მთავარი ბილიკიდან გადავუხვიეთ და ტყეების გათელილ ფერდობზე ჩამავალ ბილიკს ჩავუყევით. კარგა დამრეცი ადგილი იყო. ერთი ათ წუთს რომ ვიარეთ, მყუდრო მდელოს მივაღექით. მზე აღარ ჩანდა და გრილოდა, მაგრამ, როდესაც ამ მდელოზე შევაბიჯეთ, თითქოს პატარა მოედანზე აღმოვჩნდით. ჩვენს თავზე უღრუბლო ცა იყო. როცა ბრინჯის ჯამის გორაკზე ავდიოდით, ჩემი ბავშვები ხშირად ჩერდებოდნენ ხოლმე ამ ადგილას. იქაურობა კაცს ამშვიდებდა, თავს მყუდროდ და სასიამოვნოდ აგრძნობინებდა.

როდესაც ამ სკვერს მივადგებოდით, ვისვენებდით: ზურგჩანთებს მოვიხსნიდით და ბავშვები სამ-ოთხკაციან ჯგუფებად იყოფოდნენ და ტყეში შედიოდნენ სოკოს მოსაგროვებლად. მე მოვითხოვდი, თვალი არ მოეშორებინათ ერთმანეთისთვის. ვიდრე გაიფანტებოდნენ, ერთად მოვუყრიდი ხოლმე თავს და ვუხსნიდი, მართალია, ამ ადგილს კარგად ვიცნობთ, მაგრამ ეს მაინც ტყეა და, თუ ვინმე განცალკევდება და დაიკარგება, მის მოსაძებნად დიდი ჯაფა დაგვადგება-მეთქი. გარდა ამისა, ხომ იცით, პატარა ბავშვები არიან და როდესაც სოკოს მოგროვებას იწყებენ, ეს გაფრთხილება ავიწყდებათ. ამიტომ ყოველთვის თვალყურს ვადევნებდი და ხშირად ვითვლიდი.

ათი წუთიც არ იყო გასული მას შემდეგ, რაც სოკოს მოგროვება დავიწყეთ, რომ ბავშვებმა გონება დაკარგეს და წაიქცნენ.

როდესაც პირველი სამი ბავშვი შევნიშნე მიწაზე წაქცეული, ვიფიქრე, შხამიანი სოკო შეჭამეს-მეთქი. აქ ბევრი შხამიანი სოკოა, ისეთებიც კი, რომლებმაც შეიძლება მოგკლას. იქაურმა ბავშვებმა იცოდნენ, რომელი სოკო არ უნდა მოეკრიფათ, მაგრამ ზოგიერთი ჯიშის ცნობა რთულია და ამიტომ ყოველთვის ვაფრთხილებდი ბავშვებს, არაფერი შეეჭამათ, ვიდრე სკოლაში არ დავბრუნდებოდით და ვინმე მცოდნეს არ შევამოწმებინებდით სოკოს. მაგრამ, ხომ იცით, ბავშვები ყოველთვის არ გვიჯერებენ. იქით გავვარდი, სადაც ბავშვები ეყარნენ მიწაზე. წამოყენება დავიწყე, მაგრამ სხეულები მზეზე დატოვებული რეზინივით ჰქონდათ მორღვეული.

ცარიელ ნიჟარებს დამსგავსებოდნენ, გეგონება სიმძიმე მთლიანად გამოეცალათ მათი სხეულებიდან. თუმცა სუნთქვა არ უჭირდათ, პულსი ნორმალური ჰქონდათ, არც ტემპერატურას აუწევია. მშვიდად გამოიყურებოდნენ, ტანჯვის არაფერი ეტყობოდათ. ფუტკრის ნესტარი ან გველის ნაკბენი დავებზე მათ სხეულზე. ვერაფერი ვიპოვე. ბავშვები უბრალოდ უგონოდ იყვნენ. ყველაზე უცნაური მათი თვალები იყო. ისე იყვნენ მოდუნებული, გეგონება, კომაში არიანო, მაგრამ თვალები გახელილი ჰქონდათ, თითქოს რაღაცას უყურებდნენ.

დროდადრო თვალებს ახამხამებდნენ. ამიტომ მძინარეებს არ ჰგავდნენ. თვალებს აქეთ-იქით ძალიან ნელა ამოძრავებდნენ, თითქოს შორეულ ჰორიზონტს გაჰყურებდნენ. თვალებს ცნობიერება თითქოს არ დაეკარგათ. მაგრამ არაფერს უყურებდნენ, ყოველ შემთხვევაში, არაფერს ხილულს. რამდენჯერმე სახესთან ხელი გავუქნიე, მაგრამ რეაქცია არ ჰქონიათ.

სათითაოდ ავიყვანე სამივე ბავშვი ხელში, სამივე ერთნაირად იყო, უგონოდ, მაგრამ თვალებს კი აქეთ-იქით ნელა ამოძრავებდნენ. ყველაზე დიდი სიგიჟე იყო, რაც კი მინახავს.

აღწერეთ ის ჯგუფი, რომელმაც პირველმა დაკარგა გონება.

გოგონების ჯგუფი იყო. სამი გოგონა, რომლებიც ერთმანეთთან მეგობრობდნენ. სახელებს ვეძახდი და ლოყებზე ვურტყამდი, საკმაოდ მაგრადაც, მაგრამ არანაირი რეაქცია არ ჰქონდათ. არაფერს გრძნობდნენ. უცნაური განცდა გამიჩნდა, თითქოს სიცარიელეს შევებე...

მაშინვე გავიფიქრე, დახმარების მოსახმობად სკოლაში ვინმე უნდა გაიქცეს-მეთქი. სამ უგონოდ მყოფ ბავშვს ვერანაირად ვერ ჩავიყვანდი მარტო. ამიტომ იმ ბიჭის ძებნას შევუდექი, რომელიც კლასში ყველაზე სწრაფად დარბოდა. მაგრამ როცა წამოვდექი და მივიხედ-მოვიხედე, დავინახე, რომ ყველა წაქცეულიყო. თექვსმეტივე მიწაზე ეყარა გონებადაკარგული. ერთადერთი საღ გონებაზე მყოფი და ფეხზე მდგომი მე ვიყავი. იქაურობა ბრძოლის ველს ჰგავდა...

რამე უჩვეულო შენიშნეთ? სპეციფიკური სუნი, ან ხმა, ან სინათლე?

(ერთხანს ფიქრობს).

არა, უკვე გითხარით, იქაურობა მდუმარე და ძალიან მშვიდი იყო, არც უცხო ხმები ისმოდა, არც რამე სინათლე შემიმჩნევია, არც უცნაური სუნი მიგრძნია. უცნაური მარტო ის იყო, რომ ჩემი მოსწავლეები უგონოდ ეყარნენ მიწაზე. თავი საშინლად მარტო ვიგრძენი, თითქოს დედამიწის ზურგზე ჩემ გარდა ცოცხალი აღარავინ დარჩენილიყო. ამ უკიდურესი მარტობის განცდას ვერ აღვწერ. მინდოდა გავმქრალიყავი და აღარაფერზე მეფიქრა.

რა თქმა უნდა, ასე ვერ მოვიქცეოდი – როგორც მასწავლებელს, მოვალეობა მქონდა. ძალა მოვიკრიბე და ბილიკზე ჩავირბინე. სკოლისკენ წავედი.

განთიადზე ვიღვიძებ. ფარდის იქით ვიჭყიტები. ახლახან უწვიმია, ყველაფერი ნესტიანია და ყველგან წყალი წვეთავს. აღმოსავლეთით ღრუბლები გადაჭიმულა. ცა ხან ავისმომასწავებელად მოქუფრული ჩანს, ხანაც სხივმოსილი, გააჩნია, საიდან უყურებ. ავტობუსი გზატკეცილზე უცვლელი სიჩქარით მიქრის, ბორბლები გუგუნებენ, არც ხმას იმაღლებენ, არც წყნარდებიან. ძრავას მონოტონური ხმა დროსა და მგზავრების ცნობიერებას აჩლუნგებს. სხვა მძინარე მგზავრები თავიანთ სავარძლებში ჩაფლულან, ფარდები ჩამოშვებულია. მხოლოდ მე და მძღოლს გვღვიძავს. დანიშნულების ადგილისკენ მარჯვედ და უსიტყვოდ მივქრით.

მწყურია, ზურგჩანთის ჯიბიდან მინერალური წყლის ბოთლს ვიღებ და შემთბარი წყლის რამდენიმე ყლუპს ვსვამ. იმავე ჯიბიდან მარილიანი კრეკერების ყუთს ვიღებ, რამდენიმე ცალს პირში ვიყრი. მსიამოვნებს მათი ნაცნობი, მშრალი გემო. ჩემი საათი 4:32-ს აჩვენებს. ყოველი შემთხვევისთვის ვამოწმებ თარიღსა და კვირის დღეს. ცამეტი საათია გასული მას შემდეგ, რაც სახლიდან წამოვედი. დრო წინ არ გადამხტარა, არც უკან დაბრუნებულა. კვლავ ჩემი დაბადების დღეა. კვლავ ჩემი ახალი ცხოვრების პირველი დღეა, თვალებს ვხუჭავ და ვახელ, ისევ დროსა და თარიღს ვამოწმებ საათზე. ნათურას ვანთებ, ზურგჩანთიდან წიგნს ვიღებ და კითხვას ვიწყებ.

ექვსის წუთებზე ავტობუსი სავალი გზიდან გაუფრთხილებლად გადადის და გზისპირა დასასვენებელ ზონაში ჩერდება.

ავტობუსის წინა კარი სისინით იღება, შუქი თამაშობს, მძღოლი მოკლე განცხადებას აკეთებს: „დილა მშვიდობისა ყველას. იმედი მაქვს, კარგად დაისვენეთ. გეგმის მიხედვით ვმოდრაობთ და ბოლო გაჩერებაზე, ტაკამაცუს სადგურში ერთ საათში ვიქნებით. აქ კი 20 წუთით შევჩერდეთ. 5 საათსა და 25 წუთზე გზას გავაგრძელებთ, ამიტომ გთხოვთ, დროულად დაუბრუნდეთ თქვენს ადგილებს.“

თითქმის ყველა მგზავრს აღვიძებს მძღოლის ხმა, ისინი მდუმარედ ებრძვიან ფეხებს, მთქნარებითა და ბორძიკით ტოვებენ ავტობუსს. ამათ ტაკამაცუში ჩასვლამდე თავი უნდა მოიწესრიგონ. მეც ჩავდივარ ავტობუსიდან, ღრმად ვისუნთქავ დილის სუფთა ჰაერს და რამდენიმე მარტივ ვარჯიშს ვაკეთებ. ტუალეტში შევდივარ და სახეზე წყალს ვისხამ. ნეტა სად ჯანდაბაში ვართ. გარეთ გავდივარ და იქაურობას ვათვალიერებ. არაფერია განსაკუთრებული, ჩვეულებრივი გზისპირა გარემოა. შესაძლოა, მეჩვენება, მაგრამ მთების ფორმა და ხეების ფერი ისეთი არ არის, როგორც ტოკიოში.

კაფეტერიაში ვზივარ, უფასო ცხელ ჩაის ვწრუპავ, ახალგაზრდა გოგონა მოდის და ტყაპუნით ჯდება ჩემ გვერდით პლასტმასის სავარძელზე. მარჯვენა ხელში ცხელი ყავით სავსე მუყაოს ჭიქა უჭირავს, რომელიც ავტომატიდან იყიდა. ყავას ორთქლი ასდის, მარცხენა ხელში სენდვიჩების კონტეინერი უჭირავს, ესეც სავაჭრო აპარატის პროდუქტი უნდა იყოს.

სასაცილოდ გამოიყურება. სახე არაპროპორციული აქვს – ფართო შუბლი, ღილივით ცხვირი, დაჭორფლილი ლოყები და წვეტიანი ყურები. ისეთი სახე აქვს, ყურადღებას რომ აუცილებლად მიაქცევ.

თუმცა მთლიანობაში ცუდად არ გამოიყურება. საკუთარი გარეგნობით აღფრთოვანებული არ უნდა იყოს, თუმცა ალბათ მიჩვეულია და არც უკმაყოფილება ეტყობა, ეს კი მნიშვნელოვანია. რაღაცა აქვს ბავშვური, დამამშვიდებელი, ყოველ შემთხვევაში ჩემზე ასე მოქმედებს. არ არის მაღალი. ჩამოსხმული ფეხები აქვს, გამხდარი სხეული და მიმზიდველი მკერდი.

მისი წვრილი მეტალის საყურეები დურალუმინით ელვარებს. მხრებზე ჩამოშლილი თმა მუქ წაბლისფრად, თითქმის წითლად შეუღებავს, გრძელსახელოებიანი, მრგვალსაყელოანი ფართოზოლებიანი პერანგი აცვია. ცალ მხარზე პატარა ტყავის ზურგჩანთა ჰკიდია, მსუბუქი სვიტრი ზურგზე მოუგდია. კრემისფერი მინი-ქვედაბოლო აცვია შიშველ ფეხებზე. აშკარად პირი დაიბანა – თმის რამდენიმე ღერი შუბლზე მიჰკვრია მცენარის წვრილი ფესვებივით.

საოცარია, მაგრამ სწორედ ეს თმის ღერები მიზიდავს.

– ავტობუსში იყავი, არა? – მეკითხება. ოდნავ ჩახლეჩილი ხმა აქვს.

– ჰო.

შუბლშეკრული სვამს ერთ ყლუპ ყავას.

– რამდენი წლის ხარ?

– ჩვიდმეტის. – ვიტყუები.

– ანუ ისევ სკოლაში სწავლობ.

თავს ვუქნევ.

– საით მიდიხარ?

– ტაკამაცუში.

– მეც, ვინმესთან სტუმრად თუ იქაური ხარ?

– სტუმრად მივდივარ.

– მეც. მეგობარი მყავს იქ. მეგობარი გოგონა. შენ?

– ნათესავები.

თავის კანტურით მანიშნებს, გასაგებიაო. კითხვები ამოიწურა.

– შენხელა ძმა მყავს, უმცროსი, – უეცრად ამბობს, ისე, თითქოს ახლაღა გაახსენდაო, – რაღაც მოხდა და ამიტომ, დიდი ხანია, ერთმანეთი აღარ გვინახავს... იცი, იმ ტიპს ჰგავხარ, არ უთქვამთ?

– ვინ ტიპს?

– აი, იმ ტიპს, მუსიკალურ ჯგუფში რომ მღერის. როგორც კი დაგინახე, ეს გავიფიქრე, მაგრამ მისი სახელი ვერაფრით გამიხსენებია. თავი გამისკდა ამაზე ფიქრით. ზოგჯერ ასეც ხდება, არა? ენის წვერზე გადგას, მაგრამ ვერ გითქვამს. არ უთქვამთ, რომ ვინმეს ჰგავხარ?

თავი გავაქნიე. არავის უთქვამს. ისევ მომშტერებია, თვალები მოუჭუტავს.

– მაინც ვის მამსგავსებ, რას წარმოადგენს?

– ტელევიზორის ტიპია.

– ტელესახე?

– ზუსტად! – ამბობს და ლორიან სენდვიჩს კბეჩს, ყავას აყოლებს, – ეგ ტიპი რომელიღაც ბენდში მღერის. ჯანდაბა, ვერც ბენდის სახელი გამიხსენებია. მაღალი ტიპი, კანსაიური აქცენტით, ვერ ხვდები, ვის ვგულისხმობ?

– მაპატიე, არ ვუყურებ ტელევიზორს.

გოგონა ილუშება და მკაცრად მიცქერს.

– საერთოდ არ უყურებ?

თავს ვაქნიე. მოიცა, თავი უნდა დავაქნიო თუ გავაქნიო? ვუქნიე რა.

– ლაპარაკი არ გიყვარს, არა? მოკლე ფრაზები შენი სტილი უნდა იყოს, ყოველთვის ასეთი ჩუმი ხარ?

ვწითლდები. მართლა ჩუმი ვარ. ბევრ რამეს იმიტომ არ ვამბობ, რომ ხმა ჯერ საბოლოოდ არა მაქვს ჩამოყალიბებული. ხმა დაბალი მაქვს, მაგრამ მოულოდნელად წამომაცივლებს ხოლმე. ამიტომ ვცდილობ, სათქმელი მოკლედ ვთქვა.

– მოკლედ, – აგრძელებს, – იმის თქმას ვცდილობ, რომ ძალიან ჰგავხარ იმ მომღერალს, კანსაიურად რომ უქცევს. არა, კანსაიური კილო კი არ გაქვს, უბრალოდ – არც კი ვიცი, რაღაცით ძალიან ჰგავხარ. მართლა სასიამოვნო ტიპია.

უეცრად სახეზე ღიმილი უჩნდება, მალევე უქრება და ამ დროს კი ვცდილობ, რამე მოვუხერხო ჩემს გაწითლებულ სახეს.

– უფრო დაემგვანებოდი, ვარცხნილობა რომ შეგეცვალა. წამოიზარდე, ჟელე გამოიყენე ასაპრეხად. მე ვცდიდი. ნამდვილად მოგიხდება. სტილისტი ვარ.

თავს ვუქნიე და ჩაის ვწრუპავ. კაფეტერიაში სამარისებური სიჩუმეა. არც მუსიკის ხმა ისმის, ჩვენ გარდა არავინ საუბრობს.

– იქნებ ლაპარაკი არ გიყვარს? – მეუბნება და ცალ ხელზე აყრდნობს თავს, სერიოზული გამომეტყველება აქვს.

თავი გავაქნიე. არაა ასე.

– ფიქრობ, რთულია ადამიანებთან საუბარი?

ისევ თავი დავუქნიე.

მეორე სენდვიჩს იღებს, ამჯერად მარწყვისჯემიანს.

– შეჭამ? –მეკითხება წარბშეკმუხნით, – ბავშვობიდან ყველაზე მეტად მარწყვისჯემიან სენდვიჩებს ვერ ვიტან.

ვართმევ. მარწყვისჯემიანი სენდვიჩები დიდად არც მე მიყვარს, მაგრამ არაფერს ვეუბნები და ჭამას ვიწყებ.

შემომყურებს, ვიდრე ბოლო ნამცეცს შევჭამდე.

– შეიძლება,ერთი რამე გთხოვო?

– მაინც რა?

– შეიძლება, შენ გვერდით ვიჯდე, ვიდრე ტაკამაცუში ჩავალთ? ვერ ვისვენებ, როცა მარტო ვზივარ. ყოველთვის მგონია, რომ ვინმე გადარეული დაეხეთქება გვერდით, მერე კი ვერ დავიძინებ. როცა ბილეთი ვიყიდე, მითხრეს, სკამები ცალ-ცალკე დგასო, მაგრამ რომ მოვედი, აღმოჩნდა, წყვილ-წყვილად ყოფილა. მინდა, თვალი მოვატყუო, ვიდრე ჩავალთ. შენ კი წესიერი ბიჭი ჩანხარ. წინააღმდეგი ხომ არა ხარ?

– რა პრობლემაა.

– გმადლობ, როგორ ამბობენ? მგზავრობის დროს თანამგზავრიო...

თავს ვუქნევ. თავს ვუქნევ, თავს ვუქნევ, ვუქნევ – მარტო ეს შემიძლია. მაგრამ რა უნდა ვუთხრა?

– როგორ ბოლოვდება?

– რა როგორ ბოლოვდება?

– თანამგზავრის მერე რას ამბობენ? ვერ ვიხსენებ. ეგეთები ყოველთვის ცუდად ვიცოდი.

– ცხოვრებაში თანაგრძნობაო. – ვეუბნები.

– მგზავრობის დროს თანამგზავრიო – ცხოვრებაში თანაგრძნობაო. – იმეორებს, გეგონება, უნდა დაიმახსოვროსო. ფურცელი და კალამი რომ ჰქონოდა, არ გამიკვირდებოდა, რომ ჩაეწერა კიდევ.

– ჰოდა, რას ნიშნავს ეგ? მარტივად რომ ვთქვათ.

ჩავფიქრდი. ფიქრისთვის დრო მჭირდება, მოთმინებით მელის.

– მე მგონი, იმას უნდა ნიშნავდეს, რომ შემთხვევითი ნაცნობობა გზის გაგრძელებაში გვეხმარება.

ამის გასააზრებლად დრო სჭირდება, მერე მსუბუქი მოძრაობით ხელებს მაგიდაზე აწყობს.

– მე მგონი, მართალი ხარ, შემთხვევითი ნაცნობები გზის გაგრძელებაში გვეხმარებიან.

საათს ვუყურებ. ექვსის ნახევარია უკვე.

– მგონი, დროა, უკან დავბრუნდეთ.

– ჰო, მგონი. წავიდეთ. – ამბობს, მაგრამ არ იძვრის ასადგომად.

– ისე, სად ვართ? – ვეკითხები.

– წარმოდგენა არა მაქვს. – მპასუხობს. კისერს იგრძელებს და იქაურობას ათვალიერებს. მისი საყურეები ჩამოსავარდნად გამზადებული მწიფე ხილივით ირხევა, – დროის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, კურასიკთან უნდა ვიყოთ ახლო, თუმცა რა მნიშვნელობა აქვს. გაჩერება ადგილია, რომელსაც უბრალოდ გაივლი, რომ აქედან იქ აღმოჩნდე.

ორივე ხელის სალოკ თითებს მალა სწევს, ერთმანეთისგან თორმეტდუიმიანი დაშორებით.

– რა მნიშვნელობა აქვს, რა ჰქვია? – აგრძელებს, – ტუალეტებიც არის და საჭმელიც, ნეონის შუქიც და პლასტმასის სკამებიც, წყალწყალა ყავაც, მარწყვისჯემიანი სენდვიჩებიც. ეს ყველაფერი უაზრობაა, შენ კი ცდილობ, აზრი უპოვო. ჩვენ საიდანღაც მოვედით და სადღაც მივდივართ. მხოლოდ ამის ცოდნაა შენთვის საჭირო.რა, ვცდები?

თავს ვუქნევ. და ვუქნევ. და ვუქნევ.

როდესაც ავტობუსში ვბრუნდებით, სხვა მგზავრები უკვე იქ არიან, ჩვენლა გველიან. მძლოლი ახალგაზრდა ტიპია, რომლის დაჟინებული მხერა ერთ მკაცრ ზედამხედველს მაგონებს. საყვედურით სავსე თვალებით გვიყურებს, მაგრამ არაფერს გვეუბნება. გოგონა კი უცოდველი „გვაპატიეთ-დავიგვიანეთ“ ღიმილით შესცქერის. მძლოლი იხრება, რომ ბრეკეტს მიაწვეს, კარი სისინით იხურება. გოგონა პატარა ჩემოდანს მოათრევს და ჩემ გვერდით ჯდება. ამ ჩემოდანს ალბათ ფასდაკლების დროს შეიძენდა. ვიღებ და ზედა თაროზე ვინახავ. ზომასთან შედარებით კარგა მძიმეა. მადლობას მიხდის, მერე სავარძლის საზურგეს ეყრდნობა და იძინებს. რადგან მძლოლს ლოდინი მეტად არ შეუძლია, როგორც კი ადგილებზე ვსხდებით, ავტობუსს ძრავს. ისევ ჩემს რბილყდიან წიგნს ვიღებ და შეწყვეტილი ადგილიდან ვაგრძელებ კითხვას.

გოგონა მყისვე იძინებს, რომელიღაც მოსახვევში მხარზე მეხლება, მერე კი თავს მადებს. პირი მოუკუმავეს, ცხვირით სუნთქავს – მხარზე თანაბარ სუნთქვას ვგრძნობ. ქვემოთ ვიხედები და მრგვალსაყელოიანი პერანგის ქვეშ ვხედავ მისი ბიუსტჰალტერის ბრეტელს, სიფრიფანა, კრემისფერ ბრეტელს. წარმოვიდგენ მის ფაქიზ ქსოვილს. მიმზიდველ მკერდს. როგორ ვეხები თითის წვერებით მის გამაგრებულ ვარდისფერ ძუძუსთავეებს. ვცდილობ, ამაზე არ ვიფიქრო, მაგრამ თავს ვერაფერს ვუხერხებ. და რა გასაკვირია, მიდგება. ნეტა როგორ შეიძლება, სხეულის რომელიმე ნაწილი ქვასავით მაგარი გახდეს?

უცნაოდ თავში ერთი აზრი მიჩნდება – იქნებ, ეს გოგო ჩემი დაა? ზუსტად იმ ასაკისაა. მისი უცნაური გამომეტყველება ფოტოზე აღბეჭდილი გოგონასას არ ჰგავს, მაგრამ ამით თავს ვერ დაიმშვიდებ. გააჩნია, როგორ გადაულეებ, ზოგჯერ ადამიანები ფოტოზე სულ განსხვავებულად ჩანან. თქვა, შენი ტოლი ძმა მყავს, რომელიც რამდენიმე წელია, აღარ მინახავსო. ვინ იცის, იქნებ მე ვარ ის ძმა. თეორიულად მაინც ხომ არის შესაძლებელი?

მკერდზე ვუყურებ. სუნთქვის დროს ბორცვები ტალღებზე მოძრაობენ და რატომღაც ზღვაზე მოსულ წვიმას მაგონებენ. მე მარტოსული მგზავრი ვარ, ის კი ზღვაა. ცა ნაცრისფერი საბანია, რომელიც ჰორიზონტზე ნაცრისფერ ზღვას უერთდება. რთულია ზღვის განცალკევება ცისგან. მგზავრისა და ზღვისაც, რეალობისა და გულისწადილისა.

გოგონას ორი ბეჭედი უკეთია არც ერთი არ არის არც ნიშნობის, არც ქორწინების. იაფფასიანი ბეჭდებია, რომლებსაც პატარა ბუტიკებში ყიდიან. გრძელი, თხელი, მაგრამ ძლიერი თითები აქვს, ფრჩხილები ფაქიზად და მოკლედ დაუჭრია და ჟოლოსფრად შეუღებავს. ხელები შიშველ მუხლებზე ჩამოუწყვია. მინდა, ამ ხელებს შევეხო, მაგრამ, რა თქმა უნდა, ასე არ ვიქცევი. მძინარე კიდეც უფრო ჰგავს პატარა ბავშვს. თმის ღერებიდან წვეტიანი ყური მოუჩანს პატარა, მყიფე სოკოსავით.

წიგნს ვხურავ და ხედს გავცქერი. მაგრამ სწრაფადვე ვიძინებ

4

აშშ არმიის ცნობათა განყოფილების (MIS) ანგარიში

დათარიღებული 1946 წლის 12 მაისით

სახელწოდება: გორაკ ბრინჯის ჯამის შემთხვევის ანგარიში, 1944

დოკუმენტის ნომერი: PTYX-722-8936745-42216-WWN

ქვემოთ მოცემულია დოქტორ იუჩი ნაკამავასთვის (53 წ.) ჩამორთმეული ჩვენება, რომელიც შემთხვევის დროს მუშაობდა ქალაქ ...ის (სახელი წაშლილია) სამედიცინო კლინიკაში. ჩვენებასთან დაკავშირებული მასალები შეიძლება მოძიებულ იქნეს აპლიკაციის ნომრებით PTYX-722-SQ-162-დან 183-მდე.

ლეიტენანტ რობერტ ო'კონორის შთაბეჭდილებები: ექიმი ნაკამავა ისეთი ძვალმსხვილი და მუქკანიანია, რომ ფერმერს უფრო ჰგავს, ვიდრე ექიმს. დახვეწილი მანერები აქვს, მაგრამ ცქვიტი და ლაკონიურია და ამბობს ზუსტად იმას, რასაც გულისხმობს. სათვალის მიღმა მოუჩანს მახვილი, ფხიზელი თვალები. მის მეხსიერებას შეიძლება ენდოს კაცი.

მართალია, 7 ნოემბერს, დილის 11 საათზე ადგილობრივი დაწყებითი სკოლის დირექტორის მოადგილემ დამირეკა. სკოლის ექიმი ვიყავი, თუ რაღაც ამის მსგავსი და სწორედ ამიტომ

პირველს მე დამიკავშირდნენ. დირექტორის მოადგილე საშინლად აღელვებული იყო. მითხრა, მთებში სოკოს მოგროვების დროს მთელმა კლასმა გონება დაკარგაო.

მისი თქმით, ისინი სრულიად უგონოდ იყვნენ. მხოლოდ მასწავლებელი დარჩენილიყო გონზე და მაშინვე სკოლისკენ გაქცეულიყო დახმარების სათხოვნელად. ისეთი აღელვებული იყო, რომ ზუსტად ვერ მივხვდი, რა ხდებოდა და მარტო ერთი რამ გავიგე ზუსტად: თექვსმეტმა ბავშვმა ტყეში გონება დაკარგა.

ბავშვები სოკოს აგროვებდნენ და ამიტომ თავიდან ვიფიქრე, შხამიან სოკოს შეჭამდნენ და მათ პარალიზებას ეს გამოიწვევდა-მეთქი. თუ ასე იყო, განკურნება რთული იქნებოდა. სხვადასხვა ტიპის სოკო სხვადასხვა სირთულის ინტოქსიკაციას იწვევს და განსხვავებული ტიპის მკურნალობა სჭირდება. ერთადერთი, რაც ამ დროს შემეძლო, კუჭის ამორეცხვა იყო. თუმცა ძლიერი შხამი სისხლში ისე სწრაფად შეიძლება შესულიყო, რომ ჩვენი ყველანაირი მცდელობა უშედეგო გახდებოდა. შხამიანი სოკოები დღესაც წელიწადში ბევრს კლავს.

სასწრაფო დახმარების გასაწევად საჭირო მედიკამენტები ჩანთაში ჩავალაგე და ველოსიპედით რამდენადაც შემეძლო სწრაფად მივედი სკოლასთან. პოლიციას უკვე დაკავშირებოდნენ და ორი პოლიციელი უკვე იქ იყო. ვიცოდით, უგონოდ მყოფი ბავშვები ქალაქში უნდა გადაგვეყვანა და გვჭირდებოდა ყოველგვარი დახმარება, რომელსაც გავვიწვედნენ. ახალგაზრდა კაცების უმეტესობა ომში იყო წასული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კარგად დავკომპლექტდით: მე, ორი პოლიციელი, ხნიერი მამაკაცი მასწავლებელი, დირექტორის მოადგილე, დირექტორი, სკოლის დარაჯი. და, რა თქმა უნდა, მასწავლებელი, რომელმაც ბავშვები ტყეში წაიყვანა. ყველა ველოსიპედი ვინათხოვრეთ, რომელიც კი ვიშოვეთ, მაგრამ ესეც არ აღმოჩნდა საკმარისი. იძულებული გავხდით, ზოგს ორ-ორი ბავშვი წაგვეყვანა ქალაქში.

შემთხვევის ადგილზე რა დროს მიხვედით?

11:55 იყო. მახსოვს, რადგან, როდესაც მივედით, მაჯის საათს დავხედე. ველოსიპედებით გორაკის ძირამდე მივედით, იქამდე, სადამდეც შესაძლებელი იყო მისვლა, ზემოთ კი ფეხით ავედით.

როდესაც მივედი, რამდენიმე ბავშვს ნაწილობრივ უკვე დაბრუნებოდა გონება – სამს თუ ოთხს, რამდენადაც მახსოვს. თუმცა სრულ გონებაზე არ იყვნენ, ყველა დარეტიანებული იყო. დანარჩენები კვლავაც გათიშულები იყვნენ. ცოტა ხნის შემდეგ კიდეც რამდენიმე ბავშვი მოვიდა გონს, სხეულები უზარმაზარი ჭიებივით ეკლაკნებოდათ. ბავშვებმა გონება დაკარგეს დაბლობზე, ნაკაფ ტყეში, შემოდგომის მზე დანათოდა იქაურობას. და აი აქ, ასეთ ადგილას, დაწყებითი სკოლის თექვსმეტი მოსწავლე მიმოფანტულიყო მიწაზე. მათგან რამდენიმე უკვე ახერხებდა მოძრაობას, დანარჩენები კი სრულიად გაშეშებული იყვნენ. რაღაც შეშლილ, ავანგარდულ სპექტაკლს მაგონებდა ეს სცენა.

წუთით დამავიწყდა, რომ ბავშვებისთვის უნდა მემკურნალა. გაშეშებული ვიდექი, ამ კადრს მივშტერებოდი. მარტო მე კი არა, მშველელთა ჯგუფის ყველა წევრი ასე იყო პარალიზებული ამ სანახაობისგან. შესაძლოა, სიტყვებით ამას სწორად ვერ ვხსნი, მაგრამ თითქოს მოხდა

შეცდომა, რომელმაც საშუალება მოგვცა, გვეხილა ის, რასაც ადამიანის მზერა არ უნდა მისწვდეს. ომის პერიოდი იყო, და გონებრივად თუ ფიზიკურად მუდამ მზად ვიყავი იმასთან გასამკლავებლად, რაც შეიძლებოდა, ქვეყანაში მომხდარიყო. როგორც იაპონიის მოქალაქე, მზად ვიყავი, აუღელვებლად შემესრულებინა საკუთარი ვალდებულება, თუ საჭიროება მოითხოვდა. მაგრამ როდესაც ტყეში ეს კადრი ვიხილე, სრულიად გავექვავდი.

როგორც კი გამოვფხიზლდი, ხელში ავიტაცე ერთი ბავშვი, პატარა გოგონა. მის სხეულს წონა საერთოდ არ ჰქონდა, ქსოვილის დედოფალასავით მჩატე იყო. თანაბრად სუნთქავდა, მაგრამ უგონოდ იყო. თვალები ღია ჰქონდა, რაღაცას თვალს აყოლებდა აქეთ-იქით. ჯიბიდან პატარა ფანარი ამოვიღე და გუგებზე დავანათე, არავითარი რეაქცია არ მოჰყოლია. მისი თვალები მუშაობდნენ, რაღაცას უყურებდნენ, მაგრამ სინათლეზე არ რეაგირებდნენ. რამდენიმე სხვა ბავშვი ავიყვანე ხელში და გავსინჯე, ყველა ერთნაირად იყო, არავითარი რეაქცია არ ჰქონდათ. უცნაურად მომეჩვენა.

მერე პულსი და ტემპერატურა შევუმოწმე. პულსი 50-დან 55-მდე ჰქონდათ და ტემპერატურა ყოველ მათგანს – 97 გრადუსზე ნაკლები, დაახლოებით 96 გრადუსი, რამდენადაც მახსოვს. ამ ასაკის ბავშვებისთვის ასეთი პულსი შენელებულია, სხეულის ტემპერატურა კი ნორმალურზე ერთი გრადუსით ნაკლები. მათი სხეულები დავყნოსე, მაგრამ უჩვეულო არაფერი შემინიშნავს. არც ყელსა და ენაზე ეტყობოდათ რამე.

მაშინვე მივხვდი, რომ ეს საკვებით მოწამვლის სიმპტომები არ იყო. არც ერთს არ ჰქონდა ფაღარათი, და არც ის ეტყობოდათ, რომ რამე სტკიოდათ. ბავშვებს რომ რამე შხამიანი შეეჭამათ, გონების დაკარგვიდან ამდენი დროის გასვლის შემდეგ ამ სიმპტომთაგან ერთ-ერთი მაინც უნდა ჰქონოდათ. შვებით ამოვისუნთქე, როდესაც მივხვდი, რომ საკვებისგან მოწამლული არ იყვნენ, მაგრამ მერე ისევ საგონებელში ჩავვარდი, რადგან წარმოდგენაც კი არ მქონდა, რა სჭირდათ.

სიმპტომები მზის დაკვრას ჰგავდა. ბავშვები ამის გამო ხშირად ითიშებიან ზაფხულში. ეს ინფექციასავით არის, ერთი დაკარგავს თუ არა გონებას, სხვებიც ერთიმეორის მიყოლებით დაეცემიან ხოლმე. მაგრამ ნოემბერი იყო. ტყეებში ციოდა. ერთს ან ორს რომ მოსვლოდა მზის დაკვრა, კიდევ 30, მაგრამ ასეთ პირობებში თექვსმეტი ბავშვის ერთდროულად გათიშვა წარმოუდგენელი იყო.

შემდეგ ეჭვი მომწამვლელ ან ნერვული სისტემის მაპარალიზებელ გაზზე მივიტანე, ბუნებრივზე ან ხელოვნურზე. მაგრამ როგორ გაჩნდებოდა გაზი შუაგულ ტყეში დასახლებული ტერიტორიიდან მოშორებით მყოფ ადგილზე? ესეც დაუჯერებელი იყო. მომწამვლელი გაზით შეიძლებოდა იმის ახსნა, რაც იმ დღეს ვიხილე. ყველამ შეისუნთქა, გონება დაკარგა და ძირს დაეცა. მასწავლებელი არ გაითიშა იმის გამო, რომ კონცენტრირებული გაზი არ იყო ისე ძლიერი, რომ ზრდასრულ ადამიანზე ემოქმედა.

მაგრამ, როდესაც საქმე ბავშვების მკურნალობაზე მიდგა, საბოლოოდ დავიბენი. მე, სოფლის უბრალო ექიმი, არ ვიყავი სპეციალიზებული მომწამვლელ გაზებში, ასე რომ, ხელფეხშეკრული აღმოვჩნდი. ჩვენ შორეულ ქალაქში ვცხოვრობდით და სპეციალისტს ვერსაიდან მოვიხმობდი. თანდათანობით ზოგი ბავშვი უკეთ ხდებოდა, და მივხვდი, რომ

გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ყოველი მათგანი გონზე მოვიდოდა. ვიცი, ეს ძალიან ოპტიმისტური იმედი იყო, მაგრამ იმ დროს მეტს ვერაფერს ვიღონებდი. ამიტომ, სხვებს ვუთხარი, მოდი მიწაზე დავტოვოთ და ვნახოთ, რა მოხდება-მეთქი.

ჰაერში იგრძნობოდა რამე უჩვეულო ?

ეგ მეც მაინტერესებდა და ამიტომ რამდენჯერმე ღრმად ჩავისუნთქე, რამე უჩვეულო სუნი ხომ არ დგას-მეთქი. მაგრამ ჩვეულებრივი სურნელი იდგა, მთების, ტყეების, ხეების... უჩვეულო არც მცენარეები და ყვავილები იყო გარშემო და არც ფორმა ან ფერი ჰქონდა რამეს შეცვლილი.

შევამოწმე ყოველი სოკო, რომელიც ბავშვებს მოეგროვებინათ. ბევრი არ იყო და დავასკვნი, რომ გონება სოკოს შეგროვების დაწყებიდან მალევე დაკარგეს. ყველა სოკო საკვებად ვარგისი აღმოჩნდა. იქ ახალი არ ვიყავი და ამიტომ განსხვავებულ ჯიშებსაც კარგად ვიცნობდი. რა თქმა უნდა, იმისათვის რომ შემემოწმებინა, ყველა სოკო მოვაგროვე, წავიღე და ამ საქმის მცოდნეს ვუჩვენე. მაგრამ, როგორც თავიდანვე ვფიქრობდი, ყველა ჩვეულებრივი, საკვებად ვარგისი სოკო გამოდგა.

თქვენ თქვით, რომ გონებადაკარგული ბავშვების თვალები აქეთ-იქით მოძრაობდნენ. ამის გარდა რაიმე უჩვეულო სიმპტომი ან რეაქცია შენიშნეთ? მაგალითად, გუგების ზომა, თვალის თეთრი გარსის შეცვლილი ფერი ან დახამხამების სიხშირე?

არა. გარდა იმისა, რომ თვალებს აქეთ-იქით ამოძრავებდნენ პროექტორებით, სხვა უჩვეულო არაფერი იყო. ყველაფერი ნორმალურად ფუნქციონირებდა. ბავშვები რაღაცას შეჰყურებდნენ. უკეთ რომ ვთქვა, ბავშვები იმას არ უყურებდნენ, რასაც ჩვენ ვხედავდით, რაღაც სხვას, რის ხილვაც არ შეგვეძლო. უფრო რაღაცას აკვირდებოდნენ, ვიდრე მხოლოდ შესცქეროდნენ. გამომეტყველება სრულიად არ ჰქონდათ, მაგრამ მშვიდები ჩანდნენ, არც შეშინებულები იყვნენ, არც დატანჯულები. ამიტომაც დავტოვეთ ისინი ხელუხლებლად, რომ გვენახა, რა მოხდებოდა. თუ არაფერი სტკიოდათ, ჯობდა, ერთხანს ასე ყოფილიყვნენ.

ვინმემ ახსენა ბავშვების გაზით მოწამვლის შესაძლებლობა?

დიახ, ახსენეს. მაგრამ ვერც იმათ ახსენეს, როგორ შეიძლებოდა, ეს მომხდარიყო. იმას ვგულისხმობ, რომ მანამდე არავის გაეგონა, ვინმე ტყეში წასულიყოს სასეირნოდ და გაზით მოწამლულიყოს. მერე კი ერთ-ერთმა ჩვენგანმა – როგორც მახსოვს, დირექტორის მოადგილემ, – თქვა, შეიძლება, ამერიკელების გაშვებული გაზი იყო, ყუმბარას ჩამოაგდებდნენ მომწამვლელი გაზითო. მასწავლებელმა გაიხსენა, რომ B-29-ის მსგავსი რამ დაფრინავდა ცაში სწორედ იმ დროს, ვიდრე მთაზე აღმართს შევუდგებოდითო. სწორედ ეგ იქნება, ამერიკელებს ახალი მომწამვლელი გაზი გამოუგონიათო, ყველამ წამოიძახა. ჭორები იმის შესახებ, რომ ამერიკელებმა ახალი ტიპის ბომბი გამოიგონეს, ტყეებს იქითაც გავრცელდა. მაგრამ რატომ ჩამოაგდებდნენ ამერიკელები თავიანთ უახლეს იარაღს ასეთ უდაბურ ადგილას? ეს კი ვერაფრით აგვეხსნა. მაგრამ შეცდომები ცხოვრების ნაწილია და, ვფიქრობ, ზოგ რამეს ვერასოდეს შევიტყობთ.

ამის შემდეგ ბავშვები თვითონ მომჯობინდნენ?

დიახ. ვერ წარმოიდგენთ, რა შვება ვიგრძენი. თავიდან კრუნჩხვისმაგვარი მოძრაობები დაიწყეთ, მაგრამ შემდეგ გაჭირვებით დადგნენ ფეხზე, თანდათან გონება დაუბრუნდათ. არც ერთს არ დაუჩივლია, რომ რამე სტკიოდა. ეს ყველაფერი მდუმარედ ხდებოდა, თითქოს ღრმა ძილიდან იღვიძებდნენ. როდესაც გონს მოვიდნენ, მათმა თვალებმა ნორმალურად დაიწყეს მოძრაობა. სინათლეზე ნორმალური რეაქცია ჰქონდათ, როდესაც თვალებში მივანათებდი ფანრით. თუმცა რაღაც დრო დასჭირდათ იმისთვის, რომ ისევ ამეტყველებულიყვნენ – აი, ისე, როგორც მაშინ ხდებდა, როცა გამოიღვიძებ.

ყოველ ბავშვს ვკითხეთ, რა მოხდა, მაგრამ დაბნეულები ჩანდნენ, თითქოს რაღაც ისეთს ვეკითხებოდით, რაც არ მომხდარა. ახსოვდათ, როგორ აუყვნენ მთას და როგორ დაიწყეს სოკოების მოგროვება, მაგრამ სხვა არაფერი. ისინი სოკოების კრეფას იწყებენ, მერე ფარდა ეშვება, მერე კი მიწაზე წვანან, დაბნეული უფროსებით გარშემორტყმული. ბავშვები ვერ ხვდებოდნენ, რატომ ვიყავით ყველანი აღელვებული და რატომ შევყურებდით ასეთი შეწუხებული გამომეტყველებით. მათ ჩვენი უფრო ემინოდით, ვიდრე რაღაც სხვის. სამწუხაროდ, ერთი ბავშვი, ბიჭი, გონს ვერ მოვიდა – ერთ-ერთი იმათგან, ვინც ტოკიოდან იყო ევაკუირებული. სატორუ ნაკატა, როგორც მახსოვს, ასე ერქვა. დაბალი, ფერმკრთალი პატარა ბიჭი იყო. მარტო ის რჩებოდა უგონოდ. იწვა მიწაზე, თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. მთიდან მისი ხელით ჩამოყვანა მოგვიხდა. სხვა ბავშვები ისე მარჯვედ ჩამოვიდნენ ქვემოთ, თითქოს არაფერი მოსვლოდით.

ამ ბიჭის, ნაკატას, გარდა, არც ერთ სხვა ბავშვს აღარ ჰქონია რამენაირი სიმპტომი?

გარეგნული ნიშნებით თუ ვიმსჯელებთ, არანაირი უჩვეულო სიმპტომი აღარ გამოუვლენიათ. არავის დაუჩივლია, რომ სტკიოდა რამე ან დისკომფორტი ჰქონდა. როგორც კი სკოლაში დავბრუნდით, ბავშვები ექთანის ოთახში შევიყვანე და სათითაოდ გავსინჯე – ტემპერატურა გავუზომე, გულის ცემას მოვუსმინე სტეტოსკოპით, მხედველობა შევუმოწმე. იმ დროს რაც შემეძლო, ყველაფერი ვიღონე. რამდენიმე არითმეტიკული მაგალითი ამოვახსნევინე, ცალ ფეხზე თვალდახუჭული დავაყენე და რაღაც ამდაგვარები. ფიზიკურად კარგად იყვნენ. დაღლილები არ ჩანდნენ, არც მადა ჰქონდათ დაკარგული. ლანჩი გამოტოვეს და ყველამ განაცხადა, მშაო. ბრინჯის ბურთულები მივეცით და გადასანსლეს.

რამდენიმე დღის შემდეგ სკოლაში შევიაარე, შევამოწმე, როგორ იყვნენ ბავშვები. რამდენიმე გამოვიძახე და გავსინჯე. ისევ ყველაფერი რიგზე ჩანდა. მათ უცნაურ თავგადასავალს არც ფიზიკური კვალი დაეტოვებინა და არც ემოციური. ისიც კი არ ახსოვდათ, რა დაემართათ. მათი ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგა. შემთხვევას არანაირი გავლენა არ მოუხდენია, გაკვეთილებს ჩვეულებრივად ესწრებოდნენ, მღეროდნენ, შესვენების დროს გარეთ თამაშობდნენ სხვა ჯანმრთელი ბავშვებივით. განსხვავებით მათი მასწავლებლისგან, რომელიც კვლავ შოკში იყო.

ის ერთი ბიჭი, ნაკატა, გონს ვერ მოდიოდა. ამიტომ მეორე დღეს კოფუს უნივერსიტეტის ჰოსპიტალში გადაიყვანეს, იქიდან კი სამხედრო ჰოსპიტალში და ჩვენს ქალაქში აღარასოდეს დაბრუნებულა. მერე რა ბედი ეწია, აღარ გამიგია.

ამ შემთხვევის შესახებ გაზეთებში არასდროს დაუწერიათ. ჩემი აზრით, გავლენიანმა პირებმა იფიქრეს, რომ ამ ამბის გახმაურება კიდევ უფრო ააღელვებდა ხალხს და ამიტომ აიკრძალა ამ თემაზე ლაპარაკი. ალბათ გახსოვთ, რომ ომის დროს სამხედროები ცდილობდნენ, უსაფუძვლო ჭორებისთვის ბოლო მოეღოთ. ომში იაპონიის საქმე ცუდად მიდიოდა, სამხრეთის ფრონტზე ჯარები უკან იხევდნენ, საჰაერო თავდასხმები სულ უფრო და უფრო ხშირდებოდა. სამხედროებს ძალიან ეშინოდათ, რომ ხალხში ომის საწინააღმდეგო და პაციფისტური იდეები გავრცელდებოდა. ამ შემთხვევიდან რამდენიმე დღის შემდეგ პოლიცია მოვიდა და გაგვაფრთხილა, რომ არავითარ შემთხვევაში არ გველაპარაკა იმაზე, რაც ვნახეთ.

ყველაფერი ძალზე უცნაური და უსიამოვნო იყო. დღემდე ისეთი განცდა მაქვს, თითქოს რაღაც მსრესს.

5

ვიდრე მეძინა, ჩვენი ავტობუსი ხიდით ზღვაზე გადასულა. ამ ხიდს მარტო რუკით ვიცნობდი და მინდოდა, რეალურად მენახა. ვიღაცამ ფრთხილად შემახო მხარზე თითები. გამომეღვიძა.

– ჰეი, მოვედით. – მეუბნება გოგონა.

ვიზმორები, თვალებს ხელის ზურგით ვისრეს და ფანჯრიდან ვიციკირები. ავტობუსი სადგურში შედის. დილის მზე დამაბრმავებლად, მაგრამ სასიამოვნოდ ბრდღვიალებს. ეს მზე სულაც არ ჰგავს ტოკიოს მზეს. საათს დავყურებ. 6:32-ია.

– ღმერთო ჩემო, რამდენ ხანს ვმგზავრობდით! – ამბობს დაღლილი ხმით, – ზურგი გამიშეშდა. კისრის ტკივილი ბოლოს მომიღებს! აღარასდროს ჩავჯდები ღამის ავტობუსში. ამას იქით მარტო ვიფრენ. მერე რა, რომ გაცილებით ძვირია! ტურბულენტობა და თვითმფრინავის გატაცება არ მაშინებს. ყოველდღე შემიძლია ვიფრინო!

მისი ჩემოდანი და ჩემი ზურგჩანთა ზედა თაროდან ჩამოვიღე.

– რა გქვია? – ვეკითხები.

– რა მქვია?

– ჰო.

– საკურა. შენ? – მიბრუნებს კითხვას.

– კაფკა თამურა.

– კაფკა თამურა, – ბუტბუტებს ჩემს სახელს. – უცხო სახელია. მაგრამ ადვილად დავიმახსოვრებ.

თავს ვუქნევ. სხვა ადამიანად ქცევა ძნელია, მაგრამ მგონია, სწორად მოვიქეცი, სახელის შეცვლა რომ გადავწყვიტე.

ავტობუსიდან ჩადის და ჩემოდანს მიწაზე დგამს, ზედ ჯდება, პატარა ზურგჩანთის ჯიბიდან რვეულს იღებს და რაღაცას ჯღაბნის, მერე ფურცელს ხევს და მიწვდის. ალბათ ტელეფონის ნომერია.

– ჩემი მობილურია. ცოტა ხანს მეგობართან ვრჩები. ვინმესთან შეხვედრის სურვილი თუ გაგიჩნდება, დამირეკე. შეგვიძლია, ერთად წავიხემსოთ ან რამე. არ დაიკარგო, კარგი? შემთხვევითი შეხვედრებიც კი... აუ, როგორ ამბობენ?

– კარმის შედეგიაო.

– ჰო, ჰო. მაგრამ რას ნიშნავს?

– რომ ჩვენს ცხოვრებაში მომხდარ მოვლენებს წინა ცხოვრებები განსაზღვრავს. რომ შემთხვევით არაფერი ხდება.

ისევ ყვითელ ჩემოდანზე ზის, დღიური ხელში უჭირავს და ფიქრობს.

– ეგ რაღაც ფილოსოფიაა, არა? არც ისე სულელური აზრია. რეინკარნაციის, ახალი სამყაროს მსგავსი რამ. მაგრამ, კაფკა, იცი რა, არ გეგონოს, რომ ჩემს ნომერს ყველას ვურიგებ, ხვდები, არა?

– მიხარია.

ფურცლის ნაგლეჯს ქურთუკის ჯიბეში ვიდებ. იქიდან კი საფულეში გადამაქვს.

– რა თქვი, რამდენ ხანს დავრჩები ტაკამაცუშიო?

– ჯერ არ ვიცი, გააჩნია, საქმე როგორ წარიმართება.

დაჟინებით მიცქერის, თავი ოდნავ გადაუხრია. ალბათ ფიქრობს, რა მნიშვნელობა აქვსო. ტაქსიში ჯდება, ხელს მიქნევს და მიდის. ისევ სრულიად მარტო ვრჩები. ჩემს დას საკურა არ ჰქვია, მაგრამ სახელის შეცვლას რა უნდა. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ვიღაცას გაურბიხარ.

ტაკამაცუს ბიზნესსასტუმროში ოთახი მაქვს დაჯავშნილი. ტოკიოში ახალგაზრდა ქრისტიანთა ასოციაციის წევრებისგან შევიტყვე ამ ადგილის შესახებ და მათი დახმარებით ოთახზე ფასდაკლებაც გამიკეთეს. მაგრამ ფასდაკლება მხოლოდ პირველ სამ დღეს მოქმედებს, მერე კი სტანდარტული ტარიფით მომიწევს ნომრის დაქირავება. ფულის დასაზოგად, სადმე პარკში, საძილე ტომარაში უნდა დამეძინა, მაგრამ პოლიციელები რომ

გამოჩნდნენ და დამკითხონ? ამას ყველაზე მეტად უნდა ვერიდო. სასტუმროში ნომერი ამიტომაც დავჯავშნე. სამი დღით მაინც. გამოჩნდება მერე რამე.

სადგურში პირველსავე პატარა სასადილოში შევდივარ და ერთ პორცია უდონს მივირთმევ. ტოკიოში დაბადებულსა და გაზრდილს, უდონი ხშირად არ მიჭამია. მაგრამ ახლა სიკოკუზე, უდონის ცენტრში ვარ და წინ მსოფლიოში საუკეთესო ატრიის სუპი მიდგას. გემრიელია და არომატული, საკმაოდ იაფიც. ისეთია, მეორე ულუფასაც ვუკვეთავ და პირველად, ვინ იცის, რა ხნის შემდეგ, გემრიელად ვნაყრდები. სასადილოდან მოედნისკენ მივდივარ, მერხზე ვჯდები და უღრუბლო ცას ავცქერი. თავისუფალი ვარ – ვახსენებ საკუთარ თავს, – როგორც ცაზე გადაჭიმული ღრუბლები. საკუთარ თავს ვეკუთვნი, სრულიად თავისუფალი ვარ.

გადავწყვიტე, სადამომდე დრო ბიბლიოთეკაში მომეკლა. ბავშვობიდან მიყვარდა ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში ყოფნა, ასე რომ, ტაკამაცუში ჩამოსვლამდე ინფორმაცია შევაგროვე ამ ქალაქის ყველა ბიბლიოთეკის შესახებ. ბიჭს, რომელსაც სახლში წასვლა არ უნდა, დიდი არჩევანი არა აქვს.

კაფეები და კინოთეატრები გამოირიცხულია. ბიბლიოთეკებიდა დარჩა, ისინი სრულყოფილია – შესვლა უფასოა და იქ არც მოზარდის გამოჩენა აეჭვებს ვინმეს. დაჯდები და წაიკითხავ, რასაც გინდა. სკოლის შემდეგ ყოველთვის მივდიოდი საჯარო ბიბლიოთეკაში. დასვენების დღეებშიც კი იქ ვიყავი. ყველაფერს ვეტანებოდი: რომანებს, ბიოგრაფიებს, ისტორიულ ნაწარმოებებს. საბავშვო წიგნები რომ წავიკითხე, მერე უფროსებისთვის განკუთვნილ წიგნებს მივადექი. ბევრს ვერაფერს ვიგებდი და გაჭირვებით ჩავიკითხავდი ხოლმე ბოლომდე. როცა დავიღლებოდი, მოსასმენ ჯიხურში გადავინაცვლებდი და მუსიკას ვუსმენდი. მუსიკაში ცუდად ვერკვეოდი, ამიტომ ყველაფერს ვისმენდი, რაც კი ხელში მომხვდებოდა.

ასე შევიტყვე დიუკ ელინგტონის, «ბითლზის» და «ლედ ზეპელინის» შესახებ. ბიბლიოთეკა ჩემთვის მეორე სახლი იყო. ან იქნებ, ბიბლიოთეკა იყო ნამდვილი სახლი და არა ის ადგილი, სადაც ვცხოვრობდი. ამასობაში იქ მომუშავე ყველა ბიბლიოთეკარი ქალი გავიცანი. სახელითაც კი მიცნობდნენ და მუდამ მესალმებოდნენ. ძალიან მორცხვი ვიყავი, ამიტომ ძლივძლივობით ვპასუხობდი რამეს.

ტაკამაცუში ჩამოსვლამდე შევიტყვე, რომ გარეუბანში მცხოვრებ ერთ შემღებულ კაცს თავისი ბიბლიოთეკა საჯარო ბიბლიოთეკად უქცევია. აქ უამრავი იშვიათი წიგნი ინახება და, როგორც გავიგე, ამ შენობისა და ბაღის ნახვა ნამდვილად ღირს. ერთხელ ჟურნალ «ტაიოში» ამ ადგილის ფოტო ვნახე: გრძელი იაპონური ტიპის სახლში, რომლის სამკითხველო უფრო დარბაზს ჰგავდა, დივნებზე კომფორტულად ჩამომსხდარი მკითხველები წიგნებს ფურცლავდნენ. ერთხანს ვინახავდი ამ ფოტოს და მინდოდა, თუკი საშუალება მომეცემოდა, აუცილებლად მენახა ეს ადგილი. კომურას სახელობის ბიბლიოთეკა ერქვა.

სადგურში ტურისტულ საინფორმაციო ჯიხურში შევიარე და ვიკითხე, იქამდე როგორ უნდა მივიდე-მეთქი. შუახნის სასიამოვნო ქალბატონი ტურისტულ რუკაზე ადგილს მინიშნავს და მიხსნის, რომელ მატარებელს უნდა გავყვე. ოცი წუთის გზააო, მეუბნება. მადლობას ვუხდი და სადგურში გამოკრულ მატარებლების მოძრაობის გრაფიკს ვაკვირდები. მატარებელი ყოველ ოც წუთში ერთხელ მოდის, დრო მაქვს, ამიტომ პატარა მაღაზიაში ლანჩს ვყიდულობ.

მატარებელი ორად ორი პატარა ვაგონისგან შედგება. ლიანდაგები მზარდ სავაჭრო უბანს კვეთს, მერე პატარა სახლებსა და მაღაზიებს, ქარხნებსა და საწყობებს ჩაუვლის გვერდით. მერე პარკსა და საცხოვრებელ სახლს, რომელსაც რეკონსტრუქცია უტარდება. სახით ფანჯარას ვეკრობი და გაფაციცებით ვაკვირდები უცხო ხედებს. ტოკიოს იშვიათად გავცილებივარ, ყველაფერი უცხოდ მეჩვენება. ქალაქიდან გამავალი მატარებელი, რომელშიც ვზივარ, დილის ამ მონაკვეთში თითქმის ცარიელია, პლატფორმის მეორე მხარე კი სავსეა დაწყებითი და საშუალო სკოლის მოსწავლეებით, რომლებსაც საზაფხულო უნიფორმები აცვიათ და სასკოლო ჩანთები მხრებზე აქვთ მოგდებული.

ყველა სკოლისკენ მიიჩქარის. ჩემ გარდა, რა თქმა უნდა. მარტო მე ვმოდრაობ საპირისპირო მიმართულებით, ჩვენ სხვადასხვა ლიანდაგებზე ვართ. უეცრად ჰაერი იშვიათდება და მკერდზე რაღაც მაწვება მძიმედ. სწორად ვიქცევი? ეს ფიქრი უმწეოსა და მოწყვეტილს მხდის. მოსწავლეებს ზურგს ვაქცევ და ვცდილობ, მათზე აღარ ვიფიქრო.

მატარებელი ერთხანს ზღვის გაყოლებაზე მოძრაობს, შემდეგ შორდება. ვკვეთთ პურის მაღალ ყანებს, ვენახებს და მთის ტერასებზე გაშენებულ მანდარინის ბაღებს. მზის შუქზე სარწყავი აუზი ბრწყინავს.

მდელოებზე მაღალი ბალახი ბიბინებს, მდინარე მაცდურად მიიკლავნება. ლიანდაგებთან ახლოს ძალიან დგას და უაზროდ მიშტერებია მატარებელს, რომელიც მიქრის. ეს კადრები მამშვიდებს, ჩემს თავს ვეუბნები, ყველაფერი კარგად იქნება-მეთქი. თავს ცოტათი ძალა უნდა დავატანო.

სადგურიდან გამოვდივარ და რუკის დახმარებით ჩრდილოეთისკენ მივემართები. გზად ძველი სახლები და მაღაზიები მხვდება. სახლები ქუჩის ორსავე მხარეს შემოულობავთ. შავი ღობეები ფიცრისაა, თეთრი – გრანიტის. ქვის ღობეებს მავთულხლართები აქვს შემოვლებული. ამდენი ღობე არსად მინახავს! ქუჩაში არავინ მოძრაობს და სამარისებური სიჩუმეა. კანტიკუნტად მოძრაობენ მანქანები. ზღვის სურნელს ვგრძნობ, ტალღების ხმა კი არ მესმის. თუმცა შორიდან, ალბათ მშენებლობიდან, ელექტროხერხის ზუზუნის მოდის.

გზის გაკვლევაში მიმართულების მაჩვენებლებიც მეხმარება, ალბათ არ დავიკარგები.

კომურას სახელობის ბიბლიოთეკის მდიდრული ჭიშკრის წინ ორი კოხტად გასხლული ქლიავის ხე დგას. ეზოში ბილიკი ფიჭვისა და მაგნოლიების, კერიის და იელის ბუჩქებს შორის მიიკლავნება. მიწაზე ჩამოვარდნილ ერთ ფოთოლსაც ვერ მოჰკრავ თვალს. ხეებს შორის რამდენიმე ლამპიონი დგას. აქ პატარა გუბურაც არის. შესასვლელთან ვყოყმანობ, შევიდე თუ არა. ეს ბიბლიოთეკა არც ერთ სხვას არ ჰგავს. ამხელა გზის გამოვლის შემდეგ კი ვდგავარ და ვყოყმანობ, გადამწყვეტი ნაბიჯი ვერ გადამიდგამს. შესასვლელშივე, იმ მაგიდასთან, სადაც ჩანთებს ამოწმებენ, ბიჭი ზის. ზურგჩანთას, სათვალეს და კეპს ვიხსნი.

– აქ პირველად ხართ? – დაბალი ხმა აქვს, მკვეთრი, მაგრამ წყნარი.

თავს ვუქნევ, მაგრამ ვერაფერს ვპასუხობ. ეს შეკითხვა მაკვირვებს და მახნევს. გრძელი, წვერწამახული ფანქარი უჭირავს. ინტერესით მაკვირდება. ფანქარი ყვითელია, ბოლოში საშლელი აქვს. ბიჭი დაბალია და სწორნაკვეთებიანი. არათუ მიმზიდველი, ლამაზიც კი

ეთქმის. თეთრი პერანგი და ზეთისხილისფერი შარვალი აცვია. როდესაც ქვემოთ იხედება, წამოზრდილი თმა წარბებზე ეყრება. ზოგჯერ ჩამოყრილ თმას ხელით ისწორებს.

სახელოები იდაყვებამდე აუკეცავს, თეთრი მაჯები აქვს. კოხტა სათვალე მის ნაკვეთებს წარმოაჩენს. პატარა პლასტმასის ფირფიტაზე მისი სახელი წერია, ოშიმა. ასეთ ბიბლიოთეკარებს არა ვარ შეჩვეული.

– საცავიდან ნებისმიერი წიგნი შეგიძლია აიღო. თუ რამე საინტერესოს გადააწყდები, შეგიძლია სამკითხველო დარბაზში დაჯდე. იშვიათ წიგნებზე წითელი ბეჭედი დასმული, მათ წასაკითხად ნებართვის ბარათი უნდა შეავსო. აი, აქ, მარჯვნივ, საინფორმაციო ოთახია. იქვეა კატალოგები და კომპიუტერი ინფორმაციის მოსაძიებლად. მკითხველს არა აქვს ამ ბიბლიოთეკიდან წიგნის გატანის უფლება. არც ჟურნალ-გაზეთები გვაქვს. კამერის გამოყენება იკრძალება. ასევე იკრძალება ასლების გადაღება. საჭმელი, შეგიძლია ეზოში მიირთვა. ხუთზე ვკეტავთ, – მერე ფანქარს დებს მაგიდაზე და მეკითხება, – სწავლობ?

– ჰო. – ვპასუხობ ოხვრით.

– ეს ბიბლიოთეკა დანარჩენებისგან განსხვავდება. რამდენიმე ჟანრშია სპეციალიზებული, ძირითადად ძველი ტანკა და ჰაიკუ გვაქვს. სხვა წიგნების განყოფილებაც გვაქვს. მაგრამ აქ მოსასვლელად ამხელა გზას ის ადამიანი არ გამოივლის, ვინც ლიტერატურის ამ ჟანრებს არ იკვლევს. აქ არავინ მოდის სტივენ კინგის ბოლო რომანის წასაკითხად. ზოგჯერ დამამთავრებელი კურსის სტუდენტები გვესტუმრებიან ხოლმე, მაგრამ შენი ასაკის ბავშვები – არა. ჰოდა ტანკას და ჰაიკუს იკვლევ?

– არა.

– ასეც ვიფიქრე.

– მაინც შეიძლება, თქვენი ბიბლიოთეკით ვისარგებლო? – ვეკითხები გაუბედავად. ვცდილობ, ხმა არ გამებზაროს.

– რა თქმა უნდა, – იღიმება და ხელებს მაგიდაზე აწყობს, – ეს ბიბლიოთეკაა და ყველას, ვისაც კითხვა სურს, მივესალმებით. საიდუმლოდ გეტყვი, სულ არ მიტაცებს ტანკა და ჰაიკუ.

– მშვენიერი შენობაა.

თავი დამიქნია.

– კომურას ოჯახი, ედოს ეპოქიდან მოყოლებული, საკვს მსხვილი მწარმოებელია. ოჯახის წინა უფროსი ბიბლიოფილი იყო და ცნობილია, რომ მთელი იაპონია მოიარა წიგნების შესაგროვებლად. მამამისიც ტანკას თხზავდა და უამრავი მწერალი, რომელიც სიკოკუზე ჩამოდიოდა, ამ სახლში რჩებოდა სტუმრად. აი, თუნდაც ვაკაიამა ბოკასაი, ან ტაკუბოკუ ისიკავა, და ნაოია შიგაც. როგორც ჩანს, აქაურობით ძალიან მოხიბლული იყვნენ, რადგან დიდხანს რჩებოდნენ. ოჯახი ხელოვნების სიყვარულის გამო დიდ ხარჯებს არ ერიდებოდა. როგორც წესი, ასეთ ოჯახებში აღმოჩნდება ხოლმე თითო ისეთი მემკვიდრეც, მთელ ქონებას

ქარს რომ გაატანს, მაგრამ, საბედნიეროდ, კომპურას ოჯახში ასე არ მოხდა. გატაცება გატაცებად რჩებოდა, თავის ძირითად საქმეს კი კვლავაც გულმოდგინედ ეკიდებოდნენ.

– მდიდრები ყოფილან...

– ძალიან! – ტუჩები ოდნავ შესამჩნევად დაეკლაკნა, – თუმცა ისე მდიდრებიც არა, როგორც ომამდე იყვნენ. მაგრამ დღესაც შეუძლიათ, თავს უფლება მისცენ და ეს ბიბლიოთეკა შეინახონ. რა თქმა უნდა, ხარჯების შესამცირებლად ფონდიც შექმნეს, თუმცა ეს სხვა ამბავია. თუ შენობა მართლა გაინტერესებს, შეგიძლია ორ საათზე ტურს შეუერთდე, კვირაში მხოლოდ ერთხელ, სამშაბათობით ტარდება. მეორე სართულზე ფერწერული ტილოების უნიკალური კოლექციაა. ეს შენობა არქიტექტურულადაც განსხვავებული ძეგლია. დარწმუნებული ვარ, მოგეწონება.

– გმადლობ.

ილიმება. ფანქარს იღებს და საშლელით მაგიდაზე აკაკუნებს, მგონი, ჩემს გამხნევებას ცდილობს.

– შენ ატარებ ამ ტურს?

ილიმება.

– არა, სამწუხაროდ, მე მხოლოდ უმცროსი ასისტენტი ვარ. ჩემი უფროსი, ქალბატონი საეკია აქაურობის მმართველი. კომურების ახლობელია. ტურს ის უძღვება. მე მგონი, მოგეწონება. საკვირველი ქალია.

მაღალჭერიან წიგნსაცავში შევდივარ და თაროებს შორის დავხეტივალ. საინტერესო წიგნს ვეძებ. ჭერი ძვირფასი ხის დირეებითაა შემკული, ღია ფანჯრიდან კი ადრეული ზაფხულის მზის სინათლე იღვრება. ბაღიდან ჩიტების ჭიკჭიკი ისმის. თაროებზე, როგორც ომიამ თქვა, ძირითადად იაპონური პოეტური კრებულებია. ტანკა და ჰაიკუ, ესეები პოეზიაზე, პოეტების ბიოგრაფიები. უამრავი წიგნია იაპონიის ისტორიის შესახებ. უკანა თაროებზე ზოგად-ჰუმანიტარული წიგნებია – იაპონური ლიტერატურის კოლექცია, მსოფლიო ლიტერატურა და სხვა წიგნები – კლასიკა, ფილოსოფია, დრამა, ხელოვნების ისტორია, სოციოლოგია, ისტორია, ბიოგრაფია და გეოგრაფია.

წიგნებს სიძველის სუნი აქვს, ცოდნისა და განცდების რაღაც განსაკუთრებული სუნი. ვყნოსავ და, ვიდრე თაროზე დავაბრუნებდე, რამდენიმე გვერდს ვკითხულობ. არჩევანს რამდენიმე ტომად გამოცემულ, მშვენიერყდიან, ბარტონის თარგმნილ ათას ერთი ღამეზე ვაჩერებ. პირველ ტომს ვიღებ და სამკითხველო დარბაზისკენ მივდივარ. ვაპირებდი ამ წიგნის წაკითხვას.

ბიბლიოთეკა რამდენიმე წუთის წინ გაიღო, ამიტომ ამ გემოვნებით მოწყობილ სამკითხველო დარბაზში მარტო ვარ. ჟურნალში ნანახ ფოტოს ჰგავს – კომფორტულია და ფართო, მაღალჭერიანი. დროდადრო ღია სარკმლიდან სიო უბერავს, თეთრი ფარდის შრიალი ზღვას მაგონებს. სავარძელიც მოხერხებულია. კუთხეში ძველებური როიალი დგას. თავს ისე ვგრძნობ, თითქოს მეგობარს ვესტუმრე.

უცრად ვხვდები – ეს სწორედ ის ადგილია, რომელსაც მუდამ ვეძებდი – პატარა თავშესაფარი, რომელიც საიდუმლო, ჯადოსნურ ადგილად წარმომედგინა და მის რეალურად არსებობას ვერ დავიჯერებდი. თვალებს ვხუჭავ, ჰაერს ღრმად ვისუნთქავ და გაკვირვების მსუბუქ ღრუბელში ვეხვევი. სავარძლის რძისფერ ზედაპირს ხელს ვადებ, ვდგები, როიალთან მივდივარ, მოყვითალო კლავიშებს ათივე თითით ვეხები. ვაზისორნამენტებიან გახუნებულ ხალიჩაზე დავაბიჯებ. სარკმელთან მივდივარ და მის ძველებურ სახელურს ვსინჯავ, ბრას ვრთავ და ვთიშავ. კედლებზე ჩამოკიდებულ ფერწერულ ტილოებს ვათვალიერებ. სავარძელს ვუბრუნდები და კითხვას განვაგრძობ. დროებით ათას ერთი ღამის ზღაპრები მიტაცებს.

შუადღეზე ლანჩის კოლოფითა და მინერალური წყლის ბოთლით იმ ვერანდაზე გავდივარ, ბაღში რომ გადის. იქვე ვჯდები წასახემსებლად. მაღლა ჩიტები დაფრინავენ, ხიდან ხეზე დახტიან, ან გუბურისკენ ეშვებიან, რომ წყალს დაეწაფონ ან ნისკარტი გაისველონ. უცხო ჩიტებსაც ვხედავ. საიდანღაც უზარმაზარი წაბლისფერი კატა ჩნდება. ჩიტები მიწას სწყდებიან და მიფრინავენ, კატა კი ყურადღებასაც არ აქცევს, მარტო ის უნდა, რომ მზეს მიეფიცხოს.

– დღეს გაკვეთილები არ მაქვს? – მეკითხება ოშიმა, როდესაც ვერანდიდან უკან, სამკითხველო დარბაზისკენ მივდივარ.

– მაქვს, – სიტყვებს ფრთხილად ვარჩევ, – მაგრამ დღეს სკოლის გაცდენა გადავწყვიტე.

– გადაწყვიტე, არა?

– ჰო.

– ესე იგი, ასე გადაწყვიტე. – ოშიმა ინტერესით მიყურებს.

– გაკვეთილების საწინააღმდეგო რა მაქვს, მაგრამ გადავწყვიტე გამეცდინა.

– ასე უბრალოდ შეწყვიტე სკოლაში სიარული?

ყოყმანით ვუდასტურებ. წარმოდგენა არა მაქვს, რა ვუპასუხო.

– არისტოფანეს მიხედვით, პლატონის «ნადიმში» ნათქვამია, რომ მითების ძველ ეპოქაში არსებობდა ადამიანების სამი ტიპი. გსმენია ასეთი რამე?

– არა.

– იმ დროს მარტო მდედრები და მამრები არ იყვნენ, – განაგრძო ოშიმამ, – არსებობდა ადამიანების სამი ტიპი: მამრი-მამრი, მამრი-მდედრი, მდედრი-მდედრი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყოველი პიროვნება ორი კომპონენტისგან შედგებოდა. და ღმერთმა ადამიანი გაყო. მას შემდეგ დაიყო კაცობრიობა ქალებად და კაცებად. და ადამიანი მთელი ცხოვრება დაკარგულ ნახევარს ეძებს.

– ღმერთი ასე რატომ მოიქცა?

– რატომ გახლიჩა ადამიანები? რა გითხრა, ღმერთი შეუცნობელია. ხომ გსმენია რისხვისა და იდეალიზმის შესახებ? სასჯელი იქნებოდა. როგორც ბიბლიაშია. ადამი, ევა, ედემის ბაღიდან განდევნა და სხვა.

– პირველცოდვა...

– ჰო, პირველცოდვა, – ოშიმა ფანქარს შუა და საჩვენებელი თითებით ათამაშებს, – მინდოდა მეთქვა, რომ ადამიანისთვის რთულია მარტოობა.

სამკითხველო დარბაზში კითხვას ვაგრძელებ, მაგრამ ფიქრები გამირბის. მდედრი-მდედრი, მამრი-მდედრი, მამრი-მამრი?!

ორ საათზე წიგნს ვხურავ, სავარძლიდან ვდგები, რომ შენობის დასათვალიერებელ ტურს შევუერთდე. ქალბატონი საეკი გამხდარი ქალია, ორმოცდახუთის უნდა იყოს, საშუალოზე მაღალია, ცისფერი კაბა აცვია, სახელოები იდაყვებს უფარავს, კაბაზე რმისფერი ჟაკეტი მოუცვამს. თვალწარმტაცი ქალია. გრძელი თმა უკან დაუდევრად აქვს შეკრული, დახვეწილი ნაკვთები აქვს და ინტელექტუალური იერი, მშვენიერი თვალები, მისი მკრთალი ღიმილი კი ერთი ბეწო მზიან ადგილს მაგონებს, სინათლის ლაქას, რომელსაც სადღაც მოშორებით თუ გადააწყდები. ტოკიოში ჩემი სახლის ეზოს ერთი ასეთი კუთხე ჰქონდა, ბავშვობიდან მიყვარდა ეს ნათელი ლაქა.

ეს ქალი ჩემზე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს, დარდსა და ნოსტალგიას მგვრის. ნეტა დედაჩემი ყოფილიყო. ყოველთვის, როდესაც საშუალო ასაკის მომხიბვლელ ქალს გადავაწყდები, ეს სურვილი მიპყრობს ხოლმე. ის, რომ ქალბატონი საეკი შეიძლება დედაჩემი იყოს, თითქმის შეუძლებელია. მაგრამ, რადგან არც დედაჩემის სახელი ვიცი და არც წარმოდგენა მაქვს, როგორ გამოიყურება, შანსი მაინც არსებობს, არა?! ამ შესაძლებლობის უარყოფა არ შეიძლება.

შენობის დასათვალიერებლად მხოლოდ საშუალო ასაკის წყვილი გვიერთდება. ქალი დაბალია და მსუქანი, სათვალის მინები კოკა-კოლის ბოთლის შუშასავით სქელი აქვს. კაცი ძალიან გამხდარია, ისეთი ხშირი თმა აქვს, დასავარცხნად ალბათ მავთულისკბილებიანი ჯაგრისი სჭირდება. მისი წვრილი თვალები და ფართო შუბლი მაგონებს სამხრეთის ერთ კუნძულზე მდგარ რომელიღაც ძეგლს, რომელსაც მზერა ჰორიზონტისთვის მიუშტერებია. მხოლოდ ქალი ლაპარაკობს. ქმარი, იმის შესახსენებლად, რომ ჯერ კიდევ ცოცხალია, დროდადრო რამე ერთმარცვლიან სიტყვას თუ ამოიბურტყუნებს. თავსაც აქნევს, ნიშნად იმისა, რომ მონუსხულია ნანახითა თუ გაგონილით, ზოგჯერ გაუგებრად ბუტბუტებს. ორივე ისეა ჩაცმული, თითქოს ბიბლიოთეკაში კი არა, სალაშქროდ იყვნენ წამოსული. ორივეს უამრავჯიბიანი საწვიმარი და გამძლე, თასმებიანი ფეხსაცმელი აცვია, თავზე კი პანამა ახურავს. ვინ იცის, შეიძლება ყოველთვის ასე გამოწყობილი დადიან, რას გაიგებ. კარგი ტიპები ჩანან. არა, სულაც არ მინდა, ჩემი მშობლები იყვნენ. მაგრამ კარგია, რომ შემოგვიერთდნენ.

ქალბატონი საეკი გვაცნობს ბიბლიოთეკის ისტორიას, რომელიც უკვე ოშიმასგან მოვისმინე. როგორ გახდა საჯარო წიგნები და ფერწერული ტილოები, რომლებსაც ოჯახი აგროვებდა,

როგორ დააარსეს ბიბლიოთეკა რეგიონის კულტურული განვითარებისთვის. კომპიუტერების ქონების ნაწილით შეიქმნა ფონდი, რომელიც ამჟამად მართავს ბიბლიოთეკას და ზოგჯერ ლექციებს, კამერული მუსიკის კონცერტებს და სხვა ამგვარ ღონისძიებებს აფინანსებს. თვითონ შენობა მეიჯის ადრეულ პერიოდში აუცილებელი და ორმაგი დანიშნულება ჰქონია, ოჯახის ბიბლიოთეკაც ყოფილა და სასტუმროც. ტაისოს პერიოდში შენობა სრულიად განუახლებიათ, ორ სართულად გადაუკეთებიათ და ჩინებული სასტუმრო ოთახები დაუმატებიათ მწერლებისა და მხატვრებისთვის. ტაისოს პერიოდიდან შოუვას პერიოდამდე კომპიუტერის სახლში ბევრი ცნობილი შემოქმედი ყოფილა, რომლებიც მასპინძლებს მადლობის ნიშნად სახსოვრად უტოვებდნენ პოემებს, ჩანაწერებსა და ნახატებს.

– მეორე სართულზე არის გალერეა, სადაც ამ გადარჩეული საჩუქრების დათვალიერება შეგიძლიათ. მეორე მსოფლიო ომამდე კულტურის განვითარებას კომპიუტერის ოჯახივით მდიდარი ოჯახები უფრო უწყობდნენ ხელს, ვიდრე ადგილობრივი მთავრობა. ისინი ხელოვნებას მფარველობდნენ. კავას პრეფექტურაში ტანკას და ჰაიკუს მთხზველი ბევრი პოეტი ცხოვრობდა, რასაც ნაწილობრივ კომპიუტერს ოჯახის მხარდაჭერა განაპირობებდა. ამ შესანიშნავი არტისტული წრეების შესახებ არაერთი წიგნი, ესე თუ მოგონება დაუწერიათ და გამოუციათ. შეგიძლიათ, ყოველ მათგანს სამკითხველო დარბაზში გაეცნოთ. იმედი მაქვს, მოგეცემათ მათი გაცნობის შესაძლებლობა. კომპიუტერის ოჯახის წევრები ხელოვნებაში კარგად ერკვეოდნენ. ისინი ხელოვნების კარგი მცოდნეები და მფარველები იყვნენ, მხარში ედგნენ ყველაზე ნიჭიერ და გამორჩეულ შემოქმედებს. მაგრამ, როგორც იცით, ხელოვნებაში ზუსტი თვალის არავის არა აქვს. სამწუხაროდ, რამდენიმე განსაკუთრებულმა შემოქმედმა ვერ მოიპოვა მათი კეთილგანწყობა. მათ შორის ერთ-ერთი იყო ჰაიკუს პოეტი ტანედა სანტოკა. სტუმართა ჩანაწერების წიგნის მიხედვით, ის ბევრჯერ ყოფილა ამ სახლის სტუმარი და მუდამ ტოვებდა ლექსებსა და ნახატებს. ოჯახის უფროსი კი მას მათხოვარსა და ყეყესს უწოდებდა, მასთან ურთიერთობა არ სურდა და მისი ყველა ნამუშევარი გაანადგურა.

– რამხელა დანაკარგია, – ამბობს ოსაკელი ქალი. მართლაც დამწუხრებული ჩანს, – დღეს ის ძვირად ფასობს.

– მართალი ხართ, – თბილად პასუხობს ქალბატონი საეკი, – იმ დროს სანტოკა უცნობი იყო. ამას აღარაფერი ეშველება. ბევრი რამე, მხოლოდ დრო რომ გავა, მერე ხდება ხოლმე ცხადი.

– მართალი ბრძანდებით. – საუბარში ერთვება ქმარიც.

ქალბატონი საეკი პირველ სართულზე გვიჩვენებს წიგნსაცავს, სამკითხველო დარბაზსა და იშვიათი წიგნების კოლექციას.

– ოჯახის უფროსმა გადაწყვიტა, უარი ეთქვა კიოტოელ არქიტექტორებს შორის იმ დროს პოპულარულ მარტივ და ელეგანტურ სტილზე და გადაწყვიტა, ბიბლიოთეკისთვის საცხოვრებელი სახლის იერი მიეცა. შენობის სტრუქტურა მკაცრია, ავეჯი და ტილოს ჩარჩოები კი მდიდრული და დახვეწილი. ჩარჩოებზე ამოკვეთილი ორნამენტები დახვეწილია. ამ კონსტრუქციაზე სიკოკუს საუკეთესო ოსტატები მუშაობდნენ.

ჩვენი პატარა ჯგუფი მეორე სართულისკენ დაიდრა. კიბის თავზე თაღოვანი ჭერია. მუხის მოაჯირი ისე პრიალებს, მეშინია, შეხებით არ დავსვარო. ვიტრაჟზე ირემს კისერი წაუგრძელებია ვაზის ყლორტების მოსაწიწკნად. მეორე სართულზე ორი სასტუმრო ოთახია და ერთი დიდი დარბაზი, რომელშიც ძველად წვეულებების დროს ალბათ ჭილოფს ფენდნენ. დღეს იატაკი ხისაა, კედლები კი დაფარულია ჩარჩოში ჩასმული ხელნაწერებით, გრაგნილებით, იაპონელი მხატვრების ტილოებით. ცენტრში დგას შუშის სტენდი, რომელზეც გამოფენილია ცნობილი ადამიანების მიერ დატოვებული საჩუქრები. ერთი დარბაზი იაპონური სტილისაა, მეორე – დასავლური. დასავლური სტილის დარბაზში დგას მაგიდა და მბრუნავი სავარძელი, რომელიც ისე გამოიყურება, თითქოს დღემდე ვიღაც იყენებდეს. სარკმლის იქით ხეებია ჩამწკრივებული და მათ შორის ბუნდოვნად მოჩანს ჰორიზონტი.

ოსაკელი წყვილი დარბაზში დაბორიანებს და ყოველ ნივთს აკვირდება, განმარტებებს კითხულობს. როდესაც ქალი კომენტარს აკეთებს, ქმარი ზუზუნით ეთანხმება. იღბლიანი წყვილია, ყველაფერზე თანხმდებიან. გამოფენილი ნივთები არ მაინტერესებს და ამიტომ შენობის კონსტრუქციას ვიკვლევ. დასავლური სტილის დარბაზში ხეტილის დროს ქალბატონი საეკი მიახლოვდება.

– შეგიძლია ამ სავარძელზე ჩამოჯდე. ნაოია შიგა და ტანიძაკი – ორივე აქ იჯდა ხოლმე. არა ამ სავარძელზე, რა თქმა უნდა.

ვჯდები და ხელებს სავარძლის სახელურებზე ვაწყობ.

– როგორ მოგწონს? გეწვია მუზა?

ოდნავ ვწითლდები. თავს ვაქნევ უარის ნიშნად. ქალბატონი საეკი იცინის და ოსაკელი წყვილისკენ მიდის. აქედან ვუცქერი. მისი ყოველი მოძრაობა ბუნებრივია და ელეგანტური. არ შემიძლია ამის ზუსტად ახსნა, მაგრამ მისი სხეული რაღაცაზე მიმანიშნებს, რაღაც ისეთზე, რაც მის სახეს არ შეუძლია გამიმჟღავნოს. მაგრამ რაზე? ვერც კი წარმომიდგენია. კიდევ ბევრ რამეს ვერ გაიგებ-მეთქი, ვეუბნები საკუთარ თავს.

დარბაზს კიდევ ერთხელ მოვავლე თვალი. კედელზე ზეთის ტილო კიდია, რომელზეც ალბათ რომელიღაც ახლო სანაპიროა გამოსახული. ძველებურ ყაიდაზეა შესრულებული, მაგრამ ფერები ხასხასაა და ცოცხალი. საწერ მაგიდაზე დიდი საფერფლე დგას და მაგიდის ლამპა, რომელსაც მწვანე კანტი აქვს შემოვლებული. ჩამრთველს ვაწვები და ლამპა ირთვება. მოპირდაპირე კედელზე შავი ძველებური საათი კიდია. ზუსტ დროს აჩვენებს. ხის იატაკი აქა-იქ გაცვეთილია და დალაქავებული, სიარულის დროს ჭრიალებს კიდევ. ტურის დასრულების შემდეგ ოსაკელი წყვილი მადლობას უხდის ქალბატონ საეკის და უჩინარდება. კანსაის რეგიონის ტანკას წრის წევრები ყოფილან. ნეტა როგორ ლექსებს თხზავენ? განსაკუთრებით ქმრის პოეზია მაინტერესებს. თავის ქნევა და ბურტყუნი რაღაც არაპოეტურია. იქნებ ფარული ნიჭი აქვს? სამკითხველო დარბაზში ვბრუნდები და კითხვას განვაგრძობ. ნაშუადღევს რამდენიმე სხვა მკითხველიც გვემატება. ბევრს ცხვირზე ისეთი სათვალე დაუკოსებია, როგორსაც მოხუცები ატარებენ. მათი ერთმანეთისგან გარჩევა შეუძლებელია. დრო ნელა გადის. არავინ ლაპარაკობს, ყველა კითხვაშია გართული. ერთი ტიპი მაგიდასთან ზის და რაღაცებს იწერს, სხვები კი სხედან და არც ირხევიან. მეც ასე

ვზივარ. ხუთი საათისთვის წიგნს ვხურავ და თაროზე ვაბრუნებ. გასვლისას ვკითხულობ, ხვალ რომელ საათზე იღება ბიბლიოთეკა.

– თერთმეტზე, – მპასუხობს ოშიმა, – ხვალაც აპირებ მოსვლას?

– თუ პრობლემა არ იქნება.

ოშიმა თვალებს ჭუტავს და ისე მიყურებს.

– რა თქმა უნდა, არანაირი პრობლემა არ იქნება, ბიბლიოთეკა მკითხველებისთვის არის. გამახარებ, ისევ თუ მოხვალ. რაღაც მინდა გკითხო, ოღონდ ნუ გეწყინება. ყოველთვის ამხელა ზურგჩანთას დაატარებ? მძიმე ჩანს. ნეტა რა გიდევს შიგ? ოქროს ზოდები ხომ არა?

ვწითლდები.

– ნუ დარდობ, აღარ ჩაგეკითხები, – ოშიმა ფანქრის საშლელიან მხარეს მარჯვენა საფეთქელზე იბჯენს, – აბა, ხვალამდე.

– დროებით!

დამშვიდობების ნიშნად, ხელის აწევის ნაცვლად, ფანქარს სწევს მალლა.

ტაკამაცუს სადგურში მატარებლითვე ვბრუნდები. იაფფასიან სასადილოში შევდივარ წასახემსებლად, ქათმის კატლეტსა და სალათას ვუკვეთავ, ბრინჯთან და თბილ რძესთან ერთად.

პატარა სავაჭრო პუნქტში ბოთლით მინერალურ წყალს და ბრინჯის ორ ბურთულას ვყიდულობ, ღამით რომ მომშივდეს, რაღაც ხომ უნდა ვჭამო? მერე სასტუმროში მივეშურები. არც ძალიან ჩქარა ვმოდრაობ, არც ძალიან ნელა, ზუსტად ისე, როგორც სხვები, ვინმე რომ არ დაეჭვდეს.

სასტუმრო საკმაოდ დიდია, ტიპური, მეორე კლასის ბიზნესსასტუმროა. სარეგისტრაციო ანკეტას ვავსებ, კაფკას ვირქმევ, ასაკსა და ნომერს ვუთითებ და ერთი ღამის საფასურს ვიხდი. ოღონაც ვღელავ, მაგრამ მომსახურე პერსონალი ვერაფერს მამჩნევს. არავინ მიყვირის, გაეთრე აქედან, 15 წლის ღლაპოო! ყველაფერი მარტივად მთავრდება. ლიფტი ავის მომასწავებელი ჟღარუნით ადის მეექვსე სართულზე, ოთახი ერთი ციდაა. მოუხერხებელ საწოლზე ქვასავით მაგარი ბალიში დევს, დგას მერხისმაგვარი რაღაც, პაწაწინა ტელევიზორი და მზისგან გახუნებული ფარდები კიდეა. აბაზანა საკუჭნაოსავით მოცუცქნულია, არც შამპუნებისა და კონდიციონერის ბოთლებია შიგ. სარკმლიდან მოპირდაპირე კედელი მოჩანს. საწუწუნო არაფერია, თავზე ჭერი მაქვს და ონკანში ცხელი წყალი მოედინება. ზურგჩანთას იატაკზე ვაგდებ, სკამზე ვჯდები და ვცდილობ, ოთახს შევეჩვიო.

თავისუფალი ვარ. თვალებს ვხუჭავ და ვფიქრობ, რამდენად თავისუფალი ვარ, მაგრამ ეს რას ნიშნავს, ვერ მივმხვდარვარ. ერთადერთი რამე ვიცი – მარტო ვარ. მარტოდმარტო ვარ უცხო გარემოში, იმ მოგზაურივით, კომპასი და რუკა რომ დაუკარგავს. ეს არის თავისუფლება? ვერაფერს ვხვდები და ამაზე ფიქრს ვწყვეტ.

ცხელ აბაზანას ვიღებ და კბილებს გულმოდგინედ ვიხეხავ. საწოლში ვწვეები და ვკითხულობ. როცა წიგნი მბეზრდება, ტელევიზორში ახალ ამბებს ვუყურებ. იმასთან შედარებით, რაც დღის განმავლობაში თავს გადამხდა, ახალი ამბები მოსაწყენად და ბანალურად მეჩვენება. ტელევიზორს ვთიშავ და საბანში ვეხვევი. ათი საათია, მაგრამ ვერ ვიძინებ. ახალი დღე – სრულიად ახალ გარემოში. და ჩემი მეთხუთმეტე დაბადების დღე, რომლის უმეტესი ნაწილი იმ სასიამოვნო, ორიგინალურ ბიბლიოთეკაში გავატარე. ახალი ადამიანები გავიცანი: საკურა, ოშიმა, ქალბატონი საეკი. მადლობა ღმერთს, არავინ ისეთი, ვისიც უნდა მეშინოდეს. ვითომ კარგის ნიშანია? ტოკიოს სახლზე ვფიქრობ და მამაჩემზე. რა იფიქრა, როდესაც ჩემი გაუჩინარება შეიტყო? შვება იგრძნო? დაიბნა? ან იქნებ არაფერი უგრძვნია? შეიძლება, ვერც კი შენიშნა ჩემი არყოფნა.

უეცრად მახსენდება მამაჩემის მობილური, ზურგჩანთიდან ვიღებ, ვრთავ და სახლის ნომერს ვკრეფ. 450 მილის დაშორებით ზარი გადის. ზარის ხმა იმდენად მკაფიოა, თითქოს გვერდით ოთახში ვრეკავდე. ამით გაოცებული, ორი ზარის გასვლის შემდეგ ვთიშავ. გული სწრაფად მიცემს. მობილური ისევ მუშაობს, ესე იგი, მამაჩემმა არ გაათიშვინა. იქნებ ვერც კი შენიშნა საწერი მაგიდიდან მობილურის გაუჩინარება? ტელეფონს ისევ ზურგჩანთის ჯიბეში ვდებ, შუქს ვაქრობ და თვალებს ვხუჭავ.

არაფერი მესიზმრება.

რა ხანია, არაფერი დამსიზმრებია.

6

– გამარჯობა!

მოხუცი კაცი იყო.

უზარმაზარმა, ხნიერმა შავმა ხვადმა კატამ თავი წამით ასწია და უღიმღამოდ, დაბალი ხმით დაუბრუნა კაცს სალამი.

– კარგი ამინდებია.

– ჰოო... – ცალკებად უპასუხა კატამ.

– ღრუბელიც კი არ ჩანს.

– ამჟამად.

– გაფუჭდება ამინდი?

– სადამომდე მოიღრუბლება. – შავმა კატამ ფრთხილად გაშალა ფეხი, თვალები მოჭუტა და მოხუცს მიაშტერდა.

კაცი ღიმილით უყურებდა. კატა ჯერ ყოყმანობდა, მერე კი საუბარი წამოიწყო.

– ესე იგი, შენ ლაპარაკი შეგიძლია.

– ასეა, – მორცხვად უპასუხა კაცმა. პატივისცემის ნიშნად გაცრეცილი ბამბის ქუდი მოიხადა, – ყველა კატასთან საუბარი არ შემიძლია, მარტო ზოგიერთთან გამომდის. როგორც ახლა.

– საინტერესოა. – მოკლედ თქვა კატამ.

– წინააღმდეგი იქნებით, აქ რომ ჩამოვჯდე? ნაკატა სიარულმა დაღალა.

შავი კატა უხალისოდ წამოდგა, უღვაშების ცმაცუნით და ისე საშინლად დაამთქნარა, ცოტაც და ყბას ამოიგდებდა.

– წინააღმდეგი არა ვარ, უფრო სწორად, ეს ჩემი საქმე არ არის. შეგიძლია, სადაც გინდა, იქ ჩამოვჯდე. ამის გამო არავინ გისაყვედურებს.

– გმადლობთ, – თქვა კაცმა და კატის გვერდით ჩამოვჯდა, – დილის ექვსი საათიდან ფეხზე ვარ.

– ე.ი. შენ ბატონი ნაკატა ხარ, არა?

– დიახ, ნაკატა მქვია. თქვენი სახელი?

– სახელი დამავიწყდა, – თქვა კატამ, – მერქვა, ნამდვილად ვიცი, მერქვა, მაგრამ დადგა დრო, როდესაც სახელი აღარ მჭირდებოდა და თავიდან ამომივარდა.

– მესმის. იმას, რაც აღარ გჭირდება, ადვილად ივიწყებ. ნაკატაც ასეა, – თქვა კაცმა თავის ფხანით, – ანუ, ბატონო კატა, გინდათ თქვათ, რომ არც ერთ ახლომახლო მცხოვრებ ოჯახს არ ეკუთვნით?

– ოდესღაც ვეკუთვნოდი. ახლა აღარ. ხან ერთი ოჯახი მაჭმევს, ხან მეორე, მაგრამ არც ერთის არ ვარ.

ნაკატამ თავი დაუქნია და ერთხანს ჩუმად იყო.

– წინააღმდეგი იქნებით, ოცუკა რომ დაგარქვათ?

– ოცუკა? – გაკვირვებით შეხედა კატამ, – რას ამბობ? ოცუკა რატომ უნდა მერქვას?

– ეს სახელი მომაგონდა. ნაკატას უბრალოდ გაახსენდა. საქმეს ბევრად გამიადვილებთ, სახელი თუ გექნებათ. სახელი თუ გექნებათ, ჩემსავით სულელიც შეძლებს, აზრები უკეთ დაალაგოს. მაგალითად, შევძლებ ვთქვა, რომ ამ თვის ამა და ამ დღეს დაველაპარაკე შავ კატა ოცუკას, ცარიელ მიწის ნაკვეთზე.

– საინტერესოა, – თქვა კატამ, – მაგრამ ყველაფერი ვერ გავიგე. კატებს სახელების დამახსოვრება არ გვჭირდება. ჩვენ სუნით ვიმახსოვრებთ, სილუეტით და სხვა ბუნებრივი ნიშნებით.

– ნაკატას ყველაფერი ესმის, მაგრამ ადამიანები სხვაგვარად არიან მოწყობილი, ბატონო ოცუკა. ჩვენ თარიღები და სახელები გვჭირდება ყველაფრის დასამახსოვრებლად.

– ჩემთვის რთული იქნებოდა. – ამოიხვნეშა კატამ.

– მართალი ხართ, რამდენი რამ უნდა გვახსოვდეს, ეს კი რთულია. ნაკატამ უნდა დაიმახსოვროს დამქირავებლის სახელი, ავტობუსის ნომრები. მაგრამ შეიძლება, ასე მოგმართოთ? არ მოგწონთ?

– არ მსიამოვნებს, ასე რომ მომმართავ. ძალიანაც არ ვწუხდები, მაგრამ, ხომ გესმის. შეგიძლია, ასე მომმართო, არ ვარ წინააღმდეგი. თუ გინდა, ოცუკა მერქვას, ნება შენია. თუმცა, მინდა გითხრა, ყურს ცუდად ხვდება.

– ნაკატას უხარია, რომ ასეა, გმადლობთ, ბატონო ოცუკა.

– უნდა აღვნიშნო, რომ ადამიანის კვალობაზე უცნაურად ლაპარაკობ.

– ყველა ასე მეუბნება. მაგრამ ნაკატას არ შეუძლია, სხვანაირად ილაპარაკოს. ვცდილობ, გამართულად ვიმეტყველო, მაგრამ არაფერი გამომდის. ნაკატა არ არის მაინცდამაინც ჭკვიანი. მუდამ ასეთი არ ვყოფილვარ, ბავშვობაში რაღაც შემემთხვა და მას შემდეგ გამოვშტერდი. ნაკატას წერა არ შეუძლია. არც წიგნის კითხვა, არც გაზეთის.

– არ ვტრიახობ, მაგრამ ვერც მე ვწერ, – უპასუხა კატამ თათების ლოკვით, – საშუალო გონების პატრონი ვარ, მაგრამ ეს არ მაწუხებს.

– კატების სამყაროში ასეც იქნება, – უპასუხა ნაკატამ, – მაგრამ ადამიანების სამყაროში, თუ ვერ წერ ან კითხულობ, სულელად გთვლიან. ნაკატას მამა – ის დიდი ხნის წინ გარდაიცვალა – უნივერსიტეტის ცნობილი პროფესორი იყო. პროფესორი იყო სახვითი ხელის ვნების თეორეტიკოსი, თუ რაღაც ამგვარი. ორი უმცროსი ძმა მყავს, ისინი ძალიან ჭკვიანები არიან. ერთი კომპანიაში მუშაობს და დეპარტამენტის უფროსია. მეორე ძმა მუშაობს რაღაც ორგანიზაციაში, რომელსაც ვაჭრობის ინდუსტრის ტრიის მინის ტრი ჰქვია. ისინი უზარმაზარ სახლებში ცხოვრობენ და გველთევზას მიირთმევენ. მართო ნაკატაა სულელი.

– მაგრამ შენ ხომ კატებთან საუბარი შეგიძლია.

– მართალია. – დაეთანხმა ნაკატა.

– ამიტომ სულელი სულაც არ ხარ.

– ჰო... არა... იმის თქმა მინდა, რომ ნაკატამ არაფერი იცის ამის შესახებ, ბავშვობიდან მას ეუბნებოდნენ, რომ სულელია, ამიტომ ასეც იქნება. მე ვერ ვკითხულობ სადგურების სახელწოდებებს და მე არ შემიძლია, ვიყიდო ბილეთი და ვიმგზავრო მატარებლით. მაგრამ თუ ინვალიდის ბარათს ვაჩვენებ, ქალაქის ავტობუსით მგზავრობის ნებას დამრთავენ.

– საინტერესოა. – თქვა კატამ, რომელსაც სრულებით არ ეტყობოდა რამე დაინტერესება.

– თუ ვერ კითხულობ ან ვერ წერ, სამსახურს ვერ იშოვი.

– აბა, როგორ ცხოვრობ?

– სუბსიდის იას ვიღებ.

– სუბსიდის იას?

– გუბერნატორი მაძლევს ფულს. ნოკატაში ვცხოვრობ დიდი შენობის პატარა ოთახში, იმ ადგილს ჰქვია შოეისო. დღეში სამჯერ ვიკვებები.

– მშვენიერი ცხოვრება გქონია.

– მართალი ხართ. მშვენიერი ცხოვრებაა. ნაკატა ქარისა და წვიმისგან დაცულია და რაც მჭირდება, ყველაფერი მაქვს. ზოგჯერ კი, როგორც ახლა, ადამიანები მთხოვენ, დაკარგული კატა მოვაძებნინო. როცა ვპოულობ, საჩუქარს მაძლევენ. მაგრამ ამას გუბერნატორს ვერ ვეტყვი. ამიტომ არავის უთხრა. თუ გაიგებენ, რამე დამატებითი შემოსავალი აქვსო, სუბსიდის იას შემიწყვეტენ. ბევრს არასდროს მიხდინან, მაგრამ ზოგჯერ ვახერხებ, გველთევზა მივირთვა. ნაკატას უყვარს გველთევზა.

– მეც მომწონს გველთევზა. მაგრამ მართო ერთხელ ვჭამე, დიდი ხნის წინათ და ვერ გამიხსენებია მისი გემო.

– გველთევზა სასიამოვნოა. სხვა საჭმელებისგან განსხვავებული არის. ზოგ საჭმელს შეუძლია შეცვალოს სხვა საჭმელი, მაგრამ, როგორც ვიცი, გველთევზას ვერაფერი შეცვლის.

გზაზე, ამ ცარიელი ადგილის პირდაპირ, ახალგაზრდა კაცმა ჩამოიარა დიდ ლაბრადორთან ერთად, რომლისთვისაც ყელზე წითელი ბენდენა შეებათ. მან ოცუკას გამოხედა, მაგრამ გვერდი აუარა. მოხუცი და კატა ისხდნენ და მდუმარედ ელოდნენ ძაღლისა და მისი პატრონის ჩავლას.

– კატებს ვეძებო, მითხარი, არა? – ოცუკამ ჰკითხა.

– მართალია. მე ვეძებ დაკარგულ კატებს. მე შემოდლია, კატებს ველაპარაკო, ამიტომ დაკარგულებს ვეძებ. ხალხმა იცის, რომ ნაკატა ამას კარგად აკეთებს, ამიტომ მოდიან და მთხოვენ, ვიპოვო მათი დაკარგული კატები. უფრო ხშირად კატებს ვეძებ. მე არ მიყვარს შორს წასვლა, ამიტომ მე ნაკანოში ვეძებ. თორემ თვითონ დავიკარგები და არავინ დამიწყებს ძებნას.

– ანუ ახლა შენ კატას ეძებ?

– დიახ. მართალია. ნაკატა ეძებს ერთი წლის ჭრელ კატას, სახელად გომას. აი, მისი ფოტო. – ნაკატამ მხარზე გასაკიდი ტილოს ჩანთიდან ფერადი ფოტო ამოიღო და ოცუკას აჩვენა, – ის წაბლისფერ საყელურს ატარებს.

ოცუკამ ტანი წაიგრძელა, რომ ფოტოსთვის დაეხედა, შემდეგ კი თავი გააქნია.

– არა, ამას არასდროს გადავყრივარ. ბევრ კატას ვიცნობ ამ ტერიტორიაზე, მაგრამ ამას – არა. არ მინახავს და არც რამე მსმენია.

– მართლა?

– დიდი ხანია, ეძებ?

– ჰო, დღეს... მოიცა, დავფიქრდე. ერთი... ორი... სამი... მესამე დღეა.

ოცუკა ჩაფიქრდა.

– ალბათ. იცი – კატებმა მიჩვევა იციან. როგორც წესი, მოწესრიგებულად ცხოვრობენ, ვიდრე რაღაც უცხო რამ არ შეემთხვევათ, რაც კალაპოტიდან ამოაგდებს. მათი შეცვლა სექსის ან რაღაც შემთხვევის ბრალია.

– ნაკატაც ასე ფიქრობს.

– თუ საქმე სექსშია, უნდა დაელოდო მათ დაბრუნებას, ხვდები, სექსი რაც არის?

– თვითონ არასდროს მქონია, მაგრამ, მგონი, მესმის. ეს სასქესო ორგანოს ბრალია, არა?

– მართალია. სასქესო ორგანოს ბრალია, – ოცუკამ თავი დაუქნია, სერიოზული გამომეტყველება ჰქონდა, – მაგრამ თუ რაღაც შემთხვევასთან გვაქვს საქმე, შეიძლება ვეღარასდროს ნახო.

– მართალი ხარ.

– გარდა ამისა, ზოგჯერ, როცა კატა სექსის გამო მიიპარება, შეიძლება გზა დაეკარგოს და ვეღარასოდეს დაბრუნდეს უკან.

– ნაკატა რომ ნაკანოდან წასულიყო, სახლში უკან დასაბრუნებელი გზის პოვნა გაუჭირდებოდა.

– მეც ასე შემემთხვა რამდენჯერმე. თუმცა ეს დიდი ხნის წინ მოხდა, როცა გაცილებით ახალგაზრდა ვიყავი, – უთხრა ოცუკამ და რაღაცის გასახსენებლად თვალები მოჭუტა, – როცა იკარგები, პანიკა, სრული სასოწარკვეთა გიპყრობს, რა იღონო, არ იცი. მეზიზღება ასეთი სიტუაცია. ამ მხრივ სექსი შეიძლება მტანჯველი იყოს, თუმცა, როდესაც ამის განწყობაზე ხარ, მეტზე ვერაფერზე იფიქრებ. ჰოდა, რა ერქვა იმ დაკარგულ კატას?

– გომას გულისხმობთ?

– დიახ, რა თქმა უნდა, გომას. ყველაფერს ვიზამ, რომ მის მოძებნაში მოგეხმარო. ასეთი ახალგაზრდა ჭრელი კატა, რომელსაც მზრუნველი ოჯახი მფარველობდა, მარტოდმარტო თავს ვერ გაიტანს ამ სამყაროში. ვერ შეძლებს, ვილაც მოიგერიოს ან თავი დაიცვას. საწყალი! სამწუხაროდ, არასოდეს მინახავს. მე მგონი, სადღაც სხვაგან უნდა მოძებნო.

– კარგი, გავითვალისწინებ თქვენს რჩევას და სხვაგან დავუწყებ ძებნას. ნაკატა ძალიან წუხს, რომ ძილი დაგიფრთხობთ... დარწმუნებული ვარ, აქ ისევ გამოვივლი, ასე რომ, გომას თუ გადააწყდებით, გთხოვთ მაცნობოთ. დახმარების სანაცვლოდ რამეს მოგცემ.

– საჭირო არ არის, გამახალისა შენთან საუბარმა. შეგიძლია, ისევ გამოიარო. მზიან დღეებში ძირითადად აქ ვარ, წვიმის დროს თავს იმ ტაძარს ვაფარებ ხოლმე, აი, კიბეები რომ ჩადის.

– გმადლობთ. ნაკატაც ძალიან გაახარა თქვენთან საუბარმა, ბატონო ოცუკა. ყველა კატას ასე ადვილად ვერ ვესაუბრები. ზოგჯერ, წამოვიწყებ თუ არა ლაპარაკს, კატა უსიტყვოდ გამირბის. ამიტომ გამარჯობის თქმის გარდა ვერაფერს ვახერხებ.

– წარმომიდგენია. ათასი ჯურის კატა არსებობს, ისევე, როგორც ადამიანია, ათასი ჯურის.

– მართლაც ასეა. ნაკატაც ასე ფიქრობს. ათასგვარი კატა არსებობს სამყაროში და ათასგვარი კაცი.

ოცუკა გაიზმორა და ცას ახედა. ოქროსფერი სხივები დასთამაშებდა მოშიშვლებულ ადგილს, მაგრამ იგრძნობოდა, რომ მოგვიანებით გაწვიმდებოდა. ოცუკა ამას გრძნობდა.

– ბავშვობაში რაღაც შემემთხვა და ამიტომ არ ვარ ჭკვიანიო, მითხარი, არა?

– დიახ. მართალია. სწორედ ასე თქვა ნაკატამ. როცა ცხრა წლის ვიყავი, რაღაც შემემთხვა.

– რა?

– ნაკატას არ ახსოვს. მათ არ იციან, რატომ, მაგრამ სამი კვირის მანძილზე მაღალი სიციხე მქონდა. მთელი ამ პერიოდის მანძილზე უგონოდ ვიყავი. როგორც მეუბნებიან, სულ მეძინა, როცა გამოვფხიზლდი, არაფერი მახსოვდა. დამავიწყდა მამაჩემის სახე, დედაჩემის სახე, კითხვა, რიცხვების შეკრება, როგორ გამოიყურებოდა ჩემი სახლი. საკუთარი სახელიც კი. თავი სრულიად ცარიელი მქონდა, ზუსტად ისე, როგორც აბაზანა ცარიელდება საცობის ამოღების შემდეგ. მითხრეს, რომ ამ შემთხვევამდე ნაკატა კარგ ნიშნებს იღებდა. მაგრამ ერთხელაც გავითიშე და როცა გონს მოვეგე, უკვე სულელი ვიყავი. დედაჩემი დიდი ხნის წინ გარდაიცვალა, მაგრამ ჩემ გამო ხშირად ტიროდა. იმიტომ, რომ გამოვსულელი. მამაჩემი არასდროს ტიროდა, მაგრამ მუდამ ბრაზობდა.

– ჭკუის ნაცვლად კატებთან საუბრის უნარი შეიძინე.

– მართალია.

– საინტერესოა.

– გარდა ამისა, მუდამ ჯანმრთელი ვარ და არასდროს მიავადმყოფია. არც წნევა მაწუხებს, არც სათვალის ტარება მიხდება.

– მე რომ მკითხო, ძალიანაც ჭკვიანი ხარ.

– ასეა? – თავი დახარა, – ნაკატა უკვე სამოცზე მეტისაა, ბატონო ოცუკა. სამოცს რომ გადავცდი, შევეგუე საკუთარ ჭკუასუსტობას, და ადამიანებისგან მოშორებით ყოფნას. მატარებლით მგზავრობის გარეშეც გავძლებ. მამაჩემი მკვდარია და აღარავინ მცემს. დედაც მკვდარია, ასე რომ, არც ის ტირის. ამიტომ, როცა მეუბნებით, ძალიანაც ჭკვიანი ხარო, მახნვეთ, ხომ ხვდებით, თუ სულელი არ ვიქნები, გუბერნატორი აღარ მომცემს სუბსიდის იას,

არც ავტობუსის ბილეთს. თუ გუბერნატორი იტყვის, აღარ ხარ სულელიო, ნაკატამ არ იცის, რა ქნას. ასე რომ, კარგია, იყო სულელი.

– იმის თქმა მინდა, რომ შენი პრობლემა სისულელე არ არის. – თქვა ოცუკამ, სერიოზული გამომეტყველება ჰქონდა.

– მართლა?

– შენი პრობლემა ისაა, რომ შენი ჩრდილი... როგორ გითხრა. ფერმკრთალია. ამას ერთი შეხედვით მივხვდი. შენი ჩრდილი, სხვების ჩრდილთან შედარებით, ნახევარჯერ უფრო დიაა.

– გასაგებია.

– ერთ ასეთ ადამიანს შევხვედრივარ.

ნაკატას ლამის ყბა ჩამოუვარდა, ასე შეჰყურებდა ოცუკას.

– გინდათ თქვათ, რომ ნაკატასნაირი ვინმე ნახეთ?

– დიახ. ამიტომ არ გამიკვირდა დიდად, კატებთან საუბარი რომ შეგემლო.

– ეს როდის მოხდა?

– დიდი ხნის წინ, იმ დროს ახალგაზრდა ვიყავი, მაგრამ დეტალები აღარ მახსოვს – არც იმ ადამიანის სახე ან სახელი, არც ის, სად და როდის შევხვდი. როგორც უკვე გითხარი, კატებს ასეთი მეხსიერება არ აქვთ.

– მესმის.

– იმ ადამიანის ჩრდილი ისე გამოიყურებოდა, თითქოს ნახევარი ჩამოეჭრათ. ისეთივე ფერმკრთალი იყო, როგორც შენია.

– გასაგებია.

– აი, რას ვფიქრობ: დაკარგული კატების ძებნას თავი უნდა გაანებო და საკუთარი დაკარგული ჩრდილის ძებნა დაიწყო.

ნაკატა საკუთარ ქუდს აწვალებდა.

– სიმართლე გითხრათ, ნაკატას ეს ადრეც უგრძნია. ჩემი ჩრდილი სუსტია. სხვები, შესაძლოა, ვერ ამჩნევენ, მაგრამ მე ვხედავ.

– ეგ კარგია. – უპასუხა კატამ.

– მაგრამ მე უკვე ბებერი ვარ და ბევრი დროც აღარ დამრჩენია. დედა მკვდარია. მამა მკვდარია. ჭკვიანი ხარ თუ სულელი, შეგიძლია კითხვა თუ არა, ჩრდილი გაქვს თუ არა, როცა დრო დადგება, ყველაფერი გაქრება, მოკვდები, დაგწვავენ, ფერფლად გადაიქცევი და ასე დაგმარხავენ. ერთი ადგილია, კარასუიამა ჰქვია. კარასუიამა არის სეტეგაიაში. როდესაც იქ მარხავენ კაცს, ალბათ ველარაფერზე ფიქრობს. და თუ ველარ ფიქრობს, ველარც იბნევა. ხომ

კარგად ვარ ახლა? ვიდრე ცოცხალი ვარ, მარტო ის ვიცი, რომ ნაკანოს არ უნდა გავცდე. ჰოდა, როცა მოვკვდები, კარასუიამაში მომიწევს წასვლა. ეგრე იქნება.

– რას გადაწყვეტ, რა თქმა უნდა, მხოლოდ შენზეა დამოკიდებული, – უთხრა ოცუკამ და თათების ალოკვა დაიწყო, – მაგრამ ისიც უნდა გაითვალისწინო, შენი ჩრდილი თავს როგორ გრძნობს. კომპლექსი ექნება. მე რომ ჩრდილი ვყოფილიყავი, არ მენდომებოდა, ნახევრადჩრდილი ვყოფილიყავი.

– მესმის, – უთხრა ნაკატამ, – ალბათ მართალი ხართ. ამაზე ნაკატას არასდროს უფიქრია. როდესაც სახლში დავბრუნდები, ვიფიქრებ.

– შესანიშნავი აზრია.

ორივე მიყუჩდა. ნაკატა უხმოდ წამოდგა, შარვლიდან ფრთხილად ჩამოიბერტყა ბალახის ღერები და ქუდი დაიხურა. რამდენჯერმე გაისწორა, ვიდრე სწორი კუთხით არ დაიფარა. მხარზე ტილოს ჩანთა გადაიკიდა.

– დიდი მადლობა, ბატონო ოცუკა, ნაკატა ძალიან აფასებს თქვენს მოსაზრებებს. იმედი მაქვს, ბედნიერად და კარგად იქნებით.

– შენც.

ნაკატას წასვლის შემდეგ ოცუკა ბალახებში ჩაწვა და თვალები მილულა. ჯერ კიდევ დიდი დრო იყო იქამდე, ვიდრე მოიღრუბლებოდა და გაწვიმდებოდა. ფიქრი შეწყვიტა და ცოტა ხნით დაიძინა.

7

შვიდ საათსა და თხუთმეტ წუთზე სასტუმროს ჰოლის გვერდით მდებარე რესტორანში ვსაუზნობ ორცხოვობილათი, ცხელი რძით, ლორითა და კვერცხით. მაგრამ სასტუმროს უფასო საუზმე ვერ მანაყრებს. საჭმელს ერთ წამში ვუღებ ბოლოს, მაგრამ შიმშილს ვერ ვიკლავ. აქეთ-იქით ვიყურები, მაგრამ მეტი საჭმელი არ ჩნდება. ვოხრავ.

– რას აპირებ? –მეკითხება ბიჭი, სახელად ყვავი.

მარჯვნივ მიზის.

– შენ სახლში აღარ ხარ, რომ, რაც მოგესურვება, იმით ამოივსო კუჭი. ხომ გამოიქეცი სახლიდან? დაფიქრდი. დილით ადრე დგებოდი და ჭამდი, მაგრამ ეგ დრო წარსულს ჩაბარდა, მეგობარო. რაც გეძლევა, იმით უნდა გაიტანო თავი. ხომ იცი, ამბობენ, კუჭი განიერიაო. ვნახოთ, მართლა ასეა თუ არა. კუჭი დაგივიწროვდება, მაგრამ ამისთვის დროა საჭირო. როგორ ფიქრობ, შეძლებ?

– კი, გავუძლებ.

– კარგია, – მეუბნება ყვავი, – შენ ყველაზე ძლიერი 15 წლის ბიჭი უნდა იყო, გახსოვს? თავს ვუქნევ.

– მაშინ, იქნებ შეგეწყვიტა ცარიელ თეფშში ყურება და წასულიყავი აქედან?

ყურად ვიღებ მის რჩევას და რეგისტრატორის მაგიდასთან მივდივარ, რომ ოთახის ფასის შესახებ მოველაპარაკო. ვუხსნი, რომ კერძო სკოლის მოსწავლე ვარ ტოკიოდან და აქ დასკვნითი გამოცდისთვის მოსამზადებლად ჩამოვედი (დიდი ტყუილი არ არის, რადგან ჩემს სკოლასთან არსებულ უმაღლეს სასწავლებელში ასეა წესი). ისიც დავძინე, რომ საკურსოსთვის მასალას კომურას სახელობის ბიბლიოთეკაში ვეძებ. ვეუბნები, საკვლევად იმაზე მეტი დრო მჭირდება, ვიდრე ვვარაუდობდი და ტაკამაცუში მინიმუმ ერთ კვირას უნდა დავრჩე-მეთქი. ამიტომ, რადგან შეზღუდული ბიუჯეტი მაქვს, იქნებ შესაძლებელი იყოს, ფასდაკლება სამი დღის ნაცვლად მთელ კვირაზე გამიკეთონ? ვთავაზობ წინასწარ გადახდას და ვპირდები, რომ პრობლემებს არ შევუქმნი.

გოგონას წინ ვდგავარ და ვცდილობ, მასზე კარგი შთაბეჭდილება მოვახდინო, გასაჭირში მყოფი კარგი ბიჭის. არც პირსინგი მაქვს და არც შეღებილი თმა. რაღაფ ლოურენის თეთრი, სუფთა პოლო მაცვია, ჩინო და ახალთახალი ფეხსაცმელი. კბილები მიქათქათებს, შამპუნისა და საპონის სურნელი ამდის. ზრდილობიანად ველაპარაკები. როცა მოვინდომებ, შემიძლია უფროსებზე კარგი შთაბეჭდილების მოხდენა.

გოგონა მდუმარედ მისმენს, თავს მიქნევს, ტუჩები ოდნავ აგრეხილი აქვს. კოხტაა, თეთრ ზედატანზე ლურჯი უნიფორმა მოუცვამს. უძილო ჩანს, მაგრამ საკუთარ საქმეს მკვირცხლად ასრულებს. ჩემი დის ტოლი უნდა იყოს.

– მესმის, – მპასუხობს, – მაგრამ მენეჯერთან უნდა გავარკვიო. შუადღისთვის შეგატყობინებთ პასუხს.

საქმიანი ტონი აქვს, მაგრამ ვგრძნობ, რომ მისი გული უკვე მოვიგე. არ ვიცი, მივალწევ რამეს თუ ვერა. თუ მენეჯერი პასპორტს მომთხოვს, ან ჩემს მშობლებთან დაკავშირებას შეეცდება, მომეხაზება. რა თქმა უნდა, რეგისტრაციის გავლის დროს არასწორი ნომერი მივუთითე. მაგრამ ჩემი ბიუჯეტი იმდენად შეზღუდულია, ვრისკავ.

ყვითელ ფურცლებს ვათვალიერებ და სპორტდარბაზში ვრეკავ, ტრენაჟორების შესახებ ვეკითხები. ყველაფერი აქვთ, რაც მაინტერესებს, დღეში კი მხოლოდ ხუთი დოლარი ღირს. მათგან სადგურიდან სპორტდარბაზამდე მიმავალ გზას ვიგებ, მადლობას ვუხდის და ტელეფონს ვკიდებ.

საკუთარ ოთახში ვბრუნდები ზურგჩანთის ასაღებად და ქუჩაში გამოვდივარ. შემიძლია, სასტუმროში მშვიდად დავტოვო საკუთარი ნივთები, მაგრამ თავს უფრო მშვიდად ვგრძნობ, როცა ყველაფერი თან დამაქვს. ეს ზურგჩანთა ჩემი ნაწილი მგონია და ველარ ველევი.

სადგურიდან სპორტდარბაზში მიმავალ ავტობუსში დაბნეულობისგან სახე მეძაბება. ვინმემ რომ იკითხოს, ეს ბავშვი დღის ამ მონაკვეთში სპორტდარბაზში რას დაყიალებსო? ამ ქალაქს არ ვიცნობ და წარმოდგენა არ მაქვს, რას ფიქრობს ეს ხალხი. მაგრამ ზედაც არავინ მიყურებს. თავს უჩინარი კაცივით ვგრძნობ. შესასვლელში ვარჯიშის ღირებულებას ვიხდი. არაფერს მეკითხებიან და კარადის გასაღებსაც მამლევენ. გასახდელში შორტსა და მაისურს ვიცვამ, და რამდენიმე გამამახნეველ სავარჯიშოს ვაკეთებ. ვმშვიდდები. ამ ჭურჭელში – სხეულში, თავს დაცულად ვგრძნობ. ერთი წკაპუნი და ყველაფერი საგულდაგულოდ იკეტება. მომწონს. იქ ვარ, სადაც საჭიროა.

ვარჯიშს ვიწყებ. ჩემი უოკმენიდან პრინციის ხმა ისმის, ერთი საათის განმავლობაში შვიდ ტრენაჟორზე ვვარჯიშობ. დარწმუნებული ვიყავი, რომ ასეთი პატარა ქალაქის სპორტდარბაზში მოძველებული ტრენაჟორები ექნებოდათ, აქ კი უახლესი მოდელები დამხვდა, ფოლადს ახალთახალი სუნი აქვს. პირველ წრეს ვიწყებ მსუბუქი დატვირთვით და მეორე წრეზე ვზრდი. ზუსტად ვიცი, რა დატვირთვა მჭირდება. მალე ოფლი მასხამს, დროდადრო ვჩერდები, რომ წყალი მოვსვა ან ლიმონი მოვწუწუნო, რომელიც თან მოვიტანე.

ვარჯიშის მერე ცხელ შხაპს ვიღებ, თან საპონი და შამპუნი მაქვს წამოღებული. სასქესო ორგანოს, უკანალსა და მკლავებს გულმოდგინედ ვიბან. ვიწონები და სარკის წინ კუნთებს ვბერავ. შორტსა და მაისურს ნიჟარაში ვრეცხავ, ვწურავ და პოლიეთილენის პარკში ვტენი.

სადგურში ავტობუსით ვბრუნდები და იმავე სასადილოში, სადაც გუშინ ვიყავი, ატრიის სუპს ვუკვეთავ. ჭამის დროს ფანჯრიდან ვიყურები, სადგურში ხალხი შედი-გამოდის. ყოველი მათგანი უნაკლოდ გამოიყურება, ხელში ჩანთა ან პორტფელი უჭირავთ. ყველა სადღაც მიექანება სასწრაფო საქმეზე. ვაკვირდები ხალხის უწყვეტ ნაკადს და ვფიქრობ, რა იქნება ასი წლის შემდეგ.

ასი წლის შემდეგ, თითოეული მათგანი, მათ შორის მეც, აღიგვება პირისაგან მიწისა და ფერფლად ან მტვრად იქცევა. საოცარია, მაგრამ ყველა, ვინც კი აქ ახლომახლო მოძრაობს, ირეალურად მეჩვენება. მგონია, რომ ქარს შეუძლია, ისინი ქვიშასავით მიმოფანტოს. ხელებს ვშლი და ვაკვირდები. რატომ ვარ ყოველთვის ასე დამაბული? რატომ მიწევს მუდამ ბრძოლა გადარჩენისათვის? თავი გავაქნიე, ფანჯარას ზურგი შევაქციე და ვცდილობ, გონება გავიწმინდო ამ ფიქრებისგან. აწმყოზე ვიფიქრებ, ბიბლიოთეკის წიგნებზე, რომლებიც უნდა წავიკითხო, ტრენაჟორებზე, რომლებზეც ჯერ არ მივარჯიშია. სხვა რამეზე ფიქრს რა აზრი აქვს.

– გასაღები ეგაა, – მეუბნება ყვავი, – ნუ დაივიწყებ, ყველაზე ძლიერი 15 წლის ბიჭი უნდა გახდე.

ისევე როგორც წინა დღეს, ახლაც ლანჩის კოლოფს ვყიდულობ სადგურზე და 11:30-ზე კომურას ბიბლიოთეკაში მივდივარ მატარებლით. ომიმა იქაა, მერხთან. დღეს ხელოვნური

აბრეშუმის ლურჯი პერანგი აცვია, ყელამდე შეკრული, თეთრი ჯინსი და თეთრი ტენისის ფეხსაცმელი. თავის მაგიდასთან ზის, უზარმაზარ წიგნში თავჩარგული, გვერდით, ყვითელი ფანქარი უდევს, ალბათ ისევ ის. თმა სახეზე ჩამოშლია. როდესაც შევდივარ, მილიმის და ზურგჩანთას მართმევს.

– ისევ არ წასულხარ სკოლაში.

– აღარასოდეს აღარ წავალ. – ვეუბნები გულახდილად.

– მაშინ ბიბლიოთეკა კარგი გამოსავალია. – მეუბნება. უკან ტრიალდება, რომ საათს შეხედოს და მერე ისევ წიგნს უბრუნდება.

სამკითხველო დარბაზში მივდივარ და ათას ერთი ღამის კითხვას განვაგრძობ. როგორც ყოველთვის, თუ დავჯექი და წიგნი გადავფურცლე, ვეღარ ვჩერდები. ბარტონის გამოცემაში ყველა ის ისტორიაა, რომელიც ბავშვობაში წამიკითხავს, მაგრამ ესენი უფრო ვრცელია, მეტი ეპიზოდისგან და ჩახლართული სიუჟეტისგან შედგება და ისეთი მომხიბვლელია, ვერაფრით დაიჯერებ, რომ ბავშვობაშიც ამავე ისტორიებს ეცნობოდი. წიგნი სავსეა უხამსი, ძალადობის, სექსუალური და აღმაშფოთებელი სცენებით.

აქაც არის რაღაც თავისუფალი, ბოთლში გამომწყვდეული ჯინივით მოძრავი, რისი სამუდამოდ გამოკეტვაც შეუძლებელია. ეს ძალიან მომწონს. საუკუნეების წინ მცხოვრები ადამიანების გიჟური ცხოვრება უფრო რეალურად მეჩვენება, ვიდრე სადგურზე სწრაფად მიმავალი უსახო ადამიანებისა. არ ვიცი, როგორ. უცნაურია. პირველ საათზე ისევ ბაღში გავდივარ, ხის მერხზე ვჯდები და ლანჩს მივირთმევ. ჭამა დასრულებული არც მაქვს, რომ მოდის ოშიმა და ტელეფონთან გთხოვენო, მეუბნება.

– ტელეფონთან? მე?

– თუ, რა თქმა უნდა, კაფკა თამურა შენ გქვია.

ვწითლდები, ფეხზე ვდგები და ყურმილს ვართმევ.

გოგონა სასტუმროს რეგისტრატორიდან, ალბათ უფრო იმის შესამოწმებლად რეკავს, მართლა ბიბლიოთეკაში ვარ თუ არა. თითქოს შვებითაც კი ამოისუნთქა, როცა დარწმუნდა, რომ არ მომიტყუებია.

– მენეჯერს ვესაუბრე. მართალია, აქამდე ასეთი პრეცედენტი არ გვქონია, მაგრამ გარემოებისა და შენი ასაკის გათვალისწინებით, გამონაკლისს დაუშვებს და ნომრის აღების საშუალებას მოგცემს იმ ტარიფით, რომლითაც პირველი სამი დღე სარგებლობდი. ამჟამად გადატვირთული არა ვართ და, შეგვიძლია, წესები ცოტათი დავარღვიოთო. ისიც დასძინა, ბიბლიოთეკა მართლაც კარგი ადგილია და, იმედი მაქვს, კვლევას წარმატებით დაასრულებსო.

შვებით ამოვისუნთქე და მადლობა გადავუხადე. ცოტათი მაწუხებს ტყუილების თქმა, მაგრამ სხვა გზა არა მაქვს. საკუთარი წესები უნდა დავარღვიო, თუ გადარჩენა მინდა. ყურმილს ვკიდებ და ოშიმას ვუბრუნებ.

– აქ მარტო შენ ხარ მოსწავლე, ამიტომ ვიფიქრე, რომ შენ გირეკავდნენ. ვუთხარი, დილიდან სალამომდე აქ არის-მეთქი, წიგნში ცხვირჩარგული. ასეცაა.

– გმადლობთ.

– კაფკა თამურა?

– ასე მქვია.

– უცნაური სახელი კია.

– ასე მქვია და...

– ალბათ, კაფკას მოთხრობები წაგიკითხავს.

თავი დავუქნიე.

– „ციხესიმაგრე“, „პროცესი“, „მეტამორფოზა“ და ერთი უცნაური მოთხრობა, სადამსჯელო მოწყობილობაზე.

– „გამოსასწორებელ კოლონიაში“. მიყვარს ეგ მოთხრობა. მარტო კაფკას შეეძლო დაეწერა.

– ეგ ნაწარმოები განსაკუთრებით მიყვარს კაფკას შემოქმედებიდან.

– მართლა?

თავი დავუქნიე.

– კი მაგრამ, რატომ?

– ვფიქრობ, კაფკა ამ ხელსაწყოს წმინდა მექანიკური აღწერით იმ სიტუაციას გვიჩვენებს, რომელშიც ვართ. იმას ვგულისხმობ, რომ... – დაფიქრება მჭირდება, – იმას ვგულისხმობ, რომ ეს მისი პირადი ხელსაწყოა, იმის ასახსნელად, როგორ ვცხოვრობთ... არა უბრალოდ ჩვენს მდგომარეობაზე ლაპარაკით, არამედ იმ ხელსაწყოს დეტალებზე...

– შესაძლოა, – ამბობს ოშიმა და მეგობრულად მეხება მხარზე ხელით, – კაფკა დაგეთანხმებოდა.

უკაბელო ტელეფონი მიაქვს და შენობაში შედის. ერთხანს ვერანდაზე ვრჩები, ჭამას ვაგრძელებ, წყალს ვსვამ, ბაღში ჩიტებს ვაკვირდები. გუშინაც ასეთები იყვნენ. ცა ღრუბლებს დაუფარავს, მოქუფრულია.

ოშიმას კაფკას მოთხრობის ჩემეული განმარტება დამაკმაყოფილებლად მიაჩნია.

რადაცნაირად მაინც. მე კი დაახლოებითაც ვერ გამოვხატე საკუთარი აზრი. კაფკას შემოქმედების შესახებ ზოგად თეორიას კი არ ვაყალიბებდი, რაღაც ნამდვილზე, რეალურზე ვლაპარაკობდი. კაფკას კომპლექსური, იდუმალი დამსჯელი ხელსაწყო რაღაც მეტაფორა ან ალეგორია არ არის, ის აქაა, ჩვენ გარშემო. მაგრამ არა მგონია, ვინმე ხვდებოდეს ამას. ვერც ოშიმა გაიგებს ამას, ვერც ვინმე სხვა.

სამკითხველო დარბაზში ვბრუნდები, სავარძელში ვეფლობი და ათას ერთ ღამეში ვიძირები. ნელ-ნელა, როგორც ეკრანზე, ქრება გამოსახულება, რეალური სამყაროც ფერმკრთალდება. მარტოდმარტო ვარ ამ ზღაპრულ არაბულ სამყაროში. საუკეთესო განცდაა.

ხუთ საათზე, ბიბლიოთეკიდან გამოსვლას რომ ვაპირებ, ოშიმა ისევ საკუთარ მაგიდას უზის, ისევ იმ წიგნს კითხულობს, მის პერანგს კი ნაოჭიც არ ეტყობა. როგორც ყოველთვის, სახეზე თმა ჩამოჰყრია. მის უკან, კედელზე უხმოდ მიიწვევს წინ ელექტრონული საათი. გარშემო ყველაფერი ჩუმია და სუფთა. მე მგონი, ეს ბიჭი არასოდეს ოფლიანდება, არასოდეს ასლოკინებს. მამჩნევს, ზურგჩანთას მიწვდის და შუბლს კრავს, მგონი, ემძიმება.

– აქედან ქალაქამდე მატარებელს მიჰყვები?

თავი დავუქნიე.

– თუ ყოველდღე აპირებ აქ მოსვლას, ჯობია, თან ეს გქონდეს, – ტაკამაცუს სადგურიდან ბიბლიოთეკის სადგურამდე მომავალი მატარებლის განრიგია, – როგორც წესი, დროულად მოდიან.

– გმადლობთ. – განრიგს ჩანთაში ვიდებ.

– კაფკა, არ ვიცი, საიდან მოხვედი, ან რას აპირებ, მაგრამ მუდმივად სასტუმროში ხომ ვერ იცხოვრებ, არა? – სიტყვებს ფრთხილად არჩევს. მარცხენა ხელის თითებით ფანქარს წვერს უსინჯავს. ნეტავ რატომ? იდეალურადაა გათლილი.

არაფერს ვამბობ.

– შენს საქმეში არ ვერევი, მერწმუნე. უბრალოდ ვიფიქრე, ვკითხავ-მეთქი. შენი ასაკის ბიჭისთვის უცხო გარემოში ცხოვრება, არა მგონია, ადვილი იყოს.

თავი დავუქნიე.

– აქედან სადმე სხვაგან აპირებ წასვლას? თუ აქ დარჩები?

– არ გადამიწყვეტია, მაგრამ ჯერჯერობით ალბათ აქ დავრჩები, წასასვლელი არსად მაქვს. – გამოვუტყდი.

იქნებ ოშიმას ყველაფერი უნდა ვუთხრა? დარწმუნებული ვარ, იმედს არ გამიცრუებს, ლექციას არ წამიკითხავს, ჭკუის სწავლებას არ დამიწყებს. მაგრამ ამჯერად მეტისგან თავს ვიკავებ. არც მჩვევია სხვებისთვის საკუთარი განცდების გამჟღავნება.

– გაგაქვს ჯერჯერობით თავი?

ისევ დავუქნიე.

– აბა, შენ იცი! – მემშვიდობება.

მომდევნო შვიდ დღეს ერთნაირად ვატარებ. მხოლოდ მცირე დეტალები იცვლება (გარდა ორშაბათისა, როდესაც კომურას ბიბლიოთეკა დახურულია და საჯარო ბიბლიოთეკაში მივდივარ).

ყოველ დილით შვიდის ნახევარზე ვიღვიძებ და ქვემოთ ჩავდივარ ვითომ საუზმეზე. სარეგისტრაციო მაგიდის იქით მდგომ წაბლისფერთმიან გოგონას ყოველთვის ხელისაწევით ვესალმები. ისიც ყოველთვის მიქნევს თავს და იღიმება. მგონი, მოვეწონე. მეც მომწონს ცოტათი. იქნებ ესაა ჩემი და? ეს ფიქრი დროდადრო გამიელვებს ხოლმე თავში. ყოველ დილით ოთახში გამამხნეველ ვარჯიშებს ვაკეთებ. ყოველთვის ერთი და იმავე დატვირთვით, ერთსა და იმავე მოძრაობებს, არც მეტს, არც ნაკლებს. შხაპს ვიღებ და საგულდაგულოდ ვიბან სხეულის ყოველ მონაკვეთს. ვიწონები, რომ დავრწმუნდე, წონას ვინარჩუნებ თუ არა. თორმეტ საათამდე კომურას ბიბლიოთეკაში მივდივარ. ოშიმას რამდენიმე სიტყვით ვესალმები, როდესაც ზურგჩანთას ვაბარებ ან ვართმევ. ვერანდაზე ვსადილობ. და ვკითხულობ. „ათას ერთი ღამის“ დასრულების შემდეგ ნაცუმე სოსეკის ნაწარმოებების სრული კრებულის კითხვას ვიწყებ. მისი რამდენიმე რომანი დღემდე არ წამიკითხავს. ხუთ საათზე ბიბლიოთეკიდან გამოვდივარ.

მთელ დღეს ბიბლიოთეკაში ან სპორტდარბაზში ვატარებ. ვიდრე ან იქ ვარ, ან აქ, არავის ვადარდებ. იმის შანსი, რომ ბიჭი სკოლას იმისთვის გააცდენს, რომ ან სპორტდარბაზში წავიდეს, ან ბიბლიოთეკაში, ძალიან მცირეა.

სადგურის წინ მდებარე სასადილოში ვსადილობ. ვცდილობ, ბევრი ბოსტნეული მივიღო. სასურსათო მაღაზიაში ყოველდღე ვყიდულობ ხილს და იმ დანით ვთლი, მამაჩემის კაბინეტიდან რომ მოვიპარე.

კიტრს და ნიახურს ვყიდულობ, სასტუმროში ვრეცხავ და მაიონეზთან ერთად ვჭამ. ზოგჯერ სავაჭრო პუნქტში კოლოფის რძეს ვყიდულობ, ბურღულს ვასხამ და ვჭამ.

სასტუმროში დაბრუნებული, დღიურში ვიწერ დღის განმავლობაში მომხდარ მოვლენებს. უოკმენით «რედიოჰედს» ვუსმენ. ცოტა ხანს ვკითხულობ.

ამასობაში თერთმეტი საათიც ხდება. ზოგჯერ დაძინებამდე ვანძრევ. ამ დროს სასტუმროს თანამშრომელ გოგოზე ვფიქრობ. ვივიწყებ, რომ შეიძლება, ჩემი და იყოს.

გაზეთებს იშვიათად ვკითხულობ.

მერვე დღეს ეს მშვიდი ცხოვრება წარსულს ბარდება.

დათარიღებული 1946 წლის 12 მაისით.

სათაური: გორაკ ბრინჯის ჯამისშემთხვევის ანგარიში, 1944

დოკუმენტის ნომერი: PTYX-722-8936745-42216-WWN

ტოკიოს უმაღლესი უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის პროფესორ შინგორი ცუკაიამასგან (52) აღებული ჩვენება.

ჩვენების მიცემის პროცედურა თითქმის სამ საათს გრძელდებოდა მოკავშირე ძალების უმაღლესი სარდლის მთავარ ოფისში.

ამ ჩვენებასთან დაკავშირებული მასალა ხელმისაწვდომია აპლიკაციის ნომრებით PTYX-722-SQ-267-დან 291-მდე. (შენიშვნა: დოკუმენტები 271 და 278 დაკარგულია).

ლეიტენანტ რობერტ ო'კონორის შთაბეჭდილებები:

პროფესორი ცუკაიამა მშვიდი და გაწონასწორებულია, რაც მოსალოდნელი იყო მისი ყაიდის პროფესიონალისგან. ის იაპონიაში სახელგანთქმული ფსიქიატრია და ამ სფეროში გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე შესანიშნავი წიგნი. ბევრი იაპონელისგან განსხვავებით, ჩვენების მიცემის დროს ერიდება საფუძველს მოკლებული ვარაუდების გამოთქმას, ერთმანეთისგან მკაცრად მიჯნავს ფაქტებსა და მოსაზრებებს. ომამდე გაცვლითი პროგრამით სწავლობდა სტენფორდის უნივერსიტეტში, ამიტომ გამართულად ლაპარაკობს ინგლისურად. ამკარაა, რომ ბევრში იწვევს სიმპათიას და მათგან პატივისცემას იმსახურებს.

სამხედროებისგან ნაბრძანები გვექონდა, დაუყოვნებლივ შევდგომოდით დაზარალებული ბავშვების გამოკვლევას. ეს 1944 წლის ნოემბრის შუა რიცხვებში ხდებოდა. სამხედროები იშვიათად მოგვმართავდნენ თხოვნით ან ბრძანებით. მათთან თანამშრომლობას მიჩვეული არ ვიყავით. მათ, რა თქმა უნდა, საკუთარი სამხედრო განყოფილება ჰქონდათ. სამხედროები საკუთარი საქმიანობის დეტალებს ასაიდუმლოებდნენ და ცდილობდნენ, სხვა, გარეშე ორგანიზაციებთან ან პირებთან საქმე არ დაეჭირათ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სჭირდებოდათ სპეციალური ცოდნა ან ტექნიკა, რასაც მხოლოდ კერძო ექიმები ან მკვლევრები ფლობდნენ. ამიტომ, როგორც კი დაგვიკავშირდნენ, მაშინვე მივხვდით, საქმე რაღაც უჩვეულოსთან უნდა გვექონოდა. სიმართლე გითხრათ, არ მიყვარს სამხედრო ქვეგანყოფებთან თანამშრომლობა. ხშირ შემთხვევაში მათი მიზანი წმინდა სამხედრო ხასიათისაა და არ არიან დაინტერესებული სწორი სამედიცინო დიაგნოზის დასმით, ისინი მხოლოდ საკუთარი ვარაუდის მეცნიერულად დამტკიცებას ითხოვენ.

ამ შემთხვევაშიც, სამხედროებს ლოგიკური ახსნები არ უძებნიათ. თუმცა ომის დროს უარის თქმა არ შეგვეძლო. უსიტყვოდ უნდა შეგვესრულებინა მათი მითითებები.

მიუხედავად ამერიკელების საჰაერო შემოტევებისა, კვლევებს განვაგრძობდით. სამწუხაროდ, ფსიქიატრიის სტუდენტებიც კი არ გაათავისუფლეს სავალდებულო საჯარო სამსახურიდან, ყველანი, სტუდენტებიცა და კურსდამთავრებულებიც, ჯარში გაიწვიეს.

როდესაც ბრძანება მოვიდა, თავი დავანებეთ ყველაფერს და ქალაქ ...ში (სახელი წაშლილია) ჩავედით, რომელიც იამანასის პრეფექტურაში იყო. სამნი ვიყავით: მე, ჩემი კოლეგა ფსიქიატრიული განყოფილებიდან და მკვლევარი ფსიქიატრი ნეიროქირურგიული განყოფილებიდან. კვლევებს მათთან ერთად ვატარებდი.

როგორც კი მივედით, გაგვაფრთხილეს, რომ ვეცნობოდით სამხედრო საიდუმლოებას, რომლის გამჟღავნება გვეკრძალებოდა. გავიგეთ, როგორ დაკარგა თექვსმეტმა მოსწავლემ მთაში გონება და როგორ გამოფხიზლდა თხუთმეტი მათგანი ისე, რომ არაფერი ახსოვდათ შემთხვევის შესახებ. გვითხრეს, რომ ამ ბავშვებიდან ერთი ბიჭი ვერ გამოფხიზლდა და მოთავსებული იყო ტოკიოს ჰოსპიტალში.

სამხედრო ექიმმა, მაიორმა ტაიამამ, რომელმაც ბავშვები შემთხვევის შემდეგ გასინჯა, დეტალურად გვაცნობა მომხდარის შესახებ. სამხედრო ექიმების უმეტესობა უფრო ბიუროკრატია, ვიდრე მედიკოსი, მაგრამ, საბედნიეროდ, მაიორი ტაიამა მათ რიცხვს არ მიეკუთვნებოდა. ის პატიოსანი და გულლია, ნიჭიერი ფსიქიატრია. არასდროს მოგვპყრობია ისე, როგორც სხვა სამხედრო ექიმები ეპყრობიან ხოლმე სამოქალაქო პირებს – არც უფროსობა უცდია და არც შემთხვევასთან დაკავშირებული ინფორმაციის სადუმლოდ შენახვა. მან ყველა საჭირო დეტალი გაგვაცნო და ამ ბავშვების ყველა სამედიცინო ჩანაწერი გვიჩვენა. მას ყველაზე მეტად ის უნდოდა, რომ საიდუმლო ამოეხსნა. ჩვენ ყველანი აღფრთოვანებული ვიყავით მაიორ ტაიამას პროფესიონალიზმითა და ენთუზიაზმით.

შემთხვევას ბავშვებზე კვალი არ დაუტოვებია. ეს იყო ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტი, რაც სამედიცინო ჩანაწერებიდან შევიტყვეთ. იმ დღიდან ანალიზებითა და გამოკვლევებით არც შიდა ცვლილებები გამოვლენილა და არც გარე. ბავშვები ჯანსაღად განაგრძობდნენ ცხოვრებას. დეტალურმა კვლევამ აჩვენა, რომ ბავშვებს ჭიები ჰყავდათ, მაგრამ საშიში არაფერი იყო. სხვა მხრივ, არანაირი სიმპტომი არ აღენიშნებოდათ – არც თავის ტკივილი, არც თავბრუსხვევა, ტკივილი, მადის დაკარგვა, უძილობა, დაბნეულობა, დიარეა, კომპარები – საერთოდ არაფერი.

აღსანიშნავი მხოლოდ ის იყო, რომ ბავშვებს მეხსიერებიდან წაეშალათ ყველაფერი, რაც იმ ორ საათში მოხდა.

ეს მეხსიერების არქონა უფრო იყო, ვიდრე დაკარგვა. ეს სამედიცინო ტერმინები არ არის და მათ მხოლოდ ვითარების უკეთ ასახსნელად ვიყენებ, დანაკარგსა და არქონას შორის ხომ ძალიან დიდი განსხვავებაა. ვეცდები, აგიხსნათ, როგორც... წარმოიდგინეთ ორთქლმავალი, რომლის ვაგონიდან ტვირთი აორთქლდა. ვაგონი, საიდანაც ტვირთი დაიკარგა, დანაკარგია. ხოლო, თუ თავად ვაგონი აორთქლდებოდა, ეს უქონლობა იქნებოდა.

განვიხილეთ იმის შესაძლებლობა, რომ ბავშვებმა გაზი შეისუნთქეს. ექიმმა ტაიამამ გავგიმხილა, რომ ასე ფიქრობდნენ. ამიტომ იყვნენ სამხედროები ჩართული გამოძიებაში. მაგრამ ეს ლოგიკური არ ჩანდა. შემდეგ მაიორმა სამხედრო საიდუმლო გაგვანდო. მისი თქმით, არმია იმხანად ნამდვილად მუშაობდა მომწამვლელი გაზისა და ბიოლოგიური იარაღის შექმნაზე, მაგრამ ეს ჩინეთში ხდებოდა, საგანგებოდ გამოყოფილ ტერიტორიაზე და არა იაპონიაში. ასეთი პროექტის განხორციელება იმდენად მჭიდროდ დასახლებულ

ქვეყანაში, როგორც იაპონიაა, ძალიან სახიფათო იქნებოდა. „ვერ გეტყვით, ასეთი ტიპის იარაღი იაპონიაში სადმე არის თუ არა განლაგებული, მაგრამ შემოდღია გადაჭრით გითხრათ, რომ იამანასის პრეფექტურაში მსგავსი არაფერი ინახება“. – ეს მაიორის სიტყვებია.

ანუ მან კატეგორიულად უარყო, რომ სპეციალური იარაღი, მათ შორის მომწამვლელი გაზი, ამ პრეფექტურაში არ იყო.

დიახ. ამის შესახებ გარკვევით გვითხრა. ჩვენ სხვა გზა არც გვქონდა, ვენდეთ. მისი სიტყვები დამაჯერებელი იყო. ასევე გვითხრა, სისულელეა B-29-იდან მომწამვლელი გაზის გაშვების დაჯერება. ამერიკელებს რომ ასეთი იარაღი ჰქონოდათ და მისი გამოყენება გადაწყვიტათ, ხალხმრავალ ადგილს ამოირჩევდნენ, რომ დიდმასშტაბიანი ეფექტი მიეღოთ. დაუსახლებელ ადგილზე ახალი იარაღის გამოყენება კი მათ ეფექტის მიღწევის საშუალებას არ მისცემდა. გარდა ამისა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ დავუშვებთ, რომ იმ ადგილას მომწამვლელი გაზი გაუშვეს, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ნებისმიერი გაზი, რომელიც ბავშვებს ორ საათს გონებას აკარგვინებს და მათზე არანაირ სხვა ზემოქმედებას არ ახდენს, სამხედრო არსენალისთვის ღირებული არ არის.

გარდა ამისა, ვიცოდით, რომ მომწამვლელ გაზს, ბუნებრივს თუ ადამიანის მიერ შექმნილს, აუცილებლად შემდგომი ეფექტი უნდა მოეხდინა, განსაკუთრებით ბავშვებზე, რომლებიც ძალიან მგრძობიარენი არიან და მათ ზრდასრულ ადამიანებთან შედარებით იმუნური სისტემა უფრო სუსტი აქვთ. ეს აუცილებლად უნდა ასახულიყო ძირითადად თვალეზზე, ან ლორწოვან მემბრანაზე მაინც. საკვებით მოწამვლაც ამავე მიზეზით გამოვრიცხეთ.

ასე რომ, მხოლოდ ფსიქოლოგიური პრობლემები გვრჩებოდა, ან ტვინის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული პრობლემები. ასეთ შემთხვევაში მიზეზის დასადგენად სტანდარტული სამედიცინო მეთოდოლოგია არ დაგვეხმარებოდა. ეფექტები ასეთ დროს უჩინარია, მათ ვერ განსაზღვრავ, ვერ გაზომავ. როგორც იქნა, მივხვდით, რატომ მოგვიწვიეს სამხედრო პირებმა.

ჩვენ მაიორ ტოიამასთან ერთად ყველა ბავშვს, მათთან ერთად მყოფ მასწავლებელს და სკოლის ექიმს ყველაფერი გამოვკითხეთ. მაგრამ ამ საუბრებს ახალი არაფერი მოუცია, ჩვენ მხოლოდ მაიორის მონათხრობი დავადასტურეთ. ბავშვებს მომხდარის შესახებ არაფერი ახსოვდათ. მათ ძალიან ცაში მოკაშკაშე თვითმფრინავი შენიშნეს, გორაკზე აძვრნენ და სოკოს მოგროვება დაიწყეს. შემდეგ მეხსიერებაში ჩავარდნა აქვთ და მომდევნო, რაც ახსოვთ, ის არის, რომ წვანან მიწაზე, შეწუხებული მასწავლებლებითა და პოლიციელებით გარშემორტყმულები. თავს კარგად გრძობდნენ, არც ტკივილი აწუხებდათ, არც თავბრუსხვევა და არც რაიმე დისკომფორტი. თავს ისე გრძობდნენ, როგორც ახალგამოდვიძებულები, მარტო ოდნავ იყვნენ გაბრუებულები. მხოლოდ ეს იყო. ყველა ერთსა და იმავეს გვპასუხობდა.

ამ ინტერვიუების შემდეგ დავასკვნით, რომ მასობრივ ჰიპნოზთან გვქონდა საქმე. იმ სიმპტომებიდან გამომდინარე, რომლებიც მასწავლებელმა და სკოლის ექიმმა აღგვიწერეს, ეს ჰიპნოთეზა სწორი ჩანდა. თვალეზის რეგულარული მოძრაობა. სუთქვის ოდნავ შემცირება, გულისცემის რიტმი, ტემპერატურა და მეხსიერების არქონა – ყველაფერი ემთხვეოდა.

მასწავლებელმა კი გონება იმიტომ არ დაკარგა, რომ ეს მასობრივი ჰიპნოზი – რაც არ უნდა ყოფილიყო მისი გამომწვევი – უფროსებზე არ მოქმედებდა.

მიზეზი მაინც ვერ დავადგინეთ. ზოგადად, მასობრივი ჰიპნოზისთვის ორი ელემენტია დამახასიათებელი. ჯგუფი ერთგვაროვანი უნდა იყოს და მისი წევრები ერთმანეთთან მჭიდროდ უნდა იყვნენ დაკავშირებული. მეორე, რამემ უნდა მიიპყროს მათი ყურადღება, რამე ისეთმა, რაც ყველაზე ერთდროულად მოქმედებს. როგორც ჩანს, მათზე მბრწყინავმა თვითმფრინავმა იმოქმედა. შეგახსენებთ, რომ ეს მხოლოდ ვარაუდია. სხვა რამ შესაფერისი ვერ აღმოვაჩინეთ. იქვე, შესაძლოა, რაღაც ისეთიც იყო, რამაც ჰიპნოზი მოხსნა. მაიორ ტოიამასთან ერთად გამოვთქვი ეს მოსაზრება, თუმცა ორივე ვამბობდით, რომ ეს მხოლოდ ვარაუდია. ჩემი კოლეგებიც დაგვეთანხმნენ. შემთხვევით ესეც არაპირდაპირ აღმოჩნდა დაკავშირებული ჩვენი კვლევის საკითხთან.

– ეს ჩემი სფერო არ არის, მაგრამ ყველაზე ლოგიკური ახსნა იქნებოდა, – განაცხადა მაიორმა ტოიამამ, – მაგრამ ერთი რამ მაკვირვებს – ამ მასობრივი ჰიპნოზიდან რაღამ გამოიყვანა ბავშვები? რაღაც სხვა მექანიზმიც უნდა ყოფილიყო ყურადღების მიმპყრობი.

არ ვიცი-მეთქი, გამოვუტყდი. მხოლოდ ჰიპოთეზების აგებალა დამრჩენოდა. ჩემი ჰიპოთეზა ასეთი იყო: ეს იყო ჰიპნოზი, რომელსაც კონკრეტული დროის გასვლის შემდეგ ძალა დაეკარგა. ჩვენ გვიცავს ძლიერი მექანიზმი. თუ რამე საფრთხე დაგვემუქრება, დამცავი სისტემა გააქტიურდება და მოახდენს დეპროგრამირებას იმ საფრთხისა – ამ შემთხვევაში მასობრივი ჰიპნოზის ეფექტის, რომელმაც ჩვენში ჩაშენებული დამცავი მექანიზმი გათიშა.

სამწუხაროდ, თან არ მაქვს მასალა და ზუსტ ციფრებს ვერ მოვიყვან-მეთქი, ვუთხარი მაიორ ტოიამას, მაგრამ არსებობს მოხსენებები უცხოეთში მომხდარი მსგავსი შემთხვევების შესახებ. ყოველი მათგანი მისტიკურად არის მიჩნეული და ლოგიკური ახსნა არ მოეძებნება. ბავშვების დიდი ჯგუფი ერთად კარგავდა გონებას და რამდენიმე საათის შემდეგ, როდესაც გონს მოდიოდნენ, აღარაფერი ახსოვდათ. ეს შემთხვევა საკმაოდ უჩვეულოა, მაგრამ უპრეცედენტო არ არის. ასეთი რამ მოხდა 1930-იან წლებში, ინგლისში, დევონშირის პატარა სოფელში. ბილიკს რომ დაუყვებოდნენ, საშუალო სკოლის ოცდაათი მოსწავლე უმიზეზოდ მიწაზე დაეცა ერთიმეორის მიყოლებით და გონება დაკარგა. რამდენიმე საათის შემდეგ გონება დაუბრუნდათ, თითქოს არაფერი მომხდარიყოს და სკოლისკენ განაგრძეს გზა. ექიმმა ისინი გასინჯა, მაგრამ უჩვეულო არაფერი შეუნიშნავს. ვერც ერთი ვერ იხსენებდა, რა მოხდა.

გასული საუკუნის ბოლოს მსგავსი რამ მოხდა ავსტრალიაში. ადელაიდის გარეუბანში, კერძო სკოლის 15 მოწაფე გოგონა პიკნიკზე იყო, როდესაც ყოველმა მათგანმა გონება დაკარგა და შემდგომ ისევ აღიდგინა. დაზიანებები და შემდგომი ეფექტები არც მათ ჰქონიათ. ეს შემთხვევა მზისდაკვრად შერაცხეს, მაგრამ ყოველმა მათგანმა ერთდროულად დაკარგა გონება და ერთდროულადვე მოვიდა გონს. არც ერთს მზის დაკვრის სიმპტომები არ ჰქონია, ასე რომ, ნამდვილი მიზეზი საიდუმლოდ დარჩა. გარდა ამისა, არც დღე ყოფილა განსაკუთრებით ცხელი. ალბათ, სხვა ახსნა ვერ მოუძებნეს და ყველაზე შესაფერის მიზეზად ეს გამოაცხადეს.

ამ შემთხვევებს რამდენიმე საერთო ნიშანი აქვს: ყოველთვის ახალგაზრდა გოგონებს ან ბიჭებს ემართებოდათ, სკოლის ახლომახლო, ყველა ერთად კარგავდა გონებას და ერთდროულადვე მოდიოდა გონს, არც ერთს არ მოჰყოლია შემდგომი ეფექტი. მოხსენებებში ისიცაა ნათქვამი, რომ ამ ბავშვებთან მყოფ უფროსთაგან ზოგი კარგავდა გონებას, ზოგი კი არა. ამ მხრივ, ყველა შემთხვევა განსხვავდებოდა ერთმანეთისგან.

სხვა მსგავსი ამბებიც მომხდარა, მაგრამ ეს ორი ყველაზე კარგადაა დოკუმენტირებული და ლიტერატურაში ამ ფენომენის ტიპურ შემთხვევად განიხილება. იამანასის პრეფექტურაში მომხდარ ინციდენტს ყველა სხვა შემთხვევისგან განასხვავებს ერთი ელემენტი: ერთი ბიჭი გონს ვერ მოეგო. ეს ბავშვია ამ ამბის გასაღები. დაკითხვების შემდეგ იამანასის პრეფექტურიდან ტოკიოში დავბრუნდით და სამხედრო ჰოსპიტალს ვეწვიეთ, სადაც ეს ბიჭი იყო მოთავსებული.

არმია იმ დროს მხოლოდ იმიტომ იყო ამ შემთხვევით დაინტერესებული, რომ ეჭვი ჰქონდათ, თითქოს ყველაფერი მომწამვლელმა გაზმა გამოიწვია.

ასე მგონია. მაგრამ მაიორ ტოიამას მეტი ეცოდინება ამის შესახებ, შეგიძლიათ, პირადად მას ჰკითხოთ.

მაიორი ტოიამა 1945 წლის მარტში მოკლეს ტოკიოში, მოვალეობის შესრულებისას, საჰაერო დაბომბვის დროს.

ძალიან დამამწუხრა ამ ამბავმა. რამდენი გამორჩეული ადამიანი დავკარგეთ ომში.

საბოლოოდ ხომ დარწმუნდნენ სამხედროები, რომ ქიმიურ იარაღს არ გამოუწვევია ეს შემთხვევა? მათ ახსნა ვერ მოძებნეს, მაგრამ დარწმუნდნენ, რომ ომთან კავშირში არ იყო, არა?

დიახ, ასე მგონია. ამაზე გამოძიება შეწყვიტეს. მაგრამ იმ ბიჭს, ნაკატას, უფლება მისცეს, სამხედრო ჰოსპიტალში დარჩენილიყო, რადგან ამ შემთხვევით თავად მაიორი ტოიამა იყო დაინტერესებული, მას კი გავლენიანი ნაცნობები ჰყავდა იქ. გარდა ამისა, ჩვენ ნება დავგვრეთ, ყოველდღე მივსულიყავით სამხედრო ჰოსპიტალში და ღამითაც კი დავრჩენილიყავით, რომ ამ ბიჭის მდგომარეობა ყველანაირად შეგვესწავლა.

მიუხედავად იმისა, რომ ნაკატა უგონოდ იყო, მისი სხეული ნორმალურად განაგრძობდა ფუნქციონირებას, ვენურად მიეწოდებოდა საკვები და შარდისგან ხელოვნურად იცლებოდა რეგულარული ინტერვალებით. როდესაც შუქს ვთიშავდით, თვალებს ხუჭავდა და იძინებდა, დილით კი ისევ ახელდა. გარდა იმისა, რომ გონება ჰქონდა დაკარგული, სხვა მხრივ არაფერი ეტყობოდა. კომაში იყო, მაგრამ სიზმრებს აშკარად არ ხედავდა. როდესაც ადამიანებს რამე ესიზმრებათ, ისინი თვალებსამომრავებენ და გამომეტყველებაც ეცვლებათ ხოლმე. როდესაც ადამიანი სიზმარში მომხდარ მოვლენებზე რეაგირებს, გულისცემაც უზშირდება, მაგრამ ამ ბიჭს, ნაკატას, ამ ინდიკატორთაგან არც ერთი არ აღმოაჩნდა. გულისცემა, სუნთქვა და ტემპერატურა კვლავაც ჩვეულებრივზე ოდნავ დაბალი ჰქონდა, მაგრამ სტაბილური. შეიძლება, ცუდად გამოვხატავ სათქმელს, მაგრამ ნამდვილმა ნაკატამ თითქოს საკუთარი სხეული დატოვა და სადღაც წავიდა, სხეულმა კი თავის შესანარჩუნებლად თავისი ფუნქციების შესრულება განაგრძო მინიმალურ დონეზე.

თავში ერთი ტერმინი მომივიდა „სულის გადასახლება“. გსმენიათ ამის შესახებ? იაპონურ ხალხურ ზღაპრებში ხშირადაა მოთხრობილი ამგვარი ამბები. სული დროებით ტოვებს სხეულს, მიდის შორს სასიცოცხლო ამოცანის გადასაჭრელად და შემდეგ საკუთარ სხეულს უბრუნდება. გენძის ზღაპარში მოთხრობილი შურისმაძიებელი სულების მსგავსად. ამის ფესვები იაპონიის შორეულ წარსულში უნდა ვეძიოთ, ადამიანის სული სხეულს მხოლოდ სიკვდილის დროს კი არ ტოვებს, არამედ მას ძლიერი სურვილის შემთხვევაში, შეუძლია, სხეულს გამოეყოს. მეცნიერულად ეს დადასტურებული არ არის და არც კი მინდა ვარაუდის გამოთქმა.

მთავარი პრაქტიკული პრობლემა ის იყო, როგორ გაგვეღვიძებინა ნაკატა, როგორ მოგვეხსნა ჰიპნოზის ეფექტი და დაგვებრუნებინა მისთვის ცნობიერება. რა აღარ ვცადეთ: მშობლები მოვუყვანეთ. ისინი ხმამაღლა ეძახდნენ სახელს, რამდენიმე დღის განმავლობაში ვიმეორებდით ამას, მაგრამ უშედეგოდ. ყველაფერი ვცადეთ, რაც ჰიპნოზის შესახებ არსებულ ლიტერატურაში ვიპოვეთ: ცხვირწინ ტაშს ვუკრავდით, ნაცნობ მუსიკას ვასმენინებდით, სასკოლო წიგნებს ვუკითხავდით ხმამაღლა, საჭმლის ნაცნობი სურნელიც ვაყნოსეთ. სახლიდან თავისი საყვარელი კატაც კი მოვუყვანეთ. ყველაფერი ვცადეთ, რასაც შეეძლო, გონზე მოეყვანა, მაგრამ არაფერმა იმოქმედა.

ორი კვირის შემდეგ, როდესაც ყველაფერი ვცადეთ და აღარ ვიცოდით, კიდევ რა გვექნა, ბიჭმა თვითონ გამოიღვიძა. ჩვენ არაფერი გაგვიკეთებია. ყოველგვარი წინაპირობის გარეშე, თითქოს ეს დრო წინასწარ იყო შერჩეული, გონს მოეგო.

– მოხდა იმ დღეს რამე უჩვეულო?

აღსანიშნავი არაფერი. ჩვეულებრივი დღე იყო. დილის ათ საათზე მედდა შევიდა სისხლის ასაღებად ანალიზისათვის, რის მერეც ხუთვა დაეწყო და მედდას სისხლი დაექცა ზეწრებზე. სულ რამდენიმე შხეფი იყო, მაგრამ მაშინვე გამოუცვალეს. მარტო ეს იყო განსხვავება. ამის შემდეგ ნახევარ საათში ბიჭმა გამოიღვიძა. მოულოდნელად საწოლში წამოჯდა, გაიზმორა და მიმოიხედა. გონს მოეგო და ჯანსაღად იყო. მაგრამ მივხვდით, რომ მეხსიერება სრულიად ჰქონდა დაკარგული. არც თავისი სახელი ახსოვდა, არც ის, თუ სად ცხოვრობდა, ან სად სწავლობდა. მშობლებიც დაავიწყდა – აბსოლუტურად ყველაფერი. ის ვერ კითხულობდა და არც ის იცოდა, დედამიწაზე იაპონია რომ იყო. იაპონიის და დედამიწის რაობაც კი არ ესმოდა. სამყაროს სუფთა ფურცელივით ცარიელი გონებით დაუბრუნდა.

გატოტვილ ბუჩქებში მოვდივარ გონს. ნესტიან მიწაზე კუნძოვით ვგდივარ. ბნელა. მაყვლის ბუჩქებში ვარ გახლართული. ძალის მოკრებას ვცდილობ. მცენარეების, ჭუჭყისა და ძაღლის სკორესსუნი დგას. ტოტებს შორის ღამის ცას ვხედავ. არც მთვარეა, არც ვარსკვლავები, ცა კი საოცრად ნათელია. ღრუბლები ეკრანივითაა, მიწიდან ირეკლავენ სინათლეს. შორიდან სასწრაფო დახმარების მანქანების სირენების ხმა ისმის. ეს ხმა თანდათან მიახლოვდება და მშორდება. როდესაც სმენას ვამახვილებ, ტრასაზე მოძრავი მანქანების ბორბლების შრიალიც კი მესმის. ქალაქის ბოლოში უნდა ვიყო. ვცდილობ, ძალა მოვიკრიბო და ფაზლივით მიმოფანტული სხეულის ნაწილები მოვაგროვო. ასეთი რამ პირველად შემემთხვა. თუ არა? ნაცნობი განცდაა. მაგრამ არაფერი მახსენდება... თვალდახუჭული ვწევარ.

უეცრად პანიკა მიპყრობს – ჩემი ზურგჩანთა სად არის? სად დავტოვებდი? არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავკარგო, რაც მზადია, ყველაფერი იქ მაქვს. ასეთ სიბნელეში როგორ ვიპოვო? წამოდგომას ვცდილობ, მაგრამ ფეხები არ მემორჩილება. რატომ დამიმძიმდა უეცრად მარჯვენა ხელი? მაჯის საათს დავყურებ. 11:26. 28 მაისი. საკუთარი დღიური გამახსენდა. 28 მაისი. რამდენიმე საათით ვყოფილვარ გათიშული, კიდეც კარგი, მეტი არა... ასე, ოთხი საათით...

28 მაისი ყველა სხვა დღის მსგავსი იყო. არაფერი უჩვეულო არ მომხდარა. ჯერ სპორტულ დარბაზში წავედი, მერე კომურას ბიბლიოთეკაში. ჩვეულებისამებრ ტრენაჟორებზე ვივარჯიშე, სოსეკიც ამოჩემებულ სავარძელში მოკალათებულმა წავიკითხე. სადგურის ახლოს ვისადილე. როგორც მახსოვს, სადილად მივირთვი ორაგული ბრინჯის გარნირით, ცოტაოდენი მისოს სუპი და სალათა. ამის შემდეგ... შემდეგ რა მოხდა, ვერ ვიხსენებ.

მარცხენა მხარი მტკივა. თანდათანობით ტკივილი ძლიერდება. რაღაცას ძლიერად დავჯახებივარ. მტკივან ადგილს მარჯვენა ხელით ვიხეილ. არც ჭრილობაა, არც სიმაგრე. იქნებ მანქანამ დამარტყა? მაგრამ არც ტანსაცმელი მაქვს დაფლეთილი და მარტო მარცხენა მხარზე მტკივა ერთი წერტილი. დალურჯებული მექნება.

ხელებს ვაფათურებ ბუჩქებში, მაგრამ ტოტების გარდა ვერაფერს ვეხები, პატარა შეშინებული მხეცებივით მაგრები და დაკლავნილები არიან. ზურგჩანთას ვერ ვპოულობ. შარვლის ჯიბეებში ვიქექები. მადლობა ღმერთს, საფულე არ დამიკარგავს. შიგ ფული მიდევს, სასტუმროს გასაღები და მობილურის ბარათი. გარდა ამისა, ჯიბეში ხურდების ქისა მაქვს, ცხვირსახოცი და ბურთულიანი ავტოკალამი. თითქოს არაფერი დამიკარგავს. რძისფერი ჩინო მაცვია, გრძელმკლავიანი ბამბის მაისური და მუქლურჯი ფეხსაცმელი. მარტო კეპი არ ჩანს, ჩემი ნიუ-იორკის იანკის ბეისბოლის კეპი. სასტუმროდან რომ გამოვედი მეხურა, ახლა კი აღარ მახურავს. დამივარდებოდა სადმე, ან დამრჩებოდა. ეგ არაფერი.

როგორც იქნა, ფიჭვის ხეზე მიყუდებულ ზურგჩანთასაც ვპოულობ. რატომ უნდა დამეტოვებინა აქ და მერე იმ ეკალ-ბარდებში რატომ უნდა შევმძვრალიყავი გონების დასაკარგად? მაინც სად ჯანდაბაში ვარ? ვერაფერს ვიხსენებ. კარგია, რომ ზურგჩანთა ვიპოვე. გვერდითა ჯიბიდან ფანარს ვიღებ და ვამოწმებ, რამე ხომ არ დაკარგულა ჩანთიდან. ყველაფერი ადგილზეა. მადლობა ღმერთს, ფულიც აქაა.

ზურგანთას ვიკიდებ და ბუჩქებს შორის გზას ვიკვალავ. პატარა მოშიშვლებულ ადგილზე ვხვდები. გზას ფანრით ვინათებ. ვიწრო ბილიკს იქით მივუყვები, საითაც სინათლე მოჩანს. შინტოს ტაძრის მიწაზე ვყოფილვარ, გონება კი მთავარი ტაძრის უკან, პატარა ტყეში დამიკარგავს.

მაღალ ბოძზე დაკიდებული ლამპა ცივად დანათის ტაძარს, შესაწირავის ყუთს და ხის დაფებს ზედ წარწერილი სურვილებით. ჩემი ჩრდილი უსაშველოდ გრძელი ჩანს. ტაძრის სახელს აბრაზე ვკითხულობ და ვიმახსოვრებ. ახლომახლო არავინაა. საპირფარეშო შევნიშნე და შევედი. საოცრად სუფთა აღმოჩნდა. ზურგანთა მოვისხენი და პირი დავიბანე, მერე ნიჟარის თავზე დაკიდებულ სარკეში ჩავიხედე. ყველაზე ცუდისთვის მოვემზადე, არც შევმცდარვარ, საშინლად გამოვიყურები – ფერდაკარგული, ლოყებჩაცვენილი, ტალახიანი და თმაგაჩეჩილი.

თეთრ მაისურზე უზარმაზარი პეპლის ფორმის მუქი ლაქა შევნიშნე. ვცადე ამომეყვანა, მაგრამ ვერაფერს გავხდი. რაღაც წებოვანია. უნდა დავმშვიდდე. მაისურს ვიხდი. სისხლია. ჯერ არ გამხმარა. ცხვირთან ახლოს მიმაქვს. სუნი არა აქვს. შიდა მაისურსაც მიშხეფებია სისხლის წვეთები, მაგრამ მუქ ქსოვილს ძალიან არ ეტყობა, თეთრი მაისურისგან განსხვავებით.

მაისურს ნიჟარაში ვრეცხავ. სისხლი წყალს ერევა და ნიჟარა წითლად იღებება. მაისურს სისხლის ლაქას ვერ ვაშორებ. სანაგვეში ჩაგდება გადავწყვიტე, მაგრამ გადავიფიქრე. ჯობია, რომელიმე სხვა ადგილას მოვიშორო თავიდან. ამ მაისურს პოლიეთილენის პარკში ვდებ, მერე კი ზურგანთაში. თმას ვისველებ და ვცდილობ, გავისწორო. ზურგანთიდან საპონს ვიღებ და ხელებს ვიბან. მიცახცახებს. გულმოდგინედ ვიბან თითებს შორის და ფრჩხილებქვეშ. სველი პირსახოცით გულმკერდს ვიწმენდ. ბამბის მაისურს ვიცვამ, ყელამდე ვიკრავ ღილებს და შარვალში ვიტანიებ. არ მინდა, ხალხის ყურადღება მივიპყრო, ამიტომ ვცდილობ, ნორმალურად გამოვიყურებოდე.

შეშინებული ვარ, კბილს კბილზე მაცემინებს. ვცდილობ, თავი ხელში ავიყვანო. ხელებს წინ ვიშვერ და ვაკვირდები. მიცახცახებს. ვიღაც სხვის ხელებს ჰგვანან, პაწაწინა ცხოველებს, რომლებიც ჩემგან დამოუკიდებლად ცხოვრობენ. ხელისგულები ისე მტკივა, თითქოს ხელში გახურებული მეტალის ძელი მჭეროდეს. ხელებით ნიჟარას ვეყრდნობი, წინ ვიხრები, თავით – სარკეს. ტირილი მინდა. მაგრამ ვინ მოვა, ვინ მანუგეშებს?! არავინ...

ღმერთო, როგორ მოვითხვარე ამ სისხლში? რას ვაკეთებდი? არაფერი მახსოვს. არც ჭრილობა მაქვს, არც რამე მტკივა, გარდა მარცხენა მხრისა. სისხლი ვიღაც სხვისი უნდა იყოს. ვიღაც სხვისი... აქ ვერ დავრჩები, პოლიციელებმა სისხლში ამოსვრილი რომ მნახონ, ჩემი საქმე წასულია... არც სასტუმროში დაბრუნება ღირს. რა ვიცი, ვინ არის იქ ჩასაფრებული. რაღაცაში ვარ გარეული ალბათ, და არ მახსოვს. იქნებ ვინმეს რამე დავუშავე... კიდევ კარგი, ყველაფერს ზურგანთით რომ დავატარებ. მთავარია, არ შევშინდე და ყველაფერი კარგად იქნება.

„გახსოვდეს, შენ დედამიწაზე ყველაზე ძლიერი 15 წლის ბიჭი ხარ. თავი ხელში აიყვანე. რამდენჯერმე ღრმად ამოისუნთქე და ტვინი გაანძრე. ყველაფერი მოგვარდება. მაგრამ ძალიან ფრთხილად უნდა იყო. ნუ დაივიწყებ, რომ ეგ სისხლია, ვიღაცის სისხლი. და განა ერთი და ორი წვეთი! ვიდრე ჩვენ აქ ვსაუბრობთ, ვიღაც ალბათ უკვე დაგეძებს. ჯობია, რაღაც მოიმოქმედო. მხოლოდ იმასთან შეგიძლია მიხვიდე. კარგად იცი, ვისაც ვგულისხმობ“...

რამდენჯერმე ღრმად ამოვისუნთქე დასამშვიდებლად. ზურგჩანთას ვიკიდებ და საპირფარეშოდან გამოვდივარ. ქვიშაზე მივდივარ ხრამუნით, სინათლე მეცემა, ვცდილობ, ტვინი გავანძრიო. ტვინი უნდა გადავტვირთო... არა, ელემენტები დაცლილია. მყუდრო და უსაფრთხო ადგილი მჭირდება, სადაც ძალებს მოვიკრებ. მაგრამ სად წავიდე? ბიბლიოთეკის გარდა ვერაფერს ვიხსენებ, მაგრამ კომურას ბიბლიოთეკა ხომ ხვალ 11 საათამდე დაკეტილი იქნება, მე კი იმ დრომდე სადმე სხვაგან უნდა დავიმალო.

თავში სხვა აზრი მომდის, ისეთ ადგილას ვჯდები, სადაც ვერავინ შემნიშნავს და ზურგჩანთიდან მობილურს ვიღებ. ვამოწმებ, ისევ მუშაობს თუ არა, მერე საფულიდან საკურას ნომერს ვიღებ და ვკრეფ. ხელებს ჯერ კიდევ ვერ ვიმორჩილებ, ძლივს ვახერხებ ნომრის აკრეფას. მაღლობა ღმერთს, ავტომობილს არ მპასუხობს. თორმეტი ზარის შემდეგ იღებს ყურმილს. ვეუბნები, ვინც ვარ.

– კაფკა თამურა, – უკმაყოფილოდ მპასუხობს, – იცი, რა დროა? დილით ადრე უნდა ავდგე.

– ვიცი, ვწუხვარ, ასე გვიან რომ გირეკავ, – ხმა დამაბული მაქვს, – მაგრამ სხვა გზა არ მქონდა. პრობლემა მაქვს, სხვა ვერავინ დამეხმარება...

არაფერს მპასუხობს. თითქოს ჩემი ხმის ტონს გონებაში წონის.

– რამე სერიოზულია? – როგორც იქნა, რაღაც მიპასუხა.

– ახლა ვერ გეტყვი, რაშია საქმე, მაგრამ ჰო. უნდა დამეხმარო. ამ ერთხელ. გპირდები, აღარ შეგაწუხებ.

ფიქრობს. განა დაიბნა, უბრალოდ ფიქრობს.

– სადა ხარ?

ტაძრის სახელს ვეუბნები.

– ეგ ტაკამაცუშია?

– დანამდვილებით არ ვიცი...

– ისიც კი არ იცი, სად ხარ?

გაკვირვებულია.

– გრძელი ამბავია...

ამოიოხრა.

– ტაქსით მოდი ლოუსონის სასურსათო მაღაზიასთან, ჩემს ბინასთან ახლოა. უზარმაზარი აბრა აქვს, შეამჩნევ. ტაქსის ფული გაქვს?

– კი.

– კარგი. – ყურმილს კიდებს.

ტაძრის ეზოდან გავდივარ, მთავარ გზაზე ტაქსის ვაჩერებ. მძღოლს ვთხოვ, ლოუსონის სასურსათო მაღაზიასთან მიმიყვანოს. ვეკითხები, შორი გზა თუა და მპასუხობს, არა, ათი დოლარის გზააო.

ლოუსონთან ტაქსი ჩერდება, მგზავრობის ღირებულებას ვიხდი, ხელები ისევ მიცახცახებს. ზურგჩანთას ვიკიდებ და მაღაზიაში შევდივარ. საკურა ჯერ არ მოსულა. რძეს ვყიდულობ, მიკროტალღურ ღუმელში ვითბობ და ნელ-ნელა ვსვამ. თბილმა რძემ შიმშილის გრძნობა ცოტათი დამიოკა. მაღაზიის თანამშრომელს ზურგჩანთის გამო, მგონი, ქურდი ვეგონე, ამიტომ კარგა ხანს თვალს არ მაშორებდა. ჟურნალების თაროსთან ვდგავარ, თითქოს ამორჩევას ვცდილობ და ფანჯარაში საკუთარ ანარეკლს ვაკვირდები. თმა ოდნავ აჩეჩილი მაქვს, მაისურს კი თითქმის არ ეტყობა სისხლი. ვინმე თუ შეამჩნევს, საჭმლის ლაქა ეგონება. აღარ უნდა ვიცახცახო.

ათი წუთის შემდეგ საკურა შემოდის მაღაზიაში. თითქმის ღამის პირველი საათია. ნაცრისფერი სვიტრი და ფერგასული ჯინსი აცვია და მუქლურჯი კეპი ახურავს. უკან კიკინა გაუკეთებია. საკურას დანახვაზე კბილის კბილზე ცემინებას ვწყვეტ. მიახლოვდება და ისე მაკვირდება, როგორც გასაყიდ ძაღლს. რაღაცას ბუტბუტებს, მერე კი მხარზე ორჯერ მსუბუქად მარტყამს ხელს.

– წამო.

ლოუსონიდან ორი კვარტალის იქით ცხოვრობს ორსართულიან შენობაში. კიბეზე ადის, ჯიბიდან გასაღებს იღებს და მწვანე კარს აღებს. ორი ოთახია, სამზარეულო და აბაზანა. კედლები თხელია, იატაკი ჭრიალებს. ოთახებში მზის სხივები ალბათ მარტო ცხელ დღეებში აღწევს. მეზობლად ტუალეტი ჩარეცხეს, სადღაც კარი მიიხურეს. სასიამოვნო გარემო არ არის, მაგრამ ნამდვილი ადამიანები მაინც ცხოვრობენ. სამზარეულოს ნიჟარაში ჭურჭელია დახვავებული. აქეთ-იქით ყრია პლასტმასის ცარიელი ბოთლები და ჟურნალები, ქოთანში ტიტები ჩამომჰკნარა, მაცივარზე საყიდლების სიაა მიმაგრებული, სკამის ზურგზე წინდება გადაკიდებული, მაგიდაზე გაზეთია გადაშლილი სატელევიზიო პროგრამის გვერდებზე და საფერფლე და ერთი კოლოფი «ვირჯინია სლიმსი» აწყვია. უცნაურია, მაგრამ აქაურობა მამშვიდებს.

– ეს მეგობრის ბინაა, ჩემთან ერთად ტოკიოში მუშაობდა, მაგრამ შარშან უკან, ტაკამაცუში დაბრუნდა, აქაურია. მერე კი ინდოეთში მოინდომა მოგზაურობა ერთი თვით და მთხოვა, აქაურობას მიმიხედო. ვიდრე წასულია, მის ნაცვლად ვმუშაობ. ისიც სტილისტია. ვიფიქრე, ტოკიოსგან დროებით თავის დაღწევა კარგი იქნება-მეთქი. თანამედროვე ტიპია. არა მგონია, ერთ თვეში დაბრუნდეს უკან.

სასადილო მაგიდასთან დამსვა და მაცივრიდან პეპსის ქილა მომაწოდა. უჭიქოდ. ზოგადად არ ვსვამ კოლას, ძალიან ტკბილია, კბილებსაც ვნებს, მაგრამ ახლა წყურვილი მკლავს და ქილას სულ ვცლი.

– გშია? ატრია მაქვს.

მინდა-მეთქი.

– იცი, საშინლად რომ გამოიყურები?

თავი დავუქნიე.

– რა მოხდა, აღარ იტყვი?

– ნეტავი ვიცოდე.

– არ იცი, რა მოხდა. არც ის იცი, სად იყავი. თან გრძელი ამბავია. და თან შარშიც ხარ, არა?

– ჰო.

ჩუმადაა. შუბლშეჭმუხნილია.

– ტაკამაცვში ნათესავები არ გყავს, არა? სახლიდან გამოიქეცი, ხო?

თავი დავუქნიე.

– შენხელა რომ ვიყავი, სახლიდან გავიქეცი. ვიცი, ეგ რაც არის. ამიტომ მოგეცი ჩემი ნომერი. მივხვდი, დაგჭირდებოდა.

– ვაფასებ.

– ჩიბას პრეფექტურაში, იტიკავაში ვცხოვრობდი. მშობლებს ვერ ვეწყობოდი და სკოლა მეჯავრებოდა. ამიტომ მშობლებს ფული მოვპარე და სახლიდან გავიქეცი. 16 წლის ვიყავი. კუნძულ ჰოკაიდოზე, ქალაქ აბასირიში ჩავედი. პირველივე ფერმასთან შევჩერდი და ვთხოვე, მუშაობა დამაწყებინეთ-მეთქი. ვუთხარი, ყველაფერს გავაკეთებ, რასაც დამავალებთ და მუყაითად ვიმუშავებ-მეთქი. ჯამაგირს არ ვთხოვდი, მინდოდა, მხოლოდ ეჭმიათ და თავზე ჭერი მქონოდა. ის ქალი თავაზიანად მომექცა, მაგიდასთან დამსვა და ჩაით გამიმასპინძლდა. აქ დამელოდეო, მითხრა. მერე კი პატრულის მანქანა მოვიდა და პოლიციელებმა სახლში დამაბრუნეს. ამ ქალისთვის თურმე ეს პირველი შემთხვევა არ ყოფილა. იმ დროს მივხვდი, რომ რამე ხელობა უნდა მესწავლა, რომლითაც თავს ნებისმიერ ადგილას გავიტანდი. ამიტომ სკოლიდან გამოვედი, პროფესიულ სასწავლებელში გადავედი და სტილისტი გავხდი, – ოდნავ იღიმება, – პრაქტიკულად მივუდექი საქმეს, არა?

თავი დავუქნიე.

– ყველაფერი მიაბზე, კარგი? – სიგარეტი ამოიღო კოლოფიდან და მოუკიდა, – არა მგონია, დღეს ნორმალურად გამოვიძინო, ამიტომ მინდა, მთელი ამბავი მოვისმინო.

ყველაფერს მოვუყევი, რაც თავს გადამხდა სახლიდან წამოსვლის შემდეგ. წყევლის შესახებ არაფერი მითქვამს. ეს ისეთი რამ არის, ყველას ვერ ეტყვი.

– შეიძლება, ნაკატამ კავამურა გიწოდოთ? – გაუმეორა კითხვა ზოლებიან წაბლისფერ კატას. სიტყვებს მკაფიოდ წარმოთქვამდა, რომ კატას ადვილად გაეგო.

ამ კატამ უთხრა, მგონი, დაკარგულ, ერთი წლის ჭრელ ფისოს, გომას გადავეყარე ამ მიდამოებშიო. ნაკატას უჭირდა კავამურას ნათქვამის გაგება. არც კატას ესმოდა მისი, საკუთარ ფიქრებში იყო გართული. საუბარი ვერ აეწყო.

– როგორც გინდა. უზარმაზარი თავი.

– უკაცრავად, მაგრამ ნაკატას არ ესმის თქვენი. მაპატიეთ. ჭკვიანი არა ვარ.

– თინუსი, ბოლოს და ბოლოს.

– გინდათ თქვით, თინუსს მიირთმევდით?

– არა. ხელფეხშეკრული ვარ. იქამდე.

ნაკატასთვის კატებთან კომუნიკაციის დამყარება არ იყო ადვილი. ადამიანი კატას ისედაც ვერ გაესაუბრებდა უპრობლემოდ, ნაკატას კი კატებთან კი არა, ადამიანებთანაც უჭირდა საუბარი. ის, რომ წინა კვირას ოცუკას იოლად ელაპარაკა, გამონაკლისი უფრო იყო, ვიდრე წესი. ჩვეულებრივ, კატისთვის უმარტივესი აზრის გადაცემაც კი ნაკატასგან დიდ გარჯას მოითხოვდა. ცუდ შემთხვევაში კატასთან დიალოგი იმ ორი ადამიანის საუბარს ჰგავდა, არხის სხვადასხვა მხარეს რომ დგანან ქარიან დღეს და ერთმანეთს უყვირიან. ახლაც ასე იყო. წაბლისფერზოლებიანი კატების გაგება ყველაზე მეტად უჭირდა რატომღაც. შავ კატებთან იშვიათად ექმნებოდა პრობლემები. ყველაზე მარტივად სიამის კატებთან ამყარებდა ურთიერთობას, მაგრამ სიამის კატები ქუჩებში იშვიათად დაწანწალებენ. სიამის კატები სახლებში ჰყავთ და თავს ევლებიან. რატომღაც ყველაზე მეტი მაწანწალა კატა სწორედ წაბლისფერზოლებიანი.

ნაკატა სირთულეებისთვის მზად იყო, მაგრამ კავამურას სიტყვების ახსნა მაინც ძალიან უჭირდა. ის სიტყვებს გაუგებრად წარმოთქვამდა, ნაკატას არც ცალკეული სიტყვის მნიშვნელობა ესმოდა, ვერც ერთმანეთთან აკავშირებდა მათ. კატის ლაპარაკი გამოცანებს უფრო ჰგავდა, ვიდრე წინადადებებს. ნაკატა სიმშვიდეს ინარჩუნებდა, დროც თავზესაყრელად ჰქონდა. კითხვებს უმეორებდა, კატაც იმეორებდა პასუხებს. სახლებს შორის მდებარე პატარა საბავშვო ბაღში, ტროტუარზე ისხდნენ. ერთ საათს სულ ერთსა და იმავეს იმეორებდნენ.

– კავამურა მხოლოდ სახელია. ასე მოგმართავთ. არაფერს ნიშნავს. ნაკატა ყველა კატას სახელს არქმევს, რომ ადვილად დაიმახსოვროს ისინი. არანაირ პრობლემას სახელი არ შეგიქმნით. გპირდებით. უბრალოდ ასე მოგმართავთ, წინააღმდეგი თუ არ იქნებით.

პასუხად კავამურამ რაღაც წაიბურტყუნა გაუგებრად. ნაკატა მიხვდა, რომ ასე დიდხანს გაგრძელდებოდა და შეაწყვეტინა. მერე კიდევ ერთხელ უჩვენა გომას ფოტო.

– ბატონო კავამურა, ეს გომაა. კატა, რომელსაც ნაკატა დაემებს. ერთი წლის ჭრელი კატა. ნოგატას მესამე კვარტალში მცხოვრებ კოიძუმის ოჯახს ეკუთვნის. გომა ცოტა ხნის წინ დაეკარგათ. ქალბატონმა კოიძუმიმ ფანჯარა გააღო, კატა გადახტა და გაიქცა. კიდევ ერთხელ გკითხავთ, ეს კატა გინახავთ?

კავამურამ კიდევ ერთხელ დახედა ფოტოს და თავი დაუქნია.

– თუ თინუსია, კავამურა დაკავებულია. დაკავებულია იპოვოს.

– ვწუხვარ, მაგრამ, როგორც ახლახან გითხარით, ნაკატა არც ისე ჭკვიანია და ვერ იგებს, რას ეუბნებით. შეგიძლიათ, გაიმეოროთ?

– თუ თინუსია, კავამურა ეცდება. ცდა იპოვოს და იზამს.

– თინუსში თევზს გულისხმობთ?

– გასინჯავს თინუსს, დაკავდება, კავამურა.

ნაკატამ მოკლედ შეკრეჭილ შევერცხლილ თმაზე ხელი გადაისვა და ჩაფიქრდა. ამ ყველაფრიდან აზრი როგორ გამოიტანოს? თინუსი რას უნდა ნიშნავდეს? დიდხანს ეცადა, მაგრამ ვერ გაერკვა. მოვლენების ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირება ნამდვილად არ იყო მისი ძლიერი მხარე. კავამურამ კი უკანა თათი ასწია და ნიკაპქვეშ კარგად მოიფხანა.

სწორედ ამ დროს ნაკატას უკნიდან ჩუმი კისკისი მოესმა. მიტრიალდა და სახლის დაბალ ლობზე მჯდომ ლამაზ, წერწეტა სიამის კატას მოჰკრა თვალი, რომელიც მოჭუტული თვალებით შესცქეროდა მოხუცს.

– მაპატიეთ, თქვენ ბატონი ნაკატა ბრძანდებით? – ამოიკრუტუნა სიამის კატამ.

– დიახ, ასეა. ნაკატა მქვია. სასიამოვნოა თქვენი გაცნობა.

– ჩემთვისაც. – უპასუხა სიამის კატამ.

– დილიდანვე მოიღრუბლა, მაგრამ არა მგონია, მალე გაწვიმდეს. – თქვა ნაკატამ.

– კარგი იქნება, თუ არ იწვიმებს.

დედალი კატა იყო, შუახნის. კუდი მალლა ეჭირა ამაყად და საყელო ეკეთა, რომელზეც სახელი ეწერა. სასიამოვნო გარეგნობა ჰქონდა, გამხდარი იყო, გრამი არ ჰქონდა ზედმეტი.

– მიმი მქვია, მიმი „ბოჭემიდან“. სიმღერაც კია ში, Mi Chiamano Mimi.

– ჰოო. – ნაკატა ვერაფერს ხვდებოდა,

– პუჩინის ოპერაა, როგორც მოგეხსენებათ. ჩემი პატრონი ოპერის თავგადაკლული მოყვარულია, – თქვა მიმომ და მოკრძალებით გაიღიმა, – ნიჭი რომ მქონოდა, გიმღერებდით.

– ნაკატა მოხარულია, რომ გაგიცნოთ, მიმი.

– მეც, ბატონო ნაკატა.

– ახლომახლო ცხოვრობთ?

– აი, იმ ორსართულიან სახლში. ტანაბეებთან. ხედავთ, არა? წინ რომ კრემისფერი BMW დგას, ის სახლია.

– გასაგებია. – უპასუხა ნაკატამ. მაგრამ BMW რა იყო, წარმოდგენა არ ჰქონდა, კრემისფერი მანქანა კი შენიშნა. ალბათ სიამის კატა ამას გულსხმობდა.

– ბატონო ნაკატა, – დაიწყო მიმიმ, – ცნობილია, რომ თავდაჯერებული ან, შეიძლება ითქვას, ძალიან იშვიათი ტიპის კატა ვარ, და, როგორც წესი, სხვის საქმეში არ ვერევი. მაგრამ ეს ახალგაზრდა, რომელსაც თქვენ კავამურას უწოდებთ, არ გახლავთ მაინცდამაინც ჭკვიანი ფისო. პატარა იყო, როდესაც ბავშვი დაეჯახა ველოსიპედით და საბრალომ თავი ბეტონს მიარტყა. მას შემდეგ აზრი არ მოეკითხება. ამიტომ მოთმინებითაც რომ მოეკიდოთ, – როგორც შევამჩნიე, ასე იქცეოდით – მისგან ვერაფერს გაიგებთ. ერთხანს გიცქირეთ და ვერ შევძელი, არ ჩავრეულიყავი თქვენს საუბარში. ვიცი, ულამაზო საქციელია, მაგრამ რაღაც უნდა მეთქვა.

– არა, ასე ნუ იტყვით. მიხარია, რომ დამელაპარაკეთ. ნაკატა ისევე სულელია, როგორც კავამურა და, ვშიშობ, სხვების დაუხმარებლად თავს ვერ გაიტანს. ამიტომაც ვიღებ სუბსიდის იას გუბერნატორისგან ყოველთვიურად. ამიტომ მახარებს თქვენი აზრის მოსმენა, მიმი.

– როგორც ვხვდები, კატას დაემბთ, – მიუგო მიმიმ, – ყურს არ გიგდებდით, მაგრამ ვიდრე მთვლემდა, თქვენი საუბარი მესმოდა. როგორც გავიგე, გომა ჰქვია, არა?

– დიახ, ასეა.

– და კავამურას გომა უნახავს?

– ასე მითხრა. მაგრამ კიდევ რა თქვა, ნაკატამ ვერ გაიგო.

– თუ წინააღმდეგი არ იქნებით, ბატონო ნაკატა, თქვენს საუბარში ჩავერთვები. ორი კატისთვის კომუნიკაციის დამყარება გაცილებით მარტივია. გარდა ამისა, მისი მეტყველების მანერას შეჩვეული ვარ. ასე რომ, მოვუსმენ და გაგაგებინებთ.

– ძალიან დამავალებთ.

სიამის კატამ ოდნავ შესამჩნევად დაუკრა თავი და ბალერინასავით მსუბუქად ჩამოხტა ღობიდან. შავი კუდი დროშასავით ჰქონდა აღმართული. აუჩქარებლად წამოვიდა და კავამურას მიუჯდა. მან მაშინვე მიმის გავა დაყნოსა, მაგრამ სიამის კატამ მარდად შემოჰკრა ლოყაზე თათი და ახალგაზრდა კატა უკან გადახტა. მცირე პაუზის შემდეგ მიმიმ ცხვირზე შემოსცხო.

– ყურადღებით მომისმინე, უტვინოვ! შე აყროლებულო უვარგისო ქმნილებავე! – დაისისინა მიმიმ, მერე კი ნაკატას მიუბრუნდა, – უნდა დაინახოს, ვინ არის მთავარი, თორემ ამასთან

ვერაფერს მიაღწევ, ბოდვას დაიწყებს და სისულელეების გარდა ვერაფერს მოისმენ. მისი ბრალი არ არის, ამ დღეში რომაა და ძალიან მეზრალეა, მაგრამ რაღა დაგვრჩენია?

– მესმის. – უპასუხა ნაკატამ, მაგრამ წარმოდგენა არ ჰქონდა, რაზე ეთანხმებოდა.

ორმა კატამ საუბარი წამოიწყო. სწრაფად და ხმადაბლა საუბრობდნენ. ნაკატამ სიტყვაც ვერ გაარჩია. მიმი უკმეხი ტონით უსვამდა კითხვებს, ახალგაზრდა კატა მორიდებით პასუხობდა. შეეყოყმანდებოდა თუ არა, სახეში მიმის თათი ხვდებოდა. სიამის კატა ჭკვიანი იყო და განათლებული. ნაკატას ბევრი კატა ენახა, მაგრამ ასეთი, ოპერას რომ უსმენს და მანქანის მოდელებში ერკვევა – არასოდეს. მონუსხული შეჰყურებდა მიმის, რომელიც მარჯვედ აკეთებდა საქმეს.

როდესაც მიმიმ ყველაფერი გაიგო, რაც აინტერესებდა, ახალგაზრდა კატა გააგდო.

– წადი, საქმე მონახე! – უთხრა მკაცრად და დამწუხრებული კავამურა გაიძურწა. მიმი მყუდროდ მოკალათდა ნაკატას კალთაში. – მგონი, აზრი გამოვიტანე.

– დიდად დამავალეთ. – მიუგო ნაკატამ.

– ამ კატამ, კავამურამ, მითხრა, რომ გომა რამდენჯერმე ნახა ამ ქუჩაზე, ბალახიან ნაკვეთზე. მიტოვებული ნაკვეთია, სადაც მშენებლობა იგეგმებოდა. უძრავი ქონების სააგენტომ შეიძინა მანქანის ნაწილების საწყობი და დაანგრია, საცხოვრებელი კორპუსის აგებას გეგმავდნენ. მაგრამ სამოქალაქო მოძრაობის წარმომადგენლებმა გააპროტესტეს მშენებლობის წამოწყება, დავა სასამართლოში წარიმართა და მშენებლობა შეჩერდა. ასეთი რამ დღეს ხშირად ხდება. ნაკვეთი ბალახითაა დაფარული და ადამიანები იქ იშვიათად არიან, ამიტომ მაწანწალა კატების თავშესაყრელად საუკეთესო ადგილია ამ ტერიტორიაზე. ბევრს არ ვეამხანაგები, არ მინდა, რწყილები გამიჩნდეს, ამიტომ იქ იშვიათად მივდივარ. გეცოდინებათ, ეს რწყილები ერთი თუ გაგიჩნდა, მერე ვეღარ მოიშორებ.

– მესმის. – დაეთანხმა ნაკატა.

– მითხრა, კატა ისე გამოიყურება, როგორც ფოტოზეაო. მორცხვი, ლამაზი პატარა ჭრელი კნუტი საყელოთი. არც ლაპარაკი შეუძლია. ყველას უფიქრია, მიამიტი დაკარგული კატაა, რომელიც სახლის გზას ვერ პოულობსო.

– ეს როდის მოხდა?

– ბოლოს სამი თუ ოთხი დღის წინ უნახავთ. კავამურა უჭკუოა, კვირის დღეებსაც ვერ ჩამოთვლის. წინა დღით იწვიმაო, მითხრა. ვფიქრობ, ორშაბათს ნახავდა. მახსოვს, კვირას კოკისპირულად წვიმდა.

– ნაკატაც ვერ ჩამოთვლის კვირის დღეებს, მაგრამ მართალი ხარ, იმ დღეს იწვიმებდა. მას შემდეგ არ უნახავს?

– არა. არც სხვა კატებს უნახავთო, ამბობს. კარგა აფრენს, დიდი ბედოვლათია, მაგრამ არ უნდა ტყუოდეს.

– მაღლობელი ვარ!

– მოხარული ვარ, რომ დაგეხმარეთ. ძირითადად ამ უვარგის კატებთან მიწევს საუბარი, მათთან ვერაფერზე ვთანხმდები. უკიდურესად მაღიზიანებენ! თქვენნაირ ჭკვიან ადამიანთან საუბარმა ახალი სიოსავით დაუბერა.

– მესმის, – უთხრა ნაკატამ, – მაგრამ ნაკატას კიდევ რაღაც აინტერესებს. ბატონი კავამურა თინუსის შესახებ ამბობდა რაღაცას. მაინტერესებს, თევზს გულისხმობდა?

მიმიმ მოხდენილად ასწია წინა მარცხენა თათი, რბილობის ვარდისფერ ხორცზე დაიხედა და ჩაიკისკისა.

– ამ ახალგაზრდას მდიდარი ლექსიკონი არა აქვს.

– ლექსიკონი?

– სიტყვის მარაგი მცირე აქვს, ამას ვგულისხმობ. ყველაფერი რაც გემრიელია, მისთვის თინუსია. მისთვის თინუსი დელიკატესია, რადგან საკვებად ვარგისია. არც კი იცის, რომ ზღვის კაპარჭინა არსებობს, ან პალტუსი, ანდა ყვითელკუდა.

ნაკატამ ჩაახველა.

– ნაკატა თინუსის მოყვარული სულაც არ არის. გველთევზა კი მიყვარს.

– მეც სიამოვნებით მივირთმევ გველთევზას, თუმცა ის ყოველდღიური საჭმელი არ არის.

– მართალია. ის ყოველდღიური საჭმელი არ არის.

ერთხანს ორივე ჩუმად იყო, გველთევზათი კუჭის ამოვსებაზე ფიქრობდნენ.

– კავამურა ამბობდა, – ისე განაგრძო მიმიმ, თითქოს ახალა გაახსენდა სათქმელიო, – მას შემდეგ, რაც სამეზობლოს კატები ამ ცარიელ ადგილს შეეჩვივნენ, ცუდი კაცი გამოჩნდა, რომელიც მათზე ნადირობს. კატებს უფიქრიათ, გომას ეს კაცი წაიყვანდაო. ეს კაცი რაღაც გემრიელით იტყუებს თურმე ფისოებს და მერე დიდ ტომარაში ყრის. კატების დაჭერაში გამოცდილი უნდა იყოს. მშიერი, გულუბრყვილო გომა მის მახეში ადვილად გაებმებოდა. რამდენიმე წინდახედული მაწანწალა კატაც კი გაება მის მახეში. საზარელია! რა უნდა იყოს კატისთვის ტომარაში გამომწყვდევაზე საშინელი!

– გასაგებია, – ჩაილაპარაკა ნაკატამ და ხელისგული ისევ შევერცხლილ თმაზე გადაისვა, – მაგრამ რას უნდა უშვებოდეს ეს კაცი დაჭერილ კატებს?

– ეს არ ვიცი. ადრე კატების ტყავისგან თურმე სიამისენს აკეთებდნენ, დღეს კი ამ საკრავზე იშვიათად უკრავს ვინმე. მსმენია, რომ დღეს მას უკვე პლასტმასისგან ამზადებენ. მსოფლიოს ზოგ ქვეყანაში კატის ხორცს ჭამენ, მაღლობა ღმერთს, იაპონიაში – არა! ამიტომ ეს ორივე მოტივი უნდა გამოვრიცხოთ. რაც ნიშნავს, რომ...ალბათ, სამეცნიერო ექსპერიმენტებში იყენებს. კატებზე უამრავ ექპერიმენტს ატარებენ. ერთ ჩემს მეგობარზე ტოკიოს უნივერსიტეტში ექსპერიმენტი ჩაატარეს. საშინელება იყო, მაგრამ გრძელი ისტორიაა და

ახლა ვერ მოვყვებით. გარყვნილი ადამიანებიც არიან, თუმცა ცოტანი, რომლებსაც სიამოვნებას ანიჭებთ კატების წვალება, მაგალითად, კატისთვის კუდის მოჭრა.

– მოჭრილ კუდს რაღას უშვრებიან?

– არაფერს. მათ უბრალოდ სიამოვნებთ კატების ტანჯვა-წვალება. ქვეყნად ასეთი საძაგელი ადამიანებიც არსებობენ.

ნაკატა ჩაფიქრდა, რა სიამოვნებას უნდა განიჭებდეს კატისთვის კუდის მოჭრა?

– ფიქრობთ, რომ ასეთმა საძაგელმა კაცმა წაიყვანა გომა? – იკითხა ნაკატამ.

– არ მინდა, ასე ვიფიქრო, – მიმიმ გრძელი თეთრი უღვაშები ააცმაცუნა და მოღუშულმა უპასუხა, – ამის წარმოდგენაც არ მინდა, მაგრამ არ არის გამორიცხული. ბატონო ნაკატა, ხნიერი არა ვარ, მაგრამ ისეთი საზარელი რამეები მინახავს, ვერც კი წარმოვიდგენდი. ხალხი ფიქრობს, რომ კატები უზრუნველად ვცხოვრობთ – მთელი დღე მზეზე ვნებივრობთ, თითის განძრევაც არ გვჭირდება. მაგრამ კატებისთვის უცხოა ეს იდილია. კატები უძლოურები არიან, პატარა სუსტი არსებები, რომლებისთვისაც ზიანის მიყენება ადვილია. ჩვენ ჯავშანი არ გვაქვს კუებივით, არც ფრთები – ჩიტებივით. თხუნელებივით მიწაში ვერ ჩავძვრებით, ვერც ფერს შევიცვლით ქამელეონივით. ადამიანები ვერც კი წარმოდგენენ, რამდენი კატა სახიჩრდება ყოველდღიურად, რამდენ ჩვენგანს ელის საშინელი აღსასრული. გამიმართლა, რომ ტანაბების თბილ და მზრუნველ ოჯახში მოვხვდი, ბავშვებს ვუყვარვარ და რაც მჭირდება, ყველაფერი მაქვს. მაგრამ ჩემი ცხოვრებაც კი არ არის დალხენილი. მაწანწალა კატების ცხოვრება კი ძალიან, ძალიან რთულია.

– ძალიან ჭკვიანი ხართ, არა, მიმი? – ნაკატა მოჯადოებული იყო სიამის კატის მჭევრმეტყველებით.

– არც ისე, – უპასუხა მიმიმ და თვალები მორცხვად დახარა, – ხშირად ტელევიზორის წინ ვწევარ და უსარგებლო ინფორმაციით მეჭედება თავი. თქვენ უყურებთ ტელევიზორს, ბატონო ნაკატა?

– არა, ნაკატა ტელევიზორს არ უყურებს. ადამიანები ტელეეკრანზე ძალიან სწრაფად ლაპარაკობენ და არაფერი მესმის. სულელი ვარ, კითხვაც კი არ ვიცი, ტელევიზორის ყურებას კი რაღა აზრი აქვს, თუ ვერ ვკითხულობ? ზოგჯერ რადიოს ვუსმენ, მაგრამ ისინიც ძალიან სწრაფად ლაპარაკობენ, რაც მდლის. სუფთა ჰაერზე კატებთან საუბარი მირჩევნია.

– მართალი ბრძანდებით!

– ჰოო...

– იმედი მაქვს, გომას არაფერი უჭირს.

– მიმი, ნაკატა იმ მიტოვებული ადგილის მონახულებას აპირებს.

– იმ ცინგლიანს თუ დავუჯერებთ, იმ აყლაყუდა კაცს უცნაური ქუდი ახურავს და ტყავის მაღალი ჩექმები აცვია. სწრაფად მოძრაობს. უჩვეულოდ გამოიყურება, დანახვისთანავე

იცნობო, მითხრა. როდესაც მიტოვებულ ადგილას თავშეყრილი კატები დაინახავენ, რომ მოდის, თურმე უკანმოუხედავად გარბიან აქეთ-იქით. მაგრამ ახალმოსულს ეს არ ეცოდინებოდა...

ნაკატამ ეს ინფორმაცია დაიმახსოვრა, ტვინის რომელიღაც წინა თაროზე შეინახა, რომ ადვილად გაეხსენებინა. ეს კაცი აყლაცუდაა, უცნაური ქუდი ახურავს და მაღალი ტყავის ჩექმები აცვია...

– იმედი მაქვს, დაგეხმარეთ.

– ნაკატა აფასებს ყველაფერს, რაც მისთვის გააკეთეთ. საუბარში რომ არ ჩარეულიყავით, ისევ თინუსის შესახებ ვისაუბრებდით მე და ბატონი კავამურა. მაღლობელი ვარ.

– ის კაცი სახიფათო უნდა იყოს, – თქვა წარბშეჭმუხნით მიმიმ, – ძალიან სახიფათო. იმაზე გაცილებით საშიში, ვიდრე წარმოგიდგენიათ. მე არაფრის დიდებით არ გავივლიდი იმ მიტოვებული ეზოს ახლომახლო. მაგრამ თქვენ ადამიანი ხართ და ეს თქვენი სამსახურია, ბოლოს და ბოლოს. თუმცა იმედი მაქვს, ფრთხილად მოიქცევით.

– დიდი მადლობა. დიდ სიფრთხილეს გამოვიჩენ.

– ბატონო ნაკატა, ეს სამყარო ძალიან საშიშია. ძალადობას ვერავინ გაექცევა. გთხოვთ, ეს დაიმახსოვროთ. ეს კატებსაც ეხება და ადამიანებსაც.

– დავიმახსოვრებ, – უპასუხა ნაკატამ.

მაგრამ მოხუცს წარმოდგენაც არ ჰქონდა, რაში ვლინდება სამყაროს სისასტიკე. ნაკატასთვის ბევრი რამ იყო გაუგებარი, მათ შორის ძალადობასთან დაკავშირებული მოვლენებიც.

მიმის დაემშვიდობა თუ არა, მიტოვებული ეზოსკენ წავიდა, რომელიც პატარა სათამაშო მოედნისხელა აღმოჩნდა. ეზოს ერთკა ფიცრის მაღალი ღობე ზედ პატარა წარწერით – «ფრთხილად, მომავალი მშენებლობის ადგილია!» (რაც, ბუნებრივია, ნაკატამ ვერ წაიკითხა). შესასვლელს მსხვილი ჯაჭვი ედო, მაგრამ უკანა მხრიდან ღობეში ხვრელი იყო, საიდანაც ადვილად შეძვრა. ვიღაცას ეს შესასვლელი განგებ დაეტოვებინა ღია.

ყველა საწყობი, რომელიც იქამდე იდგა, დაენგრიათ, მაგრამ საძირკველი არ გაეთხარათ და მიწა ბავშვის სიმაღლის ბალახით იყო დაფარული. რამდენიმე პეპელა დაფარფატებდა. წვიმებისგან მიწა ზოგან ამოზურცულიყო. მართლაც იდეალური ადგილი იყო კატებისთვის. ადამიანები აქ არ შემოვიდოდნენ. ათასგვარი სულდგმული დარბოდა და დასამალადაც უამრავი ადგილი იყო.

კავამურა არსად ჩანდა. მოხუცმა ორი გაძვალტყავებული უხეშბეწვიანი კატა შენიშნა. ნაკატა მხიარულად მიესალმა, კატებმა კი ცივად შემოხედეს და ბალახებში გაუჩინარდნენ. რა იყო გასაკვირი, არც ერთს არ უნდოდა, რომ ვინმეს დაეჭირა და კუდი მოეჭრა. არც ნაკატას უნდოდა, ასეთი რამ დამართნოდა, მერე რა, რომ კუდი სულ არ ჰქონდა.

ნაკატა შემადლებულ ადგილზე დადგა და იქაურობა მოათვალიერა. არავინ იყო, გარდა პეპლებისა, რომლებიც რაღაცას დაემებდნენ, ბალახის თავზე დაფარფატებდნენ.

ჩამოსაჯდომად მოხერხებული ადგილი იპოვა, მხრიდან ტილოს ჩანთა მოიხსნა, იქიდან ორი ტკბილი ღვეზელი ამოიღო და მიირთვა. თერმოსიდან ცხელი ჩაის სმის დროს თვალებს ჭუტავდა. წყნარი შუადღე იდგა. სიმშვიდე, ჰარმონია და მყუდროება სუფევდა. ნაკატა ვერ იჯერებდა, რომ შეიძლებოდა, იქვე ყოფილიყო ვიღაც, ვინც კატების ტანჯვა-წამებაზე ფიქრობდა.

ჭამის დროს შევერცხლილ თმას იტკეპნიდა. ვინმე რომ ყოფილიყო მასთან ერთად, აუხსნიდა, რომ ჭკვიანი არა ვარო, მაგრამ, სამწუხაროდ, მარტო იყო. მხოლოდ ის შეეძლო, რამდენჯერმე თავი დაექნია და ღეჭვა გაეგრძელებინა. როდესაც ჭამა დაასრულა, ღვეზლებიანი პარკები მოაგროვა და ჩანთაში ჩაიწყო. თერმოსსაც მჭიდროდ დაახურა თავსახური და ისიც ჩანთაში ჩადო. ცა ღრუბლებს დაეფარა. მათი ფერით მიხვდა, რომ მზე თავზე ადგა.

ის აყლაყუდა კაცია, ატარებს უცნაურ ქუდს და მაღალ ტყავის ჩექმებს. ნაკატამ სცადა, წარმოედგინა ეს კაცი, მაგრამ არ იცოდა, როგორ გამოიყურება უცნაური ქუდი და მაღალი ტყავის ჩექმები.

კავამურამ მიმის უთხრა, იმ კაცს როგორც კი დაინახავ, იცნობო. ამიტომ ნაკატამ გადაწყვიტა, ჯობია დაველოდო მასთან შეხვედრასო. ეს იყო საუკეთესო გეგმა. ადგა და ბალახებში მოშარდა, შემდეგ კი ცარიელი ეზოს ბოლოში ბალახებში ჩაიმალა – აქ ნაკლებად შენიშნავდა ვინმე, მთელი შუადღე იქ იჯდა და უცნაური კაცის გამოჩენას ელოდა.

ლოდინი მოსაწყენი იყო. წარმოდგენაც არ ჰქონდა, როდის გამოჩნდებოდა ის კაცი, შეიძლება ხვალ, შეიძლება მომდევნო კვირაში. ან იქნებ აღარც გამოჩენილიყო? მაგრამ ნაკატა შეჩვეული იყო უმიზნო ლოდინს, დროის მარტო გატარებასაც და არაფრის კეთებასაც. ისიც კმაროდა, რომ არავინ აწუხებდა.

საათიც კი არ ჰქონდა. დრო მისთვის არაფერს წარმოადგენდა. დილით თენდებოდა, ღამით კი მზე ჩადიოდა და მერე ბნელოდა. როდესაც დაბნელდებოდა, მიდიოდა უახლოეს აბანოში, იქიდან კი – სახლში და იძინებდა. კვირის რომელიღაც დღეებში აბანოები დახურული იყო, ამ დროს ხელს ჩაიქნევდა და პირდაპირ სახლში ბრუნდებოდა. კუჭი ეუბნებოდა, როდის დგებოდა ჭამის დრო, და ვიღაც ყოველთვის ახსენებდა, როდის უნდა აეღო სუბსიდის ია, ამ დროს ხვდებოდა, კიდევ ერთმა თვემ განვლო. მეორე დღეს ადგილობრივ სალონში თმის გასაკრეჭად მიდიოდა. ყოველ ზაფხულს ვინმე დაპატიჟებდა გველთევზაზე, ახალ წელს კი ბრინჯის ნამცხვარს მოუტანდა ვინმე.

ნაკატა მოდუნდა, გონება გათიშა, ყველაფერი დაივიწყა. მისთვის ეს ბუნებრივი იყო, ბავშვობიდან ასე აკეთებდა. მისი ცნობიერების ჯებირები პეპლებივით იწყებდნენ ფარფატს. ამ საზღვრებს მიღმა ბნელი უფსკრული იყო. დროდადრო მისი ცნობიერება ამ მიჯნას არღვევდა და ლივლივს იწყებდა იმ თავბრუდამხვევ, შავ ნაპრალებში. ნაკატა არც ამ სიბნელეს და არც მის სიღრმეს არ უფრთხოდა. რატომ უნდა დამფრთხალიყო? სიბნელის უძირო სამყარო, მძიმე სიჩუმე და ქაოსი მისი ძველი მეგობარი იყო, უკვე მის ნაწილად ქცეულიყო. ნაკატას ეს კარგად ესმოდა. იმ სამყაროში არც წერა იყო, არც კვირის დღეები, არც საშიში გუბერნატორი, არც ოპერა, არც BMW, არც მაკრატელი. არც უცნაური ქუდები. თუმცა, მეორე მხრივ, არც გემრიელი გველთევზა იყო, არც პირის ჩასაკოკლოზინებელი ღვეზლები.

ყველაფერი იყო, მაგრამ – არანაირი ნაწილები. და რადგან ნაწილები არ იყო, არც ერთი რამე უნდა შეცვლილიყო მეორით, არც რამე უნდა მოეშორებინა კაცს, არც დაემატებინა, არც რთულ საკითხებზე ეფიქრა. უბრალოდ უნდა ჩაძირულიყავი ამ ბნელ სამყაროში. ნაკატასთვის ამას არაფერი სჯობდა. შემთხვევით ჩათვლიმა. იმ დროსაც, როცა ეძინა, მისი შეგრძნებები ფხიზლობდნენ და მიტოვებულ ეზოს უდარაჯებდნენ. რამე რომ მომხდარიყო, ვინმე რომ მოსულიყო, გაიღვიძებდა და გააკეთებდა, რაც საჭირო გახდებოდა.

ცა ნაცრისფერი ღრუბლების ბრტყელ ფენას დაეფარა, მაგრამ წვიმას არ აპირებდა. კატებმა ეს იცოდნენ.

ნაკატამაც იცოდა.

11

მოყოლას გვიან ვამთავრებ. საკურა ყურადღებით მისმენს, თავი სამზარეულოს მაგიდაზე დაწყობილ ხელებზე უდევს. ვეუბნები, რომ თხუთმეტის წლის ვარ, საშუალო სკოლაში ვსწავლობ, რომ მამაჩემს ფული მოვპარე და ტოკიოდან, ნაკანოს რაიონიდან, სახლიდან გამოვიქეცი. რომ ტაკამაცუს სასტუმროში გავჩერდი და დღეებს ბიბლიოთეკაში კითხვაში ვატარებ. რომ მოულოდნელად აღმოვაჩინე, ტამრის გარეთ გონებადაკარგულიდა სისხლში მოსვრილი რომ ვიყავი. ყველაფერს ვუყვები. თითქმის ყველაფერს.

მას მნიშვნელოვან რამეებზე შემიძლია ვესაუბრო.

– ესე იგი, დედაშენმა ოთხის რომ იყავი, მიგატოვა და შენი უფროსი დაც თან წაიყვანა, შენ კი მამასთან დაგტოვა.

საფულიდან ჩემი და ჩემი დის ფოტოს ვიღებ, სადაც პლაჟზე ვართ და საკურას ვაჩვენებ.

– ეს ჩემი დაა. – საკურა ერთხანს ფოტოს დაჰყურებს, მერე უკან მიბრუნებს უსიტყვოდ, – მას შემდეგ არ მინახავს, არც დედაჩემი. არასდროს დამკავშირებია, ასე რომ, წარმოდგენა არა მაქვს, სად შეიძლება იყოს. ისიც არ მახსოვს, როგორ გამოიყურება. მისი არც ერთი ფოტო არ გვქონდა სახლში. მახსოვს მისი სუნი, შეხება, მაგრამ სახე – არა.

– ჰმმ, – თავი ისევ ხელებზე უდევს, თვალეზმობურული მიყურებს, – ადვილი არ იქნებოდა.

– ჰო.

უსიტყვოდ განაგრძობს ჩემს ცქერას.

– ე.ი. მამაშენს ვერ ეწყობი? – მეკითხება ცოტა ხნის შემდეგ.

ვერ ვეწყობი? რა უნდა ვუპასუხო? არაფერს ვამბობ, უბრალოდ თავი გავაქნიე.

– სულელური კითხვაა, რა თქმა უნდა, ვერა. სხვა შემთხვევაში, არ გამოიქცეოდი. მოკლედ, სახლიდან წამოხვედი და დღეს, სრულიად მოულოდნელად, გონება, მეხსიერება თუ რაღაც დაკარგე.

– ჰო.

– ასე ადრეც მოგსვლია?

– რამდენჯერმე. – გულახდილად ვპასუხობ, – ვცოფდები და წამოვენთები ხოლმე. თითქოს ვიღაცამ ხელი აკრა ჩამრთველსო, ჩემი სხეული, ვიდრე გონება გაიაზრებდეს, მოქმედებას იწყებს. თითქოს იქ ვარ, მაგრამ, არა, ეს არა ვარ მე.

– კონტროლს კარგავ საკუთარ თავზე და სხვებს რამეს უშავებ. ამას გულისხმობ?

– ჰო, ასეც მოხდა რამდენჯერმე.

– ვინმეს რამე დაუშავე?

თავი დავუქნიე.

– ორჯერ. ოღონდ სერიოზული არაფერი.

ჩემს ნათქვამზე ფიქრობს.

– ახლაც ასე მოხდა?

თავი გავაქნიე.

– ასეთი ცუდი რამ პირველად მომივიდა. ამჯერად... არც კი ვიცი, როგორ დაიწყო ყველაფერი. საერთოდ არ მახსოვს, რა მოხდა. თითქოს მეხსიერება წამეშალა. აქამდე ასეთი არაფერი დამმართნია.

იმ მაისურს დაჰყურებს, ზურგჩანთიდან რომ ამოვაცურე, სისხლის ლაქებს აკვირდება, რომლებიც რეცხვით ვერ ამოვიყვანე.

– ე.ი. ბოლო რაც გახსოვს – სადგურთან ახლო, რესტორანში იჯექი და სადილობდი, არა?

თავი დავუქნიე.

– და მერე არაფერი გახსოვს, დაახლოებით ოთხი საათის მერე კი იმ ტაძრის უკან, ბუჩქებში გამოფხიზლდი. მაისური გასისხლიანებული გქონდა და მარცხენა მხარი გტკიოდა, არა?

კიდევ ერთხელ დავუქნიე თავი. საიდანღაც ქალაქის რუკა მოაქვს და სადგურსა და ტაძარს შორის არსებულ მანძილს ამოწმებს.

– არ არის შორს, მაგრამ მისასვლელად დრო მაინც დაგჭირდებოდა. პირველ რიგში ის უნდა გავარკვიოთ, იქ რატომ მიხვედი. შენი სასტუმროს საპირისპირო მიმართულებით გივლია. მანამდე ყოფილხარ იქ?

– არასდროს.

– გაიმძრე მაისური ერთი წუთით. – მეუბნება.

ვიხდი. უკნიდან მიახლოვდება და უხეშად მეხება მარცხენა მხარზე. თითებს ხორცში მასობს და კვნესისგან თავს ვერ ვიკავებ. ეს გოგო ღონიერია.

– გტკივა?

– შენ წარმოიდგინე, კი.

– რაღაცას დაარტყი, ან რაღაც დაგეძგერა.

– არაფერი მახსოვს.

– მოტეხილი არაფერი გაქვს.

მტკივანი ადგილის გარშემო მასაჟს მიკეთებს. თუ ტკივილს არ გავითვალისწინებთ, მსიამოვნებს თითებით რომ მეხება. ამას ვეუბნები და ეღიმება.

– მასაჟს ყოველთვის კარგად ვაკეთებდი. სტილისტისთვის ეს სასარგებლო უნარია.

ისევ მიკეთებს მასაჟს, მხარბეჭზე განაგრძობს.

– სერიოზულად არ გაქვს რამე დაზიანებული. კარგად გამოიძინე და მომჯობინდები.

ჩემს მაისურს პოლიეთილენის პარკში დებს და ნაგვის ვედროში აგდებს. ჩემს ბამბის მაისურს კიდევ ერთხელ ათვალთქვებს და სარეცხ მანქანაში დებს. ტანსაცმლის კარადაში იქექება, თეთრ მაისურს პოულაობს და მიწვდის. ახალთახალი თეთრი მაისურია. ზედ აწერია Maui Whale Watching Cruise და წყლიდან ამომხტარი ბრტყელი თევზია გამოსახული.

– ყველაზე დიდი ზომის ეს ვიპოვე. ჩემი არ არის, მაგრამ ჯავრი ნუ გექნება. საჩუქარია. შენი სტილი არ არის, მაგრამ გაისინჯე.

ვიცვამ, მერგება.

– შენი იყოს.

მადლობას ვუხდის.

– ესე იგი, აქამდე გონება ასე არ დაგბინდვია?

თავი დავუქნიე.

თვალეებს ვხუჭავ, ახალი მაისურის სურნელს შევიგრძნობ.

– საკურა, ძალიან ვარ შეშინებული. არ ვიცი, რა ვქნა. არ მახსოვს, ვინმესთვის რამე დამეშავებინოს. რაღაც მოხდა, რამაც სისხლში მომსვარა, მაგრამ ვერაფერს ვიხსენებ. თუ რამე დანაშაული ჩავიდინე, ხომ სამართლებრივად პასუხისმგებლობა მეკისრება, მიუხედავად იმისა, მახსოვს თუ არა?

– იქნებ უბრალოდ ცხვირიდან წამსკდარი სისხლია. ვიღაც ქუჩაში მოდიოდა, ბოძს შეასკდა და სისხლი წასკდა ცხვირიდან. შენ კი დაეხმარე. გესმის? გასაგებია, რატომაც დარდობ, მაგრამ მოდი, ყველაზე საშინელებას ნუ წარმოვიდგენთ, კარგი? ყოველ შემთხვევაში, ამაღამ მაინც. დილით გაზეთებს გადავხედოთ, ტელევიზორში ახალ ამბებს ვუყუროთ. თუ რამე საშინელება მოხდა, გავიგებთ. შემდეგ დავფიქრდებით. ათასი მიზეზით შეიძლება გასისხლიანდეს ადამიანი და ყოველთვის ისეთი ცუდი რამ არ ხდება, როგორც წარმოგვიდგენია. მე გოგო ვარ და ყოველთვის ვარაუდობ შეჩვეული ვარ სისხლის დანახვას. ხვდები, რას ვამბობ?

თავს ვუქნევ და ვგრძნობ, როგორ ვწითლდები. ნესკაფეს დიდ ჭიქაში ყრის და პატარა ქვაბით წყალს ადუღებს. ეწევა, წყლის ადუღებას ელის. რამდენიმე ნაფაზს არტყამს და სიგარეტს ონკანის წყლით აქრობს. მენტოლის სუნს ვგრძნობ.

– სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფა არ მინდა, მაგრამ რაღაცას გკითხავ, კარგი?

– კარგი.

– შენი უფროსი და აყვანილი იყო. შენს გაჩენამდე მოიყვანეს, არა?

– არა. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ჩემმა მშობლებმა მას შემდეგ იშვილეს, რაც დავიბადე.

– შენ კი ნამდვილად მათი შვილი ხარ?

– როგორც ვიცი.

– მაგრამ, როდესაც დედამ მიგატოვათ, თან შენი და წაიყვანა, რომელიც მისი ღვიძლი შვილი არ არის. ეს ქალისგან მოულოდნელია.

არაფერს ვამბობ.

– რატომ?

თავი გავაქნიე. არ ვიცი. მილიონჯერ მიკითხავს ეს საკუთარი თავისთვის.

– მტკივნეული უნდა იყოს.

– ასე იყო?

– არ ვიცი. მაგრამ ოდესმე ცოლს თუ შევირთავ, არა მგონია, შვილები ვიყოლიო. არ მეცოდინება, როგორ უნდა მოვიქცე მათთან.

– მე ყველაფერი ასე არეულ-დარეულად არ მქონია. დიდხანს ვერ ვეწყობოდი ოჯახის წევრებს, ამიტომ უამრავი სულელური რამ ჩავიდინე. მესმის, თავს როგორ გრძნობ, მაგრამ გადაწყვეტილების ასე სწრაფად მიღება სწორი არ არის.

სამზარეულოს ქურასთან დგას და ნესკაფეს წრუპავს, დიდ ფინჯანს ორთქლი ასდის. ფინჯანს მუმინი ახატია. არც ის ამბობს რამეს, არც მე.

– ვინმე გყავს, ვთქვათ, ნათესავი, ვისაც შეუძლია დაგეხმაროს? – მეკითხება ცოტა ხნის შემდეგ.

– არა. მამაჩემის მშობლები დიდი ხნის წინათ გარდაიცვალნენ. არც და-ძმები ჰყავს, არც დეიდები ან ბიძები. ერთიც არ ჰყავს. გადაჭრით ვერ ვიტყვი, მაგრამ ნამდვილად ვიცი, არავისთან არა აქვს შეხება. დედაჩემის ნათესავების შესახებ კი არაფერი მსმენია. დედაჩემის სახელიც კი არ ვიცი და განა შეიძლება, მის ნათესავებს ვიცნობდე?

– მამაშენი უცხოპლანეტელივით არის. თითქოს შორეული პლანეტიდან ჩამოვიდა, ადამიანის ფორმა მიიღო, დედამიწელი ქალი მოიტაცა და გაგაჩინა, რომ შთამომავლობა ჰყოლოდა. დედაშენმა შეიტყო მისი საიდუმლო, შეშინდა და გაიქცა. როგორც სამეცნიერო ფანტასტიკის ფილმებშია ხოლმე...

წარმოდგენა არ მაქვს, რა ვუპასუხო.

– გეხუმრები, – ამბობს და იღიმება, – მარტოდმარტო ხარ ამხელა სამყაროში.

ალბათ.

იქვე დგას, ნიჟარისკენ გადახრილი, ყავას სვამს.

– ცოტა ხნით უნდა დავიძინო, – ისე ამბობს, თითქოს ახლადა გაახსენდა, – სამს უკვე გადასცდა. რვის ნახევარზე უნდა ავდგე. ვერ მოვასწრებ ნორმალურად გამოძინებას, მაგრამ სულ არაფერს სჯობია. არ მიყვარს, გამოუძინებელი რომ მივდივარ სამსახურში. შენ რას აპირებ?

– საძილე ტომარა მაქვს თან. ასე რომ, თუ არ შეგაწუხებ, კუთხეში მოვთავსდები. – ზურგჩანთიდან მჭიდროდ დახვეულ საძილე ტომარას ვიღებ და ვშლი.

გაოცებული მიყურებს.

– ნამდვილი ბოისკაუტი ხარ.

შუქს თიშავს და წვება, მე საძილე ტომარაში ვძვრები, თვალებს ვხუჭავ და ვცდილობ, დავიძინო, მაგრამ სულ სისხლიანი მაისური მიდგას თვალწინ. ხელისგული ისევ მეწვის. თვალებს ვახელ და ჭერს ავყურებ. სადღაც იატაკი ჭრიალებს. ვიღაც ონკანს უშვებს. სასწრაფო დახმარების მანქანის ხმა ისმის შორიდან, მაგრამ მკაფიოდ.

– ვერ იძინებ? – ჩურჩულებს სიბნელეში.

– ვერა.

– ვერც მე. ყავა არ უნდა დამელია. სულელურად მოვიქეცი, – მაგიდის ლამპას ანთებს, დროს ამოწმებს და შუქს ისევ აქრობს, – არასწორად ნუ გამიგებ, მაგრამ, თუ გინდა, შეგიძლია გვერდით მომიწვე. მაინც ვერ ვიძინებ.

საძილე ტომრიდან ვძვრები და გვერდით ვუწვები საწოლში. შორტი და მაისური მაცვია, მას – ღია ვარდისფერი პერანგი.

– ტოკიოში მეგობარი ბიჭი მყავს, რომელთანაც მყარი ურთიერთობა მაქვს, მისით ვერ დავიკვებნი, მაგრამ ჩემი ბიჭია, რა. ასე რომ, სხვებთან სექსი არ მაქვს. შეიძლება არ მეტყობა, მაგრამ, როდესაც საქმე სექსს ეხება, პედანტი ვხდები. ძველმოდურად ჩამთვალე. ადრე უფრო ველური ვიყავი, ახლა აღარ ვსულელობ. ასე რომ, რამე არ იფიქრო, კარგი? ვითომ და-მმა ვართ.

ხელს მხვევს და მიხუტებს, ლოყას შუბლზე მადებს.

– საბრალოვ.

აღბათ, საჭიროც არ არის იმის აღნიშვნა, რომ მიდგება. ბარძაყზე ვეხახუნები.

– ო, ღმერთო!

– მაპატიე, არ მინდოდა.

– არა უშავს. ვიცი, რა დღეში ხარ.

სიბნელეში თავი დავუქნიე.

ჯერ ყოყმანობს, მერე ტრუსს დაბლა მიწევს, ასოზე ნაზად მკიდებს ხელს, თითქოს უნდა, რომ რაღაცაში დარწმუნდეს, ექიმივით, რომელიც პულსს სინჯავს. მისი ნაზი ხელის შეხების დროს თავში სისხლი მასხამს.

– შენი და ახლა რამდენი წლის იქნება?

– ოცდაერთის, ექვსი წლით უფროსია ჩემზე.

აღბათ, ამაზე ფიქრობს.

– გინდა ნახო?

– არ ვიცი..

– არ იცი? – უფრო მაგრად მიჭერს ხელს ასოზე, – როგორ, არ იცი? არ იცი, გინდა თუ არა, რომ ნახო?

– არ ვიცი, რაზე უნდა ველაპარაკო, იქნებ იმას არ უნდა ჩემთან შეხვედრა. დედაჩემზეც იმავეს ვფიქრობ. იქნებ არც ერთს არ უნდა, რომ ჩემთან რამე აკავშირებდეს. არც ერთი არ მეძებს. წავიდნენ და მორჩა...

„უჩემოდ“ – ფიქრებში ვამთავრებ აზრს.

არაფერს მეუბნება, ასოზე ხელს ხან მაგრად მიჭერს, ხან მსუბუქად. ისიც ხან მიდუნდება, ხან კი მიმაგრდება.

– გინდა, გაათავო?

– არ ვიცი.

– ისევ „არ ვიცის“ ამბობ?

– ძალიან. – ვასწორებ ნათქვამს.

ჰერს ისუნთქავს და იწყებს ხელით ნელ მოძრაობას. არაამქვეყნიური განცდაა. მარტო ზემოთ-ქვემოთ კი არ მოძრაობს, მთლიან მასაჟს მიკეთებს. თითებით ნაზად მეფერება ასოსა და კვერცხებზე. თვალებს ვხუჭავ. ამოვიკვნესე.

– არ შემეხო. და როცა გათავებას დააპირებ, გამაფრთხილე, რომ ზეწრები არ დასვარო.

– კარგი.

– მოგწონს? კარგი ვარ, არა?

– ფანტასტიკური.

– გითხარი, ოქროს ხელები მაქვს-მეთქი. მაგრამ იცოდე, ეს სექსი არ არის, გესმის? უბრალოდ მოდუნებაში გეხმარები, სულ ეს არის. მძიმე დღე გქონდა, დაძაბული ხარ და ვერ დაიძინებ, ვიდრე რამეს არ ვიზამთ. გესმის?

– ჰო, მესმის. მაგრამ მინდა, რაღაც გთხოვო.

– რა?

– შეიძლება, წარმოვიდგინო, რომ შიშველი ხარ?

ხელს აჩერებს და თვალებში მიყურებს.

– გინდა, წარმოვიდგინო, რომ შიშველი ვარ, ვიდრე ამას ვაკეთებთ?

– ჰო. მინდოდა, ამაზე არ მეფიქრა, მაგრამ არ შემიძლია.

– მართლა?

– იმ ტელევიზორივითაა, რომელსაც ვერ გამორთავ.

იცინის.

– არ მესმის. საჭირო არ არის, ყველაფერი მითხრა. რატომ იმას არ წარმოვიდგენ, რაც გინდა? ჩემი ნებართვა რად გინდა. ვერც კი გავიგებ, შენს თავში რა ხდება.

– არა, ასე არ შემიძლია. წარმოდგენები ძალიან მნიშვნელოვანია. ასე რომ, ჯობია, გაგაფრთხილო. გაიგებ თუ ვერ გაიგებ, საქმე ამაში არ არის.

– რა ზრდილობიანი ბიჭი ხარ. სასიამოვნოა, რომ გამაფრთხილე. ნებას გაძლევ! მიდი, წარმომიდგინე შიშველი!

– გმადლობ.

– კარგი ტანი მაქვს?

– თვალს ვერ გწყვეტ.

ეს არაამქვეყნიური განცდა ჩემს ქვედა კიდურებზე ვრცელდება. როდესაც ამას ვეუბნები, ხელსახოცს იღებს საწოლის გვერდით მდგარი ტუმბიდან და ვათავებ, გიჟივით. ცოტა ხნის შემდეგ სამზარეულოში გადის, ხელსახოცს აგდება და ხელზე წყალს ივლებს.

– მაპატიე.

– არა უშავს, – ისევ საწოლში ბრუნდება, – საჭირო არ არის მობოდიშება. ეს შენი სხეულის ნაწილია. უკეთ ხარ?

– ბევრად.

– მიხარია. რაზე ვფიქრობდი, იცი? რა კარგი იქნებოდა, მართლა შენი და ვყოფილიყავი.

– მეც ეგრე ვფიქრობ.

თმაზე მსუბუქად მეხება.

– ახლა დაძინებას ვაპირებ. რატომ საძილე ტომარაში არ დაბრუნდები? ვერ ვიძინებ, თუ მარტო არ ვწევარ, და არც ის მინდა, ისევ აგიდგეს.

საძილე ტომარაში ვბრუნდები და თვალებს ვხუჭავ. დაძინება აღარ მიჭირს. ღრმად ვიძინებ, პირველად მას შემდეგ, რაც სახლიდან წამოვედი. თითქოს ლიფტში ვარ, რომელსაც ნელა, ჩუმად, ქვემოთ, ქვემოთ, მიწისქვეშ ჩავყავარ. როგორც იქნა, სინათლე მთლიანად შთაინთქა, ხმებიც დაიფანტა.

როდესაც ვიღვიძებ, საკურა სამსახურშია წასული. ცხრა საათია. მხარბეჭის ტკივილს თითქმის ვეღარ ვგრძნობ. საკურამ სწორად ივარაუდა. სასადილო მაგიდაზე დაკეცილი დილის გაზეთი, წერილი და გასაღები მხვდება.

მწერს:

დილის ახალ ამბებს ვუყურე შვიდზე და მთელ გაზეთს გადავავლე თვალი. სისხლიანი შემთხვევის შესახებ არაფერს ამბობენ. არა მგონია, ეგ სისხლი რამეს ნიშნავდეს. კარგი ამბავია, არა? მაცივარში ბევრი არაფერია, მაგრამ ნუ მოგერიდება – თუ რამეს იპოვი, შეგიძლია შეჭამო. სახლშიც თუ დაგჭირდება რამე, აიღე. თუ სადმე წასვლას არ აპირებ, შეგიძლია დარჩე. თუ წახვალ, გასაღები შემოსასვლელში, ფეხის საწმენდის ქვეშ დატოვე.

მაცივრიდან რძის კოლოფს ვიღებ, ვადას ვამოწმებ და სიმინდის ბურბუშელაზე ვასხამ. წყალს ვადუღებ და ინდურ ჩაის ვიმზადებ. პურის ორ ნაჭერს ვხუხავ ტოსტერში და დაბალცხიმიან მარგარინთან ერთად ვჭამ. გაზეთს ვშლი და ადგილობრივ სიახლეებს ვეცნობი. როგორც

საკურამ მიიხრა, კრიმინალურ ქრონიკაში არაფერი წერია. შვებით ამოვისუნთქე. გაზეთს ვკეცავ და თავის ადგილას ვაბრუნებ. მადლობა ღმერთს, პოლიციელებს მაინც არ უნდა დავემალე. მაგრამ მაინც ჯობია, სასტუმროში არ დავბრუნდე, ასე უფრო უსაფრთხოდ ვიქნები. იმ ოთხი საათის განმავლობაში რა მოხდა, არ მახსოვს.

სასტუმროში ვრეკავ. კაცი მპასუხობს. ხმა არ მეცნობა. გეგმები შემეცვალა და სასტუმროდან უნდა ამოვეწერო-მეთქი, ვეუბნები. ვცდილობ, ხმა დავიბოხო. წინასწარ მაქვს გადახდილი, ასე რომ პრობლემა არ უნდა იყოს. პირადი ნივთები დამრჩა ოთახში, მაგრამ შეგიძლიათ, გადაყაროთ-მეთქი. კომპიუტერში ჩემს მონაცემებს ამოწმებს და ადასტურებს, რომ ყველაფერი რიგზეა.

– ყველაფერი წესრიგშია, ბატონო თამურა, ამოწერილი ხართ.

გასაღები პლასტიკური ბარათია, ასე რომ, დაბრუნება საჭირო არ არის. მადლობას ვუხდი და ტელეფონს ვკიდებ.

შხაპს ვიღებ. აბაზანაში საკურას საცვლები და წინდები კიდეა გასაშრობად. ვცდილობ, მათ არ ვუყურო და ყურადღება სხეულის ხეხვაზე გადავიტანო. და ყველანაირად ვცდილობ, გასული ღამის შესახებ არ ვიფიქრო. კბილებს ვიხეხავ და ახალ ტრუსს ვიცვამ, საძილე ტომარას ვკეცავ და ზურგჩანთაში ვდებ, ჭუჭყიან ტანსაცმელს ვირეცხავ. საშრობი არ არის, ამიტომ ვწურავ, ვკეცავ, პოლიეთილენის პარკში ვაწყობ და ზურგჩანთაში ვდებ. სამრეცხაოში გავაშრობ მერე.

ნიჟარაში დაგროვებულ თევშებს ვრეცხავ, დაწრეტას ვაცლი, ვამშრალე და თაროზე ვალაგებ. მერე მაცივარში პროდუქტებს ვამოწმებ და ვადაგასულს ან გაფუჭებულს ვყრი. ზოგი ყარს – ბროკოლი დაობებულია, კიტრი დამჭუნარი, ტოფუ ვადაგასული. რაც კიდევ ვარგა, ახალ კონტეინერებში გადამაქვს, დაღვრილ სოუსს ვწმენდ. სიგარეტის ნამწვებს ვყრი, მიმოფანტულ ძველ გაზეთებს ერთად ვაწყობ, ოთახს მტვერსასრუტით ვასუფთავებ. საკურამ, მართალია, კარგი მასაჟის გაკეთება იცის, მაგრამ უვარგისი დიასახლისია. კარადაში შეყრილ ტანსაცმელს ვაუთოებ და ვფიქრობ, გავიდე, პროდუქტები ვიყიდო და სადილი მოვამზადო. სახლს ყოველთვის თვითონ ვუვლიდი, ასე რომ, ასეთი რამეები მეხერხება. მაგრამ სადილის მომზადება ამჯერად, მგონი, ზედმეტია.

სასადილო მაგიდასთან ვჯდები და იქაურობას ვათვალიერებ. სულ ხომ ვერ დავრჩები აქ. ისევ ამიდგება, ხშირად ეროტიკული ფანტაზიებიც შემაწუხებს. ვერ გავუმღებ ამ ერთი ციდა შავი საცვლის ცქერას, რომელიც აბაზანაში კიდეა. თავს ვერ შევიკავებ და ისევ ნებართვას ავიღებ მისგან, შიშველი წარმოვიდგინო. და ვერაფრით დავივიწყებ, რა მოხდა გასულ ღამით.

საკურას წერილს ვუტოვებ. ტელეფონის გვერდით ბლოკნოტი და ბლაგვი ფანქარია და იმას ვიყენებ.

„გმადლობ. გადამარჩინე. მაპატიე, რომ ღამით გაგაღვიძე. მაგრამ სხვას ვერავის ვენდობოდი“.

არ ვიცი, კიდევ რა დავწერო, და ვიდრე ვფიქრობ, ოთახში დავბორიალებ.

„გმადლობ, რომ ღამე გამათევინე. რა კარგი იქნებოდა, დარჩენა შემეძლოს, მაგრამ შენი შეწუხება აღარ მინდა. მიზეზებს არ დავასახელებ. საკუთარ თავს თვითონ უნდა მივხედო. იმედი მაქვს, თუ კიდევ რამე შარში გავეხვევი, ისევ დამეხმარები“.

ისევ ვწყვეტ წერას. მეზობელს ტელევიზორი ბოლო ხმაზე ჩაურთავს. დიასახლისებისთვის განკუთვნილი რომელიღაც დილის გადაცემა გადის. გადაცემის მონაწილეები ერთმანეთს ყვირილით ელაპარაკებიან, რეკლამებიც ხმამაღალია და აუტანელი. მაგიდასთან ვზივარ, ხელში ბლაგვი ფანქარი მიჭირავს და ვცდილობ, აზრებს თავი მოვუყარო.

„სიმართლე გითხრა, არა მგონია, შენს კეთილგანწყობას ვიმსახურებდე. ყველანაირად ვცდილობ, უკეთესი გავხდე, მაგრამ არაფერი გამომდის. იმედი მაქვს, სხვა დროს თავის მოთოკვას შევძლებ. ეს მოხდება თუ არა, არც კი ვიცი. გმადლობ გასული ღამისთვის. არაჩვეულებრივი იყო“.

წერილს ფინჯნის ქვეშ ვდებ, ზურგჩანთას ვიკიდებ, ოთახიდან გამოვდივარ, გასაღებს იქ ვტოვებ, სადაც საკურამ დამიბარა. შუა კიბეზე შავ-თეთრი კატა წევს და სძინავს. ადამიანებს შეჩვეული უნდა იყოს, არც კი ინძრევა, როცა ვუახლოვდები. გვერდით ვუჯდები და ცოტა ხანს გრძელ სხეულზე ვეფერები. მის ბეწვზე შეხება მოგონებებს მიშლის. კატა თვალებს ჭუტავს და კრუტუნს იწყებს. კიდევ დიდხანს ვსხედვართ იქ და ორივეს გვსიამოვნებს. საბოლოოდ ვემშვიდობები და გზას განვაგრძობ.

წვიმა იწყება.

აღარ ვიცი, ღამეს სად გავათევ, რადგან სასტუმროდანაც ამოვეწერე და საკურას სახლიდანაც წამოვედი. მზის ჩასვლამდე თავშესაფარი უნდა ვიპოვო, რომელიმე მყუდრო, უსაფრთხო ადგილი. არ ვიცი, საიდან დავიწყო ძებნა, მაგრამ გადავწყვიტე, რომ მატარებლით კომურას ბიბლიოთეკისკენ წავიდე. იქ რომ მივალ, გამოჩნდება რამე. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ვგრძნობ, ასე მოხდება.

ბედი კიდევ უფრო უცნაურ რამეებს მიმზადებს.

მვირფასო პროფესორო,

ჩემგან წერილის მიღება გაგაკვირვებდათ. მაპატიეთ, რომ გაწუხებთ. ალბათ ჩემი სახელი არც კი გეცნობათ. პროფესორო, მე ოდესღაც იამანასის პრეფექტურის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი ვიყავი. ალბათ გამიხსენებთ. მე ვიყავი იმ ბავშვების ხელმძღვანელი, რომლებსაც ის საბედისწერო ამბავი შეემთხვათ და გონება დაკარგეს. მას შემდეგ, გემახსოვრებათ, რამდენჯერმე გესაუბრეთ თქვენ და თქვენს კოლეგებს, სამხედრო უწყებები ამ შემთხვევას რომ იძიებდნენ ჩვენს პატარა ქალაქში.

მომდევნო წლებში თქვენს გვარს არაერთხელ წავწყდომივარ პრესაში. თქვენს კარიერასა და მიღწევებს ალტაცებით ვადევნებდი თვალყურს. არც თქვენი საქმიანი, ცოცხალი საუბრის მანერა დამვიწყებია. თქვენი რამდენიმე წიგნიც წავიკითხე. მუდამ მონუსხული ვიყავი თქვენი გამჭირაობით და თქვენს მსოფლმხედველობას, რომელსაც ყოველი თქვენი ნაშრომი ასახავს, მუდამ ვიზიარებდი – კერძოდ იმას, რომ ყოველი ინდივიდი უკიდურესად მარტოსულია, და თანაც ჩვენ ყველას კოლექტიური მეხსიერება გვაქვს. ცხოვრებაში არაერთხელ მიგრძნია ასე თავი. ვლოცულობ თქვენი წარმატებისთვის.

იმ შემთხვევის შემდეგ იმავე სკოლაში განვაგრძე მუშაობა. რამდენიმე წლის წინ მოულოდნელად ავად გავხდი და დიდი ხნით ვიწექი კოფუს მთავარ საავადმყოფოში. იმავე პერიოდში სამსახურიდან წამოვედი. ერთი წლის მანძილზე ხან მწერდნენ საავადმყოფოდან და ხან უკან მბრუნებდნენ, მაგრამ ბოლოს გამოვჯანსაღდი, ძალები აღვიდგინე და ტუტორიალური სკოლა გავხსენი საკუთარ ქალაქში. აქაურ მოსწავლეებად ჩემი ყოფილი მოწაფეები იქცნენ. ბანალური ფრაზაა, მაგრამ სიმართლეა – დრო მიქრის. დრო მართლაც სწრაფად გავიდა.

ომში მამაცა და მეუღლეც დავკარგე, კაპიტულაციის შემდეგ, იმ არეულ პერიოდში – დედაც. ჩვენი დაქორწინების შემდეგ ჩემი ქმარი მალევე წავიდა ომში, შვილები არ გვყოლია. ასე რომ, სულ მარტო დავრჩი. ვერ ვიტყვი, რომ ბედნიერად ვიცხოვრე, მაგრამ სიხარულს მანიჭებდა ამდენი ხნის მანძილზე მასწავლებლად მუშაობა და ამდენ ბავშვთან ურთიერთობა. ღმერთს ამ შესაძლებლობისთვის მადლობას ვუხდი. მასწავლებელი რომ არ ვყოფილიყავი, არა მგონია, გადავრჩენილიყავი. სიმამაცე მოვიკრიბე, რომ თქვენთვის მომეწერა, პროფესორო, რადგან ვერაფრით დავივიწყე 1944 წელს ტყეში მომხდარი შემთხვევა. ოცდარვა წელი გავიდა მას შემდეგ, მე კი ყველაფერი ისე ნათლად მახსოვს, თითქოს გუშინ იყო. ეს მოგონებები არასდროს არ მცილდება. მრავალი უძილო ღამე გამიტარებია მათზე ფიქრში და წუხილი ძილშიც კი მიმყვებოდა.

თითქოს შემთხვევით მოგვრილმა შოკმა მთელი ჩემი შემდგომი ცხოვრება წარმართა. მაგალითად, როდესაც რომელიმე იმ ბავშვს გადავეყრები (მათი ნახევარი დღესაც იმავე ქალაქში ცხოვრობს. ახლა ისინი ოცდათხუთმეტზე მეტისანი არიან), ყოველთვის ვფიქრობ, ნეტა იმ შემთხვევამ მათზე – ან ჩემზე – რა კვალი დატოვა-მეთქი. ასე მგონია, რომ რაღაც მტანჯველი ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური გავლენა ყველაზე მოახდინა. მაგრამ თუ მომთხოვთ, დამისახელე, კერძოდ, რა ეფექტი მოახდინა, ან რამხელაო, ვერაფერს გიპასუხებთ.

როგორც თქვენთვის ცნობილია, პროფესორო, სამხედრო უწყებამ ეს შემთხვევა ფართო საზოგადოებისთვის საიდუმლოდ დატოვა. ოკუპაციის პერიოდში ამერიკელი სამხედროები დახურულ კარს მიღმა იძიებდნენ ამ შემთხვევას. მას შემდეგაც კი, რაც ცენზურა მოიხსნა, ჟურნალ-გაზეთებში ამ შემთხვევის შესახებ არავითარი სტატია არ გამოჩენილა. რაც, ვფიქრობ, გასაგებია, რადგან ამდენი წელი გავიდა და არავინ დალუპულა.

ამიტომ, ბევრს წარმოდგენაც არა აქვს, რომ ასეთი შემთხვევა იყო. ომის დროს უამრავი საზარელი რამ მოხდა, მილიონობით ადამიანი დაიხოცა, ამიტომ არა მგონია, საზოგადოებას შოკი მიეღო ჩვენს პატარა ქალაქში მომხდარი შემთხვევისაგან. აქაც კი, ბევრს აღარ ახსოვს, ხოლო იმათ, ვისაც არაფერი დავიწყებია, ამაზე საუბარი არ სურთ.

დროთა განმავლობაში ბევრი რამ გვავიწყდება. ომიც კი. სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ყოფნასაც კი ღრმა წარსულად ვხედავთ. ისე ვართ ჩართული ყოველდღიურ ცხოვრებაში, რომ ის ძველი ამბები შორეული ვარსკვლავებივითაა და მათ შესახებ აღარ ვფიქრობთ. იმდენ ახალ რამეზე გვიწევს ყოველდღიურად ფიქრი, იმდენი სიახლე უნდა შევისწავლოთ – ახალი ტენდენციები, ახალი ინფორმაცია, ახალი ტექნოლოგიები, ახალი ლექსიკა... მაგრამ მაინც, რა დროც არ უნდა გავიდეს, რაც არ უნდა ხდებოდეს აწმყოში, არის რაღაც მოვლენები, რაც დავიწყებას არ მიეცემა, მოგონებები, რომლებიც არასდროს გაქრება. ისინი მუდმივად ჩვენთან რჩება, საზომი ქვებივით. ჩემთვის ის, რაც ტყეში მოხდა, ასეთივე რამ არის. ვიცი, ვერაფერს შევცვლი და ალბათ გიკვირთ, ამდენი წლის შემდეგ ამ თემას რომ ვუბრუნდები. მაგრამ ვიდრე ცოცხალი ვარ, გულიდან ეს ლოდი უნდა ჩამოვიხსნა.

ომის დროს ცენზურა იყო და გარკვეულ თემებზე ლაპარაკი არ შეიძლებოდა. შემდეგ თქვენ შეგხვდით, პროფესორო, მაგრამ ოფიცრების თანდასწრებით არ შემეძლო თავისუფლად მეტყვა რამე. თან იმ დროს არაფერი ვიცოდი თქვენზე, არც თქვენს საქმიანობაზე. ახალგაზრდა ქალი ვიყავი და არ შემეძლო უცხო მამაკაცისთვის მეტყვა რამე პირად თემაზე. ყველაფერი არ მითქვამს, ზოგი რამ კი საიდუმლოდ შევინახე. სხვაგვარად რომ ვთქვა, ოფიციალური გამოძიების დროს რამდენიმე ფაქტი მე განგებ დავამახინჯე. ამერიკელმა სამხედროებმა რომ დამკითხეს, არც მაშინ მითქვამს სრული სიმართლე. შეშინებულმა, საკუთარი რეპუტაციის შესანარჩუნებლად, ის ტყუილები გავიმეორე, რაც თქვენ გითხარით. რამაც, ალბათ, თქვენი გამოძიება შეაფერხა და თქვენი დასკვნები დაამახინჯა. არა, ზუსტად ვიცი, რომ ასე მოხდა. ეს მაწუხებდა წლების მანძილზე და ძალიან მრცხვენია საკუთარი საქციელისა.

ვიმედოვნებ, ამით ახსნით ჩემს გრძელ წერილს. ვიცი, დაკავებული ადამიანი ბრძანდებით და ამის დრო არა გაქვთ. თუ ასეა, შეგიძლიათ, მოხუცი ქალის ნაბოღვარად მიიჩნით ყოველივე და წერილი გადაადგოთ. საქმე ისაა, რომ ვგრძნობ, ვიდრე შემეძლია, აუცილებლად ვინმეს უნდა გავანდო, რაც მოხდა, ვინმესთან უნდა მოვინანიო. მართალია, გამოვჯანმრთელდი, მაგრამ არავინ იცის, ცუდად როდის გავხდები ისევ. იმედია, ამასაც გაითვალისწინებთ.

წინა ღამით, ვიდრე ბავშვებს ტყეში წავიყვანდი, გამთენიისას, ჩემი ქმარი მესიზმრა, თითქოს ომიდან დაბრუნდა. სიზმარი ნათელი იყო და ეროტიკული – ისეთი სიზმარი იყო, ცხადისგან გარჩევა რომ გიჭირს.

სიზმარში დიდ, ბრტყელ კლდეზე გვქონდა სექსი. ღია ნაცრისფერი კლდე იყო, მთის მწვერვალთან ახლო. მოღრუბლული იყო და წვიმას აპირებდა, მაგრამ ქარი არ ქროდა. ბინდდებოდა და ჩიტები ბუდეებისკენ მიფრინავდნენ. მოღრუბლული ცის ქვეშ მხოლოდ ჩვენ ორნი ვნეტარებდით. როდესაც ომმა ერთმანეთს დაგვაშორა, ცოტა ხნის დაქორწინებული ვიყავით. ჩემი სხეული ქმრისკენ მიილტვოდა.

წარმოუდგენელ სიამოვნებას ვგრძნობდი. უამრავი პოზა ვცადეთ და კიდეც და კიდეც განვიცდიდით ორგაზმს. საოცარია, რადგან, როგორც ვიხსენებ, რეალურ ცხოვრებაში ორივენი მშვიდი, მეტიც, ჩაკეტილი ადამიანები ვიყავით. ასეთ ვნებას არასდროს შევუპყრივართ და არც ასეთი სიამოვნება გვიგრძნია. მაგრამ სიზმარში, პირველად ჩვენს ცხოვრებაში, ყველაფერი დავივიწყეთ და ცხოველებით ვიქცეოდით.

როდესაც გამოვიღვიძე, ჯერ კიდეც ბნელოდა და უცნაურად ვიყავი. სხეულში სიმძიმეს ვგრძნობდი, თითქოს ჩემი ქმარი ისევ ჩემში იყო. გული სწრაფად მიცემდა და სუნთქვა მიჭირდა. საშო სველი მქონდა, როგორც სექსის შემდეგ. თითქოს კი არ მესიზმრა, მართლა სექსი მქონდა. მრცხვენია, ამას რომ გეუბნებით, მაგრამ ვმასტურბირებდი იმ დილით – სურვილისგან ვიწვოდი და თავისთვის რამე უნდა მეშველა.

ამის შემდეგ ველოსიპედით სკოლაში წავედი, როგორც ყოველთვის და ბავშვებს გორაკისკენ გავუძეხი. როდესაც ბილიკს მივუყვებოდით, ისევ ვგრძნობდი სექსის შემდგომ ეფექტს. საკმარისი იყო, თვალები დამეხუჭა და ვგრძნობდი, როგორ ათავებდა ჩემ შიგნით ჩემი ქმარი, როგორ იღვრებოდა მისი სპერმა ჩემს საშოში. მთელი ძალით ვეჭიდებოდი, ფეხები ფართოდ მქონდა გაშლილი, კოჭებით თემოებზე ვეხებოდი. სიმათლე გითხრათ, გაბრუებული ვიყავი. ბავშვებს რომ მივუძღოდი, თავი ისევ ეროტიკულ სიზმარში მეგონა.

გორაკზე ავძვერით, დანიშნულების ადგილს მივალწიეთ და ის იყო ბავშვები უკვე სოკოს მოსაგროვებლად უნდა დაფანტულიყვნენ, რომ მოულოდნელად მენსტრუაცია დამეწყო. ჯერ არ ველოდი, ათი დღით ადრე დამიმთავრდა, ციკლი კი რეგულარული მქონდა. იმ ეროტიკულმა სიზმარმა თუ შეარხია ჩემში რაღაც და ციკლი არია. ბუნებრივია, მოუმზადებელი ვიყავი, თან ქალაქისგან მოშორებით, ტყეში.

ბავშვები გავაფრთხილე, ცოტა ხნით იქვე შეესვენათ, მე კი მარტო შევედი ტყეში და შეძლებისდაგვარად ვეცადე მოწესრიგებას, თან რამდენიმე ხელსახოცი მქონდა. სისხლი ბევრი იყო, მაგრამ ქალაქამდე როგორმე მივალწევდი. გაბრუებული ვიყავი და კონცენტრირებას ვერაფერზე ვახდენდი. სინდისი მქენჯნიდა იმ ველური სიზმრის, მასტურბაციის, ბავშვებთან ყოფნის დროს ეროტიკული ფიქრების გამო. ისეთი ადამიანი ვიყავი, რომელიც თავს ასეთი ფიქრის უფლებას არ აძლევს.

ბავშვები სოკოს მოსაგროვებლად უნდა გამეშვა, ვფიქრობდი, რომ მალე მივბრუნდებოდი უკან და სკოლაში თავს მოვიწესრიგებდი. ძირს დავჯექი და ვაკვირდებოდი ბავშვებს, რომლებიც სოკოს აგროვებდნენ. თვალყურს ვადევნებდი, რომ რომელიმე უყურადღებოდ არ დამეტოვებინა.

ცოტა ხნის შემდეგ ჩემკენ მომავალი პატარა ბიჭი შევნიშნე, რომელსაც ხელში რაღაც ეჭირა. ეს ნაკატა იყო, ის ბიჭი, გონება რომ არ დაუბრუნდა და საავადმყოფოში დააწვინეს. ხელში ის სისხლიანი ხელსახოცები ეჭირა, რომლებიც მე გამოვიყენე. სული შემეხუთა, თვალებს ვერ დავუჯერე. თითქოს საგულდაგულოდ გადავმალე, ისეთ ადგილას, სადაც ბავშვები ვერ მიაგნებდნენ. ალბათ გამიგებთ, ეს ისეთი რამეა, ყველა ქალს ყველაზე მეტად რომ შეარცხვენს, არავინ რომ არ უნდა ნახოს. როგორ მიაგნო, წარმოდგენა არა მაქვს.

ვერც კი მივხვდი, რას ვაკეთებდი, ისე დავუწყე ცემა. შევაჯანჯღარე და სილა გავაწანი. მგონი, რაღაცას ვუყვიროდი კიდეც, ვერ ვიხსენებ. საკუთარ თავზე კონტროლი დავკარგე. როგორც ჩანს, ისე შემრცხვა, რომ შოკში ჩავვარდი. არასდროს, არასდროს იქამდე ბავშვებისთვის თითიც არ დამეკარებინა. ჩემში ვიღაც სხვა ჩასახლდა.

უცნაოდ შევნიშნე, რომ ყველა ბავშვი მე შემომყურებდა. ზოგი იდგა, ზოგი იჯდა, თავი კი ყველას ჩემკენ მოეჭრიალებინა. ყველაფერი მათ თვალწინ ხდებოდა, ფერდაკარგული ვიდექი, ნაკატამ გონება დაკარგა და მიწაზე დაეცა, სისხლიანი ხელსახოცები... დრო თითქოს გაჩერდა. არავინ განძრეულა, სიტყვაც არ უთქვამთ. ბავშვების სახეები არაფერს გამოხატავდნენ, თითქოს ბრინჯაოს ნიღბები აეფარებინათ. ტყეში გაუსაძლისი სიჩუმე იდგა. მხოლოდ ჩიტების ჭიკჭიკი ისმოდა. იმ კადრს ვერ ვივიწყებ.

არ ვიცი, რა დრო გავიდა, არა მგონია ბევრი, მაგრამ საუკუნედ მომეჩვენა. საბოლოოდ გონს მოვეგე. სამყარომ ფერები დაიბრუნა. სისხლიანი ხელსახოცები დავმალე და ნაკატა წამოვყავენე. ვეხუტებოდი და ბოდინს ვუხდიდი. ვევედრებოდი, მაპატიე, მართალი არ ვიყავი-მეთქი. ისევ შოკში იყო. მის თვალეებში ვერაფერს ამოიკითხავდი, მგონი, არც ესმოდა, რას ვეუბნებოდი. ისევ მკლავებში მყავდა მოქცეული, ასე მივუბრუნდი დანარჩენ ბავშვებს და ვუთხარი, სოკოს მოგროვება გაეგრძელებინათ. როგორც ჩანს, ვერ გაიაზრეს, რა მოხდა, ისეთი უცნაური და მოულოდნელი ამბავი იყო.

ისევ იქ ვიდექი, ნაკატა მკლავებში მყავდა მოქცეული. მინდოდა მოვმკვდარიყავი ან გავმქრალიყავი. ომიანობის პერიოდი იყო, უამრავი ხალხი იხოცებოდა. დარწმუნებული არ ვიყავი, რა იყო ცხადი და რა სიზმარი. მართლა ჭიკჭიკებდნენ ჩიტები? იმ ტყეში საოცრად მარტოსულად ვიგრძენი თავი, სრულიად უმწეოდ. საშოდან სისხლი მდიოდა. გაბრაზებული ვიყავი, შეშინებული და დარცხვენილი – ყველაფერი ერთად. უხმოდ ვტიროდი. აი, ამ დროს დაკარგეს ბავშვებმა გონება.

არ ვაპირებდი სამხედროებისთვის სიმართლე მეთქვა. ომი იყო, საკუთარი რეპუტაცია არ უნდა შეგვებღალა. ამიტომ არ ვთქვი, მენსტრუაცია მოულოდნელად რომ დამეწყო, ნაკატამ რომ სისხლიანი ხელსახოცები იპოვა და, შერცხვენილმა, ცემა რომ დავუწყე. ვშიშობ, რომ ამ ფაქტის არცოდნის გამო, გამოძიებაში ხელი შევიშალეთ. ვერც კი წარმოიდგენთ, ამ აღსარებით გულიდან რამხელა ტვირთი ჩამომეხსნა.

საოცარია, რომ არც ერთ ბავშვს არ ახსოვს მომხდარი. არც ერთს არ ახსოვს სისხლიანი ხელსახოცები, არც ის, ნაკატას ცემა რომ დავუწყე. ეს ყველაფერი თავებიდან ამოუფრინდათ. მერე ყოველ ბავშვს მოვუსმინე, არც ერთს არ ახსოვდა არაფერი. როგორც ჩანს, მასობრივი კომა უკვე დაწყებული იყო.

მინდა, პატარა ნაკატას შესახებ რამდენიმე რამ გითხრათ, როგორც მისმა დამრიგებელმა. რა გადახდა თავს იმ ამბის შემდეგ, წარმოდგენა არა მაქვს. ომის დამთავრების მერე, როდესაც ამერიკელ ოფიცერთან ვიყავი დაკითხვაზე, მისგან გავიგე, რომ ნაკატა ტოკიოს საავადმყოფოში გადაეყვანათ და იქ გონზე მოსულიყო. მაგრამ დეტალები არ გამანდო. ამის შესახებ ალბათ თქვენ მეტი გეცოდინებათ, პროფესორო.

ნაკატა იყო ტოკიოდან ჩვენს ქალაქში ევაკუირებული ხუთი ბავშვიდან ერთ-ერთი. მათ შორის ყველაზე ჭკვიანი იყო და საუკეთესო ნიშნებს იღებდა. სასიამოვნო გარეგნობა ჰქონდა და მუდამ გემოვნებით ეცვა. ზრდილი ყმაწვილი იყო და არასოდეს სხვის საქმეში არ ერეოდა. კითხვაზე საპასუხოდ არასდროს ხელი არ აუწევია, მაგრამ, როცა გამოვიძახებდი, ყოველთვის სწორ პასუხს მაძლევდა და თუ აზრს ვკითხავდი, ლოგიკურად მპასუხობდა. ყველაფერს სწრაფად ითვისებდა, ნებისმიერ საგანს. ყოველ კლასშია თითო ისეთი ბავშვი, რომელიც ყველაფერს ისწავლის, სრულიად ძალდაუტანებლად, საუკეთესო კოლეჯში ჩააბარებს და შემდეგ ძალიან კარგ სამსახურს იშოვის.

მაგრამ, როგორც მასწავლებელს, რამდენიმე რამ მაშფოთებდა. დროდადრო ვგრძნობდი, რომ გულს იცრუებდა ყველაფერზე. იმ დროსაც კი, როდესაც რთულ დავალებას წარმატებით ართმევდა თავს, არ ჩანდა ბედნიერი. არასოდეს ცდილობდა, წარმატებისთვის მიეღწია, არასოდეს გამოეცადა ცდისა და მარცხის ტკივილი, არასოდეს იღიმებოდა. თითქოს მხოლოდ უნდა გაეძლო. ასეც იქცეოდა. ყველაფერს მარჯვედ უძკლავდებოდა იმ ქარხნის მუშასავით, რომელიც კონვეიერის ლენტზე ყველა ხრახნს მჭიდროდ უჭერს სახრახნისით.

მის მშობლებს არასდროს შევხვედრივარ, გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ სახლში პრობლემები უნდა ჰქონოდათ. უამრავი ასეთი შემთხვევა მინახავს. უფროსები მეტისმეტს მოითხოვენ ჭკვიანი ბავშვებისგან. ბავშვები იღლებიან ამ ყველაფრისგან და საკუთარ თავში იკეტებიან, და თან შესრულებულით კმაყოფილების მიღების უნარს კარგავენ. როდესაც ბავშვისგან ბევრს ითხოვენ, ის საკუთარ ნაჭუჭში იკეტება. უამრავი დრო და ენერჯიაა საჭირო მათ კვლავ გასახსნელად. ბავშვებს დამყოლი ხასიათი აქვთ, მაგრამ, თუ ჩაიკეტებიან, რთული ხდება მათი დაბრუნება საწყის მდგომარეობაში, უმეტეს შემთხვევაში – თითქმის შეუძლებელი. იქნებ საკუთარ აზრსაც არ უნდა გამოვთქვამდე, ბოლოს და ბოლოს ეს თქვენი სფეროა. დროდადრო თვალეზში შიში გაუკრთებოდა, რაც ხანგრძლივი ძალადობის შემდგომ გაუჩნდებოდა ხოლმე. სამწუხაროდ, რა სახის ძალადობაზე გესაუბრებით, არ ვიცი. ნაკატა ძალიან მოწესრიგებული იყო და კარგად ძალავდა საკუთარ შიშს. მაგრამ დროდადრო შეკრთებოდა ხოლმე. ვხვდებოდი, მათ სახლში რაღაც საშინელება ხდებოდა. როდესაც ბავშვებთან დიდ დროს ატარებ, ასეთ რამეს იოლად ხვდები.

სოფლები სისასტიკით გამოირჩევიან. უმეტესობა ფერმერია, ისინი გადაღლილნი არიან, დილიდან დაღამებამდე მუხლჩაუხრელად შრომობენ, ცოტას დალევენ და მაშინვე ფიცხდებიან, სხვაზე საცემრად იწევენ. არ არის საიდუმლო, რომ ფერმერების შვილები ამას იტანენ და ემოციური დაღის გარეშე იზრდებიან. მაგრამ ნაკატას მამა უნივერსიტეტის პროფესორი იყო, დედა კი, როგორც მის მიერ გამოგზავნილი წერილებიდან ჩანდა – განათლებული ქალი. ქალაქში მცხოვრები, მაღალი სოციალური ფენის ოჯახი. ამგვარ ოჯახში

ძალადობა თუ ხდება, უფრო ჩახლართულად და არაპირდაპირ, ვიდრე ფერმერების ოჯახებში. ასეთი ძალადობა, ბავშვს გულჩათხრობილს ხდის.

სწორედ ამიტომ განსაკუთრებით ვნანობდი მის ცემას. ეს შოკში მყოფმა ჩავიდინე თუ არა, რა მნიშვნელობა აქვს. ასე არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოვქცეულიყავი, მას შემდეგ თავს დამნაშავედ ვგრძნობ და მრცხვენია. განსაკუთრებით ვნანობ, რადგან ნაკატა, რომელიც მშობლებს მოსწყვიტეს და ამ უცხო გარემოში აღმოჩნდა, როგორც იქნა, მივიდა იმ ზღვარზე, რომ სადაცაა ჩემთან გაიხსნებოდა, ის შემთხვევა რომ არ მომხდარიყო.

ის სისასტიკე, რომელიც მის მიმართ გამოვიჩინე, მძიმე დარტყმას მიაყენებდა. იმედი მქონდა, რომ ამის გამოსწორების საშუალება მომეცემოდა, მაგრამ გარემოებები სხვაგვარად წარიმართა. კვლავ უგონოდ მყოფი ნაკატა ტოკიოს საავადმყოფოში გადაიყვანეს და აღარასოდეს მინახავს. ამაზე დღემდე ვწუხვარ. ახლაც მახსოვს, როდესაც ვურტყამდი, საზარელი შიში და გაუცხოება ეწერა სახეზე.

ბოდიშს ვიხდი, არ ვაპირებდი ამსიგრძე წერილის მოწერას, მაგრამ კიდევ ერთი რამ უნდა ვთქვა. სიმართლე გითხრათ, როდესაც ჩემი ქმარი დაიღუპა ფილიპინებზე, არც შოკი მქონია, არც სასოწარკვეთა მიგრძნია, არც სიბრაზე – მხოლოდ უმწეობა. საერთოდ არ მიტირია. უკვე ვიცოდი, რომ ჩემი ქმარი სადღაც, რომელიღაც შორეულ ბრძოლის ველზე დაეცემოდა. ერთი წლით ადრე, სწორედ მაშინ, როდესაც ჩემ მიერ მოთხრობილი ამბები ხდებოდა – ეროტიკული სიზმარი, ნაადრევი მენსტრუაცია, ნაკატას ცემა, ბავშვების კომაში ჩავარდნა – ვირწმუნე, რომ ბედი ამას მიმზადებდა – ჩემი ქმარი სასიკვდილოდ იყო განწირული. ასე რომ, ცნობამ მისი სიკვდილის შესახებ მხოლოდ დაადასტურა ის, რაც უკვე ვიცოდი. მთაში მომხდარი გამოცდილება ყველაფერს აღემატებოდა, ისეთი განცდა მაქვს, თითქოს სულის ნაწილი იმ ტყეში დავტოვე.

დაბოლოს, მინდა გამოვხატო პატივისცემა თქვენ მიმართ – იმედი მაქვს, თქვენი კვლევა წარმატებით განხორციელდება.

გთხოვთ, თავს გაუფრთხილდეთ,

პატივისცემით...

თორმეტს უკვე გადასცდა. ლანჩს შევექცევი და ბაღს ვათვალიერებ. გვერდით ოშიმა მიჯდება. ჩვეულებისამებრ ყველაზე იაფფასიანი ლანჩის ულუფა შევიძინე მატარებლის სადგურის პატარა მაღაზიაში. ვსაუბრობთ, მერე კი ოშიმა სენდვიჩის ნახევარს მთავაზობს.

– დღეს ზედმეტი მოვამზადე შენთვის, – მარწმუნებს, რომ მართლა ასეა, – ცუდად არ გამიგო, მაგრამ ისეთი იერი გაქვს, თითქოს საერთოდ აღარ ჭამ.

– ვცდილობ, კუჭი დავიპატარაო.

– განგებ ცდილობ?

თავს ვუქნევ.

– ფულის დასაზოგად?

ისევ თავს ვუქნევ.

– მესმის, მაგრამ შენს ასაკში ჯანსაღად კვებაა საჭირო.

სენდვიჩი მადისაღმძვრელად გამოიყურება. მადლობას ვუხდის და ჭამას ვიწყებ. თეთრ პურზე კარაქი, შებოლილი ორაგული, სალათის ფურცელი, პირშუშხა და ზღვის წიწმატია. პურის ქერქი დაბრაწულია.

– შენ თვითონ მოიმზადე? – ვეკითხები.

– ვინ მოიმზადებდა, არავინ მყავს.

თერმოსიდან ფინჯანში შავ ყავას ისხამს. მე კი რძეს ვსვამ მუყაოს კოლოფიდან.

– ამჟამად რას კითხულობ?

– ნაცუმე სოსეკის სრულ კრებულს. მისი ყველა რომანი არ მქონდა წაკითხული, ახლა კი შანსი მომეცა.

– ისე მოგწონს, რომ ყველა მისი ნაშრომის წაკითხვას აპირებ?

თავი დავუქნიე.

მის ფინჯანს ორთქლი ასდის. ცა მოქუფრულია და ბნელა, მაგრამ წვიმამ უკვე გადაიღო.

– აქ რომელი მისი ნაწარმოებები წაიკითხე?

– „მალაროელი“. ახლა „ყაყაჩოებს“ ვკითხულობ.

– „მალაროელი“, არა? – მეკითხება ოშიმა და წიგნის გახსენებას ცდილობს. – ეგ ის წიგნი არ არის, ტოკიოელი კოლეჯის სტუდენტი მალაროში რომ აღმოჩნდება? თავს რომ ათასი სიძნელე გადახდება სხვა მალაროელებთან ერთად, მერე კი ძველ ცხოვრებას უბრუნდება? საშუალო სიდიდის რომანი იყო, როგორც მახსოვს. დიდი ხნის წინ წავიკითხე. შინაარსი ისეთი არა აქვს, როგორსაც სოსეკისგან მოელი, არც სტილია დახვეწილი. მის საუკეთესო ნაწარმოებად ვერ მივიჩნევთ. რა მოგეწონა ამ რომანში?

ვცდილობ, საკუთარი შთაბეჭდილება გადმოვცე, მაგრამ ყვავის დახმარება მჭირდება. გამოჩნდეს, ფრთები გაშალოს და შესაფერისი სიტყვები მომიძებნოს!

– მთავარი გმირი შეძლებული ოჯახიდანაა, მაგრამ საქმე ცუდად წაუვა და სასოწარკვეთილი გარბის სახლიდან. აქეთ-იქით ხეტიალის დროს, მოჩვენებისნაირი პერსონაჟი მალაროში მუშაობას შესთავაზებს, ისიც თანხმდება და ასე იწყებს მუშაობას აშიოს მალაროში. მიწისქვეშეთში თავს იმდენი რამ გადახდება, რომ ვერც წარმოიდგენდა. ეს უმანკო მდიდარი ბიჭი ვილაც ნაყარწყარ ხალხთან ამოყოფს თავს.

ერთ ყლუპ რმეს ვსვამ და ვცდილობ, სათქმელს თავი მოვუყარო. ყვავს მოსაფრენად დრო სჭირდება. ოშიმა მოთმინებით მელის.

– დიდ გამოცდილებას მიიღებს მალაროში. მალაროდან ისევ ძველ ცხოვრებას უბრუნდება. მაგრამ რომანში არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ამ გამოცდილებამ მას რამე შესძინა, რამე ასწავლა, რომ მისი ცხოვრება შეცვალა, რომ სიცოცხლის საზრისზე ან საზოგადოების თემაზე ღრმად ჩაფიქრდა, ვერც მის დაღვინებას გრძნობ. კითხვას რომ ამთავრებ, უცნაური განცდა გეუფლება. გიკვირს, ნეტა სოსეკის რისი თქმა სურდაო. კარგად ვერ ვხსნი.

– ანუ „მალაროელის“ სტრუქტურა ბევრად განსხვავდება, ვთქვათ, სოსეკის „სანშიროსგან“? თავი დავუქნიე.

– ალბათ მართალი ხარ. სანშირო ნაწარმოებში იზრდება. წინ დაბრკოლებები ხვდება, ფიქრობს, სიმნელებს უმკლავდება, არა? „მალაროელის“ პერსონაჟი კი განსხვავებულია. აკვირდება მოვლენებს და ყველაფერს უსიტყვოდ იღებს. მართალია, დროდადრო საკუთარ აზრს გამოთქვამს, მაგრამ არც ისე ღრმას. მარტო არეულ სასიყვარულო ურთიერთობაზე ფიქრობს. ისეთივე გამოდის მალაროდან, როგორც იქ შევიდა. ვერ იაზრებს, რომ ეს მისი გადაწყვეტილება იყო, რომ არჩევანი ჰქონდა. ის უკიდურესად პასიურია. მაგრამ რეალურადაც ასეთები არიან ადამიანები. გადაწყვეტილებების მიღება ადვილი არ არის.

– თავს მალაროელის პერსონაჟს ამსგავსებ?

თავი გავაქნიე.

– არა, ამაზე არასდროს მიფიქრია.

– მაგრამ ადამიანებს რამე ხელმოსაკიდი უნდა ჰქონდეთ. აუცილებლად. შენც ასე იქცევი, მაგრამ ვერ იაზრებ. როგორც გოეთემ თქვა, ყველაფერი მეტაფორაა.

ერთხანს ამაზე ვფიქრობ.

ოშიმა ყავას წრუპავს.

– ნებისმიერ შემთხვევაში, «მალაროელის» საინტერესო შეფასებაა. თან შენც სახლიდან ხარ გამოქცეული. გადაკითხვის სურვილი გამიჩნდა.

სენდვიჩი შეეჭამე. რძის ცარიელი მუყაოს კოლოფი დავჭმუჭნე და ნაგვის ვედროში ჩავაგდე.

– ოშიმა, – ვცდილობ, სიტყვები ზუსტად შევარჩიო, – რაღაც პრობლემა მაქვს და შენ გარდა ვერავის მივმართავ რჩევისთვის.

ხელებს ისე შლის, თითქოს მეუბნებოდეს, მზად ვარ გემსახურო.

– გრძელი ამბავია... დამის გასათევი არ მაქვს. სამილე ტომარა მაქვს, ასე რომ, ლეიბი ან საწოლი არ მჭირდება, მხოლოდ ჭერი თავზე. გეგულება რამე ამდაგვარი ახლომანლო ?

– როგორც ვხვდები, სასტუმროს ან ჰოსტელს არ გულისხმობ.

თავი გავაქნიე.

– ფულშია საქმე. თან ვცდილობ, თვალში არავის მოვეჩხირო.

– პოლიციის არასრულწლოვანთა განყოფილებას გულისხმობ, ალბათ.

– ჰო.

– შეგიძლია, აქ დარჩე. – მეუბნება მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ.

– ბიბლიოთეკაში?

– დიახ. ჭერიც არის, თავისუფალი ოთახიც, რომელსაც დამდამობით არავინ იყენებს.

– მერე პრობლემა არ იქნება?

– მართალია, იქამდე რაღაცები იქნება მოსაგვარებელი, მაგრამ შესაძლებელია. უფრო სწორად, შეუძლებელი არ არის. დარწმუნებული ვარ, ყველაფერს იოლად მოვაგვარებ.

– კი მაგრამ, რატომ?

– კარგ წიგნებს კითხულობ, პრობლემებს თვითონ აგვარებ. ფიზიკურად ჯანსაღი ჩანხარ და დამოუკიდებელი ტიპი ხარ. მოწესრიგებულად ცხოვრობ და დიდი ნებისყოფა გაქვს. იმისთვისაც გყოფნის ნებისყოფა, რომ კუჭი დაიპატარაო, არა? ქალბატონ საეკის დაველაპარაკები, რომ ჩემს ასისტენტად აგიყვანოს და ბიბლიოთეკის ცარიელ ოთახში ცხოვრების ნება დაგროს.

– გინდა, რომ შენს ასისტენტად ვიმუშაო?

– ბევრი საქმის გაკეთება არ მოგიწევს. ძირითადად ბიბლიოთეკის გახსნასა და დახურვაში მომეხმარები. აქაურობის დასალაგებლად და კომპიუტერული სისტემის მოსაწესრიგებლად პროფესიონალებს ვქირაობთ. ამის გარდა, ბევრი საქმე არ რჩება გასაკეთებელი. რასაც გინდა, იმას წაიკითხავ ხოლმე. რას ფიქრობ?

– რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ... არა მგონია, ქალბატონი საეკი დაგვთანხმდეს. მე თხუთმეტის ვარ, თან სახლიდან გამოვიქეცი, იმან კი არაფერი იცის ამის შესახებ...

– მაგრამ ქალბატონი საეკი... როგორ ვთქვა... – ყოყმანობს ოშიმა, შესაფერის სიტყვას ეძებს, – ცოტა განსხვავებულია.

– განსხვავებული?

– სხვა ადამიანებისგან გასხვავებული თვალთახედვა აქვს.

თავს ვუქნევ. სხვებისგან განსხვავებული თვალთახედვა? რას გულისხმობს?

– გინდა თქვა, რომ უცნაურია?

თავი გააქნია.

– არა, ამას არ ვგულისხმობ. უცნაურიაო, ეგ ჩემზე შეიძლება თქვა. ის არ ერიდება, რომ საყოველთაოდ მიღებული გზიდან გადაუხვიოს.

მაინც ვერ ვხედავ განსხვავებას უცნაურსა და განსხვავებულს შორის, მაგრამ ჯერჯერობით თავს ვიკავებ შეკითხვის დასმისგან.

– დღეს აქ მაინც ვერ დარჩები, – პაუზის შემდეგ მეუბნება ოშიმა, – ამიტომ სხვაგან წაგიყვან, რომ რამდენიმე დღე იქ გაატარო, ვიდრე ყველაფერი მოგვარდება. წინააღმდეგი ხარ? ოღონდ ცოტა შორს არის.

– რა პრობლემაა.

– ბიბლიოთეკა ხუთზე იხურება. რაღაცებს მოვაწესრიგებ და ექვსის ნახევრისთვის გავიდე. ჩემი მანქანით წაგიყვან. იქ ამჟამად არავინ ცხოვრობს. მაგრამ არ იდარდო – იქ ჭერი ნამდვილად არის.

– გმადლობ.

– მადლობა მერე გადამიხადე, როდესაც იქ მივალთ. შეიძლება ისეთი არ აღმოჩნდეს, როგორც წარმოგიდგენია.

სამკითხველო დარბაზში ვბრუნდები და „პეპლების“ კითხვას ვაგრძელებ. სწრაფად არ ვკითხულობ. მიყვარს ერთი და იმავე წინადადების რამდენჯერმე გადაკითხვა, სტილს გემოს ვუსინჯავ. თუ არ მომწონს, კითხვას ვწყვეტ. ხუთისთვის კითხვას ვასრულებ, წიგნს თაროზე ვაბრუნებ და სავარძელში ვჯდები, თვალეხს ვხუჭავ და გასულ დამეზე ვფიქრობ. საკურაზე. მის ოთახზე. მის ქცევაზე.

ექვსის ნახევარზე ბიბლიოთეკასთან ვდგავარ და ოშიმას ველი. შენობის უკანა მხარეს მდებარე ავტოსადგომისკენ მიმიძღვება და მის მწვანე სპორტულ მანქანაში ვსხდებით. მაზდა მიატაა, კაბრიოლეტი. ჩემი ზურგჩანთა ამ საბარგულისთვის საკმაოდ დიდი აღმოჩნდა, ამიტომ უკან თოკით ვამაგრებ.

– წინ გრძელი გზა გველის, ასე რომ, შევჩერდეთ და ვისადილოთ. – მეუბნება ოშიმა, გასაღებს ატრიალებს და მანქანას ქოქავს.

– საით მივდივართ?

– კოჩიში. ყოფილხარ იქ?

თავი გავაქნიე.

– შორს არის?

– ორსაათ-ნახევარი დაგვჭირდება. სამხრეთით, მთებს იქით არის.

– ასე შორს წასვლით არ შეწყობდები?

– არაფერია. სწორი გზაა და ჯერ კიდევ დღეა. და თან ბაკიც სავსე მაქვს საწვავით.

მოქუფრული ცის ქვეშ, ქალაქის ქუჩებში მივქრივართ, მერე გზატკეცილზე გადავდივართ და დასავლეთისკენ მივემართებით. ოშიმა შეუფერხებელივ გადადის გზიდან გზაზე, სხვა მანქანებს შორის მიძვრება. სიჩქარის შეცვლის დროს ძრავას ხმა ოდნავ იცვლება. ოთხმოცდაათით მიდის.

– ეს მანქანა საგანგებოდ არის აწყობილი, ჩვეულებრივი მიატა არ არის. ერკვევი მანქანებში?

თავი გავაქნიე. მანქანები ჩემი სფერო არ არის.

– მოგწონს ტარება? – ვეკითხები.

– ექიმმა მაიძულა, უარი მეთქვა, ყოველგვარ ექსტრემალურ სპორტზე. ასე რომ, ვატარებ. ეს კომპენსაციაა.

– რამე გჭირს?

– სამედიცინო დასახელება გრძელია. ჰემოფილიის სახეობაა, – უდარდელად ამბობს ოშიმა, – იცი, ეგ რა არის?

– დაახლოებით, – ბიოლოგიის გაკვეთილებზე ვისწავლეთ. – თუ სისხლდენა დაგეწყება, ვეღარ შეაჩერებ, გენეტიკურია, სისხლი არ დედდება.

– მართალი ხარ. ჰემოფილიის მრავალნაირი ფორმა არსებობს. მე ერთ-ერთი იშვიათი ფორმით ვარ ავად. ძალიან საშინელი ავადმყოფობა არ არის, მაგრამ უნდა ვეცადო, რომ არ დავშავდე. თუ სისხლდენა დამეწყო, საავადმყოფოში უნდა დავწვე. ამჟამად კი საავადმყოფოებში სისხლის დეფიციტია. შიდსით ავად გახდომის არანაირი სურვილი არა მაქვს. ასე რომ, ქალაქში ნაცნობები მყავს, რომლებიც, თუ დამჭირდა, ჯანსაღ სისხლს მომაწოდებენ. ამ დაავადების გამო არ ვმოგზაურობ. მხოლოდ ჰიროშიმაზე მივემგზავრები ხოლმე რეგულარული გამოკვლევების ჩასატარებლად. სხვა შემთხვევებში თითქმის არასდროს ვტოვებ ქალაქს. არც ისე ცუდადაა საქმე, მოგზაურობა და სპორტი ჩემი საქმე მაინც არ იყო. სამზარეულოს დანას ვერ ვიყენებ, ასე რომ, სადილს ვერასდროს ვამზადებ, რაც მესირცხვილება.

– ტარებაც სახიფათო სპორტია.

– ეს სხვაგვარი რისკია. ძალიან სწრაფად ვატარებ. თუ ავარიაში მოვხვდები, მარტო თითი არ დამიზიანდება. თუ ბევრ სისხლს კარგავ, არა აქვს მნიშვნელობა, ჰემოფილიკი ხარ თუ არა.

ავარიის დროს გადარჩენის შანსი ჰემოფილიკს და სხვებს ერთნაირი აქვთ. ასე რომ, სისხლის შედედებაზე აღარ უნდა იფიქრო და უდარდელად უნდა მოკვდე.

– ჰო...

– ნუ დეღავ, – იცინის ოშიმა, – ავარიაში არ მოვხვდები. ფრთხილი მძღოლი ვარ, მანქანას კარგად ვუვლი. გარდა ამისა, მინდა, ჩემთვის მოკვდე, წყნარად.

– არც სხვასთან ერთად სიკვდილი გენდომება.

– მიმიხვდი.

სასადილოსთან ვჩერდებით. მე ქათმის ხორცსა და სალათას ვიღებ, ის – ზღვის პროდუქტების კარისა და სალათას. ანგარიშს ოშიმა ასწორებს და ისევ მანქანაში ვსხდებით. უკვე დაბნელდა. გაზს აწვება, ტახომეტრი მაღლა იწევს.

– მუსიკას ჩავრთავ. წინააღმდეგი ხომ არ ხარ?

– რა თქმა უნდა, არა.

მუსიკალური დისკოს ჩამრთველ ღილაკს აწვება. ამ კლასიკურ ნაწარმოებს ერთხანს ჩუმად ვუსმენ და ვცდილობ გამოვიცნო, ვისი კომპოზიციაა. ვხვდები, რომ არც ბეთჰოვენი, არც შუმანი – ვიღაც მათ ეპოქებს შორის.

– შუბერტია?

– გამოიცანი, – ჩემკენ იყურება, – მოგწონს შუბერტი?

– არც ისე.

– როდესაც ვატარებ, მიყვარს შუბერტის ფორტეპიანოს სონატების აწეული ხმით მოსმენა. ხვდები რატომ?

– აზრზე არ ვარ.

– შუბერტის საფორტეპიანო სონატების შესრულება მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე რთული რამ არის. განსაკუთრებით კი სონატა დო მაჟორია რთული. ზოგ პიანისტს ერთი-ორი მოძრაობის შესრულება შეუძლია უნაკლოდ, მაგრამ, თუ ოთხივე ნაწილს მოისმენ, როგორც მთლიანს, მიხვდები, რომ ნორმალურად ვერავინ ასრულებს. უამრავმა ცნობილმა პიანისტმა სცადა ეს გამოწვევა მიეღო, მაგრამ ყოველთვის რაღაც აკლდებოდათ. ვერც ერთი ვერ ასრულებს ისე, რომ თქვა: «დიახ! მან ეს შეძლო!». იგი რატომ?

– არა.

– იმიტომ, რომ თვითონ სონატა არ არის უნაკლო. რობერტ შუმანს ესმოდა შუბერტის სონატები კარგად, და მან ამ კონკრეტულს უღმერთოდ მოსაწყენი უწოდა.

– თუ კომპოზიცია არ არის უნაკლო, რატომ ცდილობს ამდენი პიანისტი, რომ დაოსტატდეს მის შესრულებაში?

– კარგი კითხვაა, – მეუბნება ოშიმა და ჩუმდება. სიჩუმეს მუსიკა ავსებს, – კარგად ვერ აგისხნი, მაგრამ ერთი რამ კი შემიძლია გითხრა. ნამუშევრები, რომლებსაც რაღაც ნაკლი აქვთ, სწორედ ამ მიზეზის გამო იზიდავენ ადამიანებს – ან გარკვეული ტიპის ადამიანებს. ზუსტად ისე, როგორც შენ გიზიდავს სოსეკის „მადაროელი“. რაღაცამ მიგიზიდა, შეგიპყრო, უფრო მეტად, ვიდრე უკეთესმა, უფრო დახვეწილმა რომანებმა „კოკორომ“ ან „სანშირომ“. ამ ნამუშევრებში რაღაც შენს გულს იპყრობს. შუბერტის სონატა დო მაჟორიც რაღაც ამგვარია.

– მოდი, კითხვას დავუბრუნდეთ. რატომ უსმენ შუბერტის სონატებს? და განსაკუთრებით ტარების დროს?

– თუ შუბერტის სონატებს სწორხაზოვნად შეასრულებ, ეს ხელოვნება არ იქნება. როგორც შუმანმა აღნიშნა, ეს ნაწარმოები ძალიან გრძელი და პასტორალურია, ტექნიკურად კი ძალიან მარტივი. თუ ასე შეასრულებ, ზედაპირულ და უგემოვნო რამეს მიიღებ, დაობებულ სიძველეს. სწორედ ამიტომ ყველა პიანისტი, რომელიც ამ კომპოზიციას ასრულებს, რაღაც თავისას მატებს მას. როგორც ახლა – გესმის, როგორ ანაწევრებს? რუბატო დაუმატებია. ტემპს, მოდულაციებს არეგულირებს. სხვაგვარად ვერ შეკრავს. ამასთანავე მუსიკოსები ფრთხილად უნდა მოიქცნენ, რომ ამ დამატებებით ნაწარმოების ერთიანობა არ დაარღვიონ. თორემ ეს შუბერტის მუსიკა აღარ იქნება. ყველა პიანისტს, რომელიც შუბერტის მუსიკას ასრულებს, ამ პარადოქსთან უწევს გამკლავება.

ის მუსიკას უსმენს, მელოდიას ისრუტავს, მერე კი ლაპარაკს აგრძელებს.

– ამიტომაც მიყვარს შუბერტის მოსმენა მანქანის მართვის დროს. როგორც უკვე ვთქვი, სწორედ იმიტომ, რომ ყოველ შესრულებას ნაკლი აქვს. ეს მეტისმეტად ხელოვნური ნაკლი კი ქვეცნობიერს სტიმულს აძლევს, აფხიზლებს. თუ მანქანის ტარების დროს სრულყოფილი ნაწარმოების უნაკლო შესრულებას მოვისმენ, სურვილი გამიჩნდება, დავხუჭო თვალები და იქვე მოვკვდე. მაგრამ სონატა დო მაჟორის მოსმენის დროს ვგრძნობ ადამიანების შესაძლებლობების ზღვარს – ვგრძნობ, რომ სრულყოფილების რაღაც სახის მიღწევა მხოლოდ უსაზღვრო არასრულყოფილების მეშვეობით შეიძლება. ხვდები, რას ვგულისხმობ?

– დაახლოებით...

– უკაცრავად, – ამბობს ოშიმა, – საუბრის თემიდან გადავუხვიე.

– არასრულყოფილების სხვადასხვა სახე და ხარისხი არსებობს, არა?

– რა თქმა უნდა.

– სონატა დო მაჟორის რომელი შესრულება მიგაჩნია უკეთესად?

– რთული სათქმელია. – ოშიმა ფიქრობს. სვლას ანელებს, გზის საპირისპირო მხარეს გადადის, მარდად გვერდს უქცევს უზარმაზარ თვრამეტობრიან სატვირთოს, სიჩქარეს უმატებს და უკან, ჩვენსავე სავალ ნაწილში ბრუნდება, – არ მინდა, შეგაშინო, მაგრამ ღამის გზაზე მწვანე მიატა ყველაზე რთული შესამჩნევია. ისედაც პატარაა, მწვანე კი სიბნელეში საერთოდ არ ჩანს. განსაკუთრებით სატვირთოს მძღოლებს უჭირთ მისი შემჩნევა საკუთარი კაბინებიდან. ამიტომ საშიშიც კია ტარება, განსაკუთრებით გვირაბებში. სპორტული მანქანები

მხოლოდ წითელი უნდა იყოს. ამიტომაც ფერარი ძირითადად წითელი. მაგრამ მე მწვანე მომწონს, რაც კიდევ უფრო საშიშს ხდის მიატას ტარებას. მწვანე ტყის ფერია, წითელი – სისხლის.

საათს დაჰყურებს და მუსიკას უგდებს ყურს.

– შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე კარგად ბრენდელმა და აშკენაზიმ შეძლეს შეესრულებინათ შუბერტის სონატა დო მაჟორი, თუმცა პირადად ჩემთვის მათ არანაირი ემოცია არ მოუგვრიათ. შუბერტის მუსიკა დუელში იწვევს და ანადგურებს სამყაროს. ეს რომანტიზმის არსია, შუბერტის მუსიკა კი რომანტიზმის განსახიერებაა.

მეც სონატას ვუსმენ.

– მოსაწყენია? – მეკითხება ოშიმა.

– ჰო.

– შუბერტის მუსიკას იმ შემთხვევაში დააფასებ, თუ მის მოსმენაში გაიწვრთნები. როდესაც პირველად მოვისმინე, საშინლად მოსაწყენი მეჩვენა. მაგრამ შენს ასაკში ეს გასაკვირიც არ არის. მოვა დრო და დააფასებ. ადამიანებს ის უფრო სწრაფად ყირჰყდებათ, რაც მოსაწყენი არ არის, მოსაწყენი რამეებით კი უფრო შეიქცევენ ხოლმე თავს. შეიძლება მოვიწყინო, მაგრამ არასდროს მყირჰდება რამე. ბევრი განსხვავებასაც ვერ ხედავს ამ ცნებებს შორის.

– რომ თქვი, უცნაური ვინმე ვარო, ჰემოფილიას გულისხმობ?

– ესეც გასათვალისწინებელია, – ეშმაკურად იცინის, – მაგრამ არის კიდევ რაღაცები.

შუბერტის გრძელი, ღვთიური სონატა მთავრდება და ჩვენ აღარაფერს აღარ ვუსმენთ. ჩუმად ვართ, საკუთარ ფიქრებში ჩაფლული. მე შემხვედრ საგნებს ვაკვირდები. გზაჯვარედინზე სამხრეთისკენ ვუხვევთ და მთებისკენ მივდივართ, ერთ გრძელ გვირაბს მეორე მოსდევს. ყოველ მანქანასთან ჩავლის დროს ოშიმა ძალიან მობილიზებულია. რამდენიმე ნელა მოძრავი სატვირთო მანქანა გვხვდება გზად და ყოველ ჯერზე ჰაერი ისე კვნესის, თითქოს ვიღაცას სული ამოაცალესო. დროდადრო უკან ვიხედები, ვამოწმებ ჩემი ზურგჩანთა ისეც საიმედოდ თუა დამაგრებული.

– ის ადგილი, სადაც ჩვენ მივდივართ, ღრმადაა მთებში, ვერ იტყვი, ყველაზე სასიამოვნო საცხოვრებელი ადგილიაო. არა მგონია, იქ ვინმეს გადაეყარო. იქ არც რადიოა, არც ტელევიზორი, არც ტელეფონი. დარწმუნებული ხარ, რომ იქ ცხოვრებას შეძლებ?

– ჰო.

– მარტო ცხოვრებას კი ხარ შეჩვეული.

თავი დავუქნიე.

– მაგრამ მარტოობა სხვადასხვაგვარია. რაც წინ გელის, შეიძლება მოულოდნელი აღმოჩნდეს.

– რას გულისხმობ?

ოშიმა სათვალეს ისწორებს.

– ვერ აგისხნი, ეგ შენზეა დამოკიდებული.

გზატკეცილიდან პატარა გზაზე გადავდივართ. გზის ახლო პატარა ქალაქია. ოშიმა სასურსათო მაღაზიასთან ჩერდება და იმაზე მეტ სურსათს ყიდულობს, ვიდრე თან შეგვიძლია წავიღოთ – ბოსტნეულსა და ხილს, კრეკერებს, რძეს და მინერალურ წყალს, კონსერვებს, პურს, დაფასობულ მზა საჭმელს, ძირითადად ისეთ პროდუქტებს, მომზადება რომ არ სჭირდება. ჯიბიდან საფულეს ვიღებ, მაგრამ თავს აქნევს და თვითონ იხდის.

მანქანაში ვბრუნდებით და გზას დაბლა მივუყვებით. ის ჩანთები, რომლებიც საბარგულში არ ჩაეტია, ხელით მიჭირავს. როდესაც ამ პატარა ქალაქს ვტოვებთ, უკვე კარგა ბნელა. სახლები არ ჩანს, გზა ისეთი ვიწროა, ორი მანქანა ერთმანეთს გვერდს ვერ აუქცევს. ოშიმა შორ მანქანებს ანთებს და წინ მიიწევს, მეორესა და მესამე სიჩქარეებს შორის აგდებს. სახის გამომეტყველებაზე ვამჩნევ, რომ ტარებაზე აქვს ყურადღება გამახვილებული, ტუჩები მოკუმული აქვს, თვალებით სიბნელეში რაღაც წერტილს მიშტერებია, მარჯვენა ხელით საჭე ჩაუბლუჯავს, მარცხენა სიჩქარის გადასართავად აქვს მომართული. მარცხნივ ციცაბო კლდეა. ქვემოთ მთის წყარო უნდა მიედინებოდეს. გზა უფრო მოსრიანებული ხდება. რამდენჯერმე მანქანის უკანა ბორბლები ცურდება, მაგრამ ვცდილობ, ამაზე არ ვიფიქრო. ოშიმა ისეა კონცენტრირებული, შეუძლებელია, ავარიაში მოვყვეთ.

საათი მიჩვენებს, რომ ცხრა ხდება. ფანჯარას დაბლა ვწევ, ცივი ჰაერი შემოდის. ყველაფერს სხვაგვარი ხმა აქვს აქ, მთებში ვართ, თანდათან უფრო ღრმად შევდივართ. შვებით ამოვისუნთქე, როცა ციცაბო კლდეებიდან გზა ტყეში გადავიდა. ჩვენს თავზე ხეები ჯადოსნურად ლივლივებენ. სინათლე ხის ტანს ეცემა, ხან ერთს ანათებს, ხან მეორეს. კარგი გზა უკან მოვიტოვეთ. არც მთვარეა, არც ვარსკვლავები. საქარე მინას დროდადრო აწვიმს.

– აქ ხშირად დადიხარ?

– ადრე დავდიოდი. ახლა სამსახურის და სხვა რამეების გამო იშვიათად მოვდივარ. ჩემი უფროსი ძმა სერფერია და კოჩიზე, სანაპიროზე ცხოვრობს. სერფინგის მაღაზია აქვს და სერფინგის დაფებს ამზადებს. ზოგჯერ ის ჩამოდის ხოლმე. იცი სერფინგი?

– არასდროს მიცდია.

– თუ შანსი მოგეცემა, ჩემს ძმას ასწავლებინე. ძალიან კარგად ასწავლის. თუ შეხვდები, ნახავ, რომ სულ არ მგავს. ის დიდია და გარუჯული, მშვიდი, არ არის დიდად კომუნიკაბელური. ლუდი უყვარს. შუბერტს ვაგნერისგან ვერ განასხვავებს, მაგრამ ერთმანეთს ძალიან კარგად ვეწყობით.

გზას მივუყვებით ტყეში. და საბოლოოდ ვჩერდებით. ოშიმა მანქანას აჩერებს, მაგრამ ძრავას არ რთავს, გადადის მანქანიდან, მავთულის ღობის ჭიმკარს აღებს. შიგნით შევდივართ და ქარიანი ოღროჩოღრო გზით მივდივართ მდელომდე, სადაც გზა წყდება. ოშიმა მანქანას აჩერებს, მძიმედ სუნთქავს, თმას ორივე ხელით უკან იწევს, ძრავას რთავს და მანქანას აყენებს. კონდიციონერი კვლავ ბზუის, გაცხელებულ ძრავას აგრილებს, კაპოტიდან ორთქლი ამოდის,

მაგრამ ძრავა გამორთულია და თანდათან სიჩუმე ისადგურებს. ახლოდან ნაკადულის ხმა მესმის, წყლის წყნარი ჩუხჩუხი. ქარიც სიმბოლურად ზუზუნებს. კარს ვაღებ და გადავდივარ, გრილა. მაისურზე მოცმულ ქურთუკს ყელამდე ვიკრავ.

ჩვენ წინ პატარა შენობაა, ხის ქობივით რაღაც, მაგრამ ამ სიბნელეში ძნელია გარჩევა. ტყის ფონზე რაღაც მუქი კონტური ჩანს. ფარები ისევ ანთია, ოშიმა ქოხს ნელა უახლოვდება, ხელში ფანარი უჭირავს, ტერასის კიბეებს მიუყვება, გასაღებს აბრუნებს და კარს აღებს. შიგნით შედის, ჯერ ასანთს ანთებს, მერე ლამპას. შემდეგ ისევ ტერასაზე გამოდის ხელში ლამპით და ხმამაღლა მეუბნება: – კეთილი იყოს შენი მობრძანება ჩემს სახლში. ეს სცენა ზღაპრების ძველ წიგნში დახატულს მაგონებს. კიბეზე ავდივარ და სახლში შევდივარ, ოშიმა ჭერზე ჩამოკიდებულ უფრო დიდ ლამპას ანთებს. ქოხში სულ ერთი, დიდი ოთხკუთხა ოთახია. პატარა საწოლი დგას კუთხეში, სასადილო მაგიდა და ორი ხის სკამი, ძველი სავარძელი, უკვე გაქუცული ხალიჩა – თითქოს ძველი ავეჯი ერთად შეყარესო. თარო წიგნებითაა გამოქედილი, ისეთი გაცვეთილი ყდები აქვთ, ეტყობა, რომ მრავალჯერაა გადაკითხული. აქვეა ძველი ტანსაცმლის კარადა და უბრალო სამზარეულო, მაგიდით, რომელზეც გაზის პატარა ქურა დგას, ნიჟარაც არის, მაგრამ წყალი არ მოდის. ეს ალუმინის ავზი წყლის რეზერვუარი უნდა იყოს. თაროზე ქვაბი და ჩაიდანის დგას, კედელზე კი ტაფა კიდია. შუაგულ ოთახში შავი ბუხარი დგას.

– ეს ქოხი ჩემმა ძმამ ააშენა თავისი ხელით. ტყისმჭრელის ქოხი გადააკეთა. ძალიან ხელმარჯვე ვინმეა. მე მაშინ პატარა ვიყავი და ცოტათი ვებმარებოდი, ვცდილობდი, არაფერი გამეჭრა. პრიმიტიულია – არც შუქია, არც წყალი მოდის, არც ტუალეტი. ერთადერთი ფუფუნება გაზია, – ოშიმა ჩაიდანში მინერალურ წყალს ასხამს და ასადულებლად დგამს, – ეს მთა ბაზუაჩემს ეკუთვნოდა. კოჩიში ძალიან მდიდარი კაცი იყო, დიდ ქონებას ფლობდა. ათი წლის წინ გარდაიცვალა და მე და ჩემს ძმას თითქმის მთელი მთა გვერგო ანდერძით. არც ერთ სხვა ნათესავს არ გამოუთქვამს სურვილი. მთა მთავარ გზას მოშორებულია და ძვირიც არ ღირს. მთაში მოსავლის ასაღებად რომ წამოხვიდე, მუშახელი გჭირდება, ეს კი ძალიან ძვირი ჯდება.

ფანჯარაზე ფარდას ვწევ. მხოლოდ უკუნ სიბნელეს ვხედავ.

– ალბათ შენოდენა ვიქნებოდი, – მეუბნება ოშიმა და ტოლჩაში გვირილის ჩაის პაკეტებს დებს, – როდესაც აქ ხშირად ამოვდიოდი და ჩემს ნებაზე ვცხოვრობდი. ვერავის ვხედავდი, ვერავის ვესაუბრებოდი. ჩემი ძმა თითქმის მაიძულებდა. ასეთი დაავადების მქონე ადამიანისთვის ძალიან საშიშია განმარტობით, მოწყვეტილ ადგილას ცხოვრება. მაგრამ ჩემს ძმას ეს არ ადარდებდა, – ის დახლისკენ იხრება და ელის წყლის ადულებას, – ჩემს მორჯულებას კი არ ცდილობდა, ფიქრობდა, სჭირდებაო. როდესაც ამაზე დავფიქრებდი ხოლმე, ვხვდები, მართლაც ეს მჭირდებოდა. კარგი გამოცდილება მივიღე. შემემძლო, ბევრი მეკითხა, ბევრ რამეზე დავფიქრებულებიყავი. სიმართლე გითხრა, ერთხანს თითქმის არ დავდიოდი სკოლაში. სკოლასა და ჩემ შორის ორმხრივი სიძულვილი სუფევდა. ყველასგან განვსხვავდებოდი. საშუალო სკოლა მაინც დამამთავრებინეს, მერე კი საკუთარ ნებაზე ვიცხოვრე, როგორც შენ. ეს უკვე მოგიყევი?

თავი გავაქნიე.

– ამიტომ მეპყრობი ასე კარგად?

– ამიტომაც, – ამბობს და ყოვნდება, – მაგრამ მარტო ამის გამო არა.

ოშიმა ჩაის ფინჯანს მიწვდის და თვითონაც სვამს. მეზავრობის შემდეგ ნერვები დაწყვეტაზე მაქვს და სწორედ ჩაი მჭირდება.

ოშიმა საათს დაჰყურებს.

– ჯობია, უკვე წავიდე. ამიტომ ნება მომეცი, სწრაფად აგიხსნა ყველაფერი. აქვე არის წყარო, რომელიც სასმელ წყლად უნდა გამოიყენო. გაცილებით უკეთესია, ვიდრე ეს ბოთლის მინერალური წყლები. უკან შეშაა, შეგიძლია ბუხარი ანთო, როცა შეგცივდება. გვარიანად გრილა. აგვისტოშიც კი ამინთია ბუხარი. საჭმლის მოსამზადებლადაც შეგიძლია ბუხარი გამოიყენო. თუ კიდევ რამე დაგჭირდა, უკან ხელსაწყოების თარო შეამოწმე. და შეგიძლია, ჩემი ძმის ტანსაცმელიც ჩაიცვა, კარადაშია. ვინმე თუ ჩაიცვამს, არ გაჯავრდება.

ოშიმა ხელებს ბარძაყებზე იწყობს და კიდევ ერთხელ ათვალეერებს ქოხს.

– რომანტიკული ადგილი ნამდვილად არ არის. მაგრამ საცხოვრებლად გამოდგება. კიდევ ერთ რამეს გირჩევ – ტყეში ღრმად ნუ შეხვალ, ხშირი ტყეა და კარგი ბილიკიც კი არ არის. ყოველთვის ქოხი გქონდეს თვალთახედვის არეში. თუ შორს წახვალ, ადვილად დაიკარგები. ერთხელ დავიკარგე. კარგა მანძილზე ვიყავი დაშორებული ქოხს და ნახევარი დღე დამჭირდა გზის საპოვნელად. წრეებს ვუვლიდი. შეიძლება იფიქრო, იაპონია პატარა ქვეყანაა და ტყეში როგორ დავიკარგებო. მაგრამ მერწმუნე, თუ ტყეში დაიკარგები, მორჩა.

მის სიტყვებს ვიმახსოვრებ.

– და გადაუდებელი შემთხვევის გარდა, არც მთიდან ჩამოვიდოდი. ყველა სხვა სახლისგან ძალიან მოშორებითაა, უბრალოდ აქ დამელოდე, რამდენიმე დღეში დავბრუნდები და წავიყვან. საჭმელი საკმარისადაა. მობილური გაქვს?

– მაქვს. – ზურგჩანთისკენ ვუთითებ.

იღიმება.

– მანდვე იყოს. აქ მაინც არ იჭერს. არც რადიო იმუშავებს. სამყაროს მოწყვეტილი ხარ. უამრავი რამის წაკითხვას კი შეძლებ.

– თუ ტუალეტი არ არის, რა ვქნა? – მიჩნდება უცებ ძალიან პრაქტიკული კითხვა

– მთელი ტყე შენს განკარგულებაშია. – ოშიმა ფართოდ შლის ხელებს.

ნაკატა მიტოვებულ ეზოში ზედიზედ რამდენიმე დღეს დადიოდა. ერთ დღით წვიმდა, ამიტომ დღე თავის ოთახში გაატარა, ხის დამუშავებაში, სხვა დღეებში კი ბალახებში იჯდა და გაუჩინარებული ჭრელი კატის ან უცნაურქუდიანი კაცის გამოჩენას ელოდა. მაგრამ ამაოდ.

ყოველი დღის ბოლოს ნაკატა დამქირავებლების სახლთან მიდიოდა და მათ ანგარიშს აბარებდა ძიების მიმდინარეობის შესახებ – სად წავიდა, რა ინფორმაცია მოიპოვა. კატის მფლობელი ყოველდღიურ ღირებულებას – ოც დოლარს უხდიდა. ეს ოფიციალურად არავის უთქვამს, მაგრამ მეზობლებში ხმა გავარდა, აქვე კატის მპოვნელი ცხოვრობსო და როგორღაც დღიური ნიხრიც დაწესდა. ამ თანხის გარდა, ადამიანები ნაკატას დამატებით მუდამ რაღაცას აძლევდნენ: საჭმელს ან სამოსს, თუ კატას იპოვიდა – კიდევ საჩუქრად რვა დოლარს. ნაკატას მუდმივად არ იხმობდნენ დაკარგული კატების მოსაძებნად, ასე რომ, ყოველთვიურ შემწეობას ბევრიც ვერაფერი ემატებოდა. მის უმცროს ძმათაგან უფროსი ნაკატას კომუნალურ ხარჯებს ისტუმრებდა მშობლების მიერ დატოვებული მცირე ქონებიდან, თვითონ კი ღარიბული დანაზოგითა და ხანდაზმული გონებასუსტი პირებისთვის განკუთვნილი ყოველთვიური მუნიციპალური შემწეობით ახერხებდა თავის გატანას, კატის პოვნის შედეგად მიღებული გასამრჯელო კი, შეეძლო საკუთარი სურვილისამებრ დაეხარჯა.

ნაკატასთვის ეს თანხა წარმოუდგენლად დიდი იყო. ზოგჯერ ამ ფულს ვერც კი ხარჯავდა, ზოგჯერ კი თავის საყვარელ კერძს – შემწვარ გველთევზას შეექცეოდა. ბანკში წასვლა ან ფოსტაში ანგარიშის გახსნა საბუთების შევსებასთან იყო დაკავშირებული, ამიტომ დანაზოგს საკუთარ ოთახში, ჭილოფის ქვეშ ინახავდა.

კატებთან საუბრის უნარს ნაკატა მაღავდა. მხოლოდ თვითონ და კატებმა იცოდნენ. ადამიანები გიჟად ჩათვლიდნენ, ეს რომ ეთქვა. ყველამ იცოდა, გონებასუსტი რომ იყო, მაგრამ ერთია, იყო ჭკუანაკლული და მეორე – გიჟი.

ზოგჯერ ადამიანები იმ დროს ჩაუვლიდნენ ხოლმე გვერდით, როდესაც კატებს ესაუბრებოდა, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევდა. ბოლოს და ბოლოს, ვის უკვირს, როდესაც მოხუცი ცხოველს, როგორც ადამიანს, ისე ელაპარაკება. მაგრამ ვინმე თუ მისი უნარის შესახებ შეიტყობდა და ჰკითხავდა, ბატონო ნაკატა, ასე კარგად კატებს როგორ იცნობთ, თითქოს მათთან საუბარი შეგეძლოთო, თავისთვის იღიმებოდა. ნაკატა ყოველთვის სერიოზული იყო წესიერი და თავაზიანი, ამიტომ სამეზობლოს დიასახლისებს ძალიან უყვარდათ. მისი კობტა ჩაცმულობაც თავისას შვრებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ღარიბი იყო, ბანაობა და რეცხვა უყვარდა, თითქმის ახალი ტანსაცმელი კი, რომელსაც კლიენტები ჩუქნიდნენ, კიდევ უფრო მეტ ხიბლს სძენდა მოხუცს. სხვების მოცემული ზოგიერთი რამ, მაგალითად, მონარინჯისფრო-მოვარდისფრო Jack Nicklaus-ის გოლფის მაისური დიდი ჰქონდა, მაგრამ სუფთა და მოხდენილი ჩასაცმელი ნაკატამ არ დაიწუნა.

ნაკატა მისი ამჟამინდელი კლიენტის, ქალბატონ კოიძუმის სახლის კართან იდგა და მას დაკარგული კატის, გომას ძიების შედეგებზე ესაუბრებოდა.

– როგორც იქნა, ნაკატამ პატარა გომას შესახებ რაღაც შეიტყო, – წამოიწყო მან, – ერთმა პირმა, სახელად კავამურამ თქვა, რომ რამდენიმე დღის წინ მეორე კვარტლის მიტოვებულ ეზოში, რომელსაც კედელი აქვს გარშემორტყმული, გომას მსგავსი კატა შენიშნა. ეს ადგილი აქედან ორი ქუჩის მოშორებითაა. ბატონმა კავამურამ თქვა, რომ ასაკი, ბეწვი და საყელო ემთხვევა. ნაკატამ გადაწყვიტა, თვალყური ადევნოს მიტოვებულ ეზოს, ასე რომ, ყოველ დილით იქ მივდივარ, თან ლანჩი მიმაქვს და საღამომდე ვრჩები. არა, ამაზე ნუ იდარდებთ, უამრავი თავისუფალი დრო მაქვს, ასე რომ, როდესაც არ წვიმს, სულაც არ მიჭირს. მაგრამ თუ ფიქრობთ, რომ ძებნის გაგრძელება აღარ ღირს, ქალბატონო, მითხარით და შევწყვეტ.

მოხუცს არ უთქვამს, რომ კავამურა ზოლებიანი წაბლისფერი კატა იყო და არა ადამიანი, ეს მხოლოდ გაართულებდა საქმეს.

ქალბატონმა კოიძუმიმ მადლობა გადაუხადა. მისი ორი ქალიშვილი საყვარელი ფისოს მოულოდნელი დაკარგვის შემდეგ ცუდ გუნებაზე იყო. ბავშვებმა მადა დაკარგეს. დედას არ შეეძლო მათთვის აეხსნა, რომ კატები დროდადრო იკარგებიან. არც ქუჩებში ხეტიალი შეეძლო დაკარგული კატის საპოვნელად. ამიტომ ნაკატას აღმოჩენამ, რომელიც დღეში ოცი დოლარის სანაცვლოდ ყველაფერს გააკეთებდა გომას მოსაძებნად, ძალიან გაახარა. ნაკატა უცნაური მოხუცი იყო და გაუგებრად ლაპარაკობდა, მაგრამ ხალხი ირწმუნებოდა, დაკარგული კატების პოვნის დიდოსტატიაო. ქალბატონმა კოიძუმიმ იცოდა, რომ ასე არ უნდა ეფიქრა, მაგრამ მოხუც კაცს იმის თავი სად ჰქონდა, ვინმე მოეტყუებინა. გაუწოდა კონვერტი კუთვნილი თანხა და პლასტმასის კონტეინერით ახლახან მომზადებული კერძები – ბრინჯი ბოსტნეულით და კარტოფილი.

ნაკატა დაიხარა, საჭმელი დაყნოსა და მადლობა გადაუხადა.

– დიდად მადლობელი ვარ. ეს ნაკატას საყვარელი კერძია.

– გაამოთ. – უპასუხა ქალბატონმა კოიძუმიმ.

მიტოვებულ ეზოში დაბანაკების შემდეგ ერთი კვირა გავიდა. ნაკატამ აქ უამრავი სხვადასხვა კატა შენიშნა. ზოლებიანი წაბლისფერი კატა კავამურა დღეში რამდენჯერმე უჩერდებოდა მისასალმებლად. ნაკატაც ესალმებოდა და ამინდსა და თავის სუბსიდის იაზე ესაუბრებოდა. ვერც ახლა იგებდა კავამურას ნათქვამ ვერც ერთ სიტყვას.

– ტროტუარისკენ დახრა, კავამურა გასაჭირშია. – ამბობდა კავამურა. ცდილობდა, ნაკატასთვის რაღაც ეთქვა, მაგრამ მოხუცი ვერაფერს ხვდებოდა. კატა შეცხუნებული ჩანდა და ერთსა და იმავეს იმეორებდა სხვადასხვა სიტყვებით.

„კავამურა ყვირილისგან ხელფეხშეკრულია.“ – არა, ნაკატას არაფერი ესმოდა.

სამწუხაროა, რომ მიმი აქ არ არის, – ფიქრობდა მოხუცი. ერთს შემოულაწუნებდა და აზრზე მოიყვანდა. ჭკვიანი კატაა მიმი. მაგრამ მიმი ამისთანა ეზოში არასდროს გამოჩნდება,

მაწანწალა კატებისგან რწყილების გადადებას უფროთხის. კავამურამ ნაკატას ვერაფერი გააგებინა და წავიდა.

სხვა კატები შემოიპარებოდნენ ხოლმე ეზოში და გაიძურწებოდნენ. თავიდან ნაკატას გამოჩენის გამო ფრთხილობდნენ და შორიდან ბრაზით უცქერდნენ, მაგრამ, როდესაც მიხვდნენ, რომ მოხუცი მხოლოდ იჯდა და მათთვის საზიანოს არაფერს აკეთებდა, დაივიწყეს. ჩვეულებისამებრ, ნაკატა ცდილობდა, მეგობრულად გამოლაპარაკებოდა კატებს. ესალმებოდა და თავს აცნობდა, მაგრამ კატების უმეტესობა ყურსაც არ ათხოვებდა, თავს ისე აჩვენებდა, ვითომ არაფერი ესმოდა, ან უაზროდ მიაშტერდებოდა. ეს კატები ყველასთან გულგრილი იყვნენ. ნაკატამ იფიქრა, ადამიანებთან ურთიერთობის ცუდი გამოცდილება აქვთო. არ შეეძლო, ისინი ამის გამო განეკითხა, არც ამ გულგრილობის გამო ადანაშაულებდა. მშვენივრად ესმოდა, კატების სამყაროში ყოველთვის ზედმეტი იქნებოდა.

– ოჰო, ლაპარაკი შეგიძლია? – ყოყმანით უთხრა შავ-თეთრზოლებიანმა, მოჭრილყურებიანმა კატამ და ირგვლივ მიმოიხედა. ეს კატა უხეშად კი ლაპარაკობდა, მაგრამ სინამდვილეში ასეთი არ უნდა ყოფილიყო.

– ჰო, ცოტათი.

– შთამბეჭდავიც კია.

– მე ნაკატა მქვია, – თავი გააცნო მოხუცმა, – თქვენ?

– არაფერი. – უხეშად მოუჭრა ჭრელმა კატამ.

– ოკავა რომ დაგარქვათ? წინააღმდეგი ხართ?

– რა მნიშვნელობა აქვს.

– კარგი, მაშინ, ბატონო ოკავა, ჩვენი გაცნობის აღსანიშნავად, ხმელ სარდინს ხომ არ ინებებდით?

– კარგი იქნებოდა. სარდინი მაგრად მომწონს.

ნაკატამ ჩანთიდან პოლიეთილენის პარკში გახვეული სარდინი ამოიღო და გახსნა. ყოველი შემთხვევისთვის სარდინი მუდამ ჩანთაში ედო. ოკავამ სარდინი სულ შესანსლა, მერე კი პირი მოიწმინდა.

– მაგრად გაასწორა. ძაან დამავალე. თუ გინდა, რამეს აგილოკავ.

– არა, საჭირო არ არის. ნაკატა მადლობელია ამ შემოთავაზებისთვის, მაგრამ ახლა არ გინდა რამის ალოკვა, კიდევ ერთხელ გმადლობთ. იცით რა, დაკარგული კატის პოვნა მთხოვეს. მდედრი ჭრელი ფისოა, სახელად გომა, – ნაკატამ ჩანთიდან გომას ფერადი ფოტო ამოიღო და ოკავას უჩვენა, – ამ მიტოვებულ ეზოში უნახავთ. ამიტომ ნაკატა რამდენიმე დღეა, აქ ზის და გომას გამოჩენას ელის. მაინტერესებს, შემთხვევით ხომ არ გადაყრიხართ?

ოკავამ ფოტოს დახედა და მოიღუშა. წარბებს შორის ნაოჭები გაუჩნდა და, შემინებულმა, რამდენჯერმე თვალები დაახამხამა.

– სარდინის გამო მადლობელი ვარ, მაგრამ ცუდად ნუ გამიგებთ, ამაზე ვერაფერს გეტყვით. არ მინდა, მოთუხთუხე ქვაბში აღმოვჩნდე.

ნაკატა შეცბუნდა.

– მოთუხთუხე ქვაბში? რაზე ლაპარაკობთ?

– ეს საშიში და ბინძური საქმეა. ჯობს დაივიწყო ეგ კატა. და შენთვისვე აჯობებს, აქაურობას გაეცალო. არ მინდა, საფრთხეში ჩავარდე. მაპატიე, სხვას ვერაფერს გეტყვი, დიდი მადლობა, რომ მაჭამე. – თქვა ეს, მიმოიხედა და ბუჩქებში გაუჩინარდა.

ნაკატამ ამოიოხრა, თერმოსი ამოიღო, ნელა ჩამოისხა ჩაი. ოკავამ თქვა, აქ ყოფნა სახიფათოაო, მაგრამ ნაკატას ვერ წარმოუდგენია, რატომ. პატარა დაკარგულ კატას დაემებდა, სხვა ხომ არაფერი? ამის გამო რა საფრთხე უნდა შეექმნას? იქნებ ის უცნაურქუდიანი კაცია საშიში, რომლის შესახებაც კავამურამ უამბო? მაგრამ ნაკატა ადამიანი იყო და არა კატა. კატის დამჭერის რატომ უნდა შეშინებოდა?

თუმცა სამყაროში ბევრი რამ იყო ისეთი, რასაც ნაკატა ვერ ჩასწვდებოდა, ასე რომ, ამაზე ფიქრს მოეშვა. ზედმეტი ფიქრით მხოლოდ თავს აიტკივებდა. ნაკატამ ჩაის ბოლო ყლუპი მოსვა, ჭიქა თერმოსს დაახურა და ჩანთაში ჩადო.

ოკავას ბუჩქებში გაუჩინარების მერე, კარგა ხანს არც ერთი კატა აღარ გამოჩენილა. მხოლოდ პეკლები დაფარვატებდნენ ბალახების თავზე. მიტოვებულ ეზოში ბელურების გუნდი შემოფრინდა, ჩიტები სხვადასხვა მხარეს გაიფანტნენ, მერე ისევ შეჯგუფდნენ და გაფრინდნენ. ნაკატას რამდენჯერმე ჩასთვლიმა. მზის მდებარეობის მიხედვით ზუსტად ხვდებოდა, რა დრო იყო.

უკვე მოსაღამოვდა, როდესაც მის წინ ძალი გამოჩნდა.

უზარმაზარი შავი ძალი მოულოდნელად გამოხტა ბუჩქებიდან და წინ ჩუმად გამოძუნძულდა. მჯდომარე ნაკატასთვის ეს მხეცი ხბოს უფრო ჰგავდა, ვიდრე ძალს. გრძელი ფეხები, მოკლე ბეწვი, ამოზნექილი, მტკიცე კუნთები, დანის პირივით წაწვეტებული ყურები ჰქონდა და საყელური არ ეკეთა. ნაკატამ ძალის ჯიშების შესახებ ბევრი არაფერი იცოდა, მაგრამ ერთი შეხედვით მიხვდა, რომ ავი ძალი იყო, ანდა ისეთი, თუ დასჭირდა, რომ გაავდება. ისეთი ძალი იყო, სამხედროები რომ იყენებდნენ თავიანთ K-9 კორპუსებში.

ძალს არაფრისმეტყველი თვალეები ჰქონდა, კბილებზე სისხლი მიხმობოდა და პირის გარშემო ხორცის ნარჩენები ჰქონდა მიკრული. კბილებს შორის ალამივით მოჩანდა წითელი ენა. ძალმა მხერა ნაკატას გაუშტერა, შეურხევლად, უხმოდ იდგა, დიდხანს, დიდხანს. ნაკატაც ჩუმად იყო. მხოლოდ კატებთან შეეძლო ლაპარაკი, ძალებთან – არა. ძალს დაჭაობებულ წყალში ჩაცვნილი შუშის ნამსხვრევებივით უსიცოცხლო თვალეები ჰქონდა. ნაკატა უხმოდ სუნთქავდა, მაგრამ შეშინებული არ იყო. მშვენივრად ხვდებოდა – მტრულად განწყობილი, აგრესიული ცხოველის პირდაპირ დარჩენილიყო. (რატომ – წარმოდგენა არ ჰქონდა). მაგრამ ამ ფიქრს აღარ ჩაღრმავებია და არც მოახლოებული საშიშროება წარმოუდგენია. სიკვდილის ცნება მის ფანტაზიას აღემატებოდა. ტკივილსაც მხოლოდ იმ

მომენტში გრძნობდა. მისთვის აბსტაქტული ცნება „ტკივილი“ არაფერს ნიშნავდა. სწორედ ამიტომ არ ეშინოდა, მიუხედავად იმისა, რომ მონსტრი მიშტერებოდა. უფრო თავგზააზნეული იყო.

– ადექი! – უთხრა ძაღლმა.

ნაკატამ თვალები დაჭყიტა. ძაღლი ლაპარაკობდა! განა მეტყველებდა – არა, პირსაც არ ალებდა, მაგრამ როგორღაც ახერხებდა ურთიერთობას.

– ადექი და გამომყევი! – უბრძანა ძაღლმა.

ნაკატა დაემორჩილა, ფეხზე წამოდგა. გადაწყვიტა, ძაღლს მისალმებოდა, მაგრამ მაშინვე გადაიფიქრა. შეეძლოთ საუბარი, მაგრამ სარგებლობას ეს ვერ მოუტანდა. არც სურვილი ჰქონდა მუსაიფის და, კიდევ უფრო მეტად, მისთვის სახელის დარქმევა არ უნდოდა. დრო ამ ძაღლს მეგობრად ვერ აქცევდა.

ნაკატას თავში ერთი აზრი მოუვიდა, ვაითუ ეს ძაღლი როგორღაც დაკავშირებულია გუბერნატორთან, რომელმაც შეიტყო, ნაკატა ფულს კატების ძებნით შოულობს და ამიტომ სუბსიდის იის წართმევა სურსო.

«არ გამიკვირდება, რომ გუბერნატორს K-9 ტიპის ძაღლი ჰყავდეს. აი, რა ხდება ჩემს თავს! რა მემშველება! – ფიქრობდა ნაკატა.

როდესაც კაცი წამოდგა, ძაღლი ნელა დაიძრა. ნაკატამ ჩანთა მხარზე მოიგდო და უკან გაჰყვა. ძაღლს მოკლე კუდის ქვეშ დიდი კვერცხები მოუჩანდა.

ძაღლმა პირდაპირ გადაჭრა ცარიელი ეზო და ხის ღობეში გაძვრა. ნაკატა უკან მისდევდა. ძაღლს არ მოუხედავს. ნაბიჯების ხმით ხვდებოდა, მოხუცი რომ უკან მიყვებოდა. როდესაც სავაჭრო უბანს მიუახლოვდნენ, ქუჩაში ხალხი გამრავლდა, ძირითადად დიასახლისები გამოსულიყვნენ საყიდლებზე. ძაღლს მზერა წინ ჰქონდა მიმართული. ამ ძაღლის, ამ სისხლმოწყურებული მხეცის დანახვაზე ადამიანები განზე დგებოდნენ. რამდენიმე ველოსიპედისტი შეჩერდა, ჩამოხტა და გზის მეორე მხარეს გადავიდა, რომ მას პირისპირ არ შესჩებოდა. ამ საშინო ძაღლთან ერთად სიარულის დროს ნაკატას ისეთი განცდა გაუჩნდა, რომ ხალხი თავს არიდებდა. შეიძლება ფიქრობდნენ, ძაღლს ასეირნებს უსაბელოდო. რამდენიმემ საყვედურით სავსე მზერაც კი სტყორცნა. წუხდა. უნდოდა, მათთვის აეხსნა, ამას საკუთარი ნებით არ ვშვრები, ნაკატა ძლიერი არ არის, მშიშარააო.

ძაღლს მცირე დაშორებით მიჰყვებოდა. რამდენიმე გზაჯვარედინი გაიარეს და სავაჭრო ცენტრს გასცდნენ. გზაზე გადასვლის დროს ძაღლი შუქნიშნებს ყურადღებას არ აქცევდა. გზები ფართო არ იყო, მანქანებიც ნელა მოძრაობდნენ, მაგრამ წითელზე გადასვლა მაინც სახიფათო იყო. მძღოლები ამუხრუჭებდნენ, როდესაც გზაზე მიმავალ უზარმაზარ ცხოველს ხედავდნენ. ძაღლმა იცოდა შუქნიშნის დანიშნულება, ნაკატა ამას გრძნობდა, მაგრამ შეგნებულად არ აქცევდა ყურადღებას. ცხოველი საკუთარ ნებაზე სიარულს იყო მიჩვეული. ნაკატა ვეღარ ხვდებოდა, სად იყვნენ. ნაკანოში საცხოვრებელ უბანს ჩაუარეს, ამ ადგილს ნაკატა კარგად იცნობდა, მაგრამ მერე კუთხეში შეუხვიეს და ნაკატა უცნობ გარემოში

აღმოჩნდა. შფოთავდა ნაკატა. რომ დაკარგულიყო? უკან დასაბრუნებელი გზა რომ ვეღარ ეპოვა? მხოლოდ იმას ხვდებოდა, ნაკანოში აღარ იყვნენ. თავს აქეთ-იქით ატრიალებდა, რომ ნაცნობი ნიშნები შეენიშნა, მაგრამ ამაოდ. ქალაქის იმ ნაწილში იყვნენ, სადაც იქამდე არასოდეს ყოფილა.

ძალი უდარდელად განაგრძობდა სვლას. იმ სიჩქარით მოძრაობდა, ნაკატას რომ უკან მიყოლა შეძლებოდა, თავი მაღლა ეჭირა, ყურები დაეცქვიტა, კვერცხები ქანქარასავით ერხეოდა.

– მითხარი, ისევ ნაკანოში ვართ? – ჰკითხა ნაკატამ.

ძალს უკან არ მიუხედავს, არც უპასუხია.

– გუბერნატორთან მუშაობ?

ისევ არაფერი.

– ნაკატა მხოლოდ დაკარგულ კატას ეძებს. ფისოს, სახელად გომას.

არა, ისევ არაფერი.

მიხვდა, ვერაფერს მიაღწევდა და ამიტომ ცდებს თავი დაანება.

წყნარ საცხოვრებელ უბანში მივიდნენ, სადაც მაღალი სახლები იდგა და ქუჩაში არავინ იყო. ძალი ძველებური ქვის ღობით გარშემორტყმულ სახლში შევიდა. სადგომზე დიდი მანქანა დაეყენებინათ – ძალივით დიდი, შავი და კრიალა. სახლის შესასვლელი კარიც ღია იყო. ძალი უყოყმანოდ შევიდა. სახლში შესვლამდე ნაკატამ ძველი ბოტასები გაიძრო, კოხტად დააწყო შესასვლელთან, ქუდი მოიხადა და ჩანთაში ჩადო, შარვლიდან კი ბალახის ღერები ჩამოიბერტყა. ძალი იდგა და ელოდა, ნაკატა თავს როდის მოიწესრიგებდა, მერე გაპრიალებულ ხის კორიდორს ჩაუყვა მისაღები ოთახის თუ ბიბლიოთეკისკენ.

ოთახში ბნელოდა. მზე უკვე ჩადიოდა, ბაღზე გამავალ ფანჯარაზე კი მძიმე ფარდა ჩამოეშვათ. სინათლეს არ აენტოთ. ოთახის სიღრმეში დიდი სამუშაო მაგიდა იდგა და, მგონი, იქ ვიღაც იჯდა. ნაკატა დანამდვილებით ვერ იტყოდა – გარკვევით არაფერი ჩანდა. ქალაღისგან გამოჭრილ ფიგურასავით ბუნდოვნად ჩანდა შავი სილუეტი. როდესაც ნაკატა ოთახში შევიდა, სილუეტი ნელა შემოტრიალდა. ის, ვინც გორგოლაჭებიან სავარძელში იჯდა, მისკენ პირით შემობრუნდა. ძალმა შეასრულა საკუთარი საქმე, თავის ადგილას იატაკზე დაებრეხვა და თვალები დახუჭა.

– გამარჯობა. – მიესალმა სილუეტს ნაკატა.

იმ ვიღაცას არაფერი უთქვამს.

– უკაცრავად, მე ნაკატა მქვია. მძარცველი არა ვარ.

ისევ არაფერი.

– ძალმა მიიხრა, უკან მომყევო, მეც აქ ვარ. მაპატიეთ, ძალი პირდაპირ თქვენს სახლში შემოვიდა და მეც შემოვყევი. თუ წინააღმდეგი არ ხართ, ახლა დაგტოვებთ.

– გთხოვთ დაბრძანდეთ. – წარმოთქვა კაცმა თავაზიანად, მაგრამ მჭახედ.

– დიახ, დიახ. – თქვა და სავარძელზე ჩამოჯდა. ძალი კვლავ მის გვერდით იყო, ქანდაკებასავით. – თქვენ გუბერნატორი ხართ?

– რაღაც ამგვარი, – წარმოთქვა სიბნელიდან, – თუ ეს საქმეს გაგიადვილებს, ასეც შეგიძლია იფიქრო, მნიშვნელობა არა აქვს.

კაცი მიბრუნდა და ძეწკვს მოსწია ბრის ასანთებად. ყვითელმა, ბაცმა ძველებურმა სინათლემ მოიცვა ოთახი, თუმცა საკმარისად გაანათა.

მის წინ მაღალი, გამხდარი კაცი იჯდა, შავი აბრეშუმის ცილინდრი ეხურა. გორგოლაჭებიან ტყავის სავარძელში იჯდა და ფეხები გადაეჯვარედინებინა. გრძელი, წელში გამოყვანილი წითელი პიჯაკი, შავი პერანგი და მაღალი შავი ჩექმები ეცვა. თოვლივით თეთრი შარვალი ზუსტად ჰქონდა მორგებული. ცალი ხელით ქუდის კიდეს ეხებოდა, გეგონება ქალთან შეხვედრის დროს იხდის ზრდილობის ნიშნადო. მეორე ხელით შავი, ოქროსფერსახელურიანი ყავარჯენი ეჭირა. ქუდი რომ დაინახა, ნაკატამ უცებ გაიფიქრა: «ეს უნდა იყოს კატებზე მონადირე!»

იმდენად კაცის გარეგნობა არ იყო თვალშისაცემი, რამდენადაც მისი ჩაცმულობა. არც ახალგაზრდა იყო, არც ხანშიშესული, არც ლამაზი ეთქმოდა, არც უშნო. სქელი წაწვეტებული წარბები ჰქონდა, სახეზე ჯანსაღი იერი ედო. მოჭუტული თვალები და საოცრად გლუვი სახე ჰქონდა, სრულიად უწვერული. ტუჩებზე ყალბი ღიმილი დასთამაშებდა – ისეთი სახე ჰქონდა, ძნელად რომ დაიმახსოვრებს კაცი. აი, სამოსი კი თვალის მომჭრელი ეცვა. სხვა ტანსაცმელი რომ ჩაგეცმიათ, ვერც კი იცნობდით.

– ალბათ ხვდები, ვინ ვარ, არა?

– არა, ბატონო, ვერ მივხვდარვარ.

კაცს ეს ცოტათი არ ესიამოვნა.

– დარწმუნებული ხარ?

– დიახ, ბატონო. დამავიწყდა მეთქვა, მაგრამ ნაკატა არ არის ჭკვიანი.

– აქამდე არასდროს გინახივარ? – კაცი წამოდგა სკამიდან, ფეხი ისე ასწია, თითქოს დადისო. – არაფერს გაგონებს?

– არა, ვწუხვარ, ვერ გცნობთ.

– გასაგებია. ესე იგი, ვისკის არ სვამ. – უთხრა კაცმა.

– მართალია, ნაკატა არ სვამს და არ ეწევა. მე ისეთი ღარიბი ვარ, სუბსიდის იას ვიღებ, ამიტომ ამის საშუალება არა მაქვს.

კაცი დაჯდა და ფეხი ფეხზე გადაიდო. მაგიდიდან ჭიქა აიღო და ვისკი მოსვა. ჭიქაში ყინულის კუბები დაცურავდნენ.

– იმედია, არ მიწყენ.

– რას ამბობთ. როგორც მოგესურვებათ.

– გმადლობ, – თქვა კაცმა და ნაკატას მოაშტერდა, – ესე იგი, არ იცი, ვინ ვარ.

– ვშიშობ, არა.

კაცმა ტუჩები ოდნავ შესამჩნევად დაკლავა. წამით სახეზე ცივი ღიმილი გაუკრთა, როგორც ჭავლი გაკრთება ხოლმე წყლის ზედაპირზე, მერე გაუჩინარდა და კვლავ გამოჩნდა.

– ყველა, ვისაც ვისკი უყვარს, მყისვე მიცნობდა, მაგრამ ნუ ღელავ. მე ჯონი უოკერი მქვია. ჯონი უოკერი. თითქმის ყველამ იცის, ვინ ვარ. არ ვტრაბახობ, მაგრამ მთელ მსოფლიოში მიცნობენ. საკულტო ფიგურა ვარ, შეიძლება ასეც ითქვას. ალბათ ხვდები, ნამდვილად ჯონი უოკერი რომ არ ვარ. ბრიტანულ სასმელის მხედელ კომპანიასთან საერთო არაფერი მაქვს. მე მხოლოდ მისი გარეგნობა და სახელი ვინათხოვრე. ადამიანს გარეგნობა და სახელი უნდა ჰქონდეს, არა? – ოთახში სიჩუმე ჩამოწვა. ნაკატას წარმოდგენა არ ჰქონდა, რას ამბობდა ეს კაცი, მაგრამ სახელი, ჯონი უოკერი, კი დაიმახსოვრა.

– უცხოელი ხართ, ბატონო ჯონი უოკერ?

ჯონი უოკერმა თავი დახარა.

– თუ ეს რამეში დაგეხმარება, ასე იფიქრე. ან არა. ორივე.

ნაკატა სულ დაიბნა. თითქოს იმ კატას, კავამურას ესაუბრებოდა.

– ე.ი. თან ხართ უცხოელი, თან არა, ამას გულისხმობთ?

– მართალი ხარ.

ნაკატამ ვერ გაიგო.

– ამ ძალღს თქვენ სთხოვთ, მოვეყვანე?

– დიახ. – უბრალოდ უპასუხა ჯონი უოკერმა.

– ესე იგი, რაღაც უნდა მთხოვოთ?

– მგონი, უფრო შენ გინდოდა, ჩემთვის რაღაც გეკითხა, – უპასუხა ჯონი უოკერმა და ისევ ვისკი მოსვა, – როგორც ვხვდები, რამდენიმე დღეს ჩემს გამოჩენას ელოდი მიტოვებულ ეზოში .

– დიახ, მართალია, სულ არ გადამავიწყდა?! ნაკატა ჭკვიანი არ არის და ადვილად მავიწყდება ბევრი რამ. როგორც თქვენ თქვით, რამდენიმე დღეს მიტოვებულ ეზოში გელოდით, რომ დაკარგული კატის შესახებ მეკითხა.

ჯონი უოკერმა შავი ხელჯოხი შავი ჩექმის ძირზე მიიკაკუნა. ოთახში ყრუ ხმა გაისმა. ძაღლმა ყურები ცქვიტა.

– მზე ჩადის, ზღვა მიქცევას იწყებს. რატომ მოკლედ არ ვიტყვით სათქმელს? – იკითხა ჯონი უოკერმა, – კატის გამო გასურდა ჩემთან შეხვედრა?

– დიახ. სწორი ბრძანდებით. ქალბატონმა კოიუმიმ სთხოვა ნაკატას კატა ეპოვნა, ყველგან ვეძებე გომა ბოლო ათი დღის მანძილზე. იცნობთ გომას?

– ძალიან კარგად.

– როგორ ფიქრობთ, სად შეიძლება იყოს?

– ვიცი, სადაც არის.

ნაკატამ პირი დააღო და ჯერ აბრეშუმის ქუდს მიაშტერდა, მერე ისევ მის სახეს. ჯონი უოკერს ტუჩები მოემუწა და თავდაჯერებულად გამოიყურებოდა.

– აქვე ახლოს არის?

ჯონი უოკერმა თავი რამდენჯერმე დაუქნია.

– დიახ, ძალიან ახლოს.

ნაკატამ ოთახში მიმოიხედა, მაგრამ ვერანაირი კატა ვერ შენიშნა. მხოლოდ სამუშაო მაგიდა, გორგოლაჭებიანი სავარძელი, რომელზეც კაცი წამომჯდარიყო, სავარძელი, რომელშიც თვითონ იჯდა. კიდეც ორი სკამი. იატაკის ლამპა და ჟურნალების მაგიდა.

– შემიძლია გომა სახლში წავიყვანო?

– ეს შენზეა დამოკიდებული.

– ნაკატაზე?

– დიახ, ყველაფერი შენზეა დამოკიდებული. – თქვა ჯონი უოკერმა და ცალი წარბი ოდნავ ასწია.

– თუ მოინდომებ, შეგიძლია გომა უკან, სახლში დააბრუნო. და ქალბატონი კოიუმი და მისი ქალიშვილები გაახარო. ან შეგიძლია არ წაიყვანო და გული გაუტეხო მათ. ალბათ, არ გინდა, ასე მოიქცე, არა?

– არა, ნაკატას არ უნდა, მათ გული დასწყვიტოს.

– არც მე. არც მე მინდა, მათ გული დავწყვიტო.

– რა უნდა ვქნა?

ჯონი უოკერმა ჯოხი დაატრიალა.

– მინდა, რაღაც გააკეთო ჩემთვის.

– ნაკატას შეუძლია, როგორმე დაგეხმაროთ?

– შეუძლებელს არასდროს ვითხოვ. ეს დროის დაკარგვა იქნებოდა, მეთანხმები?

ნაკატა ჩაფიქრდა.

– მგონი, ჰო.

– ესე იგი, ისეთ რამეს გთხოვ, რის გაკეთებაც შეგიძლია.

ნაკატა ამაზეც ჩაფიქრდა.

– მართალი ხართ.

– გამონაკლისი წესს ადასტურებს.

– უკაცრავად? – ჰკითხა ნაკატამ.

– გამონაკლისის წესს ადასტურებს – სხვა შემთხვევაში მეცნიერება ვერ განვითარდებოდა, – თქვა ჯონი უოკერმა, ისევ ჩექმის ძირზე მიაკაკუნა ჯოხი. ძაღლმა ისევ ყურები ცქციტა.

– არაფერია. – უთხრა ძაღლს პატრონმა.

ნაკატა ჩუმად იყო.

– სიმართლე გითხრა, დიდხანს ვეძებდი ვინმე შენნაირს, – უთხრა ჯონი უოკერმა, – მაგრამ საჭირო კაცის პოვნა ადვილი არ აღმოჩნდა. ერთ დღეს შევნიშნე, კატას ესაუბრებოდი და მაშინვე მივხვდი – სწორედ ის ხარ, ვისაც ვეძებდი. ამიტომ მოგიხმე. თუმცა ვწუხვარ, ასე რომ შეგაწუხე.

– არა უშავს. ნაკატას უამრავი თავისუფალი დრო აქვს.

– შენ შესახებ რამდენიმე თეორია შევიმუშავე, – თქვა ჯონი უოკერმა, – და, რა თქმა უნდა, გამონაკლისებიც ამ წესიდან. თამაშით არის, გონებრივი თამაშით, რომელსაც მე ვთამაშობ. ყველა თამაშს კი გამარჯვებული და დამარცხებული სჭირდება. ამ შემთხვევაში გამარჯვებულის და დამარცხებულის გამოვლენა წარმოაჩენს, რომელი თეორიაა სწორი და რომელი – არა. მაგრამ, მგონი, ვერ ხვდები, რას ვამბობ.

ნაკატამ თავი გააქნია.

ჯონი უოკერმა ჩექმის ძირზე ორჯერ მიირტყა ჯოხი. ეს ძაღლისთვის მიცემული სიგნალი იყო. ის წამოდგა.

ოშიმა «მიატაში» ჯდება, ფარებს ანთებს და გაზს აწვება. ხრეში მანქანის უკანა ნაწილს ფხაჭნის. ოშიმა უკან ხევს მანქანას და გზისკენ ატრიალებს. დამშვიდობების ნიშნად ხელს სწევს. მეც ასე ვიქცევი. ფარების შუქი სიბნელეში იფანტება, თანდათან ძრავას ხმაც სუსტდება. მერე კი ტყის სიჩუმე ისადგურებს.

უკან, ქოხში ვბრუნდები და კარს შიგნიდან ვკეტავ. თითქოს მე მელოდაო, ტანს მეკვრის სიჩუმე. ღამის ჰაერი ზაფხულისთვის საკვირველად ცივია, მაგრამ ბუხრის დასანთებად უკვე გვიანაა. ჯობია, საძილე ტომარაში ჩავძვრე და გამოვიძინო. გონება დაბინდული მაქვს უძილობისგან, კუნთები კი ამდენი ხნის მგზავრობის შემდეგ საშინლად მტკივა. ღამის ვუწევ. ოთახი ფერმკრთალდება, კუთხეები თითქოს გაიზარდა. გახდა მეზარება, ჯინსით და ქურთუკითვე ვწევები.

თვალეებს ვხუჭავ, მაგრამ დაძინებას ვერ ვახერხებ. ჩემი სხეული დასვენებას ითხოვს, გონება კი ფხიზლადაა. დროდადრო ჩიტის ჭიკჭიკი არღვევს სიმყუდროვეს. რაღაც სხვა ხმაც ისმის, მაგრამ რისა – ვერ გამირკვევია. რაღაც დაცვენილ ფოთლებს თელავს. რაღაც ტოტებში შარიშურობს. რაღაც ოხრავს. დროდადრო რაღაც ავბედიტად აჭრიალებს ტერასის იატაკს. თითქოს სიბნელეში უჩინარ არსებებს ამ ქოხისთვის ალყა შემოურტყამთ. და თითქოს ვიღაც მითვალთვალეებს. კანით ვგრძნობ, ვიღაც მომშტერებია. გული ყრუდ მიცემს. რამდენჯერმე საძილე ტომრიდანვე მიმოვიხედე ცუდად განათებულ ოთახში. შემოსასვლელი კარი ურდულით არის დაკეტილი, ფანჯრებზე კი ფარდები მჭიდროდაა დაშვებული. არაფერი მემუქრება. ოთახში მარტო ვარ, არც ფანჯრიდან მიჭვრიტინებს ვინმე.

მაინც მგონია, რომ ვიღაც მიყურებს. ყელი გამომიშრა და სუნთქვა მიჭირს. მწყურია. თუ წყალს დავლევ, იძულებული გავხდები, გარეთ გავიდე, ქოხში ხომ ტუალეტი არ არის. დილამდე უნდა მოვითმინო. საძილე ტომარაში გახვეული, თავს აქეთ-იქით ვაქნევ.

პატარა შეშინებული ბავშვივით ხარ, სიჩუმის და სიბნელის გემინია. მალე ჩემს მხარზეც აქვითინდები, არა? ყოველთვის ძლიერი გეგონა თავი, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, ცრემლად იღვრები. შეიძლება ჩაისველო კიდეც!

ყურადღებას არ ვაქცევ. თვალეებს ვხუჭავ, ტომარას ცხვირამდე ვიკრავ და ვცდილობ, არაფერზე ვიფიქრო. თვალეებს არავითარ შემთხვევაში არ გავახელ. არც იმ შემთხვევაში, თუ ბუ დაიკვივლებს, არც იმ შემთხვევაში, თუ მიწაზე დავარდება რამე. არც იმ შემთხვევაში, თუ ქოხში მოძრაობას დაიწყებს რამე. გამოცდას მიწყობენ, – ვეუბნები საკუთარ თავს. ჩემოდენა რომ იყო, ოშიმაც რამდენიმე დღე მარტო ცხოვრობდა აქ. მასაც ასე შეეშინებოდა. ოშიმამ ზუსტად იცის, როგორ ვგრძნობ თავს აქ მარტო, რაც ცოტათი მამშვიდებს. შემიძლია აქ ჩამოწოლილ წარსულის ლანდებს თვალყური ვადევნო და მათ ნაწილად ვიქცე.

ჩამეძინა.

დილის ექვს საათზე ვიღვიძებ. ყოველი მხრიდან ჩიტების ჟივილ-ხივილი ისმის. საქმიანად დასკუპსკუპებენ ერთი ტოტიდან მეორეზე და მჭეპარე ჭიკჭიკით ეხმიანებიან ერთმანეთს.

დღისით მათ ხმას ექო არა აქვს და არც იდუმალია. ფარდებს ვწევ, ქოხში სინათლე შემოდის. ყველაფერი ახლებურად, ოქროსფრად ბრწყინავს. ბუხარს ვანთებ, წყალს ვადუღებ, გვირილის ჩაის ვიმზადებ, კრეკერების ყუთს ვხსნი და რამდენიმეს მივირთმევ ყველთან ერთად. ნიჟარასთან კბილებს ვიხეხავ და პირს ვიბან.

გარეთ გავდივარ. ქოხის წინ გაშლილ მდელოზე მაღალი ხეებიდან დღის სინათლე იღვრება, მზის სხივებია ყველგან, ბინდი კი სულებივით იფანტება. ყოველი ჩასუნთქვის დროს ფილტვები სუფთა ჰაერით მევსება. ტერასის საფეხურზე ვჯდები, თვალს ვადევნებ ხიდან ხეზე გადაფრენილ ჩიტებს და ყურს ვუგდებ მათ გადამახილს. ისინი ძირითადად წყვილ-წყვილად დაფრინავენ, მუდმივად თვალს ადევნებენ მეწყვილეს, ცდილობენ, ერთმანეთი არ დაეკარგოთ.

წყლის ხმას მიყვები და წყაროს ვპოულობ. ქვებით შემოსაზღვრულ გუბურაში წყალი ჩაედინება, წრიულად ბრუნავს, ვიდრე უკან დაიხევდეს და წყაროს დაუბრუნდებოდეს. კამკამა წყალია. პეშვით ვიღებ და ვეწაფები, ცივი და გემრიელია.

უკან, ქოხში ვბრუნდები, ტაფაზე ლორიან ომლეტს ვიმზადებ, მეტალის ზადეზე კი – ტოსტებს, დასაყოლებლად ცოტა რძესაც ვიტბობ. საუზმის შემდეგ ტერასაზე სკამზე ვჯდები, მოაჯირზე ვაწყოფ ვეხებს და დილას კითხვაში ვატარებ. ოშიმას თაროზე ასობით წიგნია დახვავებული. რამდენიმე კლასიკური რომანია, ძირითადად კი ფილოსოფიური, სოციოლოგიური, ისტორიული, გეოგრაფიული და ეკონომიკური წიგნები. ოშიმამ თქვა, სკოლაში თითქმის არ მივლიაო, ამ წიგნებით მიუღია განათლება.

წიგნი ამოვირჩიე, ადოლფ ეიხმანის პროცესის შესახებაა. ბუნდოვანი წარმოდგენა მაქვს მის შესახებ – ნაცისტი დამნაშავე უნდა იყოს, განსაკუთრებულ ინტერესს არ აღმიძრავს. მარტო თვალი მომჭრა ამ წიგნმა, სხვა არაფერი. წიგნიდან ვიგებ, როგორ დანიშნა ომის დაწყების შემდეგ ნაცისტურმა მთავრობამ «ებრაელთა წმენდის საბოლოო გეგმის» შემუშავებად ეს SS-ის მარჯვე, მელიტი პოლკოვნიკი და როგორ ოსტატურად გაართვა მან თავი დაკისრებულ მოვალეობას. ეტყობა, აზრადაც არ მოსვლია, საკუთარი თავისთვის ეკითხა, რამდენად ამორალური იყო მისი საქმიანობა. ეიხმანს მხოლოდ ის ადარდებდა, როგორ მოემებნა ებრაელების ამოსაწყვეტად საუკეთესო გზა დროის უმცირეს მონაკვეთში, მინიმალური დანახარჯებით. არ დაგავიწყდეთ, ევროპაში მცხოვრებ 11 მილიონ ებრაელზეა ლაპარაკი.

ეიხმანმა შეისწავლა, რამდენი ებრაელი მოთავსდებოდა მატარებლის ერთ ვაგონში, რამდენი პროცენტი მოკვდებოდა ტრანსპორტირების დროს „ბუნებრივი“ მიზეზებით, და ამ გადაზიდვის უზრუნველსაყოფად საჭირო ადამიანების მინიმალური რაოდენობა. გვამების თავიდან მოშორების უიაფესი მეთოდებიც განიხილა – დაწვით, დამარხვით, თუ მჟავაში გახსნით? ეიხმანი ამ ციფრებს თავის სამუშაო მაგიდასთან ჩაჰკირკიტებდა. თითქმის ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართა. ომის დასასრულისთვის კი სულ რაღაც ექვსი მილიონი ებრაელი იყო განადგურებული. საოცარია, ამ კაცს სინანული არასდროს უგრძნია. თელ-ავივში, ტყვიაგაუმტარი შუშების იქით მჯდომს, ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს ვერც წარმოედგინა, რატომ ადევნებდა თვალს მთელი მსოფლიო მის წინააღმდეგ აღძრულ პროცესს. ამტკიცებდა, მე მხოლოდ ტექნიკური შემსრულებელი ვიყავი, რომელსაც

პრობლემის გადაწყვეტის ყველაზე ეფექტური გზა უნდა მოეძებნაო. განა იმავს არ აკეთებდა, რასაც ნებისმიერი ბიუროკრატი? რაღა მაინცდამაინც ის ამოირჩიეს დასასჯელად?

ტყეში, მოჭიკჭიკე ჩიტების გარემოცვაში, ამ პრაქტიკული ადამიანის ისტორიას ვეცნობი. წიგნის უკან ოშიმას მიერ ფანქრით გაკეთებული მინაწერია. „ჩვენი პასუხისმგებლობა წარმოსახვის უნარით წარმოიშობა. როგორც იეტსმა თქვა, პასუხისმგებლობა სიზმრებშივე იწყება. ამ წიგნს თვალს რომ გადაავლებ, მიხვდები, თუ წარმოსახვის უნარი არა გაქვს, ვერც პასუხისმგებლობა დაგეკისრება, როგორც ეიხმანის შემთხვევაში“.

ვცდილობ, ოშიმა წარმოვიდგინო ამ სკამზე მჯდომი, კარგად წვერწათლილი ფანქრით ხელში, ამ წიგნის გარეკანის უკანა მხარეს დაჰყურებს და საკუთარ შთაბეჭდილებებს წერს. ათიანში მთარტყა.

წიგნს ვხურავ, კალთაზე ვიდებ და საკუთარ პასუხისმგებლობაზე ვფიქრობ. თავს ვერაფერს ვუხერხებ. ჩემი თეთრი მაისური ახალი სისხლით იყო მოსვრილი. ამ ხელებით სისხლი ჩამოვირეცხე, ნიჟარა გაწითლდა იმდენი სისხლი იყო. ამ დაღვრილ სისხლზე პასუხისმგებლობა მე მეკისრება. წარმოვიდგენ საკუთარ თავს ჩემ წინააღმდეგ აღძრულ პროცესზე, ბრალმდებლები შეუპოვრად ცდილობენ, ბრალი დამდონ, თითებს ბრაზიანად იშვერენ ჩემკენ და მომშტერებიან. მე ვამტკიცებ, რომ არ შეიძლება იმის გამო დაგეკისროს პასუხისმგებლობა, რაც არ გახსოვს. ნამდვილად არ ვიცი, რა მოხდა, – გულწრფელად ვეუბნები მათ. მაგრამ ისინი ამბობენ: მნიშვნელობა არა აქვს, ვისი სიზმრით დაიწყო ეს ყველაფერი, შენც იგივე გესიზმრა. ყველაფერზე, რაც სიზმარში ხდება, პასუხისმგებლობა გეკისრება. სიზმარი შენში დაცოცავს, შენი სულის ბნელ კუნჭულებში. ადოლფ ეიხმანიც ასე იქცა, ნებსით თუ უნებლიეთ, ადოლფ ჰიტლერის გარყვნილი სიზმრების მონაწილედ.

წიგნს დაბლა ვდებ, ვდგები და ვიზმორები. დიდხანს ვკითხულობდი, უნდა ავდგე და ცოტა ხანს გავიარ-გამოვიარო. ალუმინის ვედროს ვიღებ და წყაროზე ჩამაქვს ასავსებად. შემდეგ უკანა ფარდულიდან შეშა მომაქვს და ბუხართან ვაწყობ.

ტერასის კუთხეში სარეცხის გასაფენად ფერგადასული ნეილონის ბაწარია გაბმული. ზურგჩანთიდან ნესტიან ტანსაცმელს ვიღებ, ნაკეცებს ვუსწორებ და გასაშრობად ვფენ. ზურგჩანთიდან ყველაფერს ვიღებ და საწოლზე ვაწყობ. მაგიდასთან ვჯდები და კარგწვერიანი კალმით დღიურში ვიწერ ყველაფერს, რაც ბოლო დღეებში გადამხდა თავს. არ ვიცი, ეს ყველაფერი როდემდე მემახსოვრება დეტალურად, ასე რომ, ჯობია სწრაფად ჩავიწერო. ვიხსენებ, როგორ დავკარგე და აღვიდგინე მეხსიერება ტაძრის უკან, ტყეში. სიბნელეს და გასისხლიანებულ მაისურს, საკურასთან გატარებულ ღამეს. ვიხსენებ, როგორ ვსაუბრობდით, როგორ მოიქცა.

ვერ ვხვდები, რატომ მითხრა, არ არის საჭირო, ყველაფერი გამანდოო. რატომ იმას არ წარმოვიდგენ, რაც გინდა, ნებართვა არ გჭირდება, ვერც კი გავიგებ, შენს თავში რა ხდებაო.

არასწორად ესმის. რასაც წარმოვიდგენ, შესაძლოა ძალიან მნიშვნელოვანი იყოს მთელი სამყაროსთვის.

შუადღეზე გადავწყვიტე, ტყეში წავსულიყავი. ოშიმა ამბობს, ტყეში ღრმად შესვლა ძალიან სახიფათოაო. გამაფრთხილა, თუ ტყეში შეხვალ, ქობი მუდმივად თვალთახედვის არეში გქონდესო. აქ რამდენიმე დღე მომიწევს ყოფნა და ამ დაბურულ ტყეს უნდა გავეცნო. ჯობია ცოტა მაინც ვიცოდე, ვიდრე სულ არაფერი. ვემშვიდობები მზიან მდელოს და პირქუში ხეების ზღვაში მივაბიჯებ.

ტყეს უსწორმასწორო ბილიკი მიუყვება, ძირითადად მიწაზე, ზოგან კი საფეხურებად დალაგებულ ბრტყელ ქვებზე. მიწის ის მონაკვეთები, რომლებსაც ეროზია ემუქრება, ხის ფიცრებით დაუფარავთ, ახლა აქ ბალახიც რომ ამოვიდეს, ბილიკი მაინც დარჩება. იქნებ ოშიმას ძმას ტყეში თანდათან გაჰყავდა ეს ბილიკი? გზას მივუყვები, ჯერ მალა ავდივარ, მერე დაბლა ვეშვები. ძირითადად აღმართებია, მაგრამ აძრომა რთული არ არის. ორივე მხარეს მაღალი, ღია ფერის ხეებია ჩამწკრივებული, ყოველ მხარეზე მსხვილი ტოტები გაზრდიათ და ხშირი ფოთლები მოუსხამთ. მიწა ბუჩქნარსა და გვიმრას დაუფარავს. იმ ადგილებში, სადაც მზის სხივები არ ეცემა, ქვებს ხავსი მოჰკიდებია.

ბილიკი ისე ვიწროვდება და იცვლება, როგორც ის მთხრობელი, თავიდან რომ აღტაცებით იწყებს მოყოლას და თანდათან სურვილი ეკარგება. ამას ბილიკიც აღარ ჰქვია, გვიმრის ზღვაში იკარგება. შესაძლოა, ზევით გრძელდება, მაგრამ ამას სხვა დროს გავარკვევ. ახლა არც შესაბამისად მაცვია, არც მომზადებული ვარ.

ვჩერდები და უკან ვტრიალდები. ვერაფერს ვცნობ, საერთოდ ვერაფერს. ხეების იქით ვერაფერს ვხედავ. ბურუსია, ჰაერში მწვანე ფერი სუფევს, არც ჩიტების ხმა ისმის.

თმა ყალყზე მიდგება, მაგრამ ასაღელვებელი არაფერია. ბილიკი აქვეა. თუ მას გავყვები, აქედან გაღწევას შევძლებ. ფრთხილად ვმოდრაობ მიწას დაშტერებული, აქეთობას გაცილებით მეტი დრო მჭირდება. მდელოს კაშკაშა, ადრიანი ზაფხულის მზე დანათის და საკენკის ძებნაში გართული ჩიტების ხმა ისმის. ყველაფერი ზუსტად ისეა, როგორც დავტოვე. ყოველ შემთხვევაში, ასე მეჩვენება. სკამი ისევ ტერასაზე დგას. წიგნიც ისეა პირქვე დადებული. ახლა ვხვდები, რა საშიში შეიძლება აღმოჩნდეს ტყე. იმედი მაქვს, ეს არასდროს დამავიწყდება.

ბიჭი, სახელად ყვავი, მეუბნება, უამრავი რამ არ იციო. მართალია. ვერასდროს წარმოვიდგენდი, თუ ხეები ასე იდუმალი და არაამქვეყნიურები იყვნენ. აქამდე მხოლოდ ქალაქის მცენარეები მენახა, გასხლული, კარგად მოვლილი ბუჩქები და ხეები. ესენი კი განსხვავდებიან. ამ ხეებს ფიზიკური ძალა აქვთ, სუნთქავენ, ადამიანები კი არაფერში ადარდებთ.

თითქოს ბნელ, პრეისტორიულ, მაგიურ ძალებს ფლობდნენ. ხეები ისე მეფობენ ტყეში, როგორც ოკეანის ბინადრები – ოკეანეში. ტყე თუ მოისურვებს, უარყოფს ან მშთანთქმავს. უნდა ვაფასებდე ტყეს და უნდა მეშინოდეს მისი.

ქობში ვბრუნდები, ზურგჩანთიდან კომპასს ვიღებ და ვამოწმებ, უჩვენებს თუ არა ისარი ჩრდილოეთს, ვინ იცის, იქნებ, გამომადგეს, ჯიბეში ვიღებ. ტერასაზე გავდივარ, ტყეს ვუცქერ, Cream-ს და დიუკ ელინგტონს ვუსმენ უოკმენით – ბიბლიოთეკაში გადმოვიწერე,

რამდენჯერმე ვუსმენ Crossroads-ს. მუსიკა მამშვიდებს. აქ დენი არ არის, ელემენტებს ვერ დავტენი. მალე მომიწევს მუსიკასთან გამოთხოვება.

სადილამდე ცოტა ხანს ვვარჯიშობ. ბუქნებს, აზიდვებს, პრესის ვარჯიშებს ვაკეთებ ფორმის შესანარჩუნებლად. ცოტა მოსაწყენი კია. ეს ვარჯიშები მწვრთნელმა მასწავლა. სამართოვე საკანში პატიმრებს ესენი მოსწონთ ყველაზე მეტადო, ამიხსნა და „მსოფლიოში ყველაზე უელი კაცის ვარჯიშები“ შეარქვა. ვარჯიშზე ვახდენ კონცენტრირებას, მაისური ოფლისგან მისველდება.

მსუბუქი სადილის შემდეგ ტერასაზე გავდივარ და მოციმციმე ვარსკვლავებს ვუყურებ – უწესრიგოდ მიმოფანტულ მილიონობით ვარსკვლავს. პლანეტარიუმშიც ვერ ნახავს კაცი ამდენს. ზოგიერთი ძალიან დიდი და კაშკაშაა, მაგრამ ხელს თუ გაიწვდენ, ვერც ერთს ვერ მისწვდები. რაც გულდასაწყვეტია...

მარტო ლამაზი კი არ არის, ამ ტყეებისა არ იყოს, ეს ვარსკვლავებიც სუნთქავენ. და დამყურებენ – რა გავაკეთე აქამდე, რას ჩავიდენ – ყველაფერი იციან. მათ თვალს ვერაფერს გამოაპარებ. ღამის კაშკაშა ცის ქვეშ მჯდომს კვლავ შიში მიპყრობს. გული სწრაფად მიფეთქავს და სუნთქვა მიძნელდება. თავზე მილიონობით ვარსკვლავი დამყურებს და აქამდე ამაზე არ მიფიქრია. მხოლოდ ვარსკვლავები კი არა, კიდევ რამდენი რამ არ შემომჩნევია სამყაროში და რამდენი რამ არ ვიცი! უეცრად სრულ უძლურებას ვგრძნობ. ვიცი, ამ განცდას თავს ვერასოდეს დავაღწევ.

ქოხში ბუხარში შეშის რამდენიმე ნაჭერს ვდებ, ძველი გაზეთის გვერდებს ვჭმუჭნი, ცეცხლს ვუკიდებ და ვრწმუნდები, რომ ცეცხლი შეშასაც ედება. სკოლიდან ბანაკში გამგზავნეს, ცეცხლის დანთება იქ ვისწავლე. ბანაკი მეჯავრებოდა, მაგრამ ეს უნარი მაინც ხომ შემძინა? სახშობს ვაღებ, კვამლი გამოდის, თავიდან შეშას ნორმალურად არ ეკიდება, მაგრამ მერე ცეცხლი ჩაღდება. ბუხრის კარს ვხურავ, სკამს მის წინ ვაჩოჩებ, ღამპას ახლო ვიდგამ და წიგნის კითხვას ვაგრძელებ. ჩაიდნით წყალს ვდგამ ცეცხლზე.

ეიხმანს ვუბრუნდები. რა თქმა უნდა, ყველაფერი გეგმის მიხედვით არ წარმართულა. პროცესს სხვადასხვა მიზეზი აფერხებდა. ამ დროს ადამიანივით იქცეოდა, ან ადამიანის მსგავს რამედ. ბრაზობდა, – აი, რის თქმა მინდა. ეიხმანს აცოფებდა დაბრკოლებები, მისი გენიალური გეგმის განხორციელებას რომ უშლიდნენ ხელს. მატარებლები იგვიანებდნენ. პასუხისმგებელი პირები გადააყენეს და ახალ თანამდებობის პირებთან ურთიერთობა კარგად ვერ წარიმართა. რუსეთის ფრონტზე მარცხის შემდეგ საკონცენტრაციო ბანაკების მცველები ომში გაგზავნეს. დიდი თოვლი მოვიდა. მუშაობა შეწყდა. საკმარისი მომწამლავი გაზი არ აღმოაჩნდათ. რელსები დაიბომბა. ეიხმანს სძულდა ომი, რადგან მის გეგმებს საფრთხეს უქმნიდა.

პროცესზე ამ ყველაფერს უემოციოდ იხსენებდა. საოცარი მეხსიერება ჰქონდა! ამ დეტალებით ცოცხლობდა.

ათზე კითხვას ვწყვეტ, კბილებს ვიხეხავ და პირს ვიბან. ცეცხლი ნარინჯისფერში ხვევს ოთახს, სასიამოვნო სითბო მამშვიდებს. მაისურით და ტრუსით ვწვები საძილე ტომარაში.

წუხანდელთან შედარებით თვალების დახუჭვას უფრო ადვილად ვახერხებ. საკურაზე ვფიქრობ.

კარგი იქნებოდა, შენი და ვყოფილიყავიო, მითხრა.

კმარა ამაზე ფიქრი. დღეს უნდა გამოვიძინო. ბუხარში შეშა ტრიალდება, გარეთ ბუ კივის. მეც ბუნდოვან სიზმარში ვიძირები.

მეორე დღესაც იგივე ხდება. შვიდის წუთებზე ჩიტები მალვობენ. წყალს ვადულებ, ჩაის ვიმზადებ და ვსაუზნობ. ტერასაზე ვკითხულობ, მუსიკას ვუსმენ, წყაროზე ჩავდივარ ვედროთი. ტყის ბილიკს მივუყვები, ამჯერად დროდადრო კომპასს დავყურებ, რომ წარმოდგენა მქონდეს, ქოხი სად არის. ფარდულში ნაპოვნი ცულით ხეებზე ნიშნებს ვკვებ, გზადაგზა ბუჩქებსაც ვჩეხ, რომ გზა ადვილად გავიკვალო.

ტყე დღესაც ღრმაა და ბნელი. მაღალი ხეები ბილიკის ორსავე მხარეს სქელ კედელს ქმნიან. ტყეში, ხეებს იქით რაღაც ჩამალულა სიბნელეში, ცხოველის სამგანზომილებიანი ნახატის მსგავსი – ჩემს ყოველ მოძრაობას თვალს ადევნებს. ძრწოლისმომგვრელ შიშს აღარ ვგრძნობ. საკუთარი წესები შევიმუშავე და თუ მათ დავიცავ, არ დავიკარგები. ამის იმედი მაქვს.

იმ ადგილას მოვედი, სადაც გუშინ შევჩერდი, გვიმრების ზღვაში გაჭირვებით მივიწევ წინ. მალე ბილიკი ისევ ჩნდება, მე ისევ ხეების კედლებით ვარ გარშემორტყმული, ხეებზე ნიშნებს ვტოვებ გზადაგზა. ტოტებს შორის, ჩემს თავს ზემოთ უზარმაზარი ფრინველი იქნევს ფრთებს, ვერაფერს ვხედავ. პირი მიშრება.

ერთხანს წინ მივდივარ და მდელოზე ვხვდები, უზარმაზარი ხეებით გარშემორტყმული უღრმესი ჭის ფსკერს რომ წააგავს. მზის სხივები ტოტებს შორის ჩემს ფეხებთან ეცემა და მიწას პროექტორით ანათებს. ეს ადგილი რაღაცით განსაკუთრებულია. მზის შუქზე მიწაზე ვჯდები და ვთბები, ჯიბიდან შოკოლადის ფილას ვიღებ და პირს ვიტკბარუნებ. კიდევ ერთხელ ვაცნობიერებ მზის სხივების მნიშვნელობას ადამიანისთვის, მზის გულზე გატარებულ ყოველ წამს ვაფასებ. მარტოობისა და უსუსურობის განცდა, რომელიც ვარსკვლავებით მოჭედული ცის ქვეშ დამეუფლა, ქრება. თანდათან მზე მდებარეობას იცვლის და მდელოზეც ბნელდება. ვდგები და უკან, ქოხისკენ მიმავალ გზას მივყვები.

შუადღეზე უეცრად ცას მუქი, იდუმალი ფერის ღრუბლები ფარავს და წვიმა იწყება. ძლიერად წვიმს, სახურავს და ქოხის ფანჯრებს მსხვილი წვეთები ეცემა. ტანზე ვიხდი, ქოხიდან გარეთ გავრბივარ, პირსა და ტანს ვისაპნავ. დიდებული გრძნობა მეუფლება. სიხარულისგან თვალებს ვხუჭავ და უაზროდ ვყვირი, წვიმის წვეთები მეცემა ლოყებზე, თვალის ქუთუთოებზე, მკერდზე, გვერდებზე, ასოზე, ფეხებზე და უკანალოზე – მწველ ტკივილს ვგრძნობ, როგორც რელიგიური რიტუალების დროს. ტკივილის გარდა, სიახლოვის განცდაც მეუფლება, თითქოს ჩემს სიცოცხლეში პირველად სამყარო სამართლიანად მექცევა. ხალისიან განწყობაზე ვდგები, თითქოს უეცრად გავთავისუფლდი. ცას ავყურებ, ხელები ფართოდ მაქვს გაშლილი, პირს ვაღებ და წვიმის წვეთებს ვყლაპავ.

ქოხში დაბრუნებული, პირსახოცით ვიმშრალე სხეულს, საწოლზე ვჯდები და ასოს დავყურებ, ღია ფერის, ჯანსაღ, ახალგაზრდულ ასოს. წვიმისგან ასოს თავი ცოტათი კიდევ

მეწვის. დიდხანს დავყურებ ამ უცნაურ ორგანოს, რომელიც თავის ჭკუაზე დადის და ჩემს ტვინს არ ემორჩილება.

ნეტა ჩემხელა რომ იყო, ოშიმაც ებრძოდა სექსუალურ სურვილებს? ალბათ ებრძოდა, თუმცა ვერ წარმომიდგენია, როგორ ეთამაშებოდა საკუთარ ასოს. ის ამისათვის ძალიან მაგარია.

სხვებისგან რადიკალურად განსხვავებული ვიყავიო, მითხრა. არ ვიცი, რას გულისხმობდა. არა მგონია, წამოეროშა. არც იმიტომ თქვა, იდუმალი ან მორიდებული რომ გამოჩენილიყო.

მინდა, დავანძრიო, მაგრამ თავს ვიკავებ. წვიმაში ყოფნამ თავი განწმენდილად მაგრძნობინა. მინდა, ეს განცდა დიდხანს შევინარჩუნო. ტრუსს ვიცვამ, რამდენჯერმე ღრმად ვისუნთქავ და ბუქნებს ვიწყებ. ას ბუქნს ვაკეთებ. ყოველ ჯერზე კუნთების ერთ ჯგუფს ვამუშავებ, ვარჯიშის შემდეგ ფიქრები ამღვრეული აღარა მაქვს. წვიმა შეწყდა, მზემ ღრუბლებს შორის გამოანათა, ჩიტებმა ისევ დაიწყეს ჟღერტული.

ეს სიმშვიდე დიდხანს არ გრძელდება, ხომ ხვდებით. სექსუალური სურვილები არასდროს იღლებიან მხეცებივით და ყველგან დაგდევენ. დაბურულ ტყეშიც მოგაგნებენ. გამძლეები არიან, უღმობელი, დაუნდობელი, დაუღლეელი და ხელს არასდროს ჩაიქნევენ. ახლა შეიძლება თავი გააკონტროლო და მასტურბაციაზე უარი თქვა, მაგრამ მაინც დაგიმორჩილებენ, სიზმარში მაინც. სიზმარში შეიძლება და გააუპატიურო, დედაც. ამას ვერ გააკონტროლებ.

საკუთარი ფანტაზიების გეშინია. და კიდევ უფრო სიზმრებს უფრთხი. გეშინია იმ პასუხისმგებლობის, სიზმრებშივე რომ იწყება. მაგრამ იძულებული ხდები, დაიძინო, სიზმრები კი ძილის კუთვნილებაა. ფხიზელს ფიქრების გაკონტროლება ძალგძის, მაგრამ სიზმრებს ვერ მიჩქმალავ.

ვწვები და პრინცის უცნაურ უწყვეტ მუსიკას ვუგდებ ყურს. Little Red Corvette – ამ სიმღერაზე ელემენტი იცლება და მუსიკა ისე ქრება, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო.

სიჩუმეს ვუსმენ.

თურმე შეიძლება სიჩუმესაც მოუსმინო.

შავი ძალი წამოდგა და ნაკატას სამუშაო კაბინეტიდან დერეფნის გავლით, ქვემოთ, სამზარეულოსკენ გაუძღვა. სამზარეულოს რამდენიმე ფანჯარა ჰქონდა, ბნელოდა. მოწესრიგებული და სუფთა იყო, მაგრამ უსიცოცხლო იერი ჰქონდა, როგორ სკოლის ქიმიის კაბინეტებს. ძალი დიდი მაცივრის კართან შეჩერდა, მოტრიალდა, ნაკატა ცივი მზერით გაბურღა და ხმადაბლა უთხრა, მარცხენა კარი გააღეო. ნაკატამ იცოდა, რომ ძალის პირით ჯონი უოკერი ელაპარაკებოდა. ძალის თვალებით ის შესცქეროდა ნაკატას. მოხუცი ისე მოიქცა, როგორც უბრძანეს. ავოკადოსფერი მაცივარი ნაკატაზე მაღალი იყო. მარცხენა კარი გააღო, თერმოსტატმა ყრუ ხმა გამოსცა, ძრავამ თითქოს ამოიკვნესა. თეთრი ანაორთქლი ნისლივით გამოიჭრა გარეთ. მაცივრის ეს მხარე მინიმალურ ტემპერატურაზე დაყენებული საყინულე ყოფილა. საყინულეში ოცამდე მრგვალი, ხილის მსგავსი საგანი გაემწვრივებინათ, იქ სხვა არაფერი იდო. ნაკატა დაიხარა და დააკვირდა. როდესაც ანაორთქლი გაიფანტა, შენიშნა, ხილი კი არა კატების მოჭრილი თავები იყო. სხვადასხვა ზომისა და ფერის მოჭრილი თავები, სამ თაროზე ისე ჩაემწვრივებინათ, როგორც ფორთოხლები ხილ-ბოსტნეულის დახლზე. გაყინული კატების თავები წინ იცქირებოდნენ. ნაკატას ყელში რაღაც გაეჩხირა.

კარგად დააკვირდი, – უბრძანა ძალმა, შენი თვალით შეამოწმე, გომა არის თუ არა აქ.

ნაკატა ასეც მოიქცა, სათითაოდ დააკვირდა მოჭრილ თავებს. არაფრის შეშინება, დაკარგული ფისოს პოვნას ცდილობდა. ნაკატა ყველა თავს დააკვირდა, და დაადასტურა, რომ გომა მათ შორის არ იყო. უსხეულო კატებს სახეზე არაფრისმთქმელი გამომეტყველება ეწერათ, თითქოს არც ერთი მათგანი არ დატანჯულა. ნაკატამ შვება იგრძნო. ზოგიერთ კატას თვალები დაეხუჭა, სხვებს რაღაც წერტილისთვის გაემტერებინათ თვალი.

– აქ გომა არ არის. – მტკიცედ თქვა ნაკატამ. ჩაახველა და მაცივრის კარი მიხურა.

დარწმუნებული ხარ?

– დიახ, დარწმუნებული ვარ.

ძალი წამოდგა და უკან, სამუშაო კაბინეტისკენ გაუძღვა ნაკატას. ჯონი უოკერი ისევ გორგოლაჭებიან სავარძელში იჯდა და მას ელოდა. ნაკატას დანახვაზე მისალმების ნიშნად აბრეშუმის ცილინდრის კიდეს ხელი შეახო და თავაზიანად გაუღიმა. შემდეგ ორჯერ ხმამაღლა შემოჰკრა ტაში და ძალმა ოთახი დატოვა.

– მე ვარ ის, ვინც ამ კატებს თავები მოაჭრა, – ვისკის ჭიქა აწია და სასმელი მოსვა, – მე მათ ვაგროვებ.

– ანუ თქვენ იჭერდით მიტოვებულ ეზოში კატებს და კლავდით...

– მართალი ხარ. უცნობი კატების მმუსვრელი ჯონი უოკერი თქვენს განკარგულებაშია.

– ნაკატა ვერ გარკვეულა. შეიძლება გკითხოთ?

– რა თქმა უნდა, – ჯონი უოკერმა ჭიქა აწია, – რაც გსურს, მკითხე. არა, თვითონ გეტყვი, რაც გაინტერესებს, ასე დროს დავზოგავთ. პირველ რიგში ალბათ გსურს იცოდე, რატომ მომიწია ამდენი კატის მოკვლა. რატომ ვაგროვებ მათ თავებს. მიგიხვდი?

– მართალი ხართ. ნაკატას ზუსტად ეს აინტერესებს.

ჯონი უოკერმა ჭიქა მაგიდაზე დადგა და ნაკატას პირდაპირ შეხედა.

– ეს დიდი საიდუმლოა, ყველას არ გავანდობდი. შენთვის, ბატონო ნაკატა, გამონაკლისს დავეუშვებ, მაგრამ სხვებს ნუ მოუყვები. თუმცა, ასეც რომ მოიქცე, არავინ დაგიჯერებს, – ჩაიქირქილა ჯონი უოკერმა, – კატების ხოცვა არ მეხალისება, ისეთი შერევილიც არა ვარ, ეს მართობდეს. არც ვიღაც მოცლილი დილეტანტი ვარ. ძალიან ბევრი დრო და ძალისხმევა სჭირდება ამდენი კატის თავმოყრასა და დახოცვას. კატებს სულელების შესაგროვებლად ვკლავ. მათი სულელებით განსაკუთრებული ფლეიტა უნდა შევქმნა. ამ ფლეიტაზე დაკვრა სხვა, უფრო დიდი სულელების შეგროვების საშუალებას მომცემს. როდესაც უფრო დიდ სულელებს შევაგროვებ, ახალ, უფრო დიდ ფლეიტას შევქმნი. ალბათ, საბოლოოდ ისეთ ფლეიტასაც დავამზადებ, სამყაროს დამორჩილება რომ შევძლო. მაგრამ კატებით უნდა დავიწყო. პროექტი მათი სულელების შეგროვებით იწყება. ყველაფერში აუცილებელია თანამიმდევრობის დაცვა. ამით სულელებისადმი პატივისცემას უნდა გამოიხატოს. საქმე ანანასებთან და ნესვებთან კი არ მაქვს, ხომ ხვდები?

– დიახ. – უპასუხა ნაკატამ. მაგრამ წარმოდგენაც არ ჰქონდა. ფლეიტა? რომელ ფლეიტაზე ლაპარაკობს, გვერდულად რომ უჭირავთ ხოლმე? იქნებ ხმის ჩამწერზე? რანაირ ხმას გამოსცემს? და კატების სულელებში რას გულისხმობს? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა მის გონებრივ შესაძლებლობებს აღემატებოდა. მაგრამ ნაკატამ ზუსტად იცოდა ერთი რამ: გომას ადგილსამყოფელი უნდა დაედგინა და აქედან გაეყვანა.

– შენ გომას წაყვანა გინდა. – ისე თქვა ჯონი უოკერმა, თითქოს ნაკატას ფიქრები ამოიცნო.

– მართალი ხართ. ნაკატას უნდა, გომა სახლში დააბრუნოს.

– ეგ შენი მისიაა, – თქვა ჯონი უოკერმა, – ყველანი საკუთარი მისიის შესრულებას ვცდილობთ. ეს ბუნებრივია. ალბათ, არასოდეს მოგისმენია კატების სულელებისგან შექმნილი ფლეიტის ჰანგები, არა?

– ჰო, არ მომისმენია.

– რა თქმა უნდა, არ მოგისმენია. მას ყურებით ვერ მოისმენ.

– ისეთი ფლეიტაა, რომელიც ხმას არ გამოსცემს?

– სწორი ხარ. თუმცა მე მესმის მისი ხმა, რომ არ მესმოდეს, არც იმუშავებდა. ჩვეულებრივ ხალხს ამ ხმის ამოცნობა არ შეუძლია. შესაძლოა, წარსულში მოუსმენიათ და აღარ ახსოვთ. ფლეიტა საკმაოდ უცნაურია. შესაძლოა, მხოლოდ შესაძლოა, რომ თქვენ მისი მოსმენის უნარი აღმოგაჩნდეთ, ბატონო ნაკატა. ფლეიტა რომ მქონოდა, ვცდიდით, მაგრამ, სამწუხაროდ, არ მაქვს, – შემდეგ თითქოს რაღაც გაახსენდაო, თითო მალლა აღმართა, – სწორედ ახლა ვაპირებდი კატებისთვის თავები მომეჭრა. მკის დროა. უკვე ყველა ის კატა მყავს, რომელიც მიტოვებულ ეზოში დამრწოდა, დროა, საქმეს შევუდგე. გომაც, ის კატა, შენ რომ დაემებ, მათ შორისაა. თუ თავს მოვაჭრი, კოიძუმებთან ველარ წაიყვან, არა?

– ასეა.

ნაკატა გომას მოჭრილ თავს ვერ წაიღებდა კოიძუმებთან. იმ ორ პატარა გოგონას რომ გომას მოჭრილი თავი ენახა, ვედარასოდეს შეჭამდნენ რამეს.

– მე მინდა, გომას თავი მოვაჭრა. მაგრამ შენ ეს არ გინდა. ჩვენი მისიები, ჩვენი სურვილები ურთიერთსაწინააღმდეგოა. სამყაროში ასე ხშირად ხდება. მოდი გამოსავალი ვიპოვოთ და მოვილაპარაკოთ. თუ ჩემთვის რაღაცას გააკეთებ, სანაცვლოდ გომას ჯანსაღსა და უვნებელს დაგიბრუნებ.

ნაკატამ ჭადარა თმაზე ენერგიულად გადაისვა ხელი. როდესაც რამე გადაწყვეტილება უნდა მიეღო, ასე იქცეოდა.

– ისეთი რამ არის, რის გაკეთებაც შემიძლია?

– ეს ხომ უკვე გავარკვიეთ, – ცალყბა ღიმილით უთხრა ჯონი უოკერმა.

– დიახ, ეს უკვე გავარკვიეთ, – გაიხსენა ნაკატამ, – ასეა. უკვე გავარკვიეთ. უკაცრავად.

– დასაკარგი დრო არ გვაქვს, ამიტომ პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ. მინდა მომკლა. სიცოცხლე მომიხსპო, სხვანაირად რომ ვთქვა.

თავზე ხელშემოდებული ნაკატა დიდხანს მიშტერებოდა ჯონი უოკერს.

– გინდათ, ნაკატამ მოგკლათ?

– დიახ. სიმართლე გითხრა, ცხოვრებამ დამღალა. დიდხანს, დიდხანს ვიცხოვრე. რამდენი წლის ვარ, ისიც არ მახსოვს. არც სიცოცხლე მინდა. დამღალა ამ კატების კვლამაც, მაგრამ, ვიდრე ცოცხალი ვარ, იძულებული ვარ, კატები ვხოცო და მათი სულები შევაგროვო. თანმიმდევრულად მივყვე წესებს – პირველიდან მეათე ნაბიჯამდე. მერე ისევ თავიდან. უსასრულო განმეორება. და ასეც ვიქცეოდი. არავინ აფასებს ჩემს საქმეს, არც ვინმე ბედნიერდება. მაგრამ ყველაფერი უკვე დადგენილია. არ შემიძლია, უეცრად უარი ვთქვა და საკუთარი საქმის კეთება შევწყვიტო. არც თავის მოკვლა შემიძლია. ესეც გადაწყვეტილია. ამით უამრავ კანონს დავარღვევ. თუ მინდა მოგვკდე, ვინმეს თავი უნდა მოვაკვლევიანო.

– მაგრამ რატომ, რატომ მთხოვთ? ნაკატას აქამდე არავინ მოუკლავს. ამისთვის არ გამოვდგები.

– ვიცი. ვიცი, არავინ მოგიკლავს. მაგრამ ყური მიგდე – ზოგჯერ ცხოვრებაში ეს მიზეზები არ ჭრის. არსებობს ისეთი სიტუაციები, როდესაც არავის ადარდებს, რამდენად გამოდგები საქმისთვის. მინდა, ეს გაიგო. მაგალითად, ომში. იცი, ომი რა არის?

– ვიცი. როდესაც ნაკატა დაიბადა, დიდი ომი იყო. ამის შესახებ მსმენია.

– ომის დროს ადამიანები იძულებული ხდებიან, ჯარისკაცებად იქცნენ. ისინი თოფებით მიდიან წინა ხაზზე და რაც შეიძლება მეტ მოწინააღმდეგეს კლავენ. არავის აინტერესებს, ადამიანის მოკვლა გსიამოვნებს თუ არა. ვალდებული ხარ ასე მოიქცე, თორემ მტერი თვითონ მოგკლავს. – ჯონი უოკერმა თითი ნაკატას მკერდისკენ მიმართა.

– ბახ! – წარმოთქვა მან, – კაცობრიობის ისტორია კაკლის ნაჭუჭია.

– გუბერნატორს სურს, ნაკატა ჯარისკაცი გახდეს და ადამიანები მოკლას?

– დიახ. ასე სურს გუბერნატორს. მას სურს, ვიღაც მოკლა.

ნაკატა დაფიქრდა, მაგრამ აზრი ვერ გამოიტანა. ეს რატომ უნდა სურდეს გუბერნატორს?

– ასე იფიქრე – ეს ომია. შენ ჯარისკაცი ხარ და გადაწყვეტილება უნდა მიიღო. ან მე მოვკლავ კატებს, ან შენ მომკლავ მე. ან ის, ან ეს. აქ და ახლა უნდა გადაწყვიტო. შესაძლოა, ამ ვარიანტებმა აღაშფოთოს, მაგრამ გაითვალისწინე: თითქმის ყოველთვის ასეთი აღმაშფოთებელი არჩევანის წინაშე ვდგებით, – ჯონი უოკერი ოდნავ შეეხო ცილინდრს, თითქოს ამოწმებდა, ისევ მახურავს თუ არაო, – კიდევ ერთ რამეს გეტყვი – მინდა მოვკვდე. მე თვითონ გთხოვ, მომკლა. ასე რომ, სინდისის ქენჯნამ არ უნდა შეგაწუხოს. ჩემს ნებას აღასრულებ. შენ ხომ ის არ უნდა მოკლა, ვისაც სიცოცხლე სწყურია. ეს კარგი საქციელი იქნება.

ნაკატამ შუბლიდან ოფლის წვეთები მოიწმინდა.

– მაგრამ ნაკატა ამას ვერავითარ შემთხვევაში ვერ გააკეთებს. მართალია, მთხოვთ მომკალიო, მაგრამ როგორ უნდა გავაკეთო ეს?

– მესმის შენი, – აღტაცებით წარმოთქვა ჯონი უოკერმა, – აქამდე არავინ მოგიკლავს, და ამიტომ არ იცი, ეს როგორ უნდა ქნა. კარგი, ავიხსნი. მთავარია, არ იყოყმანო, ბატონო ნაკატა. საკუთარ სურვილზე გაამახვილე მთელი ყურადღება და დაუყოვნებლივ აღასრულე – თუ გინდა მოკლა, ეს უნდა გაითვალისწინო. შემძლია, მაგალითიც გიჩვენო. ეს ადამიანი არაა, მაგრამ ერთგვარ წარმოდგენას შეგიქმნის.

ჯონი უოკერი წამოდგა და მაგიდის ქვეშიდან დიდი ტყავის ჩემოდანი გამოიღო. იმ სავარძელზე მოათავსა, რომელზეც იჯდა და თავი ახადა, თან მხიარულად ღიღინებდა. თითქოს ფოკუსს აკეთებდნო, ისე ამოიყვანა ჩემოდნიდან კატა. ნაკატას ეს კატა აქამდე არ ენახა, ნაცრისფერხოლებიანი ხვადი, რომელმაც ახლახან მიაღწია ზრდასრულ ასაკს. კატა მისუსტებული იყო, მაგრამ თვალეები გახელილი ჰქონდა. გონზე ჩანდა. დისნეის „ფიფქიადან“ შვიდი ჯუჯის სიმღერას ღიღინებდა: „ჰეი-ჰო, ჰეი-ჰო“. ჯონი უოკერმა კატა ისე დაიჭირა ხელში, თითქოს ახალდაჭერილ თევზს უჩვენებდა ნაკატას.

– ამ ჩემოდანში ხუთი კატა მყავს, ყველა – იმ მიტოვებული ეზოდან. ახალი პარტიაა. პარალიზებისათვის საჭირო ნემსები გავუკეთე. არაესთეტიკური არ არის – არც სძინავთ და ტკივილსაც გრძნობენ, მაგრამ კიდურებს ვერ ამოძრავებენ. ვერც თავს. ასე იმიტომ ვექცევი, რომ ფართხალი არ დაიწყონ. გულმკერდი უნდა გავუჭრა, ჯერ კიდევ მფეთქავი გული ამოვაცალო და თავი მოვაჭრა. შენ თვალწინ. უამრავ სისხლს დაღვრიან და აუტანელ ტკივილს იგრძნობენ. წარმოგიდგენია, ვინმეს რომ შენთვის გულ-მკერდი გაეჭრა და გული ამოეცალა, როგორ გეტკინებოდა? კატებსაც ასე სტკივავთ. ვწუხვარ მათ გამო. არც ისე გულქვა ვარ, მაგრამ ვერაფერს გავაწყობ. უნდა ეტკინოთ. ესეც წესია. აქ ყველაფერი წესების მიხედვით კეთდება, – ნაკატას თვალი ჩაუკრა, – საქმე საქმეა. შენი მისია უნდა აღასრულო. ყველა კატას ერთმანეთის

მიყოლებით დავხოცავ, გომას ბოლოსთვის შემოვიწინახავ. ამიტომ დრო კიდევ გაქვს გადაწყვეტილების მისაღებად. დაიმახსოვრე, ან შენ მომკლავ, ან მე დავხოცავ კატებს. სხვა გზა არ გაქვს.

ჯონი უოკერმა კატა მაგიდაზე დადო, უჯრა გამოაღო, ორივე ხელით დიდი შავი ჩანთა გაშალა. ფრთხილად გახსნა და მაგიდაზე ხელსაწყოები ამოალაგა. პატარა ელექტროხერხი, სხვადასხვა ზომის სკალპელები, ძალიან დიდი დანა. ყველაფერი ისე ელვარებდა, თითქოს ახლახან გაელესათ. ამოლაგების დროს ჯონი უოკერმა ფრთხილად შეამოწმა ყველა პირი. შემდეგ სხვა უჯრიდან რამდენიმე მეტალის ლანგარი ამოიღო და ისინიც მაგიდაზე დააწყო. ბოლოს უჯრიდან დიდი შავი პოლიეთილენის პარკი ამოიღო. თან ღიღინებდა: „ჰეი-ჰოო!“.

– როგორც გითხარით, ბატონო ნაკატა, წესების დაცვაა საჭირო, – მიმართა მოხუცს ჯონი უოკერმა, – წინასწარ ბევრ რამეს ვერ განჭვრეტ. თუ ამას მოინდომებ, დაგავიწყდება, რა უნდა ქნა და დაიბნევი. იმის თქმა მინდა, რომ დეტალებზე ყურადღების გამახვილება საჭირო არ არის. ცოტათი წინ უნდა გაიხედო, თორემ რამე გაუთვალისწინებელს წააწყდები. თანმიმდევრულად უნდა მოიქცე და შემდეგ რა მოხდება, ისიც უნდა გახსოვდეს. ეს ყოველთვის მნიშვნელოვანია.

ჯონი უოკერმა თვალები მოჭუტა და კატას თავი გაუსწორა. მუცელზე თითი აუსვ-ჩამოუსვა, სკალპელი აიღო მარჯვენა ხელით და ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე კატას მუცელი გაუსერა. ეს ყველაფერი წამებში მოხდა. მუცელი ფართოდ გადაიხსნა და წითელი ნაწლავები გადმოიყარა. კატამ დაკნავლება სცადა, მაგრამ მხოლოდ გულისმომკვლევი ბგერები აღმოხდა. ენა დამუნჯებული ჰქონდა, პირსაც ძლივს ხსნიდა. თვალებში აუტანელი ტანჯვა აესახა. ნაკატა ხვდებოდა, რა მტკივნეული იყო ეს. წუთის შემდეგ სისხლი დაიღვარა, ჯონი უოკერს ხელები და ლაზადა მოესვარა. ამისთვის ყურადღება არც კი მიუქცევია. „ჰეი-ჰოს“ ღიღინით, კატის სხეულში ხელი ჩაუყო და სკალპელით პატარა გული ამოაცალა.

ეს სისხლიანი ხორცის ნაგლეჯი ხელისგულზე დაიდო და ნაკატას უჩვენა.

– შეხედე. ჯერ კიდევ ცემს.

შემდეგ, თითქოს ეს ქვეყნად ყველაზე ბუნებრივი საქციელი ყოფილიყო, გული პირში შეიგდო და აუღელვებლად შეუდგა ღეჭვას, დინჯად აგემოვნებდა. თვალები იმ ბავშვივით უკიაფებდა, ღუმელიდან ახალგამოდებული ცხელი ნამცხვრით რომ იტკბარუნებს პირს.

ხელის ზურგით პირიდან სისხლი მოიწმინდა და სისხლიანი ტუჩები ნაზად აილოკა.

– სულ ახალი და თბილ-თბილია. პირშიც კი განაგრძობდა ფეთქვას.

ნაკატა მის თვალწინ გათამამებულ სცენას უსიტყვოდ ადევნებდა თვალს. ვერ შეძლო, მზერა სხვა რამეზე გადაეტანა. ოთახში ახალი სისხლის სუნნი დადგა.

მხიარულად მოდიდინე ჯონი უოკერმა კატას თავი მოახერხა. ხერხის კბილები ძვალთან შეხების დროს ტკაცუნებდნენ. კარგად იცოდა საკუთარი საქმე. კისრის ძვალი ძალიან მსხვილი არ იყო, ამიტომ ოპერაცია სწრაფად დასრულდა. ჯონი უოკერმა ფრთხილად დადო მოჭრილი თავი მეტალის ლამბაქზე. როგორც ხელოვნების ნიმუშს, ისე შეჰყურებდა

მოჭუტული თვალებით, დაკვირვებით, აღტაცებით. წამით ღიღინი შეწყვიტა, ფრჩხილით კბილებს შორის გაჩხერილი რაღაც ამოიძრო, ისევ პირში ჩაიდო, გემო გაუსინჯა, კმაყოფილებისგან ტუჩები მოწკურა და გადაყლაპა. შემდეგ შავი პოლიეთილენის პარკი გაშალა და მკვდარი კატის დარჩენილი სხეული უსარგებლო ნაჭუჭივით ჩააგდო.

– ესეც ასე, პირველი უკვე მზადაა, – სისხლიანი ხელები გაშალა ნაკატას წინ ჯონი უოკერმა, – ცოტა ძალისხმევა კი სჭირდება, არა? ახალი გულით პირს კი ჩაიტკბარუნებ, მაგრამ ხედავ, სისხლით როგორ მოისვრები? „ეს ხელები უფრო ადვილად ურიცხვის ზღვების ლაჟვარდ ზვირთებს წითლად შეღებენ“. [2] „მაკბეტიდანაა“. მაკბეტივით ცუდი როდია, მაგრამ ქიმწმენდის ხარჯებს ნულარ იკითხავ. ეს ხომ ჩემი სპეციალური სამოსია. ქირურგის ხალათი და ხელთათმანები უნდა მეცვას, მაგრამ არა, არ შემიძლია. ესეც ერთგვარი რიტუალია.

ნაკატას ხმა არ ამოუღია, იგრძნო, მის თავში ამბოხება იწყებოდა. ოთახში სისხლის სუნი იდგა და ყურებში „ჰეი-ჰო“ ჩაესმოდა.

ჯონი უოკერმა ჩემოდნიდან მომდევნო კატა ამოათრია. თეთრი მდედრი, არც ისე ახალგაზრდა, კუდი უკვე გაქუცვოდა. ახლაც ჯერ თავი გაუსწორა, მერე უხილავი ხაზი გაავლო მის მუცელზე. სკალპელი აიღო და სწრაფად გადაუხსნა მუცელი. ყველაფერი განმეორდა, უხმო კივილი, დაკრუნჩხული სხეული, გადმოყრილი ნაწლავები. სისხლიანი გული ამოაცალა, ნაკატას უჩვენა, პირში ჩაიგდო და ნელა დაღეჭა. კმაყოფილი ღიმილი. ხელის ზურგით მოწმენდილი ტუჩები. ყველაფერი „ჰეი-ჰოს“ თანხლებით.

ნაკატა სავარძელზე გადაწვა და თვალები დახუჭა. თავი ხელებით ეჭირა. თითის წვერებით საფეთქლებს აწვებოდა. სწრაფად სუნთქავდა, კისრის არეში აუტანელ ტკივილს გრძნობდა. თვალთ უბნელდებოდა.

– ბატონო ნაკატა, – მხნედ წარმოთქვა ჯონი უოკერმა, – ჯერ ნუ დამნებდები. ყველაფერი წინაა. ეს მხოლოდ პრელუდია იყო, შესახურებლად. იცი, რაც უნდა მოხდეს. ამიტომ თვალები კარგად გაახილე და ყველაფერს დააკვირდი. ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია. იმედია, არ დაივიწყებ, როგორ ვეცადე გამემხიარულებინე.

ღიღინ-ღიღინით ამოიღო შემდეგი კატა. სავარძელში ჩაფლულმა ნაკატამ თვალები გაახილა და შემდეგ მსხვერპლს დააკვირდა. ძალა სულ გამოსცლოდა, ვერც კი წამოიმართა.

– უკვე უნდა იცნობდეთ, – თქვა ჯონი უოკერმა, – მაგრამ მაინც წარგიდგენთ ერთმანეთს. ბატონო ნაკატა, ეს ბატონი კავამურაა. ბატონო კავამურა, გაიცანით ბატონი ნაკატა.

ჯონი უოკერმა არტისტულად ჯერ ნაკატას მოუხადა ქუდი, მერე პარალიზებულ კატას.

– ახლა, როცა ერთმანეთს უკვე მიესალმეთ, შეგიძლიათ გამოეთხოვოთ კიდეც. გამარჯობა და ნახვამდის. როგორც ამბობენ, შტორმის დროს მიმოფანტული ყვავილების მსგავსად, ადამიანის ცხოვრება უსასრულო გამომშვიდობების სცენაა, – კავამურას მუცელზე მიეფერა, – დროა, უკვე შემაჩეროთ, ბატონო ნაკატა, თუკი საერთოდ აპირებთ, ასე მოიქცეთ. დრო გადის, მე კი ყოყმანი არ მიყვარს. უცნობი კატათმშუსვრელი ჯონი უოკერის ლექსიკონში სიტყვა «ყოყმანს» ვერ გადააწყდებით.

და მართლაც, სრულიად უყოყმანოდ კავამურას მუცელი გაუჭრა. ამჯერად ხმამაღალი კივილი გაისმა. შესაძლოა, კატას ენა სრულად არ ჰქონდა პარალიზებული, ან ეს ხმა მარტო ნაკატას ესმოდა. აუტანელი, სისხლისგამეყინავი კივილი. ნაკატამ თვალები დახუჭა და ათრთოლებულ თავზე ხელები მოიჭირა.

– უნდა შეხედო! – უბრძანა ჯონი უოკერმა, – ესეც წესია. თვალებს თუ დახუჭავ, არაფერი შეიცვლება. არაფერი გაქრება მხოლოდ იმის გამო, რომ შენ ვერ ხედავ, პირიქით, მერე, როდესაც თვალებს დაჭყეტ, ყველაფერი უარესად მოგეჩვენება. ასეთ სამყაროში ცვხოვრობთ, ბატონო ნაკატა. თვალები ფართოდ გაახილე. მხოლოდ ლაჩარი თუ დახუჭავს თვალებს. თვალების ახვევითა და ყურების დაცობით, დრო ვერ შეჩერდება.

ნაკატა ასეც მოიქცა და თვალები გაახილა.

როდესაც ჯონი უოკერი დარწმუნდა, რომ ნაკატა უყურებდა, კავამურას გულიც შექამა, ამჯერად გაცილებით დიდხანს აგემოვნებდა კატის სხეულის მფეთქავ ნაწილს.

– რბილია და თბილი. ახალი გველთევზას ღვიძლივით, – სისხლიანი თითი პირთან მიიტანა და გაილოკა, – თუ გასინჯავ, ამ გემოს ვედარასოდეს დაივიწყებ. განსაკუთრებით ბლანტი სისხლის გემოს...

სკალპელს სისხლი მოაშორა, ისევ მხიარულად ღიღინებდა, კავამურას თავი მოაჭრა. ხერხის კბილები ძვალში გაიჭედა და ყველაფერს სისხლი მიემხეფა.

– გემუდარებით, ბატონო უოკერ, ნაკატას მეტი აღარ შეუძლია.

ჯონი უოკერმა ღიღინი შეწყვიტა. გაჩერდა და ყური მოიფხანა.

– ეს არ გაჭრის, ბატონო ნაკატა. ვწუხვარ, რომ თავს ცუდად გრძნობ, მართლა ვწუხვარ, მაგრამ უბრალოდ არ შემიძლია გავჩერდე. გითხარი უკვე. ეს ომია. დაწყებული ომის შეჩერება არ არის ადვილი. ქარქაშიდან ამოწვდილი ხმალი სისხლს დაღვრის. ეს არც თეორიასთანაა კავშირში, არც ლოგიკასთან, არც ჩემს ეგოსთან. ეს კანონია, წმინდა წყლის მარტივი კანონი. თუ არ გსურს, კიდევ ერთი კატის სისხლი დაიღვაროს, უნდა მომკლა. ადექი, შენს სიძულვილს მიენდე და დამჭერი. ეს ახლა უნდა ქნა. გააკეთე და ყველაფერი დასრულდება. მორჩა.

ჯონი უოკერმა ისევ დაიწყო ღიღინი. კავამურას თავი მოაჭრა და უთავო სხეულს ნაგვის პარკში ჩაუძახა. მეტალის ლანგარზე სამი თავი ჩაემწკრივებინა. იმხელა ტანჯვა გამოიარეს, მაგრამ მათი დრუნჩები მაინც ისეთივე არაფრისმთქმელი იყო, როგორც საყინულეში ჩამწკრივებული თავებისა.

– შემდეგი სიამის კატა იქნება, – თქვა ჯონი უოკერმა და პარალიზებული სიამის კატა ამოიყვანა ჩანთიდან, ეს კატა, რა თქმა უნდა, მიმი აღმოჩნდა, – აი, პატარა Mi Chiamano Mimi. პუჩინის ოპერა. ეს ფისუნია რა კოპწიაა, არა? მეც პუჩინის გულანთებული გულშემატკივარი ვარ, იცი, როგორია პუჩინის მუსიკა? როგორ ვთქვა – ყოველ დროში ანტაგონისტური. შეიძლება შემეკამათო, სადა, პოპულარული თავშესაქცევიაო, მაგრამ არასდროს დაბერდება! საკმაოდ არტისტულია!

Mi Chiamano Mimi-დან რამდენიმე ტაქტი წაიღილია.

– ბატონო ნაკატა, რომ იცოდეთ, როგორ გამიჭირდა მიმის დაჭერა, ჭკვიანი და ფრთხილია. მახეში ვერ გააბამ. საკმაოდ წინდახედულია. მაგრამ შეუდარებელი კატათმმუსვრელის, ჯონი უოკერის გამცურებელი კატა ჯერ არ შობილა. არ ვტრაბახობ, მხოლოდ მოგითხრობ, როგორ გამიჭირდა მისი დაჭერა. ასეა თუ ისე, ვიოლა! შენი მეგობარი მიმი! სიამის კატები განსაკუთრებით მიყვარს. არ გეცოდინება, სიამის კატის გული რომ ნამდვილი ნუგბარია. ტრიუფელივით. დამშვიდდი, მიმი, ჯონი უოკერი შენ გვერდითაა! მალე შენი პატარა თბილი გულით პირს ჩაიტკბარუნებს. ვაიმე, რა გაცახცახებს!

– ჯონი უოკერ! – ამობობდა დაბალი ხმა ნაკატას სხეულის შიგნიდან, – გემუდარებით, შეჩერდით. ნაკატა შეიძლება ჭკუიდან შეიშალოს. ჩემს თავს ველარ ვცნობ.

ჯონი უოკერმა მიმი მაგიდაზე დააწვინა და მუცელზე ნელა ჩამოუსვა ხელი.

– შენს თავს ველარ ცნობ... – ხელში ახალი სკალპელი აიღო და თითით პირი მოუსინჯა. შემდეგ, თითქოს ამოწმებსო, ხელის ზურგზე დაისვა დანა. წუთის შემდეგ სისხლმა იფეთქა, მაგიდასა და მიმის სხეულს მიეშხევა. ჯონი უოკერმა ჩაიქირქილა.

– ადამიანი საკუთარ თავს ველარ ცნობს, – გაიმეორა, – თავს ველარ ცნობ. ეს შენი შანსია, ბატონო ნაკატა! ყველაზე მნიშვნელოვანი რამ, „ჩემი გონება მორიელეებით სავსე არის, სულზედ უტკბესო!“[3] ისევ მაკბეტია.

ნაკატა უსიტყვოდ წამოდგა. ვერავინ, საკუთარი თავიც ველარ შეაჩერებდა. დიდი ნაბიჯებით მაგიდასთან მივიდა და სტეიკის დანას დასტაცა ხელი. ხის სახელურს ჩაბლაუჭებულმა, დანა ჯონი უოკერს მუცელში ჩასცა, შავი ლაზადა გაირღვა, მერე კი სხვა ადგილასაც ჩასცა დანა. რაღაც მოესმა – რაღაც ხმამალალი, ვერ გაარკვია. მერე მიხვდა. ჯონი უოკერი იცინოდა! მუცელსა და მკერდში დაჭრილი, სისხლისგან იცლებოდა და სიცილს განაგრძობდა!

– აი, ასე! – დაიღრიალა, – არ გიყოყმანია. ყოჩაღ!

ისე ჩაბჟირდა სიცილისგან, თითქოს ყველაზე სასაცილო ხუმრობა მოესმინოს. მალე მისი სიცილი ქვითინად იქცა. ყელიდან ამომავალი სისხლი მოშვებული ონკანის ხმას გამოსცემდა. ამაზრზენად დაიკრუნჩხა, სისხლთან ერთად მუქი, ნაჭამი ამოაღებინა – კატების გულები. სისხლი მაგიდაზე და ნაკატას გოლფის მაისურზე დაიღვარა. ორივე კაცი სისხლში იყო ამოსვრილი, მაგიდაზე მიმიც სისხლში ცურავდა.

ჯონი უოკერი ნაკატას ფეხებთან ჩაიკეცა. გვერდზე იწვა, ცივ ღამეებში მოკუნტული ბავშვივით, მკვდარი იყო. ნამდვილად მკვდარი იყო. ყელით მარცხენა ხელს ებჯინებოდა, მარჯვენა ხელი ისე მოემართა, თითქოს ცდილობდა, რაღაცას მისწვდესო. აღარც იკრუნჩებოდა, აღარც ხარხარებდა. გესლიანი ღიმილი კი ახლაც დასთამაშებდა ტუჩებზე. იატაკზე სისხლის გუბე იდგა, ცილინდრი კი კუთხეში გაგორებულიყო. კეფაზე თმა ისე გასცვენოდა, კანი უჩანდა, უქუდოდ უფრო ხანდაზმულად და უღონოდ გამოიყურებოდა.

ნაკატამ დანა იატაკზე დააგდო. თითქოს სადღაც შორს დიდი მანქანის ძრავა აგრუხუნდაო, ისე გაიჟღრიალა დაცემის დროს დანამ. ნაკატა დიდხანს იდგა გვამთან. დიდხანს. ოთახში

ყველაფერი გაყურებულიყო. მხოლოდ სისხლი განაგრძობდა ისევ წვეთას და თანდათან მთელს იატაკს ფარავდა.

ბოლოს და ბოლოს ნაკატამ შეძლო, თავი ხელში აეყვანა და მიმი აიხუტა.

მიმის თბილი, მაგრამ პარალიზებული სხეული სისხლში იყო მოსვრილი, მაგრამ არაფერი დაშავებოდა. მიმიმ ისე ახედა, თითქოს ცდილობდა, რაღაც ეთქვა, მაგრამ წამლები პირის ამოდრავების საშუალებას არ აძლევდა.

მერე ნაკატამ ჩემოდანში გომაც იპოვა და ისიც ხელში აიყვანა. აქამდე მარტო ფოტოებზე ენახა, ისეთი განცდა გაუჩნდა, როგორც ძველ კარგ მეგობართან შეხვედრის დროს.

– გომა, – ამოილულლულა. ორივე კატა ხელში ჰყავდა, ისე ჩამოჯდა დივანზე, – წავიდეთ.

წარმოდგომა ვერ შეძლო.

საიდანღაც შავი ძალღი გაჩნდა და მკვდარ პატრონს მიუჯდა. მგონი, სისხლსაც დაეწაფა – ნაკატას გარკვევით აღარ ახსოვდა. თავი დაუმძიმდა, ღრმად ამოისუნთქა და თვალები დახუჭა. გონება დაებინდა და უკუნ სიბნელებში ჩაიძირა.

17

ქოხში მესამე ღამეს ვატარებ. ამ სიჩუმესა და სიბნელებს თანდათან შევეგუე. ღამე აღარ მაშინებს, ისე მაინც აღარ, როგორც პირველად. ბუხარს შემა შევეუკეთე, იქვე ვჯდები და ვკითხულობ. კითხვა მწყინდება, ვირინდები და ცეცხლის ალს შევეყურებ. არასოდეს მომწყინდება. ცეცხლის ენები ათასნაირ ფორმასა და ფერს იღებენ, ცოცხალი არსებებივით მოძრაობენ, იბადებიან, თავს ერთად იყრიან და კვდებიან.

როცა ცა მოწმენდილია, გარეთ გავდივარ და ცას ავცქერი. ვარსკვლავები ისე სახიფათოდ აღარ გამოიყურება და თავს მათთან ახლო ვგრძნობ. ყოველი მათგანი განსაკუთრებულად ანათებს. რამდენიმე ვარსკვლავი გამოვარჩიე და შევეყურებ. ზოგჯერ მეტად კაშკაშებენ. მთვარეც იქვე კიდია, ფერმიხდილი და კაშკაშა მთვარე, მის ზედაპირზე კლდეების კონტურების გარჩევაც კი შემიძლია. რამე კონკრეტულზე არ ვფიქრობ, მხოლოდ მოჯადოებული შევეყურებ ცას.

უმუსიკოდ ყოფნამ იმაზე ნაკლებად შემაწუხა, ვიდრე ველოდი. აქ სხვა ჰანგებიც ისმის – ჩიტების ჟღერტული, მწერების ხმა, ნაკადულის რაკრაკი, ფოთლების შრიალი, წვიმის

შხაპუნი, ან ქოხის თავზე რაღაც დაბობლავს, ზოგიერთ ხმას ვერც კი ვარჩევ. არც კი ვიცოდი, ქვეყნად ამდენი ბუნებრივი, ლამაზი ხმა თუ არსებობდა. აქამდე ყურადღება არ მიმიქცევია. ახლა კი საათობით ვზივარ თვალდახუჭული, ვცდილობ, უჩინარი ვიყო, ხან ერთ ხმას გამოვარჩევ, ხან მეორეს.

აღარც ტყე მაშინებს, მის მიმართ სიახლოვისა და მოწიწების გრძნობა გამიჩნდა. ქოხს ძალიან არ ვშორდები და ბილიკიდან არ ვუხვევ. თუ ამ წესებს დავიცავ, გასეირნება სავალალოდ არ დასრულდება. მთავარია, წესები დავიცვა და ტყე უსიტყვოდ მიმიღებს, სიმშვიდესა და მშვენიერებას გამინაწილებს. გზას ავცდები თუ არა, აქვე ჩასაფრებული სიჩუმის მხეცები ბასრი ბრჭყალებით მაწამებენ.

იმ პატარა, მრგვალ მდელოზე ხშირად ვწვები და მზის სხივებს ვეფიცხები. მთელი არსებით ვეძლევი ამ საქმეს თვალდახუჭული, თან ყურს ვუგდებ ჩიტებს, რომლებიც ხის კენწეროებს შორის ფრენენ. ტყის მძაფრ სურნელში გახვეულს, ჩიტების ფრთხილი და გვიძრის შრიალი ჩამესმის. გრავიტაციის ძალას თავს ვაღწევ, ვმადლდები და ჰაერში ვლივლივებ. თვალის დახამხამებაში ყველაფერი თავის ადგილზე ბრუნდება. ლივლივის წამიერი განცდაც საკმარისია.

რამდენჯერაც თავსხმა წვიმა წამოვიდა, იმდენჯერ შიშველი გარეთ გავიქეცი საბანაოდ. ზოგჯერ გაოფლიანებამდე ვვარჯიშობ, მერე ტანსაცმელს ვიხდი და ტერასაზე მზის აბაზანებს ვიღებ. ბევრ ჩაის ვსვამ, ვკითხულობ ტერასაზე ან ბუხართან. ვკითხულობ წიგნებს ისტორიაზე, მეცნიერებაზე, ფოლკლორზე, მითოლოგიაზე, სოციოლოგიაზე, ფსიქოლოგიაზე, და შექსპირს. მნიშვნელოვან მონაკვეთებს რამდენჯერმე ვკითხულობ, რომ კარგად გავიგო და მათგან რაღაც სასარგებლო შევიძინო. ნაბიჯ-ნაბიჯ სხვადასხვაგვარ ცოდნას ვიძენ. რა კარგი იქნებოდა, რომ აქ დიდხანს შემემდლოს დარჩენა! თაროზე უამრავი ისეთი წიგნია, რომელსაც სიამოვნებით წავიკითხავდი, საჭმელიც საკმარისად მაქვს. მაგრამ აქ დროებით ვარ და მალე წასვლა მომიწევს. აქაურობა ძალიან მშვიდია, ძალიან ბუნებრივი, სრულყოფილია. არა, არ ვიმსახურებ ამ სრულყოფილებას. ჯერ არ ვიმსახურებ.

მეოთხე დღეს, გვიან დილით ოშიმა ბრუნდება. ტერასაზე სრულიად შიშველი ვარ, სკამზე გადაშხლართული, მზეზე ვთვლემ, ვერ ვიგებ, როგორ მიახლოვდება. მისი მანქანის ხმა არ მესმის. მხარზე ზურგჩანთამოკიდებულს, გზის ბოლო მონაკვეთი ფეხით ამოუვლია. ტერასაზე უჩუმრად ამოდის, ჩემკენ ხელს იწვდის და მსუბუქად მიჩეჩავს თმას. შეშინებული ფეხზე ვდგები და პირსახოცის მოსამებნად ტრიალს ვიწყებ. ვერ ვპოულობ.

– ნუ ღელავ, – მეუბნება ოშიმა, – როდესაც აქ ვრჩებოდი, ყოველთვის შიშველი ვიღებდი მზის აბაზანებს. საოცარი განცდაა! მზე მთელ სხეულზე გხვდება.

სიშიშვლის გამო თავს უმწეოდ და ხაფანგში გაბმულივით ვგრძნობ, თმა, ასო, კვერცხები ყველაფერი – მიჩანს. რა ვქნა არ ვიცი! უკვე ძალიან გვიან არის.

– ეი, – ვიძაბები, რომ ჩემი ხმა ბუნებრივად ჟღერდეს, – ფეხით ამოხვედი?

– ისეთი მშვენიერია დღეა! მანქანა ჭიშკართან დავტოვე. – მოაჯირზე გადაფენილ პირსახოცს მაწვდის. წელზე ვიხვევ. ვმშვიდდები.

დაბალ ხმაზე ღიღინებს, წყალს ადუღებს, ჩანთიდან ფქვილს, კვერცხებსა და რძეს იღებს და ბლინებს ამზადებს კარაქითა და სიროფით. შემდეგ სალათის ფურცლებს, პომიდორს და ხახვსაც იღებს ჩანთიდან და ამ ყველაფერს ფრთხილად, ძალიან ფრთხილად ჭრის. ვსაუზმობთ.

– როგორ გაატარე ეს სამი დღე? – მეკითხება და ბლინს ჭრის.

ვუყვები, რომ დრო მშვენივრად გავატარე. ტყეში დაკარგვის შესახებ არაფერს ვეუბნები. ასე ჯობია.

– მიხარია, იმედი მქონდა, აქაურობა მოგეწონებოდა.

– ქალაქში ვბრუნდებით, არა?

– მართალი ხარ. უკვე დროა.

წასასვლელად ვემზადებით, ქოხს მარდად ვალაგებთ. ვრეცხავთ თევზებს და თაროზე ვაწყობთ, ბუხარს ვწმენდთ. წყლის ვედროს ვცლით, პროპანის ავზის სარქველს ვხურავთ. იმ საჭმელს, რომელიც დიდხანს არ გაფუჭდება კარადაში ვინახავთ, დანარჩენს ვყრით. იატაკს ვგვით, მაგიდასა და სკამებს ვწმენდთ. გარეთ ორმოს ვთხრით ნაგვის ჩასამარხად.

ვიდრე ოშიმა ქოხს დაკეტავს, კიდევ ერთხელ ვათვალიერებ. ერთი წუთის წინ როგორი რეალური იყო, ახლა კი საოცნებო მხარედ მეჩვენება. რამდენიმე ნაბიჯის გადადგმაა საჭირო რეალობის განცდის სრულიად დასაკარგად. და მეც, წუთის წინ იქ რომ ვიყავი, ახლა ირეალური ვარ. მანქანასთან მისასვლელად ნახევარი საათი გვჭირდება, მთის ბილიკზე რომ მივდივართ, ერთმანეთს არაფერს ვეუბნებით. ოშიმა რაღაცას ღიღინებს. მე ათას რამეზე ვფიქრობ.

ჭიშკართან, ტყის ფონზე ოშიმას პატარა მწვანე მანქანა მოჩანს. ოშიმა ქურდებისგან თავის დასაცავად ჭიშკარს კეტავს, ჯაჭვს ორჯერ ახვევს და ბოქლომს ადებს. ზურჩანთას ახლაც მანქანის უკანა ნაწილზე ვამაგრებ.

– უკან ვბრუნდებით. – ამბობს ოშიმა.

თავს ვუქნევ.

– დარწმუნებული ვარ, ასეთ ბუნებაში სიამოვნებით გაატარე დრო, მაგრამ აქ დიდხანს ყოფნა ადვილი არ არის. – ოშიმა სათვალეს იკეთებს და ღვედს იკრავს.

გვერდით ვუჯდები და მეც ღვედს ვიკრავ.

– თეორიულად ასე ყოფნა არ არის შეუძლებელი, ხალხი ასეც ცხოვრობს. მაგრამ ზოგჯერ ბუნება საშიში ხდება და დასვენება, შეიძლება, სახიფათო საქმედ იქცეს. მართლა დიდი გამოცდილება და მომზადებაა საჭირო ასეთ პირობებში საცხოვრებლად. ასე რომ, ახლა ქალაქში ვბრუნდებით, უკან, ცივილიზაციისკენ.

ომიმა გაზს აწვება და დაბლა მივუყვებით მთის გზას. ამჯერად არ ეჩქარება და მშვიდად მიჰყავს მანქანა, ტკბება პეიზაჟით და ქარით, რომელიც ქოჩორს უწეწავს. ცუდი გზა მთავრდება და უკეთეს გზას მივუყვებით, უკან გვრჩება სოფლები და მინდვრები.

– როცა პირველად შეგხვდი, შენში წინააღმდეგობა ვიგრძენი. რაღაცას დაეძებ, და ამავე დროს თავქუდმოგლეჯილი გარბიხარ.

– რას დავეძებ?

ომიმამ თავი გააქნია. უკანა სარკეში იყურება, იჭმუხნება.

– წარმოდგენა არ მაქვს. უბრალოდ ასეთი შთაბეჭდილება შემექმნა.

არაფერს ვამბობ.

– გამოცდილებით ვიცი, რომ, როდესაც ადამიანი გააფთრებით ცდილობს, ხელში ჩაიგდოს რამე, არაფერი გამოსდის. ის კი, რასაც თავქუდმოგლეჯილი გაურბიხარ, წამოგეწევა. ზოგადად ვამბობ, რა თქმა უნდა.

– რა შეგიძლია ჩემს მომავალზე მითხრა? რაღაცას ვეძებ, მაგრამ გავურბივარ?

– ჰოო, რთული საქმეა, – მეუბნება ღიმილით. მერე წუთით დუმდება, – მხოლოდ ეს შემიძლია გითხრა: რასაც არ უნდა დაეძებდე, იმ ფორმით ვერ მიიღებ, როგორითაც ელი.

– ავბედით წინასწარმეტყველებსავითაა.

– ჰო, კასანდრასავით.

– კასანდრა?

– ბერძნული ტრაგედიაა. ტროის მეფის ასული კასანდრა ქურუმის ცოლი იყო და აპოლონმა წინასწარმეტყველების ნიჭით დააჯილდოვა, სანაცვლოდ სიყვარული მოსთხოვა. კასანდრამ უარი უთხრა, რისთვისაც აპოლონმა დაწყევლა. ძველ ბერძენთა ღმერთები მითოსური პერსონაჟები უფრო არიან, ვიდრე რელიგიური. მათ ისეთივე ნაკლი აქვთ, როგორც ადამიანებს. ისინი ჩვენსავითკარგავენ მოთმინებას, აღივზნებიან, ეჭვიანობენ, ავიწყდებათ. ხვდები ალბათ.

ლიმონის კანფეტების პატარა კოლოფს იღებს, ერთ ცალს პირში იღებს და მიწვდის, მეც ვიღებ.

– როგორ დაწყევლა?

– კასანდრა?

თავს ვუქნევ.

– აპოლონმა კასანდრა დაწყევლა, ყველა შენი წინასწარმეტყველება ახდება, მაგრამ არასდროს დაგიჯერებენ და, გარდა ამისა, მხოლოდ ცუდის წინასწარმეტყველებას შეძლებ – ლალატის, უბედური შემთხვევების, სიკვდილის, ქვეყნის დანგრევისო. თუ აქამდე არ წაგიკითხავს,

გირჩევ, ევრიპიდეს ან ესქილეს პიესები წაიკითხო. ქორო ბევრ ისეთ პრობლემას წარმოაჩენს, რომელსაც დღესაც ვუმკლავდებით.

– ქორო? ეგ რაღაა?

– ასე ჰქვია გუნდს, რომელიც ბერძნული პიესის აუცილებელი მონაწილეა. ის სცენაზე დგას და უნისონში ხსნის მოქმედებას ან მოქმედი გმირების ემოციების შესახებ გვესაუბრება. ზოგჯერ პერსონაჟებზე გავლენის მოხდენასაც ცდილობს. ეს ძალიან მოსახერხებელია. ნეტავ მეც მყავდეს ქორო.

– წინასწარმეტყველება შეგიძლია?

– ეგ ნიჭი ვინ მომცა. საუბედუროდ თუ საბედნიეროდ, წინასწარმეტყველება არ შემიძლია. თუ გეჩვენება, რომ მუდამ უბედურებას ვწინასწარმეტყველებ, მხოლოდ იმიტომ, რომ პრაგმატიკი ვარ. დედუქციის მეთოდს ვიყენებ განსაზოგადებლად და ზოგჯერ ეს მართლაც ავბედით წინასწარმეტყველებად ჩაესმით ხოლმე. იცი, რატომ? რეალობა ახდენილ ავბედით წინასწარმეტყველებათა ჯამია. საკმარისია, გაზეთი გადაშალო და შეადარო სასიამოვნო სიახლეები უბედურ შემთხვევებს, მიხვდები, რასაც ვგულისხმობ.

ყოველ მოსახვევში ოშიმა სვლას მარჯვედ და შეუმჩნეველად ანელებს. მხოლოდ ძრავას ხმის ცვლილება გახვედრებს, რომ სიჩქარე შეიცვალა.

– კარგი ამბავი მაქვს. გადავწყვიტეთ, სამსახურში მივიღოთ. შენ კომპურას სახელობის ბიბლიოთეკის პერსონალის წევრი გახდები. მე მგონი, ამისთვის მზად ხარ.

მისკენ ვიხედები.

– ანუ ბიბლიოთეკაში დავიწყებ მუშაობას?

– უფრო სწორად, ბიბლიოთეკის ნაწილი გახდები. იქ დარჩები, იქ იცხოვრებ. კარს თავის დროზე გააღებ და დაკეტავ. როგორც უკვე გითხარი, მოწესრიგებული და ფიზიკურად ძლიერი ჩანხარ, დიდად დაგვეხმარები. ყოველდღიურ საქმეებში მომეხმარები. ეს სალაპარაკოდაც არ ღირს, გემრიელ ყავას მომიხარშავ, საყიდლებზე გაგვეზავნები. უკვე მოგიმზადეთ ოთახი. ბიბლიოთეკასაა მიშენებული. ადრე ეს სასტუმრო ოთახი იყო, მაგრამ ახლა სტუმრები არ გვყავს და, ამიტომ, დიდი ხანია, აღარ გამოგვიყენებია. იმ ოთახში იცხოვრებ. საკუთარი საშხაპეც კი აქვს. ყველაზე მაგარი კი ისაა, რომ ბიბლიოთეკაში იქნები და რასაც გინდა, წაიკითხავ.

– კი, მაგრამ, რატომ... – წინადადებას არ მამთავრებინებს.

– რატომ გადავწყვიტეთ? მე შენი მესმის, ქალბატონ საეკის – ჩემი. შენ ჩემთვის ხარ მისაღები, მე – ქალბატონი საეკისთვის. ასე რომ, თუნდაც ვიღაც თხუთმეტი წლის სახლიდან გამოქცეული ბიჭი იყო, არა უშავს. რას ფიქრობ?

– მე მარტო ჰერს დავეძებდი, – ცოტა ხნის შემდეგ ვპასუხობ, – ახლა მხოლოდ ესაა მნიშვნელოვანი. ბიბლიოთეკის ნაწილად ქცევა თუ იქ ცხოვრებას ნიშნავს, მაღლიერი ვარ. აღარ მომიწევს აქეთ-იქით წანწალი.

– ყველაფერი მოვაგვარეთ. წავიდეთ ბიბლიოთეკაში, რომ მის ნაწილად იქცე.

მთავარ გზატკეცილზე გავდივართ, უკან ვიტოვებთ ქალაქებს, საკრედიტო კომპანიის უზარმაზარ ბილბორდს, უგემოვნოდ მორთულ გაზის სადგურს, შუშისვიტრინებიან რესტორანს, ბორდელს, რომელსაც ევროპული კომპის ფორმა აქვს, მიტოვებულ ვიდეომაღაზიას, რომელზეც მარტო აბრაღა შემორჩენილი, პაჩინკოს[4] სახლს, რომელსაც უზარმაზარი ავტოსადგომი აქვს, McDonalds-ს, 7-eleven-ს[5], Yoshinoya-ს[6], Denny’s-ს[7]. გარს ხმაურიანი ატმოსფერო გვეხვევა. თვრამეტობობლიანი სატვირთო მანქანის შიშინი გვლლის და გვაღიზიანებს. ყველაფერი გაქრა – ბუხარში მოგიზგიზე ცეცხლი, მოციმციმე ვარსკვლავები, მშვიდი ტყე. მათი გახსენებაც კი მიჭირს.

– ქალბატონი საეკის შესახებ რაღაცები უნდა იცოდე, – ლაპარაკს აახლებს ოშიმა, – დედაჩემი და ქალბატონი საეკი ერთ კლასში სწავლობდნენ და მეგობრობდნენ. დედა ამბობს, ქალბატონი საეკი პატარა ჭკვიანი გოგონა იყო. კარგად სწავლობდა, მუსიკის შეთხზვის ნიჭი ჰქონდა, ყველანაირ სპორტს მისდევდა და ძალიან კარგად უკრავდა ფორტეპიანოზე. რასაც ხელს მოჰკიდებდა, ყველაფერი კარგად გამოსდიოდა. და ძალიან ლამაზი იყო. რა თქმა უნდა, დღემდე ძალიან მომხიბლავია. სკოლაშივე ჰყავდა შეყვარებული, კომურების უფროსი ვაჟი. სხვათა შორის, შორეულ ნათესავებად მოხვდებოდნენ ერთიმეორეს. ტოლები იყვნენ, ერთმანეთს ძალიან უხდებოდნენ რომეოსა და ჯულიეტასავით. ახლოს ცხოვრობდნენ და არასოდეს შორდებოდნენ. როდესაც წამოიზარდნენ, ერთმანეთი შეუყვარდათ. დედაჩემი ამბობს, ერთი სული და ხორცი იყვნენო.

წითელზე ვჩერდებით და ოშიმა ცას აჰყურებს. როდესაც შუქნიშანზე მწვანე ინთება, გაზს აწვება და სატვირთოს ვუსწრებთ.

– გახსოვს, რა გითხარი ბიბლიოთეკაში? ადამიანები დახეტიალობენ თავისი მეორე ნახევრების მოსამებნად-მეთქი...

– მამრსა და მამრზე, მდედრსა და მდედრზე, მდედრსა და მამრზე, არა?

– დიახ. როგორც არისტოფანემ თქვა, თავგზააბნეული და სასოწარკვეთილი დავხეტიალებთ ჩვენი მეორე ნახევრების მოსამებნად. ქალბატონ საეკის და იმ ახალგაზრდა კაცს ეს არ დასჭირვებიათ. ისინი ისე ახლოს დაიბადნენ...

– ბედნიერები ყოფილან.

– სრული სიმართლეა, ეგრეა.

ნიკაპს ისე ეხება ხელისგულით, თითქოს იმოწმებდეს, კარგად გავიპარსე პირი თუ არაო. სახეზე სამართებლის კვალი არ ატყვია, კანი ფაიფურივით გლუვი აქვს.

– ის ბიჭი, თვრამეტი წლისა, ტოკიოში წავიდა კოლეჯში სასწავლებლად. კარგად სწავლობდა და სასურველ სფეროში სერტიფიკატიც ჰქონდა. მაგრამ უნდოდა, დიდი ქალაქის ცხოვრების წესსაც გასცნობოდა. ქალბატონი საეკი ადგილობრივ კოლეჯში ფორტეპიანოზე დაკვრას სწავლობდა. ეს ქვეყნის კონსერვატიული ნაწილია, ქალბატონი საეკი კი ძველმოდური ოჯახიდან იყო. მშობლებს ერთადერთი ქალიშვილი ჰყავდათ და ტოკიოში წასვლის უფლება

არ მისცეს. პირველად თავის სიცოცხლეში ეს წყვილი ერთმანეთს დაშორდა, ღმერთმა ისინი მოგვიანებით ჩამოაჭრა ერთმანეთს. ყოველდღე სწერდნენ ერთმანეთს წერილებს. ბიჭი სწერდა, ჩვენთვის სასარგებლო აღმოჩნდება დროებით ცალ-ცალკე ყოფნა, ერთმანეთის ფასს ასე უკეთ გავიგებთო. გოგონას არ სჯეროდა. მისთვის ამ ურთიერთობას გამოცდის მოწყობა არ სჭირდებოდა. ეს იყო მილიონიდან ერთი კავშირი, წინასწარ განსაზღვრული, დაუნგრეველი. ამაში სავსებით დარწმუნებული იყო. ბიჭი კი – არა. ან იქნებ ისიც დარწმუნებული იყო, მაგრამ მაინც თავისებურად სურდა. ამიტომ ადგა და ტოკიოში წავიდა, დარწმუნებული იყო, რამდენიმე დაბრკოლების გადალახვა მათ სიყვარულს მხოლოდ გააძლიერებდა. კაცები ზოგჯერ ასეთები არიან. ქალბატონმა საეკიმ, ცხრამეტი წლისამ, პოემა დაწერა, მუსიკაც შეთხზა, ფორტეპიანოზე შეასრულა და იმღერა. მელანქოლიური, სასიამოვნო და უბრალო მელოდია იყო. ტექსტი კი ჩახლართული, სიმბოლური და დამაფიქრებელი. ეს კონტრასტი სიმღერას სულსა და პირდაპირობას სძენდა. გაქცეულ შეყვარებულს მისტიროდა. რამდენჯერმე ეს სიმღერა აუდიტორიის წინაშე შეასრულა. ძალიან მორცხვი იყო, მაგრამ სიმღერა უყვარდა და მუსიკალური სახალხო გუნდის წევრიც კი იყო. ერთმა სიმღერით ძალიან მოხიბლულმა ადამიანმა, სიმღერა ჩაიწერა და თავის მეგობარს, ხმისჩამწერი სტუდიის დირექტორს გაუგზავნა. სტუდიაში სიმღერა მოიწონეს, ქალბატონი საეკი ტოკიოში მიიწვიეს და ჩაწერეს. ტოკიოში პირველად იყო. შეყვარებულის ნახვის შესაძლებლობა მიეცა. ჩაწერებს შორის ერთმანეთისთვის დრო რჩებოდათ. დედაჩემი ვარაუდობდა, რომ თოთხმეტი წლის ასაკიდან ჰქონდათ ინტიმური ურთიერთობა. ორივე ადრე მომწიფდა და როგორც ყველა ადრე მომწიფებულ ბავშვს, გაზრდა მათაც გაუჭირდათ. თითქოს მუდამ თოთხმეტი-თხუთმეტი წლისანი უნდა დარჩენილიყვნენ. ერთმანეთს ებლაუჭებოდნენ. არასოდეს არც ერთი არ ყოფილა გატაცებული სხვა ადამიანით. როდესაც ცალ-ცალკე მოუწიათ ცხოვრება, იმ დროსაც კი ვერავინ ჩადგა მათ შორის. მაპატიე, გადაგლალე არა, ამ ზღაპარივით ისტორიით?

თავი გავაქნიე.

– მგონი, საკვანძო მომენტს უახლოვდები.

– მართალი ხარ, – ამბობს ოშიმა, – ამბები ასე ხდება – საკვანძო მომენტი აქვთ, მოულოდნელი კუთხით შემოგიტრიალდებიან. ბედნიერებას მხოლოდ ერთი სახე აქვს, უიღბლობა კი სხვადასხვა ფორმას იძენს. ტოლსტოიმ თქვა, ბედნიერება ალეგორიაა, უბედურება კი ამბავიო. მოკლედ, ჩანაწერი ჰიტი გახდა. იყიდებოდა და იყიდებოდა, ერთი თუ ორი მილიონი ეგზემპლარი გაიყიდა, ზუსტი რიცხვი აღარ მახსოვს. ყოველ შემთხვევაში, იმ დროს ეს სარეკორდული მაჩვენებელი იყო. ჩანაწერის გარეკანზე მისი ფოტო იყო, სტუდიაში ფორტეპიანოსთან იჯდა, კამერას უღიმოდა. არც ერთი სხვა სიმღერა არ შეუთხზავს, ამიტომ დისკის მეორე მხარე ამავე სიმღერის ინსტრუმენტული ვერსია იყო ფორტეპიანოსა და ორკესტრის შესრულებით. ფორტეპიანოს, რა თქმა უნდა, თვითონ უკრავდა. საოცარი შესრულებაა. დაახლოებით 1970 წელს იყო. დედაჩემი მიაშობდა, იმ დროს ყველა რადიოტალღაზე ეს სიმღერა გაისმოდაო. ყველაფერი ჩემს დაბადებამდე მოხდა. ქალბატონმა საეკიმ, როგორც პროფესიონალმა მომღერალმა, ეს ერთადერთი სიმღერა შეასრულა. მას არც სხვა ალბომი გამოუშვია, არც სხვა სინგლი.

– ნეტა მე მომისმენია?

– რადიოს ხშირად უსმენ?

თავი გავაქნიე. რადიოს ძალიან იშვიათად ვუსმენ.

– მაშინ არ გექნება გაგონილი. იქნებ დღემდე უშვებენ რომელიმე რადიოტალღაზე. მშვენიერი სიმღერაა. ჩაწერილი მაქვს და დროდადრო ვუსმენ. რა თქმა უნდა, თუ ქალბატონი საეკი ახლომახლო არ არის. ამ სიმღერის ხსენებასაც კი ვერ იტანს. არ სიამოვნებს წარსულზე სიტყვის ჩამოგდება.

– რა ჰქვია სიმღერას?

– «კაფკა პლაჟზე».

– «კაფკა პლაჟზე»?

– დიახ, დიახ, კაფკა თამურა. როგორც შენ. უცნაური დამთხვევაა, არა?

– მაგრამ კაფკა ჩემი ნამდვილი სახელი რომ არ არის... თამურა კი ჩემი ნამდვილი გვარია.

– თვითონ არ დაირქვი?

თავი დავუქნიე. დიდი ხნის წინ გადავწყვიტე, რომ ჩემს ახალ მე-ს ეს სახელი შეეფერებოდა.

– მაგას ვგულისხმობდი. – განაგრძობს ოშიმა.

ქალბატონი საეკის მეგობარი ბიჭი ოცი წლისა გარდაიცვალა. ზუსტად იმ დროს, როდესაც „კაფკა პლაჟზე“ ჰიტი გახდა. სტუდენტური გამოსვლების პერიოდში მისი კოლეჯიც გაფიცული იყო და დაიხურა. ბიჭს მეგობრისთვის, რომელიც ბარიკადებს ამაგრებდა, საჭმელი მიჰქონდა, ღამით, პირველს რომ ათი აკლდა. სტუდენტებს, რომლებსაც შენობა ჰქონდათ ოკუპირებული, ის ოპოზიციური ფრაქციის ლიდერში აერიათ, რომელსაც მართლა ძალიან ჰგავდა, შეიპყრეს, თოკით სკამზე დააბეს და როგორც ჯაშუში, ისე დაჰკითხეს. ბიჭი ცდილობდა, მათთვის აეხსნა, რომ სხვაში აერიათ, მაგრამ ყოველ ჯერზე რკინის ჯოხით ან ხელკეტით სცემდნენ. როდესაც იატაკზე ეცემოდა, წიხლებს ურტყამდნენ. განთიადზე გარდაიცვალა. თავის ქალა დაღეწილი ჰქონდა, ნეკნები ჩამტვრეული, ფილტვები დახეთქილი. მისი გვამი მკვდარი ძალღივით დააგდეს ქუჩაში. ორი დღის შემდეგ კოლეჯმა ნაციონალური თავდაცვა გამოიძახა, რამდენიმე საათში სტუდენტთა გამოსვლა ჩაახშვეს და რამდენიმე მათგანი მკვლელობის ბრალდებით დააპატიმრეს. სტუდენტებმა აღიარეს დანაშაული, სასამართლო პროცესი დაიწყო, მაგრამ რადგან ეს განზრახ მკვლელობა არ იყო, ორ მათგანს არაგანზრახ მკვლელობის მუხლით მცირე ხნით პატიმრობა მიესაჯა. მისი სიკვდილი სრული აბსურდი იყო. ქალბატონ საეკის აღარ უმღერია. ის ოთახში გამოიკეტა და აღარავის დალაპარაკებია, ტელეფონითაც კი. სატრფოს დაკრძალვაზე არ მივიდა და სწავლას თავი დაანება. რამდენიმე თვის მერე ხალხი მიხვდა, რომ ქალაქში აღარ იყო. არავინ იცის, სად წავიდა ან რას აკეთებდა. მშობლები არაფერს ამბობდნენ. შესაძლოა, მშობლებმაც არაფერი იცოდნენ. თითქოს ჰაერში აორთქლდა. მის საუკეთესო მეგობარს, ოშიმას დედასაც კი, წარმოდგენა არ ჰქონდა, სად შეიძლებოდა ყოფილიყო. ხმა გავრცელდა, ფუჯის მთას გარს

შემორტყმულ ტყეში თვითმკვლელობა სცადა, რის შემდეგაც სულით ავადმყოფთა საავადმყოფოში მოხვდაო. სხვები ამბობდნენ, მეგობრის მეგობარმა ტოკიოს ქუჩებში შენიშნაო. იმ ადამიანის თქმით, ტოკიოში მწერლად თუ რაღაც ამგვარად მუშაობდა. იმასაც ამბობდნენ, გათხოვდა და შვილი გააჩინაო. უსაფუძვლო ჭორები იყო. მას შემდეგ ოცი წელი გავიდა. სადაც არ უნდა ყოფილიყო და რაც არ უნდა ეკეთებინა, ფული არასდროს შემოჰკვლევია. სიმღერის გაყიდვიდან მოგება საბანკო ანგარიშზე ერიცხებოდა. გადასახადების გადახდის შემდეგაც კი ბევრი რჩებოდა. ყოველთვის, როდესაც რადიოში მის სიმღერას გაუშვებდნენ, ან რომელიმე კრებულში შეიტანდნენ, შემოსავალს იღებდა. ამიტომ შეუმჩნევლად ცხოვრება რთული არ უნდა ყოფილიყო. გარდა ამისა, მდიდარი მშობლების ერთადერთი შვილი იყო. უეცრად, ოცდახუთი წლის შემდეგ, ქალბატონი საეკი ტაკამაცეში გამოჩნდა. ვითომ დედის დაკრძალვაზე (ხუთი წლით ადრე მამა გარდაეცვალა, მაგრამ დაკრძალვაზე არ მოსულა). დასაფლავებამ მოკრძალებით ჩაიარა, და შემდეგ, როდესაც ყველაფერი დაწყნარდა, ქალბატონმა საეკიმ მშობლიური სახლი გაყიდა. ქალაქის მშვიდ უბანში შეძენილ საცხოვრებელ ბინაში გადავიდა. იმ პერიოდში რაღაც მოლაპარაკებებს აწარმოებდა კომურას ოჯახთან (უფროსი ვაჟის გარდაცვალების შემდეგ, მისი უმცროსი ძმა ითვლებოდა ოჯახის უფროსად. მხოლოდ ეს ორნი ხვდებოდნენ ერთმანეთს, ამიტომ არავინ იცის, რა მოლაპარაკეს). მოლაპარაკებების შემდეგ ქალბატონი საეკი კომურას ბიბლიოთეკის მმართველად დაინიშნა. დღემდე ისეთივე გამხდარი, ლამაზი და კოხტაა, როგორც ალბომის გარეკანზე. მაგრამ რაღაც გაუქრა – ის უმანკო, მომაჯადოებელი ღიმილი. დროდადრო ახლაც მომხიბლელად იღიმება, მაგრამ ამ ღიმილს თითქოს საზღვარი აქვს და ამ მიჯნას ვერ სცდება. მაღალი, უჩინარი კედლები აქვს გარშემო აღმართული. ადამიანებთან დისტანციას იცავს. ყოველ დილით ნაცრისფერი «ფოლკსვაგენ გოლფით» მოდის ბიბლიოთეკაში და სადამოს პირდაპირ სახლში ბრუნდება. მშობლიურ ქალაქში დაბრუნებულს, არაფერი აღმოაჩნდა საერთო ძველ მეგობრებთან და ნათესავებთან. თუ ერთმანეთს გადაეყრებიან, ზრდილობიანად საუბრობენ რამდენიმე ჩვეულებრივ თემაზე. თუ ვინმე წარსულს შეახსენებს, სწრაფადვე ცვლის თემას. ყოველთვის თავაზიანი და კეთილია, მაგრამ მის სიტყვებში არც ცნობისმოყვარეობა გამოსჭვივის, არც აღტაცება. მისი ნამდვილი განცდები – თუკი ჩავთვლით, რომ ასეთები აქვს – გადამალულია, სადღაც შორს. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პრაქტიკული გადაწყვეტილებას მისაღები, პირად მოსაზრებას არასოდეს გამოთქვამს. საკუთარ თავზე იშვიათად ლაპარაკობს, ძირითადად სხვებს უგდებს ყურს და თბილად უქნევს თავს. მაგრამ მასთან საუბრის დროს ბევრი უხერხულობას გრძნობს, თითქოს მოაცდინა ქალბატონი საეკი, თითქოს მის პირად ცხოვრებას თელავს, მის კეთილშობილ, ღირსეულ სამყაროს. მშობლიურ ქალაქში დაბრუნების შემდეგაც ამოუცნობ პიროვნებად რჩება სხვებისთვის. ნატიფი, მისტიკის საბურველში გახვეული ელეგანტური ქალბატონია. ამ ქალს მიუწვდომელს ხდის რაღაც. კომურებიც კი მორიდებით იყვნენ მასთან.

ოშიმა მისი ასისტენტი გახდა და ბიბლიოთეკაში დაიწყო მუშაობა, იმ დროს ოშიმა არც სწავლობდა, არც მუშაობდა, სახლში იყო და კითხულობდა ან მუსიკას უსმენდა. ელექტრონულ წერილებს თუ გაუგზავნიდა რამდენიმე ადამიანს, მეგობრები თითქმის არც ჰყავდა. ჰემოფილიის გამო ხშირად სპეციალისტთან დადიოდა საავადმყოფოში, «მაზდა მიატათი» დაქროდა ქალაქში. რეგულარულად დადიოდა ჰიროშიმას საუნივერსიტეტო საავადმყოფოში და დროდადრო კი – მთის ქოხში. თუ ამ შემთხვევებს არ ჩავთვლით, ქალაქს

თითქმის არასოდეს ტოვებდა. ვერ ვიტყვით, საკუთარი ცხოვრებით კმაყოფილი არ იყო. ერთ დღეს დედამ ოშიმას ქალბატონი საეკი გააცნო, რომელსაც მაშინვე მოეწონა. სიმპათია ორმხრივი იყო. ოშიმა ბიბლიოთეკაში მუშაობითაც დაინტერესდა. მალე ოშიმა იმ ერთადერთ ადამიანად იქცა, ვისთანაც ქალბატონ საეკის ნორმალური ურთიერთობა ჰქონდა და ვისაც ელაპარაკებოდა.

– მეჩვენება, თუ ქალბატონი საეკი იმიტომ დაბრუნდა ქალაქში, რომ ბიბლიოთეკის მმართველი გამხდარიყო?

– გეთანხმები. დედამისის დაკრძალვა მხოლოდ მიზეზი უნდა ყოფილიყო დასაბრუნებლად. მშობლიურ ქალაქთან ალბათ იმდენი მოგონება აკავშირებდა, რომ ძალიან გაუჭირდებოდა უკან დაბრუნება.

– მისთვის ბიბლიოთეკა ამდენად მნიშვნელოვანი რატომაა?

– მისი მეგობარი ბიჭი იმ შენობაში ცხოვრობდა, რომელიც ახლა ბიბლიოთეკის ნაწილია. ის კომპურების უფროსი ვაჟი იყო და სისხლში ჰქონდა წიგნების სიყვარული. გარდა ამისა, მარტოობა უყვარდა – ესეც მათი ოჯახური სენია. ერთხელაც დაიჩემა, ოჯახთან ერთად ცხოვრება აღარ მინდაო და განცალკევებით მდგომ შენობაში გადავიდა საცხოვრებლად, მშობლების თანხმობით. ოჯახის ყველა წევრს უყვარდა კითხვა, ამიტომ მისი კარგად ესმოდათ. თუ წიგნების გარემოცვაში გინდა ყოფნა, შენი გვესმისო. იმ მიზეზებულ ნაწილში ცხოვრობდა. აქ არავინ აწუხებდა, სახლში კი სადილობდა. ქალბატონი საეკი თითქმის ყოველდღე მიდიოდა სტუმრად. ერთად მეცადინეობდნენ, მუსიკას უსმენდნენ და ბევრს, ბევრს საუბრობდნენ. და ალბათ სექსიც ჰქონდათ. ეს ადგილი მათთვის სამოთხე იყო.

ორივე ხელით საჭე უჭირავს და მიყურებს.

– იქ იცხოვრებ დღეიდან, კაფკა. იმ ოთახში. როგორც უკვე გითხარი, ბიბლიოთეკა გარემონტდა, იმ ოთახში კი ყველაფერი ძველებურადაა.

არაფერს ვამბობ.

– ქალბატონმა საეკიმ ცხოვრება ოცი წლის ასაკში შეწყვიტა, როდესაც მისი მეგობარი ბიჭი გარდაიცვალა. ან იქნებ უფრო ადრეც... დეტალურად არ ვიცი, მაგრამ ეს ამბები უნდა გცოდნოდა. მის სულში საათის ისრებმა იმ დროს შეწყვიტეს მოძრაობა. დრო მიდის, რა თქმა უნდა, მაგრამ მასზე ზემოქმედებას არ ახდენს. მისთვის დროის ჩვენეული გაგება უმნიშვნელოა, უაზრო.

– უაზრო?

ოშიმამ თავი დამიქნია.

– თითქოს არ არსებობს.

– გინდა თქვა, რომ წარსულში ცხოვრობს?

– ჰო. იმის არ ვამბობ, მოსიარულე მკვდარია-მეთქი. მაგრამ, როდესაც უკეთ გაიცნობ, მიხვდები.

ოშიმა მუხლზე მეგობრულად მადებს ხელს.

– კაფკა, ყველას ცხოვრებაშია ასეთი წერტილი – ვეღარც უკან დაბრუნდები, ვერც წინ წახვალ. როცა ამ წერტილში აღმოვჩნდებით, ბედს უნდა შევეგუოთ. მხოლოდ ეს გადაგვარჩენს.

მალე მთავარ მაგისტრალზე გავალთ. მაგრამ იქამდე ოშიმა ჩერდება და შუბერტის სონატას რთავს.

– კიდევ ერთი რამ მინდა იცოდე. ქალბატონ საეკის გული გატეხილი აქვს. ეს ალბათ ყოველ ჩვენგანზე შეიძლება ითქვას, მაგრამ ქალბატონ საეკის ჭრილობა თითქოს სხვაა. მისი სული მისტიკურად მოძრაობს. არ გაშინებ, საშიში არაფერი აქვს, არასწორად ნუ გამიგებ.

ყოველდღიურ ცხოვრებაში ძალიან ნორმალურია, შესაძლოა, ყველაზე ნორმალურიც კი. ის მომხიბლავია, საინტერესო, ინტელექტუალი. მაგრამ უცნაურად თუ მოგეჩვენება, არ გაგიკვირდეს.

– უცნაურად?

ოშიმამ თავი გააქნია.

– მის საეკი ძალიან მომწონს. დარწმუნებული ვარ, შენც მოგეწონება.

კითხვაზე პასუხს არ მცემს. მანქანას ძრავს, გაზს აწვება და გვირაბში შესვლამდე პატარა საბარგო მანქანას წინ უსწრებს.

ნაკატას ბალახებში პირაღმა მწოლიარეს გამოედვიძა. თვალეზი ფრთხილად გაახილა. ღამე იყო, ვერც ვარსკვლავეზი დაინახა, ვერც მთვარე. ცა ოდნავ მაინც იყო განათებული. ხასხასა ბალახის სურნელს გრძნობდა, გარშემო მწერეზი ზუზუნებდნენ. როგორღაც იმ მიტოვებულ ეზოში აღმოჩენილიყო, სადაც ბოლო დღეეზი გაატარა. სახეზე რაღაც ხორკლიანისა და თბილის შეხება იგრძნო და გადაბრუნდა. ორი კატა ენერგიულად ულოკავდა ლოყეზს. გომა და მიმი იყვნენ. ნაკატა ფრთხილად წამოჯდა, მათ გადასწვდა და მიეფერა.

– ნაკატას ჩაეძინა? – ჰკითხა კატებს.

კატებმა ამოიკნავლეს, თითქოს რაღაცას შესჩიოდნენ, მაგრამ ნაკატამ სიტყვები ვერ გაარჩია. წარმოდგენა არ ჰქონდა, რის თქმას ცდილობდნენ. ჩხავილის გარდა, არაფერი ესმოდა.

– მომიტევეთ, არ მესმის, რას მეუბნებით.

წამოდგა და სხეული შეიმოწმა, რამე უჩვეულო ხომ არ დამმართნიაო. ტკივილს არ გრძნობდა, ხელებსა და ფეხებს თავისუფლად ამოდრავებდა. თვალებს ცოტა დრო დასჭირდათ სიბნელესთან შესაგუებლად, შემდეგ კი შეძლო, სიბნელეშიც გაერჩია – მკლავები და ტანსაცმელი არ ჰქონდა სისხლში ამოთხვრილი. ტანსაცმელი არც დასჭმუჭნოდა, არც დასვროდა. ისე გამოიყურებოდა, თითქოს ახლახან გამოვიდა სახლიდანო. იქვე იყო ტილოს ჩანთა, რომელშიც ლანჩი და თერმოსი ეწყო, ქუდი კი შარვლის ჯიბეში ჩაედო, სწორედ აქ იყო მისი ადგილი. ყველაფერი რიგზე იყო. ნაკატა ვერ მიხვდა, რა ხდებოდა. ორი კატის გადასარჩენად სასიკვდილოდ დაჭრა კატათმმუსვრელი ჯონი უოკერი. ეს გარკვევით ახსოვდა. ისე გარკვევით, თითქოს დანა ახლაც ხელში ეჭირა. არ დასიზმრებია – ჯონი უოკერის სხეულიდან სისხლმა იჩქეფა, კაცი იატაკზე დაეცა, დაიკრუნჩხა და მოკვდა. ნაკატა სავარძელში ჩაეფლო და გონება დაკარგა. შემდეგ კი ამ ცარიელ ეზოში, ბალახებში გამოეღვიძა. უკან როგორღა დაბრუნდა? უკან დასაბრუნებელი გზაც არ იცოდა. სამოსზე კი წვეთი სისხლიც არ ეცხო. მიმისა და გომას დანახვამ დაარწმუნა, რომ ის ყველაფერი სიზმარში არ ენახა. მაგრამ ახლა, ყველაფერთან ერთად, რატომღაც ერთი სიტყვაც არ ესმოდა მათი.

ნაკატამ ამოიოხრა. ფიქრი უჭირდა. მაგრამ თავს იმშვიდებდა, ყველაფერი მერე გაირკვევაო. ჩანთა მხარზე გადაიგდო, ორივე კატა აიხუტა და მიტოვებული ეზოდან გავიდა. ღობეს გასცდნენ თუ არა, მიმი ისე დაიგრიხა, თითქოს მიწაზე ჩამოხტომა უნდოდა.

ნაკატამ ის მიწაზე დასვა.

– მიმი, სახლს მარტოც მიაგნებთ, ახლოსაა.

მართალიაო, თითქოს ამის თქმას ცდილობდა მიმი კუდის ქიცინით.

– ნაკატა ვერ ხვდება, რაშია საქმე, მაგრამ რატომღაც თქვენთან საუბარი აღარ შემიძლია. მაგრამ გომა ვიპოვე და ჯობს კოიძუმებს დავუბრუნო. ყველა მას ელის. ყველაფრისთვის ისეთი მადლობელი ვარ, მიმი.

მიმიმ დაიკნავლა, კუდი ისევ ააქიცინა, მერე გაიქცა და კუთხეში თვალს მიეფარა. არც მიმი იყო სისხლიანი. ნაკატამ გადაწყვიტა, არც ეს დაევიწყებინა. კოიძუმები სიხარულისგან ცას ეწივნენ. უკვე თერთმეტი იყო დაწყებული, მაგრამ ბავშვებს ჯერ კიდევ არ ეძინათ. ვიდრე თავიანთ საწოლებს მიაშურებდნენ, კბილებს იხეხავდნენ. მათი მშობლები ჩაის სვამდნენ და ტელევიზორში ახალ ამბებს უყურებდნენ. ნაკატა თბილად მიიღეს. პიჯამებში გამოწყობილი პატარა გოგონები ერთმანეთს ხელს ჰკრავდნენ, რომ პირველი ჩახუტებოდნენ თავიანთ ძვირფას ფისოს. გომას რძე და კატის საკვები დაუდგეს, რომელიც ფისომ სწრაფად შესანსლა.

– ბოდიშს ვიხდი, ასე გვიან რომ გესტუმრეთ. სამწუხაროდ, ნაკატამ უფრო ადრე მოსვლა ვერ მოახერხა.

– არა უშავს, – უთხრა ქალბატონმა კოიძუმიმ, – ამაზე ნუ დარდობთ.

– ნუ დარდობთ, – ჩაერთო საუბარში მისი ქმარი, – ეს კატა ოჯახის წევრივითაა. ვერც კი გადმოგცემთ, როგორ გაგვახარა მისმა დაბრუნებამ. მობრძანდით, ჩაი მირთვით.

– არა, გმადლობთ. ნაკატამ უნდა დაგტოვოთ. მინდოდა, გომა რაც შეიძლება სწრაფად დამებრუნებინა უკან.

ქალბატონი კოიძუმი მეორე ოთახში გავიდა და უკან დაბრუნდა კონვერტში ჩადებული ნაკატას გასამრჯელოთი. ნაკატას ეს კონვერტი ქმარმა მიაწოდა.

– აქ ბევრი არაფერია, მაგრამ ჩვენი მადლიერების ნიშნად აიღეთ. უღრმესი მადლობა.

– გმადლობთ. დავალებული ვარ. – ნაკატამ თავი დაუკრა.

– მიკვირს, ასეთ სიბნელეში როგორ იპოვეთ.

– გრძელია ამბავია. ნაკატას არ შეუძლია, ყველაფერი გაიმბოთ. არც ისე ჭკვიანი ვარ და არ მეხერხება გრძელი ახსნა-განმარტებების მიცემა.

– არა უშავს, არა უშავს. გმადლობ, ბატონო ნაკატა, – ქალბატონმა კოიძუმიმ კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა, – ვწუხვარ, რომ ეს მხოლოდ ნარჩენებია. თან წაიღეთ შემწვარი ბადრიჯანი და კიტრის მწნილი.

– სიამოვნებით. ნაკატას განსაკუთრებით უყვარს შემწვარი ბადრიჯანი და კიტრის მწნილი.

ნაკატამ პლასტმასის კონტეინერში მოთავსებული საჭმელი და კონვერტი ჩანთაში ჩაიღო. ის სადგურისკენ წავიდა სწრაფად და სავაჭრო უბანში მდებარე პოლიციის შენობაში შევიდა. შიგნით, სამუშაო მაგიდასთან ახალგაზრდა ოფიცერი იჯდა და გამალებით წერდა. ქუდი მაგიდაზე ედო.

ნაკატამ შუშის კარი შეაღო.

– სალამო მშვიდობისა, ბოდიშს ვიხდი შეწუხებისათვის.

– სალამო მშვიდობისა. – უპასუხა პოლიციელმა. ქაღალდს თვალი მოსწყვიტა და ნაკატა აათვალიერ-ჩათვალიერა. სასიამოვნო, უწყინარი მოხუცი ჩანდა. ეს მისი პროფესიული ხარკი იყო – გზააბნეულებისთვის მიმართულების მიცემა.

შესასვლელში მდგომმა ნაკატამ ქუდი მოიხადა, ჯიბეში ჩაიღო, შემდეგ მეორე ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და ცხვირი მოიწმინდა. ცხვირსახოცი დაკეცა და უკან, ჯიბეში ჩაიღო.

– შემძლია დაგეხმაროთ? – ჰკითხა პოლიციელმა.

– დიახ, შეგიძლიათ. ნაკატამ ახლახან ადამიანი მოკლა.

პოლიციელს ხელიდან კალამი გაუვარდა და პირღია მიაშტერდა მოხუცს. წამით დამუნჯდა. რაა?

– ჩამოჯექით. – შეფიქრიანებულმა უთხრა, მის პირისპირ მდგარ სკამზე მიუთითა. შეამოწმა, ხომ ადგილზე ჰქონდა რევოლვერი, ხელკეტი, ხელბორკილები.

– გმადლობთ. – თქვა ნაკატამ და ჩამოჯდა. სწორად იჯდა, ხელები კალთაზე ჩამოეწყო. ოფიცერს პირდაპირ უყურებდა.

– იმის თქმა გსურთ, რომ... ვიღაც მოკალით?

– დიახ. ნაკატამ დანით მოკლა ადამიანი. ცოტა ხნის წინ. – აღიარა გულწრფელად.

ახალგაზრდა ოფიცერმა ფორმა ამოიღო, კედელზე დაკიდებულ საათს შეხედა, დრო და დანით მკვლელობის შესაღებ აღიარებითი ჩვენება ჩაინიშნა.

– თქვენი სახელი და გვარი.

– მე მქვია სატორუ ნაკატა.

– ერთი წამით. როგორ წერთ საკუთარ სახელს?

– იეროგლიფები არ ვიცი. ვწუხვარ, მაგრამ წერა არ ვიცი. არც კითხვა.

– რა, გინდა თქვა, რომ საერთოდ არ იცი კითხვა? – მოიღუმა ოფიცერი, – საკუთარი სახელის წერაც არ იცი?

– დიახ. ვიდრე ცხრა წლის გავხდებოდი, ვწერდი და ვკითხულობდი. მაგრამ რაღაც შემემთხვა და მას შემდეგ ვეღარც ვწერ, ვეღარც ვკითხულობ. ნაკატა ჰკვიანი არ არის.

ოფიცერმა ამოიოხრა და კალამი დადო.

– საბუთებს ვერ შევაკვებ, თუ არ მეცოდინება, როგორ იწერება შენი სახელი.

– ბოდიშს ვიხდი.

– ოჯახი გყავს?

– ნაკატა სულ მარტოა. ოჯახი არ მყავს. არც ვმუშაობ. გუბერნატორის სუბსიდის იაზე ვცხოვრობ.

– უკვე გვიანაა, ჯობია, სახლში დაბრუნდე. წადი სახლში და ღამით კარგად გამოიძინე. თუ დილით რამეს გაიხსენებ, დაბრუნდი და დავილაპარაკოთ.

პოლიციელი თავის ცვლას ამთავრებდა და უნდოდა, სამუშაო დღის დამთავრებამდე წერა დაესრულებინა. სამსახურის მერე მეგობარ ოფიცერს უნდა შეხვედროდა. ახლომდებარე ბარში დალევას აპირებდნენ, ასე რომ, გამოჩერჩეტებულ, ჰკუასუსტ მოხუცთან დროის დაკარგვა სულ არ უნდოდა.

მაგრამ ნაკატამ მკაცრად შეხედა და თავი გააქნია.

– არა, ბატონო, ნაკატას სურს, იქამდე მოგიტხროთ ყველაფერი, ვიდრე ახსოვს. თუ ხვალამდე დავიცდი, შესაძლოა რაღაც მნიშვნელოვანი დამავიწყდეს. ნაკატა მიტოვებულ ეზოში იყო.

კოიძუმებმა სთხოვეს, მათი დაკარგული კატა, გომა ეპოვნა. შემდეგ მოულოდნელად გამოჩნდა უზარმაზარი შავი ძაღლი და სახლში წამიყვანა. დიდი სახლი იყო, დიდი ჭიშკრით და იქვე შავი მანქანა იდგა. მისამართი არ ვიცი. ქალაქის იმ ნაწილში აქამდე არასდროს ვყოფილვარ. მაგრამ დარწმუნებული ვარ, ნაკანოშია. სახლში დაგვხვდა ერთი კაცი, სახელად ჯონი უოკერი, რომელსაც სასაცილო შავი ქუდი ეხურა. ძალიან მაღალი ქუდი იყო. სამზარეულოში, მაცივარში კატების თავების რიგი ეწყო. ოცამდე იქნებოდა. ის კატებს იჭერს, თავებს აჭრის ხერხით და მათ გულებს ჭამს. ის კატების სულებს აგროვებს განსაკუთრებული ფლეიტის დასამზადებლად. ეს ფლეიტა ადამიანების სულების მოსაგროვებლად სჭირდება. ნაკატას თვალწინ ჯონი უოკერმა დანით მოკლა ბატონი კავამურა. და კიდევ რამდენიმე კატა. ის მათ მუცლებს დანით უფატრავს. ის გომასა და მიმის მოკვლასაც აპირებდა, მაგრამ ნაკატამ ამ დროს ჯონი უოკერი დანით მოკლა. ჯონი უოკერმა ნაკატას სთხოვა, მომკალიო. მაგრამ მის მოკვლას არ ვაპირებდი. აქამდე არავინ მომიკლავს. მხოლოდ ის მინდოდა, ჯონი უოკერს აღარ მოეკლა კიდევ ერთი კატა. მაგრამ სხეული არ დამემორჩილა. ისე მოიქცა, როგორც თვითონ სურდა. დანა ავიღე და ორჯერ ჩავარტყი ჯონი უოკერს. ჯონი უოკერი დაეცა, მთლიანად სისხლში მოთხვრილი, და მოკვდა. ნაკატაც მთლიანად სისხლში მოითხვარა. იქვე სავარძელზე ჩამოვჯექი და, ეტყობა, ჩამეძინა. ცოტა ხნის წინ გამომეღვიძა მიტოვებულ ეზოში. მიმი და გომაც ჩემთან იყვნენ. ნაკატამ გომა სახლში დააბრუნა, ქალბატონი კოიძუმისგან შემწვარი ბადრიჯანი და კიტრის მწნილი წამოიღო და პირდაპირ აქ მოვიდა. ვიფიქრე, ჯობია, პირდაპირ გუბერნატორს მოვახსენო, რაც მოხდა-მეთქი.

ნაკატა დაკითხვის დროს გამართულად იჯდა. როდესაც საუბარს მორჩა, ღრმად ამოისუნთქა. ერთბაშად ამდენ ხანს არასდროს ულაპარაკია. ძალა სულ გამოეცალა.

– ძალიან გთხოვთ, გუბერნატორს მოახსენოთ.

ახალგაზრდა პოლიციელმა არაფრისმთქმელი გამომეტყველებით მოისმინა მთელი ამბავი და მოხუცის ნათქვამიდან ბევრი ვერაფერი გაიგო. ვინ გომა? ვინ ჯონი უოკერი?

– გასაგებია, – უპასუხა მაინც, – გუბერნატორს გავაგებინებ.

– იმედი მაქვს, სუბსიდის იას არ გამიუქმებენ.

უკმაყოფილო გამომეტყველებით, პოლიციელმა თავი მოაჩვენა ნაკატას, თითქოს საბუთები შეაესო.

– გასაგებია. დავწერ: ექვმიტანილი ითხოვს, რომ სუბსიდია არ გაუუქმონ. რას იტყვით?

– დიახ. კარგია. დიდად დამავალეთ. მაპატიეთ, რომ მოგაცდინეთ. გთხოვთ, გუბერნატორი მომიკითხოთ.

– გადავცემ. ნუ იდარდებ, დღესვე, კარგი? – პოლიციელმა თავი ვერ შეიკავა კომენტარისგან, – შენს ტანსაცმელს არ ეტყობა, რომ კაცი მოკალი და სისხლში ამოითხვარე. ერთ წვეთ სისხლსაც ვერ ვხედავ.

– დიახ, სრულებით მართალი ხართ. სიმართლე გითხრათ, ეს ნაკატასაც უკვირს. უაზრობაა. სისხლში მოთხვრილი უნდა ვიყო, მაგრამ ყველაფერი გაქრა. ძალიან უცნაურია.

– დიახ, ძალიან... – პოლიციელის ხმაში მთელი დღის დაღლა გაისმა.

ნაკატამ კარგი გაალო და უკვე გასვლას აპირებდა, როდესაც შეჩერდა და მოტრიალდა.

– მაპატიეთ, ბატონო, მაგრამ ხვალ საღამოს აქვე იქნებით?

– დიახ, – ფრთხილად უპასუხა პოლიციელმა, – ხვალ საღამოს ჩემი ცვლაა. რატომ მეკითხებით?

– მართალია, მზიანი დღე იქნება, მაგრამ გირჩევთ, თან ქოლგა იქონიოთ.

პოლიციელმა თავი დაუქნია. უკან მიტრიალდა და საათს შეხედა. წუთიწუთზე დაურეკავდა თავისი კოლეგა.

– აუცილებლად წამოვიღებ.

– ციდან თევზის წვიმა წამოვა. თევზის თავსხმა, კოკისპირული წვიმა. ძირითადად სარდინი. ცოტაოდენი სკუმბრიაც გაერევა.

– სარდინი და სკუმბრიაო, ამბობ? – გაეცინა პოლიციელს, – ჯობია, ქოლგა ამოვატრიალო და რამდენიმე დავიჭირო. სიამოვნებით მივირთმევდი ძმრით შეკაზმულს.

– ძმრით შეკაზმული სკუმბრია ნაკატას ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი კერძია, – სერიოზული გამომეტყველებით წარმოთქვა ნაკატამ, – მაგრამ ხვალ ამ დროს წასული ვიქნები.

მეორე დღეს, როდესაც ნაკანოში სარდინისა და სკუმბრიის წვიმა მოვიდა, ახალგაზრდა პოლიციელი ქალღმერთით გაფითრდა.

მოულოდნელად ორი ათას ცალამდე სარდინი და სკუმბრია ღრუბლებიდან მიწას დაეხეთქა. თევზის დიდი ნაწილი მიწაზე დავარდნის დროს დაიშალა, მაგრამ ზოგი გადარჩა კიდეც და სავაჭრო უბნის შუა გზაზე ფართხალებდა. თევზი ახალი იყო, ზღვის სუნი შერჩენოდა. თევზები ადამიანებს, ავტომობილებს და სახურავებს დაეყარა. თევზის წვიმა ძალიან მაღლიდან არ წამოსულა და სერიოზული დაზიანებაც არავის მიუღია. ამან შოკი უფრო მოჰგვარა ხალხს. ციდან სეტყვასავით წამოსული აუარებელი თევზი უთუოდ აპოკალიფსური მოვლენა იყო.

პოლიციამ მომხდარი გამოიძია, მაგრამ ლოგიკური ახსნა ვერ მოუძებნა. არც თევზის ბაზარს და არც თევზსაჭერ გემებს სარდინისა და სკუმბრიის დიდი პარტიის დაკარგვის შესახებ არ განუცხადებიათ. არც თვითმფრინავებს ან ვერტმფრენებს გადაუფრენიათ თევზის წვიმის დროს. არც ტორნადოს შესახებ უცნობებიათ. ის აზრიც გამოთქვეს, ვიღაცამ იხულიგნაო, მაგრამ ამდენად ექსცენტრიული რამ ვის უნდა გაეკეთებინა? პოლიციის მოთხოვნით, ნაკანოს ჯანდაცვის ოფისმა თევზი გამოიკვლია, უჩვეულო ვერაფერი აღმოაჩინეს. ჩვეულებრივი, საკვებად ვარგისი სკუმბრია და სარდინი იყო. ვიდრე ამას დაადგენდნენ, იმით შეშინებულებმა, მისტიკური თევზი რამე სახიფათო ნივთიერებას არ შეიცავდესო, მეგაფონიანი სატვირთო შემოატარეს უბანში და ხალხი გააფრთხილეს, თევზი არ შეჭამოთო.

ასეთ ამბებს სატელევიზიო პროგრამები სწრაფად აიტაცებენ ხოლმე. ხალხიც შემთხვევის ადგილს მოაწყდა. რეპორტიორებს თავი მოეყარათ სავაჭრო უბანში და ამ საინტერესო შემთხვევის შესახებ ერს აუწყებდნენ. მომხდარის საილუსტრაციოდ რეპორტიორები ჩამჩით იღებდნენ თევზს. იმ დიასახლისისგანაც აიღეს ინტერვიუ, თავში სკუმბრია რომ დაეცა და თევზის ფარფლმა ლოყა გაუჭრა. კიდევ კარგი, თინუსი არ იყო, ამბობდა და ლოყაზე ცხვირსახოცს იფარებდა. მაყურებელი იცინოდა. ერთ-ერთმა თავგადასავლების მოყვარულმა რეპორტიორმა იქვე შეწვა თევზი. „გემრიელია, – ამაყად განუცხადა მაყურებელს, – და ახალი. ზედმეტი ქონი არა აქვს. რა ცუდია, რომ გარნირად გახეხილი ბოლოკი და ცხელი ბრინჯი არ ახლავს“.

პოლიციელი საგონებელში ჩავარდა. იმ უცნაურმა, ახირებულმა მოხუცმა, – მოიცა, რა ერქვა? – თევზის წვიმა იწინასწარმეტყველა. სარდინი და სკუმბრიაო, სწორედ ასე თქვა. მაგრამ მე მხოლოდ გამეცინა, ფიქრობდა პოლიციელი, და მისი სახელი და მისამართი არც კი ჩავინიშნეო. უფროსს უნდა მოახსენოს ამის შესახებ? ახლა რა სიკეთის მოტანა შეუძლია ამ ცნობას? არავინ დაშავებულა სერიოზულად, არც დანაშაულს ჰგავს. მარტო თევზები ჩამოცვივდა ციდან.

და დაუჯერებს კი უფროსი? მთელი ამბავი რომ მოუთხროს – წინა დღით ერთი ახირებული მოხუცი კაცი მოვიდა პოლიციაში და თევზის წვიმა იწინასწარმეტყველაო, იფიქრებს, სულ გაგიჟდაო. მთელ პოლიციას მოედება ეს ამბავი და საბოლოოდ მის ზურგს უკან ყველა მასზე იქირქილებს.

კიდევ ერთ რამეშია საქმე, – გაიფიქრა პოლიციელმა. მოხუცი პოლიციაში აღიარების მისაცემად მოვიდა, კაცი მოვკალიო. მოკლედ, პოლიციას ჩაბარდა, მე კი სერიოზულადაც არ მივიღე. სამეთვალყურეო ჟურნალში არც კი აღვნიშნე, ეს კი აშკარა წესების დარღვევაა, ამიტომ პასუხისგებაშიც შეიძლება მიმცენ. არც ერთი პოლიციელი ამას სერიოზულად არ მიიღებდა. ზოგჯერ პოლიციაში მუშაობა საგიჟეთში მუშაობას ჰგავს. ქვეყნად ათასი გიჟი დადის, და თითქოს პირი შეუკრავთო, ხან ერთი გამოცხადდება პოლიციაში, ხან მეორე და სისულელეს წამოაყრანტალებს. ყველანაირ მონაჩმახს თუ სერიოზულად აღიქვამ, თვითონაც გაგიჟდები.

მაგრამ წვიმის შესახებ წინასწარმეტყველება ახდა და ამიტომ – ეს მხოლოდ ვარაუდია – იმ ჯონი უოკერის სასიკვდილოდ დაჭრის შესახებ მოყოლილი ამბავიც იქნებ სიმართლეა?! თუ ასე იყო, კიდევ უფრო დიდი დანაშაული ჩაუდენია – დამნაშავე ისე გაუშვა, აღიარებითი ჩვენებაც არ ჩაიწერა.

ბოლოს და ბოლოს ნაგვის მანქანაც მოვიდა და თევზის გორები გახვეტეს. ახალგაზრდა პოლიციელი მოძრაობას არეგულირებდა, სავაჭრო უბანში შემოსასველი გადაკეტა, რომ მანქანები ვერ შემოსულიყვნენ. თევზის ქერცლი მაღაზიების წინ მიწას დასწებებოდა და წყალი ვერ ამორებდა. ქუჩა სველი იყო და ველოსიპედით მოსული რამდენიმე დიასახლისი დაცურდა და დაეცა. უბანი რამდენიმე დღეს თევზის სუნად ყარდა, უბნის კატებმა ყველაფერი მოასუფთავეს. პოლიციელი დასუფთავებით იყო დაკავებული და იმ უცნაური მოხუცის შესახებ აღარ ფიქრობდა.

თევზის წვიმის მეორე დღეს, პოლიციელს ელდა ეცა, როდესაც იქვე ახლოს მამაკაცის გვამი აღმოაჩინეს. გარდაცვლილი ცნობილი მოქანდაკე იყო, მისი გვამი დამლაგებელმა ქალმა აღმოაჩინა, რომელიც ყოველ მეორე დღეს მოდიოდა სახლში. გვამი შიშველი იყო და სისხლის გუბეში ცურავდა. სავარაუდოდ, ორი დღის წინ უნდა ყოფილიყო გარდაცვლილი, მკვლელობის იარაღი სამზარეულოდან აღებული სტეიკის დანა აღმოჩნდა. ახალგაზრდა პოლიციელს თავზარი დაეცა, როდესაც მოხუცის სიტყვები საბოლოოდ ირწმუნა. «ღმერთო ჩემო, რა შარში გავეხვიე! უნდა დამეკავებინა. მან მკვლელობა აღიარა, უნდა გადამეცა უფროსობისთვის და მერე თავად გადაწყვეტდნენ, გიჟი იყო თუ არა. მაგრამ საკუთარ ვალდებულებას თავი ავარიდე. ახლა კი, როდესაც ასეთი ვითარებაა, ყველაფერს ჯობია, დავმშვიდდე და ისე მოვიქცე, თითქოს არაფერი მომხდარა», – გაიფიქრა პოლიციელმა.

ამ დროს ნაკატა ქალაქში აღარ იყო.

19

ორშაბათია. ბიბლიოთეკა დაკეტილია. აქ თითქმის ყოველთვის სიჩუმეა, დღეს კი დაკეტილია და დაკარგულ კუნძულს ჰგავს, უფრო კი სუნთქვაშეკრულ ადგილს, რომელიც შიშობს, დრო არ შეეხოს.

დერეფნის ბოლოს, სამკითხველო დარბაზის იქით, წარწერაა: „მხოლოდ პერსონალისათვის“. აქ სველი წერტილია, სადაც ყავისა და ჩაის მომზადება შეიძლება, მიკროტალღური ღუმელიც დგას. აქედან გადიხარ სტუმრების ოთახში, სადაც აბაზანა და საკუჭნაოცაა. ერთკაციანი საწოლის გვერდით ტუმბა დგას, ტუმბაზე – ლამპა და მალვიძარა. ოთახში პატარა სამუშაო მაგიდაც არის. ლამპა აქაც დგას, კიდევ ძველებური სკამები, თეთრ შალითაგადაკრული, სტუმრებისთვის, და ტანსაცმლის კარადა. პატარა მაცივრის თავზე თარო კიდია თევზების დასაწყობად. თუ მარტივი საჭმლის მომზადება გინდა, ნიჟარაც არის. სააბაზანოში შხაპია, საპონი, შამპუნი, თმის საშრობი და პირსახოცები, ყველაფერია, რაც ხანმოკლე ვიზიტის დროს დასჭირდება კაცს. დასავლეთის კედელში გაჭრილი ფანჯრიდან ბაღის ხეები ჩანს. საღამოვდება და ჩამავალი მზის ხეები კედრების ტოტებს ეთამაშება.

– რამდენჯერმე, როდესაც სახლში დაბრუნება არ შემეძლო, აქ დავრჩი, – მეუბნება ოშიმა, – ამ ოთახს არავინ იყენებს. რამდენადაც ვიცი, ქალბატონი საეკი აქ არასოდეს შემოდის. არავის შეაწუხებ.

ზურგჩანთას იატაკზე ვდებ და ჩემს ახალ საცხოვრებელს ვათვალიერებ.

– სუფთა თეთრეული აქვია, მაცივარშიც შენთვის საკმარისი საჭმელია: რძე, ცოტა ხილი, ბოსტნეული, კარაქი, ლორი, ყველი... ბევრნაირი არ არის, მაგრამ სენდვიჩისა და სალათის მომზადებას შეძლებ. თუ ეს არ დაგაკმაყოფილებს, მზა საჭმელი იყიდე, ან გარეთ ისადილე. ვწუხვარ, მაგრამ აბაზანაში მოგიწევს ტანსაცმლის გარეცხვა. ხომ არაფერი მავიწყდება?

– ქალბატონი საეკი რომელ ოთახში მუშაობს?

ოშიმა ჭერისკენ უთითებს.

– გახსოვს ტურის დროს მეორე სართულზე ის ოთახი? ყოველთვის იქ არის, წერს. თუ იძულებული ვხდები, გარეთ გავიდე, ჩამოდის და მისაღებთან მცვლის. თუ რაღაც საქმე არა აქვს პირველ სართულზე, ყოველთვის იქ არის.

– ხვალ ათ საათამდე მოვალ და შენს მოვალეობებს გაგაცნობ. იქამდე დაისვენე.

– გმადლობ ყველაფრისთვის.

– არაფრის.

ოშიმას წასვლისთანავე ზურგჩანთიდან ნივთებს ვალაგებ. ორიოდე ხელ ტანსაცმელს კარადაში ვალაგებ, მაისურებსა და ჯემპრებს საკიდზე ვკიდებ, დლიურსა და კალმებს სამუშაო მაგიდაზე ვამწკრივებ, ტუალეტის ნივთებს – აბაზანაში, თვითონ ზურგჩანთას კი საკუჭნაოში ვტენი. ოთახში არანაირი სამშვენისები არ არის, გარდა ზეთით შესრულებული ტილოსი, რომელზეც პლაჟზე მჯდომი ბიჭია გამოსახული. ცუდი არ არის. რომელიმე ცნობილი მხატვრისაა? ბიჭი თორმეტი წლის უნდა იყოს, თეთრი მზის ქუდი ახურავს და პატარა შეზღონგზე ზის. იდაყვი შეზღონგის სახელურზე უდევს და ნიკაპით ხელს ეყრდნობა. თითქოს მოწყენილია, თან კმაყოფილიც. გვერდით შავი ნაგაზი უზის, ეტყობა, ყარაულობს. შორს ზღვა და რამდენიმე სხვა ადამიანი მოჩანს, სახეები ბუნდოვნად ეტყობათ. პატარა კუნძულიც ჩანს და წყლის თავზე მოტივტივე ღრუბლის ქულები. ამკარად ზაფხულია. სამუშაო მაგიდასთან ვჯდები და ამ ნახატს შევყურებ. თითქოს ტალღების ხმაც მესმის და ზღვის მარილიან სურნელსაც შევიგრძნობ.

სურათზე გამოსახული ბიჭი, ამ ოთახში რომ ცხოვრობდა, ის ახალგაზრდა უნდა იყოს, ქალბატონ საეკის რომ უყვარდა. ის, სტუდენტური გამოსვლების დროს რომ შეიპყრეს და სასიკვდილოდ სცემეს. სანამღეოს ჩამოვალ, ისაა. ეს პეიზაჟი აქაურობას მაგონებს. ორმოცი წლის წინანდელი ნახატი უნდა იყოს, ეს დრო ჩემთვის უსასრულობის ტოლფასია. ვცდილობ, საკუთარი თავი წარმოვიდგინო ორმოცი წლის შემდეგ, ეს ისევე წარმოუდგენელია, როგორც იმის გამოცნობა, თუ სამყაროს იქით რა ხდება.

მეორე დილით ოშიმა მოდის და მიჩვენებს, რა უნდა გავაკეთო, როცა ბიბლიოთეკას გავაღებ. ჯერ ფანჯრები უნდა გავაღო შენობის გასანიაველად, შემდეგ მტვერსასრუტით სწრაფად დავასუფთაო ოთახები, მაგიდები გადავწმინდო, ლარნაკებში ყვავილები შევცვალო, სინათლე ავანთო, ბალი მოვრწყა მტვრის ჩამოსარეცხად და, დრო რომ დადგება, შემოსასვლელი კარი გავაღო. დღის ბოლოს კი პირიქით – ფანჯრები უნდა დავკეტო, მაგიდები ისევ გადავწმინდო, სინათლე ჩავაქრო და შემოსასვლელი კარი დავკეტო.

– აქ მოსაპარი ბევრი არაფერია. იქნებ ყოველთვის არც იყოს საჭირო კარის გადარაზვა, – მეუბნება ოშიმა, – მაგრამ მე და ქალბატონ საეკის არ გვიყვარს საქმის მიფუჩეჩება. ვცდილობთ, ისე მოვიქცეთ, როგორც წესი და რიგია. ეს ჩვენი სახლია და მას პატივისცემით ვეკიდებით. იმედი მაქვს, შენც იგივე დამოკიდებულება გაგიჩნდება.

თავს ვუქნევ.

მიჩვენებს, როგორ უნდა მოვიქცე მისაღებ მაგიდასთან, როგორ დავეხმარო ხალხს ბიბლიოთეკით სარგებლობაში.

– ჯერჯერობით ჩემ გვერდით იჯდები და დააკვირდები, რას როგორ ვაკეთებ. რთული არაფერია. თუ რამე გაგიჭირდა, მალლა ადი და ქალბატონ საეკის სთხოვე, რომ დაგეხმაროს.

ქალბატონი საეკი თერთმეტისთვის მოდის. მისი «ფოლკსვაგენ გოლფი» გაჩერების დროს სხვანაირ ხმას გამოსცემს. მანქანას აყენებს, უკანა კარიდან შემოდის და ორივეს გვესალმება.

– დილა მშვიდობისა.

– დილა მშვიდობისა – ვესალმებით ჩვენც.

ჩვენი საუბარი ამით ამოიწურება. მოკლესახელოებიანი მუქლურჯი კაბა აცვია, ბამბის თხელი ჟაკეტი მოუცვამს და მხარზე ჩანთა გადაუკიდია. აქსესუარებს არ ატარებს, არც მაკიაჟს. მაინც თვალისმომჭრელია. ოშიმას გვერდით ვდგავარ, მიყურებს, თითქოს რაღაცის თქმა უნდა, მაგრამ არაფერს ამბობს. ოდნავ შესამჩნევად მიღიმის და მეორე სართულზე ადის, საკუთარ კაბინეტში.

– სანერვიულო არაფერია, – მარწმუნებს ოშიმა, – შენი აქ ყოფნის წინააღმდეგი არ არის. უბრალოდ, ლაპარაკი არ უყვარს.

თერთმეტზე მე და ოშიმა შემოსასვლელ კარს ვაღებთ, მაგრამ ერთხანს არავინ მოდის. მიჩვენებს, როგორ უნდა მოვძებნო წიგნები კომპიუტერში. ეს ბიბლიოთეკის ჩვეულებრივი კომპიუტერია, რომელსაც კარგად ვიცნობ. მიჩვენებს, როგორ უნდა დავალაგოკატალოგის ბარათები. ბიბლიოთეკა ყოველდღიურად იღებს ახალგამოცემულ წიგნებს. მათი შემოზიდვაც ჩემი მოვალეობაა.

დაახლოებით თორმეტის ნახევარზე ორი ქალი შემოვიდა, ერთნაირი ჯინსები ეცვათ.

დაბალს მოცურავესავით გაეკრიჭა თმა, მაღალს კი უკან შეეკრა. ორივეს სპორტული ფეხსაცმელი ეცვა, ერთს – Nike-ის, მეორეს – Asics-ის. მაღალი ორმოცისა იქნებოდა, სათვალე ეკეთა და კუბოკრული კაბა ეცვა, მეორე, თეთრპერანგიანი, პირველზე ათი წლით უმცროსი

იქნებოდა. ორივეს ზურგჩანთა ეკიდა და მოქუფრულ ცასავით გამომეტყველება ჰქონდა. ბევრი არაფერი უთქვამთ. ოშიმამ შესასვლელში ჩანთები ჩამოართვა. უკმაყოფილო ქალებმა ჩანთებიდან დლიურები და კალმები ამოიღეს.

ქალებმა ბიბლიოთეკა შემოიარეს, თითოეული წიგნსაცავი გადაათვალიერეს, დაბეჯითებით შეისწავლეს კატალოგი, დროდადრო ჩანაწერებს აკეთებენ. არც რამე წაუკითხავთ, არც ჩამომსხდარან. ბიბლიოთეკას ისე ამოწმებენ, როგორც საგადასახადო სამსახურიდან მოსული ინსპექტორები კომპანიის ინვენტარს. მე და ოშიმამ ვერ გავიგეთ, ვინ არიან, ან რა უნდათ. ოშიმამ მრავალმნიშვნელოვნად გადმომხედა და მხრები აიჩეჩა. რბილად რომ ვთქვათ, გული ცუდს მიგრძნობს.

შუადღისით, ოშიმა ბაღში ლანჩზე გადის და რეგისტრატურასთან ვცვლი.

– მაპატიეთ, კითხვა მაქვს. – მეუბნება ერთ-ერთი ქალი. მაღალი. ბოხი ხმა აქვს, უხეში, თითქოს ვიღაცამ თაროზე პურის ყუა დატოვაო.

– რით შემიძლია დაგეხმაროთ?

წარბებს კრავს და ისე შემომცქერის, თითქოს რაღაც სურათის ჩარჩო ვიყო.

– შენ მოსწავლე ხარ?

– დიახ, მართალი ბრძანდებით, აქ პრაქტიკას გავდივარ.

– უფროსი არავინაა?

ბაღში გავდივარ ოშიმას მოსახმობად. ის აუჩქარებლად აყოლებს ერთ ყლოუპ ყავას საჭმელს, ნამცეცებს კალთიდან იბერტყავს და შენობაში შემოდის.

– დიახ, რით შემიძლია დაგეხმაროთ? – ეკითხება თავაზიანად.

– მინდა გაცნობოთ, რომ ჩვენ ქალების თვალსაზრისით ვიკლევთ საჯარო კულტურულ დაწესებულებებს მთელ ქვეყანაში; ვიკვლევთ, რამდენად მოსახერხებელია, ხელმისაწვდომი და სხვა. ჩვენი ჯგუფი კვლევებს მთელი წლის მანძილზე ჩაატარებს, რის შემდეგაც ვგეგმავთ გამოვსახვეთ საჯარო მოხსენება ჩვენი აღმოჩენების შესახებ. უამრავი ქალია ამ პროექტში ჩართული, ჩვენ ორი ამ რეგიონს ვიკვლევთ.

– იქნებ ორგანიზაციის სახელი მითხრათ?

ქალი სავიზიტო ბარათს იღებს და ოშიმას აწვდის.

ოშიმა შეუცვლელი გამომეტყველებით, დაკვირვებით კითხულობს, მაგიდაზე დებს და გულლიად უღიმის, თან თვალებში უცქერის ქალს. ასეთი ღიმილი ნებისმიერ ქალს გააწითლებდა.

საოცარია, მაგრამ ამ ქალს რეაქციაც არ აქვს, წარბსაც არ ატოკებს.

– ჩვენ იმ დასკვნამდე მივდით, რომ ამ ბიბლიოთეკას რამდენიმე პრობლემა აქვს.

- ქალების თვალსაზრისით, ალბათ გინდოდათ გეთქვათ, არა? – ჩაურთო ოშიმამ.
- დიახ, ქალების თვალსაზრისით, – უპასუხა ქალმა და ჩაახველა, – იქნებ თქვენს ადმინისტრაციასთან დაგვაკავშიროთ, რომ მათი აზრი მოვისმინოთ?
- ჩვენ ადმინისტრაცია არ გვყავს, თუმცა სიამოვნებით მოვისმენდი თქვენს აზრს.
- პირველ რიგში, თქვენ ქალებისთვის საპირფარეშო არ გაქვთ, რაც არასწორია, არა?
- დიახ, მართალი ხართ, ქალებისთვის საპირფარეშო არ გვაქვს. ერთი საპირფარეშო გვაქვს ქალებისა და კაცებისთვის.
- მართალია, ეს კერძო საკუთრებაა, მაგრამ საჯარო ორგანიზაციაა, ამიტომ პრინციპულად უნდა გეზრუნათ ქალების საპირფარეშოს მოწყობაზე.
- პრინციპულად? – ისევ ჩაეკითხა ოშიმა.
- დიახ, საერთო საპირფარეშოები უამრავი ტიპის უხერხულობას იწვევს. ჩვენი კვლევის თანახმად, ქალები იძულებული ხდებიან, საერთო საპირფარეშოებით ისარგებლონ. ამით ქალებს აბუჩად იგდებთ.
- აბუჩად ვიგდებთ... – იმეორებს ოშიმა და ისეთ სახეს იღებს, თითქოს ლუკმა გულზე დაადგაო. სახეზე აწერია, რომ მოსმენილით უკმაყოფილოა.
- განგებ უგულუბელყოფთ.
- განგებ უგულუბელვყოფთ. – იმეორებს და ამ უხეშ ფრაზას უფიქრდება.
- რა კომენტარს გააკეთებთ? – ქალი გაღიზიანებული ხმით ეკითხება.
- როგორც ხედავთ, ბიბლიოთეკა საკმაოდ პატარაა, – პასუხობს ოშიმა, – სამწუხაროდ, ორი საპირფარეშოს ადგილი არ გვაქვს. რასაკვირველია, უკეთესი იქნებოდა, ასე არ ყოფილიყო, მაგრამ არც ერთ ჩვენს მომხმარებელს უკმაყოფილება არ გამოუხატავს. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ბიბლიოთეკას ბევრი მკითხველი არ ჰყავს. თუ ცალ-ცალკე საპირფარეშოების პრობლემის მოგვარება ძალიან გსურთ, გირჩევთ, სიეტლში ბოინგის მთავარ ოფისს ესტუმროთ და 747-ებში საპირფარეშოების საქმე განიხილოთ. 747 ჩვენს ბიბლიოთეკაზე გაცილებით დიდია და უფრო ხალხმრავალიც. როგორც ჩემთვის ცნობილია, თვითმფრინავებში ქალები და მამაკაცები ერთსა და იმავე საპირფარეშოში შედიან.
- მაღალი ქალი უბღვერს. ყვრიმალები ებერება და ცხვირით სათვალეს მაღლა იწევს.
- ჩვენ თვითმფრინავებს არ ვიკვლევთ. 747-ები საქმეს არ ეხება.
- პრინციპში თვითმფრინავსა და ჩვენს ბიბლიოთეკაში საერთო საპირფარეშოები ერთსა და იმავე პრობლემებს არ უნდა წარმოქმნიდეს?
- ჩვენ ვიკვლევთ საჯარო დაწესებულებებს. აქ პრინციპებზე საკამათოდ არ მოვსულვართ. ამ საუბრის დროს ოშიმას ყალბი ღიმილი დასთამაშებს.

– ნუთუ? შემოდია დავიფიცო, რომ სწორედ პრინციპებზე ვდავობთ.

ქალი ხვდება, რომ ჩაიჭრა. წითლდება, თუმცა არა ოშიმას მიმზიდველობის გამო. ტაქტიკას ცვლის.

– ნებისმიერ შემთხვევაში აქ თვითმფრინავები რა მოსატანია. გთხოვთ, სიტყვას ბანზე ნუ მიგდებთ.

– გასაგებია. არავითარი თვითმფრინავები, – პირდება ოშიმა, – მოდი მიწაზე დავეშვათ.

ქალი შეჰყურებს და ამოოხვრის შემდეგ ლაპარაკს აგრძელებს.

– მომდევნო საკითხი, რომელზეც მსურს, ყურადღება გაამახვილოთ, კატალოგში სქესის მიხედვით ავტორთა განლაგებაა.

– ბიბლიოთეკის წინა მმართველმა რაღაც მიზეზით კატალოგში ავტორები სქესის მიხედვით დაყო. გადაჯგუფებას ვაპირებთ. სამწუხაროდ, ამისთვის აქამდე დრო ვერ გამოვნახეთ.

– ამის გამო არ გაკრიტიკებთ.

ოშიმა გვერდზე ოდნავ ხრის თავს.

– ჩვენი აზრით, პრობლემა, აი, რა არის – ჯერ მამრობითი სქესის ავტორებია ჩამოთვლილი, შემდეგ მდედრობითი, რაც გენდერული უთანასწორობაა.

ოშიმა კიდევ ერთხელ იღებს ამ ქალის სავიზიტო ბარათს, დაჰყურებს და ისევ მაგიდაზე დებს.

– ქალბატონო სოგა, სასკოლო ჟურნალში თქვენი სახელი სეკინესა და ტანაკას შორის მოხვდებოდა. ამის გამო უკმაყოფილებას გამოთქვამდით? თქვენი აზრით, ეს უსამართლო თანმიმდევრობაა? განა „გ“ ბრაზობს იმის გამო, ანბანში წინ რომ „ბ“ უდგას? განა 68-ე გვერდი რევოლუციას იმის გამო მოაწყობს, რატომ ვარ 67-ე გვერდის შემდეგო?

– ამაზე არ ვსაუბრობთ ჩვენ! – გაწიწმატდა ქალი, – ყველანაირად ცდილობთ, საუბრის თემას გადაუხვიოთ.

ამ ხმამაღალი ტონის გაგონებაზე დაბალი ქალი, აქამდე რომ ჩანაწერებს აკეთებდა, გვიახლოვდება.

– ყველანაირად ვცდილობ, საუბრის თემა შევცვალო. – იმეორებს ოშიმა, თითქოს ხაზს უსვამდეს ქალის ბოლო სიტყვებს.

– უარყოფთ ამას?

– Red Herring.

ქალბატონი სოგა არაფერს ამბობს, პირი ოდნავ დაუღია.

– ინგლისური გამონათქვამია. რაღაც ძალიან საინტერესოს გულისხმობს, რომელიც მთავარ თემას არ უკავშირდება. სამწუხაროდ, არ ვიცი, საიდან გაჩნდა ეს გამონათქვამი.

– გინდ წითელი ქაშაყი დაარქვით, გინდ სკუმბრია, რაც გინდათ, ის უწოდეთ, სიტყვას კი ბანზე მიგდებთ!

– მე მხოლოდ ანალოგი მომყავს. ეს არისტოტელეს მიხედვით, არგუმენტირების ყველაზე ეფექტური მეთოდია. ძველ ბერძენ მოქალაქეებს უყვარდათ ამგვარი ინტელექტუალური ხრიკების გამოყენება. სამწუხაროა, რომ იმ დროს „მოქალაქეში“ ქალი არ იგულისხმებოდა.

– მასხრად გვიგდებთ?

ოშიმამ თავი გააქნია.

– არა, ვცდილობ გითხრათ, რომ პატარა ბიბლიოთეკებში ხეტიალის, საერთო საპირფარეშოების და კატალოგების გაკრიტიკების გარდა, სხვა უფრო ეფექტური გზებიც არსებობს იმის შესამოწმებლად, რამდენად დაცულია იაპონელი ქალების უფლებები. ჩვენ ყველანაირად ვცდილობთ, საზოგადოებისთვის სარგებლობის მომტან ბიბლიოთეკად ვიქცეთ. წიგნების იშვიათი კოლექცია გვაქვს. შესაძლოა, არ იცით, ამ ბიბლიოთეკაში 1910 წლიდან დაცულია შუა შოვას ერამდე შექმნილი იშვიათი პოეტური მასალა. რა თქმა უნდა, კიდევ უფრო მეტი უნდა გავაკეთოთ, თუმცა ყველაფერს ხომ ვერ გასწვდები. მთელ სულსა და გულს ამ საქმეში ვდებთ. ალბათ უმჯობესი იქნება, თუ ყურადღებას გაამახვილებთ იმაზე, რასაც თავს კარგად ვართმევთ. განა არ არის სამართლიანი?

ქალები ერთმანეთს შეჰყურებენ. დაბალი პირველად იღებს ხმას.

– ეს მხოლოდ სიტყვების რახარუხია, ყველანაირად ცდილობთ პასუხისმგებლობას თავი აარიდოთ, – მაღალი, მკვეთრი ხმა აქვს, – თავის გასამართლებლად ამბობთ. საოცრად პათეტიკური, ფალოცენტრული, ისტორიული მაგალითი ხართ.

– პათეტიკური, ფალოცენტრული, ისტორიული მაგალითი, არა? – ისე იმეორებს, თითქოს ამ სიტყვებმა მოწუსებო.

– სხვაგვარად რომ ვთქვათ, თქვენ ნამდვილი სექსისტი, პატრიარქალური მამაკაცი ხართ! – სიბრაზეს ვერ მალავს მაღალი ქალი.

– პატრიარქალური მამაკაცი. – იმეორებს ოშიმა.

დაბალი ყურადღებასაც არ აქცევს, ისე განაგრძობს:

– იაფფასიანი ფალოცენტრული ლოგიკით ცდილობთ ქალების მეორეხარისხოვან მოქალაქეებად წარმოჩენას, მათ უფლებებს ზღუდავთ და ლახავთ. ამას გაუთვითცნობიერებლად აკეთებთ, რაც კიდევ უფრო ამწვავებს თქვენს დანაშაულს. მხოლოდ მამაკაცთა ინტრესებს იცავთ და ზიანს აყენებთ ქალებს, არც კი გინდათ მიხვდეთ, როგორ აზარალებთ ქალებს და, საერთოდ, მთელ საზოგადოებას! ვიცი, რომ საპირფარეშოებთან და კატალოგებთან დაკავშირებული პრობლემები მხოლოდ დეტალებია, მაგრამ რაღაცით თუ არ დავიწყეთ, ჩვენი საზოგადოება სულ დაბრმავდება! ამ პრინციპით ვმოქმედებთ.

– ყველა გონიერი ქალი დაგვთანხმებოდა. – ცივი გამომეტყველებით წარმოთქვამს მაღალი.

– „ჩემსავით ტანჯულო სულგრძელო ქალო, სხვაგვარად მოიქცეოდი?“ – ამბობს ოშიმა.

ქალები ჩუმად დგანან.

– სოფოკლეს „ელექტრაა“, დიდებული პიესა. სხვათა შორის, იმ დროს სქესი მხოლოდ გრამატიკულ სქესს განსაზღვრავდა. დღეს კი სიტყვა „სქესი“ ფიზიკურ, სქესობრივ განსხვავებასაც აღნიშნავს.

ისევ დუმან.

– თქვენ კი ფუნდამენტურად ცდებით, – მშვიდად ამბობს ოშიმა, – მე არ ვარ პათეტიკური, პატრიარქალური მამაკაცის ისტორიული მაგალითი.

– მარტივად აგვიხსენით, რაში შევცდით? – უტიფრად ეუბნება დაბალი.

– ისე რომ, არც თემიდან გადაუხვიოთ და ნურც შეეცდებით საკუთარი ერუდიციის გამოვლენას. – ვერც მაღალი იკავებს თავს კომენტარისგან.

– კარგი. მარტივად და გულახდილად ავხსნი, არც თემიდან გადავუხვევ, არც საკუთარი ბრწყინვალეების წარმოჩენას შევცდები.

– გისმენთ. – პასუხობს მაღალი. დაბალი კი, იმის სადემონსტრაციოდ, ვეთანხმებო, თავს აქნევს.

– პირველ რიგში, მე კაცი არა ვარ. – აცხადებს ოშიმა.

ყველა ვმუნჯდებით, ოშიმას შევყურებ.

– ქალი ვარ.

– კარგია, რომ ხუმრობის ხასიათზე ხართ. – ამბობს დაბალი. თუმცა თავდაჯერება აკლია. მგონი, მხოლოდ იმიტომ წარმოთქვა ეს სიტყვები, რომ რაღაც ეთქვა.

ჩინოს ჯიბიდან საფულეს იღებს, იქიდან კი მართვის მოწმობას და ქალს უწვდის. დაბალი ქალი კითხულობს, რა წერია მართვის მოწმობაში, იღუშება და მაღალ ქალს აწვდის, ისიც კითხულობს და ყოყმანის შემდეგ ოშიმას უბრუნებს. გაოცებულია.

– შენც გინდა ნახო? – მე მეკითხება ოშიმა. თავი გავაქნიე. მართვის მოწმობას საფულეში იღებს, საფულეს – ჯიბეში. მერე ორივე ხელს მაგიდაზე აწყობს და განაგრძობს: – როგორც ხედავთ, ბიოლოგიურად და კანონიერად ქალი ვარ. ამიტომ, რაც ჩემზე თქვით, ძირშივე მცდარია. შეუძლებელია ვიყო ნამდვილი სექსისტი და პატრიარქალური მამრი.

– მართალია, მაგრამ... – ამბობს მაღალი და ჩუმდება. დაბალს ტუჩები მოუწკურავს და საყელოს აწვალავს.

– ჩემი სხეული მდედრობითი სქესისაა, გონება კი მამრობითის, – აგრძელებს ოშიმა, – თავი მამაკაცად მიმაჩნია. ამიტომ, შესაძლოა, მართალიც იყოთ, იქნებ მართლაც ისტორიული მაგალითი ვარ სექსისტი მამაკაცისა. მაგრამ ლესბოსელი არა ვარ, მიუხედავად იმისა, რომ ასე ვიცვამ. მამაკაცები მიზიდავს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქალი ვარ, მაგრამ გეი. ვაგინალური

სექსი არასდროს მქონია, მხოლოდ – ანალური. მგრძნობიარე კლიტორი მაქვს, ძუძუები – არა. არც მენსტრუალური ციკლი მაქვს. მე ვის დისკრიმინაციას უნდა ვახდენდე?

სამივე გაცემული ვართ და კრინტს ვერ ვძრავთ. ერთ-ერთმა ჩაახველა, მთელ ოთახში ეს ხმა გაისმა. კედელზე დაკიდებული საათი ხმამაღლა წიკწიკებს.

– ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ლანჩზე ვიყავი გასული, როცა დამიძახეთ და ისპანახში გახვეული თინუსის ჭამა არ დამიმთავრებია. გარეთ დიდხანს რომ დავტოვო, კატები მომპარავენ. ამ არემარეში, ზღვისპირა ტყეში ხალხი კნუტებს ტოვებს და აქაურობა კატებითაა სავსე. თუ წინააღმდეგი არ იქნებით, ჭამას დავასრულებ. მომიტევეთ და ბიბლიოთეკაში იმდენ ხანს იყავით, რამდენ ხანსაც მოგესურვებათ. ის ყველასთვის ღიაა. თუ წესებს დაიცავთ და სხვებს არ შეაწუხებთ, რაც გნებავთ, შეგიძლიათ აკეთოთ. შეგიძლიათ, ყველაფერი დაათვალიეროთ. მოხსენებაში რაც გნებავთ, ის ჩაწერეთ. არა ვართ წინააღმდეგი. ჩვენ არავინ გვაფინანსებს, ამიტომ ჩვენი წესები გვაქვს.

ოშიმას გასვლის მერე ქალები ჯერ ერთმანეთს შესცქერიან, მერე მე. ნეტა ოშიმას საყვარელი ხომ არ ვგონივარ? არაფერს ვამბობ, საკუთარ საქმეს ვაკეთებ. ერთმანეთს რაღაცას ეჩურჩულებიან, მერე კი თავის ნივთებს აგროვებენ და წასასვლელად ემზადებიან. ზურგჩანთებს ვაწვდი, ისინი კი მადლობასაც არ მიხდიან, ისე მიდიან.

მაღე ოშიმაც ბრუნდება. ორ თინუსიან ისპანახს მიწვდის, ნაღებმოსხმული თინუსი და ბოსტნეული ტორტილიაშია გადახვეული. ესაა ჩემი ლანჩი. დასაყოლებლად ერლ გრეის ვიმზადებ.

– რაც ვთქვი, ყველაფერი სიმართლეა. – უკან დაბრუნებულს მეუბნება ოშიმა.

– ეს იგულისხმე, განსხვავებული ვარო, რომ მითხარი?

– სატრაბახოდ არ მითქვამს. მიხვდი ახლა, რომ არ ვაზვიადებდი?

თავი დავუქნიე.

ოშიმა იღიმება.

– ქალი ვარ ფიზიკურად, მაგრამ ძუძუები არა მაქვს განვითარებული, არც მენსტრუალური ციკლი მაქვს. არც ასო მაქვს, არც კვერცხები, არც წვერი ამომდის. ზედმეტი არაფერი მაქვს. არა მგონია, ხვდებოდე ეს რა არის.

– მეც ასე ვფიქრობ.

– ზოგჯერ თვითონაც არ მესმის, ვინ ჯანდაბა ვარ? რა ვარ მართლა და მართლა?

თავი გავაქნიე.

– არც მე ვიცი, რა ვარ.

– ინდენტიფიკაციის კლასიკური კრიზისი.

თავი დავუქნიე.

– ჩემზე ბევრად მეტი მაინც იცი საკუთარ თავზე.

– არ მაინტერესებს, რას წარმოადგენ. მომწონხარ, ვინც გინდა იყო.

აქამდე არავისთვის ასეთი რამ არ მითქვამს და ვწითლდები.

– ვაფასებ ამას, – ოშიმა ხელს მხარზე მადებს, – ვიცი, სხვებისგან განსხვავდები, მაგრამ მაინც ადამიანი ვარ. მინდა, ეს იცოდე. ჩვეულებრივი ადამიანი ვარ, რაღაც მონსტრი კი არა. იმავეს ვგრძნობ, რასაც სხვები, არც განსხვავებულად ვიქცევი. მაგრამ ზოგჯერ ამ მცირე განსხვავების გამოც უფსკრული ჩნდება. თუმცა ამას ვერაფერს მოვუხერხებ, – მაგიდიდან გრძელ, კარგად გათლილ ფანქარს იღებს და ისე უყურებს, როგორც საკუთარი სხეულის ნაწილს, – მინდოდა, შენთვის ეს პირდაპირ მეთქვა, ვიდრე ვინმე სხვისგან გაიგებდი. დღეს შანსი მომეცა. არ იყო, არა, სასიამოვნო?

თავი დავუქნიე.

– უამრავი სახის დისკრიმინაციის მსხვერპლი გავმხდარვარ, – მეუბნება ოშიმა, – ბევრი ვერ გაიგებს, რა მტკივნეულია. ყველას რაღაც აწუხებს, ყველას საკუთარი ნაჭრილობები აქვს. მეც სხვებივით ვითხოვ სამართლიან მოპყრობას. მაგრამ იცი, რა მაცოფებს? ადამიანები, რომლებსაც წარმოსახვის უნარი არა აქვთ. ასეთებს ელიოტი ფუტუროებს უწოდებდა, ადამიანები, რომლებიც წარმოსახვის არქონით გამოწვეულ არსებულ სიცარიელეს უმნიშვნელო რამეებით ივსებენ, გულქვა ადამიანები, რომლებიც ათასგვარ სისამაგლეს გეუბნებიან და ცდილობენ, იმის გაკეთებისკენ გიბიძგონ, რის გაკეთებაც არ გასურს, – ამოიოხრა. ხელში გრძელ ფანქარს ატრიალებს, – გეები, ლესბოსელები, ჰეტეროსექსუალები, ფემინისტები, ფაშისტი ღორები, კომუნისტები, კრიშნაიტები – არავინ მადარდებს, არ მადლევენს მათი მოწოდებები. ვერ ვიტან ფუტუროებს. მათთან თავს ცუდად ვგრძნობ, ამიტომ უხეშად ველაპარაკები. ან უნდა გამეტარებინა ამ ქალების ნათქვამი, ან ქალბატონი საეკი მომეხმო და ის დაელაპარაკებოდა ღიმილით. მაგრამ არ შემიძლო. იმას ვამბობ, რასაც არ უნდა ვამბობდე, ისე ვიქცევი, როგორც არ უნდა ვიქცეოდე. საკუთარ თავს ვერ ვაკონტროლებ. ეს ჩემი სუსტი წერტილია. იცი, რატომ?

– თუ ყველას, ვისაც წარმოსახვის უნარი არა აქვს, სერიოზულად აღიქვამ, ჭკუიდან შეიშლები. ამიტომ.

– მართალი ხარ. მინდა, ერთი რამ დაიმახსოვრო, კაფკა. სწორედ ასეთმა ადამიანებმა მოკლეს ქალბატონი საეკის შეყვარებული. ამ გონებაჩლუნგებს წარმოსახვის უნარი არა აქვთ. შეწყნარება არ შეუძლიათ, რეალობას მოწყვეტილი თეორიებით სულდგმულობენ, ცარიელ სიტყვებს ისვრიან, უზურპატორული იდეალები აქვთ და სასტიკ სისტემებს ქმნიან. ასეთი რამეები მაფრთხობს. მაშინებს, ძრწოლას მგვრის. რასაკვირველია, უნდა არჩევდე სწორს არასწორისგან. ცალკეული შეცდომების გამოსწორება შესაძლებელია. ვიდრე შეცდომის აღიარება შეგიძლია, ყველაფერს გამოასწორებ. შეუწყნარებლობა და გონებადახშულობა, წარმოსახვის უნარის არქონა პარაზიტებივითაა, ისინი ცვლიან პატრონს, ფორმას უცვლიან და გამრავლებას განაგრძობენ. მათგან ხსნის საშუალება არ არსებობს, ამიტომ არ მინდა, ვინმე ასეთი მოდიოდეს აქ.

ომიმა წიგნსაცავისკენ იშვერს ფანქარს.

20

საღამოს რვა საათი იქნებოდა ან მეტი, როდესაც თვრამეტობრიანი სატვირთომ ტომის გზატკეცილიდან გადაუხვია და მდინარე ფუძის დასასვენებელი ზონის პარკინგზე ნაკატა ჩამოსვა. ხელში ტილოს ჩანთითა და ქოლგით მოხუცი სატვირთოდან ასფალტზე ჩამობოხდა.

– ღმერთმა ხელი მოგიმართოს, – გადმოსძახა მძღოლმა ჩამოწეული მინიდან, – გაიკითხ-გამოიკითხე, ვინმე გაგიყოლებს.

– დიდად დამავალეთ. ნაკატა აფასებს თქვენს მზრუნველობას.

– მოხარული ვარ. – მძღოლმა ხელი დაუქნია და გზა განაგრძო.

მდინარე ფუძიო, მძღოლმა უთხრა. ნაკატას წარმოდგენა არ ჰქონდა, სად იყო მდინარე ფუძი. იცოდა, უკვე ტოკიოს გასცდა და დასავლეთისკენ მიემართებოდა. კომპასი ან რუკა არ დასჭირვებია ამის მისახვედრად, ინსტინქტურად მიხვდა. ნეტა დასავლეთისკენ მიმავალმა რომელიმე სატვირთომ წაიყვანოს თან!

ნაკატას მოშიებოდა და გადაწყვიტა, დასასვენებელი ზონის რესტორანში ერთი ულუფა რამენი გადაეყლაპა. უნდოდა, ჩანთაში რომ შოკოლადი და ბრინჯის ბურთულები ჰქონდა, შავი დღისთვის შეენახა. კითხვა არ იცოდა და დიდი დრო დასჭირდა იმის გასაგებად, როგორ ეყიდა საჭმელი. სასადილო დარბაზში შესვლამდე სავაჭრო აპარატში ტალონი უნდა ეყიდა, მაგრამ ღილაკის წარწერებს დაუხმარებლად ვერ ამოიკითხავდა.

– ცუდად ვხედავ, ნაწერის გარჩევა მიჭირს. – უთხრა საშუალო ასაკის ქალს.

მანაც ნაკატას ნაცვლად ჩადო ფული, საჭირო ღილაკს დააჭირა და ხურდაც დაუბრუნდა.

ნაკატამ გამოცდილებით იცოდა, რომ ჯობდა, არავისთვის ეთქვა, კითხვა არ ვიციო. თუ ამას იტყოდა, ხალხი ისე შეხედავდა, როგორც ურჩხულს. სადილის შემდეგ, ილიაში ქოლგაგაჩრილმა, მხარზე ჩანთაგადაკიდებულმა ნაკატამ გაჩერებულ სატვირთოებს დაუარა. მძღოლებს სთხოვდა, დასავლეთისკენ მივიღივარ, იქნებ წამიყვანოთო. მაგრამ მძღოლები, თვალს შეავლებდნენ თუ არა, თავს აქეთ-იქით იქნევდნენ. ასეთი მოხუცები ავტოსტოპით

თითქმის არ მოგზაურობდნენ, მძღოლები კი ყველაფერ უჩვეულოს უფრთხოდნენ. ყველა პასუხობდა, კომპანია უცნობი მგზავრის წაყვანის უფლებას არ გვამლევსო.

ნაკანოდან ტომეის გზატკეცილზე მოსახვედრად დიდი დრო დასჭირდა. აქამდე ნაკანოდან არასოდეს წასულა და წარმოდგენა არ ჰქონდა, სად იყო ეს გზატკეცილი. ქალაქის ავტობუსის სპეციალური სამგზავრო ბარათი ჰქონდა და ბილეთის შეძენა აქამდე არ დასჭირვებია, რადგან მეტროთი და მატარებლით არასოდეს უმგზავრია. დილის ათი საათისთვის ერთი ხელი ტანსაცმელი, ტუალეტის ნივთები და მსუბუქი საუზმე ჩანთაში ჩაილაგა, ჭილოფქვეშ შენახული ფული საფულეში ჩაიდო, დიდი ქოლგა აიღო და ბინიდან გავიდა. როდესაც ქალაქის ავტობუსის მძღოლს ჰკითხა, გზატკეცილზე როგორ მოვხვდეთ, კაცმა გულიანად გაიცინა.

– ეს ავტობუსი მხოლოდ შინჯუკუს სადგურში მიდის. ქალაქის ავტობუსები გზატკეცილზე არ მოძრაობენ. გზატკეცილის ავტობუსს უნდა გაჰყვე.

– საიდან უნდა გავყვე გზატკეცილის ავტობუსს, რომელიც ტომეის გზატკეცილზე ჩაივლის?

– ტოკიოს სადგურიდან, – უპასუხა მძღოლმა, – ამ ავტობუსს შინჯუკუს სადგურში გამოჰყევი, მერე მატარებლით ტოკიოს სადგურში მიდი, სადაც შეგიძლია, ბილეთი შეიძინო, იქიდან კი ავტობუსები ტომეის გზატკეცილზე გაგიყვანენ.

ნაკატამ ყველაფერი ვერ გაიგო, მაგრამ შინჯუკუმდე გაჰყვა ავტობუსს. იქ თავგზა აებნა. სადგური ხალხით იყო სავსე და მოძრაობა უჭირდა.

იმდენი ლიანდაგი იყო, ვეღარ გაარკვია, ტოკიოს სადგურამდე რომელი მიიყვანდა. წარწერებს ვერ კითხულობდა, ამიტომ რამდენიმე გამვლელს გზა მიმასწავლეთო, სთხოვა, ისინი ან ძალიან სწრაფად უხსნიდნენ, ან გაუგებრად და უამრავი ისეთი ადგილის სახელს წარმოთქვამდნენ, რომლებიც ნაკატას არასდროს სმენოდა. თითქოს კავამურას ველაპარაკებოდეთო, გაიფიქრა ნაკატამ. პოლიციის პუნქტები ბევრგან იყო, შეეძლო, იქ ეთხოვა დახმარება, მაგრამ შეეშინდა, მიხრწნილ მოხუცად არ მიმიჩნიონ და არ დამაპატიმრონო. ხმაურმა და ხეტიალმა დაღალა, თავი შეუძლოდ იგრძნო. ხალხით სავსე ტროტუარებს თავი აარიდა, ორ ცათამბჯენს შორის პატარა სკვერი იპოვა და იქ მერხზე ჩამოჯდა. ნაკატა დაბნეული იყო. იჯდა, დროდადრო რაღაცას ბუტბუტებდა და კარგად გაკრეჭილ თავს ხელით ეხებოდა. პარკში ერთ კატასაც ვერ მოჰკრავდი თვალს. სამაგიეროდ უამრავი ყვავი დასჩხაოდა თავს, ისინი სანაგვე ყუთებშიც იქექებოდნენ. ნაკატამ რამდენჯერმე ცას ახედა – მზის ადგილმდებარეობის მიხედვით ზუსტი დროის გამოცნობა შეეძლო. გამონაბოლქვს ცა არაბუნებრივ ფერად შეეღება.

შუადღეზე ახლომდებარე შენობების ოფისის თანამშრომლები ლანჩზე სკვერში გამოვიდნენ. ნაკატამ თან წამოღებული ტკბილი ფუნთუშები შეჭამა და თერმოსიდან ჩაი დააყოლა. მის გვერდით ორი ახალგაზრდა ქალი იჯდა. გადაწყვიტა გამოლაპარაკებოდა. ტომეის გზატკეცილზე როგორ მოვხვდეთ, ჰკითხა. ქალაქის ავტობუსის მძღოლის მსგავსი პასუხი გასცეს – ჩუოს ხაზს გაჰყევი ტოკიოს სადგურამდე, შემდეგ კი ტომეის გზატკეცილის ავტობუსსო.

– ნაკატამ სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, – აღიარა ნაკატამ, – ნაკანოს იქით აქამდე არასდროს ვყოფილვარ. როგორ ჩავჯდე მატარებელში, არ ვიცი. დამოუკიდებლად მხოლოდ ქალაქის ავტობუსით მგზავრობა შემიძლია. კითხვა არ ვიცი, ბილეთს ვერ ვყიდულობ. აქამდე ქალაქის ავტობუსით მოვედი, სხვაგან როგორ წავიდე, აღარ ვიცი.

კითხვა არ იციო?! ჰკითხეს გაოცებულებმა. უწყინარი მოხუცი ჩანდა. სასამოვნოდ იღიმებოდა, კოხტად ეცვა. ასეთ ამინდში ქოლგით სიარული უცნაური კი იყო, მაგრამ უსახლკაროს არ ჰგავდა. დახვეწილი ნაკვეთები ჰქონდა და ცოცხალი თვალები.

– ნაკანოს გარდა მართლა არსად ყოფილხართ? – ჰკითხა შავთმიანმა გოგონამ.

– დიახ. ვცდილობდი, ნაკანოდან არსად წავსულიყავი. ნაკატა თუ დაიკარგება, არავინ მოძებნის.

– და არც კითხვა იცით... – ჩაერთო საუბარში მეორე გოგონა, რომელსაც თმა წაბლისფრად ჰქონდა შეღებილი.

– დიახ. საერთოდ არ ვიცი კითხვა. ციფრებს ვცნობ, შეკრება არ შემიძლია.

– ჰმმ, მატარებლით მგზავრობა მართლაც გაგიჭირდებათ.

– დიახ, ძალიან მიჭირს. ბილეთს ვერ ვყიდულობ.

– დრო რომ გვქონდეს, სადგურში გაგიყვანდით და მატარებელში ჩაგვამდით, სამწუხაროდ, სამსახურში უნდა დავბრუნდეთ. ძალიან ვწუხვარ.

– არა, ნუ მეზოდინებით.

– ერთი აზრი მომივიდა! – წამოიყვირა შავთმიანმა, – ტოგეგუჩი გაყიდვების განყოფილებიდან არ ამბობდა, იოკოჰამაში უნდა წავიდეთ?

– უი, რა კარგია, რომ გაგახსენდა. დაეხმარება, თუ ვთხოვთ. მოღუშული ტიპი კია, მაგრამ ცუდი ბიჭი არ არის, მართლა. – უპასუხა წაბლისფერთმიანმა.

– რადგან კითხვა არ იცი, არ ჯობია, ავტოსტოპით წახვიდე? – ჰკითხა ახლა შავთმიანმა.

– ავტოსტოპით?

– სთხოვე ვინმეს, თან წაგიყვანოს. უფრო შორ მანძილზე მიმავალი სატვირთოს მძღოლები თანხმდებიან. მსუბუქი ავტომობილის მძღოლები ძირითადად უარით ისტუმრებენ ხოლმე.

– ნაკატამ არ იცის შორ მანძილზე მიმავალი სატვირთოები რა არის.

– იქამდე თუ მიხვალ, ყველაფერი გამოგივა. კოლეჯში სწავლის დროს ერთხელ ავტოსტოპით მეც ვიმგზავრე. ყველა სატვირთოს მძღოლი კაი ტიპია.

– ტომეის გზატკეცილზე სად უნდა ჩამოხვიდე? – ეკითხებოდა წაბლისფერთმიანი.

– არ იცის ნაკატამ.

– არ იცი?

– როცა იქ მივალ, მეცოდინება. ტომეის გზატკეცილს დასავლეთისკენ უნდა გავუყვე. მერე დავფიქრდები, სად უნდა წავიდე. ნებისმიერ შემთხვევაში, დასავლეთისკენ უნდა ავილო გეზი.

გოგონებმა ერთმანეთს გადახედეს, მაგრამ ნაკატას სიტყვები დამაჯერებლად ჟღერდა და მოხუცის მიმართ სიმპათიით განეწყვნენ. ლანჩი დაასრულეს, ცარიელი თუნუქის ქილები სანაგვეში ჩაყარეს და წამოდგნენ.

– თან გამოგყვევი, – შესთავაზა შავთმიანმა, – ჩვენ რაღაც უნდა გავარკვიოთ.

ნაკატა გაჰყვა. ასეთ დიდი შენობაში არასდროს ყოფილა. გოგონებმა მისაღების გვერდით მდგარ სავარძელზე დასვეს, მდივანს დაელაპარაკნენ და ნაკატას უთხრეს, ცოტა ხანს დაიცადეო, მერე კი დერეფანში ერთ-ერთ ლიფტში გაუჩინარდნენ. ვიდრე ნაკატა იქ იჯდა, ქოლგასა და ტილოს ჩაბლაუჭებული, ოფისის თანამშრომლები შესვენებიდან ბრუნდებოდნენ. ამ სცენასაც არასოდეს შესწრებია. თითქოს შეთახმებულანო, ყოველ მათგანს გემოვნებით ეცვა – ჰალსტუხები, მზინვარე პორტფელები, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები. ყველა ერთი მიმართულებით მიიჩქაროდა. ნაკატა თავის დღეში ვერ გამოიცნობდა, რას აკეთებდა ამდენი ხალხი. მალე გოგონებიც დაბრუნდნენ, ტლანქ ახალგაზრდა კაცთან ერთად, რომელსაც თეთრი პერანგი ეცვა და ზოლებიანი ჰალსტუხი ეკეთა.

– ეს ბატონი ტოგეგუჩია, – წარუდგინა წაბლისფერთმიანმა გოგონამ, – სწორედ ახლა იოკოჰამაში აპირებს წასვლას. თან წაგიყვანს. ტომეის გზატკეცილზე ჩამოგვამს, იმედია, იქიდან ვინმეს გაჰყვები. ვინც გაგიყოლებს, სადილად დაჰპატიჟე.

– ფული გაქვს? – ჰკითხა ახლა შავთმიანმა.

– დიახ, საკმარისად მაქვს.

– ბატონი ნაკატა ჩვენი მეგობარია, თავაზიანად მოეპყარი. – მიმართა წაბლისფერთმიანმა გოგონამ ტოგეგუჩის.

– თუ ალერსიანი იქნები. – უთხრა ახალგაზრდამ მოკრძალებულად.

– ასეთ დროს... – ჩაილაპარაკა შავთმიანმა.

დამშვიდობებისას გოგონებმა ნაკატას რამდენიმე ბრინჯის ბურთულა და შოკოლადის ფილა გაუწოდეს, რომელიც მაღაზიაში ეყიდათ.

– არც კი ვიცი, მაღლობა როგორ გადაგიხადოთ, – უთხრა ნაკატამ, – ვილოცებ თქვენი კარგად ყოფნისთვის.

– იმედი მაქვს, ამ ლოცვებს შეისმენენ. – თქვა წაბლისფერთმიანმა, მისმა მეგობარმა კი გადაიკისკისა.

ამ ახალგაზრდა კაცმა, ტოგეგუჩიმ, ნაკატა ფურგონში ჩაისვა, ჯერ მეტროპოლიტენის გზატკეცილს გაუყვა, მერე – ტომეის. გზებზე საცობები იყო და წინ ძლივძლივობით

მიიწევდნენ, თან საუბრობდნენ. ტოგეგუჩი მორიდებული ჩანდა და თავიდან ბევრს არაფერს ამბობდა, მერე შეეჩვია ნაკატას და ლაპარაკიც დაიწყო, საბოლოოდ საუბარი მონოლოგად იქცა. უამრავ რამეზე უნდოდა საუბარი ნაკატასთან. გაიხსნა ამ უცხო კაცთან, რომელსაც მერე აღარასდროს შეხვდებოდა: საცოლეს რამდენიმე თვის წინ დაშორდა – იმ გოგოს სხვა ჰყოლია. ვერც უფროსებს ეგუება სამსახურში, იქიდან წამოსვლაზე ფიქრობს. როცა სკოლაში სწავლობდა, მშობლები გაიყარნენ და მალე დედამისი ვიღაც კვერცხზე გათხოვდა. დანაზოგი მეგობარს ასესხა, ის კი სულ არ აპირებს დაბრუნებას. გვერდით მცხოვრები მეზობელი კი ისეთ ხმაზე უსმენს მუსიკას, რომ ტოგეგუჩი დაძინებას ვერ ახერხებს.

ნაკატა ყურადღებით უსმენდა, ხანდახან სიტყვასაც ჩაურთავდა და დროდადრო საკუთარ აზრსაც გამოთქვამდა. როდესაც მანქანა გაჩერდა, ნაკატამ ამ ახალგაზრდა კაცის შესახებ უკვე ყველაფერი იცოდა. ბევრი რამ არ ესმოდა, მაგრამ ტოგეგუჩის ცხოვრების საერთო სურათს უკვე ხედავდა – ეს იყო ერთი ღარიბი ახალგაზრდა ბიჭი, რომელიც ცდილობდა, სწორად ეცხოვრა და უამრავი პრობლემა ჰქონდა.

– ნაკატა თქვენგან დავალებულია. უღრმეს მადლობას გიხდით აქ მოყვანისთვის.

– თქვენ დამეხმარეთ, ბატონო ნაკატა, ახლა თავს მშვიდად ვგრძნობ. აქამდე ასე გულახდილად არავისთან მილაპარაკია, მიხარია, რომ ყველაფრის თქმა შეეძელი თქვენთვის. იმედია, ჩემს პრობლემებზე საუბრით თავი არ შეგაწყინეთ.

– არა, რას ამბობთ. ნაკატამ ისიამოვნა თქვენთან ლაპარაკით. დარწმუნებული ვარ, თავს ბევრი კარგი რამ გადაგხდებათ, ბატონო ტოგეგუჩი.

ახალგაზრდამ ტელეფონის ბარათი ამოიღო საფულიდან და ნაკატას გაუწოდა.

– ეს ბარათი გამომართვით. ჩემი კომპანია ამზადებს. ჩათვალეთ, რომ გამოსამშვიდობებელი საჩუქარია. ნეტა რამე უკეთესის მოცემა შემეძლოს.

– დიდი მადლობა. – ნაკატამ ბარათი საფულეში ჩადო.

არავინ ჰყავდა, ვისაც დაურეკავდა, არც ამ ბარათის გამოყენება იცოდა. იფიქრა, ზრდილობა მოითხოვს ბარათი ავიღო. დღის სამი საათი იყო.

კიდევ ერთი საათი დასჭირდა, ვიდრე იმ ადამიანს იპოვიდა, ვინც მდინარე ფუჯიმდე მის წაყვანას ისურვებდა.

მძლოლი დაკუნთული კაცი იყო, ორმოცდახუთის იქნებოდა, ხელები ტორებივით ჰქონდა, მუცელი – დაპრესილი. სატვირთო-მაცივრით ახალი თევზი გადაჰქონდა.

– იმედი მაქვს, თევზის სუნი არ შეგაწუხებს. – უთხრა მძლოლმა ნაკატას.

– თევზი ნაკატას საყვარელი კერძია.

– უცნაური ვინმე ჩანხარ. – მძლოლმა გადაიხარხარა.

– ზოგჯერ სხვებიც მეუბნებიან ამას.

– მიყვარს უცნაური ტიპები. იმათ უნდა უფროთხილდე, ნორმალურად რომ გამოიყურებიან და ნორმალურად ცხოვრობენ.

– მართლა?

– მერწმუნე, ასეა. ყოველ შემთხვევაში, ჩემი აზრით.

– ნაკატას ბევრი აზრი არა აქვს. თუმცა გველთევა მიყვარს.

– ეგ უკვე აზრია, გველთევა რომ მოგწონს.

– გველთევა აზრია?

– როცა ამბობ, რომ გველთევა მოგწონს, აზრია.

მდინარე ფუჯიმდე იმგზავრეს. მძლოლმა უთხრა, ჰაგიტა მქვიაო.

– აბა, ბატონო ნაკატა, რას ფიქრობ, საით მიექანება სამყარო?

– ძალიან ვწუხვარ, ჭკვიანი არა ვარ, ასე რომ, წარმოდგენა არა მაქვს, – უპასუხა ნაკატამ.

– ეგ ორი სხვადასხვა რამ არის. შეიძლება ჭკვიანი არ იყო და საკუთარი აზრი გქონდეს.

– მაგრამ, ბატონო ჰაგიტა, თუ ჭკვიანი არ ხარ, ბევრ მოვლენაზე ვერ დაფიქრდები.

– გველთევა მიყვარსო, ხომ მითხარი.

– დიახ, გველთევა ნაკატას საყვარელი კერძია.

– ეგ კავშირია, გესმის?

– მმ...

– ბრინჯი წიწილათი და კვერცხით გიყვარს?

– ესეც ნაკატას ერთ-ერთი საყვარელი კერძია.

– აი, ესეც კავშირია. აი, ასე ქმნი კავშირებს და აზრიც გიყალიბდება. რაც უფრო მეტია კავშირი, მნიშვნელობაც უფრო ღრმაა. მნიშვნელობა არა აქვს, გველთევას ეხება საქმე, ბრინჯის ბურთულებს, გრილზე შემწვარ თევზს თუ რამე სხვას. გაიგე?

– არა, ისევ არაფერი მესმის. საკვები აკავშირებს მოვლენებს ერთმანეთთან?

– არა მხოლოდ საკვები. ტრამვაი, იმპერატორი – ნებისმიერი რამ.

– ჰო, მაგრამ მე ტრამვაით არ ვმგზავრობ.

– არა უშავს. მნიშვნელობა არა აქვს, რას ან ვის ეხება საქმე, ადამიანები გარშემომყოფ საგნებთან მნიშვნელოვან კავშირებს ქმნიან. საყურადღებო ისაა, ბუნებრივად ხდება ეს თუ არა. ჭკუა არაფერ შუაშია. მთავარია, ყველაფერი საკუთარი თვალებით დაინახო.

– ძალიან ჭკვიანი ხართ, ბატონო ჰაგიტა.

ჰაგიტამ გადაიხარხარა.

– არა, ჭკუა არაფერ შუაშია. საერთოდ არა ვარ ჭკვიანი, ჩემებურად ვფიქრობ. ამიტომაც ვიწვევ ხალხში სიმულვილს. ბრალს მდებენ, აკრძალულ თემებს ეხებიო. თუ ტვინს ანძრევ, ადამიანებს შენთან საქმის დაჭერა აღარ უნდათ.

– ნაკატას მაინც არაფერი ესმის. გველთევზას სიყვარულსა და წიწილიან-კვერცხიანი ბრინჯის სიყვარულს შორის კავშირი არსებობს?

– ჰო, ეგრეც შეიძლება ითქვას. შენსა და იმ საგნებს შორის კავშირი ყოველთვის არის. როგორც გველთევზასა და ბრინჯის ჯამებს შორის არის კავშირი. როცა ამ კავშირების ქსელი ფართოვდება, ბატონო ნაკატა, შენს, კაპიტალისტებსა და პროლეტარებს შორის ურთიერთობა ბუნებრივად მყარდება.

– პრო-ლეტრა?

– პროლეტარიატი, – ჰაგიტამ საჭეს ხელები გაუშვა, უხილავი წრე მოხაზა და ისე წარმოთქვა ეს სიტყვა. ნაკატას აზრით, ეს ხელები ბეისბოლის ხელთათმანებით დიდი იყო, – ადამიანები, რომლებიც მუყაითად შრომობენ და პურს თავიანთი ოფლით მოიპოვებენ, არიან პროლეტარები. არსებობენ ისეთი ტიპებიც, რომლებიც ტრაკს არ ასწევენ, თითხს არ გაანძრევენ, განკარგულებებს გასცემენ და ჩემს ხელფასზე ათჯერ მეტს იღებენ. აი, ისინი არიან კაპიტალისტები.

– კაპიტალისტებს არ ვიცნობ. მე ღარიბი ვარ და ასეთ დიდს არავის ვიცნობ. ყველაზე დიდი კაცი, ვინც გამიგია, ტოკიოს გუბერნატორია. ისიც კაპიტალისტია?

– ისიც კაპიტალისტების ფინიაა.

– გუბერნატორი ძაღლია? – ნაკატას ის უზარმაზარი შავი ძაღლი მოაგონდა, რომელმაც ჯონი უოკერის სახლთან მიიყვანა, ეს ცხოველი და გუბერნატორის სახე ნაკატას გონებაში ერთმანეთს შეერწყა.

– სამყარო სავსეა ეგეთი ძაღლებით, კაპიტალისტების პაიკებით.

– პაიკებით?

– დიახ.

– კაპიტალისტი კატებიც არსებობენ? – ჰკითხა ნაკატამ.

ჰაგიტამ გულიანად გაიცინა.

– შენ ვინ ყოფილხარ! ბატონო ნაკატა, მომწონხარ. კაპიტალისტი კატებიო. უნიკალური ვინმე ხარ.

– ბატონო ჰაგიტა?

– გისმენ.

– მე ღარიბი ვარ და გუბერნატორისგან ყოველთვიურად სუბსიდის იას ვიღებ. ეს ცუდი საქციელია?

– რა თანხას იღებ ყოველთვიურად?

ნაკატამ თანხა დაუსახელა.

ჰაგიტამ ზიზლით გააქნია თავი.

– მაგ თანხით თავი როგორ უნდა გაიტანო?!

– რას ამბობთ, ნაკატას ბევრი ფული სულ არ სჭირდება, სუბსიდის იის გარდა, ხალხისგან ვიღებ ფულს, როდესაც დაკარგული კატების პოვნაში ვეხმარები.

– არ ხუმრობ? პროფესიონალი კატების მპოვნელი ხარ? – ჰაგიტა მოხიბლული ჩანდა, – საკვირველი ტიპი ხარ!

– კატებთან საუბარი შემძლია, შემძლია გავიგო, რას ამბობენ. ეს ეხმარება მათ პოვნაში.

– შენ ვინ ყოფილხარ!

– მაგრამ ცოტა ხნის წინ აღმოვაჩინე, რომ მათთან საუბარი აღარ შემძლია. ვერ ვხვდები, რატომ.

– ყოველდღიურად რაღაც იცვლება, ბატონო ნაკატა. ყოველ დღით სამყარო აღარ არის იგივე, რაც გუშინ იყო. არც შენ ხარ იგივე პიროვნება. გესმის ჩემი?

– დიახ.

– კავშირებიც იცვლება. კაპიტალისტიც იცვლება, პროლეტარიც. მარჯვნივ მდგომს მარცხნივ მდგომი ცვლის. საინფორმაციო რევოლუცია, აქციების ცვლილება, ცვალებადი აქტივები, ოკუპაციური რესტრუქტურისზაცია, მულტინაციონალური კორპორაციები – რაღაც კარგია, რაღაც ცუდი. საგნებს შორის მიჯნები ქრება. შესაძლოა კატებსაც ამიტომ ვეღარ ესაუბრები.

– მარჯვენასა და მარცხენას შორის განსხვავებას ხვდება ნაკატა. ეს მარჯვნივაა, ეს მარცხნივ. მართალი ვარ?

– მართალი ხარ. შენთვის ეგეც საკმარისია.

ბოლოს ერთად ისაძილეს დასასვენებელ ზონაში. ჰაგიტამ ორი პორცია გველთევაზა შეუკვეთა, ნაკატამ დაიჟინა, მე უნდა გადავიხადო აქამდე მოყვანისთვის მაძლობის გადასახდელო, მძლოლმა ენერგიულად გააქნია თავი.

– არავითარ შემთხვევაში! იმ გროშებს, რასაც შემწეობის სახით გაძლევენ, ჩემზე არ დაგახარჯვინებ.

– თქვენგან დავალებული ვიქნები. გმაძლობთ გამასპინძლებისთვის. – ნაკატა გაახარა ჰაგიტას საქციელმა.

ნაკატამ მდინარე ფუჯის დასასვენებელ ზონაში ერთ საათს იხეტიალა, მძლოლებს სთხოვდა, თან წამიყვანეთო, მაგრამ მსურველი არავინ გამოჩნდა. პანიკაში არ ჩავარდნილა, არც დათრგუნულა. მისთვის დრო ძალიან ნელა გადიოდა, თითქმის არ მოძრაობდა. ჰაერზე გავიდა და გაისეირნა. ცა უღრუბლო იყო, მთვარის ზედაპირი მკაფიოდ ჩანდა. ნაკატამ იხეტიალა, იქაურობა უამრავი უზარმაზარი სატვირთო მანქანით იყო სავსე. უზარმაზარი მხეცებივით იწვნენ გვერდიგვერდ, ისვენებდნენ. ზოგ სატვირთოს ოცი გიგანტური ბორბალი მაინც ჰქონდა და თითოეული კაცის სიმაღლე იყო. ამდენ სატვირთოს, ასე გვიან გზატკეცილზე მიმავალს, რა გადაჰქონდა? ნაკატამ ვერაფერი მოიფიქრა. სატვირთოებზე გაკეთებული წარწერების ამოკითხვა რომ შეძლებოდა, ნეტა, მაშინ მაინც თუ შეძლებდა ამაში გარკვევას?

თითქმის ერთი საათის შემდეგ, მანქანებისგან შედარებით თავისუფალ კუთხეში, ათამდე მოტოციკლისტი შენიშნა. ახალგაზრდები წრეში იდგნენ, რაღაცას შეჰყურებდნენ და ყვიროდნენ. ნაკატა მათ მიუახლოვდა. იქნებ რამე უჩვეულო აღმოაჩინეს?

ახლოს მისულმა დაინახა, მიწაზე მწოლიარე ტიპს შემოხვეოდნენ, მუშტებს, წიხლებს ურტყამდნენ გამეტებით. ერთ-ერთს ხელში ჯაჭვი ეჭირა, მეორეს – შავი ჯოხი, რომელიც პოლიციელის ხელკეტს წააგავდა. ზოგს დილებშეხსნილი მოკლესახელოებიანი პერანგი ეცვა, სხვებს – მაისურები. უმრავლესობას თმა ქერად ან წაბლისფრად შეეღება, ზოგს მკლავები ტატუირებულიც ჰქონდა. ის ახალგაზრდაც, რომელსაც სცემდნენ, სხვებს ჰგავდა.

ნაკატა მათ ასფალტზე ქოლგის წვერის კაკუნით მიუახლოვდა, მისკენ მოიხედეს. შვებით ამოისუნთქეს – ხელში უწყინარი მოხუცი შერჩათ.

– რატომ შენც არ სცემ, – დაუღრიალა ნაკატას ერთ-ერთმა მათგანმა.

ნაკატა კიდევ უფრო მიუახლოვდა ახალგაზრდებს. დაცემულ კაცს პირიდან სისხლი სდიოდა.

– სისხლი სდის, – თქვა ნაკატამ, – შეიძლება მოკვდეს.

კაცებმა არად მიიჩნიეს მისი სიტყვები.

– იქნებ, შენც მოგკლათ, – იმ ტიპმა თქვა, ხელში რომ ჯაჭვი ეჭირა, – ერთით მეტს მოგკლავთ, თუ ნაკლებს, მნიშვნელობა არა აქვს.

– უმიზეზოდ კაცს ვერ მოკლავთ, – დაჟინებით თქვა ნაკატამ.

– უმიზეზოდ კაცს ვერ მოკლავთ, – გამოაჯავრა ერთ-ერთმა მოტოციკლისტმა და მეგობრებს გაეცინათ.

– მიზეზები გვაქვს. ისე კი შენი საქმე არ არის, მოგკლავთ თუ არა. წაათრიე ეგ შენი ქოლგა და გზას გაუდექი, ვიდრე გაწვიმებულია.

მიწაზე დაცემულმა წინ გამობობლება სცადა და თავგადაპარსულმა ბიჭმა ნეკნებში ჩექმა ჩააზილა. ნაკატამ თვალები დახუჭა. იგრძნო, მასში რაღაც აბობოქრდა, რის გაკონტროლებაც არ შეეძლო. მსუბუქი გულისრევა იგრძნო. გაახსენდა, როგორ მოკლა ჯონი უოკერი. მის ხელს ახლაც ახსოვდა, როგორ ეფლობა დანა კაცის გულმკერდში. კავშირები. ნუთუ ამ კავშირებზე

ამბობდა ბატონი ჰაგატა? გველთევა = დანა = ჯონი უოკერი? ხმები დამახინჯებულად ემოდა, ერთმანეთისგან ვეღარ არჩევდა. ახალგაზრდების ხმები, გზატკეცილზე მიმავალი ბორბლების უწყვეტ გუგუნს შერია. ნაკატამ ცას ახედა, ქოლგა გაშალა და თავზე დაიფარა. რამდენიმე ნაბიჯი უკან გადადგა ძალიან ფრთხილად და მოტოციკლისტების ჯგუფს გამოეყო. მის ქცევაზე ახალგაზრდებს გაეცინათ.

– ერთი ამ ბებერს შეხედეთ, – წამოიძახა ერთ-ერთმა, – ქოლგა არ მომინდომა?!

მაგრამ დიდხანს არ უცინიათ. უეცრად, უცხო თითქოს ცხიმინი რაღაცის წვიმა წამოვიდა. უცნაური არსებები მიწაზე ტყლაშუნით ეცემოდნენ. ახალგაზრდებმა მსხვერპლს თავი მიანებეს და მალა აიხედეს. ცა მოწმენდილი იყო, ის რაღაც კი აშკარად იქიდან ცვიოდა. ჯერ თითო-ოროლა, შემდეგ მეტი და მეტი. თანდათან თავსხმა წვიმად იქცა. ის ციდან ჩამოყრილი რაღაც ოთხი სანტიმეტრის სიგრძის შავ ბელტებს ჰგავდა. სინათლეზე ჰგავდა გლუვ, შავ ფიფქებს, კაცის მხრებს, მკლავებს, კისერს რომ ედება და იქ რჩება. სასოწარკვეთილი ახალგაზრდები ამ საგნების მოშორებას ცდილობდნენ, მაგრამ არ შეეძლოთ.

– წურბელები! – დაიყვირა ვიღაცამ.

მერე ყველა ერთად აღრიალდა. ტუალეტებისკენ გაიქცნენ. ერთ-ერთი მათგანი, ახალგაზრდა ქერა კაცი, მანქანას ბორბლებში ჩაუვარდა. სწრაფადვე წამოხტა, მანქანას კაპოტზე მუშტი დაჰკრა, და ხმამალა შეაგინა მძღოლს. სულ ეს იყო. მერე ისიც ტუალეტისკენ გაქანდა.

წურბელების კოკისპირული წვიმა ერთხანს კიდევ გაგრძელდა, მერე იკლო და შეწყდა. ნაკატამ ქოლგა დაკეცა, წურბელები მოაშორა და ნაცემ კაცს მიუახლოვდა. ლორწოვანი არსებები მიწაზე იკლავებოდნენ, ამიტომ ბიჭთან ძალიან ახლოს ვერ მივიდა – წურბელებში იყო ჩამარხული. ნაკატამ დაინახა, ბიჭს ქუთუთოებიდან სისხლი სდიოდა და კბილები ჩამტვრეოდა. მოხუცმა იცოდა, ამ ყველაფერს დამოუკიდებლად ვერ გაუმკლავდებოდა, სწრაფად დაბრუნდა რესტორანში და თანამშრომელს დახმარება სთხოვა.

– ჯობს, პოლიცია გამოიძახოთ, შეიძლება მოკვდეს.

ამ ამბის მერე ნაკატამ მალევე იპოვა სატვირთოს მძღოლი, რომელიც კობემდე გაიყოლებდა. ოც წელს გადაშორებული ტანდაბალი ბიჭი იყო, კიკინა ეკეთა და ყური ჰქონდა გახვრეტილი, ბეისბოლის გუნდ „ტიუნიტის დრაკონების“ კეპი ეხურა. რესტორანში იჯდა, ეწეოდა და კომიქსს ფურცლავდა. ფერადი ჰავაიური პერანგი და ნაიკის სპორტული ფეხსაცმელი ეცვა. რამენის ჯამში აფერფლებდა. ნაკატას ჯერ მიაშტერდა, მერე კი უხალისოდ დაუქნია თავი.

– კარგი. შეგიძლია ჩემთან ერთად იმგზავრო. ბაბუაჩემს მაგონებ. გარეგნობით, ლაპარაკის მანერით. სიბერით მოკვდა. რამდენიმე წლის წინ.

დილით კობეში უნდა ვიყოთო, უთხრა. სუპერმარკეტში ავეჯი უნდა მიეზიდა. მანქანა გამოიყვანა, დაიძრნენ. ავარიის ადგილს ჩაუარეს. მომხდარის ადგილზე უკვე მისულიყო პატრულის რამდენიმე მანქანა – წითელი სინათლე ელავდა და პოლიციელი სასიგნალო შუქით არეგულირებდა მოძრაობას. სერიოზული ავარია არ აღმოჩნდა, რამდენიმე მანქანა

შესჯახებოდა ერთმანეთს, ფურგონს ცალი გვერდი ჰქონდა შეჭყლეტილი, ერთ მანქანას კი უკანა ფარი ჩამსხვრეოდა.

სატვირთოს მძღოლმა თავი გადაყო მანქანიდან და პოლიციელს რამდენიმე სიტყვით გამოელაპარაკა. მერე შუშები ისევ ასწია.

– ამბობს, წურბელების წვიმა წამოვიდა ციდანო, მანქანებმა გასრისეს, გზა მოილიპა და ზოგს საქე გაექცაო. არ იდარდო და ნელა იარეო, მითხრა. გარდა ამისა, ადგილობრივ ბაიკერებს ვილაც უცემიათ. წურბელები და ბაიკერები – აი, კომბინაციაც ასეთი უნდა! პოლიციელებს საქმე მიეცემათ.

გასასვლელისკენ ფრთხილად წავიდა. მიუხედავად იმისა, რომ ნელა მოძრაობდა, სატვირთო მაინც დაცურდა რამდენჯერმე. მძღოლმა მანქანა საჭის ოსტატური მოძრაობით გაასწორა.

– მთელი ზღვა ჩამოცვნილა. მართლაც მოლიპულია გზა. მაგრამ, ბიჭო, წურბელები? საოცარია! როდისმე წურბელა მოგვრობია?

– არა, რამდენადაც ნაკატას ახსოვს, არა.

– ბავშვობაში გიფუს მთებში წამიყვანეს, იქ ბევრჯერ მიკბინა წურბელამ. ტყეში სეირნობის დროს ხიდან ცვიოდნენ, ნაკადულზე გადავიდოდით და ფეხზე მოგვეკრობოდნენ ხოლმე. წურბელების რალაც გამეგება, დამიჯერე. თუ მოგეკრო, მოშორება ძნელია. თუ აიძრობ, კანის დიდ ნაწილსაც აიყოლებს და ნაჭრილობევი დაგრჩება. ჯობია მოიწვა. საშინელებაა, სისხლს რომ გწოვენ. როდესაც გაძღებთან, რბილები და ფაფუკები ხდებიან. საშინელებაა, არა?

– ჰო, მართლა საშინელებაა. – დაეთანხმა ნაკატა.

– მაგრამ წურბელები დასასვენებელ ზონაში ციდან არ ცვივიან. ასეთი სისულელე არასდროს მსმენია, ამ ტიპებმა მთავარი რამ არ იციან წურბელების შესახებ. წურბელები ციდან არ ცვივა. თუ კი?

ნაკატა ჩუმად იყო, არაფერი უპასუხა.

– აი რამდენიმე წლის წინ იამანასის პრეფექტურაში კი აუარებელი ცხრაფეხები გამოჩნდნენ, მანქანები ტრასაზე ცურავდნენ. გზა მაშინაც მოლიპული იყო და უამრავი ავარია მოხდა. ცხრაფეხები ლიანდაგებზე აბობდნენ, მატარებელიც ველარ მოძრაობდა. მაგრამ არც ცხრაფეხების წვიმა მოდის ციდან. ისინი საიდანღაც მოცოცავენ. ეს ყველამ იცის.

– დიდი ხნის წინ იანამასის პრეფექტურაში ვცხოვრობდი. ომის დროს.

– შენ არ ხუმრობ. რომელი ომის დროს?

მოქანდაკე კოიჩი თამურა სასიკვდილოდ დაჭრეს

ნაპოვნია საკუთარი კაბინეტის იატაკზე, სისხლის გუბეში

„მსოფლიოში ცნობილი მოქანდაკე კოიჩი თამურა 30-ში, შუადღეზე, ნოგატას რეგიონში, ნაკანოს რაიონში, საკუთარი სახლის კაბინეტში მკვდარი იპოვეს. გვამი დამლაგებელმა ქალმა აღმოაჩინა. ბატონი თამურა შიშველი, სისხლის გუბეში იყო პირქვე დამხობილი. შეიმჩნევა წინააღმდეგობის ნიშნები. მომხდარი მკვლელობად მიიჩნიეს. მკვლელობის იარაღი – სამზარეულოს დანა, გვამთან ახლოს აღმოაჩინეს.

პოლიციამ დაადგინა მკვლელობის დრო – 28-ის საღამო. რადგან ბატონი თამურა მარტო ცხოვრობდა, მისი გვამი მხოლოდ ორი დღის შემდეგ იპოვეს. ბატონ თამურას მკერდის არეში რამდენიმე ღრმა ჭრილობა აქვს მიყენებული ბასრი ხორცის დანით. სავარაუდოდ, ის მყისიერად გარდაიცვალა გულისა და ფილტვების არეში მიყენებული ჭრილობებიდან დაღვრილი სისხლის დაკარგვის გამო. სავარაუდოდ, ზლაგვი საგნით რამდენიმე ნეკნი აქვს ჩამტვრეული. პოლიცია არ ახმაურებს, აღმოაჩინეს თუ არა თითის ანაბეჭდები ან რაიმე ნივთმტკიცება მკვლელობის ადგილზე. არც თვითმხილველები აღმოუჩენიათ.

სახლი დალაგებული იყო, ძვირფასეულობა და საფულე არ წაუღიათ, ამიტომ პოლიცია მომხდარს პირად შურისძიებად მიიჩნევს. ბატონ თამურას სახლი მშვიდ სამოსახლოშია. მეზობლები შეძრწუნებული არიან. ბატონ თამურას იშვიათად ჰქონდა ურთიერთობა თავის მეზობლებთან, მშვიდად ცხოვრობდა, შემთხვევის დროს უჩვეულო არავის არაფერი შეუმჩნევია.

ბატონი თამურა ცხოვრობდა 15 წლის ვაჟთან ერთად, რომელიც დამლაგებელი ქალის განცხადებით, ბოლო ათი დღეა, შინ არ გამოჩენილა. ბიჭი სკოლაშიც არ დადიოდა. პოლიცია ცდილობს, დაადგინოს მისი ადგილსამყოფელი.

გარდა საცხოვრებელი სახლისა, ბატონ თამურას ჰქონდა ოფისი და სახელოსნო მუსასინოში. მისი მდივნის განცხადებით, მკვლელობის დღემდე ის ჩვეულებისამებრ ახალ ქანდაკებაზე მუშაობდა. მკვლელობის დღეს მას ბატონ თამურასთან საუბარი უნდოდა რაღაც საქმესთან დაკავშირებით, მაგრამ მხოლოდ ავტომობილზე პასუხობდა.

ბატონი თამურა დაიბადა ქალაქ კოკუბუნძიში, ტოკიოში. სწავლობდა ტოკიოს ხელოვნების ინსტიტუტში, სკულპტურის ფაკულტეტზე. უკვე სტუდენტობისას შექმნა იმდენად ინოვაციური ნამუშევრები, რომ ხელოვანთა სამყარო აალაპარაკა. მისი მთავარი თემა იყო ადამიანის ქვეცნობიერი. მისი უნიკალური სტილი გასცდა არსებული წარმოდგენების ჩარჩოებს, ტრადიციული მიდგომა შეარყია და საქვეყნო აღიარება მოიპოვა. კოიჩი თამურას ყველაზე ცნობილი ნამუშევარია სერია „ლაბირინთები“.

ბატონი თამურა მუშაობდა ხელოვნების ინსტიტუტში მოწვეულ პროფესორად, ორი წლის წინ მისი ნამუშევრები ნიუ-იორკში, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში იყო გამოფენილი“.

კითხვას ვწყვეტ. გაზეთში ჩვენი ჭიშკრის ფოტოა. და ახალგაზრდა მამაჩემის. ამ ფოტოების დანახვაზე ტანში მცრის. გაზეთს ორად ვკეცავ და მაგიდაზე ვდებ. ისევ საწოლზე მჯდომი, არაფერს ვამბობ, თითებით თვალის ქუთუთოებს ვეხები. ყურებში ყრუ ხმა ჩამესმის თანაბარი ინტერვალებით. თავს ვაქნევ, მინდა, წაკითხული თავიდან ამოვიგდო, მაგრამ – არა.

ბიბლიოთეკაში ვარ, ჩემს ოთახში. საღამოს 7 საათია. მე და ოშიმამ ბიბლიოთეკა დავხურეთ, ცოტა ხნის წინ ქალბატონი საეკიც წავიდა თავისი «ფოლკსვაგენ გოლფით». ახლა ბიბლიოთეკაში მხოლოდ მე და ოშიმა ვართ. და ეს გამაღიზიანებელი ხმა.

– ეს გაზეთი ორი დღის წინ გამოვიდა. სტატია იმ დროს დაიბეჭდა, როდესაც მთაში იყავი. ვიფიქრე, კოიჩი თამურა მამაშენი იქნებოდა. ბევრი რამ ემთხვევა. გუშინვე უნდა მეჩვენებინა...

თავი დავუქნიე. თვალებს ვიფშვნიე. ოშიმა მეტს არაფერს ამბობს.

– ხომ იცი, მე არ მომიკლავს.

– ვიცი, – მპასუხობს, – მკვლელობის დღეს ბიბლიოთეკაში იყავი, საღამომდე კითხულობდი. იმდენი დრო არ გქონდა, ტოკიოში ჩასულიყავი, მამა მოგეკლა და უკან, ტაკამაცუში დაბრუნებულიყავი. ეს შეუძლებელია.

მე კი ასე დარწმუნებული არ ვიყავი. დღეები გადავითვალე და აღმოჩნდა, სწორედ იმ დღეს მოუკლავთ, როდესაც სისხლში მოთხვრილი მაისურით გამომეღვიძა.

– გაზეთები წერენ, რომ პოლიცია გეძებს. როგორც მნიშვნელოვან მოწმეს.

თავი დავუქნიე.

– პოლიციისთვის თავის არიდებაზე მარტივი იქ გამოცხადება იქნება. მყარი ალიბი გაქვს.

– ასე თუ მოვიქცევი, უკან, ტოკიოში წამიყვანენ.

– ჰო. რა თქმა უნდა, სკოლის დამთავრება მოგიწევს – ეს აუცილებელია. შენს ასაკში საკუთარ ნებაზე აქეთ-იქით სიარული არ შეიძლება. კანონის თანახმად, მეურვე გჭირდება.

თავი გავაქნიე.

– არ მინდა, ვინმეს რამე ავუხსნა. და არც ტოკიოში ან სკოლაში მინდა დაბრუნება.

ოშიმა ერთხანს თვალს არ მაშორებს.

– ეს შენი გადასაწყვეტია, – დაბალი ხმით მპასუხობს, – ჩემი აზრით, ისე უნდა იცხოვრო, როგორც მოგესურვება. რა მნიშვნელობა აქვს, 15-ის ხარ თუ 51-ის? სამწუხაროდ, საზოგადოება ასე არ ფიქრობს. თუ პოლიციაში არ გამოცხადდები, მუდმივად საზოგადოებისა და პოლიციისგან გაქცევა მოგიწევს. ცხოვრება გაგიჭირდება. მხოლოდ 15 წლის ხარ, მთელი ცხოვრება წინ გაქვს. შეძლებ მერე ამას?

არაფერს ვპასუხობ.

ოშიმა გაზეთს იღებს და სტატიას კიდევ ერთხელ ათვალთვლებს.

– გაზეთს თუ დავუჯერებთ, მამაშენის ერთადერთი ნათესავი ყოფილხარ.

– დედა და უფროსი და მყავს, – ვუხსნი, – მაგრამ დიდი ხნის წინ წავიდნენ, არც კი ვიცი, სად. ამ ამბავს თუ შეიტყობენ, მაინც ეჭვი მეპარება, დაკრძალვაზე მოვიდნენ.

– თუ იქ არ იქნები, ვინ მიხედავს ყველაფერს? დაკრძალვას, საქმეებს?

– მდივანი ჰყავს ოფისში, რომელიც ყველაფერს უძღვება, მის საქმეს კარგად იცნობს, გაუმკლავდება როგორმე. არ მინდა, მისგან მემკვიდრეობით რამე გადმომეცეს. სახლი, მისი ქონება, არაფერი – თვითონ მოიშორონ თავიდან.

ერთადერთი, რაც მისგან მემკვიდრეობით მერგო, გენებია.

– შეიძლება ვცდები, მაგრამ... დამწუხრებული არ ჩანხარ.

– არა, ვწუხვარ. ბოლოს და ბოლოს, მამაჩემია. უფრო იმაზე ვწუხვარ, რომ უფრო ადრე არ მოკვდა. მესმის, საშინელებას ვამბობ...

ოშიმამ თავი გააქნია.

– არა უშავს. ახლა, როგორც არასდროს, შეგიძლია გულახდილი იყო.

– იცი, ვფიქრობ, რომ... – ხმა მიკანკალებს, ყოყმანი მეტყობა. ჩემმა სიტყვებმა არ იციან, საით წარიმართონ და სიცარიელეში იკარგებიან. ოშიმა მიახლოვდება და გვერდით მიჯდება.

– ათასი რამ გადამხდა თავს, ზოგი მინდოდა, ზოგი – არა. არც ვიცი, როგორ გავარჩიო ერთი მეორისგან. თითქოს ყველაფერი წინასწარ გადაწყდა, მე მხოლოდ იმ გზას მივდექ, რომელიც ვიღაცამ განმისაზღვრა, მნიშვნელობა არა აქვს, რამდენს ვიფიქრებ, ან რა ენერგიას ჩავდებ... რაც მეტად ვცდილობ, მით უფრო მეტად ვკარგავ იმის განცდას, ვინა ვარ, თითქოს ორბიტას გავცდი და სადღაც შორს გავიჭერი. ეს მაშინებს და გაფიქრებაზეც კი ტანში მცრის.

ოშიმა მხარზე მეხება. მისი ხელის სითბოს ვგრძნობ.

– ამ არგუმენტის სასარგებლოდ შეიძლება ითქვას, რომ შენი არჩევანიც და მცდელობებიც განწირულია. შენ შენა ხარ, ისევ ისე მიიწევ წინ. დამშვიდდი.

თავს ვწევ და ვუყურებ, დამაჯერებლად ლაპარაკობს.

– რატომ ფიქრობ ასე?

– იმიტომ, რომ ეს ირონიაა.

– ირონია?

ოშიმა თვალებში მიყურებს.

– მისმინე, კაფკა. რასაც ახლა განიცდი, ბევრი ბერძნული ტრაგედიის მოტივად იქცა. ადამიანი კი არ ირჩევს ბედს, ბედი ირჩევს ადამიანს. ეს არის ბერძენი ტრაგიკოსების მსოფლმხედველობა. ტრაგედიის განცდა, არისტოტელეს მიხედვით, უცნაურია, მაგრამ პროტაგონისტის ნაკლიდან კი არ მომდინარეობს, არამედ მისი დადებითი თვისებებიდან. ხვდები, რის თქმას ვცდილობ? ადამიანები ტრაგედიაში ხვდებიან არა საკუთარი ნაკლის, არამედ ღირსებების გამო. სოფოკლეს ოიდიპოსი ამის ნათელი მაგალითია. ოიდიპოსი ტრაგიკული იყო არა სიზარმაცის ან სისულელის გამო, არამედ – პატიოსნებისა და გამბედაობის. ეს ირონიის აუცილებელი შედეგია.

– მაგრამ ეს უიმედო შემთხვევაა.

– გააჩნია. ზოგჯერ ასეც არის. ირონია ზრდის ადამიანს, აძლიერებს. ეს ხსნის საშუალებაა, აქ უფრო უნივერსალური იმედი ჩნდება. ამიტომ კითხულობენ დღესაც გატაცებით ბერძნულ ტრაგედიებს და მიიჩნევენ კლასიკის პროტოტიპად. ნათქვამს ვიმეორებ, მაგრამ ცხოვრებაში ყოველივე მეტაფორაა. ადამიანები ჩვეულებრივ არ კლავენ მამას და არ წვებიან დედასთან, არა? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი მეტაფორის საშუალებით იგებენ ირონიას. და ამის საშუალებით ვიზრდებით და ვვითარდებით, როგორც პიროვნება.

არაფერს ვამბობ. საკუთარ ფიქრებში ვარ გართული.

– აქ, ტაკამაცუში რამდენ ადამიანს იცნობ? – მეკითხება ოშიმა.

– არავის. თვითონ გადავწყვიტე აქ ჩამოსვლა.

– მაშინ, ჯობია, ერთხანს შეუმჩნეველად იცხოვრო ბიბლიოთეკაში. სამუშაოდ მისაღებში ნუ გახვალ. არა მგონია, პოლიციამ გიპოვოს, მაგრამ, რამე რომ იყოს, ქოხში დაიმალები.

ოშიმას ვუყურებ.

– შენ რომ არ შეგხვედროდი, არ ვიცი, რას ვიზამდი. სხვა ვერავინ დამეხმარებოდა.

ოშიმა იღიმება. მხრიდან ხელს იღებს და საკუთარ ხელს დაყურებს.

– არა ხარ მართალი. მე რომ არ შემხვედროდი, რაღაც სხვა გზა გამოჩნდებოდა. არ ვიცი რატომ, მაგრამ ამაში დარწმუნებული ვარ. ასეთი განცდა მაქვს, – დგება და მაგიდიდან მეორე გაზეთს იღებს, – სხვათა შორის, ეს სტატია ერთი დღით ადრე დაიბეჭდა. ისეთი უჩვეულო იყო, დამამახსოვრდა. შესაძლოა, მხოლოდ დამთხვევაა, მაგრამ შენს სახლთან ახლო მოხდა.

თევზის წვიმა!

„2000 სკუმბრიისა და სარდინის წვიმა მოვიდა ნაკანოს სავაჭრო უბანში 29-ში, დაახლოებით საღამოს 6 საათზე. ნაკანოს რაიონის, X უბნის მცხოვრებლები ძლიერ გაოცდნენ, როდესაც ციდან 2000 სარდინი და სკუმბრია ჩამოცვივდა. სავაჭრო უბანში მცხოვრებმა ორმა დიასახლისმა უმნიშვნელო სახის დაზიანება მიიღო თევზების წვიმის დროს, სხვა დაზიანებების შესახებ არ იტყობინებიან. შემთხვევის დროს მზიანი დღე იყო და უღრუბლო ცა, არც ქარი ქროდა. თევზები ცოცხლებიც კი იყვნენ და ტროტუარებზე ფართხალებდნენ“.

სტატიას ვკითხულობ და გაზეთს ოშიმას ვუბრუნებ. რეპორტიორი შემთხვევის გამომწვევ რამდენიმე შესაძლო მიზეზს განიხილავს. არც ერთი არ არის დამაჯერებელი. პოლიცია შესაძლო ქურდობად და ხულიგნობად მიიჩნევს მომხდარს. მეტეოროლოგიური სამსახურის განცხადებით, შემთხვევის დროს არ იყო ისეთი ატმოსფერული მდგომარეობა, რომელიც თევზის წვიმას გამოიწვევდა. სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ხე-ტყის ჭრისა და მეთევზეების წარმომადგენლებს კომენტარი არ გაუკეთებიათ.

– როგორ ფიქრობ, რატომ მოხდა ასე? – მეკითხება ოშიმა.

– წარმოდგენა არა მაქვს.– გავაქნიე თავი.

– სწორედ იმ დღეს, როდესაც მამაშენი მოკლეს, იქვე ახლო-მახლო ციდან ორი ათასი სკუმბრია და სარდინი ჩამოცვივდა. უბრალო დამთხვევაა?

– ალბათ.

– გაზეთები იმასაც წერენ, რომ ტომეის გზატკეცილზე, ფუჯიგავას დასასვენებელ ზონაში, იმავე დღეს, გვიან ღამით, ციდან წურბელები ჩამოცვივდა. ამბობენ, რამდენიმე მცირე საგზაო შემთხვევა დაფიქსირდაო. წურბელები საკმაოდ დიდი ზომისანი ყოფილან. ვერავინ ახსნა, რატომ შეიძლებაოდა წამოსულიყო წურბელების წვიმა. მოწმენდილი, უღრუბლო ცა იყო. ამაზე რას იტყვი?

მხრებს ვიჩეჩავ.

ოშიმა გაზეთს კეცავს.

– ისღა დაგვრჩენია ვიფიქროთ, რომ უცნაური, აუხსნელი მოვლენები ხდება. შეიძლება ეს შემთხვევითობების სერიაა, მაგრამ მაინც რაღაც მაშფოთებს და მოსვენებას არ მძლევეს.

– იქნებ ესეც მეტაფორაა? – შეპარვით ვამბობ.

– შეიძლება... მაგრამ სარდინის, სკუმბრიას და წურბელების წვიმა? ეს რა მეტაფორაა?

ჩუმად ვარ. ვცდილობ, სიტყვებით ის გადმოვცე, რაზეც დიდხანს ვდუმდი.

– იცი, რა... რამდენიმე წლის წინ მამაჩემმა რაღაც მიწინასწარმეტყველა.

– გიწინასწარმეტყველა?

– აქამდე ამის შესახებ არავისთვის მითქვამს. მაინც არავინ დამიჯერებდა.

ოშიმა არაფერს ამბობს, მისი დუმილი მამხნევეს.

– ეს, მგონი, წყევლა უფროა, ვიდრე წინასწარმეტყველება. მამაჩემი ამას ისევ და ისევ იმეორებდა. თითქოს ცდილობდა, თითოეული სიტყვა ჩაებეტონებინა ჩემს ტვინში, – ღრმად ამოვისუთქე. კიდევ ერთხელ ჩავუფიქრდი სათქმელს. განა შემოწმება მჭირდება, ის ყოველთვის აქაა, თავში მიგუგუნებს, მინდა თუ არ მინდა, მაინც. მაგრამ სიტყვები კიდევ ერთხელ უნდა ავწონ-დავწონო, და აი, ვამბობ: მითხრა, ერთხელაც მამაშენს მოკლავ და დედასთან დაწვებიო.

როდესაც სათქმელი სიტყვებად ვაქციე, თითქოს დავიცალე. და იმ სიცარიელეში რიტმულად მიფეთქავს გული.

ოშიმა კარგა ხანს მიყურებს. გამომეტყველება არ ეცვლება.

– ე.ი. გითხრა, რომ ერთხელაც მამას შენი ხელით მოკლავ და დედასთან დაწვებიო.

თავი რამდენჯერმე დავუქნიე.

– ოიდიპოსსაც ეს უწინასწარმეტყველეს. თუმცა ეს ალბათ გეცოდინება.

თავი დავუქნიე.

– ეს ყველაფერი როდია. და მყავს ექვსი წლით უფროსი, მამაჩემმა თქვა, იმასთანაც დაწვებიო.

– მამაშენმა ზუსტად ასე გითხრა?

– ჰო. იმ დროს დაწყებით კლასებში ვსწავლობდი და ვერ ვხვდებოდი, „დაწოლაში“ რას გულისხმობდა. რამდენიმე წლის შემდეგ მივხვდი.

ოშიმა არაფერს მპასუხობს.

– მამაჩემმა მითხრა, ამ წინასწარმეტყველებას ვერსად გაექცევიო. ეს წინასწარმეტყველება ჩემში ჩადებული კოდივითაა და მას ვერასდროს ვერაფერი შეცვლის. მე მოვკლავ მამას, და დედასა და დასთან დავწვები.

ოშიმა ერთხანს ისევ დუმს, თითქოს სურს, ყოველი ჩემი სიტყვა სათანადოდ აწონ-დაწონოს. თითქოს დამალული გასაღების პოვნას ცდილობს.

– რატომ უნდა ეთქვა მამაშენს ასეთი საშინელება? – მეკითხება ბოლოს.

– არ ვიცი. არასდროს აუხსნია. შეიძლება უნდოდა, რომ გაქცეულ ცოლ-შვილზე ეძია შური. იქნებ მათი დასჯა სურდა ჩემი მეშვეობით.

– მიუხედავად იმისა, რომ ამით შენ დაგტანჯავდა?

– მამაჩემისთვის ალბათ რომელიმე მის ქანდაკებაზე მეტი არ ვიყავი, რომელსაც, როცა მოუნდებოდა, შექმნიდა ან დაამსხვრევდა.

– უკუღმართი დამოკიდებულებაა...

– ჩვენს სახლში ყველაფერი თავდაყირა იყო. როცა ყველაფერი თავდაყირა დგას, რაც ნორმალურია, ისიც უცნაურად გამოიყურება. ამას დიდი ხნის წინ მივხვდი, ჯერ კიდევ ბავშვობაში. მაგრამ რა უნდა მეღონა? სად უნდა წავსულიყავი?

– მამაშენის ნამუშევრები ბევრჯერ მინახავს, – მეუბნება ოშიმა, – ის შესანიშნავი მოქანდაკეა. მისი ნამუშევრები ორიგინალური, გამომწვევი და ცოცხალია. მე ვიტყვოდი, უკომპრომისოც კი. ნამდვილი, რეალური.

– შესაძლოა, ასეცაა. მაგრამ შემოქმედების პროცესში დარჩენილ ნაღვეს ყველგან ფანტავდა მომწამვლელი გაზივით. მამაჩემი რყვნიდა ყველაფერს, რასაც ეხებოდა, გარშემო ყველას ანადგურებდა. არ ვიცი, ნებისთ თუ უნებლიეთ. იქნებ იძულებული იყო. ან, იქნებ ესეც მისი ნიღბის ნაწილი იყო. მგონი, რაღაც ძალიან უჩვეულოსთან ჰქონდა კავშირი. ხვდები, რის თქმას ვცდილობ?

– ჰო, მგონი, – მპასუხობს ოშიმა, – რაღაც სიკეთესა და ბოროტების მიღმა მყოფს. შესაძლოა, ენერჯის წყაროს.

– და მეც ეგ გენები მაქვს. იქნებ დედაჩემმაც ამიტომ მიმაგდო. იქნებ იმიტომ მომიკვეთა, რომ ამ საზარელი წყაროსგან ვიშვი. მეც ხომ წაბილწული ვიყავი.

ვიდრე ამაზე ფიქრობს, საფეთქლებს იზელს. თვალეებს ჭუტავს და მე შემომყურებს.

– იქნებ არ არის შენი ბიოლოგიური მამა?

თავი გავაქნიე.

– რამდენიმე წლის წინ საავადმყოფოში ანალიზები ჩავიტარეთ. ორივეს გენეტიკური კოდი შეგვიმოწმეს. ეჭვი არ არის, რომ ბიოლოგიურად მამა-შვილი ვართ. ანალიზის პასუხებიც მიჩვენეს.

– წინდახედულად მოქცეულა.

– მგონი, უნდოდა ეჩვენებინა, რომ მის მიერ შექმნილი კიდევ ერთი ხელოვნების ნიმუში ვარ.

ოშიმას საფეთქლებისთვის ხელები არ მოუშორებია.

– მამაშენის წყევლა რომ არ ახდა? ის შენ არ მოგიკლავს. ტაკამაცუში იყავი, როდესაც ეს მოხდა. ის ვიღაც სხვამ მოკლა ტოკიოში.

ხელებს უსიტყოდ ვშლი და ზედ დავყურებ. ეს ხელები იყო სისხლში მოსვრილი იმ უკუნ ღამეში.

– ამაში დარწმუნებული არა ვარ.

და განვაგრძობ მისთვის ყველაფრის მოყოლას. იმ ღამის შესახებ, სასტუმროში რომ ვბრუნდებოდი და რამდენიმე საათით გონება დავკარგე. ტამრის უკან, ტყეში რომ გამომეღვიძა, ვიღაცის სისხლით მოსვრილ მაისურში. ტუალეტში ხელები რომ დავიბანე. რამდენიმე საათი ჩემი მეხსიერებიდან რომ გაქრა. დროის დასაზოგად საკურასთან გატარებული ღამის შესახებ არაფერს ვუყვები. ოშიმა დროდადრო კითხვებს მისვამს და ამ სცენების დეტალურად წარმოდგენას ცდილობს. მაგრამ ვარაუდებს არ გამოთქვამს.

– წარმოდგენა არა მაქვს, იმ სისხლში როგორ მოვისვარე, ან ვისი სისხლი იყო. იქნებ მე მოვკალი მამაჩემი, არა მეტაფორულად. შენც თქვი, რომ იმ ღამით ტაკამაცუში ვიყავი და ტოკიოში ვერ ჩავიდოდი. მაგრამ პასუხისმგებლობა სიზმრებიდანვე იწყება, არა?

– იეტსი.

– იქნებ სიზმარში მოვკალი? იქნებ სიზმარში გადავსახლდი და მოვკალი?

– შენთვის ეს შეიძლება სიმათლე იყოს, საკუთარი პოეტური პასუხისმგებლობების გამო კი არავინ დაგსჯის. პოლიცია – ნამდვილად არა. ვერავინ იქნება ერთდროულად ორ ადგილას. ეს მეცნიერული ფაქტია, აინშტაინის და სხვების მიერ დადგენილი. და კანონი ამ წესს ცნობს.

– მაგრამ მე ხომ მეცნიერებასა და კანონმდებლობაზე არ ვლაპარაკობ.

– რასაც შენ ამბობ, კაფკა, მხოლოდ თეორიაა. გაბედული, სიურრეალისტური თეორია, რომელიც უფრო სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრის რომანს განეკუთვნება.

– რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ თეორიაა. ვიცი. ვიცი, არც დაიჯერებს ვინმე ამ სისულელეს. მამაჩემი ყოველთვის ამბობდა, რომ გამონაკლისი წესს ადასტურებს და, რომ არა ეს გამონაკლისები, მეცნიერება პროგრესს ვერასდროს განიცდიდაო. თეორია გონების ბრძოლის ველია – ეს მისი საყვარელი გამონათქვამი იყო. და ახლა, წესის დამადასტურებელ ვერც ერთ მტკიცებულებას ვერ ვპოულობ.

ოშიმა ჩუმადაა. არც მე ვიცი, კიდევ რა ვთქვა.

– ამიტომ გამოქცეულხარ სიკოკუდან. მამაშენის წყევლას გამოჰქცევიხარ.

თავი დავუქნიე და დაკეცილი გაზეთისკენ მივუთითე.

– მაგრამ, როგორც ჩანს, ვერაფერს გაექცევი.

– მანძილი ვერაფერს უშველის, – ამბობს ბიჭი, სახელად ყვავი.

– თავშესაფარი ნამდვილად გჭირდება. ამის გარდა ვერაფერს გეტყვი.

უეცრად დალლას ვგრძობ. ოშიმასკენ ვიხრები, ის მკლავებს მხვევს.

თავს ბრტყელ მკერდზე ვადებ.

– ოშიმა, არ მინდა, ასე მოვიქცე. არ მინდა, მამა მოვკლა, ან დედასა და დასთან დავწვე.

– რა თქმა უნდა, არ გინდა, – მპასუხობს და თმაზე მეფერება. – ეს როგორ მოგინდება...

– სიზმრებშიც კი.

– მეტაფორულადაც კი, – ამატებს ოშიმა, – ან ალეგორიულად... თუ გინდა, ღამით დავრჩები. შემძილია სკამზე დავიძინო.

უარს ვეუბნები, ჯობია, ცოტა ხანს მარტო დავრჩე-მეთქი.

ოშიმა შუბლზე ჩამოყრილ თმას ისწორებს. ყოყმანის შემდეგ მეუბნება:

– ვიცი, რომ უნუგემო, დანგრეული, ჰომოსექსუალი ქალი ვარ და ეს გაწუხებს.

– არა. საერთოდ არა. უბრალოდ, დასაფიქრებლად დრო მჭირდება. ერთდროულად ბევრი რამ გადამხდა. მხოლოდ ესაა საქმე.

ომიმა ნომერს წერს ჩანაწერების წიგნაკში.

– შუალამით ლაპარაკი თუ მოგინდება, აქ დარეკე. ნუ მოგერიდება, კარგი? მაინც ფხიზლად მძინავს.

მადლობას ვუხდი.

იმ ღამით მოჩვენება მესტუმრა.

22

სატვირთო მანქანა, რომლითაც ნაკატა მგზავრობდა, კობეში დილის ექვსის წუთებზე ჩავიდა. უკვე გათენებულიყო, საწყობი ჯერ არ გაეღოთ, ტვირთს ვერ გადაზიდავდნენ. ნავსადგურთან ახლოს, ფართო ქუჩაზე გააჩერეს სატვირთო მანქანა და წაუძინეს. ახალგაზრდა მძღოლი უკანა სკამზე გადაწვა, სადაც ჩვეულებრივ იძინებდა და მალე უდარდელი ფშვინვაც ამოუშვა. ნაკატას შიგადაშიგ ხვრინვა აღვიძებდა, მაგრამ სწრაფადვე ახერხებდა დაძინებას. ნაკატას უძილობა არასოდეს გამოუცდია.

უკვე რვა ხდებოდა, როდესაც ახალგაზრდა მძღოლი მთქნარებით წამოდგა.

– ბაბუ, მოგშვიდა? – თან ელექტროსაპარსით იპარსავდა და უკანა სარკეში იყურებოდა.

– როგორც კი საჭმელი ახსენეთ, მომშვიდა, დიახ, ნაკატას შია.

– წამო, საუზმე დავითრიოთ.

კობემდე ნაკატას თითქმის მთელი გზა ეძინა. ახალგაზრდა მძღოლმა სულ ერთი-ორი სიტყვა თქვა, ჩუმად ატარებდა და რადიოს ღამის გადაცემას უგდებდა ყურს. ზოგჯერ სიმღერას აჰყვებოდა, ეს სიმღერები ნაკატას აქამდე არასოდეს მოესმინა. იაპონური სიმღერები იყო? სიტყვებსაც ვერ არჩევდა. ჩანთიდან შოკოლადი და ბრინჯის ბურთულები ამოიღო და ახალგაზრდა მძღოლს უწილადა.

მძღოლი ღერს ღერზე ეწეოდა, ასე უფრო ფხიზლად ვარო. კობეში რომ ჩავიდნენ, ნაკატას ტანსაცმელი სიგარეტის სუნად ყარდა.

ნაკატამ ჩანთას და ქოლგას დაავლო ხელი და სატვირთო მანქანიდან ჩამოძვრა.

– ჯობს ეგ ნივთები სატვირთოში დატოვო, შორს არ მივდივართ, შევჭამთ თუ არა, უკან დავბრუნდებით.

- მართალი ხართ, მაგრამ ნაკატას ურჩევნია, ეს ნივთები თან ჰქონდეს.
- როგორც გინდა, - დაამთქნარა, - მე კი არ დავატრევ თან.
- მადლობელი ვარ.
- ჰო მართლა, მე ჰოშინო ვარ. ისევე იწერება, როგორც «ტიუნიტის დრაკონების» მენეჯერის გვარი. ნათესავები არა ვართ.
- ბატონი ჰოშინო, არა? მოხარული ვარ, რომ გაგიცანით. მე ნაკატა ვარ.
- რას მელაპარაკები, ისედაც ვიცი.

იქაურობას კარგად იცნობდა და გზა სწრაფად გაიკვლია, ნაკატა უკან მისჩანჩალებდა. თავი უკანა ქუჩის პატარა სასადილოში ამოყვეს, სატვირთოებს მძღოლებსა და ნავსადგურის მტვირთავებს შორის. ერთ კოსტიუმთან ტიპსაც ვერ შეამჩნევდი. საუზმეს ისე ნთქავდნენ, გეგონება, გაზის ცისტერნას ავსებენო. ჭურჭლის წვრიალი მოისმოდა, მიმტანი შეკვეთას ხმამაღლა გასძახოდა მზარეულებს, კუთხიდან ტელევიზორი ზუზუნებდა, NHK არხზე დილის ამბები გადიოდა.

ჰოშინომ კედელზე მიმაგრებული მენიუსკენ გაიშვირა თითი.

- ბაბუ, რაც გინდა, ის შეუკვეთე, იაფია და კერძებიც გემრიელი.
- კარგი, - თქვა ნაკატამ და მენიუს მიაშტერდა. მერე გაახსენდა, რომ კითხვა არ იცოდა, - უკაცრავად, ბატონო ჰოშინო, მაგრამ მე არც ისე ჭკვიანი ვარ და კითხვა არ ვიცი.
- მართლა? - გაოცებით ჰკითხა ჰოშინომ, - კითხვა არ იცი? დღეს ეს იშვიათობაა, მაგრამ არა უშავს. მე გრილზე შემწვარ თევზს და ომლეტს ვუკვეთავ, შენც იგივე აიღე.
- სიამოვნებით. გრილზე შემწვარი თევზი და ომლეტი ნაკატას ერთ-ერთი საყვარელი კერძია.
- კაია.
- გველთევზაც მიყვარს.
- მართლა? მეც მიყვარს გველთევზა. მაგრამ გველთევზას დილით ვერ შეჭამ.
- მართალია. ნაკატამ გველთევზა გუშინ ჭამა, ბატონმა ჰაგიტამ დამპატიჟა.
- კაია. ორი ულუფა გრილზე შემწვარი თევზი და ორიც ომლეტი, - გასძახა მიმტანს - სუპერ ზომის. რომელიმენაირი ბრინჯიც, კარგი?
- ორი გრილზე შემწვარი თევზი, ორიც ომლეტი, ერთი ბრინჯი, სუპერზომა. - მიმტანმა გოგომ ხმამაღლა გასძახა მზარეულებს.
- არ გიჭირს ასე ცხოვრება, კითხვა რომ არ იცი?
- კი, ზოგჯერ პრობლემები მექმნება. ვიდრე ნაკანოში ვიყავი, ძალიან არ მიჭირდა. მაგრამ სხვაგან ძალიან მიჭირს.

- ჰოო. კობე ნაკანოსგან კარგა შორს არის.
- ნაკატამ ჩრდილოეთი და სამხრეთი არ იცის. მარტო მარჯვენა და მარცხენა. შეიძლება დავიკარგო... ბილეთებსაც ვერ ვყიდულობ.
- წარმოუდგენელია, რომ ასე შორს წამოსვლა მოახერხე.
- ბევრი კეთილი ადამიანი დამეხმარა. მათ შორის თქვენც, ბატონო ჰომინო. არც კი ვიცი, როგორ გადაგიხადოთ მადლობა.
- რა ძნელია ალბათ ეგრე ცხოვრება... ბაბუაჩემი მიხრწნილი მოხუცი იყო, მაგრამ მაინც კარგად კითხულობდა.
- მე განსაკუთრებით ჩლუნგი ვარ.
- შენი ოჯახის ყველა წევრი ასეთია?
- არა. ჩემი უფროსი ძმა დეპარტ ამენტის უფროსია იტო-ჩუუ-ში. და ჩემი უმცროსი ძმა ოფისში მუშაობს.
- ოჰო! – წამოიძახა ჰომინომ, – ელიტარული შემადგენლობა. მარტო შენ ხარ ხო, ვინც ცოტა ვერ არი?
- დიახ, მხოლოდ ნაკატას შეემთხვა ის ამბავი და ჭკვიანი არ არის. ყოველთვის მეუბნებოდნენ აქეთ-იქით არ იხეტიალო, რომ პრობლემები არ შეუქმნა ძმებს და ძმისშვილებსო.
- ცხოვრებას ურთულეობ, ალბათ...
- რთული საკითხები არ მესმის. ვიდრე ნაკანოში ვიყავი, არ ვიკარგებოდი. გუბერნატორი მეხმარებოდა, კატებსაც კარგად ვეწყობოდი. თვეში ერთხელ თმას ვიკრეჭდი, ზოგჯერ გველთევზას მივირთმევდი. მაგრამ ჯონი უოკერის გამოჩენის შემდეგ ნაკატა ვეღარ დარჩებოდა ნაკანოში.
- ჯონი უოკერის?
- დიახ. ჩექმები აცვია და შავი მაღალი ქუდი ახურავს, ხელჯოხით დადის. კატებს ხოცავს მათი სულების მოსაგროვებლად.
- რას მეუბნები... – თქვა ჰომინომ, – გრძელი ისტორიები არ მიყვარს. მოკლედ, რაღაც მოხდა და ნაკანოდან წამოხვედი, არა?
- დიახ. ნაკანოდან წამოვედი.
- საით მიემართები?
- ნაკატამ ჯერ არ იცის. მაგრამ, როგორც კი აქ მოვედით, მივხვდი, რომ ხიდზე უნდა გადავიდე. ახლომდებარე დიდ ხიდზე.
- ააჰ, ანუ სიკოკუში მიდიხარ.

– ვწუხვარ, ბატონო ჰომინო, მაგრამ გეოგრაფია ცუდად ვიცი. თუ ხიდზე გადავალ, სიკოკუში ვიქნები?

– კი, თუ ახლომდებარე დიდ ხიდზე ამბობ, ეგ სიკოკუში გადაგიყვანს. სულ სამი დიდი ხიდია, ისე. ერთი კობეს ავასი კუნძულებთან აკავშირებს, შემდეგ კი ტოკუსიმასთან. მეორე, კურასიკის გავლით, საკაიდზე გადის. ერთიც ონომიჩისა და იმაბარს აკავშირებს. ერთი ხიდიც საკმარისი იქნებოდა, მაგრამ პოლიტიკოსებმა ამაშიც ჩაყვეს ცხვირი და სამი ხიდი აიგო, – ჰომინომ მაგიდის ფისის ზედაპირზე ცოტა წყალი გადმოღვარა და იაპონიის რუკა დახატა თითით, ჰონსიუსა და სიკოკუს დამაკავშირებელი სამი ხიდი გამოკვეთა.

– ეს ხიდები მართლა დიდია? – იკითხა ნაკატამ.

– უზარმაზარი ხიდებია.

– მართლა? ნაკატა ერთ-ერთ ამ ხიდზე უნდა გადავიდეს. სავარაუდოდ, იმაზე, რომელიც ყველაზე ახლოს არის. მერე გავიგებ, როგორ უნდა მოვიქცე შემდეგ.

– სადაც მიდიხარ, იქ არავის იცნობ?

– არა, იქ ნაკატა არავის იცნობს.

– სიკოკუსკენ მიმავალი ხიდი უნდა გადაკვეთო და მერე სადღაც წახვიდე?

– დიახ.

– და თან არც ის იცი, ეგ სადღაც სად არის?

– წარმოდგენა არ მაქვს. მაგრამ, როდესაც იქ მივალ, მეცოდინება.

– ო, ღმერთო ჩემო. – ჩაილაპარაკა ჰომინომ. თმა გადაიწია, კიკინა გაისწორა და «ტიუნტიის დრაკონების» კეპი დაიხურა.

შეკვეთილი მოუტანეს და ჭამას შეუდგნენ.

– გემრიელი ომლეტია, არა? – ჰკითხა ჰომინომ.

– დიახ, ძალიან გემრიელია. განსხვავდება იმ ომლეტებისგან, ნაკანოში რომ მიჭამია.

– კანსაიში იციან ასე. იმ უგემურ რაღაცას არ ჰგავს, ტოკიოში რომ ომლეტად ასაღებენ.

ორივე ჩუმად იჯდა და შეექცეოდნენ – ომლეტს, გრილზე შემწვარ სკუმბრიას, მოლუსკებიან სუპს, თალგამს ძმრით, ქორფა ისპანახს, ზღვის წყალმცენარეებს. ბრინჯის ერთი მარცვალიც არ დაუტოვებიათ. ნაკატა ყოველ ლუკმას ოცდაათორმეტჯერ ღეჭავდა, ამიტომ დიდი დრო დასჭირდა.

– დანაყრდი, ბატონო ნაკატა?

– დიახ. თქვენ, ბატონო ჰომინო?

– მეც. ასეთი დიდებული საუზმე მკვდარს გააცოცხლებდა, არა?

- დიას. ნამდვილად.
 - ტუალეტში გასვლა არ გინდა?
 - როცა ახსენეთ, მომინდა.
 - პირდაპირ, მერე მარჯვნივ.
 - თქვენ, ბატონო ჰომინო?
 - მოგვიანებით შევალ. ნუ იჩქარებ.
 - გმადლობთ. წავალ, დავიცლები.
 - ე, ჩუმად ილაპარაკე. ხალხი ჯერ კიდევ საუზმობს.
 - უკაცრავად, არც ისე ჭკვიანი ვარ.
 - არა უშავს. უბრალოდ წადი.
 - წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, კბილები რომ გამოვიხეხო?
 - არა. მიდი. დრო გვაქვს. რაც გინდა, ქენი. იცი რა, არა მგონია, ეგ ქოლგა დაგჭირდეს.
 - კარგი. დავტოვებ.
- როდესაც ნაკატა ტუალეტიდან დაბრუნდა, ჰომინოს ანგარიში უკვე გაესტუმრებინა.
- ბატონო ჰომინო, ფული მაქვს, ნება მომეცით საუზმის საფასური მაინც გადავიხადო.
- ჰომინომ თავი გააქნია.
- არა. ბაბუაჩემის ბევრი მმართველს. იმ დროს ტყუილით ვიქცეოდი.
 - გასაგებია. მაგრამ ბაბუათქვენი ხომ არა ვარ.
 - ეგ მე მომანდე, შენ ნუ იღელვებ. ნუ მეკამათები, კარგი? ნება მომეცი, გაგიმასპინძლდე.
- რამდენიმეწუთიანი ფიქრის შემდეგ ნაკატამ გადაწყვიტა, ახალგაზრდა კაცის ხელგაშლილობაზე უარი არ ეთქვა.
- დიდი მადლობა. შესანიშნავად ვისაუზმე.
 - ეე, სკუმბრია და ომლეტი იყო, დიდი ვერაფერი. რა საჭიროა ამდენი მადლობის გადახდა.
 - ბატონო ჰომინო, ნაკანოდან წამოსვლის შემდეგ ნაკატას მიმართ ყველა ისეთი კეთილია, ფული თითქმის არ დამიხარჯავს.
 - რა მაგარია! - გაუკვირდა ჰომინოს.

ნაკატამ მიმტანს თავისი პატარა თერმოსი ცხელი ჩაით აავსებინა და ფრთხილად ჩაიღო ჩანთაში.

– რაც შეეხება სივრცეში გამგზავრებას... – წამოიწყო ჰომინომ, როდესაც სატვირთო მანქანასთან მიბრუნდნენ.

– დიახ.

– იქ გამგზავრება რატომ გინდა?

– არ ვიცი.

– არც ის იცი, რატომ მიდიხარ და არც ის, სად მიდიხარ. მაგრამ მაინც უნდა წახვიდე სივრცეში?

– დიახ. ნაკატა დიდ ხიდზე უნდა გადავიდეს.

– და როცა მეორე მხარეს აღმოჩნდები, მოვლენებს ნათელი მოეფინება?

– ასე მგონია. ვიდრე ხიდზე არ გადავალ, ვერაფერს შევიტყობ.

– ჰმმ, ანუ ხიდზე გადასვლა ძალიან მნიშვნელოვანია.

– დიახ, უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ნებისმიერი სხვა რამ.

– ო, ღმერთო. – ჰომინომ თავი მოიფხანა.

ჰომინოს საწყობთან უნდა მიეყვანა მანქანა, ავეჯის გადასატვირთად, ამიტომ ნაკატას უთხრა, ნავსადგურთან ახლოს, პატარა პარკში დამელოდეთ.

– არ წახვიდე აქედან სადმე, კარგი? – გააფრთხილა ჰომინომ, – ტუალეტი აქვეა, წყლის სოკოც. ყველაფერი გაქვს, რაც შეიძლება დაგჭირდეს. სადმე თუ წახვალ, უკან დასაბრუნებელი გზა შეიძლება ვეღარ იპოვო.

– მესმის. ნაკანოში აღარ ვარ.

– სწორედაც. ეს ნაკანო არაა. ამიტომ აქ ჩამოჯექი, მალე დავბრუნდები.

– კარგი. აქ ვიქნები.

– კარგია. როგორც კი გადაზიდვას დავასრულებ, მაშინვე დავბრუნდები.

ნაკატა ისე მოიქცა, როგორც დაარიგეს, არ წამომდგარა სკამიდან, ტუალეტშიც კი არ გასულა. დიდხანს ერთ ადგილზე გაჩერება არ უჭირდა. გაუნძრევლად ჯდომა მისი პროფესია იყო.

აქედან ზღვა მოჩანდა. ძალიან, ძალიან დიდი ხანი იყო, რაც ზღვა აღარ ენახა. ბავშვობაში ოჯახთან ერთად რამდენჯერმე იყო ზღვის პირას. საცურაო კოსტიუმს ამოიცვამდა, ჭყუმპალაობდა, ზღვის მიტევების დროს ნიჟარებს აგროვებდა. ბუნდოვნად ახსოვდა ზღვაზე გატარებული დღეები. თითქოს ყველაფერი სადღაც სხვა სამყაროში ხდებოდა. მას შემდეგ ზღვა აღარ უნახავს. იამანასის მთებში მომხდარი უცნაური ამბის შემდეგ ტოკიოს სკოლაში დააბრუნეს. გონს მოვიდა, ჯანმრთელად იყო, მაგრამ, თითქოს გონებიდან გადაშალესო, წერაკითხვის უნარი ვეღარ აღიდგინა. მანამდე შეძენილი ცოდნა დაკარგა, განზოგადებულად ფიქრის უნარიც. სკოლა მაინც დაამთავრებინეს. ვერ სწავლობდა, არაფერი ესმოდა, ჩუმად

იჯდა საკლასო ოთახის კუთხეში. მასწავლებლის მითითებებს ემორჩილებოდა. არავის აწუხებდა, მასწავლებლებს ავიწყდებოდათ კიდეც მისი არსებობა. სტუმარივით უფრო იყო, ვიდრე მოსწავლესავით.

მალე მიავიწყდათ, იმ შემთხვევამდე უმაღლეს შეფასებებს რომ იმსახურებდა. ახლა სასკოლო ღონისძიებები უიმისოდ იმართებოდა. მეგობრები არ ჰყოლია. თუმცა ამას არც განიცდიდა. მარტო მყოფს შეეძლო, საკუთარ პატარა სამყაროში ყოფილიყო. მთელი სულით და გულით მხოლოდ კურდღლებსა და თხებს უვლიდა, უკანა ეზოში ყვავილების მოვლა და საკლასო ოთახების დასუფთავება სიამოვნებდა. მუდმივად მომდიმარეს, ეს ერთფეროვანი საქმე არასოდეს სწყინდებოდა.

სახლშიც მიივიწყეს. მშობლები მიხვდნენ, მათი უფროსი ვაჟი კითხვას და სწავლას ვეღარ შეძლებდა, ამიტომ ნაკატაზე უარი თქვეს და მისი უმცროსი ძმებისკენ მიმართეს მთელი ყურადღება. ნაკატა სწავლის გაგრძელებას უმაღლეს სასწავლებელში ვეღარ შეძლებდა, ამიტომ დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ, დედამისის ქალაქში, ნაგანოში, ნათესავებთან გაგზავნეს საცხოვრებლად. იქ სასოფლო-სამეურნეო სკოლაში შეიყვანეს. რადგან კითხვა არ იცოდა, დავალებების შესრულება ძალიან უჭირდა. მდელოზე მუშაობა უყვარდა. თავის კლასელებს რომ არ ეწვალეზინათ, იქნებ ფერმერიც გამხდარიყო. უყვარდათ ამ ქალაქელი ბავშვის ცემა. ისე ხშირად სცემდნენ (ყურზე სამუდამოდ დარჩა ნაჭრილობევი), რომ ბებია-ბაბუამ სკოლიდან გამოიყვანა. ნაკატა ჩუმი, დამჯერი ბავშვი იყო და ბებია-ბაბუას ძალიან უყვარდა.

ამ პერიოდში აღმოაჩინა, რომ კატების ენა ესმოდა. რამდენიმე კატა ჰყავდათ სახლში, მათ დაუმეგობრდა. თავიდან რამდენიმე სიტყვას თუ აგებინებდა. ამ საქმემ ისე გაიტაცა, თითქოს უცხო ენას სწავლობდა და მალე ხანგრძლივი საუბრების გაზმაც შეძლო კატებთან. როდესაც თავისუფლდებოდა, აივანზე ჩამოჯდებოდა და კატებს ელაპარაკებოდა. კატებმა ბუნებისა და გარემომცველი სამყაროს შესახებ უამრავი რამ ასწავლეს. ნაკატამ ძირითადი ცოდნა მეგობარი კატებისგან შეიძინა.

თხუთმეტი წლისა, ახლომდებარე ავეჯის ქარხანაში ხეზე მუშაობის შესასწავლად გაგზავნეს. ხის ნაწარმის პატარა მაღაზია უფრო იყო, ვიდრე ქარხანა. ტრადიციულ ავეჯს ამზადებდნენ. აქ დამზადებულ სკამებს, მაგიდებს და სკივრებს ტოკიოში გზავნიდნენ. ნაკატას ხეზე მუშაობა შეუყვარდა. უფროსს ძალიან მოსწონდა მარჯვე ხელების გამო, პატარა დეტალიც არ გამორჩებოდა, ცოტას ლაპარაკობდა და არასოდეს წუწუნებდა. სქემების წაკითხვა და ციფრების შეკრება არ ეხერხებოდა, მაგრამ, თუ ამას არ ჩავთვლით, რასაც ხელს მოჰკიდებდა, ყველაფერი გამოსდიოდა. წარმოების სქემას რომ დაიმახსოვრებდა, უსასრულოდ, დაუღლეოდ შეეძლო გაემეორებინა. ორწლიანი სასწავლო კურსის შემდეგ სრულ განაკვეთზე დაასაქმეს.

ნაკატამ ორმოცდაათ წლამდე იმუშავა, არასდროს ხიფათი არ შემთხვევია, არ უავადმყოფია. არ სვამდა, არ ეწეოდა, ადრე იძინებდა, არც ბევრს ჭამდა. ტელევიზორს არ უყურებდა, რადიოს მხოლოდ დილით უსმენდა, გამამხნეველებელი ვარჯიშის დროს. ყოველდღე ავეჯს ამზადებდა. ბებია და ბაბუა გარდაეცვალა, მერე – მშობლებიც დაეხოცა. ყველას მოსწონდა,

მაგრამ ახლო მეგობრები არ ჰყოლია. ალბათ ასეც იყო მოსალოდნელი. ნაკატასთან სასაუბრო თემები ყველას ათ წუთში ეწურებოდა.

თავი მართოსულად ან უბედურად არასოდეს უგრძნია. სექსუალური ლტოლვა არასდროს განუცდია, არც ვინმესთან ყოფნის სურვილი გასჩენია. მართალია, ეს არავის შეუმჩნევია, მაგრამ ფიქრობდა, ჩემი ჩრდილი სხვებისაზე უფრო ფერმკრთალი და უფრო ღიააო. მხოლოდ კატებს ესმოდათ მისი. დასვენების დღეებს პარკში ატარებდა მათთან მუსაიფში. საოცარია, რომ კატებთან სასაუბრო თემები არასდროს ელეოდა.

ნაკატა 52 წლის იყო, როდესაც ავეჯის მწარმოებელი კომპანიის მფლობელი გარდაიცვალა. მაღაზიაც მალე დაიხურა. ეს უხეში, მუქი, ტრადიციული ავეჯი იმდენი აღარ იყიდებოდა, როგორც ადრე. ხელნაკეთი ავეჯის მწარმოებლები ასაკში შედიოდნენ, ახალგაზრდებს კი ეს საქმე არ აინტერესებდათ. თვითონ მაღაზია, ოდესღაც მინდვრის შუაგულში რომ იდგა, ახლა შენობებით იყო გარშემორტყმული. საყვედურები მატულობდა და მატულობდა, რადგან მაღაზიაში ხის ნახერხის დაწვის დროს ხმაური და სუნი დგებოდა. მეპატრონის ვაჟს, რომელიც ქალაქში მუშაობდა, საბუღალტრო კომპანიაში, ამ ბიზნესის ინტერესი არ ჰქონდა და ამიტომ, როცა მამა გარდაეცვალა, თავისი საკუთრება უძრავი ქონების დეველოპერს მიჰყიდა.

დეველოპერმა მაღაზია დაანგრია, საძირკველი ჩაუყარა, და, თავის მხრივ, მიჰყიდა მენაშენეს, რომელმაც ექვსსართულიანი კორპუსი ააშენა. ამ შენობის ყოველი საცხოვრებელი ბინა პირველსავე დღეს გაიყიდა. აი, ასე დაკარგა ნაკატამ სამსახური. ამ კომპანიას ვალები ჰქონდა გასასტუმრებელი და ამიტომ პენსიაზე გასვლის დროს მან მხოლოდ გროშები მიიღო. ახალი სამსახური ვეღარ იშოვა. ვინ აიყვანდა სამსახურში 50 წელს გადაცილებულ წერა-კითხვის უცოდინარ კაცს, რომელმაც მხოლოდ ხელნაკეთი ძველებური ავეჯის დამზადება იცოდა.

37 წლის განმავლობაში ნაკატამ ისე იმუშავა, რომ ერთი დღეც არ გაუცდენია. ადგილობრივი ფოსტის შემნახველ სალაროში კარგა სოლიდური დანაზოგი დაუგროვდა. ძალიან ცოტას ხარჯავდა, ამიტომ ამ დანაზოგით იმ შემთხვევაშიც იცხოვრებდა უზრუნველად, თუ სამსახურს ვერ იშოვიდა. რადგან წერა-კითხვის უცოდინარი იყო, სითი ჰოლში მომუშავე ბიძაშვილმა ანგარიში გაუხსნა. ეს ბიძაშვილი გულკეთილი კი იყო, მაგრამ დიდი გამჭრიახობით არ გამოირჩეოდა – უძრავი ქონების უნამუსო ბროკერმა გააბრიყვა და სათხილამურო კურორტზე საცხოვრებლის მშენებლობაში ინვესტიცია ჩაადებინა. ნაკატას ბიძაშვილი მალე ვალებში ჩაეფლო. ამავე პერიოდში ნაკატამ სამსახური დაკარგა, მისი ბიძაშვილი კი ოჯახიანად გაუჩინარდა მევალებებისგან თავდასაღწევად. როგორც ამბობდნენ, იაკუძას კლანის წევრები დაეძებდნენ. არავინ იცოდა, სად გაუჩინარდა ნაკატას ბიძაშვილი ოჯახიანად, ან ისევე ცოცხლები იყვნენ თუ არა.

ერთხელ ნაკატამ ნაცნობს სთხოვა, საფოსტო ოფისში მისულიყო მის ანგარიშზე ბალანსის შესამოწმებლად. აღმოჩნდა, რომ მხოლოდ რამდენიმე ასეული დოლარიღა იყო ანგარიშზე დატოვებული და მისი საპენსიო თანხაც, რომელიც პირდაპირ ამ ანგარიშზე გადაირიცხა, სადღაც გამქრალიყო. ნაკატა ძალიან უიღბლო აღმოჩნდა, სამსახურიც დაკარგა და ჯიბეგაფხეკილი დარჩა. ნათესავები ნაკატას მიმართ სიმპათიით იყვნენ განწყობილი, მაგრამ

მათი დანაზოგებიც იმ ბიძაშვილმა გაანიავა და ამიტომ არც ერთ მათგანს არ ჰქონდა ნაკატას დახმარების საშუალება.

ბოლოს ნაკატას უმცროსი ძმებიდან უფროსმა გადაწყვიტა, მისთვის დროებით მიეხედა. მას მშობლებისგან მემკვიდრეობით პატარა საცხოვრებელი შენობა ერგო ნაკანოში და თავის ძმას სახლის ერთი ნაწილი შესთავაზა საცხოვრებლად. ის განაგებდა ნაკატასთვის მშობლების მიერ მემკვიდრეობით დატოვებულ მცირეოდენ თანხასაც და მანვე მოაგვარა, რომ ნაკატას ტოკიოს ცენტრალური მთავრობისგან ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთათვის განკუთვნილი შემწეობა მიეღო. ასე იზრუნეს ძმებმა. მიუხედავად იმისა, რომ წერა-კითხვა არ იცოდა, ნაკატას შეეძლო, დამოუკიდებლად მიეხედა საკუთარი თავისთვის. თან ქირის პრობლემაც მოუგვარდა.

ძმებს იშვიათად ჰქონდათ მასთან ურთიერთობა. როდესაც ტოკიოში დაბრუნდა, რამდენჯერმე მოინახულეს. თითქმის ოცდაათი წლის განმავლობაში სხვაგან ცხოვრობდნენ, მათი არსებობის წესი ნაკატას ყოველდღიურობისგან ბევრად განსხვავდებოდა. არც ერთ ძმას ნაკატას მიმართ გრძნობები არ გააჩნდა, არც დრო ჰქონდათ გონებასუსტი ძმისთვის – საკუთარ კარიერაზე ზრუნავდნენ.

ნაკატა ნათესავების გულგრილობას არ გაუნაწყენებია. მარტობას იყო მიჩვეული და, თუ ვინმე შეეცდებოდა, მასზე ეზრუნა, იძაბებოდა. არც კი გაბრაზებულა, ბიძაშვილმა დანაზოგი რომ გაუფლანგა. ესმოდა, ძალიან ცუდი რამ მოხდა, მაგრამ გულდაწყვეტილი არ იყო. არ იცოდა, რა არის დასასვენებელი სახლი, ან ინვესტირება რას ნიშნავს, ან ვალის აღება. მისი სამყარო მწირი ლექსიკით შემოიფარგლებოდა.

ნაკატას მხოლოდ ორმოცდაათი დოლარის მნიშვნელობა ესმოდა. ნებისმიერი ამაზე დიდი თანხა – ათასი დოლარი, ათი ათასი, თუ ასი ათასი – მისთვის სულერთი იყო. უამრავი ფული – მხოლოდ ეს შინაარსი ჰქონდა. თავისი დანაზოგი არასოდეს ენახა. მხოლოდ უთხრეს, ანგარიშზე ესა და ეს თანხა გაქვსო, რაც მისთვის აბსტრაქტული ცნება აღმოჩნდა. ამიტომ, როდესაც ყველაფერი გაქრა, დანაკარგი ვერ იგრძნო.

ნაკატა კმაყოფილი იყო იმ პატარა ბინაში ცხოვრებით, რომლითაც ძმამ უზრუნველყო, ყოველთვიურად შემწეობას იღებდა, ავტობუსის ბილეთით სარგებლობდა და პარკში მიდიოდა კატებთან სასაუბროდ. ნაკანოს ეს პატარა კუთხე მის სამყაროდ იქცა. ძაღლებისა და კატების მსგავსად, მანაც თავისთვის მოინიშნა ტერიტორია, საზღვარი გაავლო, რომლის იქითაც, გარდა უჩვეულო შემთხვევებისა, არასდროს გადააბიჯებდა. ასე თავს დაცულად გრძნობდა. არც დაუკმაყოფილებლობის განცდა გასჩენია, არც ბრაზი, არც მარტობის განცდა, არც გაღიზიანება ან წუხილი მოუხერხებელი და რთული ცხოვრების გამო. ათ წელზე მეტი ხნის მანძილზე, ასე იცხოვრა და არსებულთ ტკბებოდა.

ვიდრე ჯონი უოკერი არ გამოჩნდა.

წლები იყო გასული, რაც ნაკატას ზღვა არ ენახა. არც ნაგანოს პრეფექტურაში, არც ნაკანოში ზღვა არ იყო. მხოლოდ ახლა მიხვდა, ზღვა რომ დაჰკარგვოდა. ამდენი წელს ამაზე არ უფიქრია. რადენჯერმე თავი დააქნია, თითქოს ამ ფაქტს ადასტურებსო. ქუდი მოიხადა,

ხელისგული მოკლედ შეკრეჭილ თმაზე გადაისვა, ისევ დაიხურა და ზღვას გახედა. ზღვის შესახებ ის იცოდა, რომ ეს არის თევზების ძალიან დიდი და მლაშე სამყოფელი.

იქ იჯდა, სკამზე, ზღვის სურნელს შეიგრძნობდა, თოლიებს შეჰყურებდა, რომლებიც მის თავზე წრებს უვლიდნენ, გასცქეროდა გემებს, რომლებსაც ნაპირიდან შორს ჩაეშვათ ლუზა. არასდროს მოსწყინდებოდა ამ ხედის ყურება. დროდადრო რომელიმე თეთრი თოლია პარკში ზაფხულის მწვანე ბალახით მოფენილ მიწაზე დაეშვებოდა. მწვანეზე თეთრი მშვენიერი იყო. ნაკატამ თოლიის მოხმობა სცადა, როდესაც ის ბალახში დადიოდა, მაგრამ მან არაფერი უპასუხა, მხოლოდ ცივად შეხედა. კატები არ შეუმჩნევია, მხოლოდ თოლიები და ბელურები იყვნენ პარკში. თერმოსიდან ჩაი მოსვა. წვიმა წამოვიდა და ნაკატამ თავისი ძვირფასი ქოლგა გაშალა.

თორმეტი საათისთვის, სწორედ იქამდე, ვიდრე ჰომინო დაბრუნდებოდა, წვიმა შეწყდა. ნაკატა იმ სკამზე დახვდა, სადაც დატოვა, ქოლგა დაეხურა, ზღვას გასცქეროდა. ჰომინოს სატვირთო მანქანა სადღაც დაეტოვებინა და ტაქსით მოსულიყო.

– მაპატიე, დიდი დრო დაგვჭირდა, – მოუბოდიშა ჰომინომ. მხარზე ჩანთა გადაეკიდა, – მეგონა, სწრაფად დავამთავრებდით, მაგრამ რა არ გამოტყვრა! ყველა საწყობში აუცილებლადაა თითო ტიპი, რომელიც ვერარის.

– არა უშავს. აქ ვიჯექი, ზღვას ვუყურებდი.

– ჰმმ... – ჩაიბურღუნა ჰომინომ. გაიხედა, მაგრამ მხოლოდ ძველი, გაძვალტყავებული ზვირთსაქცევი და წყლის ზედაპირზე მოტივტივე ზეთი შენიშნა.

– დიდი ხანია, ზღვა არ მინახავს.

– მართლა?

– ბოლოს დაწყებით კლასებში სწავლის დროს ვნახე. ენოშიმაში ვიყავით ზღვის სანაპიროზე.

– დიდი ხნის წინ იქნებოდა, თავს დავდებ.

– იმ დროს იაპონია ამერიკელებს ჰქონდათ ოკუპირებული. ენოშიმას პლაჟი ამერიკელი ჯარისკაცებით იყო გაჭედული.

– ლადაობ?

– არ ვლადაობ.

– კარგი ერთი, იაპონია ამერიკას ოკუპირებული არ ჰქონია!

– ნაკატამ დეტალები არ იცის, მაგრამ ამერიკას ჰყავდა თვითმფრინავები, რომლებსაც ერქვათ B-29. უამრავი ბომბი ჩამოყარეს ტოკიოში და მე იამანასის პრეფექტურაში წავედი. იქ გავხდი ავად.

- ჰოო? რა მნიშვნელობა აქვს. ხომ გითხარი, გრძელი ისტორიები არ მევასება. მოკლედ, წავიდეთ რა. იმაზე დიდი დრო დამჭირდა, ვიდრე მეგონა, დროულად თუ არ წავალთ, დაგვიბნელდება.
- სად მივდივართ?
- სიკოკუზე, რა თქმა უნდა. ხიდზე გადავალთ. სიკოკუზე მინდა წასვლაო, არ მითხარი?
- დიახ. მაგრამ თქვენი სამსახური?
- ნუ იღარდებ. არსად გამექცევა. ისედაც ვაპირებდი რამდენიმე დღით დასვენებას. გარდა ამისა, სიმართლე გითხრა, სიკოკუზე არასოდეს ვყოფილვარ. თან ვნახავდი კიდეც. თან არც კითხვა იცი, არა? შენთან თუ ვიქნები, ბილეთებს უფრო ადვილად იყიდი. თუ, რა თქმა უნდა, ჩვენს ერთად მოგზაურობაზე უარს არ იტყვი.
- არა, ნაკატა გაიხარებს, გვერდით თუ ეყოლებით.
- ჰო და, დავიძრათ. უკვე შევამოწმე ავტობუსის გასვლის დრო. სიკოკუ, მოვდივართ!

23

თვალის შევლებაც საკმარისია იმის მისახვედრად, რომ ამ სამყაროს არ ეკუთვნის, თუმცა არ ვიცი, სიტყვა „მოჩვენება“ რამდენად შეეფერება.

ტანით ვგრძნობ ოთახში ვიღაცის ყოფნას, უეცრად ვიღვიძებ, აქაა. შუალამეა, ოთახს ფანჯრიდან მთვარის შუქი ეცემა. მახსოვს, დაწოლამდე ფარდები ჩამოვუშვი, ახლა კი გადაწეულია. გოგონას სილუეტი მკაფიოდ ჩანს, მთვარის თეთრ შუქშია გახვეული. ჩემი ტოლი უნდა იყოს, თხუთმეტის ან თექვსმეტის, უფრო თხუთმეტის. თხუთმეტსა და თექვსმეტს შორის დიდი სხვაობაა. პაწაწინაა და გამხდარი, გამართული დგას. თმა მხრებამდე სწვდება, წინამო აქვს. ლურჯი, არშიაშემოვლებული კაბა აცვია, ფეხსაცმელი ან წინდები კი – არა. მაჯები ფაქიზად აუკეცავს. კაბას მრგვალი, შეხსნილი საყელო აქვს. ლამაზი ყელი უჩანს.

საწერ მაგიდასთან ზის, ნიკაპი ხელებზე დაუყრდნია, კედელს შეჰყურებს, ფიქრობს. რთულ ფიქრებში არ უნდა იყოს გართული, უფრო ძველ, სასიამოვნო, ტკბილ მოგონებებში. დროდადრო ტუჩებზე ღიმილი უკრთება. მთვარის შუქზე მოთამაშე ჩრდილებში მისი სახის

გამომეტყველებას ვერ ვარჩევ. არ მინდა, ხელი შევეშალო, თავს ვიმძინარებ, სუნთქვას ვიკრავ და ვცდილობ, შეუმჩნეველი დავრჩე.

მოჩვენება უნდა იყოს. ჯერ ერთი, ძალიან, ძალიან ლამაზია. თვალისმომჭრელი გარეგნობა აქვს, მაგრამ მხოლოდ ამაში არ არის საქმე. იმდენად სრულყოფილია, რეალური ვერ იქნება. სიზმრიდან გადმოსულს ჰგავს. მისი დახვეწილი სილამაზე სევდას მგვრის. რაღაც უცნაურის ხილვა ჩემში მუდამ ამგვარ განცდას იწვევს.

გადასაფარებელში ვარ გახვეული, სუნთქვაშეკრული. ის ისევ სამუშაო მაგიდასთან ზის, ხელებზე ნიკაპდაყრდნობილი, თითქმის არ ინძრევა. ზოგჯერ შეუმჩნეველად ნიკაპს ან თავს ამოდრავებს. ოთახში სხვა არაფერი იძვრის. ფანჯრიდან დიდ აყვავებულ შინდის ხეს ვხედავ, მთვარის შუქზე მოელვარეს. ქარი არ ქრის, არაფრის ხმა არ ისმის. თითქოს მოკვდი. მოკვდი და ამ გოგონასთან ერთად ვულკანის ყელში ჩავიძირე.

უეცრად ხელებს ნიკაპს აშორებს და კალთაზე იწყობს. კაბის კალთა მის ფერმკრთალ მუხლებს აჩენს. კედელს თვალს სწყვეტს და ჩემკენ იხედება. შუბლზე თმას ისწორებს, ქალწულის თხელი თითებით შუბლს ეხება, თითქოს რაღაც მივიწყებულის გახსენებას ცდილობს. ჩემკენ იყურება. გული გამალეობით მიცემს, მაგრამ ვხვდები, მე არ მიყურებს, სადღაც ჩემ მიღმა იცქირება.

ვულკანის ყელში სიჩუმეა. წლებია, რაც ვულკანი ჩამქრალია. ვულკანის ყელში ტალახივით გროვდება მარტოობა. აქაურობას სიცოცხლის ნიშან-წყალიც არ ეტყობა.

არ ვიცი, რამდენ ხანს მიყურებს, არც ის ვიცი, მე მიყურებს, თუ ჩემი მიმართულებით სადღაც სხვაგან იყურება. აქ დრო არ გადის, ის მხოლოდ ფართოვდება და იკუმშება გულთან ერთად.

მოულოდნელად გოგონა დგება და კარისკენ მიაბიჯებს. დახურულ კარში უხმოდ უჩინარდება.

საწოლში ვრჩები. თვალეები ოდნავ მაქვს გახელილი და კუნთსაც არ ვარხევ. შესაძლოა, უკან დაბრუნდეს. მინდა, დაბრუნდეს. მაგრამ არ ბრუნდება. თავს მალლა ვწევ, საათის მანათობელ ციფრებს დავყურებ, 3:25-ია. ვდგები, იმ სკამს ვუახლოვდები, რომელზეც იჯდა. თბილი არ არის. მაგიდის ზედაპირს ვამოწმებ, იქნებ რამე ვიპოვო, თუნდაც თმის ღერი. მაგრამ არაფერია. ვზივარ სკამზე, ლოყებს ვიფშვნეტ ხელისგულებით და ღრმად ვსუნთქავ.

ფარდებს ვაფარებ, ვწვები, დაძინებას ვერაფრით ვახერხებ. ამ არამიწიერ გოგონაზე ვფიქრობ. ასე უცხოდ და საშინლად არაფერს აუჩქროლებია ჩემთვის გული, იქ ფესვები არ გაუდგამს და არ გაზრდილა. ნეკნების გალიაში გამომწყვდეული გული ფართოვდება და იკუმშება.

შუქს ვანთებ, გათენებას ველი, საწოლში ვზივარ. ვერ ვკითხულობ, მუსიკას ვერ ვუსმენ. იქ ჯდომის გარდა ვერაფერს ვაკეთებ, გათენებას ველი. ცა ოდნავ რომ ნათდება, მეძინება. როცა ვიღვიძებ, ბალიში ცივია და ცრემლებით დასველებული. მაგრამ რამ ამატირა? ცხრისთვის ოშიმა მოდის «მიატათი». ბიბლიოთეკას გასაღებად ვამზადებთ. მოგვიანებით ყავას ვუხარშავ. მასწავლა ყავის მომზადება. ყავის მარცვლები ხელით უნდა დაფქვა, წყალი ვიწროყელიანი ჩაიდნით აადულო, აცადო წყალს, დადგეს, შემდეგ ნელა, ძალიან ნელა, დაასხა

წყალი ქაღალდის ფილტრს. ოშიმა ყავას ერთ მწიკვ შაქარს ამატებს, ნალებს – არასდროს, ასე ჯობიაო, ამტკიცებს. ჩემთვის ერთ გრეის ვიმზადებ.

ოშიმას წაბლისფერი მოკლესახელოებიანი პერანგი აცვია თეთრ ტილოს შარვალზე. სათვალეს სუფთა ცხვირსახოცით წმენდს.

– უძილო ჩანხარ.

– რაღაც მინდა გთხოვო.

– მიდი.

– მინდა „კავკა პლაჟზე“ მოვისმინო. ჩანაწერს მიშოვი?

– CD რომ იყოს?

– ორიგინალი ჩანაწერი მინდა მოვისმინო, ფირფიტა ჯობია. რა თქმა უნდა, ფირსაკრავის შოვნაც მოგვიწევს.

ოშიმა საფეთქლებზე იდებს ხელს და ფიქრობს.

– ძველი ფირსაკრავი უნდა იყოს საკუჭნაოში. იმედია, მუშაობს.

პატარა ოთახში გავდივართ, რომელიც მანქანების სადგომს გაჰყურებს. ოთახი უფანჯროა, მხოლოდ შუშის ჭერი აქვს. გარშემო მიმოფანტულია სხვადასხვა დროს შემოზიდული ნივთები, ავეჯი, ჭურჭელი, ჟურნალები, ტანსაცმელი, ნახატები. ზოგი ძვირფასი უნდა იყოს, ზოგს ეტყობა, რომ აღარაფრად არ ღირს.

– ერთხელაც ამ ყველაფრის თავიდან მოშორება მოგვიწევს, – ამბობს ოშიმა, – მაგრამ ამ ნაბიჯის გადადგმა ყველას უჭირს.

ოთახის შუაგულში დრო-ჟამისგან დავიწყებულ, ძველ ფირსაკრავს ვპოულობთ. თეთრი მტვრის თხელი ფენითაა დაფარული, თვითონ ფირსაკრავი კარგ მდგომარეობაშია, თუმცა უკვე ოცდახუთი წელია, რაც მოძველდა. ძველი ფირფიტების კოლექციასაც ვპოულობთ, ძირითადად, სამოციანი წლების პოპ-მუსიკაა: ბითლზი, როლინგ სტოუნზი, ბიზ ბოიზი, საიმონი და გარფანკელი, სტივ უანდერი. ოცდაათი ალბომი იქნება. ზოგიერთ მათგანს კონვერტიდან ვიღებ. ჩანს, პატრონი კარგად უვლიდა, ნაკაწრები არა აქვთ.

საკუჭნაოში გიტარაც არის, სიმები ზედა აქვს, ჟურნალების დასტაც, რომელთა სახელებიც აქამდე არ მსმენია და ჩოგბურთის ძველებური ჩოგანიც – არც ისე შორეული წარსულის გადმონაშთები.

– ალბათ, ეს ყველაფერი ქალბატონი საეკის მეგობარი ბიჭისაა, – ამბობს ოშიმა, – როგორც უკვე გითხარი, ამ შენობაში ცხოვრობდა, ალბათ მისი ნივთები ქვემოთ ჩამოიტანეს. ფირსაკრავი კი უფრო ახალი უნდა იყოს.

ფირსაკრავი და ფირფიტები ჩემს ოთახში გადაგვაქვს. პაწაწინა მწვანე ნათურა ინთება და ფირსაკრავი ბრუნვას იწყებს. ვამოწმებ – კარგი ნემსი აქვს. მერე ოშიმა წითელ ფირფიტას

იღებს, Sgt. Pepper's Lonely Hearts Club Band-ს ფირსაკრავზე დებს. ნაცნობი გიტარის ინტროა. ხმა გაცილებით სუფთაა, ვიდრე მოველოდი.

– იაპონიას უამრავი პრობლემა აქვს, – ღიმილით მეუბნება ოშიმა, – მაგრამ მუსიკალური სისტემა მათ შორის ნამდვილად არ არის. ამ ნივთს წლების მანძილზე იყენებდნენ და დღესაც შესანიშნავი ჟღერადობა აქვს.

ბითლზის ალბომს ვუსმენთ. CD ვერსიასთან შედარებთ, ხმა რადიკალურად განსხვავებულია.

– ფირსაკრავი უკვე გვაქვს, – ოშიმა ამბობს, – აი „კაფკა პლაჟზე“ კი შეიძლება ვერც ვიშოვოთ. დღეს იშვიათადღა შეგხვდება. იცი რა, დედაჩემს ვკითხავ. ექნება სადმე გადამალული. ან ეცოდინება, ვისა აქვს.

თავი დავუქნიე.

ოშიმა თითხ მალლა სწევს, მასწავლებელივით, მოსწავლეს რომ აფრთხილებს.

– კიდევ ერთი რამ. ქალბატონი საეკის აქ ყოფნის დროს არ ჩართო. არავითარ შემთხვევაში. გესმის?

ისევ თავი დავუქნიე.

– როგორც „კასაბლანკაშია“. – ამბობს და As Time Goes By-ს ღიღინებს.

– ოშიმა, რაღაც მინდა გკითხო. აქ 15 წლის გოგონა მოდის ხოლმე?

– აქ სად? ბიბლიოთეკაში?

თავი დავუქნიე.

ოშიმა თავს გვერდზე ხრის და ფიქრობს.

– არა, რამდენადაც მახსოვს, – ისე მიყურებს თითქოს სარკმლიდან ოთახში იჭყიტებოდეს, – უცნაური რამ მკითხე.

– ცოტა ხნის წინ ვნახე.

– როდის?

– წუხელ.

– წუხელ 15 წლის გოგონა ნახე აქ?

– ჰო.

– როგორი გოგო იყო?

ვწითლდები.

– ჩვეულებრივი გოგო. მხრებამდე თმა ჰქონდა. ლურჯი კაბა ეცვა.

– ლამაზი იყო?

თავი დავუქნიე.

– სექსუალური ფანტაზია იქნებოდა, – ოშიმა იკრიჭება, – სამყაროში უამრავი უცნაური რამ ხდება. შენი ასაკის ჯანსაღი, ჰეტეროსექსუალი ბავშვისთვის ასეთი ფანტაზიები უცნაური არ არის.

გამახსენდა, ოშიმამ ქოხში სრულიად შიშველი რომ მნახა და კიდევ უფრო გავწითლდი.

ლანჩზე ოშიმა უხმოდ მიწვდის კვადრატულ კონვერტში მოთავსებულ ფირფიტას „კაფკა პლაჟზე“.

– დედაჩემს ჰქონია ხუთი ცალი, წარმოგიდგენია? რა თავშენახული ქალია. ტყის ვირთხას მოუჭამია კიდე, მაგრამ, მგონი, საწუწუნო მაინც არ გვაქვს.

– გმადლობ.

ჩემს ოთახში ვბრუნდები და კონვერტიდან ფირფიტას ვიღებ. ახალთახალივით გამოიყურება. კონვერტზე ქალბატონი საეკია გამოსახული. ოშიმას თქმით, აქ 19 წლისაა, ფორტეპიანოსთან ზის ხმისჩამწერ სტუდიაში. პირდაპირ კამერას უცქერს, სცენაზეა, ნიკაპი ხელებზე აქვს ჩამოყრდნობილი, თავი ოდნავ მიუბრუნებია, მორცხვი, გულწრფელი ღიმილი აქვს. ტუჩები სახეზე ლამაზად აქვს მომუწული. მაკიაჟი არა აქვს. თმა უკან შეუკრავს პლასტმასის სამაგრიტო, რომ სახეზე არ ჩამოეყაროს, კულულებს შორის მარჯვენა ყურის ნაწილი მოუჩანს. მოკლე და განიერი ღია ცისფერი კაბა აცვია. მარცხენა მაჯაზე ვერცხლის სამაჯური უკეთია, ერთადერთი სამკაული. მისი კოპწია ფეხსაცმელები ფორტეპიანოს სკამთან აწყვია, შიშველი ფეხები მშვენიერი აქვს.

რადაცის სიმბოლოს ჰგავს. განსაზღვრულ დროს, განსაზღვრულ ადგილას ბედნიერი შემთხვევითობის წყალობით აღმოცენებულ სულს. მუდმივ, მიამიტ უცოდველობას აფრქვევს, არასდროს რომ არ შეიბღალემა. ამ ფოტოზე დროა გაყინული. 1969 წელია. იმ დროს დაბადებულნიც არ ვიყავი.

გოგონა, რომელიც წუხელ ჩემს ოთახს ესტუმრა, ქალბატონი საეკი იყო! წამითაც არ შემპარვია ეჭვი, მაგრამ მტკიცებულება მჭირდებოდა. ცხრამეტი წლის ქალბატონი საეკი, გაზრდილია, დაქალბული. მას თხუთმეტი წლის ქალბატონ საეკის ვადარებ – ცხრამეტი წლის გოგონას სახის ნაკვთები უფრო შთამბეჭდავია, უფრო დახვეწილი. 15 წლის გოგონას სახეზე კი ერთგვარი სიჯიუტე იყო აღბეჭდილი. სხვა მხრივ ერთმანეთის იდენტურები არიან. ფოტოზე აღბეჭდილი ღიმილი გუშინ ვიხილე. ნიკაპიც ასე ჩამოეყრდნო ხელებზე და თავიც ასე ეჭირა. და ახლაც ქალბატონ საეკიში, ჩვენს თანამედროვე ქალბატონ საეკიშიც, იმავე გამომეტყველებას და შესტიკულაციას ვამჩნევ. მისი გარეგნობით მოხიბლული ვარ. მისი არაამქვეყნიურობაც არ შეცვლილა. აღნაგობაც იგივე აქვს.

თუმცა ამ ცხრამეტი წლის გოგონას აქვს რაღაც, რაც შუახნის ქალმა სამუდამოდ დაკარგა. ენერჯია?! ხილული არაფერი, ეს რაღაც უფეროა, გამჭვირვალე, კლდეებიდან გამოჟონილი ნაკადულივით. ეს ბუნებრივი, შეურყენელი მიმზიდველობა გულს გიკოდავს. ეს ბრწყინვალე ენერჯია ფორტეპიანოსთან მჯდომი გოგონას მთელი არსებიდან იღვრება. შეხედავ თუ არა ამ

ბედნიერ ღიმილს, გული გიჩქარდება. და ეს განცდა დიდხანს მიგყვება, ციციანათელას ციმციმივით, რომელიც სიბნელეში გაუჩინარების შემდეგ კიდევ დიდხანს მოჩანს.

საწოლზე დიდხანს ვზივარ, ხელში ფირფიტის კონვერტი მიჭირავს, არაფერზე ვფიქრობ, დრო გადის. თვალებს ვახელ, ფანჯარასთან მივდივარ, სუფთა ჰაერს ვისუნთქავ, ფიჭვის ტყიდან მობერილ ზღვის სურნელს ვგრძნობ. გუშინ ნამდვილად თხუთმეტი წლის ქალბატონი საეკი ვნახე. ნამდვილი ქალბატონი საეკი, რა თქმა უნდა, ახლაც ცოცხალია. ორმოცდაათს გადაცილებული ქალი, რეალურად არსებობს რეალურ სამყაროში. ახლაც ოთახშია მაღლა, თავის საწერ მაგიდასთან მუშაობს. მხოლოდ ოთახიდან გასვლა და კიბეებზე ასვლაა საკმარისი იმისათვის, რომ დაველაპარაკო, მაგრამ ღამით ნამდვილად ვნახე მისი აჩრდილი. ოშიმა მითხრა, არ შეიძლება, ადამიანები, ორ ადგილას იყონ ერთსა და იმავე დროსო. მაგრამ დარწმუნებული ვარ, ასეც ხდება. ცოცხალ ადამიანებს შეუძლიათ, მოჩვენებებად იქცნენ.

და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ: ეს მოჩვენება მიზიდავს, მისკენ მივიღებ. მიზიდავს არა ქალბატონი საეკი, რომელიც აქაა, არამედ ის 15 წლის გოგონა, რომელიც აქ არ არის. ძალიან მომწონს. ეს განცდა ისეთი ძლიერია, ვერც კი აღვწერ. და რაც არ უნდა თქვან სხვებმა, ის რეალურია. შესაძლოა, არ არსებობს, მაგრამ მასზე ფიქრიც კი გულს საგულიდან მიგდებს. ეს განცდები ისევე რეალურია, როგორც ის სისხლი, რომელშიც იმ საზარელ ღამით მოვისვარე.

ბიბლიოთეკის დახურვის დრო დგება, ქალბატონი საეკი დაბლა ჩამოდის, ქუსლების კაკუნი მესმის. ვიძაბები, გული მიჩქარდება. ქალბატონ საეკიში იმ 15 წლის გოგონას ზამთრის ძილისთვის მიუცია თავი ცხოველივით.

ქალბატონი საეკი რაღაცას მეკითხება, ვერაფერს ვპასუხობ. არ ვიცი, რა მკითხა. მესმის მისი ხმა, მისი სიტყვები ყურებში მიგუგუნებს და ტვინს აწვდის სიტყვებად გარდაქმნილ შეტყობინებას, მაგრამ სიტყვებსა და მათ მნიშვნელობებს შორის კავშირი არ მყარდება. აღელვებული ვწითლდები და რაღაც სისულელეს ვლულულულებ. ოშიმა ერთვება საუბარში და ჩემ ნაცვლად პასუხობს. თავს ვუქნევ, ვიდრე ლაპარაკობს. ქალბატონი საეკი ღიმილით გვემშვიდობება და სახლისკენ მიდის. ავტოსადგომიდან გაჰყავს გოლფი, მანქანის ხმა თანდათან გვმორდება და იკარგება.

ოშიმა რჩება, ბიბლიოთეკის დახურვაში მეხმარება.

– ვინმე ხომ არ შეგიყვარდა? – მეკითხება, – დაბნეული ხარ.

არ ვიცი, რა ვუპასუხო.

– ოშიმა, – მივმართავ ბოლოს და ბოლოს, – ცოტა უცნაური კითხვა უნდა დაგისვა. როგორ ფიქრობ, ცოცხალ ადამიანს შეუძლია მოჩვენებად იქცეს?

მაგიდის მილაგებას თავს ანებებს და მიყურებს.

– ოჰო, საინტერესო კითხვაა. მეტაფორულად თუ რეალურად?

– რეალურად.

– დავუშვათ, რომ მოჩვენებები არსებობენ?

– ჰო.

ოშიმა სათვალეს იხსნის, ცხვირსახოციტ წმენდს და ისევ იკეთებს.

– მათ მოხეტიალე სულებს უწოდებენ. უცხოეთში როგორ არის, არ ვიცი, მაგრამ იაპონურ ლიტერატურაში ასეა. გენჯის ზღაპარი, მაგალითად, მოხეტიალე სულებითაა სავსე. ჰეიანის პერიოდის ლიტერატურაში ჩვეულებრივი ადამიანები მოხეტიალე სულებად იქცეოდნენ და მოგზაურობდნენ სივრცეში საკუთარი სურვილების ასასრულებლად. გენჯი წაგიკითხავს?

არა-მეთქი, თავით ვანიშნე.

– ჩვენს ბიბლიოთეკაში რამდენიმე თანამედროვე გამოცემაა. წაიკითხე რომელიმე. მოკლედ, ერთ-ერთი მაგალითია ქალბატონი როკუიო. ის უფლისწულ გენჯის ერთ-ერთი საყვარელი იყო. ქალბატონი როკუიო გენჯის პირველი ცოლის, ქალბატონ აოის მიმართ ეჭვიანობით აივსო, ბოროტ სულად იქცა და ქალბატონი აოი შეიპყრო. ყოველ ღამით ქალბატონ აოის თავს ესხმოდა საწოლში, ვიდრე არ მოკლა. ქალბატონი აოი გენჯისგან ორსულად იყო და ქალბატონ როკუიოს სიძულვილი ალბათ ამან გააღვივა. გენჯიმ ბერები მოიხმო ბოროტი სულის განსადევნად, მაგრამ ისინი ვერაფერს გახდნენ. ბოროტ სულთან გამკლავება შეუძლებელი აღმოჩნდა. ამ ამბის ყველაზე საინტერესო ნაწილი ის არის, რომ ქალბატონ როკუიოს თვითონ წარმოდგენაც არ ჰქონდა, მოხეტიალე სულად რომ იქცა. კომმარებს ხედავდა, გამოღვიძებულს გრძელ, შავ თმაზე კვამლის სუნი ასდიოდა. ძალიან დაიბნა. თურმე თმას იმ ბერების მიერ ანთებული საკმეველი უკვამლავდა, რომლებიც ქალბატონ აოისთვის ლოცულობდნენ. ქალბატონმა როკუიომ არაფერი იცოდა, მოგზაურობდა სივრცეში, საკუთარი ქვეცნობიერის ლაბირინთებში დამკვრებოდა და ასე ესხმოდა თავს გენჯის პირველ ცოლს. ეს ყველაზე საზარელი და ამაღელვებელი ეპიზოდია გენჯისთან. მოგვიანებით, როდესაც ქალბატონი როკუიო შეიტყობს, რა ჩაიდინა, საკუთარ ცოდვებს მოინანიებს, თავს გადაიპარსავს და სამყაროს განუდგება. გროტესკული სამყარო ჩვენი ბნელი მხარეა. იქამდეც, ვიდრე ფროიდი და იუნგი ნათელს მოჰფენდნენ, როგორ მუშაობს ჩვენი ქვეცნობიერი, ეს ფარდობითობა სიბნელესა და ჩვენს ქვეცნობიერს შორის ადამიანებისთვის აშკარა იყო. ეს მეტაფორაც კი არ არის. თუ ჩაუღრმავდები, მიხვდები, ეს ფარდობითობაც არ არის. ვიდრე ედისონი ელექტროგანათებას შექმნიდა, თითქმის მთელი სამყარო სიბნელეში იყო. ფიზიკური და შინაგანი სამყარო არეული იყო ერთმანეთში, მათ შორის მიჯნა არ არსებობდა. ისინი პირდაპირ იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული. აი, ასე, – ოშიმა ხელებს ერთმანეთს აჭდობს, – მურასაკი შიკიბუს დროს გროტესკის ფენომენი და ადამიანის გულის ბუნებრივი მდგომარეობა მათ თვალწინ იშლებოდა. იმ ეპოქის ადამიანები, ამ ორ სიბნელეს ერთმანეთისგან ალბათ ვერ ყოფდნენ. მაგრამ დღეს ასე აღარ არის. გარესამყაროს სიბნელე გაქრა, შინაგანი კი უცვლელად დარჩა. ეგოსა თუ ქვეცნობიერის დიდი ნაწილი აისბერგით სიბნელეშია ჩადირული.

– შენი ქოხის გარშემო ნამდვილი სიბნელეა.

– მართლაც. იქ ნამდვილი სიბნელე კვლავ არსებობს. ზოგჯერ იქ ამ სიბნელის შესაგრძნობად მივდივარ.

– რა უბიძგებს ადამიანებს, მოხეტიალე სულელებად იქცნენ? ყოველთვის უარყოფითი მიზეზები?

– ამ საქმის მცოდნე არა ვარ. ის მოხეტიალე სულელები უარყოფითი ემოციებისგან წარმოიშობოდნენ. რადიკალური განცდები ძალიან ინდივიდუალური და ნეგატიურია. არ მაგონდება შემთხვევა, როდესაც ადამიანი მოხეტიალე სულად იქცა რაღაც ლოგიკური წინაპირობის შესაქმნელად ან სამყაროში მშვიდობის მოსატანად.

– სიყვარულის გამო?

ოშიმა ჯდება და ფიქრობს.

– რთული სათქმელია. ამგვარი მაგალითი არ შემხვედრია. „ქრიზანთემების აღქმის ზღაპარი“ კი არსებობს. „მთვარის ნათელისა და წვიმის ზღაპრებში“. წაგიკითხავს?

– არა.

– „მთვარის ნათელისა და წვიმის ზღაპრები“, ედოს პერიოდის ბოლო ხანებში, უედა აკინარიმ დაწერა. მოქმედება ომის დროს ხდება, რაც უედას მონათხრობს ნოსტალგიურს ხდის. ეს არის ამბავი ორი სამურაისა, რომლებიც დამეგობრდნენ და სისხლისმიერ ძმებად იქცნენ. სამურაებისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ისინი ერთმანეთისგან მოშორებით ცხოვრობდნენ და სხვადასხვა ბატონს ემსახურებოდნენ. ერთმა მეორეს მისწერა, როდესაც ქრიზანთემები ყვავილობას დაიწყებენ, გესტუმრებო. მაგრამ ვერ შეძლო სამოგზაუროდ წასვლა, პრობლემები შეექმნა, დაატუსაღეს და წერილის გაგზავნის საშუალებაც არ მისცეს. ზაფხულის მიწურულს, შემოდგომა რომ დგებოდა, ქრიზანთემები იწყებდნენ ყვავილობას. დანაპირების ასრულებას ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეძლებდა. სამურაისთვის კი მიცემული პირობის შესრულებაზე მნიშვნელოვანი არაფერია. ღირსება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სიცოცხლე. ამიტომ ამ სამურაიმ ჰარაკირი გაიკეთა, სულად იქცა, და მეგობრის სანახავად მრავალი მილი გადალახა. ისინი ისხდნენ ქრიზანთემებთან, საუბრობდნენ, მერე კი სული გაქრა პირისაგან მიწისა. ლამაზი ზღაპარია.

– მაგრამ იმისათვის, რომ სულად ქცეულიყო, მოკვდა.

– ჰო, მართალი ხარ, – მკასუხობს ოშიმა, – როგორც ჩანს, ადამიანებს ღირსების, სიყვარულის, ან მეგობრობის გამო არ შეუძლიათ, მოხეტიალე სულელებად იქცნენ. ამისათვის უნდა მოკვდნენ. ადამიანები ღირსების, სიყვარულისა და მეგობრობის გამო სიცოცხლეზე უარს ამბობენ და მხოლოდ ამის შემდეგ იქცევიან სულელებად. მოხეტიალე სულელებს კი ყოველთვის ცუდი ზრახვები ამოძრავებთ.

ოშიმას ნათქვამს ვხარშავ.

– რაღაც მაგალითები იქნება, – განაგრძობს ოშიმა, – ადამიანები ალბათ სიყვარულის გამოც გადაქცეულან მოხეტიალე სულელებად. სამწუხაროდ, ეს შემთხვევები არ მიკვლევია. ამბობენ,

სიყვარულს სამყაროს შეცვლა შეუძლიაო... ალბათ სიყვარულის გამო მოხეტიალე სულად ქცევაც შესაძლებელია.

– ყოფილხარ ოდესმე შეყვარებული? – ვეკითხები.

შეცბუნებული მიყურებს.

– შენ რა, გგონია, ზღვის ვარსკვლავი ვარ ან წიწაკის ხე? ადამიანი ვარ. რა თქმა უნდა, ვყოფილვარ შეყვარებული.

– არა, ამას არ ვგულისხმობდი. – ვამბობ და ვწითლდები.

– არა უშავს. – მეუბნება და თავაზიანად მიღიმის.

ოშიმა მიდის, საკუთარ ოთახში გავდივარ, „კაფკა პლაჟზე“ ვისმენ, ფირფიტის კონვერტზე კი სიმღერის ტექსტს ვადევნებ თვალს.

სამყაროს კიდეზე ჩამომჯდარხარ,

ვზივარ ვულკანის ყელში, რომელიც აღარ არსებობს.

უფორმო სიტყვები

კარის ჩრდილში შეყუჟულან.

მთვარე მძინარე ხვლიკს დაჰყურებს,

ციდან თევზის წვიმა მოდის.

სარკმლის იქით ჯარისკაცები დგანან, გააფთრებით იბრძვიან, რომ დაიხოცონ.

(რეფრენი)

კაფკა პლაჟზე შეზღონგზე ზის,

სამყაროს მამოდრავებელ ქანქარაზე ფიქრობს.

თუ გული დახურულია,

უმრავი სფინქსის ჩრდილი

სიზმრებს დანის პირივით სერავს.

ჩამირული გოგონას თითები

შესასვლელ ქვას ეძებენ და

ლაჟვარდოვანი კაბის კალთას იწევენ.

ხედავს – კაფკა პლაჟზეა.

ჩანაწერს სამჯერ ვისმენ. გაკვირვებული ვარ – ჩანაწერი ასეთი ტექსტით როგორ გაიყიდა მილიონობით ეგზემპლარი?! ტექსტი სულ გაუგებარი არ არის, მაგრამ აბსტრაქტულია და

სიურრეალისტური. სიტყვებს ადვილად ვერ დაიმახსოვრებ, მაგრამ რამდენჯერმე რომ მოისმენ, თავში გიჯდება. თანდათან ეს სიტყვები ჩემს გულში იდებენ ადგილს. საოცარი განცდაა. უშინაარსო კადრები საგნის კონტურებივით წარმომიდგება.

მელოდია ლამაზია, მარტივი, მაგრამ განსხვავებული. ქალბატონი საეკის ხმა ბუნებრივად ერწყმის. პროფესიონალი მომღერლის ხმა არა აქვს, მაგრამ გონებას ისე წმენდს, როგორც გაზაფხულის წვიმა ჩარეცხავს ხოლმე ბაღში ქვის კიბეებს. ის ფორტეპიანოზე უკრავდა და მღეროდა, მათ კი სიმების მონაკვეთი და ჰობოი დაუმატებიათ. სწორედ ეს სიმარტივე სძენს სიმღერას განსაკუთრებულ ელფერს.

რეფრენის დროს ორ უჩვეულო აკორდს იღებს. სხვა აკორდები არაფრით არ არის განსაკუთრებული, ეს ორი კი განსხვავდება და ამას მხოლოდ რამდენიმე მოსმენის შემდეგ აღვიქვამ. ჯერ დავიბენი. თავი მოტყუებულადაც კი ვიგრძენი. ეს სრულიად მოულოდნელი ჟღერადობა შოკში მაგდებს, მაშფოთებს, თითქოს კარის ღრიჭოდან ცივ ქარს დაებეროს. რეფრენის დასრულების შემდეგ მშვენიერი მელოდია ბრუნდება და სიმყუდროვისა და ჰარმონიის სამყაროში მიმაქანებს, აქ ცივი ქარი აღარ ქრის. ეს ფორტეპიანოს ფინალური ბგერებია, სიმებიც უკანასკნელად ამოისუნთქავენ. სიმღერა ჰობოის ზანტი ბგერებით სრულდება.

რამდენჯერმე მოსმენის შემდეგ ვხვდები, რატომ აიტაცა ხალხმა ასე „კაფკა პლაჟზე“. სიმღერა პირდაპირია და ნაზი. ნიჭიერი, მაგრამ არაეგოისტი გულის პირმშოა. რაღაც სასწაულებრივი განცდაც კი გეუფლება. მორცხვი 19 წლის გოგონა პროვინციიდან სწერს თავის მეგობარ ბიჭს, მუსიკას ქმნის, შემდეგ კი უყოყმანოდ იწყებს სიმღერას. ქალბატონმა საეკიმ სხვებისთვის კი არ შექმნა სიმღერა, არამედ მხოლოდ საკუთარი თავის გასამხნვებლად.

მაცივრიდან პროდუქტებს ვიღებ და მარტივ სადილს ვიმზადებ, მერე ისევ სიმღერას ვისმენ. თვალდახუჭული ვზივარ სკამზე, ვცდილობ, წარმოვიდგინო, როგორ უკრავს და მღერის სტუდიაში მჯდომი 19 წლის ქალბატონი საეკი. ვფიქრობ იმ სიყვარულზე, რომელსაც იმ დროს გრძნობდა. როგორ დააშორა სისასტიკემ სამუდამოდ ამ სიყვარულს...

სიმღერა სრულდება.

ქალბატონმა საეკიმ შესაძლოა, სწორედ ამ ოთახში დაწერა „კაფკა პლაჟზე“. რაც უფრო ხშირად ვისმენ სიმღერას, ვრწმუნდები, რომ „კაფკა პლაჟზე“ ჩემი ოთახის კედელზე დაკიდებულ სურათზე გამოსახული ბიჭია. სამუშაო მაგიდას ვუზივარ, როგორც ის გუშინ, და ნიკაპს ხელეზე ვიყრდნობ, ჩემ წინ დაკიდებულ სურათს ზუსტად იმ კუთხით ვუყურებ. თავს კარგად ვგრძნობ. აქ დაწერდა სიმღერას. ვხედავ, როგორ უყურებს ნახატს, იმახსოვრებს პატარა ბიჭს, წერს ლექსს, რომლისთვისაც შემდეგ მუსიკას შეთხზავს. ეს გვიან ღამით მოხდებოდა, ისეთ სიბნელებში, თვალში თითხ რომ ვერ მიიტან.

ვდგები, კედელთან მივდივარ და სურათს ვაკვირდები. ეს პატარა ბიჭი შორს იცქირება. ცის კუთხეში ღრუბლებს მკვეთრი ფორმა აქვთ და მიწისკენ დახრილ სფინქსს მაგონებს.

ვიხსენებ. სფინქსი ოიდიპოსის მტერი იყო. ოიდიპოსმა გამოიცნო მისი გამოცანა და როცა ურჩხული მიხვდა, დაემარცხდით, კლდიდან გადახტა და თავი მოიკლა. ამ გმირობის შემდეგ ოიდიპოსი თებეს მეფედ იქცა და საკუთარი დედა შეირთო ცოლად.

და სახელი კაფკა. რატომ გამოიყენა ქალბატონმა საეკიმ ეს სახელი?! სურათზე გამოსახული ბიჭის მისტიკური მარტოობა ალბათ კაფკას მხატვრულ სამყაროს აგონებდა. სათაურსაც ასე ავხსნი: ეული სული აბსურდულ პლაჟზეა მოხვედრილი.

სხვა ტაეპები იმ ყველაფერს ეხება, რაც თავს გადამხდა. „ციდან თევზის წვიმა მოდის“ – განა ტოკიოში, ჩემს სახლთან ახლოს, სავაჭრო უბანში ზუსტად ასეთი რამ არ მოხდა?! ეს კი – „უძრავი სფინქსის ჩრდილი სიზმრებს დანის პირივით სერავს“ – მამაჩემის სასიკვდილოდ დაჭრა უნდა იყოს. დღიურში გადამაქვს სიმღერის ტექსტი, ვაკვირდები, ხაზს ვუსვამ იმ მონაკვეთებს, რომლებიც მაინტერესებს.

არ ვიცი, რას ვცდილობ.

„უფორმო სიტყვები

კარის ჩრდილში შეყუჟულან“ ...

„სარკმლის იქით ჯარისკაცები დგანან, გააფთრებით იბრძვიან, რომ დაიხოცონ“ ...

„ჩამირული გოგონას თითები

შესასვლელ ქვას ეძებენ“ ...

რას უნდა ნიშნავდეს? მხოლოდ შემთხვევითობაა? ფანჯარასთან მივდივარ, ბაღში ვიყურები. სიბნელე ისადგურებს. სამკითხველო დარბაზში გავდივარ, სავარძელში ვჯდები, გენჯის ზღაპრების ტანიდაკისეულ თარგმანს ვკითხულობ. ათისთვის ვწვები, შუქს ვაქრობ, ველოდები ჩემს ოთახში 15 წლის ქალბატონი საეკის გამოჩენას.

– ბატონო ნაკატა, სიკოკუზე ვართ.

– რა ლამაზი ხილია. ნაკატას ასეთი დიდი ხილი აქამდე არასოდეს უნახავს.

ორივენი ჩამოვიდნენ ავტობუსიდან და სადგურის ახლოს სკამზე ჩამოსხდნენ იქაურობის დასათვალიერებლად.

– ღმერთისგან თუ რაღაცისგან შეტყობინება უკვე მიიღე? – ჰკითხა ჰოშინომ, – გაიგე, საით უნდა გაემართო? ან რა უნდა გააკეთო?

– არა. ნაკატამ ჯერ არაფერი იცის.

– მაგარია...

ნაკატამ თავზე ხელისგული ისე ფრთხილად გადაისვა, თითქოს ძალიან მნიშვნელოვან რამეზე ფიქრობდა.

– ბატონო ჰოშინო.

– ჰოუ.

– ვწუხვარ, მაგრამ ნაკატას ეძინება. ისე ეძინება, შეიძლება აქვე დაეძინოს.

– მოიცა ერთ წამს, აქ ხომ არ დაიძინებ, – აღელვებით უთხრა ჰოშინომ, – იცი რა, ვიპოვი ისეთ ადგილს, სადაც დაძინებას შეძლებ, კარგი? ცოტა ხანს მოითმინე.

– კარგი. ნაკატა ცოტას მოიცდის და ეცდება, არ ჩაეძინოს.

– მაგარია. გშია?

– არა, მხოლოდ მეძინება.

ჰოშინომ სწრაფად მოძებნა ტურისტული საინფორმაციო ცენტრი, მათი მეშვეობით ნომერი დაჯავშნა იაფფასიან სასტუმროში, რომელიც სანაქებო საუზმესაც ჰპირდებოდა. სასტუმრო სადგურიდან მოშორებით იყო, ამიტომ ტაქსი გააჩერეს. როგორც კი მივიდნენ, ჰოშინომ დამლაგებელს სთხოვა, ბამბის ლეიბები მოგვიწესრიგეო.

ნაკატას არ უბანავია, გაიხადა, დაწვა და ერთ წამში მშვიდ ძილს მისცა თავი.

– სავარაუდოდ, დიდხანს ვიძინებ და ნუ შეშინდებით. – ჩაძინებამდე ჩაილაპარაკა.

– ეე, არ შეგაწუხებ, რამდენ ხანსაც გინდა, იძინე. – უპასუხა ჰოშინომ. ნაკატას ამ დროს უკვე ეძინა.

ჰოშინომ აუჩქარებლად იბანავა, სასტუმროდან გავიდა, აქეთ-იქით იხეტილა ქალაქის დასათვალიერებლად, მერე სუში-ბარში შეძვრა სასადილოდ და ლუდის დასალევად. დიდი მსმელი არ იყო, საშუალო ზომის ბოთლი ლუდი სახეს უწითლებდა და კარგ გუნებაზე აყენებდა. სადილის შემდეგ პაჩინკო ითამაშა და ერთ საათში ოცდახუთი დოლარი წააგო. მისმა ტიუნტის დრაკონების ბეისბოლის ქუდმა რამდენიმე გამვლელის ყურადღება მიიქცია და გაიფიქრა, ალბათ აქ მხოლოდ მე მახურავს ასეთი ქუდიო.

სასტუმროში დაბრუნდა, ნაკატას გვერდიც არ ეცვალა. რა უდარდელი მოხუციაო, გაიფიქრა. ქუდი მოიხადა, ჰავაიური პერანგი გაიხადა, ჯინსიც, საწოლში შეძვრა და შუქი ჩააქრო. მაგრამ აღგზნებისა და ახალი გარემოს გამო დაძინება გაუჭირდა. ღმერთო, იქნებ ჯობდა, ქალი ამეგდოო, გაიფიქრა. მაგრამ ნაკატას მშვიდი, რეგულარული სუნთქვა რომ მოესმა, შერცხვა საკუთარი ფიქრებისა, თუმცა ვერ კი მიხვდა, რატომ.

სიბნელეში ჭერს ასცქეროდა. იაფფასიანი სასტუმროს საწოლში იწვა, ქალაქში, რომელშიც აქამდე არასდროს ყოფილა. უცნაურ მოხუცთან ერთად იყო, რომლის შესახებაც არაფერი იცოდა. ღამის ამ დროს ტოკიოში უნდა ბრუნდებოდეს, ახლა სადღაც ნაგოიასთან უნდა იყოს. არ იყო საკუთარი სამსახურით უკმაყოფილო. თან ტოკიოში ელოდა გოგონა, რომელიც მისთვის ყოველთვის გამონახავდა დროს. და მაინც, იმპულსურად, გადატვირთა თუ არა კობეში ავეჯი, ამ ქალაქში მყოფ თავის ნაცნობ სხვა მძღოლს დაურეკა და სთხოვა, მის ნაცვლად გამგზავრებულიყო ტოკიოში. მერე საკუთარ კომპანიაში დარეკა და სამდღიანი შვებულება ითხოვა. ახლა კი აქ იყო, სიკოკუზე, ნაკატასთან ერთად. თან მხოლოდ პატარა ჩანთა ჰქონდა, საპარსი და ერთი ხელი ტანსაცმელი.

ჰომინო თავიდან ამ მოხუცსა და ბაბუამისს შორის არსებულმა მსგავსებამ დააინტრიგა, მაგრამ თანდათან ეს შთაბეჭდილება გაქრა და ახლა პირადად ნაკატათი დაინტერესდა. ნაკატას სასაუბრო თემები და საუბრის ფორმა უცნაური იყო, მაგრამ საინტერესო. მოუნდა გაეგო, სად მიდიოდა მოხუცი და საბოლოოდ რის გაკეთება მოუწყევდა. ჰომინო ფერმერების ოჯახში დაიბადა, ხუთი ვაჟიდან მესამე იყო. საშუალო სკოლაში კარგად იქცეოდა, მაგრამ პროფესიულ კოლეჯში ჩაბარების შემდეგ ცუდ წრეში მოხვდა და არაერთ შარში გაეხვა. პოლიციამ რამდენჯერმე დააკავა კიდეც. სწავლა დაასრულა, მაგრამ რიგიანი სამსახური ვერ იშოვა, გოგონასთან შექმნილმა პრობლემებმა კიდეც უფრო გაურთულა საქმე. ამიტომ თავდაცვის აკადემიაში გადასვლა გადაწყვიტა. იქ კი ტანკების ნაცვლად ძირითადად სატვირთო მანქანებს ატარებდა. სამი წლის შემდეგ მუშაობა გადამზიდავ კომპანიაში დაიწყო და ბოლო ექვსი წლის განმავლობაში თავი ამ საქმით გაჰქონდა.

ხელს აძლევდა აქ მუშაობა. მანქანები ყოველთვის უყვარდა, მაღლა, კაბინაში, საჭისთვის ხელჩაჭიდებულს, თავი საკუთარ პატარა სამეფოში ეგონა. რთული სამუშაო იყო, მაგრამ იცოდა, სხვა სამსახურს ვერ გაუძლებდა. მტვრიან ოფისში მარტო იმისთვის მიჩანჩალება, რომ მთელი დღე უფროსს ქორივით ეტრიალა მის თავზე, არ უნდოდა.

ყოველთვის ჭირვეული ტიპი იყო, გაუთავებლად შარში ეხვეოდა. გამხდარი და დაბალი იყო, არ იყო ჩასკვნილი, მატყუარა გარეგნობა ჰქონდა. იმდენად ძლიერი არ იყო, რამდენადაც მოხერხებული, გადამწყვეტ მომენტში გიჟურ გამომეტყველებას მიიღებდა ხოლმე და მოწინააღმდეგე დასამალად გარბოდა. უამრავჯერ უჩხუბია, ჯარისკაცობის დროსაც, სატვირთოს მძღოლობის დროსაც, მაგრამ გვიან მიხვდა, გაიმარჯვებდა თუ დამარცხდებოდა, დიდად არ ადარდებდა. სერიოზულად არასოდეს დავშავებულვარო, ამაყად ფიქრობდა.

ბაბუა იყო ერთადერთი ადამიანი, ვინც ადგილობრივ პოლიციის უბანში მოდიოდა, ბოდიშს იხდიდა ქედმოდრეკილი და ისინიც ამ მოხუცის პასუხისმგებლობის ქვეშ ათავისუფლებდნენ ჰომინოს. გზად ყოველთვის რესტორანში შევიდოდნენ ხოლმე და ბაბუა გემრიელი კერძებით

უმასპინძლდებოდა. ჰომინო არასდროს დაუმოდგვრავს. მშობლებს ერთხელაც კი არ უცდიათ ბიჭის დახსნა. ისინი დიდად არ ზრუნავდნენ ჰომინოზე, არც დრო ჰქონდათ, არც ენერგია, რომ ხელიდან წასულ მესამე ვაჟზე ედარდათ. ჰომინოს ზოგჯერ უკვირდა, ნეტა ჩემს თავს რა მოხდებოდა, ბაბუას რომ გირაო არ შეეტანაო. ამ მოხუცმა ის მაინც უწყობდა, ჰომინო ცოცხალი რომ იყო და მისი დარდი ჰქონდა.

ამ ყველაფრის მიუხედავად, ბაბუასთვის მადლობა არასოდეს გადაუხდია. არც იცოდა, რა უნდა ექნა, მარტო თავის რჩენაზე ფიქრობდა. ჰომინოს თავდაცვის აკადემიაში გადასვლის შემდეგ ბაბუა მალე გარდაიცვალა კიბოთი. ბოლოს ისე დამაბუნდა, ვეღარც კი ცნობდა. მოხუცის გარდაცვალების შემდეგ ჰომინო სახლში აღარ მისულა.

მეორე დილით ჰომინომ რვა საათზე გაიღვიძა, ნაკატას ისევ ეძინა. ღამით ოდნავადაც არ შერხეულიყო. არც სუნთქვის ხმა შეცვლია, არც სიჩქარე. ჰომინო დაბლა ჩავიდა და სასტუმროს სხვა ბინადრებთან ერთად ისაუზმა. საუზმე ღარიბული იყო, მაგრამ მისოს სუპი და ბრინჯი, შეგეძლო, რამდენიც გინდოდა, იმდენი აგელო.

– შენი კომპანიონი ისაუზმებს? – გადმოსძახა სასტუმროს თანამშრომელმა.

– ჯერ კიდევ სძინავს. არა მგონია, ისაუზმოს.

შუადღეზე ნაკატას ისევ ეძინა, ჰომინო სობას ბარში წავიდა, ბრინჯი შეუკვეთა წიწილათი და კვერცხით. მერე ცოტა ხანს იხეტილა და თავი ყავახანაში ამოყო, სადაც ფინჯანი ყავა დალია, მოწია და კომიქსები გადაათვალიერა.

სასტუმროში ორისთვის დაბრუნდა, ნაკატას ისევ ეძინა. შეწუხებულმა მოხუცს შუბლზე დაადო ხელი – სიცხე არ ჰქონდა. მშვიდად და აუჩქარებლად სუნთქავდა, ლოყებზეც ჯანსაღი იერი ედო. კარგად იყო. მხოლოდ უხმაუროდ ეძინა, ისე რომ მხარიც არ შეუცვლია.

– კარგადაა? ამდენ ხანს რატომ სძინავს? – ჰკითხა სასტუმროს თანამშრომელმა, როდესაც დახედა. – იქნებ ავადაა?

– გადალილია, – აუხსნა ჰომინომ, – იძინოს, რამდენ ხანსაც უნდა.

– არასოდეს მინახავს, ადამიანს ამდენ ხანს ეძინოს.

ნაკატა ძილის მართონს განაგრძობდა. ჰომინო კარის რესტორანში წავიდა და კარით შეზავებული საქონლის ხორცი და სალათის დიდი ულუფა შეუკვეთა. შემდეგ ისევ იმ პაჩინკოს სათამაშო დარბაზს დაუბრუნდა, რომელშიც წინა ღამით იყო და ერთ საათს ითამაშა. თუმცა ამჯერად ბედმა გაუღიმა და ათი დოლარით ორი კოლოფი მალბორო მოიგო.

სასტუმროში ათის ნახევრისთვის დაბრუნდა, თვალებს არ დაუჯერა – ნაკატას ისევ ეძინა! ჰომინომ დრო გადათვალა – ოცდაოთხ საათზე მეტი იყო, რაც მოხუცს ეძინა. მართალია, თქვა, დიდხანს არ გამოვიღვიძებო, მაგრამ ეს უკვე მეტისმეტი იყო. ჰომინომ უჩვეულო უსუსურობა იგრძნო. რა უნდა ექნა, მოხუცს რომ აღარასდროს გამოეღვიძა?

– ღმერთო! – თავი გააქნია.

მეორე დილით ჰომინოს შვიდზე გამოეღვიძა, ნაკატა ამდგარიყო და ფანჯრიდან იცქირებოდა.

– ბაბუ, აღიდგინე ძალები, არა? – შვებით ამოისუნთქა ჰომინომ.

– ნაკატამ ახლახან გამოიღვიძა. არ ვიცი, რამდენ ხანს მეძინა, ალბათ დიდხანს. თითქოს ხელახლა დავიბადე!

– გუშინწინ სადამოს ცხრაზე დაიძინე, თითქმის ოცდაათობმეტ საათს გეძინა. მძინარე მზეთუნახავი ხარ რა.

– ნაკატას მოშივდა.

– სანაძლეოს ჩამოვალ, მოგშივდებოდა. ორი დღეა, პირში ლუკმა არ ჩაგვლია.

ორივენი დაბლა, სასადილო დარბაზში ჩავიდნენ და ისაუბრეს. ნაკატამ იმდენი ბრინჯი აიღო, რომ სასტუმროს თანამშრომელი გაოცდა.

– შენ როგორი ძილისგუდა ყოფილხარ და თან რა მაგარი ჭამაც გცოდნია! – წამოიყვირა, – ეს ორი დღის ულუფაა!

– დიახ, კარგად უნდა დავნაყრდე.

– მართლა ჯანმრთელი ხართ?

– დიახ. ნაკატა ჯანმრთელია. კითხვა არ ვიცი, მაგრამ ცხოვრებაში არასდროს გავმხდარვარ ავად, სათვალევ არასდროს დამჭირვებია. არც ექიმთან ვყოფილვარ, მხრები არასდროს მეჭიმება და ყოველ დილით კუჭში კარგად გავდივარ.

– ჰოო! – გაოცებული ჩანდა სასტუმროს თანამშრომელი, – მართლა, დღეს რა გეგმები გაქვთ?

– დასავლეთისკენ მივემართებით. – განაცხადა ნაკატამ.

– დასავლეთისკენ? ანუ ტაკამაცუში მიემგზავრებით.

– ჭკვიანი არ ვარ და გეოგრაფია არ ვიცი.

– ბაბუ, ტაკამაცუში ხომ არ წავსულიყავით? – ჩაერთო ჰომინო საუბარში, – დანარჩენს, როცა მივალთ, იქ შევიტყობთ.

– კარგი. წავიდეთ ტაკამაცუში. დანარჩენს, როცა მივალთ, იქ შევიტყობთ.

– მოგზაურობის უცნაური სტილი გქონიათ. – ჩაერთო მათ საუბარში სასტუმროს თანამშრომელი.

– სწორად შენიშნე. – დაეთანხმა ჰომინო.

ნომერში დაბრუნებული ნაკატა ტუალეტში შევიდა, ჯერ კიდევ ხალათში გახვეული ჰომინო კი ჭილოფზე დაწვა ტელევიზორის საყურებლად. განსაკუთრებული არაფერი ხდებოდა. ნაკანოში მცხოვრები ცნობილი მოქანდაკის მკვლელობის საქმე ადგილიდან არ დამრულიყო – არც რამე ხელჩასაკიდი ჩანდა, ვერც მოწმე იპოვეს. პოლიცია მოქანდაკის 15 წლის ვაჟს დაეძებდა, რომელიც მკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე გაუჩინარდა. ღმერთო, რატომ თხუთმეტი წლის ბავშვიო, გაიფიქრა ჰომინომ. მაგრამ დღეს ყველაზე სასტიკ დანაშაულში,

როგორც წესი, სწორედ 15 წლის ბავშვები არიან ხოლმე გახვეული. თვითონ, 15 წლისამ, მოტოციკლი მოიპარა. რა თქმა უნდა, მოტოციკლის უნებართვოდ წაყვანას ვერ შეადარებ საკუთარი მამის საშიშროვით ათლას. იქნებ თვითონ მხოლოდ იღბალმა იხსნა მამის მოკვლისგან, რომელიც ხშირად სცემდა ხოლმე.

ახალი ამბების გამოშვება უკვე სრულდებოდა, როდესაც ნაკატა აბაზანიდან გამოვიდა.

– ბატონო ჰომინო, შეიძლება გკითხოთ?

– რა იყო?

– ზურგი გტკივათ?

– ჰო, მგონი, ეს პროფესიული ხარკია. ყოველ სატვირთოს მძღოლს ხერხემალი აწუხებს. რატომ მკითხე?

– როდესაც ზურგზე შეგხედეთ, ვიფიქრე, აწუხებს-მეთქი.

– ვაჰ!

– შეიძლება ზურგზე შეგეხოთ?

– მიდი.

ჰომინო პირქვე დაწვა, ნაკატამ ხელები ხერხემალზე დაადო და ასე გაჩერდა. ჰომინო შუადღის შოუს უყურებდა, სადაც უახლეს ჭორებს მიმოიხილავენ. ცნობილი მსახიობი არც ისე ცნობილ ახალგაზრდა მწერალზე გათხოვილა. ჰომინოს არ ადარდებდა ასეთი ამბები, მაგრამ სხვა არაფერი გადიოდა. მსახიობს მწერალზე ათჯერ მეტი შემოსავალი ჰქონია. მწერალზე ვერც იმას იტყოდა კაცი, სიმპათიურიყო, ვერც იმას, ინტელექტუალური გარეგნობა აქვსო.

– ეს ქორწინება არ იქნება მტკიცე. აქ რაღაც ვერარის ისე.

– ბატონო ჰომინო, ძვლები ცოტათი ამოცვენილი გაქვთ.

– რა გასაკვირია, ისეთი ხაზიდან ამოვარდნილი ცხოვრებით ვცხოვრობ. – უპასუხა ჰომინომ და დაამთქნარა.

– უამრავი პრობლემა შეგექმნებათ, ხერხემალს თუ არ მიხედავთ.

– ეგრე ფიქრობ?

– თავის ტკივილები დაგეწყებათ, კუჭის მოქმედება აგერევთ.

– ეგ არ უნდა იყოს კარგი რამე.

– ცოტათი გეტკინებათ. გაუძლებთ?

– კი, მიდი.

– სიმართლე გითხრათ, ძალიან გეტკინებათ.

– ბაბუ, მთელი ცხოვრება ვჩხუბობდი – სახლში, სკოლაში, თავდაცვის აკადემიაში, მაგრამ გადავრჩი, კი არ ვტრაბახობ ან რამე, მაგრამ ის დღეები, როდესაც არავის ვუცემივარ, ხელის თითებზე შემიძლია ჩამოვთვალო. ასე რომ, არა უშავს, თუ ცოტათი მეტკინება.

ნაკატა დარწმუნდა, რომ ცერა თითები საჭირო ადგილებზე ედო. როდესაც სწორად მოათავსა თითები, ზეწოლა ნელ-ნელა გაზარდა, ჰოშინოს რეაქციას აკვირდებოდა. ჰოშინო ღრმად სუნთქავდა, მერე კი მოკლე შეკვივილება აღმოხდა – რომელიღაც ზამთრის ჩიტივით დაიჩხავლა. ნაკატა მთელი ძალით დააწვა ხერხემალსა და კუნთს შორის. ჰოშინომ აუტანელი ტკივილი იგრძნო. თვალებიდან ნაპერწკლები სცვიოდა. სუნთქვა შეწყვიტა. თითქოს ცათამბჯენის ბოლო სართულიდან ჯოჯოხეთში გადაეგდოთ. ისე საშინლად ეტკინა, დაყვირებაც ვერ შეძლო. ვერაფერზე ფიქრობდა. თითქოს მისი სხეული ლუკმა-ლუკმა აეკუწათ. სიკვდილიც ვერ იქნებოდა ასეთი საზარელი, თვალების გახელა სცადა, მაგრამ ვერ შეძლო. ჭილოფზე პირქვე იწვა, ცრემლები სდიოდა. ოცდაათი წამი მაინც გაგრძელდა ასე.

ამოსუნთქვა რომ შეძლო, ბარბაცით წამოდგა. ჭილოფი ისე აიტალდა, როგორც ზღვა შტორმის დროს.

– გეტკინა?

ჰოშინომ თავი რამდენჯერმე ისე გააქნია, თითქოს ამოწმებდა, ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ თუ არაო.

– ტკივილი შესაფერისი სიტყვა არ არის. წარმოიდგინე ცოცხლად გატყავება, შამფურზე წამოცმა, ფეხით დაკიდება და შემდეგ გაცოფებულ ხარებს შორის აღმოჩენა. რა ჯანდაბა მიქენი?

– ძვლები გაგისწორეთ. ახლა უკეთ უნდა იყოთ. ხერხემალი აღარ შეგაწუხებთ და, თავს დავდებ, კუჭის მოქმედებაც გაგიუმჯობესდებათ.

ამ საზარელმა ტკივილმა გაუარა თუ არა, ხერხემლის ტკივილიც გაუყუჩდა. სიმძიმის შეგრძნება გაუქრა. საფეთქლებზეც მოეშვა, სუნთქვა გაუმჯობესდა. ტუალეტში შესვლაც მოუწია.

– ნაღდად უკეთ ვარ.

– ყველაფერი ხერხემლის ბრალი იყო.

– საშინლად კი მეტკინა. – ამოიგმინა ჰოშინომ.

ტოკუსიმას სადგურიდან ტაკამაცუმდე ექსპრეს-მატარებლით იმგზავრეს. ჰოშინომ ყველა ანგარიში გაისტუმრა, სასტუმროს და მგზავრობის ღირებულებაც. ნაკატამ დაიჟინა, გადავიხდიო, მაგრამ ჰოშინოს ამის გაგონებაც არ უნდოდა.

– ახლა მე გადავიხდი და მერე გავსწორდეთ, კარგი? არ მიყვარს, კაცები რომ ფულზე დავობენ.

– კარგი. ნაკატას ფული არ ესმის კარგად, ამიტომ, როგორც გინდათ.

– თავს კარგად ვგრძნობ გუშინ ჩატარებული შიაცუს[8] ილეთის დახმარებით, ჰოდა, საშუალება მომეცა, როგორღაც გადაგიხადო. დიდი ხანია, თავი ასე არ მიგრძნია. თითქოს ხელახლა დავიბადე,

– შესანიშნავია. ნაკატამ არ იცის, რას ნიშნავს შიაცუ, მაგრამ ვიცი, რა მნიშვნელოვანია ძვლები.

– არ ვიცი, ამას რა ჰქვია შენს ენაზე – შიაცუ, ძვლების გასწორება თუ ქიროპრაქტიკა. რაცაა, ნიჭი გაქვს. ამით დიდი ფულის შოვნა შეგიძლია. მარტო ჩემი მეგობარი მძღოლებისგან ტომრობით დახვეტავ ფულს.

– როგორც კი ზურგზე შეგხედეთ, მივხვდი, ძვლები გქონდათ ამოვარდნილი. როდესაც ვხედავ, რომ რამეა ამოვარდნილი, მინდა გავასწორო. დიდი ხნის მანძილზე ვამზადებდი ავეჯს და როდესაც დავინახავ, რომ რამე გამრუდებულია, ვასწორებ ხოლმე. ასეთია ნაკატა. ძვლები კი პირველად გავასწორე.

– ნიჭი გქონია!

– ნაკატას კატებთან საუბარი შეეძლო.

– ლადაობ?

– მაგრამ ამ ცოტა ხნის წინ ეს უნარი დავკარგე. ჯონი უოკერის ბრალი უნდა იყოს.

– ჰოოო...

– სულელი ვარ, ამიტომ რთული რამეები არ მესმის. მაგრამ ბოლო დროს ბევრი უცნაური რამ მოხდა. თევზებისა და წურბელების წვიმა მოვიდა, მაგალითად.

– მართლა?

– მაგრამ მიხარია, რომ ზურგზე ტკივილი მოგიხსენით. თუ თქვენ კარგად იგრძნობთ თავს, ნაკატაც კარგად იქნება.

– კარგად ვარ, მართლა.

– კარგია.

– წურბელები რომ ახსენე...

– დიახ, ნაკატას ეს კარგად ახსოვს.

– რამე კავშირშია შენთან?

ნაკატა ამაზე დაფიქრა.

– საკუთარი თავის არ მესმის. მარტო ის ვიცი, რომ, როდესაც ქოლგა გავხსენი, წურბელების წვიმა წამოვიდა.

– მარტო ის იცი...

– ყველაზე ცუდი რამ სხვა ადამიანების დახოცვაა. – თქვა მისთვის უცნაური თავდაჯერებით.

– მართალი ხარ. მოკვლა ნაღდად ცუდია.

– მართალია. – დაეთანხმა ნაკატა და თავიც დაუქნია.

ისინი ტაკამაცუს სადგურიდან გავიდნენ და სადგურთან ახლოს, ატრიის რესტორანში შევიდნენ ლანჩზე. რესტორნის ფანჯრის იქით რამდენიმე დიდი წერო დააბიჯებდა თოლიებით დაფარულ ნავსადგურში.

ნაკატა გემრიელად ილუკმებოდა.

– ეს ატრია გემრიელია.

– მიხარია, რომ მოგწონს. რას იტყვი, ნორმალური ადგილია?

– დიახ. ნაკატას მოწონს.

– სწორად შეგვირჩევია ადგილი. ახლა რა უნდა ვქნათ?

– შესასვლელი ქვა უნდა ვიპოვო.

– შესასვლელი ქვა?

– დიახ.

– ჰმმ, ალბათ გრძელი ისტორიაა.

ნაკატამ ჯამი დახარა და სუპის ბოლო წვეთიც მოსვა.

– დიახ, გრძელი ისტორიაა. იმდენად გრძელი, რომ თვითონაც არ მესმის. როდესაც შესასვლელ ქვასთან მივალთ, ნაკატა ყველაფერს მიხვდება.

– როგორც ყოველთვის, იქამდე ვერაფერს მიხვდები, არა?

– დიახ, ვიდრე არ მივალთ, ვერ გავიგებ.

– საკმარისია. გრძელი ისტორიები არ მიყვარს. როგორც ვხვდები, შესასვლელი ქვა უნდა ვიპოვოთ.

– დიახ.

– და სად არის?

– ნაკატამ არ იცის.

– ნეტა რას გეკითხებოდი. – თავი გააქნია ჰომინომ.

ჩამეძინა. გამეღვიძა. ისევ ჩამეძინა. ისევ გამეღვიძა. არ მინდა, მისი მოსვლა გამომეპაროს. ჩამეძინა. გამეღვიძა. უკვე აქაა, სამუშაო მაგიდასთან ზის, ზუსტად ისე, როგორც წინა ღამით. ოთხის წუთებია.

დარწმუნებული ვარ, დაწოლამდე ფარდები ჩამოვაფარე, ისევ გადაწეულია. დღეს მთვარე არ ჩანს. ცას ღრუბლების სქელი ფენა გადაჰკვრია, ალბათ წვიმა ცრის. დღეს ოთახში უფრო ბნელა, ბაღში მდგარი ლამპიონები ბაცად ანათებენ ხეებს შორის არემარეს. თვალებს ერთხანს უჭირთ სიბნელესთან შეგუება.

გოგონა სამუშაო მაგიდასთან ზის, თავი ხელებზე დაუყრდნია და ნახატს შესცქერის. ისევ ის ტანსაცმელი აცვია. თვალებიც რომ მოვჭუტო, ისე ბნელა, მის სახეს ვერ გავარჩევ. საოცარია, რომ მისი სხეული და სილუეტი ასე მკაფიოდ ჩანს სიბნელეში. ეს გოგონა ქალბატონი საეკია ახალგაზრდობაში, ეჭვიც არ მეპარება.

ფიქრებშია ჩადირული. ან სიზმარს ხედავს. იქნებ თვითონ არის ქალბატონი საეკის სიზმარი? ვცდილობ, ძალიან ჩუმი ვისუნთქო, მყუდროება არ დავურღვიო. არ ვინძრევი, დროდადრო საათს თუ გავხედავ. დრო მიიზღაზნება. უეცრად გული მიჩქარდება, ისე მიფეთქავს, თითქოს ვიღაც კარზე აბრაზუნებდესო. ოთახში გულისცემის ექო გაისმის, რაც ისე მაფრთხობს, რომ მზად ვარ, საწოლიდან წამოვხტე.

გოგონას შავი სილუეტი ოდნავ შესამჩნევად ირხევა. თითქოს გამოერკვაო, ყურებს ცქვეტს. ჩემი გულისცემა მოესმა. ოდნავ ატრიალებს თავს, როგორც მხეცი უგდებს ტყეში ყურს მოულოდნელ, უცხო ხმაურს. შემდეგ პირით ჩემკენ ტრიალდება. თუმცა ვერ მხედავს. მე ხომ მისი სიზმრის ნაწილი არა ვარ, მე და ის უხილავი საზღვრით დაშორებულ სხვადასხვა სამყაროებში ვართ. გული სწრაფადვე ჩამიდგა საგულეში. სუნთქვაც გამისწორდა. ისევ უჩინარი გავხდი, ყურს აღარ მიგდებს. მხოლოდ კაფკას ხედავს, კაფკას პლაჟზე. თავი ისევ ხელებით უჭირავს, მისი გული ისევ ნახატზე გამოსახული ბიჭისკენ მიიწევს.

დაახლოებით ოც წუთს ჩერდება, მერე ქრება. გუშინდელივით დგება. ფეხშიშველა, უხმოდ უახლოვდება კარს და ისე რომ, არც კი ალებს, უჩინარდება. უმოძრაოდ ვზივარ, მერე ვდგები. შუქს არ ვანთებ, სიბნელეში ვუახლოვდები იმ სკამს, სადაც ცოტა ხნის წინ იჯდა. ვჯდები. ხელებს მაგიდაზე ვაწყო და ვცდილობ, მისი მწუხარება მთელი სხეულით შევიგრძნო. თვალებს ვხუჭავ, მინდა, მისი მთრთოლარე გული ჩემში გადმოიღვაროს. ასე ვზივარ, თვალდახუჭული.

ვხვდები, ჩემსა და ამ გოგონას შორის მსგავსებაა. ორივენი იმ ადამიანზე ვართ შეყვარებული, რომელიც უკვე სხვა სამყაროს ეკუთვნის.

ცოტა ხნის შემდეგ მეძინება. მოუსვენრად მძინავს. ჩემს სხეულს მოსვენება სჭირდება, გონება კი ხელს უშლის. ქანქარასავით მივდი-მოვდივარ ძილ-ღვიძილს შორის. მოგვიანებით, ზუსტად არ ვიცი, გათენებულა თუ არა, ჩიტები ბაღში ჟღერტულს იწყებენ და სრულიად ვფხიზლდები.

ჯინსს და გრძელსახელოებიან მაისურს ვიცვამ, გარეთ გავდივარ. ხუთი უკვე გახდა, მაგრამ ჯერ არავინ ამდგარა, ქალაქიდან გავდივარ, ვცდები ქარსაცავ ზოლად გაშენებულ ფიჭვების ტყეს, ზღვის ჯებირებსაც და ნაპირზე ვჯდები. ბრიზი ქრის. ცა ნაცრისფერ ღრუბლებს დაუფარავს, მაგრამ არა მგონია, მალე გაწვიმდეს. მშვიდი დილაა. ცა დედამიწის ხმის ჩამხშობად ქცეულა.

ზღვის სანაპიროზე დავსეირნობ, ვცდილობ, ის ბიჭი წარმოვიდგინო ნახატიდან, იმავე ბილიკზე მოსეირნე, ხელში შეზღონგით, ან პლაჟზე მჯდომი. თუმცა ზუსტად ვერ ვხედავ, ამ ნაპირის რომელი მონაკვეთია სურათზე გამოსახული. ნახატზე მხოლოდ პლაჟა, ჰორიზონტი, ცა და ღრუბლები. და კუნძული. ამ ნაპირიდან რამდენიმე კუნძული მოჩანს და აღარ მახსოვს, როგორ გამოიყურება ნახატზე გამოსახული კუნძული. ქვიშაზე ვჯდები, პირით ზღვისკენ და ხელებით სურათის ჩარჩოს ვაკეთებ. აქ მჯდომ ბიჭს ვხედავ. ერთადერთი თეთრი თოლია დაფრინავს ზღვის თავზე ამ უქარო ამინდში. თანაბარი ინტერვალებით ეხლება ზღვის ტალღები ნაპირს, უკან მიბრუნებული კი ქვიშაზე პაწაწინა ბუმტუკებს ტოვებს.

უეცრად ვხვდები, რომ იმ ბიჭის მშურს.

– იმ ბიჭის გშურს. – ჩამჩურჩულებს ბიჭი, სახელად ყვავი.

იმ საბრალო, ოცი წლის ბიჭის გშურს, რომელიც ვიღაცაში აერიათ და უმიზეზოდ მოკლეს, როდის, ოცდაათი წლის წინ? ტკივილსაც კი გაყენებს ეს ეჭვიანობა. ცხოვრებაში პირველად იეჭვიანე. როგორც იქნა, ეს განცდა გამოსცადე. თითქოს ცეცხლი მოგიკიდესო.

არასდროს შეგშურებია სხვისი, არც ვინმე სხვად ყოფნა გინატრია, ახლა კი... ყველაზე მეტად გინდა, რომ ის ბიჭი იყო. მიუხედავად იმისა, რომ იცი, ოცი წლისა თავში რკინის ხელკეტის ჩარტყმისა და ცემით სიკვდილისთვის იყო განწირული, გინდა, ის იყო. ნეტა შეგეძლოს, ის ბიჭი იყო, ის ხუთი წელი ქალბატონი საეკი გეყვარებოდა. და მასაც ეყვარებოდი მთელი არსებით. ჩაიხუტებდი, მისი სხეულით დატკბებოდი. მისი სხეულის ყოველ ნაწილს შეეხებოდი და ისიც ათამაშებდა თითებს შენს სხეულზე. და შენი სიკვდილის შემდეგაც შენი სიყვარული სამუდამოდ იცოცხლებდა მასში. ყოველ ღამით ფიქრებში მოგეალერსებოდა.

დიახ, უცნაურ მდგომარეობაში ხარ. ის გოგონა გიყვარს, რომელიც აღარ არსებობს, გშურს იმ ბიჭისა, რომელიც სამუდამოდ გაქრა. და მაინც, ეს განცდა გაცილებით მძაფრია, გაცილებით მტკივნეული, ვიდრე ყველაფერი, რაც აქამდე განგიცდია. გამოსავალიც არ ჩანს. კარის პოვნის შანსი აღარ არსებობს. დროის ლაბირინთში დაიკარგე. ყველაზე დიდი პრობლემა ისაა, რომ სურვილიც არა გაქვს, ამ ლაბირინთს თავი დააღწიო. ვცდები?

ოშიმა ცოტა უფრო გვიან მოდის, ვიდრე გუშინ. მის მოსვლამდე ორივე სართულს ვასუფთავებ მტვერსასრუტით, მაგიდებსა და სკამებს ვწმენდ, ფანჯრებს ვაღებ და ვწმენდ, ტუალეტს

ვრცხავ, ნაგავს ვყრი, ლარნაკებში წყალს ვცვლი. მერე კი შუქს ვანთებ და კომპიუტერებს ვრთავ. წინა კარის გაღებაღა რჩება.

ოშიმა გაკეთებულ საქმეს მიმოწმებს, კმაყოფილი ჩანს.

– სწრაფად სწავლობ და არც აფუჩჩებ, არა?

წყალს ვადუღებ და ყავას ვუმზადებ. მე თვითონ ერლ გრეის ვსვამ. გარეთ წვიმს, კოკისპირულად წვიმს. შორს მეხი ვარდება. ჯერ შუადღეც არ დამდგარა, გარეთ კი ისე ბნელა, თითქოს უკვე მოსაღამოვდაო.

– ოშიმა, მინდა, რაღაც გთხოვო.

– გისმენ.

– შეგიძლია, იმ სიმღერის ნოტები მიშოვო?

ოშიმა ფიქრობს.

– მე მგონი, შეგიძლია, ინტერნეტშიც ნახო. გაგირკვევ.

– გმადლობ.

სალაროს კუთხეში ჯდება, ერთ მწიკვ შაქარს ამატებს ყავის ფინჯანში და ფრთხილად ურევს კოვზით.

– მოგეწონა სიმღერა?

– ძალიან.

– მეც ძალიან მომწონს. სასიამოვნო მელოდიაა, საკმაოდ განსხვავებული. მარტივი, მაგრამ ღრმა. კომპოზიტორზე ბევრს მეტყველებს.

– ტექსტი კი სიმბოლურია. – ფრთხილად ვეუბნები.

– უხსოვარი დროიდანვე სიმბოლიზმი და პოეზია განუყოფელია. როგორც მეკობრე და რომი.

– როგორ ფიქრობ, ქალბატონმა საეკიმ ტექსტის მნიშვნელობა იცოდა?

ოშიმა ზემოთ იყურება, გრუხუნს ისე უსმენს, თითქოს ითვლის, მეხი რამსიმორეზე დაეცაო. მერე კი ჩემკენ ბრუნდება და მხრებს იჩეჩავს.

– იქნებ არც იცოდა. სიმბოლო და მნიშვნელობა ორი განსხვავებული რამაა. ვფიქრობ, ისე იპოვა საჭირო სიტყვები, რომ მათი მნიშვნელობისთვის და ლოგიკური ბმებისთვის ყურადღება არც მიუქცევია. სიტყვები სიზმარში იპოვა და ისე დაიჭირა, როგორც მოფარფატე პეპლის ფრთებს ჩაეჭიდებიან ხოლმე. ხელოვანი ხომ სიტყვაუხვობას თავს არიდებს.

– შენი აზრით, ქალბატონმა საეკიმ ეს სიტყვები სადღაც სხვა სამყაროში იპოვა, ისეთში, როგორიც, ვთქვამთ, სიზმრებია?

– ჭეშმარიტი პოეზია ასეთია. თუ სიტყვებს არ შეუძლიათ წინასწარმეტყველური კავშირის შექმნა მათსა და მკითხველს შორის, ეს სიტყვები პოეზიის ფუნქციას ვეღარ შეასრულებენ.

– ბევრი მხოლოდ ხელოვნურად ქმნის ამ კავშირს.

– ჰო, ეს ხელოვანთა ხერხია. როგორც კი სიმბოლური დატვირთვის მქონე სიტყვებს დაწერ, მთელი ტექსტი ლექსს დაემსგავსება.

– ამ სიმღერაში რაღაც სერიოზულსა და საჭიროს ვგრძნობ.

– მეც. ეს მხოლოდ ზედაპირული სიტყვები როდია. თუმცა ჩემთვის ტექსტი და მელოდია იმდენად განუყოფელია, რომ არ შემიძლია ამ ტექსტის, როგორც პოეტური ქმნილების აღქმა და იმაზე დაფიქრება, რამდენად დამაჯერებლად ჟღერს, – ოდნავ თავი გააქნია, – ავტორი ნიჭიერია და მუსიკა ესმის. იმდენად პრაქტიკულიც აღმოჩნდა, რომ შანსი გამოეყენებინა. იმ საშინელ შემთხვევას რომ არ ამოეგდო კალაპოტიდან, დარწმუნებული ვარ, საკუთარ ნიჭს გზას აპოვნინებდა. სირცხვილია, როცა...

– და სად წავიდა მისი ნიჭი.

ოშიმა მიყურებს.

– რას მეკითხები, სად გაქრა ქალბატონი საეკის ნიჭი მისი მეგობარი ბიჭის გარდაცვალების შემდეგ?

თავს ვუქნევ.

– თუ ნიჭი ბუნებრივი ენერგიაა, განა მან გამოვლინების საშუალება არ უნდა იპოვოს?

– არ ვიცი, – მპასუხობს ოშიმა, – ვერავინ იტყვის, რაში ვლინდება ნიჭი. ზოგჯერ ის ქრება. ზოგჯერ კი მიწისქვეშა მდინარესავით მიედინება სადღაც.

– იქნებ ქალბატონმა საეკიმ საკუთარი ნიჭი მუსიკაში კი არა, რაღაც სხვაში გამოავლინა?

– რაღაც სხვაში? – ოშიმა ისე დაინტერესდა, ცალ წარბს სწევს, – რას გულისხმობ?

ენა მებმის.

– არ ვიცი. იქნებ რაღაც ხელშეუხებელში.

– ხელშეუხებელში?

– რაღაც ისეთში, სხვები რომ ვერ ხედავენ, რაღაც შინაგან პროცესში.

ოშიმა შუბლზე ჩამოყრილ თმას თხელი თითებით ისწორებს.

– საინტერესოა. იქნებ უკან დაბრუნებული ქალბატონი საეკი თავის ნიჭს რაღაც უხილავში ავლენდა, როგორც შენ ამბობ, რაღაც ხელშეუხებელში. მაგრამ გახსოვდეს, ის დაახლოებით 25 წლით გაუჩინარდა, ამიტომ, თუ გინდა გაიგო, რეალურად რა მოხდა, მას უნდა ჰკითხო.

ვეყოფიანობდი, მერე კი გადავწყვიტე, პირდაპირ მეკითხა.

– შეიძლება ერთი სისულელე გკითხო?

– სისულელე?

ვწითლდები.

– ჰო. რაღაც წარმოუდგენელი.

– არ მაშინებს ეგეთი კითხვები.

– არ მჯერა, რომ ამას ვინმეს ვეუბნები.

ოშიმა ოდნავ ატრიალებს თავს და მიცდის.

– შეიძლება, ქალბატონი საეკი დედაჩემი იყოს?

ოშიმა უკან იხრება, დროს იგებს სწორი სიტყვების შესარჩევად. საათი წიკწიკებს.

– ამბობ, რომ ოცი წლის სასოწარკვეთილი ქალბატონი საეკი ტაკამაცუდან წავიდა, სადღაც მარტო ცხოვრობდა, სადაც მამაშენს, კოიჩი თამურას შეხვდა და იქორწინეს? შენ დაიბადე და ოთხი წლის შემდეგ რაღაც მოხდა, ის გამოიქცა და მარტო დაგტოვა მამასთან. შემდეგ ისევ სიცარიელეა, მერე კი ისევ სიკოკუში ჩნდება. სწორად გავიგე?

– ჰო.

– შეუძლებელი არ არის. იმას ვგულისხმობ, რომ შენი თეორიის უარმყოფელი რამე არგუმენტი არა მაქვს. მისი ცხოვრება ხომ სრული ტანჯვაა. ამბობენ, რომ ტოკიოში ცხოვრობდა. თან მამაშენის კბილაა. ტაკამაცუში კი მარტო დაბრუნდა. რას მეუბნებოდი, რამდენი წლისაა შენი და?

– ოცდაერთის.

– ჩემი ტოლი ყოფილა, – ამბობს ოშიმა, – შენი და რომ არა ვარ, ეგ მაინც ზუსტად ვიცი. მშობლებიც მყავს და მმაც – ყველასთან სისხლით ნათესაობა მაკავშირებს. ჩემთვის ეს მეტისმეტია, – დოინჯს იყრის და შემომყურებს, – რაღაც მინდა გკითხო. ოდესმე საკუთარი ოჯახის საბუთებში ჩაგიხედავს? დედაშენის სახელსა და ასაკს შეიტყობდი.

– რა თქმა უნდა.

– რაო მერე?

– არანაირი სახელი არ არის.

– არა? ეგ როგორ შეიძლება? – გაოცებულია.

– არ არის სახელი მითითებული. წარმოდგენა არ მაქვს, რატომ. რეესტრის მიხედვით, დედა არ მყავს. არც უფროსი და. მხოლოდ ჩემი და მამას სახელია რეგისტრირებული. კანონის მიხედვით, ნაბიჭვარი ვარ. უკანონო შვილი.

– მაგრამ დედა და და ხომ გყავდა?

თავს ვუქნევ.

– ოთხ წლამდე მყავდა. ოთხივენი ერთად ვცხოვრობდით. საკმაოდ მკაფიოდ მახსოვს. ოთხი რომ შემისრულდა, მალევე წავიდნენ. – საფულეს ვიღებ და ოშიმას ფოტოს ვაჩვენებ, სადაც მე და ჩემი უფროსი და პლაჟზე ვთამაშობთ.

სურათს უყურებს, იღიმება და უკან მიბრუნებს.

– კაფკა პლაჟზე. – ამბობს ოშიმა.

თავს ვუქნევ და ფოტოს საფულეში ვიღებ. გარეთ ქარი ქრის და ფანჯარას წვიმა ეხეთქება. ჭერზე დაკიდებული ნათურა იატაკზე ჩემსა და ოშიმას ჩრდილებს ქმნის. რომელიღაც ალტერნატიულ სამყაროში ჩვენი ჩრდილები ავისმომასწავებლად ბუტბუტებენ.

– დედის სახე გახსოვს? – მეკითხება ოშიმა, – ოთხ წლამდე შენთან იცხოვრა, უნდა გახსოვდეს მისი გარეგნობა.

თავი გავაქნიე.

– საერთოდ არ მახსოვს, საერთოდ. არ ვიცი, რატომ, მისი სახე ყოველთვის ბნელითაა მოცული, გადღაბნილია, ცარიელი.

ოშიმა ჩაფიქრდა.

– რატომ გგონია, რომ ქალბატონი საეკი დედაშენია?

– საკმარისია. დავივიწყოთ. ჭიანჭველას სპილოდ ქცევას ვცდილობ.

– არა უშავს, მიდი მომიყევი, რას ფიქრობ. შემდეგ გადავწყვიტოთ, აჭარბებ თუ არა.

ოშიმას ჩრდილი მასთან ერთად მოძრაობს, მის მოქმედებებს იმეორებს, მაგრამ ჩრდილი უფრო დიდია.

– უამრავი დამთხვევაა ჩემსა და მას შორის. ფაზლის ნაწილებივით, ერთმანეთს რომ ერგება. ამას მაშინ მივხვდი, როცა კაფკა პლაჟზე მოვისმინე. პირველ რიგში ის უნდა აღვნიშნო, რომ ამ ბიბლიოთეკაში ბედმა მომიყვანა, ნაკანოდან ტაკამაცუში პირდაპირ ჩამოვედი. რაც უცნაურია.

– ბერძნული ტრაგედიის შინაარსს ჰგავს.

– გარდა ამისა, შემეყვარდა.

– ქალბატონი საეკი...

– ჰო, მგონი.

– მგონი? – წარბს წევს, – გინდა თქვა, რომ მგონი ქალბატონი საეკი გიყვარს? თუ მგონი გიყვარს ქალბატონი საეკი?

ვწითლდები.

– ახსნა მიჭირს. ჩახლართულია ყველაფერი და ბევრი რამ არ მესმის.

– მაგრამ, მგონი, შეყვარებული ხარ, მგონი, ქალბატონ საეკიზე?

– ჰო, ძალიან.

– მგონი, მაგრამ თან ძალიან.

თავს ვუქნევ.

– თანაც, შესაძლებელია, რომ დედაშენი იყოს?

ჩემი საფირმო თავის ქნევა.

– თხუთმეტი წლის უწვერული ბიჭისთვის, მძიმე ჯვარი გაქვს აკიდებული, – ოშიმა ყავას წრუპავს და ფინჯანს ფრთხილად ლამბაქზე აბრუნებს, – იმას არ ვამბობ, ეს ცუდია-მეთქი. მაგრამ ყველაფერს აქვს კრიტიკული წერტილი.

არაფერს ვპასუხობ.

ოშიმა საფეთქლებს ეხება და ფიქრობს. თხელ თითებს მკერდზე იჯვარედინებს.

– ვეცდები, რაც შეიძლება სწრაფად ვიპოვო ნოტები. აქაურობას მე მივხედავ, შენ უკან დაბრუნდი, შენს ოთახში.

ლანჩზე ოშიმას ვცვლი სალაროსთან. დღეს იმაზე ნაკლები ხალხია, ვიდრე სხვა დღეებში, ალბათ თავსხმა წვიმის გამო. როდესაც შესვენებიდან უკან ბრუნდება, დიდ კონვერტს მიწვდის, რომელშიც ამობეჭდილი სიმღერის ნოტები დევს.

– მოხერხებულ სამყაროში ვცხოვრობთ.

– გმადლობ.

– თუ წინააღმდეგი არა ხარ, ზემოთ ყავა აიტანე. უშაქროდ და უნალებოდ. მართლა კარგ ყავას ამზადებ.

ყავას ვამზადებ და ლანგრით ამაქვს მეორე სართულზე. როგორც ყოველთვის, ქალბატონი საეკის ოთახის კარი ღიაა, ის კი მაგიდასთან ზის და წერს. როდესაც ყავის ფინჯანს მაგიდაზე ვდგამ, თავს მალლა სწევს და მიღიმის. ავტოკალამს თავს ახურავს და ფურცელზე დებს.

– ეჩვევი აქაურობას?

– თანდათან.

– გცალია ახლა?

– დიახ.

– ჩამოჯექი, – მისი მაგიდის გვერდით მდგომი ხის სკამისკენ მითითებს, – ვისაუბროთ.

ისევ ქუხილს იწყებს. საკმაოდ შორს, მაგრამ თანდათან გვიახლოდება. ვჯდები.

– რამდენი წლის ხარ, 16-ის?

– 15-ის. ახლახან გავხდი 15-ის.

– სახლიდან გამოიქეცი, არა?

– დიახ.

– რამე პრობლემა გქონდა?

თავი გავაქნიე. რა უნდა მეპასუხა?

ფინჯანს იღებს, ყვავს წრუპავს და ჩემს პასუხს ელოდება.

– ისეთი განცდა მქონდა, თითქოს, იქ თუ დავრჩებოდი, ისე დავინგრეოდი, აღარაფერი მეშველებოდა.

– დაინგრეოდი? – თვალმოჭუტული მიყურებს.

– დიახ.

– საოცარია, რომ შენი ასაკის ბიჭი ასეთ სიტყვას ამბობს, – პაუზის შემდეგ მეუბნება, – თუმცა დამაინტრიგე. დანგრევაში რას გულისხმობ?

ვცდილობ, სწორ სიტყვებს მოვუყარო თავი. ჯერ ბიჭს ვემბ, სახელად ყვავს, მაგრამ აქ არ არის. მე თვითონ მომიწევს სიტყვების შერჩევა, რასაც დრო სჭირდება. ქალბატონი საეკი მოთმინებით მიცდის. ელავს, ცოტა ხნის მერე კი სადღაც შორს გრუხუნებს.

– რაღაც არასასურველ რამედ გადავიქცეოდი.

ინტერესით მიყურებს.

– დრო ყველას აზიანებს, რაღაც სხვად აქცევს. ეს ოდესმე მაინც მოხდება, ადრე თუ გვიან.

– მაგრამ ამის მიუხედავად, ისეთი ადგილი უნდა გქონდეს, სადაც დაბრუნებას შეძლებ.

– სადაც დაბრუნებას შეძლებ?

– ადგილი, სადაც დაბრუნება ღირს.

პირდაპირ მიყურებს.

ვწითლდები, ძალას ვიკრებ და ვუყურებ. მოკლემკლავებიანი მუქლურჯი კაბა აცვია. ეტყობა, მთელი კარადა აქვს სხვადასხვა ტონალობის ლურჯი კაბებით სავსე. მხოლოდ და მხოლოდ ეს აქსესუარები უკეთია – თხელი ვერცხლის გულსაკიდი და პაწაწინა მაჯის საათი შავი ტყავის ფრთებით. მასში 15 წლის გოგონას ვემბ და მაშინვე ვპოულობ. დამალულია, ჩაძინებული. მაგრამ თუ ყურადღებით დააკვირდები, აუცილებლად მოჰკრავ თვალს. გული მიჩქარდება, თითქოს იმ კედელს, რომელიც გარს ერტყმის, ვიღაც ჩაქუჩით გრძელ ლურსმანს აჭედებსო.

– 15 წლისათვის საკმაოდ ჭკვიანი ხარ.

არ ვიცი, რა ვუპასუხო. ამიტომ არაფერს ვეუბნები.

– როცა 15-ის ვიყავი, – მეუბნება ღიმილით, – მხოლოდ და მხოლოდ ის მინდოდა, სადმე ისეთ სამყაროში მეპოვა შესასვლელი, სადაც არასოდეს არავინ ყოფილა. მინდოდა, დროის მიღმა აღმოვჩენილიყავი.

– მაგრამ ასეთი ადგილი არ არსებობს ამ სამყაროში.

– მართლაც. სწორედ ამიტომ აქ ვცხოვრობ, სამყაროში, სადაც საგნები გამუდმებით ნადგურდება, სადაც გული ცვალებადია, სადაც დრო შეუჩერებელივ გადის. როცა 15-ის ვიყავი, მეგონა, ასეთი ადგილი არსებობდა. დარწმუნებული ვიყავი, სადმე ვიპოვიდი სხვა სამყაროში შესასვლელ კარს.

– 15 წლისა მარტოსული იყავით?

– ალბათ, ჰო. მარტო არ ვყოფილვარ, მაგრამ მარტოსული ვიყავი. ვიცოდი, ისეთი ბედნიერი, როგორც იმ დროს ვიყავი, აღარასდროს ვიქნებოდი. ამიტომ მინდოდა, იქ მეცხოვრა, სადაც დრო გაჩერდებოდა.

– მე მინდა, სწრაფად გავიზარდო.

უკან იხრება, რომ ჩემს გამომეტყველებას დააკვირდეს.

– შენ უფრო ძლიერი და დამოუკიდებელი ჩანხარ, ვიდრე მე. შენს ასაკში რეალობისგან გაქცევის ილუზიით ვიყავი შეპყრობილი, შენ კი რეალობას თვალს უსწორებ და არ ეპუები. გვარიანი სხვაობაა.

ძლიერი და დამოუკიდებელი? არც ერთი არა ვარ. მე მხოლოდ რეალობას ვემორჩილები, საკუთარი სურვილის მიუხედავად. ხმამაღლა არაფერს ვამბობ.

– იცი, ერთ 15 წლის ბიჭს მაგონებ, რომელსაც ძალიან დიდი ხნის წინ ვიცნობდი.

– მე მგავდა?

– შენ უფრო მაღალი და ახოვანი ხარ, მაგრამ არის მსგავსება თქვენ შორის. არ უყვარდა თავისი ასაკის ბავშვებთან ურთიერთობა, ისინი სხვა ტალღაზე იყვნენ მომართული, ამიტომ ძირითად დროს თავის ოთახში გამოკეტილი ატარებდა, კითხულობდა ან მუსიკას უსმენდა. ისიც შენსავით იღუშებოდა, როდესაც რთულ საკითხებზე ლაპარაკობდა. და შენც გიყვარს კითხვა.

თავს ვუქნევ.

საათს დაჰყურებს.

– გმადლობ ყავისთვის.

დროა წავიდე, ვდგები და კარისკენ მივდივარ. ქალბატონი საეკი ავტოკალამს იღებს, ფრთხილად ხდის თავს და წერას აგრძელებს. გარეთ ისევ ელავს და წამით ოთახს უცნაურ ფერს სძენს. წამის შემდეგ გრუხუნის ისმის. ამჯერად მეხი უფრო ახლოს დაეცა.

– კაფკა. – მომმართავს ქალბატონი საეკი.

კართან ვჩერდები და ვტრიალდები.

– ახლა გამახსენდა, ოდესღაც წიგნი დავწერე ჭექა-ქუხილის შესახებ.

არაფერს ვპასუხობ. წიგნი ჭექა-ქუხილის შესახებ?

– მთელი იაპონია მოვიარე და ვესაუბრე იმ ადამიანებს, რომლებიც მეხის დაცემას გადაურჩნენ. რამდენიმე წელი დამჭირდა ამისთვის. ბევრი რესპონდენტი საინტერესო აღმოჩნდა. წიგნი პატარა გამომცემლობამ დაბეჭდა, მაგრამ ბევრი არ გაყიდულა. ეს წიგნი არანაირ დასკვნას არ იძლევა, ადამიანებს კი არ უყვართ იმ წიგნების კითხვა, სადაც დასკვნა არ არის. ჩემთვის კი არც ერთი დასკვნა არ იყო მისაღები.

თავში შეუჩერებლივ მიკაკუნებს პატარა ჩაქუჩი. ვცდილობ, რაღაც გავიხსენო, რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი – მაგრამ რა? ის კი წერას აგრძელებს, მე ჩემს ოთახში ვბრუნდები.

კოკისპირული წვიმა კიდევ ერთ საათს გრძელდება. ისეთი გამაყრუებელი ჭექა-ქუხილია, რომ ბიბლიოთეკის ფანჯრები ზანზარებს. ყოველთვის, როცა ცაზე ელვა იკლავება, სინათლეს ვიტრაჟებიანი შუშაბანდი ირეკლავს და თეთრ კედელზე მოჩვენების მსგავსი გამოსახულებები ჩნდება. ორი საათისთვის შტორმი წყდება და ღრუბლებს შორის მოყვითალო ნათელი იწყებს გადმოღვრას, თითქოს, როგორც იქნა, მზე დედამიწას შემოურიგდაო. წყალი ნელ-ნელა ისევ მოწვეთავს. საღამოს ბიბლიოთეკის დახურვას ვიწყებ. ქალბატონი საეკი მე და ოშიმას გვემშვიდობება და სახლისკენ მიდის. «გოლფის» ძრავას ხმა მესმის, თვალწინ წარმომიდგება, როგორ ქოქავს მანქანას საჭესთან მჯდომი. ოშიმას ვეუბნები, რომ მე დავხურავ ბიბლიოთეკას. რაღაც არიის ღიღინით ტუალეტში შედის ხელების დასაბანად და შემდეგ მიდის. «მაზდა მიატას» ხმაც მესმის, ისიც თანდათან წყდება. ახლა სულ მთლად დადუმებული ბიბლიოთეკა მხოლოდ მე დამრჩა.

ოთახში ვბრუნდები და „კაფკა პლაჟზე“ ნოტებს ვაკვირდები. როგორც ვვარაუდობდი, ძირითადად მარტივი აკორდებია, რეფრენი კი რამდენიმე რთული აკორდისგან შედგება. სამკითხველო დარბაზში ავდივარ და ვცდილობ, ფორტეპიანოზე დავუკრა. საკმაოდ რთულია. ისევ და ისევ ვცდილობ ამ აკორდების აღებას, ვვარჯიშობ და როგორღაც ვახერხებ. თავიდან მიჭირს. ან არასწორად არის ნოტები მითითებული, ან კლავიშებია აშლილი. რაც უფრო ხშირად ვუსმენ ამ ორი აკორდის ჟღერადობას, უფრო ვრწმუნდები, სიმღერა სწორედ მათზეა დამოკიდებული. ამ ორმა აკორდმა იხსნა „კაფკა პლაჟზე“ უგემოვნო პოპ-სიმღერად გადაქცევისგან, განსაკუთრებული სიღრმე და სიმდიდრე მიანიჭა. მაგრამ როგორ იპოვა ეს აკორდები ქალბატონმა საეკიმ?

უკან, ჩემს ოთახში ვბრუნდები, ჩაიდნით წყალს ვადუღებ და ჩაის ვიმზადებ. საკუჭნაოში ნაპოვნ ფირფიტებს ვუსმენ. სამოციანი წლების ჰიტები – ბობ დილანის *Blonde on Blonde*, ბიტლზის *White Album*, ოტის რედინგის *Dock of the Bay*, სტენ გეტის *Getz/Gilberto*. ის ახალგაზრდა ბიჭი, ქალბატონ საეკისთან ერთად, ალბათ ამ მუსიკას უსმენდა. მუსიკას მეც და ეს ოთახიც იმ უცხო დროში გადაჰყავს, როცა მე დაბადებულნი არ ვიყავი. თან მუსიკას ვისმენ, თან კი დღისით გამართული საუბრის დეტალებს ვიხსენებ.

– როცა 15-ის ვიყავი, – ღიმილით ამბობს, – მხოლოდ და მხოლოდ ის მსურდა, სადმე ისეთ სამყაროში შესასვლელი მეპოვა, სადაც არავინ არასდროს ყოფილა. მინდოდა, დროის მიღმა აღმოვჩენილიყავი.

მისი ხმა ახლაც ჩამესმის. ჩემს თავში ვიღაც კარზე აბრახუნებს, ჯიუტად აბრახუნებს.

შესასვლელი?

ფირსაკრავიდან სტენ გეცის ალბომს ვიღებ . „კაფკა პლაჟზე“ უნდა მოვისმინო.

„ჩაძირული გოგონას თითები

შესასვლელ ქვას ეძებენ და

ლაჟვარდოვანი კაბის კალთას იწევენ.

ხედავს – კაფკა პლაჟზე.“

გოგონას, რომელიც ამ ოთახში ბრუნდება, შესასვლელი ქვა უპოვია. ის სხვა სამყაროშია დარჩენილი ისეთად, როგორც 15 წლის ასაკში იყო, და ღამით ამ ოთახში ბრუნდება. ღია ცისფერ კაბაში გამოწყობილი, მოდის, რომ პლაჟზე ჩამომჯდარ კაფკას უყუროს.

უეცრად, სრულიად მოულოდნელად, რატომღაც მახსენდება, რომ მამაჩემს ოდესღაც მეხი დაეცა. თვითონ არ მოუყოლია, ჟურნალისტისთვის მიცემულ მის ინტერვიუში ამოვიკითხე. როდესაც ხელოვნების სკოლაში სწავლობდა, ნახევარ განაკვეთზე მუშაობდა გოლფის მოედანზე ბურთის მიმწოდებელ ბიჭად. ერთ დღეს, გოლფის მოთამაშეს მიჰყვებოდა უკან, როდესაც უეცრად ცამ ფერი იცვალა და კოკისპირული წვიმა წამოვიდა. თავი ხეს შეაფარეს, რომელსაც მეხი დაეცა. უზარმაზარი ხე ორად გადაიპო. გოლფის მოთამაშე მოკვდა, მამაჩემი კი, თითქოს რაღაც იგრძნო, დროულად გამხტარა იქიდან. დამწვრობა მიიღო, თმა შეეტრუსა და მეხის ძალამ კლდისკენ გატყორცნა. თავი დაარტყა და გონება დაკარგა, მაგრამ გადარჩა და მხოლოდ პატარა ნაჭრილობევი დარჩა შუბლზე. აი, ამას ვიხსენებდი შუადღეზე, ქალბატონი საეკის კართან მდგომი, გრუხუნის დროს. სწორედ ამ ამბის შემდეგ მოეკიდა მამაჩემი მოქანდაკის კარიერას სერიოზულად.

როდესაც ქალბატონი საეკი ინტერვიუებს იღებდა წიგნისთვის, იქნებ სწორედ ამ დროს შეხვდა მამაჩემს? ვინ იცის. ბევრი გადაურჩებოდა მეხს?

ნელა ვსუნთქავ, მზის ჩასვლას ველი. ღრუბლები იფანტება, ბაღში ხეებს მთვარე დანათის. უამრავი დამთხვევაა. ყველაფერი აჩქარდა და სადღაც, ერთი მიმართულებით მიექანება.

სადამოვდებოდა, ღამის გასათევი უნდა ეშოვათ. ჰომინო ტაკამაცუს სადგურში ტურიზმის საინფორმაციო ცენტრში მივიდა და მათი მეშვეობით სასტუმროში ნომერი დაჯავშნა. სასტუმრო სადგურთან ისე ახლო იყო, ფეხითაც შეიძლებოდა მისვლა. სასტუმროს დამახასიათებელ პირქუშ გარემოს არც ჰომინო შეუწუხებია, არც ნაკატა. თავზე ჭერი ჰქონდათ, მატყლის ლეიბებიც ეგო. რა ჰქონდათ საწუწუნო. ვახშამზე უარი თქვეს. ნაკატა ისეთი დაღლილი იყო, წუთიწუთზე ჩაეძინებოდა.

ოთახში შევიდნენ, ნაკატამ ჰომინო პირქვე დააწვინა ლეიბზე, ზემოდან მოექცა და ორივე ცერა თითით დააწვა ხერხემალზე კუნთებისა და სახსრების მდგომარეობის შესამოწმებლად. ამჯერად გაცილებით ნაზად მოქმედებდა.

– რაღაც ისე ვერ არის? – შეშფოთებით ჰკითხა ჰომინომ.

– არა, ყველაფერი რიგზეა. ამჯერად ნაკატას არანაირი დაზიანება არ აღმოუჩენია. ხერხემალი კარგ ფორმაშია.

– რა ბედნიერებაა. კიდევ ერთ წამების რიტუალს ველოდი.

– ვიცი. ნაკატა მართლა წუხს. მითხარით, ტკივილს ავიტანო, მე რაც შემეძლო, გავაკეთე.

– ვიცი, ასე გითხარი, მაგრამ, ბაბუ, რაღაც ზღვარი ხომ არსებობს. ზოგჯერ შენით უნდა მიხვდე. ვხვდები, არ უნდა გეწუწუნებოდე, ბოლოს და ბოლოს, ხერხემლის ტკივილი გამიქრე. მაგრამ, ღმერთო, ასეთი საშინელი ტკივილი არასდროს მიგრძნია. საშინლად მტკივნეული იყო. თითქოს ჩემს აკუწვას ცდილობდი. თითქოს მოვკვდი და გავცოცხლდი.

– ოდესღაც ნაკატა სამი კვირით მოკვდა.

– ნუ ღადაობ. – ჰომინომ, ისევ მუცელზე მწოლიარემ, ჩაი მოსვა და რაღაც საკნატუნო მიაყოლა, რომელიც მაღაზიაში ეყიდა, – მართლა მოკვდი?

– მოკვდი.

– მერე, სად აღმოჩნდი?

– არ ახსოვს ნაკატას. თითქოს სადღაც ძალიან შორს ვიყავი და რაღაც სხვას ვაკეთებდი. გონება დაბინდული მქონდა და არაფერი მახსოვს. როდესაც ამქვეყნად მოვბრუნდი, ჭკუა დამისუსტდა. წერა-კითხვა აღარ შემეძლო.

– ალბათ ეგ უნარი იქ, მეორე მხარეს დატოვე.

– შეიძლება მართალი ხარ.

ერთხანს ორივე ჩუმად იყო. ჰომინო ფიქრობდა, ჯობია, მოხუცს ყველაფერი დავუჯერო, მისი ნაამბობი რაც არ უნდა უცნაურად მომეჩვენოსო. ისიც აშფოთებდა, ამ სამკვირიანი

სიკვდილის შესახებ ფიქრს ქაოსურ, უმართავ სიტუაციაში არ ჩაეგდო. ჯობდა ისევ სხვა თემაზე გადაეტანა საუბარი.

– უკვე ტაკამაცუში ვართ, ბატონო ნაკატა, საით აპირებ წასვლას?

– წარმოდგენა არ მაქვს. არ ვიცი, რა უნდა ვქნა.

– შესასვლელ ქვაზე რას იტყვით?

– მართალია. ნაკატას სულ გადაავიწყდა. ეგ ქვა უნდა ვიპოვოთ, მაგრამ წარმოდგენა არ მაქვს, როგორია. გონება დამებინდა. არც თავიდან ვიყავი ჰკვიანი, მაგრამ სიტუაცია სულ უფრო და უფრო უარესდება.

– ჰოდა, რამე უნდა ვიღონოთ, არა?

– დიახ.

– აქ ჯდომა და ერთმანეთის ყურება სახალისო სულაც არ არის. არც არაფერს მოგვცემს.

– მართალი ხარ.

– მგონი, ხალხს უნდა ვკითხოთ. იქნებ იციან, ეგეთი ქვა სად არის.

– ნაკატასაც ეგ უნდა. მე თვითონ ვერაფერს ვხვდები, ამიტომ ხალხს ხშირად ვუსვამ კითხვებს.

– ბაბუაჩემი ყოველთვის ამბობდა, კითხვის დასმა სამარცხვინოა იმწამს, არდასმა კი სამუდამოდ სამარცხვინოაო.

– ვეთანხმები. როდესაც კვდები, შენი ცოდნა ქრება.

– ამას არ ვგულისხმობდი. – თქვა ჰომინომ და თავი მოიფხანა. – წარმოგიდგენია, როგორი შეიძლება იყოს ეგ ქვა? რანაირი ქვაა, რამხელა, რა ფორმა აქვს ან ფერი? რისთვის იყენებენ? თუ რაღაც დეტალები მაინც არ გვეცოდინება, კითხვის დასმა გაგვიჭირდება. ვერავინ ვერაფერს გაიგებს, მარტო იმას თუ ვკითხავთ, სადმე ახლოს შესასვლელი ქვა ხომ არ არის. იფიქრებენ, ესენი ვერ არიანო. ხვდები, რას ვგულისხმობ?

– დიახ. ჰკუანაკლული ვარ, მაგრამ გიჟი – არა.

– კარგი.

– ქვა, რომელსაც ნაკატა ეძებს, განსაკუთრებულია. ძალიან დიდი არ არის, თეთრია და სუნი არა აქვს. არ ვიცი, რისთვის იყენებენ. მრგვალია და ბრინჯის ნამცხვარსა ჰგავს. – ხელებით ფირფიტის ზომა მოხაზა.

– ჰმმ, ანუ, თუ იპოვი, მიხვდები რომ ეგ არის? იტყვი, აი, ეს არისო?

– ნაკატა მაშინვე იცნობს.

– რაღაც ამბავი ან ლეგენდა, ისტორია იქნება მასთან დაკავშირებული. იქნებ ცნობილია და ტაძარში ან სადმე სხვაგანაა დასვენებული?

– შესაძლოა.

– ან იქნებ რომელიმე სახლშია და ადამიანები მას მწნილის გაკეთების დროს იყენებენ?

– არა, ეგ შეუძლებელია.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ამ ქვის დაძვრა არავის შეუძლია.

– შენ გარდა არავის?

– დიახ, ნაკატამ შეიძლება შეძლოს.

– როდესაც დაძვრა, რა მოხდება?

ნაკატა დიდი ხნით დაფიქრდა.

– არ ვიცი, – თქვა ბოლოს, – მარტო ის ვიცი, რომ დროა, ვინმემ დაძვრას.

ჰომინოც დაფიქრდა.

– და ეს ვინმე შენ ხარ, არა? ჯერჯერობით მაინც.

– დიახ, მართალია.

– ეს ქვა მხოლოდ ტაკამაცუშია?

– არა. მნიშვნელობა არა აქვს, სად იქნება. უბრალოდ, ახლა აქ არის. გაცილებით მარტივად იქნებოდა საქმე, ნაკანოში რომ ყოფილიყო.

– ალბათ ამნაირი ქვის დაძვრა სახიფათო უნდა იყოს.

– მართალია. მართლაც ძალიან სახიფათოა.

– ჯანდაბა! – ჰომინომ თავი გააქნია. ტიუნიტის დრაკონების კეპი დაიხურა და კიკინის კუდი კეპის უკანა ჭრილში გამოაძვრინა, – თავი ინდიანა ჯონსი მგონია!

მეორე დილით ტაკამაცუს სადგურში ტურიზმის საინფორმაციო ცენტრში იკითხეს, იყო თუ არა ცნობილი ქვები ტაკამაცუში და მის შემოგარენში.

– ქვები? – გოგონამ კითხვა იუცხოვა. მხოლოდ ტურისტული ძეგლების წარდგენაში იყო გაწვრთვნილი, ასეთმა კითხვამ კი დააბნია, – რა ტიპის ქვებს დაეძებთ?

– დაახლოებით ამ სიდიდის მრგვალ ქვას, – ჰომინომ ხელით ფირფიტის ზომა მოხაზა, – „შესასვლელი ქვა“ ჰქვია.

– „შესასვლელი ქვა“?

– ჰო. ასე ჰქვია. როგორც ვიცი, სახელგანთქმული ქვაა.

– რისი შესასვლელია?

– ეგ რომ ვიცოდე...

გოგონა დაფიქრდა. ჰომინოს თვალი არ მოუცილებია. ლამაზი გოგოაო, გაიფიქრა, ერთმანეთისგან დაშორებული თვალები კი დამფრთხალ ბოჩოლას ამსგავსებსო. რამდენიმე ადგილას დარეკა, თუმცა ვერაფერი გაარკვია.

– ვწუხვარ, ამ ქვის შესახებ არავის სმენია.

– არავის?

გოგონამ თავი გააქნია.

– მაპატიეთ ამ კითხვისთვის. აქ მხოლოდ ქვის სანახავად ჩამობრძანდით?

– დაახლოებით ასეა. მე ნაგოიადან ვარ, ეს მოხუცი კი ტოკიოდან, ნაკანოს რაიონიდან არის.

– დიახ, დიახ. ნაკატა ნაკანოს რაიონიდან, – ჩაერთო ნაკატა საუბარში, – რამდენ სატვირთოში ვიჯექი, იცით? ერთხელ გველთევზათიც კი გამიმასპინძლდნენ. აქამდე ისე ჩამოვდი, თვითონ ერთი ცენტრიც არ დამიხარჯავს.

– ხედავთ თქვენ... – ჩაილაპარაკა გოგონამ.

– რაღა უნდა ვქნათ, ამ ქვის შესახებ არავის სმენია. რა შენი ბრალია, ნუ იდარდებ. იქნებ რაღაც სხვა სახელიცა აქვს? რომელიმე ცნობილი ქვის შესახებ რამე გსმენია? იქნებ რამე ლეგენდა არსებობს? ან იქნებ რომელიმე ქვასთან ხალხი ლოცულობს? არაფერი გაგონდება?

გოგონა ჰომინოს ტიუნიტის დრაკონების კეპზე, გრძელ თმაზე, მწვანეჩარჩოიან სათვალეზე, საყურეზე და ჰავაიურ პერანგზე დააკვირდა.

– ქალაქის მთავარ ბიბლიოთეკას მიგასწავლით, იქ შეგიძლიათ ქვის შესახებ ინფორმაცია მოძებნოთ. სამწუხაროდ, თვითონ ბევრი არაფერი ვიცი ქვების შესახებ.

ბიბლიოთეკაში ვერაფერს წააწყდნენ. ერთი წიგნიც არ იყო ტაკამაცუს ქვებზე.

ბიბლიოთეკარმა „კაგავას პრეფექტურის ლეგენდები“, „კობო დაიშის ლეგენდები სიკოკუზე“, „ტაკამაცუს ისტორია“ და მსგავსი წიგნები დაუხვავა ჰომინოს წინ, იქნებ რომელიმე მათგანი შეიცავს თქვენთვის საინტერესო ინფორმაციას ქვების შესახებო. ჰომინომ ამოიოხრა და წიგნების გადათვალიერებას შეუდგა. ნაკატა კი ამ დროს ფრთხილად ფურცლავდა იაპონიის ცნობილი ქვების ფოტოალბომს.

– კითხვა არ ვიცი, ამიტომ პირველად ვარ ბიბლიოთეკაში.

– მრცხვენია, რომ მეც პირველად ვარ ბიბლიოთეკაში. თან მე კითხვაც ვიცი.

– კარგია, რომ აქ ვართ.

– ჰო...

– ნაკანოს რაიონში არის ბიბლიოთეკა. ზოგჯერ იქ ვჩერდებოდი, მაგრამ ვერ ვბედავდი შესვლას. არა მგონია, შემიშვან, ნაკატამ ხომ კითხვა არ იცის.

– ბრმა ბიძაშვილი მყავს, რომელიც კინოში დადის. ნეტა რა სიამოვნებას იღებს?

– მე ბრმა არა ვარ, მაგრამ კინოში არ ვყოფილვარ.

– მეღადავები? წაგიყვან ერთხელაც.

ბიბლიოთეკარმა შენიშვნა მისცა, ხმამაღლა ნუ საუბრობთო. გაჩუმდნენ და წიგნებს მიუბრუნდნენ. ნაკატამ იაპონიის ცნობილი ქვების ფოტოალბომი დაათვალიერა, წიგნი თაროზე დააბრუნა და მსოფლიოს კატების კატალოგი აიღო. ჰომინომ კი ბიბლიოთეკარის მიერ რეკომენდებული ყველა წიგნი გადაათვალიერა. სამწუხაროდ, თავისთვის საინტერესოს ვერაფერს გადააწყდა. ტაკამაცუს ციხესიმაგრის გალავანის ქვების შესახებ წერდნენ, მაგრამ ეს ქვები ბევრად დიდი იყო, ვიდრე შესასვლელი ქვა. ჰეიანის პერიოდში მცხოვრები ცნობილი ბერის, კობო დაიშის შესახებაც იყო ერთი ლეგენდა, რომლის თანახმადაც, ბერმა უდაბურ ადგილას ქვა ასწია, წყარო გადმოსკდა და იქაურობა ბრინჯის ნათესებად იქცა. ერთ-ერთ ტაძარში ნაყოფიერების ქვაც იყო, დაახლოებით მეტრი სიმაღლის და ფალოსის ფორმისა. ამ ქვას ნამდვილად არ ეძებდა ნაკატა.

ბიბლიოთეკიდან სასადილოში წავიდნენ. ორივემ ტემპურიანი[9] ატრია მიირთვა, ჰომინომ მეორე ულუფა ატრიაც შესანსლა.

– კარგი იყო ბიბლიოთეკაში. არ ვიცოდი, მსოფლიოში ამდენნაირი კატა თუ არსებობდა.

– ქვის შესახებ ვერაფერი მოვძებნე, მაგრამ ეგ არაფერი. ახლა დავიწყეთ. დღეს კარგად გამოვიძინოთ და ვნახოთ, ხვალ რა იქნება.

მეორე დილითაც მივიდნენ ბიბლიოთეკაში. ჰომინომ ამჯერადაც უამრავი წიგნი გადაიკითხა. სიკოკუს ისტორიას საფუძვლიანად გაეცნო, ისიც შეიტყო, საუკუნეების მანძილზე უამრავ ქვას რომ ეთაყვანებოდნენ იაპონელები. „შესასვლელი ქვის“ შესახებ კი ვერაფერი გაიგო. შუადღეზე თავი ასტკივდა და ბიბლიოთეკიდან წამოვიდნენ, ცოტა ხანს პარკში ბალახზე იწვნენ და ცაზე მოსრიალე ღრუბლებს ადევნებდნენ თვალს. ჰომინომ სიგარეტი მოწია, ნაკატამ კი თერმოსიდან ცხელი ჩაი მოსვა.

– ხვალ ჭექა-ქუხილი იქნება.

– შენ გამოიწვევ ჭექა-ქუხილს?

– არა. ნაკატას ეს არ შეუძლია. ჭექა-ქუხილი ბუნებრივი მოვლენაა.

– მადლობა ღმერთს.

სასტუმროში დაბრუნდნენ, იბანავეს. ნაკატა დაწვა, სწრაფად ჩაეძინა. ჰომინო ტელევიზორში დაბალ ხმაზე უყურებდა ბეისბოლის მატჩს. „გიგანტები“ აშკარა უპირატესობით სარგებლობდნენ „ჰიროშიმასთან“ შედარებით. ჰომინო გაღიზიანდა და ტელევიზორი გამორთო. ვერ იძინებდა, მოსწყურდა, სასტუმროდან პირველსავე ლუდხანაში შევიდა, ერთი

კათხა ლუდი და ხახვის რგოლები მოითხოვა. გადაწყვიტა, იქვე ახლო მჯდომ გოგონას გამოლაპარაკებოდა, მაგრამ მერე გადაიფიქრა. არ იყო ამის დრო, ხვალ დილით ისევ იმ ქვის ძებნა უნდა გაეგრძელებინა. ლუდი დალია, კეპი დაიხურა, ლუდხანიდან გამოვიდა და ქუჩაში ხეტიალი დაიწყო. ქალაქი არ იყო მიმზიდველი, მაგრამ უცნობ ადგილებში ხეტიალი სიამოვნებდა. პირში გაჩრილი მალბოროთი და ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, ქუჩიდან ქუჩაზე გადადიოდა. როცა არ ეწეოდა, უსტვენდა. ქალაქის ზოგი ნაწილი ცოცხალი და ხალხმრავალი იყო, ზოგი უდაბური და ჩუმი. ტემპს არ ცვლიდა. ახალგაზრდა იყო, უდარდელი, ჯანმრთელი. არაფერი აშინებდა.

კარაოკე-ბარებითა და კლუბებით გადაჭედით ვიწრო ხეივანს მიუყვებოდა (ამ დაწესებულებების აბრეზზე დასახელებები ალბათ ყოველ ექვს თვეში იცვლებოდა), მერე უდაბურ, ბნელ ადგილას აღმოჩნდა.

– ჰომინო! ჰომინო! – ხმამალა დაუმახა ვიღაცამ.

თავიდან ყურებს არ დაუჯერა, ტაკამაცუში არავის იცნობდა, ალბათ ვიღაც სხვა ჰომინოს ეძახდნენ. არც ისე გავრცელებული გვარი იყო, მაგრამ არც ძალიან იშვიათი. არ მოტრიალებულა, სვლა განაგრძო. მაგრამ ვიღაც უკან მოჰყვებოდა და ეძახდა. ჰომინო შეჩერდა და მიტრიალდა. თეთრ კოსტიუმსა და თეთრ პერანგში გამოწყობილი სათვალისანი, ჭადარა, თეთრულვაშა და თხაწვერა მოხუცი შენიშნა. ნაკვეთები იაპონელისა ჰქონდა, ჩაცმულობით კი სამხრეთამერიკელ ჯენტლმენს წააგავდა. მეტრნახევარი იქნებოდა, თუმცა მინიატურული უფრო ეთქმოდა, ვიდრე დაბალი. ხელები ისე წამოსწია წინ, თითქოს ლანგარი ეჭირა.

– ბატონო ჰომინო! – წვრილი, მკვიანა ხმა ჰქონდა. და აქცენტიც.

ჰომინო აღტაცებით მიაშტერდა.

– პოლკოვნიკი სანდერსი ვარ!

– მართლაც ჰგავხარ.

– არა, პოლკოვნიკ სანდერსს კი არ ვგავარ, პოლკოვნიკი სანდერსი ვარ.

– Kentucky fried chicken-ის ტიპი?

მოხუცმა თავი დაუქნია.

– სწორედ ის.

– ჩემი გვარი საიდანღა იცი?

– ტიუნიტის დრაკონების ფანებს ყოველთვის ჰომინოს ვეძახი. „გიგანტებს“ სულ ნაგასიმები ჰყავთ, ტიუნიტებს – ჰომინოები.

– მართლა ჰომინოა ჩემი გვარი.

– რა დამთხვევაა!

– რა გინდა?

– გოგონა მყავს შენთვის.

– აა, გასაგებია. ამიტომაც ჩაგიცვამს სანდერსივით.

– ბატონო ჰომინო, რამდენჯერ უნდა გითხრა, არავისავით არ მაცვია. მე ვარ პოლკოვნიკი სანდერსი. დაიმახსოვრე.

– კარგი. ტაკამაცუში რაღას აკეთებ? სახელოვანი ხარ, ოღონდ აქ რა გინდა? აუზში უნდა ნებივრობდე, სადმე შტატებში. აქ რამ მოგიყვანა?

– ბადემ.

– ბადემ?

– არ გეცოდინება... სამი განზომილება მაგიტომ არის. ბადის გამო. თუ გსურს, ყველაფერი მუდამ ლამაზი და სწორი იყოს, სამკუთხედი სახაზავისგან აწყობილ სამყაროში უნდა იცხოვრო.

– რას რომავ? სულელი მოხუცები მეფეთებიან სულ. ცოტაც და, გავგიჟდები.

– ბატონო ჰომინო, ლამაზ გოგონაზე რას იტყვი?

– სალონს გულისხმობ?

– სალონს?

– აი, იმ ადგილებს, სადაც არ მოგცემენ, მაგრამ პირში აიღებენ ან დაგინძრევენ.

– არა, არა, – პოლკოვნიკმა სანდერსმა თავი გააქნია გაღიზიანებულმა, – ჩემი გოგონები მოგცემენ, პირშიც აიღებენ, დაგინძრევენ კიდეც – რაც მოგესურვება.

– ვაჰ. გეყო მასხარაობა რა. ხვალ დილით საქმეს ადრიანად უნდა შევუდგე. აქ მარტო კი არ ჩამოვსულვარ. ახლა სისულელების დრო არა მაქვს.

– გოგონაზე უარს ამბობ?

– გოგონაზეც და ქათმის ფრთებზეც. უკან ვბრუნდები, უნდა დავიძინო.

– არა მგონია, ადვილად დავიძინოს. ვინც რაღაცას ეძებს და ვერ უპოვია, ღამით მშვიდად ვერ იძინებს.

ჰომინომ პირი დააღო.

– ვინც რაღაცას ეძებს? შენ რა იცი, რას ვეძებ?

– სახეზე ყველაფერი გაწერია. პატიოსანი კაცი ხარ. ყველაფერი, რაც გაწუხებს, სახეზე გაწერია. შუაზე გაჭრილ ხმელ სკუმბრიასავით ხარ, შიგნით რაც გაქვს, ყველაფერი ზედაპირზე მოჩანს.

ჰომინო ინსტინქტურად შეეხო თავის ლოყას. ხელი წინ გაიშვირა და დახედა. სახეზე გაწერიაო?

– რაღაც მრგვალსა და მაგარს ეძებ? – პოლკოვნიკმა სანდერსმა ერთი თითი მაღლა ასწია.

– კარგი რა, ბაბუ, ვინა ხარ, ეგ საიდან იცი?

– გითხარი უკვე, სახეზე გაწერია. კიდევ ვერ ხვდები, არა? – თითი გააქნია, – მთელი ცხოვრებაა ამ ბიზნესში ვარ. გოგონა არ გინდა?

– ქვას ვეძებ. შესასვლელ ქვას.

– მაგაზე ყველაფერი ვიცი.

– მართლა?

– არ ვიტყუები. არც ვხუმრობ. პირდაპირი ვარ, არ ვბოდავ.

– იცი, სად არის ეგ ქვა?

– ვიცი.

– ვერ მეტყვი?

– დარწმუნებული ხარ, რომ გოგონა არ გინდა? – პოლკოვნიკი სანდერსი შავჩარჩოიან სათვალეს შეეხო და ჩაახველა, ვიდრე ამას იტყოდა.

– თუ მეტყვი, სადაა ქვა, დავფიქრდები.

– ძალიან კარგი. გამომყევი. – პასუხისთვის არც მოუცდია, ისე გაუყვა ხეივანს.

ჰომინო უკან აედევნა.

– ეი, ბაბუ, პოლკოვნიკო. თან მხოლოდ ორასი დოლარი მაქვს.

– საკმარისია. ამ ფასად ქორვა, 19 წლის მშვენიერი გოგონა მოგივა. სრულ მენიუს შემოგთავაზებს, – პირში აიღებს, დაგინძრევს, მოგცემს – რაც მოგესურვება. მერე კი საჩუქარს მიიღებ ჩემგან – ყველაფერს მოგიტხრობ ქვაზე.

– ღმერთო! – აღმოხდა ჰომინოს.

გოგონა 2:47 საათზე შევამჩნიე, წუხანდელზე ცოტა უფრო ადრე მოსულა. საათს შევხედე, დრო შევამოწმე. ამჯერად არ დავწოლილვარ, ისე ველოდი მის გამოჩენას. თვალი არ მომიხუჭავს. თითქოს ყურადღებით ვიყავი, მაგრამ მაინც ვერ შევამჩნიე, როგორ გაჩნდა ოთახში. ისევ ის ცისფერი კაბა აცვია, ისევ იქ ზის, ისევ ხელებით უჭირავს თავი, ისევ ნახატს შეჰყურებს. მე კი სუნთქვაშეკრული ვუცქერი. ნახატი, მე და გოგონა ოთახში უცვლელ სამკუთხედს ვქმნით. არ სწყინდება ნახატის ცქერა, როგორც მე არ მბეზრდება მისთვის თვალის დევნება. სამკუთხედი უძრავია, უდრეკი. მერე კი რაღაც მოულოდნელი ხდება.

– ქალბატონო საეკი, – საკუთარი ხმა მესმის. ჩემდა უნებურად წარმოვთქვი მისი სახელი. ძალიან ჩუმად ვამბობ, მაგრამ ესმის. სამკუთხედის ერთი გვერდი იმსხვრევა. იქნებ სწორედ ამის იმედი მქონდა?

ჩემკენ იხედება, ვერ მამჩნევს. თავი ისევ ხელებზე აქვს დაყრდნობილი, სახეს ოდნავ აბრუნებს. თითქოს რაღაცამ (მაგრამ რამ, არ იცის), ჰაერი ოდნავ შეარხია.

ნეტა მხედავდეს. ვლოცულობ, შემამჩნიოს და მიხვდეს, რომ ვარსებობ.

– ქალბატონო საეკი... – ვიმეორებ.

თავს ვერაფრით ვიკავებ, ისევ ვიმეორებ მის სახელს. ჩემმა ხმამ რომ შეაშინოს და სამუდამოდ წავიდეს? თავს საშინლად ვიგრძნობ. არა, უფრო განადგურებულად ვიგრძნობ თავს. თუკი არ დაბრუნდება, ჩემთვის ხომ ყველაფერი უმნიშვნელო გახდება. უმნიშვნელო. ყველაფერი. ვიცი, ასეა, მაგრამ მაინც წარმოვთქვამ მის სახელს. ჩემი ენა და ტუჩები მის სახელს თითქმის ავტომატურად იმეორებენ და იმეორებენ.

ნახატს აღარ უყურებს, მე მიყურებს. აქედან მის გამომეტყველებას ვერ ვარჩევ. ცაზე ღრუბლები დაცურავს და მთვარე ანათებს. ქარი უნდა ქროდეს, მაგრამ არ მესმის.

– ქალბატონო საეკი! – რაღაც დაუძლეველი, დაუმორჩილებელი ძალა კიდევ ერთხელ მიბიძგებს, წარმოვთქვა მისი სახელი.

თავს ხელებს აშორებს, წინ ისე იშვერს მარჯვენა ხელს, თითქოს მეუბნება, მეტი აღარაფერი თქვაო. მაგრამ ნეტა მართლა ამის თქმა უნდა? ნეტა შემემძლოს, თვალებში ჩავხედო! იქნებ მის თვალებში ამომეკითხა, რაზე ფიქრობს, რას განიცდის? რის თქმას ცდილობს? რამეზე მიმანიშნებს? ნეტა ვიცოდე! მაგრამ ღამის სამ საათზე ამ უკუნმა სიბნელემ ყველაფერს მნიშვნელობა დაუკარგა. სუნთქვა ჭირს, ამიტომ თვალებს ვხუჭავ. ისე ღრმად ამოვისუთქე, თითქოს ღრუბელი გადამეყლაპოს. რამდენიმე წამის შემდეგ თვალებს ვახელ, აღარ არის. მაგიდის თავზე, კედელზე ღრუბლის ჩრდილი მიცურავს.

საწოლიდან ვდგები, ფანჯარას ვუახლოვდები და ღამის ცას ავყურებ. და ვფიქრობ იმ დროზე, რომელიც აღარ დაბრუნდება. ვფიქრობ მდინარეებზე, ზღვის მოქცევაზე, ტყეებსა და ადიდებულ წყალზე, წვიმასა და ჭექა-ქუხილზე, კლდეებსა და ჩრდილებზე. ეს ყველაფერი ჩემშია.

მეორე დღეს ბიბლიოთეკაში დეტექტივი მოდის. მე ჩემს ოთახში ვარ და მისი ვიზიტის შესახებ არაფერი ვიცი. დეტექტივი ოცი წუთის განმავლობაში ოშიმას უტარებს დაკითხვას და მიდის. მოგვიანებით ოშიმა ჩემს ოთახში შემოდის და საქმის კურსში მაყენებს.

– პოლიციის ადგილობრივი უბნიდან დეტექტივი მოვიდა. შენ გეძებდა. – ოშიმა «პერიეს» ბოთლს იღებს მაცივრიდან, ხსნის, წყალს ჭიქაში ასხამს და სვამს.

– საიდან გაიგო, რომ აქ ვიყავი?

– მობილური გამოგიყენებია. მამაშენის მობილური.

ვიხსენებ – როდის. თავს ვუქნევ. იმ ტაძრის უკან, ტყეში სისხლში მოსვრილი რომ აღმოვჩნდი, საკურას დავურეკე მობილურით.

– მხოლოდ ერთხელ.

– პოლიციამ ზარები შეამოწმა და ტაკამაცუში აღმოგაჩინა. როგორც წესი, პოლიციელები გამოძიების დეტალებზე არ ლაპარაკობენ, მაგრამ გამოვტყუე ინფორმაცია, გავიგე, როგორ გიპოვეს. როცა მინდა, შემიძლია შთაბეჭდილების მოხდენა. ვერ აღმოაჩინეს, ვის დაურეკე. მოკლედ, იციან, რომ ტაკამაცუში იყავი და ადგილობრივმა პოლიციამ ყველა სასტუმრო შეამოწმა. გაარკვიეს, რომ ბიჭი, სახელად კაფუკა თამურა, ქალაქში ბიზნესსასტუმროში გაჩერებულა 28 მაისამდე. ამავე დღეს მოკლეს მამაშენი.

კიდევ კარგი, პოლიციამ საკურას შესახებ მაინც არ შეიტყო. ისედაც შევაწუხე!

– სასტუმროს მენეჯერმა გაიხსენა, რომ ჩვენი ბიბლიოთეკის შესახებ გაიკითხე. გახსოვს, შეამოწმა კიდევ, მართლა აქ მოდიოდი თუ არა.

თავს ვუქნევ.

– ამიტომაც მოვიდა პოლიცია. – ოშიმა კიდევ ერთ ყლუპ წყალს სვამს.

– ბუნებრივია, ტყუილი ვუთხარი. 28-ის შემდეგ აღარ მინახავს-მეთქი. ვთქვი, იქამდე ყოველდღე მოდიოდა, 28-ის შემდეგ კი არც ერთხელ აღარ მოსულა-მეთქი.

– შეიძლება თავი შარში გაყო.

– ტყუილი რომ არ მეთქვა, უფრო დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდებოდი.

– მაგრამ არ მინდა, ამაში გაგრიო.

– ვერ ხვდები არა? უკვე გამრიე. – თვალები აქვს მოჭუტული და ილიმება.

– ჰო, როგორც ჩანს...

– მოდი ნუ ვიკამათებთ. ეს არაფერს შეცვლის.

თავს უსიტყვოდ ვუქნევ.

– დეტექტივმა სავიზიტო ბარათი დამიტოვა და მთხოვა, თუ გამოჩნდები, მაშინვე დავურეკო.

– ეჭვიმტანილი ვარ?

ოშიმამ ნელა გააქნია თავი.

– ეჭვი მეპარება. ალბათ ფიქრობენ, რომ პოლიციისთვის დახმარების გაწევა შეგიძლია. გამოძიებას გაზეთების მეშვეობით თვალს ვადევნებდი. გამოძიება ჩიხშია შესული. პოლიცია მოთმინებას კარგავს. არც თითის ანაბეჭდები, არც ნივთმტკიცებები, არც მოწმეები. მხოლოდ შენ ხარ მათი ხელჩასაჭიდი. ამიტომ ძალ-ღონეს არ იშურებენ შენს საპოვნელად. მამაშენი ძალიან ცნობილი კაცია, ამიტომ მკვლელობის დეტალებს ტელევიზიითა და ჟურნალებში მიმოიხილავდნენ. პოლიცია უსაქმოდ ჯდომას და გულზე ხელების დაკრეფას არ აპირებს.

– მაგრამ თუ გაარკვევენ, რომ ტყუილი უთხარი, მოწმედ აღარ გამოდგები და აღარც ალიბი მექნება. შეიძლება, დამნაშავედ მიმიჩნიონ.

ოშიმამ ისევ თავი გააქნია.

– კაფკა, იაპონელი პოლიციელები სულელები არ არიან. შეიძლება, ბრალი წარმოსახვის ნაკლებობაში დასდო, მაგრამ არაკომპეტენტურობას ვერ დააბრალებ. დარწმუნებული ვარ, უკვე ტოკიოდან სიკოკუზე გადაფრენილი მგზავრების სია შეამოწმეს. იქნებ არ იცი ამის შესახებ, მაგრამ მათ აეროპორტის შესასვლელებში ვიდეოკამერები აქვთ დამონტაჟებული, ყველა მგზავრის დასაფიქსირებლად. უკვე ეცოდინებათ, რომ ტოკიოში არ გადაფრენილხარ შემთხვევის დღეს. ეჭვიმტანილი რომ იყო, ვიდაც ადგილობრივი პოლიციელის ნაცვლად, ეროვნული პოლიციის სააგენტოდან გამოგზავნიდნენ დეტექტივებს. მათ კი ვერაფრით დავეუძვრებოდი. შენგან მხოლოდ ამ ამბავთან დაკავშირებული რამე ინფორმაციის შეტყობა სურთ.

ჭკუასთან ახლოა მისი ნათქვამი.

– ჯობია, მაინც მიიმალე. პოლიცია, შესაძლოა, თვალს ადევნებს ამ არემარეს და დაგეძებს. თან ჰქონდათ შენი ფოტოები. ოფიციალური საშუალო სკოლის ფოტოასლები. ვერ იტყვი, რომ ძალიან ჰგავდი შენს თავს. იმ ფოტოზე შემთხვევით გამოიყურები.

ჩემი მხოლოდ ეს ფოტოა დარჩათ. ყოველთვის თავს ვარიდებდი ფოტოგადაღებას, თუმცა სხვა გზა არ მქონდა – ეს ფოტო უნდა გადამეღო.

– პოლიციელები ამბობენ, რომ პრობლემური ბავშვი ხარ. რამდენჯერმე სასტიკად მოპყრობიხარ კლასელებს. და სამჯერ სკოლიდან გაურიცხიხართ.

– ორჯერ, სამჯერ კი არა. თან კი არ გამრიცხეს, დამსაჯეს, – ღრმად ამოვისუნთქე. – ჰო, მქონდა ასეთი პერიოდები.

– თავს ვერ აკონტროლებდი?

თავი დავუქნიე.

– და სხვებს ფიზიკური ზიანი მიაყენე?

– არ მინდოდა, მაგრამ თითქოს ჩემში ვიღაც სხვა ჩასახლდა. და როცა გონს მოვეგე, უკვე გვიანი იყო.

– ბევრი დაუშავე?

– არც ძვლები დამიმტვრევია, არც კბილები. მსუბუქად დავაზიანე.

ოშიმა საწოლზე ზის, ფეხი ფეხზე აქვს გადადებული და შუბლზე ჩამოყრილ თმას ისწორებს. ლურჯი შარვალის აცვია, შავი მაისური და თეთრი ადიდასის ფეხსაცმელები.

– როგორც ვხვდები, ბევრ რამესთან გიწევს გამკლავება.

ბევრ რამესთან.

– შენ – არაფერთან?

– ამდენი არა, მაგრამ ერთი პრობლემა კი მაქვს. ამ სხეულის, ამ დაზიანებული ჭურჭლის მოვლა... ზოგჯერ მარტივია, ზოგჯერ ძალიან რთული. და თუნდაც ყველაფერი კარგად წარიმართოს, ეს ხომ დიდი მიღწევა არ არის. ამას ტაშისკვრით არავინ შეხვდება.

ტუჩი მოვიკვნიტე და ვკითხე:

– ამ ჭურჭლიდან ამოდრომა არასდროს გიფიქრია?

– სხეულის დატოვებას გულისხმობ?

თავი დავუქნიე.

– სიმბოლურად? თუ რეალურად?

– ორივე.

ოშიმა თმას ხელით უკან იყრის.

– შენც გინდა ამის გაკეთება?

ამოვისუნთქე.

– ოშიმა, სიმართლეს გეტყვი, ჩემი სხეული არც მე მომწონს. არც არასდროს მომწონებია. უფრო მეზიზღებოდა. სახე, ხელები, სისხლი, გენები. ყველაფერი მეზიზღება, რაც მშობლებისგან გადმომეცა. ნეტა შემემძლოს, მასაც ისე გავექცე, როგორც სახლიდან გამოვიქეცი.

მიყურებს და იღიმება.

– კარგი, დაკუნთული სხეული გაქვს. ვისგანაც არ უნდა გადმოგცემოდა, საკმაოდ სიმპათიური ხარ. მე მომწონს შენი გარეგნობა. ჭკვიანი და სხარტი ხარ. ისეთი ასო გაქვს, მშურს კიდეც. უამრავი გოგონა გეყოლება, გარანტიას გაძლევ. ვერც კი ვხვდები, რატომ ხარ უკმაყოფილო.

ვწითლდები.

– კარგი, ეს თემას არ ეხება. ჩემი სხეული კი ნამდვილად არ მომწონს. ან როგორ მომეწონება? საკმაოდ მოუხერხებელიცაა. თუმცა, აი, რას ვფიქრობ, თუ ჩვენს ნაჭუჭსა და შიგთავსს ადგილებს შევუცვლით, ანუ მივიჩნევთ, რომ ნაჭუჭი შიგთავსია და შიგთავსი კი ნაჭუჭი – ჩვენი ცხოვრება განსაკუთრებით მარტივად ასახსნელი გახდება.

საკუთარ ხელებს დავყურებ. მახსენდება სისხლში რომ მქონდა მოსვრილი... საკუთარ შიგთავსსა და ნაჭუჭზე ვფიქრობ. ნაჭუჭით გარშემორტყმული შიგთავსი ვარ. ამ ფიქრებს კი ერთი კადრი ეფარება: ის სისხლი.

– ქალბატონი საეკის შესახებ რას იტყვი?

– რას გულისხმობ?

– როგორ ფიქრობ, მასაც უწევს პრობლემებთან გამკლავება?

– ჯობია, პირადად ჰკითხო.

ორი საათისთვის ლანგრით ამაქვს ქალბატონ საეკისთვის ფინჯანი ყავა, მაგიდასთან ზის. როგორც ყოველთვის, მაგიდაზე ფურცელი და კალამი უდევს, მაგრამ კალამს თავზე ახურავს. ორივე ხელი მაგიდაზე უწყვია. სადღაც სივრცეში იყურება. დაღლილი ჩანს. ფანჯარა ღიაა, ფარდას ქარი აშრიალებს. ეს კადრი ლამაზ ალეგორიულ ნახატს მაგონებს.

– გმადლობ. – მეუბნება, როდესაც მაგიდაზე ყავის ფინჯანს ვდგამ.

– დაღლილი ჩანხართ.

თავს აქნევს.

– ალბათ, როცა დაღლილი ვარ, ხნიერად გამოვიყურები.

– რას ამბობთ. როგორც ყოველთვის, საოცრად გამოიყურებით.

იღიმება.

– ასეთი ნორჩი ხარ და ქალს როგორ ეპირფერო, ის კი იცი.

ვწითლდები.

ქალბატონი საეკი სკამზე მითითებს, გუშინ რომ ვიჯექი, ზუსტად იმ სკამზე. ვჯდები.

– მე დალლას მივეჩვიე, არა მგონია, შენც შესჩვეოდი.

– მართალი ხართ.

– 15 წლის როცა ვიყავი, არც მე ვიღლებოდი, რა თქმა უნდა. – მაგიდიდან იღებს ყავის ფინჯანს და ყლუპს სვამს, – კაფკა, რას ხედავ გარეთ?

მის უკან ფანჯარაში ვიყურები.

– ხეებს ვხედავ, ცას, ღრუბლებს. ხის ტოტებზე ჩამომსხდარ ჩიტებს.

– არაფერს უჩვეულოს, არა?

– დიახ.

– მაგრამ, რომ იცოდე, ხვალ ვედარაფერს ნახავდი, უეცრად ყველაფერი განსაკუთრებული და ძვირფასი გახდებოდა, არა?

– ასე მგონია.

– ამაზე გიფიქრია?

– დიახ.

გაკვირვებით მიცქერის.

– როდის?

– როცა შეყვარებული ვყოფილვარ.

ოდნავ იღიმება, მერე კი ღიმილი მთელ სახეზე ეფინება.

– შეყვარებული ხარ?

– დიახ.

– და მთელი მისი არსება შენთვის განსაკუთრებული და ძვირფასია?

– დიახ. და ეს შეიძლება დავკარგო.

მიყურებს, აღარ იღიმება.

– წარმოიდგინე, წვრილ ტოტზე მჯდომი ჩიტი, ტოტი ქარის დროს ირხევა და ყოველთვის, როცა ტოტი ირხევა, ჩიტის თვალთახედვის არეც იცვლება. ხვდები, რას ვამბობ?

თავი დავუქნიე.

– როგორ ფიქრობ, ამ დროს როგორ იქცევა ჩიტი?

– არ ვიცი.

– თავს მაღლა ან დაბლა სწევს, ტოტის მოძრაობის საპირისპიროდ. ქარიან ამინდში ჩიტებს დააკვირდი. დიდი დრო გამიტარებია ფანჯარასთან. როგორ ფიქრობ, დამღლეი უნდა იყოს ასეთი ცხოვრება – ყოველთვის თავის რხევა, როცა კი ტოტი, რომელზეც ზიხარ, მოძრაობს?

– დიახ.

– ჩიტები ამას მიჩვეული არიან. ეს მათთვის ბუნებრივია. ამაზე არც კი ფიქრობენ, ისე აკეთებენ. ამიტომ ისეთი დამღლეი არ უნდა იყოს, როგორც გვეჩვენება, მაგრამ მე ადამიანი ვარ და არა ჩიტი, ასე რომ, ზოგჯერ ვიღლები.

– თქვენც სადღაც ტოტზე ზიხართ?

– შეიძლება ითქვას. და ზოგჯერ ძლიერი ქარი ქრის.

ფინჯანს ლამბაქზე დგამს და კალამს თავსახურს ხდის.

ეს სიგნალია. ფეხზე ვდგები.

– მინდა, რაღაც გკითხოთ.

– რაღაც პირადული?

– დიახ. და შესაძლოა, კონტექსტიდან ამოვარდნილიც.

– მაგრამ მნიშვნელოვანია?

– ჩემთვის მნიშვნელოვანია.

კალამს მაგიდაზე დებს, თვალეები ბუნებრივად უბრწყინავს.

– მკითხე.

– შვილები გყავთ?

ამოისუნთქა. შეეყოყმანდა, მისი სახის გამომეტყველებით შეგიძლია მიხვდე, სადღაც შორს რომ მიდის და უკან ბრუნდება. იმ საზეიმო მსვლელობასავით, რომელიც სადღაც ქუჩის ბოლოს იკარგება და მერე იმავე ქუჩაზე მარშირებით შენკენ მოდის.

– რატომ გაინტერესებს?

– პირადულია. შემთხვევით არ გეკითხებით.

Mont Blanc-ის კალამს ისე იღებს, თითქოს ზომა-წონას უმოწმებდეს, მერე მაგიდაზე დებს და მიყურებს.

– ვწუხვარ, მაგრამ ვერც ჰოს გეტყვი, ვერც არას. ახლა მაინც. ძლიერი ქარი ქრის.

თავი დავუქნიე.

– უკაცრავად, არ უნდა მეკითხა.

– არაფერია. არ გადანაშაულებ, – მშვიდად მეუბნება, – ყავისთვის გმადლობ. ძალიან კარგად ამზადებ.

გამოვდივარ, კიბეებით ჩემს ოთახში ჩავდივარ. საწოლზე ვჯდები და ვცდილობ წავიკითხო, მაგრამ თავში არაფერი შემდის. თითქოს შემთხვევითი ციფრების ტაბულას დავყურებდე, მხოლოდ თავს ვადევნებ სიტყვებს. წიგნს გვერდზე ვდებ, ფანჯარასთან მივდივარ და ბაღს გავეყურებ. ტოტებზე ჩიტები სხედან, მაგრამ ქარი არ ქრის. მე 15 წლის ქალბატონ საეკიზე ვარ შეყვარებული, თუ ამ რეალურ, 50 წელს გადაცილებულ ქალბატონ საეკიზე, მაღლა რომ ზის? აღარ ვიცი. ამ ორს შორის გამყოფი ხაზი დაიკლავს, გაქრობა დაიწყო. დავიბენი. თვალეებს ვხუჭავ და ვცდილობ, საკუთარი ღერძი ვიპოვო, რომ მოვეჭიდო.

ყოველდღე, ყოველთვის, როცა მას ვხედავ, უფრო და უფრო ძვირფასი ხდება ჩემთვის.

პოლკოვნიკი სანდერსი თავისი ასაკისთვის ძალიან სწრაფად მოძრაობდა, ვეტერან სწრაფად მოსიარულეს ჰგავდა. ქალაქის ყოველ კუთხე-კუნჭულს იცნობდა. გზას ბნელი კიბეებით ჭრიდა, გზის შესამოკლებლად სახლებს შორის ვიწრო ჩიხებში მიძვრებოდა. თხრილს გადაახტა, მყეფარე ძალი მოკლე შემახილით გააჩუმა. მისი თეთრი ფიგურა ქალაქის ჩიხებში გზააბნეული სულივით დაქროდა. ჰომინოს ისლა დარჩენოდა, ფეხდაფეხ მიჰყოლოდა. მალე ქოშინი დაიწყო და ილღიები დაუსველდა. პოლკოვნიკ სანდერსს ერთხელაც არ მოუხედავს იმის შესამოწმებლად, მოჰყვებოდა თუ არა უკან ჰომინო.

– ეე, მალე მივალთ? – მოთმინების ძაფი გაუწყდა ჰომინოს.

– რაო, ყმაწვილო? ამას გასეირნებასაც არ დავარქმევდი. – არ მოტრიალებულა, ისე უპასუხა პოლკოვნიკმა.

– ჰო, მაგრამ შენი მომხმარებელი რომ ვარ, გახსოვს? თუ გადავიღლები, ველარაფერს შევძლებ.

– რა სამწუხაროა! და შენც იტყვი, კაცი ვარო? ამ მოკლე გზამ ვნება როგორ უნდა გაგიქროს?

– ღმერთო! – ჩაიბუტბუტა ჰომინომ.

პოლკოვნიკმა სანდერსმა კიდევ ერთი ცალმხრივი გზა გადაჭრა, მერე ცენტრალურ გზაზე ისე გადავიდა, შუქნიშნისთვის ყურადღება არც მიუქცევია, მერე – ხიდზეც და ტაძარში შეძვრა. გარედან საოცრად დიდი ჩანდა ტაძარი. უკვე გვიან იყო, შიგნით არავინ დახვედრიათ.

პოლკოვნიკმა სანდერსმა სკამისკენ მიუთითა ჰომინოს. ნათურას დღესავით გაენათებინა იქაურობა. ბიჭი ჩამოჯდა, პოლკოვნიკი სანდერსიც გვერდით მიუჯდა.

– მაიძულე, ეგ საქმე აქ გავაკეთო, არა? – დაღონებით ჰკითხა ჰომინომ.

– ნუ სულელობ. ვინ გგონივარ? – ჯიბიდან ვერცხლისფერი მობილური ამოიღო და სამციფრიანი ნომერი აკრიფა.

– მე ვარ, – წარმოთქვა, როცა უპასუხეს, – იქ, სადაც ყოველთვის. ტაძარში. ჩემთან ერთად ერთი ყმაწვილია, ჰომინო. ჰო... როგორც ყოველთვის. გასაგებია, ჰო. მოდი, რაც შეიძლება სწრაფად.

მობილური გამორთო და თეთრი კოსტიუმის ჯიბეში ჩაიღო.

– გოგონებს ყოველთვის ტაძრიდან ურეკავ? – ჰკითხა ჰომინომ.

– რამე პრობლემაა?

– არა, არაფერი. უბრალოდ, ვფიქრობ, უკეთესი ადგილიც უნდა არსებობდეს. უფრო... ნორმალური. ვთქვათ, ყავახანა. ან იქნებ ჯობდეს, სასტუმროს ნომერში დაველოდო?

– ტაძარში სიმშვიდეა. ჰაერიც სუფთაა.

– მართალია, მაგრამ ასეთ ადგილას რთულია მოდუნება, თუ იმ საქმისთვის გოგონას ელოდები. ასე მგონია, მელიის სული დამწყევლის.

– რა სისულელეებს ამბობ? სიკოკუს მასხარად აგდება გინდა, არა? ტაკამაცუ ღირსეული ქალაქია, პრეფექტურის დედაქალაქი. რაღაც სოფელი არ გეგონოს. აქ მეღიები არ გვყავს.

– კარგი, კარგი, ვხუმრობ... მაგრამ მომსახურების სფეროში ხარ, ჰო და ვიფიქრე, რომ ატმოსფეროს შექმნაზე უნდა ზრუნავდე. იქნებ, ჩემი საქმე არ არის...

– მართალი ხარ, არ არის შენი საქმე, – მკვახედ უპასუხა პოლკოვნიკმა, – რაც შეეხება ქვას.

– ჰო, მართლა, ქვა! მითხარი....

– ჯერ საქმე. მერე ვილაპარაკოთ.

– ეს რა, აუცილებელია?

პოლკოვნიკმა სანდერსმა რამდენჯერმე დაუქნია თავი და თხის წვერზე მოიკიდა ხელი.

– ეს ფორმალობაა. ქვაზე მერე ვისაუბრებთ. ვიცი, ეს გოგონა მოგეწონება. ის საუკეთესოა. სავსე მკერდი აქვს, აბრეშუმით კანი. ვიწრო წელი, აღიგზნება და სველდება, როცა მოისურვებ. სექსბომბაა. ოთხბორბლიანი ავტომობილივითაა, გაზს დააწევი, სიჩქარის გადამრთველს ხელში მოიქცევს, კუთხეში მოუხვევ და სიჩქარესაც შეცვლის, ფინიშის ხაზს მიუახლოვდება და ბახ! მოგკლავს! გაღმა გაგიყვანს!

– კაი ტიპი ხარ! – ჰოშინო აღფრთოვანდა.

– დიდი ხანია, ამ საქმეში ვარ.

15 წუთის შემდეგ გოგონა მოვიდა, პოლკოვნიკი სანდერსი მართალი გამოდგა, ეს გოგონა ჭკუიდან შეგზლიდა. მოტკეცილი მინი-ქვედაბოლო და შავი მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ეცვა, შავი ლაკის ჩანთა გადაეკიდა მხარზე. შეეძლო, მოდელი გამხდარიყო. მოკლე ტოპიდან სავსე მკერდი უჩანდა.

– წავა? – ჰკითხა პოლკოვნიკმა სანდერსმა ჰოშინოს.

ჰოშინომ კრინტი ვერ დაძრა და მხოლოდ თავი დაუქნია.

– სექს-ბომბაა, ჰოშინო. აბა შენ იცი! – პოლკოვნიკმა სანდერსმა პირველად გაიღიმა და ჰოშინოს ტრაკზე უჩმიტა.

გოგონამ ახლომდებარე სექს-ოტელში წაიყვანა ჰომინო. აბაზანა აავსო, სწრაფად გაიძრო ტანსაცმელი და ჰომინოსაც გახადა. დაბანა, ალოკვა დაუწყო. ჰომინოს მსგავსი არაფერი უგრძვნია. გათავების გარდა ვერაფერზე ფიქრობდა და გაათავა კიდეც.

– ფანტასტიკური იყო! ღვთაებრივი! – ჰომინო მოდუნდა და ცხელ აბაზანაში ჩაიძირა.

– ეს მხოლოდ დასაწყისია. ყველაფერი ჯერ კიდევ წინ გვაქვს.

– ჰო, მაგრამ კარგი იყო.

– როგორი კარგი?

– ისეთი, თითქოს წარსული და მომავალი აღარ არსებობდეს.

– ჭემმარიტი აწმყო დრო წარსულის შეუჩერებელი ლტოლვაა მომავლისკენ. მარტივად რომ ვთქვათ, ყოველი განცდა წარსულის კუთვნილებაა.

ჰომინომ პირი დააღო და სახეში შეხედა.

– რაო?

– ანრი ბერგსონია, – ასოზე თესლს ულოკავდა, – ჰემჰევა და მეჰიევა.

– ბატონო?

– შემთხვევა და მეხსიერება. წაგიკითხავს?

– არა მგონია, – ჯერ დაფიქრდა და ისე უპასუხა. მართვის მოწმობის ასაღებად საჭირო სახელმძღვანელოს და მანგას გარდა, სიკოკუში ჩამოსვლამდე არაფერი წაეკითხა, – შენ?

გოგონამ თავი დაუქნია.

– იძულებული ვიყავი. კოლეჯში ფილოსოფიას ვსწავლობ და გამოცდები მეწყება.

– რას ამბობ, – ჰომინომ თქვა, – ანუ აქ ნახევარ განაკვეთზე მუშაობ?

– სწავლის გადასახადი ხომ უნდა გადავიხადო როგორმე?

საწოლთან მიიყვანა, სხეულის ყველა ნაწილზე თითებით და ენით მიეფერა, კიდეც ერთხელ ალაგზნო. ჰომინოს პიზის კომპივით აუდგა.

– მზად ხარ, – თანდათან მოძრაობებს ცვლიდა გოგონა, – რამე განსაკუთრებული თხოვნა გაქვს? რა გინდა გავაკეთო? ბატონო სანდერსმა მთხოვა, ყველა ფანტაზია რეალობად უქციეო.

– განსაკუთრებული არაფერი. შეგიძლია, კიდეც რამე ფილოსოფიური ფრაზა წარმოთქვა? ეგ დამეხმარება, სწრაფად აღარ გავათავებ...

– მოდი დავფიქრდეთ, ჰეგელზე რას იტყვი? მოძველებული კია.

– რა მნიშვნელობა აქვს.

– ჰეგელს გირჩევ. მოძველდა, მაგრამ მაინც კარგია.

– მიდი, წავა.

– „მე“ ურთიერთობის მონაწილე ვარ, ამავედროულად კი თვითონ „მე“ ვარ ურთიერთობა.

– ჰმ...

– ჰეგელი მიიჩნევდა, რომ ადამიანი არა მხოლოდ ცალ-ცალკე შეიცნობს საკუთარ „მესა“ და ობიექტს, არამედ „მეს“, როგორც შუალედური რგოლის ობიექტზე მოქმედებით, საკუთარ თავსაც უკეთ შეიცნობს.

– წარმოდგენა არა მაქვს, რა ჯანდაბაზე ლაპარაკობ.

– მოდი ჩემზე იფიქრე. ჩემთვის მე ვარ მე და შენ ხარ ობიექტი. შენთვის, რა თქმა უნდა, პირიქითაა, შენ ხარ შენ და მე ვარ ობიექტი. მესა და ობიექტის გაცვლით, ჩვენ საკუთარი თავის წარმოჩენა და შეცნობა შეგვიძლია.

– მაინც ვერაფერს ვხვდები, მაგრამ თავს კარგად ვგრძნობ.

– ამაშია მთელი არსი.

მალე გოგონას დაემშვიდობა, ტაძარში დაბრუნდა, პოლკოვნიკი სანდერსი იმავე სკამზე იჯდა, სადაც ჰოშინომ დატოვა.

– სულ აქ მელოდი? – ჰკითხა ჰოშინომ.

პოლკოვნიკმა სანდერსმა გაღიზიანებულმა გააქნია თავი.

– ნუ სულელობ. მოცლილს ვგავარ? ვიდრე შენ ღრუბლებში დაფრინავდი, მე ვმუშაობდი. როცა მორჩით, დამირეკა და აქეთ გამოვქანდი, ჰა, მოგეწონა ჩვენი სექს-ბომბა?

– ღვთაებრივი იყო! სამჯერ გავათავე. ხუთ ფუნტს მაინც დავიკლებდი.

– მიხარია. რაც შეეხება ქვას...

– ჰო, ამისთვის მოვედი.

– ქვა ამ ტაძრის ტყეშია.

– შესასვლელ ქვაზე ამბობ?

– დიახ. შესასვლელ ქვაზე.

– არ იგონებ?

პოლკოვნიკი სანდერსი გაწიწმატდა.

– შე რეგვენო, რას ჩმახავ? რა მომიტყუებია? რაღაცებს ვიგონებ? გითხარი, ახალგაზრდა სექს-ბომბას მოგგვრი-მეთქი, შევასრულე პირობა, თან მხოლოდ 120 დოლარად, სამჯერ მაინც გაათავე. და კიდევ არ გჯერა?

– ნუ გაუბერე, რა თქმა უნდა, მჯერა. როცა ყველაფერი უპრობლემოდ მიდის, ეჭვები მიპყრობს. აბა, წარმოიდგინე, ვსეირნობ, ერთი სასაცილო გარეგნობის კაცი მეუბნება, ვიცი, სადაც იპოვი ქვასო, მივყვები, მისი გაჩითული არაამქვეყნიურად მიმზიდველი ქალი მათავებინებს.

– სამჯერო, გინდოდა გეთქვა.

– რა მნიშვნელობა აქვს. ჰო, სამჯერ გავათავე! ახლა კი იმასაც მეუბნები, ქვა, რომელსაც დაეძებ, აქვეაო! მსგავსი რამ შენ რომ შეგმთხვეოდა, არ დაეჭვდებოდი?

– ისევ ვერაფერს ხვდები, არა? ეს გამოცხადებაა! გამოცხადება! ყოველდღიურობის ჩარჩოების გარღვევაა! გამოცხადების გარეშე ცხოვრება ცხოვრება არ არის. საჭიროა ფიქრი მოქმედებად აქციო! გესმის, იდიოტო?

– საკუთარი „მესა“ და ობიექტის წარმოჩენისა და შეცნობის პროცესი...

– კარგია, რომ ეგ მაინც იცი! გამომყევი და მიგიყვან იმ შენს ქვასთან!

29

ბიბლიოთეკის ტელეფონიდან საკურას დავურეკე. მასთან გატარებული ღამის შემდეგ არ შევხმიანებოვარ – მხოლოდ პატარა ბარათი დავუტოვე, ეგ იყო და ეგ. მრცხვენია, ასე რომ დავემშვიდობე. მისი სახლიდან პირდაპირ ბიბლიოთეკაში მივედი, ოშიმამ რამდენიმე დღით ქოხში ამიყვანა, სადაც მობილური არ იჭერდა, შემდეგ სამუშაოდ და საცხოვრებლად ბიბლიოთეკაში გადავედი, იქ კი ქალბატონი საეკის მოხეტიალე სულთან ყოველდღიური შეხვედრები დაიწყო. მთელი არსებით შემიყვარდა თხუთმეტი წლის გოგონა. ერთდროულად ათასი რამ მოხდა, დრო არავის დარჩებოდა ჩემს ადგილას. თუმცა ეს არ მამართლებს.

დაახლოებით საღამოს 9 საათზე ვურეკავ, ექვსი ზარის შემდეგ მპასუხობს.

– სად დაიკარგე? – მკაცრად მეკითხება.

– ისევ ტაკამაცუში ვარ.

ერთხანს არაფერს ამბობს. მუსიკალური გადაცემის ხმა მოისმის ყურმილიდან.

– როგორღაც თავი გადავირჩინე. – ესეც ვუთხარი.

ისეც არაფერს ამბობს, მერე კი მომესმა, როგორ ამოისუნთქა შვებით.

– ასე რატომ დაიკარგე? ვლელავდი შენზე, იმ დღეს ადრე დავბრუნდი. პროდუქტებიც ვიყიდე...

– ვიცი, არასწორად მოვიქეცი. ვიცი, მაგრამ უნდა წამოვსულიყავი. გონება სულ არეული მქონდა, უნდა წავსულიყავი დასაფიქრებლად, ფეხზე წამოდგომა უნდა მეცადა. შენთან ერთად... როგორ ვთქვა. შენთან ყოფნა... ვერ გამოვხატავ.

– ძალიან აღიგზენი?

– ჰო. აქამდე გოგონასთან ამდენად ახლოს არასდროს ვყოფილვარ.

– ლადაობ?

– გოგონას სურნელი და ეგეთი რამეები...

– რთულია შენს ასაკში ყოფნა, არა?

– ალბათ. სამსახურში რა ხდება?

– საგიჟეთია. მაგრამ ცოტა ფულის მოგროვება მინდოდა, ასე რომ საწუწუნო რა მაქვს.

პაუზის შემდეგ ვუთხარი, პოლიცია დამემებს-მეთქი.

ჯერ ჩუმად იყო, მერე ფრთხილად მკითხა:

– იმ სისხლის გამო?

თავი შევიკავე სიმართლის გამხელისგან.

– არა, სისხლის გამო არა. როგორც სახლიდან გამოქცეულს, ისე მეძებენ. უნდათ, მიპოვონ და უკან, ტოკიოში წამათრიონ. ესაა და ეს. შეიძლება პოლიციელებმა მოგაკითხონ. ერთხელ, იმ დამით, შენთან რომ დავრჩი, მობილურზე დაგირეკე, ზარები შეამოწმეს და გაიგეს, ტაკამაცუში რომ ვიყავი.

– ნუ იდარდებ, ვერ გეარკვევენ მფლობელის ვინაობას.

– რა ბედნიერებაა. არ მინდა, მეტ უსიამოვნებაში გაგხვიო.

– ისეთი საყვარელი ხარ, ავტირდები.

– არა, მართლა ასეა.

– ვიცი, – ისე ამბობს, თითქოს ამის აღიარება არ უნდოდაო. – და სად იმალება ჩვენი პატარა ბიჭი?

– ნაცნობმა შემიფარა.

– როდის დაუახლოვდი აქ ვინმეს?

ბოლო დღეებში თავს გადამხდარი ამბები რამდენიმე ფრაზით როგორ უნდა გადმოვცე?

– გრძელი ამბავია.

– ყოველთვის ასეა.

– არ ვიცი, რატომ, მაგრამ ყოველთვის მართლა ასე ხდება.

– შენი სტილია, არა?

– ჰო... ოდესმე, როცა დრო მექნება, ყველაფერს გაიმზობ. განა რამეს გიმალავ. უბრალოდ რთულია ტელეფონით ახსნა.

– არა უშავს. იმედი მაქვს, რამე შარში არ გახვეულხარ.

– არა. ეგეთი არაფერია. კარგად ვარ, ნუ იდარდებ.

ისევ ამოისუნთქა.

– მესმის, რომ დამოუკიდებლად ცხოვრება გინდა, უბრალოდ, რამე კანონის საწინააღმდეგო საქმეში ნუ გაერევი, კარგი? ამაღ არ ღირს. არ მინდა, ბილი კიდივით[10] საცოდავი თინეიჯერული სიკვდილით მოკვდე.

– ბილი კიდი თინეიჯერი არ მომკვდარა, – ვუსწორებ, – მან 21 ადამიანი მოკლა და 21 წლისა გარდაიცვალა.

– შენ უკეთ იცი... რამე გინდოდა?

– მხოლოდ მადლობის გადახდა. თავს ცუდად ვგრძნობ, კარგად მეპყრობოდი, მე კი ასე წამოვედი...

– გმადლობ, მაგრამ დავივიწყოთ, რა...

– შენი ხმის გაგონებაც მინდოდა.

– მიხარია. მაგრამ ეგ რას უშველის?

– როგორ გითხრა... შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოს, რასაც გეტყვი... შენ რეალურ სამყაროში ცხოვრობ, რეალურად სუნთქავ, რეალურ სიტყვებს წარმოთქვამ. შენთან საუბრისას რეალობას ვუკავშირდები. ეს კი ამჟამად ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

– ის ადამიანები, რომლებთანაც ახლა ხარ, რეალურები არ არიან?

– არ ვარ დარწმუნებული.

– სადღაც არარეალურ ადგილას ხარ, სადაც ადამიანები მოწყვეტილი არიან რეალობას?

ჩავფიქრდი.

– შეიძლება ასეც ითქვას.

– კაფკა, – მომმართავს საკურა, – ვიცი, ეს შენი ცხოვრებაა და მე არ უნდა ვერეოდე, მაგრამ ვფიქრობ, რომ უნდა გაერიდო მაგ ადგილს. თუ გინდა, ამას წინათგრძნობა დაარქვი. რატომ ჩემთან არ მოხვალ? რამდენ ხანსაც გსურს, შეგიძლია დარჩე.

– ასე კარგად რატომ მეპყრობი?

– რა სულელი ხარ!

– რას გულისხმობ?

– მომწონხარ და იმიტომ! თვითონ ვერ უნდა ხვდებოდე? ცნობისმოყვარე კი ვარ, მაგრამ ყველასთვის ამას არ გავაკეთებდი. როგორ გითხრა... უმცროს ძმასავით მყავხარ.

ყურმილი ხელში მიჭირავს და ვერაფერს ვამბობ. დავიბენი, საშინლად დავიბენი, დავრეტიანდი. ასეთი არასოდეს არაფერი უთქვამთ ჩემთვის.

– ე, მისმენ?

– ჰო, – ამოვიღულულულე როგორღაც.

– თქვი მერე რამე.

ფეხზე ავდექი და ღრმად ამოვისუნთქე.

– ნეტა შემეძლოს, საკურა. ნეტა შემეძლოს. მაგრამ არა, არ შემიძლია. როგორც უკვე გითხარი, ვერ წამოვალ აქედან. შეყვარებული ვარ.

– ვისზე? ვიღაც დაბნეულ, არარეალურ ადამიანზე?

– ჰო, შეიძლება ასე ითქვას.

ისევ ამოისუნთქა, ღრმად ამოისუნთქა.

– შენს ასაკში შეყვარებული ბავშვები ისედაც ეიფორიაში არიან, შენ კი ისეთი ადამიანი შეგიყვარდა, რეალობას რომ არის მოწყვეტილი, საშინელებაა ეგ, გესმის?

– ჰო.

– კაფკა.

– ჰო?

– თუ რამე მოხდება, დამირეკე, კარგი? ნუ იყოყმანებ.

– გმადლობ.

ყურმილს ვკიდებ, ჩემს ოთახში ვბრუნდები და „კაფკა პლაჟეს“ ვისმენ. და კიდევ ერთხელ, ჩემდა უნებურად იმ ადგილისკენ მივექანები. იმ ეპოქისკენ.

რაც ვიგრძენი და თვალეები გავახილე. უკუნი სიბნელეა. მოციმციმე საათს დავხედე, სამს უკვე გადასცდა. ჩამძინებია. ბაღში მდგომი ლამპიონის მკრთალ სინათლეზე ვხედავ, იქ ზის,

მაგიდასთან, როგორც ყოველთვის, კედელზე დაკიდებულ ნახატს უყურებს. უძრავად ზის, თავი ხელებზე აქვს დაყრდნობილი. მეც ძველებურად ვწევარ, ვცდილობ, უხმაუროდ ვისუნთქო. თვალები ოდნავ მაქვს ღია, მის სილუეტს ვაკვირდები. ფანჯრის მიღმა, ზღვიდან მობერილი ბრიზი შინდის ტოტებს აშრიალებს. უცებ ვხვდები, რაღაც ისე არ არის. რაღაც არღვევს ჩვენი პატარა სამყაროს ჰარმონიას. ვიძაბები, იქნებ სიბნელეში რამე გავარჩიო. რა უნდა იყოს? ქარი მომენტალურად გაძლიერდა, სისხლი კი თითქოს გამისქელდა და დამიმძიმდა. შინდის ტოტები ნერვიულად ტოკავენ ფანჯრის წინ. და ბოლოს და ბოლოს ვხვდები. ეს ახალგაზრდა გოგონას სილუეტი არ არის. მას ძალიან ჰგავს, ძალიან, ძალიან. მაგრამ ზუსტად ის არ არის. როგორც რეალურ საგანზე გადაფარებულ ნახატს აკლია რაღაც დეტალები. ვარცხნილობა სხვანაირი აქვს. სხვა ტანსაცმელი აცვია. და, საერთოდ, სხვანაირია.

გაუცნობიერებლად თავი გავაქნიე. იქ გოგონა არ ზის, იქ ვიღაც სხვაა. რაღაც ხდება, რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი. გადასაფარებლის ქვეშ ხელებს ერთმანეთზე ვაჭდობ, ჩემი გული ვეღარ უძლებს და გადარეული ბაგაბუგს იწყებს.

სკამზე ჩამომჯდარი სილუეტი ამოდრავდა, კუთხეს ისე იცვლის, როგორც უზარმაზარი გემი იცვლის ხოლმე კურსს. უცებ ვხვდები, რომ ეს ქალბატონი საეკია. ჩავისუნთქე და ამოსუნთქვა აღარ შემიძლია. ეს თანამედროვე ქალბატონი საეკია. რეალური ქალბატონი საეკია. ერთხანს უხმოდ მიყურებს, ისე, როგორც ნახატს შეჰყურებს ხოლმე, და თავში ერთი აზრი მომდის – დროის ღერძი. სადღაც უცნობ ადგილას დროს რაღაც ემართება. რეალობა და სიზმრები არეულია, როგორც ზღვისა და მდინარის წყალი მიედინება ხოლმე ერთად. ვცდილობ, ამ ყველაფრის მიღმა აზრი ამოვიცნო, მაგრამ ვერაფერს ვხვდები.

ბოლოს და ბოლოს ფეხზე დგება და ჩემკენ ისე გამართული მოდის, როგორც სჩვევია. ფეხშიშველია და სიარულის დროს იატაკი ყრუდ ჭრაჭუნებს. უხმოდ ჯდება საწოლის კიდეზე, არ იძვრის. მის სხეულს წონა აქვს. თეთრი აბრეშუმის პერანგი და მუქლურჯი მუხლამდე ქვედაბოლო აცვია. ჩემკენ იწევს, თავზე მეხება, მისი თითები ჩემს მოკლე თმაში დასრიალებენ. ეს ხელი რეალურია, რეალური თითები მეხება.

ისევ ფეხზე დგება, გარედან შემოსულ მკრთალ სინათლეზე ვხედავ, გახდას იწყებს, თითქოს ეს სრულიად ბუნებრივი იყოს. არ ჩქარობს, მაგრამ არც ყოყმანობს. ბუნებრივი, მოქნილი მოძრაობით პერანგზე ღილებს იხსნის, ქვედაბოლოს იძრობს და საცვლებსაც. ნაწილ-ნაწილ ეცემა მისი ტანსაცმელი იატაკზე, მსუბუქი ქსოვილი ხმას თითქმის არ გამოსცემს. ვხვდები, სძინავს. თვალგახელილია, მაგრამ მთვარეულივითაა.

გაშიშვლებული ჩემს ვიწრო საწოლზე მოიწევს და ფერმიხდილი მკლავებით მეხვევა. ყელზე მის სუნთქვას ვგრძნობ, ბარდაყზე – ბოქვენის თმის შეხებას. ალბათ თავისი გარდაცვლილი შეყვარებული ვგონივარ. მძინარე, დიდი ხნის წინ მივიწყებულ მოძრაობებს იმეორებს.

ვხვდები, რომ ჯობია, გავაღვიძო. დიდ შეცდომას უშვებს და უნდა ვუთხრა, რომ ეს სიზმარი არ არის, რეალობაა. მაგრამ ყველაფერი ისე სწრაფად ხდება, წინააღმდეგობის გაწევას ვერ ვახერხებ. თავგზააბნეულს ისეთი განცდა მაქვს, თითქოს დროის ნაპრალებში აღმოვჩნდი.

და შენ დროის ნაპრალებში აღმოჩნდი.

მისმა სიზმარმა შენი გონება დაიმორჩილა. ნაზად, თბილად შემოგეხვია. საეკი გაგხდის. ყელზე უამრავჯერ გაკოცებს, ძუძუს თავებს გილოკავს, მერე ასოზე შეგეხება, რომელიც უკვე ფაიფურივით გამაგრებულა. ნაზად გიჭერს კვერცხებზე და უხმოდ მიჰყავს შენი თითები თავისი საშოსკენ. თბილია და სველი, შენი თითები შიგ იკარგება. გკოცნის.

სად იწყება აქ შენი პასუხისმგებლობა? ცდილობ, ამ ბურუსში გაარკვიო, სად ხარ რეალურად. ცდილობ, დინების მიმართულება ამოიცი, გააფთრებით ცდილობ, დროის ღერძს ჩაებლაჟო. მაგრამ რეალობისა და სიზმრის გამმიჯნავ ხაზს ვერ პოულობ. და ვერც საზღვარს პოულობ რეალურსა და შესაძლებელს შორის.

დელიკატურ სიტუაციაში აღმოჩნდი, დელიკატურსა და სახიფათოში.

აღარ იცი, სად არის აზრი, წინასწარმეტყველური ლოგიკა. თავს ისე გრძნობ, როგორც წყალდიდობის დროს, როცა წყლის ზვირთებმა გადაყლაპეს ყველა საგზაო ნიშანი და მთელი ქალაქი ჩაძირეს. მხოლოდ დატბორილი სახლების უცნობ სახურავებს ხედავ.

შენ ზურგზე წევხარ და საეკი ზემოდან გექცევა. ქვასავით მაგარი ასოთი მასში შედიხარ. ვერაფერს გახდები, ის განკარგავს სიტუაციას. წელს ისე კლავს, თითქოს სხეულით დახატვას ცდილობდეს. მისი სწორი თმა მხრებზე გეცემა და ტირიფის ტოტებივით უხმოდ თრთის. თანდათან თბილ ტალახში ეფლობი. მთელი სამყარო თბილი, სველი, ბუნდოვანი ხდება, და მხოლოდ შენი მაგარი მოელვარე ასო არსებობს. თვალებს ხუჭავ და შენი საკუთარი სიზმარი იწყება. ვერ ხვდები, რა დრო გადის. ზღვის მოქცევა იწყება და მთვარე ამოდის. და მალე ათავებ.

არაფერი შეგიძლია. მასში ათავებ. მისი საშოს კედლები იკუმშება და შენს თესლს იწოვს, მთელი ამ დროის მანძელზე თვალეგახეილს სძინავს. სხვა სამყაროშია და შენი თესლი იქ მიდის, იმ, სხვა სამყაროში.

დიდი დრო გადის. ვერ ვინძრევი. ჩემი სხეულის ყოველი ნაწილი პარალიზებულია, განძრევა არ მინდა. გადადის და გვერდით მიწვება. ცოტა ხანში დგება, საცვლებს, ქვედაბოლოს იცვამს და პერანგზე ღილებს იკრავს. ისევ ნაზად მეხება თმაზე. არც ერთ სიტყვას არ ვეუბნებით ერთმანეთს. რაც ოთახში შემოვიდა, კრინტიც არ დაუძრავს. მხოლოდ იატაკის ჭრაჭუნის და ქარის ზუზუნის ისმის. ჩემ უკან ქორო მღერის.

მძინარე მიდის. კარი ოდნავაა ღია. იქიდან თევზივით სხლტება. კარი უხმოდ იხურება. საწოლიდან ვუყურებ, როგორ გადის. ისევ ვერ ვმოდრაობ. თითის აწევაც არ შემიძლია. ტუჩები მჭიდროდ მაქვს მოკუმული. დროის კუთხეში სძინავთ სიტყვებს.

კუნთის განძრევაც არ შემიძლია, დამაბული ვარ, იქნებ რამეს მოვკრა ყური. ქარი ღრუბლებს ერთად უყრის თავს, მერე მიმოფანტავს. შინდის ტოტები ირხევა და მისი ფოთლები ალესილი დანებივით ელვარებს. ფანჯარა ჩემი გულის სარკმელია, კარი ჩემი სულის კარია. გათენებამდე მღვიძავს და სკამს შევყურებ.

ორივე დაბალ გალავანზე გადაძვრა და ტყეში შევიდნენ. პოლკოვნიკმა სანდერსმა პატარა ფანარი ამოიღო ჯიბიდან და ვიწრო ბილიკი გაინათა. ტყეს უღრანი არ ეთქმოდა, მაგრამ ძველისძველი ხეების ტოტები თითქოს ემუქრებოდნენ გამვლელს, მიწიდან კი ბალახების მყრალი სუნი ამოდიოდა.

პოლკოვნიკი სანდერსი წინ აუჩქარებლად მიუძღოდა. გზას ფანრით ინათებდა და ყოველ ნაბიჯს ფრთხილად დგამდა. ჰომინო ფეხდაფეხ მიჰყვებოდა.

– ეი, ძია, დასაზვერად მივდივართ, თუ რა ხდება? – უთხრა პოლკოვნიკის თეთრ ზურგს, – ვაჰ, მოჩვენება!

– რატომ არ მოკეტავ? – პოლკოვნიკ სანდერსს არც მიუხედავს მისკენ.

– კარგი, კარგი, – ჰომინომ უეცრად გაიფიქრა, ნეტა ნაკატა როგორ არისო. ალბათ, ისევ ეძინა. ნეტა ამ რეკორდულ დროში რა სიზმრებს ხედავს? ჰომინოს ფანტაზია არ ჰყოფნიდა ამის წარმოსადგენად, – ჯერ არ მივსულვართ?

– თითქმის მივედით. – უპასუხა პოლკოვნიკმა სანდერსმა.

– რაღაც უნდა გკითხო... – წამოიწყო ჰომინომ.

– რა?

– მართლა პოლკოვნიკი სანდერსი ხარ?

პოლკოვნიკმა სანდერსმა ჩაახველა.

– არა. დროებით მისი გარეგნობა გამოვიყენე.

– მაგას კი მივხვდი, – უპასუხა ჰომინომ, – ისე ვინა ხარ?

– სახელი არა მაქვს.

– ეგ როგორ?

– რა პრობლემაა. არც სახელი მაქვს, არც ფორმა.

– კუილივით ხარ?

– შეიძლება ასეც ითქვას. რადგან ფორმა არა მაქვს, შემიძლია ვიქცე ყველაფრად, რასაც მოვისურვებ.

– ეე?!

– ამჯერად ვარჩიე, ნაცნობი ფორმა მიმელო, ამ ცნობილი კაპიტალისტური სიმბოლოსი. ჯერ მიკი მაუსობაზე ვფიქრობდი, მაგრამ დისნეი საავტორო უფლებებს მკაცრად იცავს.

– რაღაც არა მგონია, სუტენიორი მიკი მაუსი გამსწორებოდა.

– მესმის შენი.

– პოლკოვნიკ სანდერსის გარეგნობა შენს ხასიათს შეეფერება.

– მე ხასიათი არა მაქვს, არც გრძნობები. შემძლია, ფორმა მივიღო, ვილაპარაკო, მაგრამ არც ღმერთი ვარ, არც ბუდა, უსულო არსება ვარ, რომლის გულიც კაცის გულისგან განსხვავდება.

– რა ჯანდ...

– ეს ციტატაა უედა აკინარის წიგნიდან „მთვარის ნათელი და წვიმის ზღაპრები“. მეექვსეა, წაკითხული გქონდეს.

– ეგრეა.

– აქ ადამიანის სახით წარმოვჩნდი, მაგრამ მე არც ღმერთი ვარ და არც ბუდა. ჩემი გული ადამიანების გულისგან განსხვავდება, რადგან ვერაფერს განვიცდი. აი, ამას ნიშნავს.

– ჰმ. კარგად ვერ გავიგე. ამბობ, არც ადამიანი ვარ, არც ღმერთი, არც ბუდაო?

– არც ღმერთი, არც ბუდა, მხოლოდ უსულო საგანი. არც ვცნობ კეთილს და ბოროტს, არც ვეთაყვანები.

– ეგ რაღას ნიშნავს?

– რადგან არც ღმერთი ვარ, არც ბუდა, არ მჭირდება იმის განსჯა, ადამიანები კეთილები არიან თუ ბოროტები. და ამიტომ არც სიკეთის სტანდარტებით ვმოქმედებ და არც ბოროტების.

– სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შენ სიკეთისა და ბოროტების მიღმა არსებობ?

– ძალიან კეთილი ხარ. არა, მათ მიღმა არა ვარ, უბრალოდ, ჩემთვის მათ მნიშვნელობა არა აქვს. არ ვიცი, რა არის სიკეთე ან ბოროტება. მე ვარ ძალიან პრაგმატული არსება, ბუნებრივი საგანი და მხოლოდ იმაზე ვზრუნავ, რომ დაკისრებული ფუნქცია აღვასრულო.

– ფუნქციის აღსრულება? ეგ რაღაა?

– სკოლაში არ დადიოდი?

– კი, პროფესიულ კოლეჯში ვსწავლობდი და მთელ დროს მოტოციკლზე ვატარებდი.

– მეთვალყურე ვარ, ყველაფერს ვაკვირდები, ვაკონტროლებ, საკუთარ ფუნქციას რამდენად სრულფასოვნად ასრულებენ. სხვადასხვა სამყაროებს შორის კორელაციას ვამოწმებ, ვაკონტროლებ, ყველაფერი თავის ადგილზეა თუ არა. ვაკვირდები, მიზეზებს შედეგი თუ მოჰყვება და მნიშვნელობები ერთმანეთში ხომ არ ირევა. წარსულის შემდეგ აწმყო უნდა

დადგეს, მერე კი მომავალი. ცოტაოდენი არეულობა დასაშვებია. სრულყოფილი არაფერია. თუ საბუღალტრო წიგნში ბალანსი ემთხვევა, კმაყოფილი ვარ. სიმართლე გითხრა, დეტალებს არ ვაქცევ ყურადღებას. შეუძლებელია მთელი ამ ინფორმაციის გადამუშავება და გაკონტროლება. თუ ბალანსი არ დაემთხვა, მაშინ კი შეიქმნება პრობლემა.

– ამდენად მნიშვნელოვანი პიროვნება თუ ხარ, ტაკამაცუს გარეუბნებში რაღა დაგრჩენია, თან რაღას სუტენიორობ?

– პიროვნება არა ვარ. რამდენჯერ გითხრა?

– რაცა ხარ...

– გოგონა იმიტომ გაგიჩითე, რომ როგორღაც მადლობა გადამეხადა დახმარებისთვის.

– დახმარებისთვის?

– როგორც გითხარი, არანაირი ფორმა არა მაქვს, მეტაფიზიკური, კონცეპტუალური საგანი ვარ. შეიძლება ნებისმიერი სახე მივიღო და ნებისმიერი მოქმედება შევასრულო, მაგრამ ამისთვის მატერიის დახმარება მჭირდება.

– ამჯერად კი მე აღმოვჩნდი ეგ მატერია, არა?

– დიახ.

ბილიკს ფრთხილად მიუყვებოდნენ, დიდი მუხის უკან მდგარ პატარა ტაძარს მიადგნენ. ტაძარი ძველი იყო და ჩამოშლილი, წმინდა ნივთებიც არ ესვენა.

პოლკოვნიკმა სანდერსმა ფანარი მიანათა.

– შიგნითაა ქვა. კარი გააღე.

– არავითარ შემთხვევაში. როცა მოგესურვება, მაშინ არ შეიძლება ტაძრის გაღება. დაიწყებლები. ცხვირი ან ყურები დაგცვივდება.

– ნუ ღელავ. მიდი და გააღე, დამიჯერე. არ დაიწყებლები. არც ყურები დაგძვრება, არც ცხვირი. რა ძველმოდური ხარ.

– თვითონ რატომ არ გააღებ? მე რატომ უნდა გამრიო?

– რამდენჯერ გითხრა? მე არამატერიალური, აბსტრაქტული კონცეფცია ვარ. მე თვითონ ვერაფერს მოვიმოქმედებ. ამიტომაც მოგიყვანე თან. და გოგონაზეც ფასდაკლება გაგიკეთე...

– ის მართლაც დიდებული იყო! მაგრამ ტაძარი როგორ გაქურდო! ბაბუაჩემი მეუბნებოდა, ტაძარს არ უნდა გაეკარო.

– დაივიწყე ბაბუაშენი. გიფუს პრეფექტურის მთელ მორალს ჩემზე ნუ დახარჯავ, რა. ამის დრო არ არის.

ჰომინომ ჯერ იყოყმანა, მერე ტაძრის კარი გააღო. პოლკოვნიკმა სანდერსმა ფანრით გაანათა იქაურობა. მართლაც იქ იდო ძველი მრგვალი ქვა. ნაკატამ ასე აღწერა, დიდი ზომის ბრინჯის ნამცხვრის ტოლია, გლუვი თეთრი ზედაპირითო.

– ესაა?

– დიახ. გამოიტანე.

– მოიცა, ეგ ხომ ქურდობაა.

– მერე რა. ვერავინ შეამჩნევს. არც არავინ იღარდებს.

– ის ხომ ღმერთის კუთვნილებაა? განრისხდება, თუ მოვიპარავთ.

პოლკოვნიკმა სანდერსმა გულზე ხელები დაიკრიფა და ჰომინოს შეხედა.

– ღმერთი რა არის?

ჰომინო დაიბნა.

– როგორ გამოიყურება ღმერთი, ან რის მაქნისია?

– რას მეკითხები?! ღმერთი ღმერთია. ის ყველგანაა, თვალყურს გვადევნებს, განგვსჯის.

– მსაჯივით ყოფილა.

– დაახლოებით.

– ე.ი. ღმერთს შორტები აცვია, პირში სასტვენის უდევს და მაჯის საათს ხშირად ამოწმებს?

– ამას არ ვგულისხმობდი.

– იაპონელი ღმერთი უცხოელი ღმერთის ნათესავია თუ მტერი?

– მე რა ვიცი?!

– ღმერთი მხოლოდ ადამიანების გონებაში არსებობს. იაპონელების ღმერთი კი განსაკუთრებით მოქნილია. გახსოვს, ომის შემდეგ რა მოხდა? გენერალმა დაგლას მაკარტურმა იმპერატორს უბრძანა, უარი განეცხადებინა ღმერთობაზე, ისიც სიტყვით გამოვიდა და ბრძანა, ერთი ჩვეულებრივი ადამიანი ვარო. 1946 წლის შემდეგ მან ღმერთობა შეწყვიტა. იაპონელი ღმერთების დამორჩილება შესაძლებელია. ვიღაც ამერიკელი ბრძანებას გასცემს თუ არა, იაპონელი ღმერთი წყვეტს ღმერთობას. რა პოსტმოდერნულია. ღმერთის არსებობისა გწამს? ჰოდა არსებობს. არ გწამს? – არ არსებობს. თუ ღმერთი მართლაც ასეთია, არც ვიღელვებდი.

– კარგი.

– გამოიტანე ქვა. საკუთარ თავზე ვიღებ მთელ პასუხისმგებლობას. მე არც ღმერთი ვარ, არც ბუდა, მაგრამ რაღაც კავშირები მაქვს. ვიზრუნებ იმაზე, რომ არავინ დაგწყევლოს.

– მპირდები?

– სიტყვას არ გავტეხ.

ჰომინომ წინ წაიწია და ისე ფრთხილად აიღო ქვა, თითქოს ნაღმი ყოფილიყოს.

– კარგა მძიმეა.

– ტოფუ კი არ გიჭირავს ხელში. ქვას სიმძიმე უნდა ჰქონდეს.

– ქვის კვალობაზეც კი ძალიან მძიმეა. რა ვუყო ამ ქვას?

– წაიღე და საწოლთან დაიდე. დანარჩენი თავისით მოხდება.

– სასტუმროში წავილო?

– თუ ძალიან მძიმეა, ტაქსით წაიღე.

– ასე შორს შეიძლება წავილო?

– ყველაფერი მოძრავია. დედამიწა, დრო, ცნებები, სიყვარული, ცხოვრება, რწმენა, სამართალი, ბოროტება, – ეს ყველაფერი მოძრაობს და გარდაიქმნება. ისინი ერთი სახისანი არასოდეს არ არიან და არც ერთ ადგილზე ჩერდებიან მუდმივად. სამყარო ფედექსის უზარმაზარ ყუთს ჰგავს.

– ჰმ.

– ამ ქვას დროებითა აქვს ქვის ფორმა. მისი გადაადგილებით არაფერი შეიცვლება.

– ეს ქვა რითაა განსაკუთრებული?

– თვითონ ქვა უმნიშვნელოა. სიტუაცია რაღაცას მოითხოვს და ეს რაღაც ამჯერად ქვა აღმოჩნდა. ანტონ ჩეხოვმა კარგად თქვა, თუ ამბავში თოფი ფიგურირებს, მან აუცილებლად უნდა გაისროლოს. ხვდები, რა იგულისხმება?

– არა.

პოლკოვნიკმა სანდერსმა ამოიოხრა.

– ზრდილობის გულისთვის გკითხე.

– ოჰ. დიდი მადლობა.

– ჩეხოვი მიიჩნევს, რომ საჭიროება დამოუკიდებელი ცნებაა. მას ლოგიკის, მორალისა და არსისგან განსხვავებული სტრუქტურა აქვს. მისი ფუნქცია მთლიანად მის მიერ შესასრულებელ როლშია. რაც როლს არ ასრულებს, არც უნდა არსებობდეს. უნდა არსებობდეს მხოლოდ ის, რასაც საჭიროება მოითხოვს. ესაა დრამატურგია. ლოგიკა, მორალი თუ არსი ურთიერთკავშირით წარმოიშობა. ჩეხოვს კარგად ესმოდა დრამატურგია.

– სულ დამაბნე.

– ეგ ქვა ჩეხოვის თოფია. მან უნდა გაისროლოს. ამიტომაცაა მნიშვნელოვანი. ისე კი მას არაფერი აქვს წმინდა. წყევლა ნუ შეგაშინებს.

– ეს ქვა თოფია? – დაფრთხა ჰომინო.

– მხოლოდ მეტაფორულად. ტყვიებს არ გაისვრის.

პოლკოვნიკმა სანდერსმა ჯიბიდან ფუროშიკის[11] ქსოვილი ამოიღო და ჰომინოს მიაწოდა.

– შემოახვიე. ჯობია, არავინ დაინახოს.

– შენ არ მითხარი, ქურდობა არ არისო?

– დაყრუვდი? არ არის ქურდობა. რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი საქმისთვის გვჭირდება და უნდა ვინათხოვროთ.

– გასაგებია. დრამატურგის წესების მიხედვით, ჩვენ ახლა საჭიროებისამებრ ვმოქმედებთ.

– ტყუილად არ მილაპარაკია, ყველაფერი გესმის.

ჰომინომ მუქლურჯ ქსოვილში გაახვია ქვა და ტყიდან გამავალ ბილიკს გაუყვია, პოლკოვნიკი სანდერსი ფანრით უნათებდა გზას. ქვა კარგა მძიმე იყო, ჰომინომ რამდენჯერმე შეისვენა. კარგად განათებული ტაძრის მიწები სწრაფად გაიარეს, რომ უცხო თვალს არ შეემჩნია, და მთავარ გზაზე გავიდნენ. პოლკოვნიკმა სანდერსმა ტაქსი გააჩერა.

– ბალიშის გვერდით დავიდო, არა? – ჰკითხა ჰომინომ ტაქსიში ჩაჯდომის მერე.

– ჰო. ასე ქენი. სხვა არაფერი გააკეთო. მთავარია, იქ გქონდეს.

– მადლობა უნდა გადაგიხადო.

– არ არის საჭირო, – გაიღრჩია პოლკოვნიკი სანდერსი, – ეგ არის ჩემი საქმე. გოგონაზე რას იტყვი, ჰომინო?

– საოცარი ვინმე იყო.

– მოხარული ვარ.

– ეგ გოგონა რეალური იყო? მელიის სული ან რაღაც აბსტაქტული ხომ არ ყოფილა?

– არა, რეალური, ცოცხალი სექს-მანქანაა. მისი პოვნა გამიჭირდა.

– ეეჰჰ! – ამოიოხრა ჰომინომ.

დამის პირველი საათი იყო, როცა ჰომინომ ქსოვილშემოხვეული ქვა ბალიშთან ახლო დაუდო ნაკატას. იფიქრა, იქნებ ასე მაინც ავიცილო თავიდან წყევლა, თუ ქვას ჩემი ბალიშის გვერდით არ დავიდებო. ნაკატას გათიშულს ეძინა. ჰომინომ ქსოვილი მოაშორა ქვას. პიჟამა ჩაიცვა, ლოგინში შეძვრა და მაშინვე ჩაეძინა. შორტებიანი ღმერთი ესიზმრა, გაბანჯგვლულფხებიანი, მოედანზე დარბოდა და ფლეიტაზე უკრავდა.

ნაკატას ხუთი საათისთვის გამოეღვიძა. ბალიშის გვერდით ქვა ედო.

მეორე სართულზე, ქალბატონ საეკის კაბინეტში, ორის წუთებზე ამაქვს ყავა. კარი, როგორც ყოველთვის, ღიაა. ქალბატონი საეკი ცალი ხელით ფანჯრის რაფას ეყრდნობა და სარკმლიდან იყურება. მეორე ხელით, ფიქრებში ჩაძირული, მექანიკურად ეხება პერანგის ღილებს. ამჯერად მაგიდაზე არც კალამია, არც ფურცელი. საწერ მაგიდაზე ვდგამ ყავის ფინჯანს. ცა ღრუბლების თხელ ფენას დაუფარავს, ჩიტებიც კი დროებით გაყუჩებულან.

შემამჩნია და ფიქრი გაუწყდა, ფანჯარას მოშორდა, მაგიდასთან დაჯდა და ყავა მოსვა. იმ სკამისკენ მიმითითა, სადაც გუშინ ვიჯექი. ვჯდები და ვუყურებ, მაგიდის იქით მჯდომი, ყავას როგორ წრუპავს. ნეტა ახსოვს, გუშინ ღამით რა მოხდა? არ ვიცი. ისე მიყურებს, თითქოს თან ყველაფერი იცოდეს, თან კი არაფერი. მისი შიშველი სხეული მაგონდება... მისი ყოველი შეხება... ახლა ეჭვი მეპარება, ის სხეული ამ ქალს ეკუთვნოდა? გუშინ კი ამაში ასი პროცენტით ვიყავი დარწმუნებული.

აბრეშუმის მსგავსი ნაჭრის ღია მწვანე პერანგი და ვიწრო, კრემისფერი ქვედაბოლო აცვია. კისერი კოხტა ვიწრო ვერცხლის ყელსაბამით დაუმშვენებია. თლილი თითები ერთმანეთში ისე გადაუხლართავს, ხელოვნების ნიმუში გეგონება.

– შეეგუე აქაურობას? – მეკითხება.

– ტაკამაცუს?

– დიახ.

– არ ვიცი. ბევრი რამ არ მინახავს, მხოლოდ რამდენიმე დაწესებულება – ეს ბიბლიოთეკა, რა თქმა უნდა, სპორტული დარბაზი, სადგური, სასტუმრო... სხვა არაფერი.

– მოსაწყენია?

თავი გავაქნიე.

– ჯერ ვერ შევაფასებ. მოსაწყენად დრო არ მქონია, ქალაქები კი ერთმანეთს ჰგავს. რატომ მკითხეთ? თქვენი აზრით, მოსაწყენი ქალაქია?

მსუბუქად აიჩეჩა მხრები.

– ახალგაზრდობაში ასე მიმაჩნდა. აქედან გაქცევა მინდოდა და სხვაგან გადასახლება, სადაც რაღაც განსაკუთრებული მელოდა, სადაც უფრო საინტერესო ადამიანებს შევხვდებოდი.

– საინტერესო ხალხს?

ქალბატონმა საეკიმ თავი ოდნავ გააქნია.

– ახალგაზრდა ვიყავი. ბევრ ახალგაზრდასა აქვს ასეთი განცდა, არა?

– არა. არასდროს მიფიქრია, რომ სადმე სხვაგან რაღაც განსაკუთრებული მეღის. მე მხოლოდ სადმე სხვაგან ყოფნა მსურდა. ნებისმიერ ადგილას, გარდა...

– სად არ გსურდა ყოფნა?

– ნოგატას რეგიონში, ნაკანოში. სადაც დავიბადე და გავიზარდე.

ამის გაგონებაზე თვალებში რაღაც გაუკრთა. ან იქნებ მომეჩვენა?!

– მნიშვნელობა არ ჰქონდა, იქიდან სად წახვიდოდი?

– დიახ, სად წავიდოდი, ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. იქაურობას უნდა გავცლოდი, რომ ყველაფერი თავდაყირა არ დამდგარიყო. ამიტომ გამოვიქეცი.

მაგიდაზე ჩამოწყობილ ხელებს დახედა და ძალიან ჩუმად თქვა: „როდესაც აქედან წავედი, ოცის ვიყავი და იგივე განცდა მქონდა. გადასარჩენად უნდა წავსულიყავი. დარწმუნებული ვიყავი, აქ აღარასდროს დავბრუნდებოდი. მაგრამ მოვლენები სხვაგვარად წარიმართა და ახლა აქა ვარ. თითქოს ყველაფერს თავიდან ვიწყებდე.“

ტრიალდება და ფანჯრიდან იყურება.

ღრუბლებს ფერი არ შეუცვლიათ, არც ქარი იძვრის. ეს კადრი ისეთი უძრავია, როგორც გადასაღები მოედნის დეკორაციები.

– ცხოვრებაში წარმოუდგენელი რამეები ხდება.

– შეიძლება მეც უკან დავბრუნდე?

– არ ვიცი. ეს შენზეა დამოკიდებული. ჩემი აზრით, ადამიანისთვის ძალიან მნიშვნელოვანია დაბადებისა და გარდაცვალების ადგილი. დაბადების ადგილს ვერ აირჩევ, მაგრამ მეტ-ნაკლებად შეგიძლია განსაზღვრო – სად მოკვდები, – ამბობს ჩუმი ხმით და ფანჯრიდან იყურება, თითქოს გარეთ ვინმე წარმოსახვით ადამიანს ელაპარაკებოდეს. მერე აგონდება, რომ მეც იქ ვარ და ჩემკენ ტრიალდება, – ნეტავ, ამ ყველაფერს რატომ გიყვები?!

– იმიტომ, რომ არც აქაური ვარ, და ჩვენ შორის დიდი ასაკობრივი სხვაობაა.

– ალბათ ამიტომ.

ოცი-ოცდაათი წამის განმავლობაში ჩაფიქრებული ვსხედვართ. ის ფინჯანს სწევს და ყავას წრუპავს.

გადავწყვიტე ვუთხრა.

– ქალბატონო საეკი, მეც მინდა რაღაც გაგანდოთ.

მიყურებს და იღიმება.

– საიდუმლოებებს ვუცვლით ერთმანეთს.

– ეს საიდუმლო არ არის, მხოლოდ თეორიაა.

– თეორია? – იმეორებს, – გინდა, თეორია გამანდო?

– დიახ.

– საინტერესოა.

– ეს ჩვენი საუბრის გაგრძელებაა. იქნებ ამ ქალაქში სასიკვდილოდ დაბრუნდით?

სახეზე ღიმილი ეფინება, რომელიც გარიჟრაჟზე ცაზე დაკიდებულ ვერცხლისფერ მთვარეს მაგონებს.

– შეიძლება. მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს. საცხოვრებლად მიდიხარ რომელიმე ადგილას თუ სასიკვდილოდ, ყოველდღიურად ერთი და იმავე საქმის გაკეთება გიწევს.

– იმედი გაქვთ, რომ მოკვდებით?

– ალბათ... არ ვიცი.

– მამაჩემს სიკვდილი უნდოდა.

– მოკვდა?

– დიდი ხანი არ არის. სულ ახლახან.

– რატომ უნდოდა სიკვდილი?

ამოვისუნთქე.

– დიდხანს ვერ ვხვდებოდი, რატომ. მაგრამ, მგონი, მივხვდი. აქ ჩამოსვლის შემდეგ საბოლოოდ დავრწმუნდი.

– რატომ?

– მამაჩემს უყვარდით, მაგრამ თქვენი უკან დაბრუნება ვერ შეძლო. ან იქნებ თავიდანვე ვერ შეძლო თავის საკუთრებად ექციეთ?! ამიტომ უნდოდა სიკვდილი. ისიც უნდოდა, რომ მის ვაჟს – თქვენს ვაჟს – მოეკლა. ანუ მე. უნდოდა, თქვენთან და ჩემს უფროს დასთან სექსუალური კავშირი დამემყარებინა. ეს იყო მისი წინასწარმეტყველება, მისი წყევლა.

ქალბატონმა საეკიმ ყავის ფინჯანი ლამბაქზე მოწყვეტით დადგა. ყრუ წკრიალი გაისმა. პირდაპირ მიყურებს, მაგრამ თითქოს ვერც მხედავს. თითქოს სიცარიელეს უყურებსო.

– მამაშენს ვიცნობ?

თავი გავაქნიე.

– არა, როგორც გითხარით, ეს მხოლოდ თეორიაა.

ხელებს მაგიდაზე, ერთმანეთს ადებს. მკრთალი ღიმილი ისევ დასთამაშებს.

– ამ თეორიის მიხედვით გამოდის, რომ დედაშენი ვარ.

– დიახ. მამაჩემთან ცხოვრობდით, მე გამაჩინეთ, მერე წახვედით და მიმატოვეთ. იმ ზაფხულს ოთხი წლის გავხდი.

– ანუ ეს მხოლოდ შენი თეორიაა.

თავი დავუქნიე.

– ამიტომ მკითხე გუშინ, შვილები გყავს თუ არაო?

ისევ თავი დავუქნიე.

– როგორც უკვე გითხარი, ვერც ჰოს გიპასუხებ, ვერც არას.

– ვიცი.

– ამიტომაც შენი თეორია თეორიადვე რჩება.

ისევ დავუქნიე თავი, დიახ-მეთქი.

– მომიყევი, როგორ მოკვდა მამაშენი?

– მოკლეს.

– შენ არ მოგიკლავს, არა?

– არა. მე – არა. ალიბი მაქვს,

– მაგრამ ამაში დარწმუნებული არა ხარ?

თავი გავაქნიე.

– არა ვარ დარწმუნებული.

ისევ ყავის ფინჯანს იღებს და კიდევ ერთ პატარა ყლუპს ისე სვამს, თითქოს უგემური იყოს.

– ასე რატომ დაგწყევლა მამაშენმა?

– ალბათ სურდა, მისი ნება აღმესრულებინა.

– მე მოგსურვებოდი, ამის თქმა გინდა?

– დიახ.

ქალბატონი საეკი ჯერ ფინჯანს დაჰყურებს, რომელიც ხელში უჭირავს, მერე ისევ მაღლა იხედება.

– მერე... გინდივარ?

თავს მკაფიოდ ვუქნიევ.

თვალეებს ხუჭავს. დიდხანს შევყურებ მის დახუჭულ ქუთუთოებს და მათ მიღმა იმ სიბნელეს ვხედავ, რომელსაც თვითონ უნდა ხედავდეს. ამ სიბნელეში უცნაური ფორმები წარმოიქმნება და ზედაპირისკენ მხოლოდ იმიტომ მოიწევს, რომ გაუჩინარდეს.

საბოლოოდ თვალეებს ახელს.

– გინდა თქვა, რომ თეორიულად გინდივარ?

– არა, თეორიას შევეშვით. მინდიხარ და ეს ყოველგვარ თეორიულ ჩარჩოებს სცდება.

– ჩემთან სექსი გინდა?

თავი დავუქნიე.

თვალეებს ისე ჭუტავს, თითქოს თავკარა მზეს შეჰყურებდეს.

– აქამდე გქონია ვინმესთან სექსი?

ისევ დავუქნიე თავი. გუშინ, შენთან-მეთქი, გავიფიქრე. მაგრამ ხმამაღლა ვერ ვამბობ. თვითონ არაფერი ახსოვს.

თითქოს შვებით ამოისუნთქაო, ისე აამოძრავა ტუჩები.

– კაფკა, ხვდები, შენ რომ 15-ის ხარ, მე კი 50-ზე მეტის?

– ჩვენ დროზე არ ვსაუბრობთ. მე იმ დროში გიცნობ, როცა 15-ის ხარ. და იმ ასაკში ვარ შენზე შეყვარებული, უღმერთოდ შეყვარებული. იმ გოგონას მეშვეობით კი შენზე ვარ შეყვარებული. ის პატარა გოგონა ხომ კვლავ შენშია მიძინებული. როცა იძინებ, ის იღვიძებს. მინახავს.

თვალეებს ისევ ხუჭავს, ქუთუთოები ოდნავ უთრთის.

– მიყვარხარ და ეს არის მთავარი. ვიცი, რომ გესმის ჩემი.

ისე ამოისუნთქა, თითქოს ვიღაცას ზღვის სიღრმიდან ზედაპირზე ამოეცუროს. სიტყვებს ეძებს, მაგრამ ენას ვერ ატრიალებს.

– ვწუხვარ, კაფკა, მაგრამ იქნებ წახვიდე? მინდა, ცოტა ხანს მარტო დავრჩე. გთხოვ, კარი მიიხურე.

თავი დავუქნიე, ავდექი, გასვლას ვაპირებ, მაგრამ რაღაც უკან მეწევა. კართან ვჩერდები, ვბრუნდები და ვუახლოვდები. თმაზე ვეხები. პატარა ყურზე ვეხები თმაზე მოფერების დროს. არ შემიძლია. მიყურებს გაკვირვებული და წუთის ყოყმანის შემდეგ ხელით ხელზე მეხება.

– შენ და შენი თეორია იმ ობიექტს უმიზნებთ ქვას, რომელიც ძალიან შორს დგას. გესმის?

თავი დავუქნიე.

– ვიცი. მაგრამ მეტაფორებს მანძილის შემცირება შეუძლია.

– ჩვენ მეტაფორები არა ვართ.

– ვიცი. მაგრამ მეტაფორები აბათილებს იმ ყველაფერს, რაც ჩვენ გვაშორებს.

მიყურებს და მკრთალად ილიმება.

– ასეთი უცნაური აქამდე არაფერი მსმენია.

– უფრო უცნაური რამეებიც ხდება, მაგრამ ვხვდები, თანდათან სიმართლეს ვუახლოვდები.

– უახლოვდები მეტაფორულ სიმართლეს? თუ მეტაფორულად უახლოვდები სინამდვილეს? თუ ისინი ერთმანეთს ავსებენ?

– არა მგონია, იმ დარდს გავუძლო, ახლა რომ განვიცდი.

– მეც იმავეს ვგრძნობ. – მპასუხობს საეკი.

– აქ იმიტომ მოხვედი, რომ მოკვდე?

თავი გააქნია.

– სიმართლე გითხრა, არ ვცდილობ, მოკვდე. მხოლოდ სიკვდილს მოველი. როგორც სადგურის სავარძელზე მჯდომი ელის მატარებლის გამოჩენას.

– იცი, როდის მოვა მატარებელი?

ხელს მიშვებს და თითების წვერებით ქუთუთოებს ეხება.

– კაფკა, მე უკვე მოვჭამე ჩემი. იყო დრო, როცა თავი უნდა მომეკლა, მაგრამ ასე არ მოვიქეცი. ვიცოდი, ცხოვრების გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა, მაგრამ ვერ შევძელი, ცხოვრება განვაგრძე და ყოველგვარ სისულელეს მივყავი ხელი. საკუთარი თავიც დავაზარალე და გარშემო მყოფებიც. ამიტომ ვისჯები, ამიტომ ვარ დაწყევლილი. მე მქონდა რაღაც ზედმეტად იდეალური, ზედმეტად სრულყოფილი, მერე კი მხოლოდ საკუთარი თავის შეზიზღება შევძელი. ეს ის წყევლაა, რომელსაც ვერასდროს გავექცევი. ამიტომ სიკვდილი არ მაშინებს. და რაც შეეხება შენს მეორე კითხვას – კი, ზუსტად ვიცი, ეგ დღე როდის დადგება.

კიდევ ერთხელ ვეჭიდები მის ხელს. სასწორის თევშები ირხევა, პაწაწინა სიმძიმეც კი გადაწონის. უნდა დავფიქრდე. უნდა გადავწყვიტო. ნაბიჯი უნდა გადავდგა წინ.

– ჩემთან დაწვები?

– იმ შემთხვევაშიც კი, თუ თეორიულად დედაშენი ვარ?

– მგონი, ყველაფერი, რაც კი მოძრაობს, ამჟამად ორაზროვანია.

ამაზე ფიქრობს.

– არა. ჩემთვის საგნები ასე დაწვრილმანებული არ არის. ან ყველაფერი, ან არაფერი.

– და ამ შემთხვევაშიც იცი, ეს არაფერია თუ ყველაფერი?

თავი დამიქნია.

– შეიძლება რაღაც გკითხო?

– რასთან დაკავშირებით?

– ის ორი აკორდი როგორ იპოვე?

– აკორდი?

– შენი სიმღერიდან – „კაფკა პლაჟზე“.

მიყურებს.

– მოგწონს?

თავი დავუქნიე.

– ეგ აკორდები ძველ ოთახში ვიპოვე, ძალიან შორს. იმ დროს იმ ოთახის კარი ღია იყო, – ჩუმად ამბობს, – ოთახის, რომელიც ძალიან, ძალიან შორსაა. – თვალეებს ხუჭავს და მოგონებებში იძირება, – კაფკა, როცა გახვალ, კარი მოხურე.

ასეც ვიქცევი.

როცა ბიბლიოთეკას ვკეტავთ, ოშიმას ზღვის რესტორანში მივყავარ, ბიბლიოთეკიდან მოშორებით. რესტორნის განიერი ფანჯრიდან ღამის ზღვას ვხედავთ. ზღვის ყველა ბინადარზე ვფიქრობ.

– ზოგჯერ უნდა გამოხვიდე და წესიერად ჭამო, – მეუბნება ოშიმა, – მოდუნდი. არა მგონია, პოლიცია აქაც იყოს ჩასაფრებული. არც ერთს არ გვაწყენს გარემოს შეცვლა.

სალათის დიდ პორციას ვჭამთ და პაეიას ვუკვითავთ.

– მინდა, ოდესმე ესპანეთში წავიდე. – ამბობს ოშიმა.

– რატომ ესპანეთში?

– ესპანეთის სამოქალაქო ომში რომ ვიბრძოლო.

– ეგ ხომ დიდი ხნის წინ იყო.

– ვიცი. ლორკა მოკვდა, ჰემინგუეი კი გადარჩა, მაგრამ მაინც უნდა წავიდე ესპანეთში და ესპანურ სამოქალაქო ომში მივიღო მონაწილეობა.

– მეტაფორულად.

– სწორედაც! – ამბობს და აღმაცერად მიცქერს, – გაურკვეველი სქესის ჰემოფილიკი, რომელსაც სიკოკუდან ფეხი იშვიათად თუ გაუდგამს, პირდაპირი მნიშვნელობით ესპანეთში საბრძოლველად ვერ წავა.

პაეია შევსანსლეთ და «პერიე» დავაყოლეთ.

– მამაჩემის მკვლელობის გამოძიების შესახებ რამე სიახლეა?

– არაფერი უცნობებიათ. ყოველ შემთხვევაში, ამაზე არაფერს წერენ. მხოლოდ სამძიმრის წერილებს გზავნიან ხელოვნებს განყოფილებაში. გამოძიება ჩიხში უნდა იყოს შესული. სამწუხაროა, რომ დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი დღეისათვის საგრძნობლადაა შემცირებული, როგორც აქციების ბაზარზე. პოლიციას მისი დაკარგული შვილისთვისაც ვერ მიუგნია.

– თხუთმეტი წლის ბიჭისთვის.

– თხუთმეტი წლის, აგრესიული, სახლიდან გაქცეული ბიჭისთვის.

– ციდან ჩამოყრილი საგნების შესახებ ახალი არაფერი გახდა ცნობილი?

ოშიმამ თავი გააქნია.

– ეგ ამბავი მიივიწყეს, სხვა უცნაური კი ციდან არაფერი ჩამოცვნილა, თუ ორი დღის წინანდელ უპრეცედენტო ჭექა-ქუხილს არ გავითვალისწინებთ.

– ესე იგი მიყუჩდა ყველაფერი?

– ჰო, როგორც ჩანს. ან იქნებ ეს ქარიშხლის მოლოდინში ჩამოწოლილი სიჩუმეა?

თავი დავუქნიე. მოლუსკი ავიღე, ჩანგლით ხორცი ამოვიღე და ნიჟარა ცარიელი ნიჟარების თეფშზე დავდე.

– ისევ შეყვარებული ხარ? – ოშიმა მეკითხება.

თავი დავუქნიე.

– შენ? – მეც ვეკითხები.

– შეყვარებული თუ ვარ? ამას გულისხმობ?

ისევ თავი დავუქნიე.

– ბედავ გამიშინაურდე და მკითხო იმ ანტისოციალური რომანის შესახებ, რომელიც ცხოვრებას ულამაზებს ჰომოსექსუალ, უკულმართ, გენდერულ იდენტობადაკარგულ ტიპს?

თავი დავუქნიე. ისიც ასე მოიქცა.

– პარტნიორი მყავს, – სერიოზულ გამომეტყველებას იღებს და მოლუსკს ჭამს, – არ არის ვნებიანი, ქარიშხლიანი სიყვარული, რომელიც პუჩინის ოპერებში გვხვდება ან სადმე სხვაგან. ჩვენ დისტანციას ვიცავთ. იშვიათად ვხვდებით, მაგრამ კარგად ვუგებთ ერთმანეთს.

– კარგად უგებთ?

– როდესაც ჰაიდნი კომპოზიციებს ქმნიდა, ყოველთვის გამოწყობილი იყო, გაპუდრულ პარიკსაც კი იხურავდა.

გაოცებული ვუყურებ.

– ჰაიდნი რა შუაშია?

– ვერ თხზავდა მუსიკას, თუ ასე არ მოიქცეოდა.

– რატომ?

– არ ვიცი. ეს ჰაიდნმა და მისმა პარიკმა იციან. სხვა ვერავინ გაიგებს. აუხსნელია, ალბათ.

თავი დავუქნიე.

– როცა მარტო ხარ, შენს პარტნიორზე ფიქრობ და სევდა გიპყრობს?

– რა თქმა უნდა, ზოგჯერ ასეც ხდება. როცა მთვარე ლურჯდება, როცა ჩიტები სამხრეთისკენ მიფრინავენ. როცა...

– რატომ რა თქმა უნდა?

– შეყვარებული დანაკლისის შევსებას ცდილობს. ამიტომ შეყვარებულ ადამიანს, სატროფოზე ფიქრის დროს სევდა იპყრობს. ეს იმ საყვარელ ოთახში დაბრუნებასავითაა, რომელსაც უამრავი მოგონება უკავშირდება და დიდი ხანია, აღარ გინახავს. ეს ბუნებრივი განცდაა. შენ არ აღმოგიჩენია ეს განცდა, ასე რომ, მის დასაკუთრებაზე არც იფიქრო, კარგი?

ჩანგალს მაგიდაზე ვდებ და ვუყურებ.

– საყვარელ, ძველ, შორეულ ოთახში?

– სწორედაც, – ოშიმა ჰაერს ჩანგლით აპობს, – თუმცა ეს მხოლოდ მეტაფორაა.

იმ დამით, 9-ის მერე საეკი ჩემს ოთახში შემოდის. საწერ მაგიდასთან მჯდომს, წიგნის კითხვის დროს მესმის, როგორ ჩერდება ბიბლიოთეკასთან «გოლფი». კარი იხურება. რეზინისძირიანი ფეხსაცმელი წელ-წელა კვეთს ავტოსადგომს. ბოლოს ჩემს კარზე კაკუნი ისმის. კარს ვაღებ. ისაა. ამჯერად ღვიძავს. ზოლიანი აბრეშუმის პერანგი და თხელი ლურჯი ჯინსი აცვია. აქამდე შარვალში არ მინახავს.

– დიდი ხანია, ამ ოთახში აღარ ვყოფილვარ, – კედელთან დგას და ნახატს უყურებს, – არც ეს ნახატი მინახავს.

– ეს ადგილი სადმე ახლოსაა?

– მოგწონს?

თავი დავუქნიე.

– ვინ დახატა?

– ახალგაზრდა მხატვარმა, რომელმაც ის ზაფხული კომპურებთან გაატარა. ცნობილი არ იყო, იმ დროს მაინც. დამავიწყდა, რა ერქვა, ძალიან მეგობრული იყო, ჩემი აზრით, კარგი საქმე გააკეთა, ეს ნახატი რომ შექმნა. არის მასში რაღაც ძალა. ხატვის დროს გვერდით ვეჯექი და ვუყურებდი. ხუმრობით უამრავ შენიშვნას ვაძლევდი. ერთმანეთს დავუახლოვდით. ეგ ზაფხული დიდი ხნის წინ იყო. თორმეტი წლის ვიყავი. ნახატზე გამოსახული ბიჭიც თორმეტის იყო.

– ამ ზღვას ჰგავს.

– წამო, გავისეირნოთ. იქ მიგიყვან.

მასთან ერთად სანაპიროსკენ წავედი. ფიჭვის ტყე გადავკვეთეთ და ქვიშიან პლაჟს დავუყვებით დაბლა. ღრუბლები იფანტებოდა და ნახევარმთვარის ნათელი დასთამაშებდა პატარა ტალღებს, რომლებიც ნაპირს ოდნავ ეხლებოდა. ის ქვიშაზე ჩამოჯდა, გვერდით მივუჯექი. ქვიშა ოდნავ თბილი იყო.

სანაპიროზე ერთი ადგილისკენ მიმითითა.

– აგე, ზუსტად იქ. აქედან ხატავდა. შეზღონგი იქ დადგა და ბიჭი ჩამოსვა, მოლბერტი კი აქ დაიდგა. კარგად მახსოვს. შეამჩნიე, რომ კუნძულის მდებარეობა ზუსტად იგივეა, რაც ნახატზე?

იქით გავიხედე, საითაც მიმითითა. მართლაც ასეა. თუმცა რამდენ ხანსაც არ უნდა ვუყურო, ნახატს ვერ ვამსგავსებ ამ ადგილს.

– მთლიანად შეიცვალა აქაურობა. ეს ხომ ორმოცი წლის წინ იყო, ბოლოს და ბოლოს. ყველაფერი იცვლება. უამრავი რამ ახდენს გავლენას სანაპირო ხაზზე: ტალღები, ქარი, ტაიფუნი. ქვიშა ირეცხება და შემდეგ ისევ ყრიან. მაგრამ ეს ზუსტად ის ადგილია. კარგად მახსოვს, აქ რაც მოხდა. იმ ზაფხულს დამეწყო მენსტრუალური ციკლი.

იქ ვსხედვართ, ზღვას გავყურებთ. ღრუბლები მოძრაობენ, მთვარის შუქი ანათებს ზღვას. ფიჭვის ტყეში ქარი ქრის, ეს ხმა წააგავს მეეზოვეებისგან შემდგარ არმიას, რომლებიც ერთდროულად გვიან მიწას. მუჭით ქვიშას ვიღებ. ქვიშა თანდათან ცვივა თითებს შორის და სანაპიროზე დაყრილ ქვიშას უერთდება, დაკარგულ დროსავით.

– რაზე ფიქრობ? – მეკითხება საეკი.

– ესპანეთში წასვლაზე.

– იქ რა უნდა აკეთო?

– გემრიელი პაეია უნდა ვჭამო.

– მხოლოდ ამიტომ?

– და ესპანეთის სამოქალაქო ომში ვიბრძოლო.

– ეგ ომი ხომ 60 წლის წინ დასრულდა.

– ვიცი. ლორკა მოკვდა, ჰემინგუეი კი გადარჩა.

– მაგრამ ამ ომის ნაწილი გინდა გახდე.

თავი დავუქნიე.

– ჰო. მინდა, ხიდები და სხვა რამეები ავაფეთქო.

– და ინგრიდ ბერგმანი შეიყვარო.

– მაგრამ რეალურად აქ ვარ, ტაკამაცუში და შენზე ვარ შეყვარებული.

– ბედი არ გქონია.

ხელი შემოვხვიე.

ხელი შემოვხვიე.

შენკენ იხრება.

დიდი დრო გადის.

– იცი, რომ დიდი ხნის წინ ზუსტად ამ ადგილას ზუსტად ასე მოვიქეცი?

– ვიცი. – ასე პასუხობ.

– საიდან იცი? – გეკითხება და თვალეში გიყურებს.

– აქ ვიყავი.

– ხიდებს აფეთქებდი?

– ჰო. აქ ვიყავი. ხიდებს ვაფეთქებდი.

– მეტაფორულად.

– რა თქმა უნდა.

ეხვევი, შენკენ იზიდავ, კოცნი. გრძნობ, ძალა როგორ ეცლება.

– გვძინავს, არა?

ყველას სძინავს.

– რატომ უნდა მომკვდარიყავი?

– სხვაგვარად არ შემეძლო.

ერთად მისეირნობთ პლაჟზე და ბიბლიოთეკაში ბრუნდებით. შენს ოთახში შუქს თიშავ, ფარდებს აფარებ და უსიტყვოდ წვები, სიყვარულს ეძლევი. გუშინაც ასე გქონდათ სექსი. მხოლოდ ორი განსხვავებაა. სექსის შემდეგ ტირის. თავს ბალიშში რგავს და უხმოდ ქვითინებს. არ იცი, როგორ მოიქცე, ნაზად ეხები შიშველ მხარზე. იცი, რაღაც უნდა თქვა, მაგრამ არ იცი, რა. დროის ნაპრალებში სიტყვები დაილუპნენ, და დახოცილები ვულკანური ტბის ფსკერზე გამრავლდნენ. ამჯერად მისი მანქანის ძრავას ხმაც გესმის. ეს მეორე განსხვავებაა. მანქანას ქოჩავს. მერე ძრავას რთავს. თითქოს რაღაცაზე ჩაფიქრდა, მერე ისევ ატრიალებს გასაღებს და ავტოსადგომს ტოვებს. ეს ცარიელი, ჩუმი ინტერვალი გასევდიანებს, საშინლად გასევდიანებს. როგორც ნისლი ზღვაზე, ეს სიცარიელე შენს გულში გზას მიიკვლევს და იქ დიდხანს, ძალიან დიდხანს რჩება, იქამდე, ვიდრე შენს ნაწილად არ იქცევა.

ის კი სველ ბალიშს ტოვებს, ცრემლებით დასველებულ ბალიშს. ამ სიტბოს ხელით ეხები და უყურებ ცას, რომელიც თანდათან ნათდება. შორს ყვავი ჩხავის. დედამიწა თანდათან იღვიძებს. მაგრამ ყოველი ამ რეალური დეტალის მიღმა სიზმრები დგას. ყველა, ყოველივე ამ სიზმრებში ცხოვრობს.

32

ნაკატამ რომ გამოიღვიძა, უკვე ექვსი დაწყებულიყო. ბალიშის გვერდით დიდი ქვა დაინახა. იქვე ლეიბზე ეძინა ჰომინოს, ნახევრად პირლიას, თმააწეწილს. ტიუნიტის დრაკონების კეპი თითქმის ჩამოვარდნოდა. «ქვეყანაცრომდაიქცესნუგამაღვიძებთ» გამომეტყველება ჰქონდა. ნაკატას ქვის დანახვა არ გაჰკვირვებია. მისი გონება სწრაფად შეეთვისა ახალ რეალობას – უსიტყვოდ მიიღო. კითხვაც არ გაჩენია, აქ საიდან გაჩნდაო. მიზეზშედეგობრივი კავშირების ძიება მისი ძლიერი მხარე არ იყო. საწოლის გვერდით ჩამოჯდა, ფეხები კოხტად ამოიკეცა და დიდხანს თვალი არ მოუშორებია ქვისთვის. ბოლოს ხელი გაიწვდინა და ისე შეეხო, როგორც დიდ მძინარე კატას. ჯერ ფრთხილად, მხოლოდ თითის წვერებით, შემდეგ ხელი მთელ ზედაპირს გადაუსვა. როცა ქვას ეხებოდა, რაღაცას ფიქრობდა, ან მხოლოდ გამომეტყველება ჰქონდა ჩაფიქრებული კაცის. თითქოს რუკას შეისწავლისო, ქვას ყოველ ადგილას შეეხო, გეგონება, ყოველ ღრმულსა და ნაპრალს იმახსოვრებდა. შემდეგ წამოდგა და თავი მოიქექა, თითქოს ქვასთან კავშირის დადგენას ცდილობსო.

ბოლოს ამოისუნთქა, წამოდგა, ფანჯარა გამოაღო და თავი გადაყო. მხოლოდ მოპირდაპირე შენობის უკანა კედელი მოჩანდა. საცოდავი, ღარიბული შენობა. ადგილი, სადაც საბრალო ადამიანების უღიმღამო დღეები ერთმანეთს მისდევდა მძიმე საქმის კეთებაში, ღვთისგან და კაცისგან დავიწყებული შენობა, რომელსაც ნებისმიერ ქალაქში იპოვით, აი, ისეთი, რომლის აღსაწერადაც ჩარლზ დიკენსს ათი გვერდი დასჭირდებოდა. ღრუბლები მტვრის ქულებით გამოტენილ მტვერსასრუტს ჰგავდა. ან იქნებ ცაზე მესამე ინდუსტრიული რევოლუციის მიერ წარმოქმნილი წინააღმდეგობები იყო დაგროვილი? წვიმას კი აპირებდა. ნაკატამ დაბლა ჩაიხედა და შენიშნა გამგაღტყავებული შავი კატა, რომელსაც კუდი აეპრიხა და ორ შენობას შორის დაბალ კედელზე პატრულირებდა.

– დღეს ჭექა-ქუხილი იქნება, – გადასმახა კატას. მაგრამ მას ნაკატასი არ ესმოდა – არ მოტრიალებულა, სვლა განაგრძო და შენობის ჩრდილში მიიკარგა.

ნაკატა ჰოლს დაუყვა და საერთო აბაზანისკენ გაემართა ხელში ტუალეტის ნივთებით სავსე პოლიეთილენის პარკით. პირი დაიბანა, კბილები გაიხეხა, პირი გაიპარსა. ყოველ მოქმედებას დრო სჭირდებოდა – პირი გულმოდგინედ, აუჩქარებლად დაიბანა, აუჩქარებლად გაიხეხა კბილები, გულმოდგინედ, აუჩქარებლად გაიპარსა პირი. მაკრატლით ცხვირის თმა შეიკრიჭა, წარბები მოიწესრიგა, ყურები გამოიწმინდა. ყოველთვის ყველაფერს აუჩქარებლად აკეთებდა, მაგრამ დღეს უჩვეულოდ ნელა მოძრაობდა. ასე ადრიაანად არავინ იბანდა პირს, საუბრე ჯერ არც მოემზადებინათ. ჰომინო ჯერ ადგომას არ აპირებდა. ნაკატას ხელს არავინ უშლიდა, სარკეში იყურებოდა და თავს იწესრიგებდა, თან კი იხსენებდა ყოველი კატის სახეს, რომელიც ორი დღის წინ ბიბლიოთეკაში წიგნში ნახა. ნაკატას ხომ კითხვა არ შეეძლო, ასე რომ, ვერც კატების სახელები ამოიკითხა, თუმცა მის გონებას მკაფიოდ შემორჩა ყოველი კატის სახე.

– ქვეყნად ნამდვილად უამრავი კატაა.

ყურებს იწმენდა, ამას რომ ამბობდა. ბიბლიოთეკაში პირველმა ვიზიტმა დაარწმუნა, რამდენად ცოტა რამ იცოდა. სამყაროს შესახებ უსასრულოდ ბევრი რამ არ გაეგო. „უსასრულოს“, დეფინიციის თანახმად, საზღვრები არ გააჩნია, ამაზე ფიქრმაც კი თავი აატკივა. ასეთ თემებზე ფიქრს თავი დაანება და ისევ კატების სამყაროს დაუბრუნდა. რა სასიამოვნო იქნებოდაო, ფიქრობდა, ყველა იმ კატასთან გასაუბრება რომ შემეძლოსო. ქვეყნად უამრავი ტიპის კატა უნდა იყოს, ყველა ალბათ განსხვავებულად აზროვნებს და ლაპარაკობს. უცხოელი კატები უცხო ენებზე ილაპარაკებენ? აი, ეს ადარდებდა. მაგრამ ესეც რთული საკითხი იყო, და თავი ისევ წამოსტკივდა.

პირის დაბანის შემდეგ ტუალეტისკენ გასწია და ჩვეული საქმე მოითავა. ამისთვის დიდი დრო არ დაუთმია. ნომერში ტუალეტის ნივთებით სავსე პოლიეთილენის პარკით დაბრუნდა, ჰომინოს ზუსტად იმავე პოზაში ეძინა. ნაკატამ მიყრილ-მოყრილი ჰავაიური პერანგი და ჯინსი აიღო, კოხტად დაკეცა და ჰომინოს ლეიბის გვერდით ერთმანეთზე დააწყო, თავზე კი ტიუნტიტის დრაკონების კეპი ისე დაადო, თითქოს იდეების კორიანტელს სათაური მოუმებნაო. ხალათი გაიხადა, შარვალი და მაისური ჩაიცვა, გაიზმორა და ღრმად ამოისუნთქა.

ისევ ქვის წინ ჩამოჯდა, ერთხანს უყურა, მერე შეეხო.

– დღეს ჭექა-ქუხილი იქნება, – ამჟამად ამ სიტყვებით არავისთვის მიუმართავს. ან იქნებ ქვას ეუბნებოდა? და საკუთარ თავს რამდენჯერმე დაუქნია თავი.

ნაკატა ფანჯარასთან ვარჯიშობდა, როცა ჰომინოს გამოეღვიძა. რადიო ისეთ ხმაზე ჩაერთო, სავარჯიშო მუსიკა მხოლოდ მას ესმოდა და რიტმში მოძრაობდა.

ჰომინომ საათს დახედა, ცხრა დაწყებულიყო. კისერი მოატრიალა, რომ დარწმუნებულიყო, მართლა იქ იყო ქვა თუ არა. სინათლეში ქვა გაცილებით დიდი და უხეში ჩანდა.

– ვაჰ, სიზმარი სულაც არ ყოფილა! – წამოიძახა ჰომინომ.

– მაპატიეთ, რა თქვით? – შეეკითხა ნაკატა.

– ქვა, ქვა აქაა, არ დამსიზმრებია.

– ჩვენ ქვა გვაქვს, – უბრალოდ წარმოთქვა ნაკატამ, ისე როგორც მეცხრამეტე საუკუნის გერმანული ფილოსოფიის მნიშვნელოვანი პოსტულატი. ისევ ვარჯიშობდა.

– გრძელი ამბავია, ბაბუ, როგორ აღმოჩნდა ქვა აქ.

– დიახ. ნაკატამ ასეც იფიქრა.

– ამას მნიშვნელობა არა აქვს. – თქვა საწოლში მჯდომმა და ღრმად ამოისუნთქა, – მთავარია, აქ არის.

– ქვა გვაქვს, – გაიმეორა ნაკატამ, – აი, ეს არის მნიშვნელოვანი.

ჰოშინოს უნდოდა, რაღაც ეთქვა, მაგრამ უეცრად შიმშილმა შეაწუხა.

– ე, ხომ არ გვესაუზმა?

– ნაკატას მოშივდა.

საუზმის შემდეგ, ჰოშინო ჩაის რომ სვამდა, ნაკატას ჰკითხა, ქვას რა უნდა უყოს.

– ნაკატამ რა უნდა უყოს ქვას?

– მაცალე, – თავი გააქნია ჰოშინომ, – მითხარი, ქვა უნდა ვიპოვო, ამიტომაც გასულ ღამით ვიპოვე. შენ კიდევ იმეორებ, რა ვქნაო.

– დიახ, მართალი ხართ, მაგრამ არ ვიცი, რაში უნდა გამოვიყენო ეს ქვა.

– აი, ეგ პრობლემაა.

– დიახ, ეგ პრობლემაა, – გაიმეორა ნაკატამ, მის გამომეტყველებაში კი ეს სიტყვები არ ჩანდა.

– თუ ამაზე დაფიქრდები, იქნებ რამე გაარკვიო?

– შეიძლება. ნაკატას სხვებზე მეტი დრო სჭირდება.

– კარგი, მაგრამ, ბატონო ნაკატა, მომისმინე.

– გისმენთ, ბატონო ჰოშინო.

– არ ვიცი, ასე ვინ დაარქვა, მაგრამ, რადგან «შესასვლელ ქვას» უწოდებენ, ოდესღაც რაღაცის შესასვლელი უნდა ყოფილიყო. როგორ გგონია? რაღაც მითი ან ახსნა უნდა მოემეზნებოდეს ამ სახელს.

– დიახ, ასე იქნება.

– მაგრამ წარმოდგენა არ გაქვს, რა ტიპის შესასვლელზეა ლაპარაკი, არა?

– არა, ჯერ არა. ადრე კატებს ვესაუბრებოდი, მაგრამ ქვასთან არასდროს მისაუბრია.

– არა მგონია, მარტივი იყოს.

– დიახ, საკმაოდ განსხვავდება კატებთან საუბრისგან.

– მაგრამ მაინც, არ ფიქრობ, რომ ტაძრიდან ამ ქვის მოპარვის გამო დავიწყებულა ან რამე? ეგ მაგრად მაწუხებს. წამოღება ერთია, მაგრამ ახლა ამ ქვის გამოყენების გამო შეიძლება სახე აგვეხეს. პოლკოვნიკმა სანდერსმა მითხრა, არ დაიწყებულა, მაგრამ მაგ ტიპს არ ვენდობი, ხვდები?

– პოლკოვნიკი სანდერსიო?

– მოხუცი კაცია, ასე ჰქვია. ტიპი Kentucky Fried Chicken-ის რეკლამიდან. თეთრი კოსტიუმით, წვერით და სულელური სათვალით. ვერ ხვდები, ვის ვგულისხმობ?

– ვწუხვარ, მაგრამ არა მგონია, იმ ადამიანს ვიცნობდე.

– არ იცი Kentucky Fried Chicken? რა უცნაურია! კარგი, რა მნიშვნელობა აქვს. ეგ მოხუცი მაინც აბსტაქტული კონცეფციაა. არც ადამიანია, არც ღმერთი, არ ბუდა. ფორმაც კი არ აქვს, მაგრამ გარეგნობა სჭირდება, ამიტომ პოლკოვნიკი ამოირჩია.

ნაკატა თავგზაარეული ჩანდა და თეთრი თმა აიჩეჩა.

– არაფერი მესმის.

– სიმართლე გითხრა, დიდად არც მე მესმის, თუმცა კარგად კი ჩამოვარაკრავე. მოკლედ, უცნაურად საიდანდაც გაჩნდა უცნაური მოხუცი და ეს ამბები დაატრიალა. მოკლედ რომ ვთქვათ, მოხუცი დამეხმარა ქვის პოვნაში და აქ მოვიტანე. თავს არ ვიწონებ, ან რაღაც ეგეთი, მაგრამ გრძელი, მძიმე ღამე კი იყო. ეს დანამდვილებით შემძღვია გითხრა. ახლა მარტო ისლა მინდა, ყველაფერი შენ მოგანდო და შენ გაუძღვე საქმეს.

– ასეც მოვიქცევი.

– ვაჰ, რა სწრაფად დამთანხმდი.

– ბატონო ჰომინო.

– ჰო.

– მალე საშინელი ჭექა-ქუხილი დაიწყება. ჯერ მას დაველოდოთ.

– ამ ჭექა-ქუხილს რამე კავშირი აქვს ქვასთან?

– არ ვიცი ზუსტად, მაგრამ ეგ განცდა მეუფლება.

– ჭექა-ქუხილიო? მაგარია. კარგი, აქ დაველოდოთ და ვნახოთ, რა მოხდება.

როდესაც ნომერში დაბრუნდნენ, ჰომინო საწოლზე პირქვე დაემხო და ტელევიზორი ჩართო. არაფერი გადიოდა, გარდა დიასახლისებისთვის განკუთვნილი შოუებისა, მაგრამ დრო სხვანაირად როგორ გაეყვანა? ყურებას განაგრძობდა და ყველაფერს აკრიტიკებდა, რასაც აჩვენებდნენ.

ნაკატა ამ დროს ქვის პირისპირ იჯდა, უყურებდა, ეხებოდა, დროდადრო ბურღუნებდა. ჰოშინოს მისი სიტყვებიდან არაფერი ესმოდა. მხოლოდ იმას ეჭვობდა, მოხუცი ქვას ელაპარაკებო.

რამდენიმე საათის შემდეგ ჰოშინომ ახლომდებარე სასურსათო მაღაზიაში გადაირბინა და უკან რძითა და ტკბილი ფუნთუშებით სავსე პარკით დაბრუნდა. წაიხემსეს. ვიდრე ჰამდნენ, სასტუმროს დამლაგებელი გამოჩნდა ოთახის მოსაწესრიგებლად, მაგრამ ჰოშინომ უკან გაისტუმრა, არაფერი გვჭირდება.

– არსად გადიხართ? – იკითხა მან.

– არა, – უპასუხა ჰოშინომ, – აქ რაღაც საქმე გვაქვს.

– იმიტომ, რომ ჭექა-ქუხილი იქნება. – დაამატა ნაკატამ.

– ჭექა-ქუხილი... – დაეჭვებით გაიმეორა, ვიდრე გავიძოდა, მგონი, აღარ სურდა, რამე საერთო ჰქონოდა ამ ახირებულ წყვილთან.

შუადღისას შორიდან ჭექა-ქუხილის ყრუ ხმა მოისმა, და თითქოს ცა ამ სიგნალს ელოდაო, მიწას წვიმის პირველი წვეთებიც დაეცა. გრუხუნებდა, მაგრამ დიდად შთამბეჭდავად არა, თითქოს უქნარა ქონდრისკაცი დოღზე ფეხებს აბაკუნებსო. მერე თანდათან წვიმამ იმძლავრა და მალე ამ თავსხმა წვიმამ სამყარო სველ, დახუთულ სურნელში გახვია.

ისინი ქვასთან ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ, როგორც ინდიელები მშვიდობის ყალიონის მოწვევის დროს. ნაკატა ისევ ბურტყუნებდა, ან ქვას ეხებოდა, ან თავს იქექავდა. ჰოშინო მალბოროს აბოლებდა და უყურებდა.

– ბატონო ჰოშინო.

– რაო?

– ცოტა ხანს ჩემთან დარჩებით?

– რა თქმა უნდა, ასეთ წვიმაში არსად წასვლას არ ვაპირებ.

– შეიძლება რაღაც არაჩვეულებრივი მოხდეს.

– ლადაობ? რაც მოხდა, ყველაფერი არაორდინარული იყო.

– ბატონო ჰოშინო.

– ჰო.

– უეცრად ეს კითხვა გამიჩნდა – რას წარმოვადგენ? ნაკატა რას წარმოადგენს?

ჰოშინო ამაზე დაფიქრდა.

– ეს რა კითხვები მოგდის თავში! ისიც კი არ ვიცი, თვითონ მე რას წარმოვადგენ, ეგეთი რაღაც მე არ უნდა მკითხო. რაც ვიცი, ნორმალური, პატოოსანი ტიპი ხარ. ცოტა დარეხვილიც, მაგრამ

გენდობი. ამიტომაც წამოგყევი აქ. არც მე ვარ ძალიან ჭკვიანი, მაგრამ ადამიანების შეფასება შემძლია.

– ბატონო ჰომინო...

– ჰო.

– საქმე მხოლოდ იმაში არ არის, სულელი რომ ვარ. ნაკატა ცარიელია. საბოლოოდ ვირწმუნე ეს. ნაკატა იმ ბიბლიოთეკას ჰგავს, რომელშიც ერთი წიგნიც არ არის. ყოველთვის ასე არ იყო. ამ ბიბლიოთეკაშიც იყო წიგნები. დიდხანს აღარ მახსოვდა ეს, ახლა გავიხსენე. ნორმალური ვიყავი, სხვებს ვგავდი. მაგრამ რაღაც მოხდა და ცარიელ ჭურჭელს დავემსგავსე.

– ჰო, მაგრამ, თუ დაუფიქრდები, ყველა ცარიელი ვართ, ეგრე არ ფიქრობ? ჭამ, კუჭში გადიხარ, სამსახური ნაგავია, ანაზღაურება – მათხოვრული. ზოგჯერ ქალს გაჩითავ, თუ გაგიმართლებს. რაღა რჩება? მაინც რაღაც საინტერესოც ხდება ცხოვრებაში – აი, როგორც ახლა. ბაბუაჩები ამბობდა, ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც გგონია, ამიტომაც არის საინტერესო ცხოვრებაო. ტიუნტის დრაკონები რომ ყოველ მატჩზე იმარჯვებდნენ, ვინღა უყურებდა ბეისბოლს?

– ბაბუა ძალიან მოგწონდათ, არა?

– კი, ძალიან. ის რომ არა, ჩემგან რა დადგებოდა, ვინ იცის. ადამიანად მაქცია. იმან მაგრძნობინა, რომ, როგორ გითხრა... რომ რაღაცის ნაწილი ვარ. ამიტომაც შევეშვი მოტოციკლის ჭენებას და თავდაცვის აკადემიის ჯარისკაცი გავხდი. ასე დავუმპერი პრობლემებს.

– ნაკატას კი არავინ ჰყავს, ბატონო ჰომინო. არაფერი აქვს. მე არაფრის ნაწილი ვარ. ვერ ვკითხულობ. ჩემი ჩრდილი კი ნახევარია იმისა, რაც უნდა იყოს.

– ყველას რაღაც ნაკლი აქვს.

– ბატონო ჰომინო.

– ჰო...

– ნორმალური რომ ვყოფილიყავი, სხვაგვარად ვიცხოვრებდი. ჩემი ძმებივით კოლეჯში ვისწავლიდი, კომპანიაში ვიმუშავებდი, ცოლს შევირთავდი, ოჯახი მეყოლებოდა, დიდ მანქანას ვატარებდი, დასვენების დღეებში გოლფს ვითამაშებდი. მაგრამ ნორმალური არ ვიყავი და ამიტომ ასეთ ნაკატად დავრჩი. ძალიან გვიანაა ყველაფრის თავიდან დაწყება. ეს კარგად მესმის. მაგრამ მაინც, თუნდაც მცირეოდენი ხნით, მინდა, ნორმალური ნაკატა გავხდე. აქამდე არაფერი მნდომია. რასაც სხვები მეუბნებოდნენ, მარტო იმას ვაკეთებდი. ისე კარგად და გულმოდგინედ ვაკეთებდი, როგორც შემეძლო. იქნებ ეს ჩვევად მექცა. მაგრამ ახლა ისევ მინდა, ნორმალური გავხდე. მინდა ვიყო ნაკატა საკუთარი აზრებითა და დანიშნულებით.

ჰომინომ ამოიოხრა.

– თუ ეგ გინდა, ძალ-ღონეს ნუ დაიშურებ. მაგრამ წარმოდგენა არა მაქვს, როგორი იქნება ნორმალური ნაკატა.

– არც ნაკატამ იცის.

– იმედი მაქვს, ეგ გეგმა გაამართლებს. ვილოცებ, რომ ისევ ნორმალური გახდე.

– ვიდრე ნორმალური გავხდები, რამდენიმე საქმეს უნდა მივხედო.

– მაგალითად, რას?

– მაგალითად, ჯონი უოკერს.

– ჯონი უოკერს? ჰოო. ადრეც ახსენე. იმ ვისკის ტიპს გულისხმობ?

– დიახ. პოლიციაში მაშინვე მივედი და მოვახსენე მის შესახებ. ვიცოდი, გუბერნატორისთვის უნდა მომეხსენებინა, მაგრამ ყური არ მათხოვეს. ამიტომ გამოსავალი თვითონ უნდა მოვძებნო. ეს პრობლემა იქამდე უნდა მოვაგვარო, ვიდრე ნორმალურ ნაკატად ვიქცევი.

– მგონი, ქვა უნდა დაგეხმაროს.

– მართალია. ჩრდილის მეორე ნაწილი უნდა დავიბრუნო.

ამ დროისთვის უკვე გამაყრუებლად გრუხუნებდა. ცაზე ელვა იკლავებოდა, წამის შემდეგ კი ქუხილი ისმოდა. ჰაერი ცახცახებდა, ფანჯრის შუშები ნერვიულად ზანზარებდა. მთელი ცა შავ ღრუბლებს დაეფარა და ოთახში ისე ჩამოხნულდა, ერთმანეთის სახეებს ძლივს დახედავდნენ. თუმცა შუქი არ აუნთიათ. ისევ უძრავად ისხდნენ ქვასთან. წვიმა ისე ეცემოდა სარკმელს, სუნთქვა ეკვროდათ. ელვა წამით ანათებდა ოთახს. ერთხანს კრინტიც არ დაუძრავთ.

– კარგი, მაგრამ რატომ უნდა დაიჭირო საქმე ამ ქვასთან, ბატონო ნაკატა? მაინცდამაინც შენ რატომ უნდა იყო ეგ ტიპი?

– რადგან მე ვარ ის, ვინც შევიდა და უკან დაბრუნდა.

– ისევ არაფერი მესმის.

– ეს სამყარო ერთხელ დავტოვე და უკან მოვბრუნდი. ეს იაპონიის დიდი ომის დროს მოხდა. სარქველი გაიღო და აქაურობა დავტოვე. შემთხვევით მოვბრუნდი უკან. ამიტომ არა ვარ ნორმალური, ჩრდილიც ამიტომ გამინახვერდა. თუმცა კატებთან ლაპარაკი შემეძლო. ახლა აღარც ეს შემიძლია. ასევე, ციდან უცნაურ საგნებსაც ვყრი.

– იმ წურბელების მსგავსად?

– დიახ.

– იშვიათი ნიჭია.

– მართალია, ეს ყველას არ შეუძლია.

– და მხოლოდ იმიტომ, რომ შეხვედი და გამოხვედი?

– როცა გამოვედი, ნორმალური აღარ ვიყავი. ვეღარ ვკითხულობდი. და ქალს არასოდეს შევხებივარ.

– ამის დაჯერება მიჭირს.

– ბატონო ჰოშინო.

– ჰო.

– მეშინია. როგორც გითხარით, სრულიად ცარიელი ვარ. იცით, რას ნიშნავს, სრულიად ცარიელი რომ ხარ?

ჰოშინომ თავი გააქნია.

– არა მგონია.

– როცა ცარიელი ხარ, მიტოვებულ სახლს ჰგავხარ, მიტოვებულ სახლს, რომლის კარიც არ ჩაუკეტავთ. ნებისმიერ ვინმეს შეუძლია შემოვიდეს, როცა მოესურვება. ყველაზე მეტად ეს მაშინებს. შემოდლა, საგნების წვიმა მოვიყვანო, მაგრამ ამასაც ვერ ვაკონტროლებ. ათიათასობით დანის, უზარმაზარი ბომბების, მომწამვლელი გაზის წვიმა რომ წამოვიდეს? მოვუბოდიშებდი ყველას, მაგრამ ეს საკმარისი არ იქნებოდა.

– მართალი ხარ. მხოლოდ ბოდიშით ვერაფერს გახდება. წურბელები ცუდია, მაგრამ ეგ საგნები გაცილებით ცუდი იქნებოდა.

– ჯონი უოკერი დაეპატრონა ნაკატას ცარიელ ჭურჭელს და მაიძულა, ისეთი რამ გამეკეთებინა, რაც არ მინდოდა. ჯონი უოკერმა გამომიყენა, მაგრამ ძალა არ მეყო წინააღმდეგობის გასაწევად. რადგან შიგნით არაფერი მაქვს.

– ამიტომ გინდა, ნორმალურ ნაკატად იქცე. ადამიანად, რომელსაც რაობა აქვს, არა?

– დიახ, სწორედ ასეა. ჭკვიანი არა ვარ, მაგრამ ავეჯის დამზადება შემემძლო. ცხოვრებაში სხვა არაფერი მიკეთებია. მომწონდა ნივთების – საწერი მაგიდების, სკამების, კარადების დამზადება. სასიამოვნოა ნივთებისთვის დახვეწილი ფორმების მიცემა. იმ წლებში, როდესაც ავეჯს ვამზადებდი, არ მიფიქრია, რომ მინდოდა, ნორმალური გავმხდარიყავი. და ჩემში შემოსვლაც არავის უცდია. ნაკატას არაფრის შეშინებია. მაგრამ ჯონი უოკერთან შეხვედრის შემდეგ ძალიან შევშინდი.

– რის გაკეთება გაიძულა ჯონი უოკერმა?

ცას ხმამაღალმა გრუხუნმა გადაურბინა, ხმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მეხი ახლო ჩამოვარდა. ჰოშინოს ყურები დაუგუბდა.

ნაკატამ ერთ მხარეს ოდნავ დახარა თავი, უხმოდ უსმენდა ჭეჭა-ჭუხილს, თან ქვას ნელა ეხებოდა.

– სისხლის დაღვრა მაიძულა.

– სისხლის?

– ჰო, მაგრამ ნაკატას ხელებზე არ შერჩა ეს სისხლი.

ჰოშინო ღრმად ჩაფიქრდა.

– როდესაც შესასვლელ ქვას გახსნი, ყველაფერი ბუნებრივად დაუბრუნდება თავ-თავის ადგილებს, არა? წყალი მაღლიდან დაბლა წამოვა, არა?

ნაკატამ ეს სიტყვები აწონ-დაწონა.

– არა მგონია, ასე ადვილი იყოს. ნაკატას საქმე შესასვლელი ქვის პოვნა და მისი გაღებაა. შემდეგ რა მოხდება, არ ვიცი.

– კარგი, მაგრამ სიკოკუზე რატომ არის ქვა?

– ქვა ყველგანაა. არა მხოლოდ სიკოკუზე. და ყოველთვის ქვაც არ არის.

– ვერაფერი გავიგე! თუ ყველგანაა, შეგეძლო ეს ნაკანოშიც გაგეკეთებინა. უამრავ დროსა და ენერგიას დაზოგავდი.

ნაკატამ ხელისგული მოკლედ შეკრეჭილ თმაზე გადაისვა.

– ძალიან რთული რამ მკითხეთ. მთელი ეს დრო ქვას ვუსმენდი, მაგრამ ასე კარგადაც არ მესმის მისი. ვფიქრობ, ორივენი აქ უნდა მოვსულიყავით. ის დიდი ხიდი უნდა გადმოგვეკვეთა. ეს ნაკანოში ვერ მოხდებოდა.

– შეიძლება, კიდევ გკითხო რაღაც?

– დიახ.

– თუ აქ გააღებ შესასვლელ ქვას, რამე არაჩვეულებრივი მოხდება? როგორც, რა ჯანდაბა ჰქვია... ჯინივით ამოხტება? თუ პრინცი, რომელიც ბაყაყად იქცა, ჩამზასავს? თუ მარსელები ცოცხლად შეგვჭამენ?

– რაღაც უნდა მოხდეს. შეიძლება არც მოხდეს. აქამდე არ გამიხსნია. როცა გავხსნი, გავიგებ.

– სახიფათო უნდა იყოს, არა?

– დიახ.

– ღმერთო! – ჰოშინომ მალბორო ამოიღო ჯიბიდან და მოუკიდა, – ბაბუაჩემი მეუბნებოდა, ცუდი თვისება გაქვს, უცნობებს დაუფიქრებლად აჰყვები ხოლმეო. მგონი, ყოველთვის ასეთი ვიყავი. კუზიანს სამარე გაასწორებსო, ამბობენ. თუმცა რა შემიძლია. აქამდე მოვსულვარ, ამდენი დაბრკოლება გადმომილახავს ამ ქვის ადგილსამყოფლის დადგენაში. ახლა სახლში ვერ დავბრუნდები. ვიცით, შეიძლება საშიში იყოს, მაგრამ ჯანდაბას! რატომ არ ვხსნით? ვნახოთ, რა მოხდება. ბოლოს და ბოლოს, შვილიშვილებს მოვუყვებით.

– ნაკატას უნდა, რაღაც გთხოვოთ, ბატონო ჰოშინო.

– რა?

– ქვას ვერ ასწევთ?

– რა პრობლემაა.

– გაცილებით მძიმეა, ვიდრე მაშინ იყო, როცა მოიტანეთ.

– ვიცი, შვარცნეგერი არა ვარ, მაგრამ იმაზე უფრო ძლიერი ვარ, ვიდრე გამოვიყურები. თავდაცვის აკადემიაში ქვეგანაყოფის მკლავჭიდის ჩემპიონატში მეორე ადგილი დავიკავე. ზურგის ტკივილებიც მომიხსენი. შემიძლია, მთელი ძალით მოვეჭიდო.

ჰოშინო წამოდგა, ორივე ხელით მოეჭიდა ქვას და აღება სცადა. მაგრამ ძვრაც ვერ უყო.

– მართალი ხარ, დამძიმებულა, – წარმოთქვა ქშენით, – ცოტა ხნის წინ უპრობლემოდ ავწიე. ახლა კი თითქოს იატაკისთვის მიულურსმავთო.

– ეს შესასვლელი ქვაა, ადვილად ვერ დაიმვრება ადგილიდან.

– მეც ასე მგონია.

სწორედ ამ დროს ცა რამდენჯერმე უცნაურად განათდა, რამდენიმე მეხმა მიწა გააპო. თითქოს ჯოჯობეთი გაიხსნაო, გაიფიქრა ჰოშინომ. უკანასკნელი მეხი ჩამოვარდა იქვე ახლოს და უეცრად სქელი, სულის მხუთავი სიჩუმე ჩამოდგა. ჰაერი ნესტიანი და უძრავი იყო, რაღაც საეჭვო იგრძნობოდა, თითქოს უთვალავი ყური ტივტივებდა ჰაერში და შეთქმულების კვალს დაემებდა. ორივე უძრავად იდგა, შუადღის უკუნ სიბნელეში გახვეული. უეცრად ქარი ისევ ამოვარდა, სარკმელს წვიმის წვეთები მიახალა. დაიგრუხუნა, მაგრამ ისე მძლავრად აღარ, როგორც ადრე. შტორმი ქალაქს გასცდა.

ჰოშინომ მიმოიხედა, ოთახს თვალი მოავლო. ყველაფერი უცნაურად ცივი და შორეული ჩანდა, ოთხი კედელი კი უფრო ცარიელი ეჩვენა, ვიდრე ადრე. მალბოროს ღერი საფერფლეზე ჩამოდო. ნერწყვი გადაყლაპა და ყურებში ჩაგუბებული ჰაერის გამოდევნა სცადა.

– ბატონო ნაკატა!

– დიახ, ბატონო ჰოშინო.

– თითქოს კოშმარს ვხედავ.

– კარგია, ერთსა და იმავე სიზმარს თუ ვხედავთ.

– მართალი ხარ. – თქვა ჰოშინომ და ყური მოიფხანა.

– მართალი ხარ, ხომ გახსოვს: «წვიმა, წვიმა შეწყდი, წადი, სხვა დროს მოდი»... – კიდევ ერთხელ წამოდგა და ქვის დაძვრა სცადა. ღრმად ამოისუნთქა, ხელი დაავლო და მთელი ძალა ხელებში გადაიტანა. ხვნემით ერთი-ორი დუიმის სიმაღლეზე ასწია.

– ოდნავ ასწიეთ. – უთხრა ნაკატამ.

– უკვე ვიცით, მილურსმული რომ არ არის. მაგრამ უფრო მაღლა უნდა ავწიო, როგორც ვხვდები.

– მთლიანად უნდა გადმოაბრუნო.

– ბლინივით?

ნაკატამ თავი დაუქნია.

– მართალია. ბლინები ნაკატას ერთ-ერთი საყვარელი კერძია.

– მიხარია. ნეტა ჯოჯოხეთში იცის ბლინები? კიდევ ერთხელ ვცდი. მგონი, შევძლებ მის გადატრიალებას.

ჰომინომ თვალები დახუჭა და ძალა მოიკრიბა. კონცენტრირება ამ ერთ მოქმედებაზე მოახდინა. ეგარი რა! – შეუძახა საკუთარ თავს, ან ახლა, ან არასოდეს! ორივე ხელით კარგად მოეჭიდა, მერე ღრმად ამოისუნთქა, მთელი ძალით დაიყვირა და ერთბაშად ასწია, ჰაერში 45-გრადუსიანი კუთხით დაიჭირა. ეს იყო მისი შესაძლებლობების ზღვარი. როგორღაც შეძლო ამ მდგომარეობაში გაჩერება. სუნთქვა გაუჭირდა, მთელი სხეული ასტკივდა. მისი ძვლები, კუნთები და ნერვები კიოდნენ ტკივილისგან, მაგრამ დანებებას არ აპირებდა. უკანასკნელად ღრმად ამოისუნთქა და საშინლად იყვირა, მაგრამ საკუთარი ხმა ვერც გაიგო. წარმოდგენა არ ჰქონდა, რას ყვიროდა. თვალები მაგრად დახუჭა. იმხელა ძალა აღმოაჩნდა, აქამდე რომ ვერ წარმოიდგენდა. ჰაერის უკმარისობამ ყველაფერი გადაათეთრა. ნერვები დნებოდნენ. არაფერი ესმოდა, ვერაფერს ხედავდა. ჰაერი არ ჰყოფნიდა. მაღლა ასწია აქვა, უკანასკნელად დაიყვირა და გადააბრუნა. ჰომინომ მეტი ველარ შეძლო, ქვა საკუთარმა ძალამ გადაწონა. ისე საშინლად დაიგრუხუნა, რომ მთელი შენობა შეზანზარდა.

ჰომინომ წონასწორობა ვერ შეინარჩუნა და ზურგზე დაეცა. იქ იწვა, ჭილოფზე პირადმა გაშლართული, მძიმედ სუნთქავდა, თავი ნაზი ტალახით ჰქონდა სავსე, რომელიც ტრიალებდა და ტრიალებდა. ფიქრობდა, არა მგონია, კიდევ ერთხელ მომიხდეს ასეთი სიმძიმის აწევაო (მოგვიანებით გაირკვა, რომ ეს ვარაუდი ძალიან ოპტიმისტური იყო).

– ბატონო ჰომინო?

– დიახ?

– შესასვლელი თქვენი წყალობით დიაა.

– იცი რა, ბაბუ? ბატონო ნაკატა-მეთქი, მინდოდა მეთქვა.

– გისმენ.

თავაწეულმა, თვალდახუჭულმა ჰომინომ კიდევ ერთხელ ღრმად ამოისუნთქა.

– კიდევ კარგი, რომ გაიღო. თავი ტყუილად არ მომიკლავს.

როცა ოშიმა მოვიდა, ყველაფერი მოწესრიგებული მქონდა. იატაკი მტვერსასრუტით დავასუფთავე, გავწმინდე ფანჯრები და კიბის მოაჯირები, გავხეხე ტუალეტი, დავწმინდე სკამები და მაგიდები. ვიტრინებიდან მტვერი გადავწმინდე. ეზო დავგავე, სამკითხველო დარბაზში კონდიციონერი ჩავრთე, საცავში – გამწოვი. ყავა მოვამზადე, ფანქრები გავთალე.

უკაცურია ბიბლიოთეკა დილით, თუმცა მასში რაღაც არის, რაც მხიბლავს. ყოველ სიტყვასა და იდეას თავი იქ მოუყრია. მინდა, ყველაფერი ვიღონო მის დასაცავად, მოვუარო, მოვაწესრიგო. ზოგჯერ ვჩერდები და შევყურებ საცავში დაბინავებულ მდუმარე წიგნებს, რამდენიმე მათგანს ყუაზე ვეხები. თერთმეტის ნახევარზე, როგორც ყოველთვის, ავტოსადგომზე ხმაურიანი «მაზდა მიატა» ჩერდება და ოშიმა მოდის, კარგად ვერ გამოუძინია. ცოტა ხანს ვლაპარაკობთ, ვიდრე ბიბლიოთეკის გაღების დრო დგება.

– თუ წინააღმდეგი არ იქნები, ცოტა ხნით გავალ. – ვეუბნები ბიბლიოთეკის გაღების შემდეგ.

– სად?

– სპორტდარბაზში უნდა მივიდე და ვივარჯიშო. კარგა ხანია, აღარ მივარჯიშია.

მარტო ეს არ არის მიზეზი. საეკი გვიან მოდის სამსახურში და არ მინდა, გადავაწყდე. დრო მჭირდება დასაფიქრებლად, ვიდრე ერთმანეთს კვლავ შევხვდებით.

ოშიმა მიყურებს და პაუზის შემდეგ თავს მიქნევს.

– ყურადღებით იყავი. სიფრთხილეს თავი არ სტკივა. განსაკუთრებით ახლა.

– ნუ ღელავ, ფრთხილად ვიქნები. – მგონი, დავარწმუნე.

ცალ მხარზე მოკიდებული ზურგჩანთით მატარებელში ავდივარ. ტაკამაცუს სადგურიდან ფიტნესკლუბამდე ავტობუსით მივდივარ. გასახდელში სპორტულ ტანსაცმელს ვიცვამ და გამამხნეველ ვარჯიშებს ვაკეთებ, უოკმენს ვრთავ, პრინცის ხმა ქარიშხალივით იჭრება ჩემს არსებაში. კარგა ხანია, აღარ მივარჯიშია, ამიტომ კუნთების დამორჩილება მიჭირს. ეს სხეულის ნორმალური რეაქციაა, კუნთები გაჰკვივიან, უარს ამბობენ ზედმეტ დატვირთვაზე. Little Red Corvette-ს ვუსმენ, ვცდილობ, კუნთები დავაშოშმინო, მივაცუჩო. ღრმად ჩავისუნთე, სუნთქვა შევიკავე, ამოვისუნთქე. ჩავისუნთქე, სუნთქვა შევიკავე, ამოვისუნთქე. ისევ და ისევ. თანდათან კუნთები ფორმაში მოვიყვანე. ოფლში გავიწურე. მაისური სველია და მძიმე. რამდენჯერმე მაცივართან მივედი და ორიოდ ყლუპი წყალი მოვსვი. ჩვეულებისამებრ ვიცვლი ტრენაჟორებს, გონებაში საეკის გარდა არაფერი მიტრიალებს. ერთად გატარებულ ღამეზე ვფიქრობ. ვცდილობ, ფიქრი შევწყვიტო, გონება გავიწმინდო, მაგრამ მიჭირს.

ყურადღება კუნთებზე გადამაქვს, მთელი არსებით ვვარჯიშობ. იგივე ტრენჟორები, იგივე სიმძიმეები, ერთი და იგივე რაოდენობა შესრულებული ვარჯიშებისა. პრინცი ახლა Sexy Motherfucker-ს ასრულებს. ასოს თავი ისევ მტკივა, გაწითლებულია, მოშარდვა გამიჭირდა. კანმა გაუხეშება ვერ მოასწრო, ჯერ ისევ ახალგაზრდა და ნაზია. თავი სექსუალური ფანტაზიებით მაქვს გაჭედილი, პრინცის ხმაც აღმაგზნებს და ციტატებიც სხვადასხვა წიგნიდან. საცაა, თავი გამისკდება!

შხაპი მივიღე, ახალი საცვალი ჩავიცვი, ავტობუსით დავბრუნდი სადგურში. მშია. სასადილოში შევდივარ და ვსადილობ. უცებ მახსენდება, ეს ის ადგილია, სადაც ტაკამაცუში ჩამოსვლის პირველ დღეს ვსადილე. ნეტა რამდენი დღეა, რაც აქა ვარ? კვირაზე მეტია, რაც ბიბლიოთეკას შევაფარე თავი, სიკოკუზე დაახლოებით 3 კვირის წინ ჩამოვსულვარ. სადილის შემდეგ ჩაის ვსვამ და ვაკვირდები აქეთ-იქით მიმავალ ადამიანებს. ყველა სადღაც მიიჩქარის. რომ მიხდოდეს, მათ შევუერთდებოდი. მატარებლით რომელიმე სხვა ადგილას წავიდოდი. აქ ყველაფერს დავტოვებდი, იქითკენ გავემშურებოდი, სადაც არასოდეს ვყოფილვარ, ახალ სტარტს ავიღებდი. ახალი ფურცლიდან დავიწყებდი ცხოვრებას. ჰიროშიმაზე, ფუკუოკაზე – სადაც მომესურვებოდა, იქ წავიდოდი. აქ არაფერი მაკავებს. თავისუფალი ვარ. რაც შეიძლება დამჭირდეს, ყველაფერი ზურგჩანთაში მაქვს: ტანსაცმელი, ტუალეტის ნივთები, საძილე ტომარა. მამაჩემის კაბინეტიდან წამოღებული ფული თითქმის არ დამიხარჯავს.

მაგრამ ვიცი, ვერსად წავალ.

– ვერსად წახვალ, კარგად იცი. – მეუბნება ბიჭი, სახელად ყვავი.

საეკისთან იწეკი, რამდენჯერმე გაათავე. თვითონ მიგიშვა. ახლაც გახსოვს მისი სხეული. ამ ქალის სხეული ერთ-ერთი ადგილია, რომელიც მხოლოდ შენთვისაა განკუთვნილი. ბიბლიოთეკაზე ფიქრობ. მშვიდი, მდუმარე წიგნები ჩამწკრივებულა საცავში. ოშიმაზე ფიქრობ. შენი ოთახი. კედელზე ჩამოკიდებული «კაფკა პლაჟზე», 15 წლის გოგონა, რომელიც ნახატს შეჰყურებს. თავი გააქნიე. არა, ვერ შეძლებ აქედან წასვლას. არა ხარ თავისუფალი. კი მაგრამ, რა გსურს? თავისუფლება?

სადგურში გვერდს ვუვლი პატრულის თანამშრომლებს, რომლებსაც ჩვეულებრივი შემოვლა აქვთ. არც ერთი არ მაქცევს ყურადღებას. ყველგან ჩემი ასაკის მზემოკიდებული, მხარზე ზურგჩანთამოგდებული ბიჭები არიან, მათ შორის არ გამოვიჩინებ, ზედმეტი სიფრთხილე საჭირო არ არის. საკმარისია, ბუნებრივად დავიჭირო თავი და ყურადღებას არავინ მომაქცევს.

ორვაგონიან მატარებელს ვახტები და ბიბლიოთეკაში ვბრუნდები.

– ეე, უკვე დაბრუნდი? – ოშიმა გაოგნებული დაჰყურებს ჩემს ზურგჩანთას, – ღმერთო ჩემო, ყოველთვის ამდენი ხარახურა დაგაქვს თან? ნამდვილი ლაინუსი[12] ხარ.

– წყალს ვადუღებ და ჩაის ვიმზადებ. ოშიმა, როგორც ყოველთვის, გრძელ, კარგად წათლილ ფანქარს ათამაშებს ხელში. ნეტა რა ბედი ეწევა ხოლმე მის ფანქრებს, როდესაც მოკლდება?

– ზურგჩანთა შენთვის თავისუფლების სიმბოლოა.

– მგონი, მართალი ხარ.

– საგანი, რომელიც ადამიანისთვის თავისუფლებასთან ასოცირდება, მას უფრო დიდ ბედნიერებას ანიჭებს, ვიდრე თავად თავისუფლება.

– შეიძლება.

– შეიძლება, – იმეორებს ჩემს ნათქვამს, – იცი რა, მსოფლიოში ყველაზე მოკლე პასუხების კონკურსი რომ არსებობდეს, ისე გაიმარჯვებდი, თითის განძრევაც არ დაგჭირდებოდა.

– შეიძლება.

– შეიძლება, – ისე იმეორებს, თითქოს ყელში ამოუვიდაო, – შეიძლება, უმრავლესობა არ ცდილობს თავისუფლების მოპოვებას, კაფკა. ისინი ფიქრობენ, რომ თავისუფალი არიან. ეს კი მხოლოდ ილუზიაა. მათთვის რომ თავისუფლება მიენიჭებინათ, ხელ-ფეხი შეეკვრებოდათ. ჯობია, ეს გახსოვდეს. ადამიანებს ურჩევნიათ, არ იყვნენ თავისუფალი.

– შენი ჩათვლით?

– ჰო. მეც მირჩევნია, არ ვიყო თავისუფალი. აქამდე მაინც ასე იყო. ჟან-ჟაკ რუსოს განმარტებით, ცივილიზაცია მაშინ შეიქმნა, როცა ადამიანებმა ჯებირები ააგეს. კარგი დაკვირვებაა. და სწორი – ყოველი ცივილიზაცია თავისუფლების შეზღუდვის პროდუქტია. გამონაკლისები არიან ავსტრალიელი აბორიგენები, რომლებმაც მოახერხეს მეჩვიდმეტე საუკუნემდე შეენარჩუნებინათ ცივილიზაცია, ისე რომ საზღვრები არ დაუწყესებიათ. აი, ისინი იყვნენ ჭეშმარიტად თავისუფალი ადამიანები. მათი ცხოვრება ხომ მხოლოდ მოგზაურობაა. წრეზე სიარული მათი ცხოვრების შესაფასებლად იდეალური მეტაფორაა. შემდეგ ინგლისელები მოვიდნენ და შემოსაზღვრეს ადგილი საქონლისთვის. აბორიგენები ვერაფრით მიხვდნენ, რისთვის იყო ეს საჭირო. მუდამ უგულებელყოფდნენ წესებს სამსახურში, ამიტომაც საშიში, ანტისოციალური ადამიანების იარლიყი მიეკერათ და განიდევნენ საზოგადოებიდან. ამიტომ მინდა, რომ ფრთხილად იყო. გადარჩებიან ისინი, ვინც მაღალ, ძლიერ კედლებს ამოიშენებს. ამ რეალობას თუ უარყოფ, შენც განიკვეთები...

ჩემს ოთახში ვბრუნდები და ზურგჩანთას ვდებ. მერე სამზარეულოში მივდივარ, ყავას ვამზადებ და საეკის ოთახისკენ მიმავს. ხელში მეტალის ლანგარი მიჭირავს და ყოველ საფეხურზე ფრთხილად ავდივარ, ჩემ ფეხქვეშ იატაკი ჭრიალებს. ვიტრაჟიდან გადმოღვრილ ფერებს შორის დავაბიჯებ.

საეკი საწერ მაგიდასთან ზის და წერს. ყავის ფინჯანს ვდგამ. ამომხედა. მთხოვს, იქ დავჯდე, სადაც ყოველთვის ვჯდები ხოლმე. დღეს შავ მაისურზე წაბლისფერი პერანგი გადაუცვამს, თმა უკან შეუკრავს და პაწაწინა მარგალიტის საყურეები გაუკეთებია.

ერთხანს არაფერს ამბობს. ნაწერს დაჰყურებს. ჩვეულებრივი გამომეტყველება აქვს. კალამს თავს ახურავს და ფურცელზე დებს. თითებს შლის, ამოწმებს, მელნის ლაქები ხომ არ მაქვსო. კვირადღეა, ფანჯრიდან მზე ანათებს. ბაღში ვიღაცაა, ლაპარაკობს.

– ბატონმა ოშიმამ მითხრა, ფიტნესკლუბში წავიდაო. – სახეზე მაკვირდება.

– ასეა.

– რა ტიპის ვარჯიშებს ასრულებ?

– ტრენაჟორებზე ვვარჯიშობ და სიმძიმეებს ვწევ.

– კიდევ?

თავი გავაქნიე.

– არაგუნდურ სპორტს მისდევ, არა?

თავი დავუქნიე.

– გინდა ძლიერი იყო, არა?

– გადასარჩენად სიმძლიერეა საჭირო. განსაკუთრებით ჩემს შემთხვევაში.

– რადგან სრულიად მარტო ხარ...

– არავინ დამეხმარება. ყოველ შემთხვევაში, აქამდე არავინ დამხმარებია. ყველაფერს თვითონ უნდა გავართვა თავი. ძლიერი უნდა გავხდე, ყვავზე უფრო ძლიერი. ამიტომაც დავირქვი კაფკა. ჩეხურად ხომ კაფკა ყვავს ნიშნავს.

– ჰმმ..... – გაოცებული ჩანდა, – გინდა თქვა, რომ ყვავი ხარ?

– დიახ.

– დიახ, – იმეორებს ბიჭი, სახელად ყვავი.

– ამ ტიპის ცხოვრებას რაღაც ზღვარი უნდა ჰქონდეს. საკუთარ ძალას დამცავ კედლად ვერ აქცევ. ყოველთვის გამოჩნდება რამე, უფრო ძლიერი. ასეთია წესი.

– სიმძლიერე მორალად იქცევა.

– სწრაფად ითვისებ. – იღიმება.

– იცი, როგორი ძალა მჭირდება? ისეთი კი არა, რომ გამამარჯვებინებს ან დამამარცხებს. არც სხვების ძალებს ვემალევი. მინდა, არ გამიჭირდეს გარეშე ძალებთან გამკლავება და მედგრად დავუდგე უსამართლობას, უიღბლობას, სევდას, შეცდომებს, გაუგებრობას.

– ალბათ ეგ ყველაზე რთულია.

– ჰო. ალბათ...

– ყველაფერი გცოდნია. – ახლა უფრო გულლიად იღიმება.

თავი გავაქნიე.

– არ არის სწორი. მხოლოდ 15 წლისა ვარ და უამრავი რამ არ ვიცი. მინდა ვიცოდე, მაგრამ არ ვიცი. მაგალითად, არაფერი ვიცი შენზე.

ფინჯანი ხელში აიღო და ყავა მოსვა.

– არაფერია ისეთი, რაც უნდა იცოდე. ჩემ შესახებ არაფრის ცოდნა არ გჭირდება.

– გახსოვს ჩემი თეორია?

– რა თქმა უნდა, მაგრამ ეგ შენი თეორიაა და არა ჩემი. ასე რომ, მე არც პასუხისმგებლობა მეკისრება მასზე, არა?

– დიახ. თეორია იმ ადამიანმა უნდა დაამტკიცოს, რომელმაც ის წარმოთქვა. შესაბამისად ერთი კითხვა მიჩნდება.

– რასთან დაკავშირებით?

– მითხარი, წიგნი გამოვეცი იმ ადამიანების შესახებ, რომლებსაც მეხი დაეცათო.

– მართალია.

– იშოვება ეგ წიგნი?

თავი გააქნია.

– ბევრი არ დაუბეჭდავთ. დიდი ხნის წინ ამოიწურა ტირაჟი. რაც დარჩა, ის ალბათ გაანადგურეს. ერთი ეგზემპლარიც კი არ მაქვს. როგორც გითხარი, დიდი ინტერესი არ გამოუწვევია.

– ამ საკითხით რატომ დაინტერესდი?

– არც კი მახსოვს. ალბათ იმ დროს ჩემთვის სიმბოლური იყო. ან მინდოდა, რამე გამეკეთებინა და სხვა ვერაფერი მოვიფიქრე, მიზანი დავისახე, რომელიც მაიძულებდა მემოდრავა და გონება ამ თემაზე ფიქრით მქონოდა დაკავებული. ახლა ვერ ვიხსენებ, მიზანი რამ გამიჩინა. ეგ იდეა გამიჩნდა და კვლევა წამოვიწყე. იმ დროს მწერალი ვიყავი, ფული საკმარისად მქონდა, თავისუფალი დროც. რაც თავში მომივიდოდა, ყველაფერი შემემლო მეკეთებინა. თვითონ თემა შთამბეჭდავი გამოდგა. იმდენ ხალხს შევხვდი, იმდენი ისტორია მოვისმინე. ეს პროექტი რომ არა, რეალობას ალბათ კიდევ უფრო მოვწყდებოდი და სრულ იზოლაციაში ვიცხოვრებდი.

– ახალგაზრდობაში მამაჩემი კედიდ მუშაობდა გოლფის მოედანზე და მეხი დაეცა. თვითონ, საბედნიეროდ, გადარჩა, მასთან ერთად მყოფი ტიპი კი – არა.

– უამრავი ადამიანი კვდება მეხის დაცემის გამო გოლფის მოედანზე, დიდი, მოშიშვლებული ადგილია, თავს რომ ვერსად შეაფარებ, ისეთი. მეხს უყვარს გოლფის მოედნები. მამაშენიც თამურაა?

– დიახ. და შენი ასაკისაა.

თავი გააქნია.

– არავინ მახსოვს, სახელად თამურა. ასეთს არავის შევხვედრივარ.

არაფერს ვამბობ.

– ესეც შენი თეორიის ნაწილია, არა? რომ მამაშენს წიგნის მასალების კვლევის დროს შევხვდი და შენ გაგაჩინე, არა?

– დიახ.

– განა ეს შენს თეორიას არ უარყოფს? ასეთი რამ არასდროს მომხდარა. მცდარია შენი თეორია.

– ამას გადაჭრით ვერ ვიტყვით.

– რას გულისხმობ?

– ყველაფრის არ მჯერა, რასაც მეუბნები.

– რატომ?

– არც კი დაფიქრებულხარ, ისე მიპასუხე, არანაირი თამურასგან ინტერვიუ არ ამიღიაო. ოცი წელი დიდი დროა, ბევრს შეხვდებოდი. არა მგონია, ასე სწრაფად შეძლო გახსენება, რომელიმეს ერქვა თუ არა თამურა.

თავი გააქნია და კიდევ ერთი ყლუპი ყავა მოსვა. ტუჩებზე ღიმილი აუთამაშდა.

– კაფკა, მე... – გაჩუმდა, სიტყვებს არჩევს.

ველი.

– ისეთი განცდა მაქვს, თითქოს ჩემ გარშემო საგნები იცვლება.

– როგორ?

– ამას ვერ ავხსნი. მაგრამ რაღაც ხდება. ატმოსფერული წნევა, ხმის ექო, სინათლის ანარეკლი, სხეულისა და დროის მოძრაობა, ყველაფერი იცვლება თანდათან. თითქოს ყოველი პატარა ცვლილება წვეთია, რომელიც ნიაღვარად იქცევა. – ხელში შავ Mont Blanc- ის კალამს იღებს, დაჰყურებს, ისევ მაგიდაზე დებს და მიყურებს. – ის, რაც ჩვენ შორის მოხდა შენს ოთახში, ამ დინების ნაწილი უნდა იყოს. არ ვიცი, ჩვენი საქციელი სწორია თუ არა. მაგრამ იმ დროს გადავწყვიტე, არ განმესაჯა საკუთარი თავი. თუ ეს მართლაც დინებაა, საშუალება მივეცი, იქით წავეყვანე, საითაც უნდოდა.

– გინდა გითხრა, რას ვფიქრობ?

– გისმენ.

– ვფიქრობ, რომ დაკარგული დროის ანაზღაურებას ცდილობ.

ამაზე ჩაფიქრდა.

– იქნებ მართალიც ხარ, მაგრამ ასე რატომ ფიქრობ?

– მეც ასე ვიქცევი.

– დაკარგული დროის დაბრუნებას ცდილობ?

– დიახ. ჩემი ბავშვობიდან უამრავი რამ მომპარეს. უამრავი მნიშვნელოვანი რამ. ახლა კი ყველაფერი უკან უნდა დავიბრუნო.

– იმისათვის, რომ ცხოვრების გაგრძელება შეძლო.

თავი დავუქნიე.

– იძულებული ვარ ასე მოვიქცე. ადამიანებს უნდა ჰქონდეთ ადგილი, სადაც დაბრუნებას შეძლებენ. ჯერ კიდევ შეგვიძლია, ეს ადგილი ვიპოვოთ. მეც და შენც. ასე მგონია.

თვალეებს ხუჭავს და მაგიდას თითებით ეხება. მერე თითქოს რაღაცას დაემორჩილაო, თვალეები გაახილა.

– ვინ ხარ? და რატომ იცი ყველაფრის შესახებ ამდენი რამ?

უნდა ხვდებოდეს, ვინც ვარ. მე ვარ კაფკა პლაჟზე, ასე ვეუბნები. შენი საყვარელი და შენი ვაჟი. ბიჭი, სახელად ყვავი. და ჩვენ ორნი თავისუფალი ვერ ვიქნებით. მორევში ვართ ჩათრეული, დროის მიღმა ვარსებობთ. სადღაც, მეხდაცემულები. ოღონდ ეს ისეთი მეხია, რომ ვერც დაინახავ.

იმ ღამით ისევ ეფერები. ყურს უგდებ, როგორ ივსება სიცარიელე ამ ქალის შიგნით. ეს ისეთივე მკრთალი, სუსტი ხმაა, როგორც მთვარიან ღამით ქვიშის ჩხრიალი პლაჟზე. სუნთქვა გეკვრის. უსმენ. თეორიის შიგნით მოექცევი. მერე მის მიღმა. ჩაისუნთქე, სუნთქვა შეიკავე, ამოისუნთქე, ჩაისუნთქე, სუნთქვა შეიკავე, ამოისუნთქე. შენს გონებაში პრინცი მოლუსკივით მოთავსებულა. მღერის. მთვარე ამოდის. მოქცევაა. ზღვის წყალი მდინარეს უერთდება. ფანჯარასთან ნერვიულად ტოკავს შინდის ტოტი. ეხვევი, სახეს შენს მკერდში რგავს. შიშველ კანზე მის სუნთქვას გრძნობ. ყველგან, ყოველ კუნთზე გეხება, მერე გამაგრებულ ასოს ნაზად გილოკავს, თითქოს მის განკურნვას ცდილობდესო. პირში უთავებ. შენს თესლს ისე ყლაპავს, თითქოს ყოველი მისი წვეთი ამქვეყნად ყველაზე ძვირფასი რამ იყოს. საშოს უკოცნი, ყოველ თბილ წერტილს ენით ეხები. მასში ვიღაც სხვად იქცევი, რაღაც სხვად. სადღაც სხვაგან ხარ.

– არაფერია ჩემში ისეთი, რაც უნდა იცოდეს. – ისევ გეუბნება.

ვიდრე ორშაბათი გათენდებოდეს, ჩახუტებულები წევხართ და ყურს უგდებთ დროს, რომელიც გადის.

შავი ღრუბლების მასა ქალაქის ცას ნელა ტოვებდა. ჯერ კიდევ მძლავრად ელავდა, თითქოს ბუნება ცდილობდა ყოველი კუთხე-კუნჭულის განათებასა და დიდი ხნის წინ გადაკარგული სამართლის პოვნას, თანდათან ჭექა-ქუხილი შესუსტდა და აღმოსავლეთით ცის მკრთალ, ბრაზიან ექოდლა დარჩა. უეცრად კოკისპირული წვიმა წამოვიდა, მერე კი უღმერთო სიჩუმე ჩამოწვა. ჰოშინო წამოდგა და ოთახის გასანიაველად ფანჯარა გამოაღო. შავი ღრუბლები გამქრალიყო და ცას მხოლოდ ფერმკრთალი ღრუბლების თხელი ფენა დაჰკვეროდა. სველ შენობებს ბზარები ისე დასტყობოდათ, როგორც მოხუცებს ვენები. წყალი ღარებიდან წვეთავდა და მიწაზე გუბეებს ქმნიდა. ჩიტები სამალავებიდან გამოსხლტნენ და ჟღერტულით გამოედევნენ ხოჭოებს, რომლებიც შტორმს თითქოს მათთვის მიეძღვნა.

ჰოშინომ რამდენჯერმე შეატრიალა კისერი და ხერხემალი შეიმოწმა. კარგად გაიზმორა, ფანჯარასთან ჩამოჯდა, გარეთ გაიხედა, მალბოროს კოლოფი ამოიღო და სიგარეტს მოუკიდა.

– იცი რა, ბატონო ნაკატა, ქვის გადატრიალებისა და შესასვლელის გახსნის შემდეგ არაფერი მომხდარა უჩვეულო. არც ნისლი ჩამოწოლილა, არც ეშმაკები ამომძვრალან მიწიდან, საერთოდ არაფერი შეცვლილა. იქნებ ასეა უკეთესი, მაგრამ მთელი იმ ხმაურისა და დავიდარაბის შემდეგ იმედგაცრუებული დავრჩი.

პასუხი არ მიუღია, ამიტომ ნაკატასკენ შეტრიალდა. მოხუცი წინ გადახრილიყო, ორივე ხელით იატაკს ეხებოდა და თვალები დაეხუჭა. დაუძღვრებულ ხოჭოს ჰგავდა.

– რა ხდება? შეუძლოდ ხარ? – ჰკითხა ჰოშინომ.

– მაპატიეთ, გადავიღალე, ნაკატა თავს ცუდად გრძნობს. მინდა წამოვწვე და დავიძინო.

ნაკატას ფერი სულ დაჰკარგვოდა. თვალები ჩასცვენოდა, ხელები უთრთოდა. რამდენიმე საათში მოტეხილიყო.

– ლეიბს გაგიშლი. იძინე, რამდენ ხანსაც გინდა. მაგრამ იქნებ დახმარება გჭირდება? მუცელი გტკივა? გული ხომ არ გერევა? ყურები დაგიგუბდა? იქნებ ტუალეტში გასვლა გინდა? ექიმი მოვიყვანო? დაზღვევა გაქვს?

– დიახ, გუბერნატორმა დაზღვევის ბარათი მომცა, ჩანთაში ვინახავ.

– კარგია, – უპასუხა ჰოშინომ, კარადიდან ლეიბი გამოიღო და გაუშალა, – ვიცი, ახლა ამის დრო არ არის, მაგრამ ტოკიოს გუბერნატორს არ მოუცია შენთვის დაზღვევის ბარათი. ეს ნაციონალური ჯანდაცვის ბარათია და ის იაპონიის მთავრობამ მოგცა. დაახლოებით ასეა. გუბერნატორი თვითონ კი არ ზრუნავს შენი ცხოვრების ყოველ დეტალზე, გესმის? ასე რომ, დროებით დაივიწყე.

– გაიგო ნაკატამ. გუბერნატორს არ უბოძებია დაზღვევის ბარათი. ვეცდები, დროებით დავივიწყო. არა მგონია, ექიმი მჭირდებოდეს. თუ გამოვიძინებ, თავს კარგად ვიგრძნობ.

– მოიცა, ძილის 36-საათიან მარათონში ჩართვას ხომ აღარ აპირებ?

– არ ვიცი. წინასწარ არ ვწყვეტ, რამდენ ხანს ვიძინო.

– ჰო, ეგ ჭკუასთან ახლოსაა, – აღიარა ჰოშინომ, – ეგ წინასწარ არავინ იცის. მოკლედ, დაიძინე რამდენი ხნითაც გინდა. რთული დღე იყო: ეს ჭექა-ქუხილი, ქვასთან საუბარი. შესასვლელიც გაიღო. ასეთი ამბები ყოველდღე არ ხდება. ალბათ გონება მეტისმეტად დამაბე და ძალიან გადაიღალე. ნუ იღელვებ, მოდუნდი და თვალი მოატყუე. სხვა ყველაფერს ჰოშინო მიხედავს.

– დიდად დამავალეხ. ნაკატა მუდამ შარში გხვევთ, არა? ნაკატა ვერასდროს გადაგიხდით საკადრის მადლობას. თქვენ რომ ჩემთან არ ყოფილიყავით, ვერაფერს გავხდებოდი. და თან თქვენ ხომ საკუთარი საქმე გაქვთ საკეთებელი.

– ჰო, – მოიღუშა ჰოშინო. რამდენი რამ მოხდა, სამსახური კი სულ გადაავიწყდა, – კარგია, ეგ რომ ახსენე, მალე სამსახურში უნდა დავბრუნდე. ბოსი ალბათ უკვე ცოფებს ყრის. დავურეკე და შევატყობინე, რამდენიმე დღით უნდა დაგეთხოვოთ, საქმეები მაქვს-მეთქი მოსაგვარებელი, მაგრამ დღემდე აღარ გამოვჩენილვარ. ტყავს გამაძრობს, უკან რომ დავბრუნდები.

მალბოროს ახალ ღერს მოუკიდა, დინჯად არტყამდა ნაფაზს. ტელეფონის ბოძზე დასკუპებულ ყვავს შეხედა და დაეჯღანა.

– ჯანდაბა იმის თავს! რაც უნდა, ისა თქვას, თავში ქვა უხლია. იცი რა, წლების მანძილზე ვირივით ვიმუშავე. ეი, ჰოშინო გვიჭირს, ამიტომ ამაღამ იქნებ ჰოროშიმაზე წასულიყავი? კარგი, ბოს... მუდამ იმათ ჭკუაზე დავდიოდი და არასდროს დამიწუწუნია. მაგიტომაც დამიზიანდა ხერხემალი. შენ რომ არ დამხმარებოდი, უარესობისკენ წავიდოდა საქმე. ჯერ ოცდაათისაც არა ვარ, ჯანმრთელობა მძიმე სამუშაოთი რატომ უნდა გავინადგურო, არა? დროდადრო რომ დავისვენო, რა მოხდება? მაგრამ, ბატონო ნაკატა, მე...

ჰოშინო უცებ მიხვდა, რომ მოხუცს ჩასძინებოდა. თვალები მჭიდროდ დაეხუჭა, პირაღმა იწვა, ტუჩები მოეკუმა, თანაბრად სუნთქავდა. გადაბრუნებული ქვა ბალიშთან ახლო ედო.

ღმერთო, კაცი არ მინახავს ასე სწრაფად შეეძლოს დაძინება, აღტაცებით გაიფიქრა ჰოშინომ.

დრო ჰქონდა. გაიზმორა, ტელევიზორი ჩართო, მაგრამ ამ მოსაწყენი შუადღის შოუების ყურება აღარ შეეძლო და გარეთ გასვლა გადაწყვიტა – სუფთა საცვლები აღარ ჰქონდა და უნდა ეყიდა. ეჯავრებოდა ტანსაცმლის რეცხვა, ერჩივნა, იაფფასიანი საცვლები ეყიდა, ვიდრე ძველები ერეცხა. სასტუმროში ხვალინდელი დღის ფული გადაიხადა და გააფრთხილა, ჩემი კომპანიონი არ გააღვიძოთო.

– თუმცა, რომც მოინდომოთ, მაინც ვერ შეძლებთ. – დასძინა.

ქუჩაში წაეხეტა. ყველაფერს წვიმის სუნი ასდიოდა. ჩვეულებრივ ფორმაში იყო – დრაკონების კეპი, მწვანეშუშებიანი რეი ბანის სათვალე, ჰავაიური პერანგი. სადგურში, კიოსკში გაზეთი აიღო და დრაკონების ბოლო მატჩები შეამოწმა – ჰიროშიმასთან სტუმრად წაეგოთ. მერე კინოაფიშას დახედა და გადაწყვიტა, ჯეკი ჩანის ბოლო ფილმი ენახა. დრო იდეალური იყო. პოლიციის პუნქტში გზა იკითხა. შეიტყო, რომ კინოთეატრი საკმაოდ ახლო ყოფილა და ამიტომ ფეხით გაუყვა გზას. ბილეთი იყიდა, კინოთეატრში შევიდა და ფილმი ნახა, თან მიწის

თხილს აკნატუნებდა. როცა კინოდან გამოვიდა, უკვე საღამო იყო. ძალიან არ შიოდა, მაგრამ, რადგან სხვა ვერაფერი მოიფიქრა, გადაწყვიტა, ესადილა. იქვე ახლო სუში ბარში შევიდა, სუში და ლუდი შეუკვთა. ძალიან დაღლილიყო, იმაზე მეტად, ვიდრე წარმოედგინა, ამიტომ ნახევარი კათხაც ვერ დალია.

«გასაგებია, რატომაც დავიღალე, – გაფიქრა ჰომინომ, – იმ მძიმე ქვის აწევის შემდეგ ნაცემივით ვარ. სამ გოჭს შორის თავი ყველაზე უფროსი მგონია. აი, მოვა ბებერი მგელი, სულს შეუბერავს ჩემს სახლს და ოკაიამაში გადამაფრენს». სუში ბარიდან პაჩინკოს დარბაზთან აღმოჩნდა. სწრაფადვე გაფლანგა ოციოდ დოლარი. ჩემი დღე არ არისო, გაიფიქრა, ამიტომ პაჩინკოზეც ჩაიქნია ხელი და ქუჩაში ხეტიალი განაგრძო. გაახსენდა, რომ საცვლები ჯერ არ ეყიდა. ჯანდაბა, ამიტომ გამოვედი გარეთო, შესძახა. სავაჭრო უბანში, ჩამოფასებული საქონლის მაღაზიაში შეძვრა და საცვლები, თეთრი მაისურები და წინდები იყიდა. ახლა შეეძლო ნახმარი საცვლები გადაეყარა. ახალი ჰავაიური პერანგიც არ მაწყენდაო, გაიფიქრა და რამდენიმე მაღაზია შემოიარა მის ძებნაში. არა, აქ, ტაკამაცუში, ვერაფერს შეარჩევდა. ზამთარ-ზაფხულ ჰავაიური პერანგები ეცვა, მაგრამ ჰავაიური პერანგებიც არის და პერანგებიც!

ახლომდებარე საცხოვრებელ შეჩერდა და პური იყიდა, იქნებ ნაკატას შუალამით მშვიდრად გამოეღვიძოსო, პატარა მუყაოს კოლოფით ფორთოხლის წვენიც იყიდა. შემდეგ ბანკში შევიდა და 500 დოლარი მოხსნა ანგარიშიდან. ბალანსიც შეამოწმა, კიდევ დიდი თანხა ჰქონდა დარჩენილი ანგარიშზე. ბოლო წლებში ისეთი დატვირთული იყო, დროც არ ჰქონდა ფულის დასახარჯად.

უკვე ბნელოდა და უეცრად ძალიან მოუნდა ყავის დაღევა. მიმოიხედა, ერთ-ერთ მთავარ გზატკეცილზე კაფეს აბრა შენიშნა. ძველებური კაფე აღმოჩნდა, ასეთები დღეს იშვიათობაა. შევიდა, ძველ, მოხერხებულ სავარძელში ჩაჯდა და ერთი ფინჯანი ყავა შეუკვთა. ბრიტანული წარმოების კაკლისხისჩარჩოიანი დინამიკებიდან კამერული მუსიკა იღვრებოდა. ჰომინოს გარდა აქ არავინ იყო. სავარძელში ჩაეფლო და მოეშვა, პირველად ამ ხნის მანძილზე. ამ კაფეში ყველაფერი მშვიდ, ბუნებრივ, სასიამოვნო გარემოს ქმნიდა. მოდური ფინჯნით მორთმეული ყავა არომატული და გემრიელი იყო. ჰომინომ თვალეები მილულა, ჩუმად სუნთქავდა, სიმებისა და კლავიშების ცეკვას მიუგდო ყური. აქამდე კლასიკური მუსიკა არ იტაცებდა, ახლა კი დაამშვიდა, საკუთარ თავში ჩაღრმავების განწყობაზე დააყენა.

რბილ სავარძელში ჩამირულს, თვალდახუჭულს, მუსიკისთვის ყურმილებულს, თავში ათასგვარი აზრი გაუჩნდა, უმეტესად საკუთარ თავთან დაკავშირებული. მაგრამ რაც მეტს ფიქრობდა თავის თავზე, საკუთარი არსებობა ნაკლებ რეალურად ეჩვენებოდა. თავს რაღაც უმნიშვნელო დანამატად გრძნობდა.

ყოველთვის «ტიუნტის დრაკონების» ფანატი ვიყავი, მაგრამ რას წარმოადგენენ ისინი ჩემთვის? ვთქვათ და, «გიგანტები» დაამარცხეს, ვითომ ეს მე უკეთეს ადამიანად მაქცევს? კი მაგრამ, როგორ? ჰოდა, რა ჯანდაბად ვგულშემატვივრობდი მთელი ამ ხნის მანძილზე, გეგონება, ეს გუნდი ჩემი ნაწილი ყოფილიყოს?

ნაკატამ თქვა, ცარიელი ვარო. შეიძლება ასეცაა. მაგრამ მე? ბავშვობაში თავს გადახდენილმა უბედურმა შემთხვევამ დამაცარიელაო. მაგრამ მე ხომ ცუდიც არაფერი შემთხვევია! თუ ბატონი ნაკატა ცარიელია, მე სიცარიელეზე უფრო ცუდ პონტში ვარ! მას რაღაც მაინცა აქვს, რაღაც ისეთი, რამაც მაიძულა, ყველაფერი დაუფიქრებლად მიმეყარა და სიკოკუზე გამოვყოლოდი. ნუ მთხოვთ ამის ახსნას...

ჰოშინომ კიდევ ერთი ფინჯანი ყავა შეუკვეთა.

– მოგწონთ ჩვენი ყავა? – მოუახლოვდა ჭადარათმიანი მფლობელი.

(ჰოშინომ, რა თქმა უნდა, არ იცოდა, რომ ეს კაცი განათლების სამინისტროს მაღალჩინოსანი იყო ადრე. გადადგომის შემდეგ მშობლიურ ქალაქ ტაკამაცუში დაბრუნდა და ეს ყავახანა გახსნა, სადაც უგემრიელესი ყავა მზადდებოდა და კლასიკური მუსიკა ჟღერდა).

– დიდებულია. ისეთი არომატი აქვს...

– ყავას თვითონ ვხალავ. თითოეულ მარცვალს ვარჩევ...

– ჰოდა, რა გასაკვირია, ასე კარგი რომ არის.

– მუსიკა გაწუხებთ?

– მუსიკა? არა, დიდებულია. ხელს არ მიშლის. ოდნავადაც არა. ვინ ასრულებს?

– რუბინშტეინის, ხეიფეცისა და ფოიერმანის ტრიო. «მილიონდოლარიანი ტრიო». ნამდვილი ვირტუოზები იყვნენ. ეს ძველი, 1941 წლის ჩანაწერია, მაგრამ დღემდე ბრწყინვალეა.

– მართლაც. კარგი რამეები არასოდეს ბერდება, არა?

– ზოგს ტრიო «ერცკერცოგის» შესრულების უფრო კლასიკური, სტრუქტურული, სწორხაზოვანი ვერსია მოსწონს. მაგალითად, ოისტრახის ტრიოს შესრულება.

– არა, ეს კარგია. სასიამოვნოა, როგორ ვთქვა...

– გმადლობთ! – მადლობა გადაუხადა კაფეს მეპატრონემ «მილიონდოლარიანი ტრიოს» სახელით და დახლს იქით გაუჩინარდა.

მეორე ფინჯანი ყავის სმის დროს ჰოშინო თავის ფიქრებს მიუბრუნდა.

„ბატონ ნაკატას ხომ ვეხმარები, ვუკითხავ, ბოლოს და ბოლოს, ქვაც მე აღმოვაჩინე. აქამდე ამაზე არ მიფიქრია, სასიამოვნოა, ვიღაცას რომ ეხმარები. სულაც არ ვნანობ, რომ სამსახური გავაცდინე, არც იმას, რომ სიკოკუზე ჩამოვედი და არც იმას, რაღაც გიჟური ამბები რომ გადაგვხდა თავს. სწორედ იქ ვარ, სადაც უნდა ვიყო. როცა ბატონ ნაკატასთან ვარ, ასეთი კითხვები არც კი მიჩნდება. იქნებ ვამეტებ კიდევ, მაგრამ ბუდას მიმდევრები და ქრისტეს მოციქულებიც ალბათ ამას განიცდიდნენ. დავივიწყოთ კულტურა, სიმართლე და ყველანაირი ნაგავი. საქმე მხოლოდ და მხოლოდ ინსპირაციაშია.“

პატარა რომ ვიყავი, ბაბუა ბუდას მოწაფეებზე მიყვებოდა. ერთს მიოგა ერქვა. ტიპი ისეთი ჭკუასუსტი იყო, უმარტივეს სუტრასაც ვერ იმახსოვრებდა. სხვა მოწაფეები მას ყოველთვის

დასცინოდნენ. ერთ დღეს ბუდამ უთხრა: – მიოგა, შენ ძალიან ჭკვიანი არა ხარ, ამიტომ არ არის საჭირო, სუტრები დაიხეპირო. ამის ნაცვლად, მინდა შემოსასვლელში დაჯდე და ყველას ფეხსაცმელი გაუწმინდო. მიოგა დამჯერი ყმაწვილი იყო და ოსტატისთვის არ უთქვამს, შემეშვიო. ასე რომ, ათი-ოცი წელი სხვის ფეხსაცმელებს წმენდდა. ერთ დღესაც გონება გაუნათდა და ბუდას ყველაზე გამორჩეულ მოწაფედ იქცა.

ეს ამბავი ჰომინოს მუდამ ახსოვდა და ფიქრობდა, რა უნდა იყოს ამდენ ხანს ფეხსაცმლის წმენდაზე უფრო საძაგელი საქმე, ლადაობენო. მაგრამ ახლა სხვაგვარად დაიწყო მსჯელობა და დაასკვნა, რასაც არ უნდა აკეთებდე, ცხოვრება მაინც ნეხვიაო. ბავშვობაში ამდენი არ ესმოდა.

ასეთ ფიქრებში იყო გართული, ვიდრე ის მუსიკა არ შეწყდა, რომელიც მედიტაციაში ხელს უწყობდა.

– ეი, – გასძახა ჰომინომ მფლობელს, – რა ჰქვია ამ კომპოზიციას? დამავიწყდა.

– ბეთჰოვენის ტრიო «ერცჰერცოგი».

– ერთი ჰერცოგი?

– ერც. ერცჰერცოგი. ბეთჰოვენმა ის ავსტრიის ერცჰერცოგ რუდოლფს მიუძღვნა. ეს კომპოზიციის ნამდვილი სახელი არ არის, ასე ეძახიან. რუდოლფი იმპერატორ ლეოპოლდ მეორის ვაჟი იყო, ძალიან ნიჭიერი მუსიკოსი. როიალზე დაკვრასა და მუსიკალურ თეორიას ბეთჰოვენი ასწავლიდა 16 წლიდან. დიდ პატივს სცემდა ბეთჰოვენს. ერცჰერცოგ რუდოლფს, არც როგორც მუსიკოსს და არც როგორც კომპოზიტორს, არ გაუთქვამს სახელი, მაგრამ მუდამ ეხმარებოდა ბეთჰოვენს, რომელსაც ცხოვრებაში გზის გაკვალვა ძალიან უჭირდა. რუდოლფი რომ არ ყოფილიყო, ბეთჰოვენს ცხოვრება უფრო გაუჭირდებოდა.

– ასეთი ადამიანები საჭიროა, არა?

– ნამდვილად!

– სამყაროში დიდი არეულობა იქნებოდა, ყველა რომ გენიოსი იყოს. ზოგმა მარტო ყოველდღიური საქმე უნდა აკეთოს.

– ასეა. სამყაროში რომ მარტო გენიოსები იყვნენ, უამრავი პრობლემა შეიქმნებოდა.

– ეგ ნაწარმოები მართლა მომეწონა.

– მართლაც მშვენიერია. არასოდეს მოგაბეზრებს თავს. ჩემი აზრით, ბეთჰოვენის საფორტეპიანო ტრიოებს შორის ეს ყველაზე დახვეწილია. 40 წლისამ შექმნა და შემდეგ აღარასოდეს შეუთხზავს საფორტეპიანო ტრიო. ალბათ მიხვდა, რომ ამ ჟანრის მწვერვალი დაიპყრო.

– მწვერვალების დაპყრობა ხომ ყოველთვის მნიშვნელოვანია?

– დიახ, კიდევ გვესტუმრეთ.

– აუცილებლად.

ჰომინო სასტუმროში დაბრუნდა. როგორც მოელოდა, ნაკატას ისევ ეძინა. პირველად ხომ არ ხდებოდა ასე. ამიტომ უცნაურად არ მოსჩვენებია. იძინოს რამდენიც უნდაო, გადაწყვიტა. ქვა იქვე ედო, ბალიშთან და ჰომინომ პურიანი პარკიც იქვე დადო. იბანავა და ახალი საცვალი ჩაიცვა, მერე ძველი საცვალი ქალაღდის პარკში გაახვია და სანაგვეში ჩააგდო. თავის ლეიბზე დაწვა და მალე ჩაეძინა კიდევ. დილით ცხრისთვის გაეღვიძა. ნაკატას ეძინა. ჩუმად და თანაბრად სუნთქავდა.

ჰომინო სასაუზმოდ მარტო ჩავიდა. სასტუმროს თანამშრომელს სთხოვა, ჩემი კომპანიონი არ გააღვიძო.

– ჩემს ლეიბს ნუ აკეცავ.

– როგორ შეიძლება ამდენ ხანს ძილი? – იკითხა სასტუმროს თანამშრომელმა.

– ნუ ღელავ, ხელში არ ჩაგვაკვდება. ძილი ძალის აღსადგენად სჭირდება. ვიცი, მისთვის რა ჯობია.

სადგურში გაზეთი იყიდა, ჩამოჯდა და კინოაფიშას გადაავლო თვალი. იქვე ახლო კინოთეატრში ფრანსუა ტრიუფოს რეტროსპექტივა იყო. ჰომინოს წარმოდგენა არ ჰქონდა, ვინ იყო ტრიუფო, ქალი იყო თუ კაცი. სეანსი შედგებოდა ორი ფილმისგან – „400 დარტყმა“ და „ესროლეთ პიანისტს“, რაც დროის გასაყვანად მშვენიერი საშუალება იყო, ამიტომ შესვლა გადაწყვიტა. რამდენიმე მაყურებელი იდგა კინოთეატრთან. ჰომინო კინომანი არ იყო. ხანდახან თუ წავიდოდა კინოში სათავგადასავლო ან კუნ-ფუზე ფილმის სანახავად. ტრიუფოს ეს ადრეული ნამუშევრები მისთვის რთულად აღსაქმელი აღმოჩნდა, ძველი ფილმები ხომ მძიმეა და ზოზინა. იმ უნიკალურმა განწყობამ, ფილმების საერთო ატმოსფერომ, პერსონაჟების შინაგანი სამყაროს ჩვენებამ მაინც მოხიბლა. არ მოუწყენია. სხვა ფილმებსაც ვნახავდი, ამნაირსო, გაიფიქრა.

კინოთეატრიდან გამოვიდა, სავაჭრო უბანში გაიარა, ისევ იმ კაფეში შევიდა, რომელსაც წინა ღამით ესტუმრა. ახსოვდა მეპატრონეს. ჰომინო იმავე სავარძელზე მოკალათდა და ყავა შეუკვეთა. ახლაც ერთადერთი მომხმარებელი იყო. ამჯერად სიმებიან ინსტრუმენტზე შესრულებული მუსიკა ჟღერდა.

– ჰაიდნის პირველი ჩელოს კონცერტია. პიერ ფორნიე ასრულებს სოლოს. – აუხსნა მეპატრონემ, როცა ყავა მიართვა.

– ბუნებრივი ხმებია.

– ჰო, არა? პიერ ფორნიე ჩემი უსაყვარლესი მუსიკოსია. ჩინებულ ღვინოსა ჰგავს, მის შესრულებას არომატი და მატერია აქვს, რომელიც გათბობს და გამხნევებს. მე მას ყოველთვის მაესტრო ფორნიეს ვუწოდებ მოწიწებით. პირადად არ ვიცნობ, რა თქმა უნდა, მაგრამ ყოველთვის საკუთარ აღმზრდელად მიმაჩნდა.

ფორნიეს მორაკრაკე, დიდებული ჩელოს მოსმენის დროს ჰომინოს ბავშვობა მოაგონდა. ყოველდღე მდინარეზე სათევზაოდ დადიოდა. იმ დროს არაფერი აწუხებდა, არაფერი აღელვებდა. ცხოვრობდა, უბრალოდ, უპრობლემოდ. თანდათან ცხოვრება შეიცვალა.

ცხოვრებამ არარაობად აქცია. საოცარია... ადამიანები იმიტომ იბადებიან, რომ იცხოვრონ, არა? მაგრამ რაც მეტს ვცხოვრობ, უფრო ვცარიელდები, ფასი მეკარგება. აქ რაღაც პრობლემაა. ცხოვრება ასე არ უნდა შეიცვალოს. ნეტა მიმართულების ცვლა შეიძლება?

– უკაცრავად. – გასძახა ჰომინომ მეპატრონეს.

– რით შემიძლია დაგეხმაროთ?

– თუ გცალიათ, ვისაუბროთ, მინდა მეტი გავიგო ამ ჰაიდნის შესახებ.

მეპატრონემ სიამოვნებით ჩაუტარა პატარა ლექცია ჰაიდნის შესახებ, მის პიროვნებასა და მუსიკაზე უამბო ჰომინოს. თავშეკავებული კაცი იყო, მაგრამ კლასიკურ მუსიკაზე საუბრის დროს ენაწყლიანი ხდებოდა. აუხსნა, როგორ იქცა ჰაიდნი დაქირავებულ მუსიკოსად, როგორ ემსახურებოდა სხვადასხვა ბატონს ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე და როგორ შექმნა უთვალავი კომპოზიცია დაკვეთით. მისი თქმით, ჰაიდნი პრაქტიკული, თავაზიანი, მოკრძალებული და კეთილშობილი კაცი იყო, მაგრამ, თან რაღაც ბნელსაც მალავდა საკუთარ თავში.

– ჰაიდნი ენიგმატური ფიგურა იყო. ადამიანებმა არ უწყიან, თუ რა მძლავრი პათოსი იყო მასში. ფეოდალური ეპოქის პირმოთ თავის „მეს“ მალავდა და სხვებს მხოლოდ მხიარულ, ბედნიერ მხარეს უჩვენებდა. სხვაგვარად დაინგრეოდა. ბევრი მის პიროვნებასა და მუსიკას ბახსა და მოცარტს ადარებს. ხანგრძლივ ცხოვრებაში ის ნოვატორად რჩებოდა, მაგრამ ავანგარდისტი არასდროს ყოფილა. თუმცა, თუ ყურადღებით მოვისმენთ მის მუსიკას, ახალი ეპოქის მიმალულ გულისცემასაც გავიგონებთ. ჰაიდნის მუსიკაში ფეთქავს შორეული ექო, წინააღმდეგობებით სავსე. ამ აკორდს მოუსმინეთ. გესმით? ძალიან ხმადაბალია, არა? მაგრამ მას უდრეკი, სულში ჩამწვდომი ხასიათი აქვს და აღსავსეა დამყოლი, ახალგაზრდული ცნობისმოყვარეობით.

– როგორც ფრანსუა ტრიუფოს ფილმები.

– სწორედაც! – სიხარულით შესძახა მეპატრონემ და ანგარიშიუცემლად ჰომინოს მხარზე ხელი დაჰკრა, – კარგად აღნიშნე! ტრიუფოსთანაც ეს სულისკვეთებაა.

და მერე რამდენიმე წამით ადრე წარმოთქმული ფრაზა გაიმეორა:

– მას უდრეკი, სულში ჩამწვდომი ხასიათი აქვს და აღსავსეა დამყოლი, ახალგაზრდული ცნობისმოყვარეობით.

როცა ჰაიდნის კონცერტი დასრულდა, ჰომინომ სთხოვა კაფეს მეპატრონეს, რუბინშტეინის, ხეიფეცის და ფოიერმანის მიერ შესრულებული ტრიო «ერცჰერცოგი» კიდევ ერთხელ გაეჟღერებინა. ვიდრე ამ კომპოზიციას უსმენდა, ფიქრებში ჩაიძირა.

– ჯანდაბას, მოხდეს, რაც მოსახდენია! – გადაწყვიტა ბოლოს და ბოლოს, – სიცოცხლის ბოლომდე ბატონი ნაკატას მიმდევარი ვიქნები. ეშმაკსაც წაუღია ის სამსახური!

შვიდ საათზე ტელეფონის ზარი მადვიძებს. სიზმრად გამოქვაბულში ხელში ფანრით რაღაცას ვეძებდი სიბნელეში. გამოქვაბულის გარედან ვიღაც მეძახის. ეს ხმა მკაფიო არ არის. მეც ვეძახი, მაგრამ იმ ვიღაცას არ ესმის. ის ისევ და ისევ მეძახის. უგულოდ ვდგები და გასასვლელისკენ მივდივარ. ცოტაც და ვიპოვი-მეთქი, ვნაღვლობ. თუმცა დარწმუნებული ვარ, არ მიპოვია. მერე კი მეღვიძება. აქეთ-იქით ვიყურები, გონებას ვძაბავ. ვხვდები, ტელეფონი რეკავს, მაგიდა ბიბლიოთეკის რეგისტრატურის მაგიდასთან დგას. ფარდებიდან კაშკაშა მზე ანათებს. საეკი ჩემ გვერდით აღარ წევს.

ვდგები საწოლიდან და მაისურითა და შორტებით მივტანტალებ ტელეფონისკენ. დრო მჭირდება იქამდე მისასვლელად, მაგრამ ტელეფონი რეკვას არ წყვეტს.

– გისმენთ.

– გეძინა? – ოშიმია.

– ჰო.

– მაპატიე, ასე ადრე რომ გაგაღვიძე დასვენების დღეს, მაგრამ პრობლემა შეგვექმნა.

– პრობლემა?

– ამის შესახებ მერე მოგიყვები, ჯობია, მანდ დიდხანს არ დარჩე. მალე უნდა გავიდეთ, ამიტომ შენი ნივთები მოაგროვე. როცა მოვალ, ავტოსადგომზე გამოდი და მანქანაში ისე ჩაჯექი, რომ არაფერი მკითხო, კარგი?

– კარგი.

ოთახში ვბრუნდები და ჩემს ნივთებს ვალაგებ. აჩქარება საჭირო არ არის, ისედაც 5 წუთის საქმე მაქვს. აბაზანაში გაფენილ სარეცხს ვხსნი, ტუალეტის ნივთებს თავს ვუყრი, წიგნებსა და დღიურს ზურგჩანთაში ვდებ, ვიცვამ და საწოლს ვალაგებ. ზეწრებს ვასწორებ, ვაბუებ ბალიშებს და გადასაფარებელს ვაფარებ. წინა ღამის ყველანაირ კვალს ვშლი. სკამზე ვჯდები და საეკიზე ვფიქრობ, რომელიც რამდენიმე საათის წინ ჩემთან იყო. დრო მაქვს სიმინდის ბურბუშელას საჭმელად. ჯამსა და კოვზს ვრეცხავ და ვინახავ. კბილებს ვიხეხავ და პირს ვიბან. სარკეში ვიხედები, როცა «მიატა» ავტოსადგომზე ჩერდება.

მიუხედავად იმისა, რომ მშვენიერი ამინდია, ოშიმას კაბრიოლეტისთვის თავი არ აუხდია. ზურგჩანთას ვიკიდებ, მანქანასთან მივდივარ და სავარძელზე ვჯდები. ოშიმა ახლაც მანქანის უკანა ნაწილზე ამაგრებს ჩემს ზურგჩანთას. არმანის სტილის სათვალე უკეთია, ზოლიანი

ტილოს პერანგი, თეთრი ჯინსი და ლურჯი დაბალყელიანი «კონვერსის» კედები აცვია. ჩვეულებრივი ტანსაცმელია. მე ლურჯ კეპს მიწვდის, რომელსაც North Face-ის ლოგო ახატია.

– ქუდი სადღაც დავკარგეო, არ მითხარი? ეს გქონდეს. ცოტათი დაგიფარავს სახეს.

– გმადლობ. – კეპს ვიხურავ.

ოშიმა მაკვირდება და თავს მიქნევს.

– სათვალეც გაქვს, არა?

თავს ვუქნევ, ჯიბიდან «რევოს» ცისფერ სათვალეს ვიღებ და ვიკეთებ.

– მაგარია, ახლა კეპი შეატრიალე.

ასეც ვიქცევი.

ოშიმა ისევ თავს მიქნევს.

– დიდებულია, რეპერს ჰგავხარ, წესიერი ოჯახის შვილს.

პირველ სიჩქარეში აგდებს, ფრთხილად აწვება გაზს და მანქანას ადგილიდან ძრავს.

– სად მივდივართ?

– სადაც ადრე ვიყავით.

– კოჩის მთებში?

ოშიმა თავს მიქნევს.

– ჰო. წინ ისევ გრძელი გზა გვიდევს.

მუსიკას რთავს. მოცარტის მხიარული ნაწარმოებია, ორკესტრი ასრულებს. აქამდეც მომისმენია. მგონი, Posthorn Serenade უნდა იყოს.

– მოგბეზრდა მთები?

– არა, მომწონს იქ. სიჩუმეა და შემოიძლია, დიდხანს ვიკითხო.

– კარგია.

– რაო, რას ამბობდი, რა პრობლემა შეგვექმნაო?

ოშიმა გვერდითა საარკიდო პირქუშად მიყურებს, შემდეგ ისევ წინ იყურება.

– პირველი პრობლემა ისაა, რომ პოლიცია ისევ დამიკავშირდა. ღამით დამირეკეს. როგორც ჩანს, შენი პოვნის საქმეს სერიოზულად მოჰკიდეს ხელი.

– მაგრამ ალიბი რომ მაქვს?

– ჰო, მყარი ალიბი გაქვს. მკვლელობის დღეს სიკოკუზე იყავი. ამაში ეჭვი არც შეჰპარვიათ. ვარაუდობენ, რომ შეთქმულებაში მონაწილეობდი.

– შეთქმულებაში?

– შესაძლოა, თანამზრახველი გყავდა.

თანამზრახველი? თავი გავაქნიე.

– საიდან დაასკვნეს?

– ამას არ ახმაურებენ. თვითონ გაგწურავენ, მაგრამ შენ თუ მოინდომებ, რამე ჰკითხო, სიტყვას ბანზე აგიგდებენ. ამიტომ მთელი დამე ონლაინ ვიყავი, ინფორმაციას ვეძებდი. იცი, რომ ამ საქმის შესახებ უკვე რამდენიმე ვებ-საიტი შეიქმნა? ძალიან პოპულარული ხარ. მოხეტიალე პრინცი, რომელსაც პასუხები აქვს.

მხრები ავიჩეჩე. მოხეტიალე პრინცი?!

– ინტერნეტში განთავსებული ინფორმაციის მიხედვით, ძნელია ფაქტების განსხვავება მონაჩმახისგან, მაგრამ ეს აზრი შეიძლება გამოიტანო: პოლიციამ ძებნა გამოაცხადა დაახლოებით 60 წლის კაცზე. იმ დამით, მკვლელობა რომ მოხდა, ის ნოგატას სავაჭრო უბანთან ახლოს მდებარე პოლიციის განყოფილებაში გამოცხადდა და აღიარა, რომ უბანში ვიღაც მოკლა. თქვა, დავჭერიო, მაგრამ იმდენ სისულელეს რომავდა, ახალგაზრდა პოლიციელმა გიჟად მიიჩნია და ისე გაუშვა, ჩვენება არც ჩამოურთმევია. რა თქმა უნდა, როცა მკვლელობის საქმე აღიძრა, პოლიციელი მიხვდა საკუთარ შეცდომას. მას არც მოხუცის სახელი ჰქონდა ჩანიშნული, არც მისამართი, უფროსობას ეს რომ გაეგო, ცუდ დღეში ჩავარდებოდა, ამიტომ გაჩუმება არჩია. მაგრამ რაღაც მოხდა, რა – წარმოდგენა არა მაქვს, და მთელ ამ ისტორიას ნათელი მოეფინა. პოლიციელი, რა თქმა უნდა, დაისაჯა. საცოდავი, ამ ლაქას ვედარასოდეს ჩამოირეცხავს.

ოშიმა სიჩქარეს ცვლის და თეთრ «ტოიოტა ტერცელს» უსწრებს. მერე ისევ საკუთარ სავალ ზოლს უბრუნდება.

– პოლიციამ იმ მოხუცის პიროვნება დაადგინა. ბევრი არაფერი იციან, გონებრივი პრობლემები უნდა ჰქონდეს. სერიოზული არაფერი, ცოტა ვერ უნდა იყოს. სოციალური შემწეობით და ნათესავების დახმარებით ცხოვრობს. თავისი საცხოვრებელი ბინიდან გაუჩინარებულა. პოლიცია თვალს ადევნებს მის მოძრაობას, ფიქრობენ, რომ ავტოსტოპით მიემართება სიკოკუსკენ. საქალაქთაშორისო ავტობუსის მძღოლი ამბობს, რომ მის ავტობუსს კობედან გამოჰყვა. მხოლოდ იმიტომ გაიხსენა, რომ უცნაური მეტყველება ჰქონია, სისულელეებს ამბობდაო. ვიღაც ოცდახუთიოდე წლის ბიჭთან ერთად უმგზავრია. ტოკუსიმას სადგურში ჩასულა ორივე. პოლიციამ ის სასტუმროც იპოვა, სადაც გაჩერდნენ. სასტუმროს მეპატრონის განცხადებით, ტაკამაცუსკენ გაჰყვნენ მატარებელს. შენი და მოხუცის მარშრუტი ერთმანეთს ემთხვევა, ორივენი ნაკანოდან წამოხვედით და პირდაპირ ტაკამაცუსკენ გამოემართეთ. დამთხვევაც ამას ჰქვია. პოლიციაც დაეჭვდა და მიიჩნია, რომ ორივემ ერთად დაგეგმეთ მკვლელობა. ახლა ქალაქისკენ ნაციონალური პოლიციის სააგენტოს თანამშრომლები მოემართებიან და საქმეს ხელს ისინი მოჰკიდებენ. შენს ბიბლიოთეკაში გადამალვას ვეღარ შევძლებთ, ამიტომ ვიფიქრე, რომ, ჯობია, ერთხანს მთებში გადავიძალო.

– გონებრივი პრობლემების მქონე მოხუცი ნაკანოდან?

– ვინმე გაგონდება?

– არა. – თავი გავაქნიე.

– შენთან ახლო ცხოვრობდა, თურმე. თხუთმეტი წუთის სავალზე.

– ჰო, მაგრამ ნაკანოში ათასობით ადამიანი ცხოვრობს. ისიც კი არ ვიცი, გვერდით ვინ ცხოვრობს.

– კიდეც არის რაღაც, – მეუბნება ოშიმა და შემომყურებს, – სწორედ მან გამოიწვია სარდინისა და სკუმბრიის წვიმა ნოგატას სავაჭრო უბანში. პოლიციაში იწინასწარმეტყველა, ციდან უამრავი თევზი ჩამოცვივდებოდა, ერთი დღით ადრე, ვიდრე ეს ამბავი მართლა მოხდებოდა.

– გამაოგნებელია!

– ჰო, არა? იმავე საღამოს, წურბელები ჩამოცვივდნენ ფუჯიგავას დასასვენებელ ზონაში, ტომეის გზატკეცილზე. გახსოვს?

– ჰო.

– პოლიციას მხედველობის არიდან არც ეს გამორჩენია. ფიქრობენ, რომ ამ მოვლენებსა და იმ მოხუცს შორის რაღაც კავშირი უნდა იყოს. ყველაფერი უცნაურად დაიწყო და კიდეც უფრო უცნაური ხდება. არავის შეუძლია განჭვრეტა, კიდეც რა შეიძლება მოხდეს. თუმცა ერთი რამ კი ცხადია. ყველაფერი აქ მოიყრის თავს. იმ მოხუცისა და შენი გზები გადაიკვეთება.

თვალდახუჭული ვუსმენ ძრავას ხმას.

– იქნებ ჯობდეს, რომელიმე სხვა ქალაქში წავიდე? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, არ მინდა, შენ და ქალბატონ საეკის პრობლემები შეგექმნათ.

– მაგრამ სად წახვალ?

– არ ვიცი. მაგრამ სადგურში თუ მიმიყვან, რამეს მოვიფიქრებ. მნიშვნელობა არა აქვს, სად წავალ.

ოშიმამ ამოისუნთქა.

– არა მგონია, ჭკვიანური აზრი იყოს. სადგური პოლიციელებით იქნება სავსე, ყველა მაღალ, 15 წლის ზურგჩანთამოკიდებულ ბიჭს დაეძებს.

– მერე სხვა სადგურში ვერ წამიყვან, სადაც არ იქნებიან?

– რა განსხვავებაა. ბოლოს მაინც ჩაგავლებენ.

არაფერს ვამბობ.

– მისმინე, ორდერი არ გამოუწერიათ შენს დაკავებაზე. ყველაზე სასურველ ძებნილებს შორის არა ხარ, გესმის?

თავი დავუქნიე.

– რაც იმას ნიშნავს, რომ ჯერ კიდევ თავისუფალი ხარ. ასე რომ, არავის ნებართვა არ მჭირდება შენს წასაყვანად. კანონს არ ვარღვევ. მე შენი ნამდვილი სახელიც კი არ ვიცი, კაფკა. ნუ დარდობ ჩემზე. საკმაოდ წინდახედული ადამიანი ვარ, ასე ადვილად ვერავინ გამტეხს.

– ოშიმა.

– ჰო.

– სხვასთან ერთად არაფერი დამიგეგმავს. მამაჩემის მოკვლა რომ მნდომოდა, ამას სხვას არ ვთხოვდი.

– ვიცი.

წითელზე აჩერებს, გვერდითა სარკეს ასწორებს, ლიმონის კანფეტს იღებს პირში და მეც მთავაზობს. უარს არ ვამბობ.

– კიდევ რა?

– რას გულისხმობ? – მეკითხება ოშიმა.

– ეგ პირველი პრობლემა და მეორე? რატომ უნდა წავიდე მთაში? მეორე მიზეზიც ხომ არსებობს?

ოშიმა წითელ შუქს შეჰყურებს, არ იცვლება.

– პირველ მიზეზთან შედარებით მეორე არც ისე მნიშვნელოვანია.

– მაინც მითხარი.

– ეს ქალბატონ საეკის ეხება, – როგორც იქნა, მწვანე ინთება და გაზს აწვება, – მასთან წევხარ, არა?

არ ვიცი, რა ვუპასუხო.

– ნუ დელავ, არ გადანაშაულებ. ასეთი რამ ჩემს თვალს არ გამოეპარება. ის შესანიშნავი ადამიანი და ძალიან მიმზიდველი ქალია. ყველანაირად განსაკუთრებულია. მართალია, შენზე ბევრად უფროსია, მაგრამ მერე რა? მესმის, რატომ გიზიდავს. თუ მასთან სექსი გინდა, რატომ არ უნდა გქონდეს? მასაც უნდა? ძალიანაც კარგი. ეგ არ მაწუხებს. თუ თქვენ ასე გინდათ, მე ვინ მეკითხება? – ოშიმა პირში ლიმონის კანფეტს ათამაშებს, – მაგრამ ვფიქრობ, ცოტა ხნით შორი-შორ ყოფნა არ გაწყენდათ. რა თქმა უნდა, ნაკანოში დატრიალებული ამბების გამო არა...

– კი მაგრამ, რატომ?

– ახლა ისეთ მდგომარეობაშია...

– როგორში?

– ქალბატონი საეკი... – იწყებს და ვედარ აგრძელებს. – იმის თქმას ვცდილობ, რომ... კვდება. დიდი ხანია, ვგრძნობ.

სათვალე ავიწიე და გაკვირვებულმა შევხედე. პირდაპირ იყურება. კოჩის გზატკეცილზე გადავუხვით. ამჯერად, საოცარია, მაგრამ სიჩქარისთვის არ გადაუჭარბებია, «ტოიოტა სუპრამ» გაგვისწრო.

– კვდებაო, რომ ამბობ... უკურნებელი სენი აქვს? კიბო, ლეიკემია ან რამე ასეთი?

თავი გააქნია.

– მისი ჯანმრთელობის შესახებ არაფერი ვიცი. შეიძლება მართლაც ასეა. იქნებ მართლა ავადაა? მე უფრო რაღაც ფსიქოლოგიური მგონია. სიცოცხლის სურვილთან დაკავშირებული.

– შენი აზრით, სიცოცხლე აღარ უნდა?

– მგონი. ცხოვრების გაგრძელების სურვილი აღარა აქვს.

– ფიქრობ, თავის მოკვლას აპირებს?

– არა მგონია. ძალიან ჩუმად, მტკიცედ მიემართება სიკვდილისკენ. ან სიკვდილი მოემართება მისკენ.

– როგორც მატარებელი მიემართება სადგურისკენ?

– რაღაც ამგვარი, – ოშიმას ტუჩები აუკანკალდა, – მაგრამ, როცა შენ გამოჩნდი, კაფკა, კიტრივით ქორფა და კაფკასავით იღუმალი, ერთმანეთი მიიზიდეთ და, კლასიკური გამოთქმა რომ ვიხმარო, თქვენ შორის ძაფები გაიბა.

– მერე?

ოშიმამ ორივე ხელი გაუშვა საჭეს.

– ეგ არის, რა.

თავი გავაქნე.

– მგონი, სიკვდილის მატარებელი გგონივარ.

ოშიმა დიდხანს არაფერს ამბობს.

– ჰო, ასეა. სწორედ ასეა.

– მე ვაიძულებ, მოკვდეს?

– ამაში შენ არ გადანაშაულებ. მგონი, ასე ჯობია.

– რატომ?

ამაზე პასუხს არ მაძლევს, თითქოს დუმილით მანიშნებს, პასუხი თვითონ უნდა იპოვოს. ანდა, იქნებ მეუბნება, პასუხი იმდენად ცხადია, დაფიქრებაც არ სჭირდებაო. უკან ვიწევი, თვალებს ვხუჭავ და ვდუნდები.

– ოშიმა.

– რა იყო?

– აღარ ვიცი, რა ვქნა. ისიც არ ვიცი, საით მივდივარ. რა არის სწორი და რა – არასწორი, გზა უნდა განვაგრძო თუ მოვტრიალდე. არაფერი ვიცი. სულ არაფერი.

ოშიმა ჩუმადაა. პასუხის გაცემას არ აპირებს.

– უნდა დამეხმარო. რა უნდა ვქნა?

– არაფრის გაკეთება არ გჭირდება.

– არაფრის?

თავი დამიქნია.

– ამიტომ მიმყავხარ მთაში.

– იქ რა უნდა ვაკეთო?

– ქარს დაუგდე ყური. მეც ყოველთვის ასე ვიქცევი.

ამაზე დავფიქრდი.

ხელს ხელზე მადებს.

– ყველაფერში თავს ნუ დაიდანაშაულებ. ბევრი რამ არ არის შენზე დამოკიდებული, ამიტომ არც შენი ბრალია და არც ჩემი. არც წინასწარმეტყველებების ბრალია, არც წყევლის, არც გენეტიკური კოდის, არც აბსურდის, არც სტრუქტურალიზმის ან მესამე ინდუსტრიული რევოლუციის. ჩვენ ყველანი ვკვდებით და ვქრებით, სწორედ იმიტომ, რომ სამყაროს მექანიზმი დესტრუქციასა და დანაკარგზეა აწყობილი. ჩვენი ცხოვრება მხოლოდ და მხოლოდ ამ მექანიზმის ანარეკლია. აი, მაგალითად, ქარი ავიღოთ. ქარი შეიძლება ძლიერიც იყოს, ქარბორბალადაც იქცეს და საამურ სიოდაც. მაგრამ ყველა ტიპის ქარი კვდება და ქრება. ქარს ფორმა არა აქვს. ის ჰაერის მოძრაობაა. მას ყურადღებით უნდა მოუსმინო და მეტაფორას გაშიფრა.

მეც ჩავკიდე ხელი. ნაზი და თბილი აქვს. გლუვი, ასექსუალური, გრაციოზული ხელი.

– ფიქრობ, რომ ახლა, ჯობია, ქალბატონი საეკისგან თავი შორს დავიჭირო?

– ასე მგონია. ვფიქრობ, ეს საუკეთესო გამოსავალია ამ ეტაპზე. დრო მივცეთ. ის ჭკვიანია და ამტანი. ყველაფერს თვითონ გადაწყვეტს დამოუკიდებლად.

– მე მხოლოდ ბავშვი ვარ, რომელიც ფეხებში ებლანდება, არა?

– არა. ამის თქმა არ მინდოდა. ასე სულაც არ არის. შენ შენი მისია შეასრულე. ორივესთვის მნიშვნელოვანი რამ გააკეთე. დანარჩენი მას მიანდე. შესაძლოა, ეს სასტიკად ჟღერდეს, მაგრამ ახლა ვერაფერს გახდები. ჯობია, მთაში ახვიდე და საკუთარ თავთან დარჩე. დროა.

– საკუთარ თავთან დავრჩე?

– უბრალოდ, ყურადღებით იყავი, კაფკა. სამყაროს ყური დაუგდე. წარმოიდგინე, რომ მოლუსკი ხარ.

36

ჰომინო რომ სასტუმროში დაბრუნდა, ნაკატას, რასაკვირველია, ისევ ეძინა. პარკი, რომელშიც პური და ფორთოხლის წვენი კოლოფი ეწყო, ხელუხლებელი იყო. მოხუცს ოდნავადაც არ ეცვალა გვერდი, ალბათ საერთოდ არ გაღვიძებია. ჰომინომ საათები გადაითვალა. წინა დღით ორი საათისთვის ჩაეძინა, მას შემდეგ სრული 30 საათი იყო გასული. ნეტა რა დღეაო, გაიფიქრა ჰომინომ. სათვალავი სულ არეოდა. ჩანთიდან ბლოკნოტი ამოიღო და შეამოწმა. „ტოკუსიმაში შაბათს ჩამოვედით კობედან, ორშაბათამდე იძინა ნაკატამ, ორშაბათს ტოკუსიმადან ტაკამაცლში ჩამოვედით, ხუთშაბათს ქვისა და ჭექა-ქუხილის ამბები დატრიალდა და იმავე შუადღეს დაიძინა. ერთი ღამეც გამოვტოვოთ და... პარასკევი ყოფილა. მოხუცი სიკოკუზე, მგონი, ძილის ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდა“.

ჰომინომ აბაზანა მიიღო, ტელევიზორს უყურა ცოტა ხანს, მერე ლეიბზე დაწვა. ნაკატა თანაბრად სუნთქავდა, ისევ ეძინა. დაიკიდე რა, გაიფიქრა ჰომინომ, დინებას მიჰყევი, იძინოს, რამდენიც უნდა, საშიში არაფერია. თვითონაც ჩაეძინა თერთმეტის ნახევრისთვის. ხუთზე ჩანთაში ჩაგდებული მობილურის ზარმა გამოაღვიძა. ნაკატას ისევ ეძინა.

ჰომინომ უპასუხა.

– გისმენთ.

– ბატონო ჰომინო! – კაცის ხმა იყო.

– პოლკოვნიკო სანდერს? – იცნო ხმით.

– დიახ. როგორ მიდის საქმეები?

– ნორმალურად. ეს ნომერი როგორ გაიგეთ? მე არ მომიცია. თან გამორთული მქონდა, რომ იმ კლოუნებს სამსახურიდან არ დაერეკათ და არ შევეწუხებინე. როგორ დამირეკე? ნუ მაშინებ, რა.

– როგორც გითხარი, მე არც ღმერთი ვარ, არც ბუდა, არც ადამიანი. მე სულ სხვა რამ ვარ – კონცეფცია. ასე რომ, შემიძლია, უნაგირზეც დაგირეკო და ტორტის ნაჭერზეც. მნიშვნელობა არა აქვს, ჩართული გექნება თუ გამორთული, მეგობარო. ასეთ წვრილმანებზე აღელვება არ ღირს, გესმის? შემიძლო, შენს საწოლთან გავჩენილიყავი, მაგრამ შეშინდებოდი.

– კარგია, რომ მიხვდი.

– ამიტომაც დაგირეკე. კარგი მანერები მაქვს, ბოლოს და ბოლოს.

– ვაფასებ ამას. კარგი, შენ ის მითხარი, ქვას რა უნდა ვუყოთ? მე და ნაკატამ მისი გადაბრუნება მოვახერხეთ და შესასვლელი გაიღო, ისეთი ჭექა-ქუხილი დაიწყო, თავი ჯოჯოხეთში მეგონა, ქვა კი ტონას იწონიდა. ჰო, მართლა, ნაკატაზე ჯერ არაფერი მითქვამს. მასთან ერთად ვმოგზაურობ.

– ყველაფერი ვიცი ბატონი ნაკატას შესახებ, ახსნა-განმარტებები საჭირო არ არის.

– იცნობ? კარგია... მას შემდეგ ნაკატამ ზამთრის ძილს მისცა თავი, ქვა კი ისევ აქაა. როგორ ფიქრობ, დროა, ტაძარში დავაბრუნოთ? არ დავიწყებლოთ, უნებართვოდ რომ წამოვიღე.

– არ იშლი, არა, შენსას? რამდენჯერ უნდა გითხრა, რომ არ დაიწყებლები? – გაღიზიანებით წარმოთქვა ეს სიტყვები, – ჯერ თან გქონდეთ ქვა. რადგან გააღეთ, თქვენვე უნდა დახუროთ. მერე შეგიძლია დააბრუნო. მაგრამ ჯერ დრო არ დამდგარა. შეიგნე? შევთანხმდით?

– კი, გავიგე, რაც გაიღო, უნდა დაიხუროს. რაც აიღე, უკან უნდა დააბრუნო. გასაგებია! გადავწყვიტე, ბევრი აღარ ვიფიქრო. რასაც გინდა, ვიზამ. გუშინ თითქოს გამოცხადება მქონდა. აბსურდულ მოვლენებზე სერიოზულად ფიქრი დროის ფლანგვაა.

– ბრძნული გადაწყვეტილება მიგიღია. ნათქვამია, ცუდად ფიქრს ისა სჯობია, რომ სულ არ იფიქრო.

– ეგრეა.

– ჭკვიანურია, არა?

– ეს გაგიგია? მხცოვანი მსახურთუხუცესი ხუცესის ჯვალოს ეომებოდაო?

– ეგ რაღა ჯანდაბაა?

– ენის გასატეხია. მე მოვიგონე.

– და რას ნიშნავს?

– არც არაფერს. გამახსენდა.

– ამ სისულელეების დრო არ არის. უგუნურება ისედაც მაღიზიანებს! ასე რომ, ჭკუიდან ნუ შემშლი.

– მაპატიე. რატომ დამირეკე? ასეთ დროს ტყუილად გამაღვიძე?

– სულ გადამავიწყდა! მინდა, ამ წამსვე დატოვოთ ეგ სასტუმრო. ნურც ისაუზმებთ! გააღვიძე ბატონი ნაკატა, ქვა აიღე და წადი. ტაქსი ქუჩაში გააჩერე, გამოძახების დრო არ არის. მთავარ გზატკეცილზე გადი და რომელიმე გააჩერე. მძღოლს ეს მისამართი მიეცი. მიდი ჩაიწერე.

– მოიცა, – ჰოშინომ კალამი და უბის წიგნაკი ამოიღო ჩანთიდან, – უბის წიგნაკი და კალამი მოვიმარჯვე, აბა...

– მორჩი მაგ სისულელეებს! – დაიღრიალა პოლკოვნიკმა სანდერსმა, – ხუმრობის დროა? წუთის დაკარგვაც არ შეიძლება.

– კარგი... კარგი... გისმენ.

პოლკოვნიკმა სანდერსმა მისამართი უკარნახა, ჰოშინომ ჩაიწერა და გაიმეორა, ხომ სწორად ჩავიწერეო: ბინა 308, ტაკამაცუს პარკის მაღლობი 16-15, მესამე კვარტალი.

– სწორია, – დაეთანხმა პოლკოვნიკი სანდერსი, – შესასვლელ კართან, შავი ქოლგების ჩასაწყობი ვედროს ქვეშ დაგხვდებათ გასაღები. კარი გააღე და შედი. რამდენ ხანსაც გინდათ, შეგიძლიათ დარჩეთ. საჭმელი და სხვა საჭირო ნივთები იქვეა და გარეთ გასვლა, ჯერჯერობით მაინც, არ დაგჭირდებათ.

– შენი სახლია?

– ჰო. ჩემი არ არის. ვიქირავე. თავი იგრძენით, როგორც საკუთარ სახლში. თქვენთვის დავიქირავე.

– პოლკოვნიკო...

– დიახ.

– რომ მითხარი, არც ღმერთი ვარ, არც ბუდა, არც ადამიანიო, გახსოვს?

– ჰო. ასეა.

– ასე რომ, არა მგონია, ამ სამყროს ეკუთვნოდე.

– მართალი ხარ.

– აბა, როგორ შეძელი ბინის დაქირავება? ადამიანი არა ხარ, საბუთები არა გაქვს, რომელიც უძრავი ქონების დასაქირავებლად გჭირდება, ალბათ არც ჩაწერილი ხარ სადმე, არც დარეგისტრირებული, არც შემოსავალი გაქვს, არც ბეჭედი და არც ბეჭდის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი. უამისოდ კი არავინ არაფერს მოგაქირავებდა. მატყუებ? ჩემი გაცურება ხომ არ გინდა? იქნებ ფოთლები შენი მაგიით ბეჭდად აქციე? არა, ასეთ შარში თავის გაყოფა არ მინდა.

– არაფერი არ გესმის, არა? – პოლკოვნიკმა, მგონი, სიმწრისგან ენაც კი მოიკვნითა, – ისედაც დიდ შარში ხარ გახვეული. ტვინის მაგივრად ჩალა გიყრია, შე კრეტინო? რა ფოთლები? ვინ გგონივარ? შენ მე მაჩვი ხომ არ გგონივარ? მე ვარ კონცეფცია, გესმის? კონ-ცეფ-ცი-ა! კონცეფცია და მაჩვი ერთი და იგივე არ უნდა იყოს, არა? რა სისულელეებს როშავ, მაინც... გგონია, რომ უძრავი ქონების სააგენტოში მე თვითონ მივედი, იქ რაღაც საბუთები შევაგვე და ფასზეც შევევაჭრე? სასაცილოა! მდივანი მყავს, რომელიც ასეთ საქმეებს აგვარებს. ის უყრის თავს საჭირო დოკუმენტებს ერთად. რა გეგონა მაინც?

– მდივანიც გყოლია.

– რა თქმა უნდა, მყავს! ვინ გგონივარ, მართლა და მართლა? ვიღაცაში გეშლები. მე საქმიანი კაცი ვარ, ვითომ რატომ არ უნდა მყავდეს მდივანი?

– კარგი, კარგი, რამ გაგაწიწმატა? დამშვიდდი. იცი, რა მითხარი? რა საჭიროა თავქუდმოგლეჯილი გაქცევა? ვისაუზმებთ მაინც. კუჭი მიხმება, ბატონ ნაკატას კი თვალის არ გაუხელია ჯერ. და არა მგონია, მისი გაღვიძება შევძლო.

– მომისმინე კარგად. არ გეხუმრები. პოლიცია მთელ ქალაქში დაგებებთ. პირველ რიგში დღეს სასტუმროებს და მოტელებს გადაჩხრეკენ, ყველას დაკითხავენ. ორივეს გარეგნობა იციან. მხოლოდ დროის საკითხია თქვენი პოვნა. თქვენი გამორჩევა რთული არ არის. ასე რომ, დასაკარგი წუთიც არ გაქვთ.

– პოლიციელები? მაცალე, დავფიქრდე! ცუდი არაფერი ჩაგვიდენია. მართალია, ადრე რამდენიმე მოტოციკლი გავიტაცე სწავლის დროს, მაგრამ მართო გასასეირნებლად, არც გასაყიდად მინდოდა, არც არაფერი, მერე უკან დავაბრუნე. მას შემდეგ კანონი არ დამირღვევია. ალბათ ყველაზე ცუდი საქციელი, რაც კი ჩამიდენია, იმ ტაძრიდან ამ ქვის წამოღებაა... ეგეც შენ მითხარი.

– ქვასთან არაფერ კავშირშია, – პოლკოვნიკ სანდერსს კატეგორიული ტონი ჰქონდა, – ზოგჯერ რა შტერი ხარ! დაივიწყე ეს ქვა! პოლიციამ არაფერი იცის მის შესახებ და კიდევ რომ იცოდეს, არ დაინტერესდება. ისინი რაღაც ქვის გამო კარდაკარ სიარულს არ დაიწყებენ. საქმე უფრო სერიოზულადაა.

– რას გულისხმობ?

– ბატონ ნაკატას დაეძებენ.

– არ მესმის. უკანასკნელი ადამიანია ამქვეყნად, ვისზეც ეჭვი მიტანა შეიძლება. დანაშაულს ვერ ჩაიდენდა. რაში სდებენ ბრალს? ან რაში შეიძლებოდა გარეუღიყო?

– ამის ახსნის დრო არ არის. მას ჰკითხე. ახლა კი ყველაფერი შენზეა დამოკიდებული. გესმის ჩემი?

– მაინც არაფერი მესმის, – ჰოშინო თავს აქნევდა გაკვირვებისგან, – უაზრობაა რაღაც. შეიძლება მე თანამზრახველად მიმიჩნიონ?

– არა მგონია, მაგრამ დაგკითხავენ. დროს ვაცდენთ. ახლა ამაზე ფიქრის დრო არ არის! ისე მოიქეცი, როგორც გეუბნები.

– მისმინე, რაღაც უნდა გითხრა ჩემ შესახებ. მეზიზღება პოლიციელები. ისინი იაკუძაზე, თავდაცვის ძალებზე ცუდი ტიპები არიან. საშინელებებს სჩადიან. სუსტის წამებაზე მეტად არაფერი უყვართ. არაერთხელ მქონია მათთან საქმე, როცა ვსწავლობდი, სატვირთოების მძღოლი რომ გავხდი, მერეც. ყველაზე ნაკლებად მათთან უთანხმოება მინდა. მათ ვერასდროს აჯობებ, ხვდები, რას ვამბობ? არ მინდა, ამაში გავერიო, გესმის...

მობილური დადუმდა.

– ღმერთო! – ჰოშინომ ღრმად ამოიხვნეშა, მობილური ისევ ჩანთაში ჩააგდო და ნაკატას გაღვიძებას შეუდგა.

– ბატონო ნაკატა! ბაბუ! ხანძარია! ვიძირებით! მიწისძვრაა! რევოლუცია მოდის! გოძილა მოგვდევს! ადექი რა!

ნაკატას გაღვიძებას დიდი დრო დასჭირდა.

– ფაქსი გადავიღე. ნარჩენები დავწვი. არა, კატები არ იღებენ აბაზანას. მე მივიღე აბაზანა. – ბოდავდა ნაკატა.

ჰოშინომ ნაკატა შეანჯღღრია, ცხვირზე უჩმიტა, ყურები აუწია, და ბოლოს და ბოლოს გამოაღვიძა.

– ბატონო ჰოშინო, ეს შენ ხარ?

– მე ვარ, მაპატიე, რომ გაგაღვიძე.

– არა უშავს. ნაკატა მაინც გამოღვიძებას აპირებდა. ნუ დარდობთ. უკვე ყველაფერი გავანადგურე.

– კარგია. რაღაც პრობლემა გვაქვს. ამიტომ აქედან უნდა ავითესოთ.

– ჯონი უოკერს ეხება?

– არ ვიცი. ჩემი კავშირები მაქვს. გამაფრთხილეს, ჯობია, მაგ სასტუმროს გაეცალოთო. პოლიციელები გვეძებენ.

– მართლა?

– ასე მითხრეს. რა შეგემთხვათ შენ და ჯონი უოკერს?

– განა ნაკატამ უკვე არ გითხრათ?

– არა.

– მახსოვს, გითხარით.

– არა, რაც ყველაზე საინტერესო იყო, არ გითქვამს.

– რა მოხდა და ნაკატამ ის მოკლა.

– ლადაობ, არა?

– არა.

– ეშმაკმა დასწყევლოს! – მხოლოდ ეს ამოილულულა ჰომინომ.

ჰომინომ, რაც კი ებადა, ჩანთაში ჩაყარა, ქვა კი ტანსაცმელში გაახვია. ტონას აღარ იწონიდა, არც მსუბუქი იყო, მაგრამ გადაადგილება შეიძლებოდა. ნაკატამ საკუთარი ნივთები ტილოს ჩანთაში ჩააწყო. ჰომინო სასტუმროს თანამშრომელთან მივიდა და უთხრა, რაღაც ამბავი გამობტა და მოულოდნელად გვიწევს გამგზავრებაო. რადგან წინასწარ ჰქონდა გადახდილი ოთახის ღირებულება, დიდი დრო არ დასჭირვებიათ სასტუმროდან ამოსაწერად. ნაკატა ჯერ კიდევ ბარბაცებდა, თუმცა ფეხზე იდგა და სიარული შეეძლო.

– რამდენ ხანს მეძინა?

– დავფიქრდე... – გამოიანგარიშა, – თითქმის ორმოცი საათი.

– მგონი, კარგად მეძინა.

– რა გასაკვირია. თუ ამ რეკორდულად დიდი ხნის ძილის შემდეგ თავს მხნედ ვერ გრძნობ, რაღა აზრი ჰქონია ძილს?! გშია?

– კი ძალიან.

– ცოტა ხანს ვერ მოითმენ? ჯერ აქედან გავიდეთ, რაც შეიძლება სწრაფად. მერე ვჭამოთ.

– კარგი, შემიძლია მოვითმინო.

ჰომინო გზაზე გადასვლაში მიეხმარა და ტაქსი გააჩერა. მძღოლს მისამართი უთხრა, ტაქსისტმა თავი დაუქნია და ადგილს მოსწყდა. ქალაქიდან გავიდა, მთავარ გზას გაუყვა და გარეუბანში შევიდა. უბანი მდიდრული და წყნარი იყო, სრულიად განსხვავდებოდა სადგურის ხმაურიანი უბნისგან, სადაც აქამდე ცხოვრობდნენ. გზაში დაახლოებით 25 წუთი დასჭირდათ.

ისინი ტიპური 5-სართულიანი გაწვრილებული საცხოვრებელი სახლის წინ გაჩერდნენ. ტაკამაცუს პარკის მაღლობიო, იუწყებოდა აბრა, თუმცა პარკი არსად ჩანდა. ლიფტით მესამე სართულზე ავიდნენ, სადაც ჰომინომ გასაღები იპოვა ქოლგების ვედროს ქვეშ. ბინა ოროთახიანი იყო, სამზარეულოთი, მისაღები ოთახით და აბაზანით. ახალთახალს ჰგავდა, ავეჯი თითქმის უხმარი იყო. მისაღებ ოთახში დიდეკრანიანი ტელევიზორი, სტერეოსისტემა, დივანი და სავარძლები იდგა. საძინებელში საწოლები უკვე გაეშალათ. სამზარეულოში ჩვეულებრივი ავეჯი იდგა, თაროებზე თეფშების ნაკრებები, ფინჯნები და ჯამები ეწყო. კედლებზე ჩარჩოში ჩასმული ნახატები ეკიდა. იქაურობა ჰგავდა საჩვენებელ ოთახს, რომელიც მშენებელს ახალი მყიდველებისთვის აქვს ხოლმე მოწყობილი.

– ცუდი არ არის. ხელოვნური იერი აქვს, მაგრამ სუფთა მაინცაა.

– ძალიან ლამაზია. – ნაკატა აღფრთოვანებული ჩანდა.

დიდი თეთრი მაცივარი საჭმლით იყო გამოტენილი, ნაკატამ ბურტყუნით ყველაფერი შეამოწმა, საბოლოოდ რამდენიმე კვერცხი, მწვანე წიწაკა და კარაქი გამოიღო. წიწაკას წყალი გადაავლო, წვრილად დაჭრა და კარაქში მოშუშა. მერე კვერცხი ჯამში ჩატეხა და საჭმელი ჩხირებით ათქვიფა. ტაფა აიღო და ორი მწვანეწიწაკიანი ომლეტი მოამზადა. საჭმელი ტოსტებთან და ცხელ ჩაისთან ერთად მაგიდასთან მიიტანა.

– კარგი მზარეული ყოფილხარ, გაცემული დავრჩი.

– ყოველთვის მარტო ვცხოვრობდი, შეჩვეული ვარ.

– მეც მარტო ვცხოვრობ, მაგრამ ვერაფერს ვამზადებ.

– ნაკატას უამრავი თავისუფალი დრო აქვს, საქმე კი იშვიათად.

ორივემ შეჭამა ტოსტები და ომლეტი. ისევ შიოდათ, ამიტომ ნაკატა სამზარეულოში გავიდა, კარაქში ცოტა ლორი და ისპანახი მოშუშა. ეს კერძიც გახუხულ პურთან ერთად შეჭამეს. სული რომ მოითქვეს, სავარძლებში ჩაიძირნენ და მეორე ფინჯანი ჩაიც დალიეს.

– ე.ი. კაცი მოკალი, არა?

– დიახ, მოკალი. – უთხრა ნაკატამ და დეტალურად მოახსენა, როგორ დაჭრა ჯონი უოკერი სასიკვდილოდ.

– დმერთო ჩემო! რა საზარელი ამბავია! პოლიცია ამას არასდროს დაიჯერებს, მიუხედავად შენი გულახდილობისა. მე მჯერა შენი, მაგრამ ერთი კვირის წინ რომ მოგეთხრო ეს ისტორია, შენთან საქმეს არ დავიჭერდი.

– თვითონაც არაფერი მესმის.

– ნებისმიერ შემთხვევაში, ვიღაც მოკვდა, მკვლელობას კი ვერ მიჩქმალავ. პოლიციაც ძალიან სერიოზულად მიუდგა საქმეს, თუ სიკოკუმდე მოგდიეს.

– ნაკატა წუხს, თქვენც რომ გაგრიათ.

– არ ჩაბარდები?

– არა. – უჩვეულო სიმტკიცით წარმოთქვა ნაკატამ, – უკვე ვცადე, პოლიციას ჩავბარებოდი, მაგრამ ახლა აღარ ვაპირებ. ნაკატას სხვა საქმეებიც აქვს ახლა. სხვაგვარად აქ ჩამოსვლა უაზრობა იქნებოდა.

– შესასვლელი ისევ უნდა დახურო.

– მართალია. რაც ღიაა, უნდა დაიხუროს. ამის შემდეგ ისევ ნორმალური გავხდები. მაგრამ იქამდე ნაკატამ რამდენიმე საქმე უნდა მოაგვაროს.

– პოლკოვნიკი სანდერსი, რომელმაც მითხრა, ქვა სად იყო, დამალვაში გვეხმარება. მაგრამ რატომ? მას ჯონი უოკერთან რამე კავშირი აქვს?

რაც მეტად ცდილობდა ჰომინო კავშირის პოვნას მათ შორის, უფრო იბნეოდა. ჯობს, ამაზე არც დაფიქრდეთ, გადაწყვიტა ბოლოს.

– ნათქვამია, ცუდად ფიქრს ჯობია, სულ არ იფიქრო. – დაასკვნა ხმამაღლა.

– ბატონო ჰომინო.

– რა იყო?

– ზღვის სურნელი მცემს.

ჰომინო ფანჯარასთან მივიდა, გააღო, ვიწრო აივანზე გავიდა და ღრმად ჩაისუნთქა. ზღვის სურნელი ვერ იგრძნო. შორს, ფიჭვის ტყის თავზე თეთრი ღრუბლები დაცურავდნენ.

– მე ვერ ვგრძნობ ზღვის სურნელს.

ნაკატაც მასთან მივიდა, ცხვირს ციყვივით ათამაშებდა.

– მე ვგრძნობ. აი, იქ არის ზღვა. – თქვა და ტყისკენ გაიშვირა თითი.

– რა ყნოსვა გქონია! მე თვითონ სინუსის პრობლემები მაქვს, ყნოსვა მიჭირს.

– ბატონო ჰომინო, ოკეანისკენ გავისეირნოთ?

ჰომინო ამაზე დაფიქრდა. პლაჟზე გასეირნებით რა დაშავდებოდა?

– კარგი, წავიდეთ.

– ჯერ ტუალეტი უნდა მოისტუმროს ნაკატამ.

– ნუ იჩქარებ.

ვიდრე ნაკატა ტუალეტში იყო, ჰომინომ ბინა დაათვალიერა. პოლკოვნიკი მართალი აღმოჩნდა, ყველაფერი იყო, რაც შეიძლებოდა დასჭირვებოდათ. საპარსი ქაფი, რამდენიმე ახალი კბილის ჯაგრისი, ყურის გამოსაწმენდი ჩხირები, სალბუნები, ფრჩილების მოსავლელი მოწყობილობები, უთო და საუთოებელი დაფაც კი. რა ყურადღებიანიაო, გაიფიქრა ჰომინომ, თუმცა ალბათ ყოველივეზე მისმა მდივანმა იზრუნა. არაფერი დავიწყებოდათ.

ტანსაცმლის კარადა გამოაღო და ახალთახალი საცვლები და სამოსი დაათვალიერა. სამწუხაროდ, არც ერთი ჰავაიური პერანგი არ იყო, მხოლოდ ტომი ჰილფიგერის პოლო და ზოლიანი მაისურების უახლესი მოდელები ეწყო.

– მე კიდევ პოლკოვნიკი სანდერსი დაკვირვებული მეგონა, – არავინ იყო, ვისთანაც დაწუწუნება შეეძლო, ამიტომ თავისთვის ჩაილაპარაკა, – უნდა მიმხვდარიყო, მხოლოდ ჰავაიურ პერანგებს რომ ვიცვამ. ასე თუ გაისარჯა, ესეც გაეკეთებინა. ამაზეც ეზრუნა და ერთი ჰავაიური პერანგი მაინც ეყიდა ჩემთვის.

ცოტათი შელახული მაისური გაიხადა და ახალი პოლო ჩაიცვა. ზუსტად მოერგო.

ფიჭვებს შორის გაიარეს, ჯებირებს გასცდნენ და პლაჟზე ჩავიდნენ. ზღვა მშვიდი იყო. ქვიშაზე გვერდიგვერდ ჩამოსხდნენ. დიდხანს ერთმანეთისთვის არაფერი უთქვამთ, ტალღებს უცქერდნენ, რომლებიც ჯერ აფრიალებულ ზეწრებს ემსგავსებოდნენ, მერე კი ჩუმი ხმით ტყდებოდნენ... ზღვაში რამდენიმე პატარა კუნძული მოჩანდა. ზღვაზე ხშირად არ დადიოდნენ, ამიტომ თვალი პეიზაჟისთვის გაემტერებინათ.

– ბატონო ჰომინო... – სიჩუმე ნაკატამ დაარღვია.

– გისმენ.

– ზღვა ძალიან ლამაზია, არა?

– კი. თან გამშვიდებს.

– რატომ?

– ალბათ იმიტომ, რომ უზარმაზარია და მის ზედაპირზე არაფერია, – ზღვისკენ გაიშვირა თითი ჰომინომ, – თავს ასე მყუდროდ არ იგრძნობდი, აქ 7-eleven რომ იდგას. ან პაჩინკოს კლუბი, ან იუმიკავას ლომბარდი. აქ კი თვალი ვერაფერს სწვდება. ეს გვსიამოვნებს.

– ალბათ, მართალი ხართ, – თქვა ნაკატამ და ჩაფიქრდა, – ბატონო ჰომინო...

– გისმენ.

– კიდევ მინდა, რაღაც გკითხოთ.

– მიდი.

– ზღვის ფსკერზე რა არის?

– იქ სხვა სამყაროა, ათასნაირი თევზი ცხოვრობს, მოლუსკები, წყალმცენარეები... აკვარიუმში ყოფილხარ?

– არა. არასდროს. მაცუმოტოში, სადაც ნაკატა დიდი ხნის წინ ცხოვრობდა, აკვარიუმი არ იყო.

– ჰო. იქ არ იქნებოდა. მთებში გამენებულ ქალაქებში ალბათ სოკოს მუზეუმებია, სხვას რას უნდა ელოდე. ზღვის ფსკერზე კი ათასგვარი რამეა. იქ მცხოვრები არსებები ჩვენგან განსხვავდებიან, ისინი ჟანგბადს წყლიდან იღებენ და ჰაერი არ სჭირდებათ სუნთქვისთვის. ზღვის ფსკერზე ლამაზი არსებებიც სახლობენ, გემრიელიც და საზარელიც. ისეთი საზარელი, მარღვებში სისხლი გაგეყინება იმათ დანახვაზე. თუ არ გინახავს, ვერ გაგაგებინებ. სულ ფსკერზე უკუნი სიბნელეა და მახინჯი არსებები ცხოვრობენ. იცი რა, როცა ყველაფერი ჩაივლის, აკვარიუმს ვესტუმროთ. საინტერესოა, სახალისო. მეც დიდი ხანია, აღარ ვყოფილვარ. დარწმუნებული ვარ, აქ სადმე იქნება.

– უარს არ ვიტყვოდი.

– მეც მინდა გკითხო რაღაც.

– დიახ.

– იმ დღეს ქვა ავწიეთ და შესასვლელი გავაღეთ, არა?

– კი, ჩვენ შესასვლელი გავაღეთ. და მერე ნაკატას ჩაეძინა.

– მაინტერესებს, რამე გამოიწვია მისმა გაღებამ?

ნაკატამ თავი დააქნია.

– კი.

– მაგრამ რა, არ იცი?

ნაკატამ თავი გააქნია.

– არა, ჯერ არ ვიცი.

– შესაძლოა, სადმე სხვაგან ახლაც რაღაც ხდება?

– კი. როგორც თქვით, ახლაც ხდება. მის დასრულებას ველი.

– როცა ეს ყველაფერი დასრულდება, ყველაფერი მოგვარდება?

ისევ თავი გააქნია.

– ნაკატამ ეს არ იცის. რასაც ვაკეთებ, იმიტომ ვაკეთებ, რომ უნდა გავაკეთო. მაგრამ არ ვიცი, რა შეიძლება მოჰყვეს ჩემს საქციელს.

– დრო დასჭირდება ყველაფრის დასრულებას, არა?

– მართალია.

– იქამდე საგულდაგულოდ უნდა დავემართო პოლიციას. კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი?

– პოლიციაში წასვლის წინააღმდეგი არა ვარ. რასაც გუბერნატორი მეტყვის, უსიტყვოდ შევასრულებ. მაგრამ ახლა ამის დრო არ არის.

– იცი რა, პოლიციელები შენს ამბავს ყურსაც არ ათხოვებენ, რამეს შეთითხნიან, რამე თავიანთთვის სასურველ ისტორიას, ისეთს, ყველა რომ წამოეგოს. იტყვიან, რომ სახლს ქურდავდი, ხმა მოგესმა, სამზარეულოს დანას დასტაცე ხელი და დაჭერი. მათთვის რეალურ ფაქტებს მნიშვნელობა არა აქვს, არც სიმართლეს. მათ მხოლოდ გახსნილ დანაშაულთა მაჩვენებელი აინტერესებთ. თვალსაც არ დაახამხამებენ. მერე კი ან ციხეში ამოყოფ თავს ან მაქსიმალურად დაცულ ფსიქიატრიულში. გამოგკეტავენ და გასაღებს გადაადგებენ. შენ კარგი ადვოკატის დასაქირავებელი ფული არ აღმოგაჩნდება, ამიტომ სასამართლო თვითონ გამოგიყოფს დამცველს, რომელიც ფეხებზე დაგიკიდებს. ალბათ ხვდები, როგორ დასრულდება ყველაფერი.

– ვშიშობ, რომ ვერაფერი გავიგე.

– მხოლოდ იმას გიხსნი, როგორი არიან პოლიციელები. მერწმუნე, მათ კარგად ვიცნობ. არ მინდა, ხელში ჩავუცვივდეთ. მე და პოლიციელები საერთოდ ვერ ვეწყობით ერთმანეთს.

– ვწუხვარ, ამდენი პრობლემა რომ შეგიქმნით.

ჰოშინომ ღრმად ამოისუნთქა.

– ნათქვამია, შხამს ფიალაც მიაყოლო.

– ეგ რას ნიშნავს?

– თუ შხამს დალევ, შეგიძლია ის ფიალაც მიაყოლო, რომლითაც შხამი მოგართვეს.

– მაგრამ ფიალას თუ შეჭამ, მოკვდები. კბილებსაც გაიფუჭებ, ყელიც გაგეჭრება.

– გეთანხმები. ფიალა რატომ უნდა შეჭამო?

– არც ისე ჭკვიანი ვარ, ვერაფერს გეტყვი. მაგრამ შხამსაც რომ თავი დავანებოთ, არც ფიალა დაგაყენებს კარგ დღეს.

– მართალი ხარ. თვითონაც დავიბენი. ჭკუას არც მე ვატანდი. მინდოდა მეთქვა, რადგან აქამდე მოგდიე, არც ახლა მიგატოვებ და მიმალვაში დაგეხმარები. ვერ წარმომიდგენია, შენ ცუდი რამ ჩაგედინა. ვერ მიგაგდებ აქ, მეც მაქვს ჩემი ღირსება.

– დიდად მადლობელი ვარ. დავალებული ვარ. მაგრამ კიდევ რაღაც მინდა გთხოვოთ.

– გისმენ.

– მანქანა დაგვჭირდება.

– დასაქირავებელი მანქანა გამოდგება?

– ნაკატამ არ იცის, რას გულისხმობთ, მაგრამ ნებისმიერი მანქანა გამოგვადგება. დიდი თუ პატარა, მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, მანქანა იყოს.

– რა პრობლემაა. ეგ ჩემი სფეროა. მარტო წავალ და მოვიყვან. სადმე გამგზავრებას ვაპირებთ?

– ასე მგონია. სადღაც მოგვიწევს გამგზავრება.

– იცი რა, ბატონო ნაკატა?

– დიახ?

– არასდროს ვიწყენ შენთან. ათასგვარი სიგიჟე გადაგვხდა თავს, მაგრამ, შემოძლია, ერთი რამ ზუსტად გითხრა – შენთან კაცი ვერ მოიწყენს.

– გმადლობ. მიხარია, ასე რომ არის. მაგრამ, იცით, ბატონო ჰოშინო...

– რა იყო?

– დარწმუნებული არა ვარ, რომ ვიცი, რას ნიშნავს მოწყენა.

- არასდროს მოგიწყენია?
- არა, არასდროს.
- ნეტა რაღა მაკვირვებს!

37

ქალაქში წასახემსებლად ვჩერდებით, სუპერმარკეტში საჭმელსა და მინერალურ წყალს ვყიდულობთ, მერე კი ცუდ გზას მივუყვებით მთაში და ქოხისკენ მივდივართ. ერთი კვირის განმავლობაში ქოხში არაფერი შეცვლილა. ფანჯარას ვაღებ გასანიაველად და საჭმელს ვაბინავებ.

- ვიდრე უკან გავბრუნდები, უნდა წავუძინო, - ოშიმა ამთქნარებს და ხელს იფარებს პირზე, - ღამით ცუდად მეძინა.

ძალიან გადაღლილი ყოფილა. ჩაწვა და, გადაბრუნდა თუ არა კედლისკენ, ჩაეძინა. ყავას ვამზადებ და თერმოსში ვინახავ, როცა გამოიღვიძებს, დავუსხამ. მერე წყაროზე ჩავდივარ ალუმინის ვედროთი. არც ტყე შეცვლილა, ბალახებს ისევ ის სურნელი აქვს, ჩიტები დიდ გადაძახილში არიან, წყარო მორაკრაკებს, ხეებს შორის სიო ქრის, მოჩურჩულე ფოთლების ჩრდილები მიწაზე თამაშობენ. ღრუბლები ისე ახლოა... მომნატრებია ყველაფერი. ეს გარემო ჩემ ნაწილად იქცა.

ოშიმას სძინავს, მე აივანზე ვზივარ, ჩაის ვწრუპავ და ვკითხულობ წიგნს 1812 წელს რუსეთში ნაპოლეონის არმიის შეჭრის შესახებ. 400 000-მდე ფრანგი ჯარისკაცი შეეწირა იმ უზარმაზარი ქვეყნის დაპყრობის უაზრო წამოწყებას. გარდა იმისა, რომ სასტიკი ბრძოლები გაიმართა, ფრანგებს ექიმები არ ჰყოფნიდათ, რამდენიმე ადგილას ბრძოლის ველზე მიტოვებული, აგონიაში ჩავარდნილი დაჭრილი ჯარისკაცები უპატრონოდ კვდებოდნენ. კიდევ უფრო მეტი ჯარისკაცი გაიყინა ან შიმშილით მოკვდა. ვზივარ აივანზე, ბალახეულის ცხელ ჩაის ვწრუპავ, ჩიტების ჭიკჭიკს ვუგდებ ყურს და ვცდილობ, წარმოვიდგინო ის ჯარისკაცები რუსეთის ქარბუქიან ბრძოლის ველზე.

წიგნის მესამედი რომ წავიკითხე, გადავწყვიტე, ოშიმასთვის დამეხედა. ვიცი, გადაღლილია, მაგრამ ისე ჩუმადაა, ცოტათი ვღელავ კიდევ. კარგად უნდა იყოს, გადასაფარებელშია გახვეული, თანაბრად სუნთქავს. მივუახლოვდი. მისი მხრები ოდნავ მოძრაობს. უეცრად

მახსენდება, რომ ქალია. ზოგადად, ის კაცია ჩემთვის. რა თქმა უნდა, თვითონაც ეს უნდა. მაგრამ მძინარე თითქოს ისევ ქალად ქცეულა. აივანზე წიგნის კითხვას განვაგრძობ. სმოლენსკის გზაზე ჩამწკრივებულ გაყინულ გვამებს ვუბრუნდები.

ოშიმას რამდენიმე საათს ეძინა. გამოიღვიძა თუ არა, აივანზე გამოვიდა და მანქანას გახედა. მტვრიანმა მოუკირწყლავმა გზამ მწვანე «მიატა» თეთრად შეღება. ოშიმა იზმორება და ჩემ გვერდით ჯდება.

– ახლა წვიმების სეზონია, მაგრამ წელს იშვიათად წვიმს. თუ მალე არ გაწვიმდა, ტაკამაცუ უწყლოდ დარჩება.

– ქალბატონმა საეკიმ იცის, სადა ვარ? – ვბედავ ვკითხო.

თავი გააქნია.

– არა, მისთვის არაფერი მითქვამს, ისიც კი არ იცის, აქ რომ ქოხი მაქვს. ჯობია, ყველაფერი არ იცოდეს. რაც ნაკლები ეცოდინება, მით ნაკლები რამე ექნება დასამალი.

თავი დავუქნიე. ზუსტად ამის გაგონება მინდოდა.

– ისედაც ძალიან ბევრ რამეშია გარეული და ეს უკვე მეტისმეტი იქნებოდა.

– ვუთხარი, მამაჩემი ახლახან რომ მოკვდა. რომ მოკვლეს... პოლიცია რომ დამეძებეს, ეგ აღარ მითქვამს.

– ქალბატონი საეკი ჭკვიანია. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი არაფერი გვითქვამს მისთვის, გული მიგრძნობს, ყველაფერს თვითონ მიხვდებოდა. თუ ხვალ ვეტყვი, კაფკას საქმე გამოუჩნდა და რამდენიმე დღე არ იქნება-მეთქი, და თუ შენს მოკითხვასაც გადავცემ, კითხვებს არ დამაყრის.

თავი დავუქნიე.

– გინდა ნახო, არა?

არ ვპასუხობ. როგორ ვთქვა, არ ვიცი, პასუხი კი რთული გამოსაცნობი არ არის.

– რაღაცნაირად მეცოდები... მაგრამ, როგორც უკვე გითხარი, ვფიქრობ, ცოტა ხნით ერთმანეთს უნდა მოერიდოთ.

– ვერასდროს რომ ვეღარ ვნახო?

– შეიძლება ვერ ნახო... – ჯერ დაფიქრდა და მერე მიპასუხა, – ნუ იტყვი. ყველაფერი ისეთი არ არის, როგორადაც გამოიყურება.

– ნეტა ქალბატონი საეკი რას გრძნობს!

ოშიმა თვალეზმოჭუტული მიყურებს.

– რას გულისხმობ?

– თუ ეცოდინება, რომ ველარასდროს მნახავს, იგივე განცდა ექნება, რაც მე?

ოშიმას ჩაეცინა.

– პირველად მიყვარს ვიღაც და ამქვეყნად ყველაზე მეტად მსურს. თან მასაც რომ ვუნდივარ...

– მგონი, დაიბენი და არ იცი, რა ქნა.

– ჰო. – თავი დავუქნიე.

– არ იცი, ასეთივე ძლიერი, წრფელი გრძნობები თუ აქვს შენ მიმართ.

თავი გავაქნიე.

– მტკივნეულია ამაზე ფიქრი.

ნაკატა ჩუმად, თვალეზმოჭუტული გაჰყურებს ტყეს. ჩიტები ტოტიდან ტოტზე ფრინდებიან. ხელები თავს უკან შემოუწყვია.

– ვიცი, რასაც გრძნობ. მაგრამ ეს თვითონ უნდა გაარკვიო. ვერავინ დაგეხმარება. ასეთია სიყვარული, კაფკა. შენ ხარ ამ მშვენიერი გრძნობებით შეპყრობილი და შენვე მარტომ უნდა იხეტიאלო მათ ბნელ ქუჩებში. შენმა გონებამ და სხეულმა ამას უნდა გაუძლოს.

ორის შემდეგ წასასვლელად მოემზადა.

– საჭმელს თუ ჭკვიანურად გაანაწილებ, ერთ კვირას უნდა გეყოს. მერე მეც დავბრუნდები. თუ რამე გამოხტება და ვერ მოვახერხებ ამოსვლას, ჩემს ძმას გამოვგზავნი და საჭირო ნივთებს ამოგიტანს. ერთი საათის სავალ გზაზე ცხოვრობს. ვუთხარი, აქ რომ იქნები. არ იდარდო, კარგი?

– კარგი.

– ტყეში ღრმად ნუ შეხვალ. რომ დაიკარგო, უკან დასაბრუნებელ გზას ვეღარ იპოვი.

– ფრთხილად ვიქნები.

– მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე შეიარაღებული ძალების დიდმა ქვეგანაყოფმა აქ საწვრთნელი ვარჯიშები ჩაატარა. საბჭოთა არმიასთან ციმბირის ტყეებში ბრძოლა გაითამაშეს. ამის შესახებ უკვე მოგიყევი?

– არა.

– ყველაზე მნიშვნელოვანი რამ დამეცინებია. – მორცხვად ამბობს ოშიმა. საფეთქლებს იზივს.

– აქაურობა რომ ციმბირის ტყეებს არ ჰგავს?

– მართალი ხარ. აქ სულ ფართოფოთლიანი ხეებია, იქ კი მარადმწვანე ხეები უნდა იყოს. არა მგონია, სამხედროებს ამ დეტალებზე გაემახვილებინათ ყურადღება. ერთადერთი მიზანი ჰქონდათ, შესულიყვნენ ტყეში და საბრძოლო თამაშები გაემართათ.

თერმოსიდან ყავა ჩამოისხა, რომელიც დილით მოვამზადე, ცოტა შაქარი დაამატა და ნასიამოვნები დარჩა შედეგით.

– ჯარმა ჩემს დიდ ბაბუას სთხოვა, მთა დაეთმო წვრთნების ჩასატარებლად. რა თქმა უნდა, უარი არ მიუღიათ. ამ ტყეს მაინც არავინ იყენებდა. წვრთნების დასრულების შემდეგ ორი ახალწვეული დაიკარგა. უკვალოდ გაქრნენ მთელი თავიანთი აღჭურვილობიანად. მათ დიდხანს და გულმოდგინედ დაემებდა ჯარი, მაგრამ ვერ იპოვეს, – ოშიმამ კიდევ ერთი ყლუპი ყავა მოსვა, – დღემდე არავინ იცის, გაიქცნენ თუ დაიკარგნენ. ეს უღრანი ტყეა, საკვები პროდუქტები კი არ მოიპოვება.

თავი დავუქნიე.

– პარალელური სამყაროები არსებობს. სხვა სამყაროში გადაბიჯება და უკან უვნებლად დაბრუნება შეგიძლია, თუ დიდ სიფრთხილეს გამოიჩენ. მაგრამ რაღაც ზღვარს იქით თუ გადაბიჯებ, უკან დასაბრუნებელ ბილიკს ვეღარ იპოვი. ლაბირინთია. იცი, ლაბირინთის იდეა როგორ გაჩნდა?

თავი გავაქნიე.

– ძველ მესოპოტამიაში ცხოველებს (ზოგჯერ ადამიანებსაც) ნაწლავებს აცლიდნენ და მათ ფორმას მომავლის განსაკუთრებულად იყენებდნენ. ალაფრთოვანებად ნაწლავების ჩახლართული ფორმები. ლაბირინთის პროტოტიპადაც ნაწლავები იქცა. ლაბირინთის პრინციპი შენშია. და მას კავშირი აქვს შენ გარეთ მყოფ ლაბირინთთან.

– კიდევ ერთი მეტაფორა.

– მართალია. ორმხრივი მეტაფორაა. შენ მიღმა მყოფი საგნები შენი შინაგანი ორგანოების პროექციაა და, რაც შენ შიგნითაა, ის – შენ მიღმა არსებულისა. როგორც კი შენ მიღმა მყოფ ლაბირინთში შეაბიჯებ, მაშინვე შეაბიჯებ შენ შიგნით მდებარე ლაბირინთშიც. რაც ხშირად ძალიან სახიფათოა.

– ჰენზელივით და გრეტელივით.

– სწორია. ტყე მახეს აგებს და, რაც არ უნდა იღონო, რა წინდახედულადაც არ უნდა მოიქცე, მახვილი მზერის მქონე ჩიტები შენ მიერ დატოვებულ პურის ნამცეცებს აკენკავენ.

– პირობას გაძლევ, ფრთხილად ვიქნები.

ოშიმამ «მიატას» თავი ახადა და ჩაძვრა. სათვალე გაიკეთა და სიჩქარის გადამრთველს ჩასჭიდა ხელი. ტყე ამ ნაცნობი გუგუნის ექოს გამოსცემს. თმას უკან იყრის, ხელს მიქნევს და მიდის. იქ, სადაც ცოტა ხნის წინ მისი მანქანა იდგა, ბული დადგა, რომელიც ქარმა სწრაფად გაფანტა. უკან, ქოხში დავბრუნდი. იმ საწოლზე წამოვწევი, რომელზეც ოშიმას ეძინა და თვალები დავხუჭე. არც მე მეძინა წინა ღამით კარგად. ბალიშსა და გადასაფარებელს ოშიმას კვალი ახლაც ატყვია. არა, ეს ოშიმას კვალი არ არის, მისი სიზმრების კვალია. ამ ნიშნებში ვიძიებ. ნახევარ საათში ქოხს გარეთ რაღაც დაცემის ხმა მალვობებს. თითქოს ტოტი მოტყდა და მიწაზე ჩამოვარდაო. მაფხიზლებს ეს ხმა. ვდგები და აივანზე გავდივარ. ყველაფერი

ჩვეულებრივად გამოიყურება. იქნებ ეს ის იდუმალი ხმაა, დროდადრო ტყე რომ გამოსცემს. ან იქნებ სიზმრის ნაწილი იყო?

მზის ჩასვლამდე აივანზე წიგნს ვკითხულობ.

მარტივ სადილს ვიმზადებ და ვჭამ. თევშების დარეცხვის შემდეგ, ძველ სავარძელში მოკალათებული, საეკიზე ვფიქრობ.

ოშიმამ თქვა, საეკი ჭკვიანია, თან თავისებურად იქცევია, – ჩამჩურჩულებს ბიჭი, სახელად ყვავი. ჩემ გვერდით, სავარძელზე ზის, სწორედ ისე, როგორც მამაჩემის ბუნაგში.

– შენგან ძალიან განსხვავდება.

შენგან ძალიან განსხვავდება. უამრავი დაბრკოლება გადალახა, უამრავი. თავს ბევრი ისეთი რამე გადახდა, ბევრი ისეთი რამე განიცადა, შენ რომ ფანტაზიაც არ გეყოფა მათ წარმოსადგენად. წლების მანძილზე ადამიანი სწავლობს, როგორ განასხვავოს მნიშვნელოვანი რამე უმნიშვნელოსაგან. მან უამრავი გადაწყვეტილება მიიღო და მისმა მცდელობებმა ნაყოფიც გამოიღო. კიდევ ერთხელ ვიტყვი – ძალიან განსხვავდება. შენ ბავშვი ხარ, ვიწრო, ჩაკეტილ სამყაროში ცხოვრობ, ჯერ ძალიან ცოტა რამე გინახავს. ცდილობდი, ძლიერი ყოფილიყავი და ნაწილობრივ შეძელე კიდევ. ახლა კი ამ ახალ სამყაროში, ამ უჩვეულო სიტუაციაში დაიბენი.

რასაკვირველია, დაბნეული ხარ, ისიც კი არ იცი ზუსტად, ქალები სექსუალურ ლტოლვას განიცდიან თუ არა. თეორიულად, რა თქმა უნდა, ასეა და შენც იცი. მაგრამ – როგორ ჩნდება, ან რა ფორმით? შენი ლტოლვა თვალსაჩინოა. მაგრამ ქალის, განსაკუთრებით კი საეკის, იდუმალეებითაა მოცული. როცა გეხვეოდა, ისიც ალგუნებული იყო? თუ სულ სხვა რამეს განიცდიდა?

რაც უფრო მეტს ფიქრობ ამაზე, უფრო და უფრო მეტად ის ფაქტი გაღიზიანებს, რომ მხოლოდ 15 წლისა ხარ. სასო წარგეკვეთა. ნეტავ ოცის მაინც ყოფილიყავი, თვრამეტის მაინც, ოღონდ თხუთმეტის არა. მოქმედებებისა და სიტყვების მნიშვნელობას უკეთ გაიგებდი. შესაბამის პასუხსაც გასცემდი. შენ შესანიშნავი, მშვენიერი, საოცარი რამე შეგემთხვა. იმდენად ამაღელვებელი, რომ შეიძლება მეტად ველარც გამოსცადო. მის მშვენიერებას ბოლომდე ვერ სწვდები, სულმოკლეს გხდის, რაც, თავისთავად, სასოწარკვეთისკენ გიბიძგებს.

ცდილობ წარმოიდგინო, ახლა რას აკეთებს. ორშაბათია. ბიბლიოთეკა დაკეტილია. რას აკეთებს ორშაბათობით? ხედავ – მარტოა თავის ოთახში. რეცხავს. ამზადებს. საყიდლებზე დადის. ყოველი სცენა ცოცხლდება შენს გონებაში. თანდათან აქ ჯდომა გაუსაძლისი ხდება. გინდა, შეუპოვარ ყვავად იქვე, აფრინდე ამ ქოხიდან, ამ მთებს გადაუფრინო, მისი სახლის წინ ჩამოსკუპდე და მუდამ უყურო.

ალბათ ბიბლიოთეკაში მივიდა და შენს ოთახში შევიდა. ჯერ დააკაკუნა, მაგრამ არავინ გასცა პასუხი. შეამჩნია, კარი ღიაა. შენ კი იქ არა ხარ. საწოლი გასწორებულია, შენი ნივთები – წადებული. უკვირს, ნეტა რა იქნაო. ალბათ გიცდის. ზის მაგიდასთან და გიცდის. თავი ხელებზე აქვს ჩამოყრდნობილი, შესცქერის – კაფკა პლაჟზეა. ფიქრობს წარსულზე, რომელიც ამ ფოტოზეა ასახული. მაგრამ, რამდენ ხანსაც არ უნდა გელოდოს, შენ არ დაბრუნდები.

ბოლოს კი ხელს ჩაიქნევს და წავა. ავტოსადგომზე გაჩერებულ «გოლფში» ჩაჯდება და ძრავას ჩართავს. არ გინდა, ასე გაუშვა. გინდა მოეხვიო და შეიგრძნო მისი სხეულის ყოველი ნაკვთი. მაგრამ იქ არა ხარ. შენ მარტო ხარ. შენ მოწყვეტილი ხარ ყველაფერს.

საწოლში ძვრები და სინათლეს აქრობ. იმედი გაქვს, აქ, ამ ოთახში გამოგეცხადება. ნამდვილ საეკის არ ითხოვ, მისი 15 წლის აჩრდილი მაინც გამოჩნდეს. ნებისმიერი ფორმა მიიღოს – მოხეტიალე სულის, ან ილუზიის, ოღონდ ნახო, ოღონდ გვერდით გყავდეს. მაგრამ არა, რამდენ ხანსაც არ უნდა ელოდე, რამდენად ძლიერადაც არ უნდა გასურდეს მისი გამოჩენა, ის არ მოვა. მხოლოდ ქარის ჩუმი სტვენა და ჩიტების გალობა ჩაგესმის. სუნთქვა გეკვრის. ქარს ყურს უგდებ, ცდილობ, მასში რამე ამოიკითხო. მაგრამ გარშემო მხოლოდ წყვდიადი სუფევს. ბოლოს, ხელჩაქნეული, თვალებს ხუჭავ და იძინებ...

38

ჰომინომ «ყვითელ ფურცლებში» მანქანის გაქირავების სერვისის სააგენტოების ნომრები მოძებნა და ერთ-ერთს დაურეკა.

– რამდენიმე დღით მჭირდება მანქანა. ჩვეულებრივი «სედანი» კარგი იქნებოდა. არც რამე ნიშნით გამორჩეული მინდა, არც ძალიან დიდი.

– შეიძლება ამას არ უნდა ვამბობდე, – უპასუხა სააგენტოს კლერკმა, – მაგრამ რადგან მხოლოდ «მაზდას» ვაქირავებთ, ჩვენი მანქანები არაფრით გამოირჩევა. ამაზე შეგიძლიათ არ იღარდოთ.

– დიდებულია.

– «ფამილიაზე» რას იტყვით? სანდო მანქანაა, რომელსაც, ვფიცავ, ვერავინ შეამჩნევს.

– დიდებულია! სწორედ «ფამილია» მინდა. – მანქანების გაქირავების სააგენტო სადგურთან ახლო იყო, ამიტომ ჰომინომ კლერკს უთხრა, ერთ საათში მოვალ მანქანის წასაყვანადო.

ტაქსით მივიდა, მათ საკრედიტო ბარათი და მართვის მოწმობა უჩვენა და ორი დღით იქირავა მანქანა. თეთრი «ფამილია» მართლაც არაფრით გამოირჩეოდა. საკმარისი იყო, თვალი მოგეშორებინა და მაშინვე დაგავიწყდებოდა, როგორ გამოიყურება. ანონიმურობის სფეროში აღსანიშნავი აღმოჩენაა.

აქეთობას ჰომინო წიგნის მაღაზიასთან შეჩერდა, ტაკამაცუს რუკები და სიკოკუს გზატკეცილის სისტემის რუკა იყიდა. იქვე მუსიკალური დისკების მაღაზიაშიც შევიდა, ბეთჰოვენის ტრიო «ერცჰერცოგის» ჩანაწერი უნდოდა, მაგრამ მაღაზია პატარა იყო, კლასიკურ განყოფილებას ერთი ციდა სექცია ჰქონდა და ერთადერთი უხარისხო, იაფფასიანი ჩანაწერი აღმოაჩნდათ. თან «მილიონდოლარიანი ტრიოს» შესრულებით – არა. ჰომინომ მაინც გადაიხადა რვა დოლარი.

ბინაში მადის აღმძვრელი სურნელი ტრიალებდა. ნაკატა სამზარეულოში ფუსფუსებდა, ორთქლზე მოთუთქულ თეთრ ბოლოკსა და მოხრაკულ ტოფუს ამზადებდა.

– სხვა საქმე არ მქონდა, ამიტომ რამდენიმე კერძი მოვამზადე.

– მაგარია! – შესძახა ჰომინომ, – ამ დღეებში ძალიან ბევრი ვჭამე გარეთ და შინაური საჭმელი სწორედ მისწრება იქნება. ე, იცი, მანქანა დავითორიე! გარეთ დავაყენე. გვჭირდება უკვე?

– არა. ხვალ დავგჭირდება. დღეს ნაკატა ქვას ესაუბრა.

– კარგია. ადამიანებს ესაუბრები თუ საგნებს, მნიშვნელობა არა აქვს, მთავარი მოვლენების განხილვაა. მანქანას რომ ვატარებ, მუდამ ძრავას ველაპარაკები. თუ ყურადღებით მოუსმენ, უამრავ საინტერესო რამეს გაიგებ.

– ნაკატას ძრავასთან საუბარი არ შეუძლია, მაგრამ მოვლენების განხილვას მართლაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

– რაო – ქვამ? შეძელი მასთან კავშირის დამყარება?

– წამოვიწყეთ.

– კარგია. ქვა გვიბრაზდება, აქ რომ მოვიტანეთ?

– არა. როგორც მივხვდი, მისთვის სულერთია, სად იქნება.

– უფუფ, გულზე მომეშვა, – ამოისუნთქა ჰომინომ, – კარგია, რომ ქვამ რისხვა არ დაგვატეხა.

ჰომინო სადამომდე ტრიო «ერცჰერცოგის» ისმენდა. ეს შესრულება ისეთი სპონტანური და დაუვიწყარი არ იყო, როგორც ყავახანაში მოსმენილი. უფრო ზომიერი იყო, მაგრამ მთლიანობაში არა უშავდა. ტახტზე წამოწოლილს ეს მელოდია სულში ჩასწვდა, ფუფის ნატიფმა ბგერებმა სულის სიმები შეურხია.

ერთი კვირის წინ რომ მომესმინა ეს მუსიკა, ვერც გავიგებდი და არც ვეცდებოდი, გაიფიქრა ჰომინომ. მაგრამ შემთხვევამ იმ პატარა ყავახანაში მიიყვანა, სადაც კომფორტულ სავარძელში მოკალათებულმა, ყავა მიირთვა და მუსიკა მოისმინა. ახლა კი, ბეთჰოვენის მსმენელი გახდა, წარმოგიდგენიათ? კარგი ცვლილებაა.

რამდენჯერმე აღფრთოვანებით მოუსმინა. ამავე დისკზე ბეთჰოვენის მეორე ტრიოც იყო – «მოჩვენება». არ არის ცუდი ნაწარმოებიო, გაიფიქრა, მაგრამ ტრიო «ერცჰერცოგი» ნამდვილად მისი რჩეული იყო. უფრო ღრმააო, ფიქრობდა. მთელი ამ ხნის მანძილზე ნაკატა

კუთხეში იყო, თეთრ ქვას დაჰყურებდა და ბურტყუნებდა. დროდადრო თავს აქნევდა ან თავს იფხანდა. ორივე თავ-თავის პატარა სამყაროში იყო.

– ეს მუსიკა გაწუხებს?

– არა. მუსიკა არ მაწუხებს. ჩემთვის ის ქარივითაა.

– ქარივით, არა?

ექვსისთვის ნაკატამ სადილი მოამზადა – შემწვარი ორაგული და სალათა, ასევე რამდენიმე გარნირი, რომელიც თვითონ მოიგონა. ჰოშინომ ტელევიზორი ჩართო და ახალ ამბებს გაეცნო, იქნებ ნაკატასთან დაკავშირებული საქმის შესახებ ახალ დეტალებს მოგვრა ყურიო. მაგრამ კრინტიც არ დაუძრავთ ამ თემაზე. სხვა სიახლეებზე ისაუბრეს – ჩვილი გოგონა გაიტაცეს, ისრაელსა და პალესტინას შორის ჩვეული კონფლიქტია, დასავლეთ იაპონიის გზატკეცილზე მასობრივი ავარია მოხდა, უცხოელების მიერ ორგანიზებული ავტომობილების მარცვის რამდენიმე შემთხვევა გამოვლინდა, მინისტრთა კაბინეტის წარმომადგენელმა სულელური, დისკრიმინაციული განცხადება გააკეთა, შემცირებები დაიწყო საკომუნიკაციო ინდუსტრიის კომპანიებში – არც ერთი სასიამოვნო ამბავი.

ორივენი მაგიდასთან ისხდნენ და სადილობდნენ.

– ძალიან გემრიელია, კარგი მზარეული ხარ.

– დიდი მადლობა. პირველად მოვამზადე სხვისთვის.

– რას ამბობ, მეგობრებთან, ნათესავებთან ან ვინმე სხვასთან ერთად არასდროს გისადილია?

– ნაკატა ბევრ კატას იცნობდა, მაგრამ ისინი სხვანაირად ჭამენ.

– ჰო, აბა რა. მაგრამ ძალიან გემრიელია. განსაკუთრებით ბოსტნეული.

– მიხარია, რომ მოგეწონათ. ნაკატამ კითხვა არ იცის და ზოგჯერ საშინელ შეცდომებს ვუშვებ მომზადების დროს. ამიტომ ყოველთვის ერთსა და იმავე ინგრედიენტებს ვიყენებ და მომზადების წესსაც არ ვცვლი. კითხვა რომ შემეძლოს სხვადასხვა კერძს მოვამზადებდი.

– ესეც გემრიელია.

– ბატონო ჰოშინო. – ნაკატა გამართული იჯდა და ძალიან სერიოზული ხმა ჰქონდა.

– ჰო.

– კითხვის არცოდნა ცხოვრებას ძალიან ართულებს.

– წარმომიდგენია. ამ დისკზე წერია, ბეთჰოვენი ყრუ იყო. ძალიან ცნობილი კომპოზიტორი და ახალგაზრდობაში ევროპაში საუკეთესო პიანისტი იყო. მაგრამ ერთ დღეს, ალბათ ავადმყოფობის გამო, სმენის პრობლემები შეექმნა და თანდათან დაყრუვდა. ბოლოს არაფერი ესმოდა. რა მნელია, კომპოზიტორი იყო და არაფერი გესმოდეს, არა?

– მგონი.

– ყრუ კომპოზიტორი იმ მზარეულს ჰგავს, რომელიც გემოს ვერ შეიგრძნობს, ბაყაყს, რომელსაც აპკი არა აქვს თათებზე, სატვირთოს მძღოლს, რომელსაც მართვის მოწმობა აქვს ჩამორთმეული. ეს, ვისაც გინდა, თავს მოაკვლევინებდა, არა? მაგრამ ბეთჰოვენი არ დანებდა. ალბათ თავიდან დაითრგუნებოდა, მაგრამ უიღბლობამ ვერ გატეხა. პრობლემა? რა პრობლემა? – აი, ასე შეხვდა ალბათ ამ ცვლილებას. უფრო მეტ კომპოზიციებს ქმნიდა და გაცილებით უკეთეს მუსიკას – ვიდრე მანამდე. ვაბოლებ მაგ ტიპზე. მოგწონს ეს ტრიო «ერცჰერცოგი»? თითქმის ყრუ იყო, როცა შეთხზა. დაიჯერებ? იმის თქმა მინდოდა, რომ ძალიან რთული უნდა იყოს შენთვის ასე ცხოვრება. მაგრამ ეს სამყაროს დასასრული არ არის. მართლია, ვერ კითხულობ, მაგრამ ბევრი ისეთი რამ შეგიძლია, რაც სხვას არავის. აი, ამ შენს ძლიერ მხარეებზე უნდა გაამახვილო ყურადღება. მაგალითად, ქვასთან ლაპარაკი შეგიძლია...

– მართალია, ახლა ვახერხებ, ერთი-ორი სიტყვა ვუთხრა და თვითონაც გამაგებინოს. ნაკატას კატების ენაც ესმოდა.

– ეს სხვას არავის შეუძლია, არა? სხვა ადამიანებს შეუძლიათ, რამდენიც გინდა, იმდენი წიგნი წაიკითხო, მაგრამ ქვებთან ან კატებთან საუბარს ვერასდროს შეძლებენ.

– ამ დღეებში ნაკატა უამრავ სიზმარს ხედავს. სიზმრებში რატომღაც კითხვა შემიძლია. ისეთი სულელი არა ვარ, როგორც სინამდვილეში. ბედნიერი ვარ, მივდივარ ბიბლოთეკაში და უამრავ წიგნს ვკითხულობ. და ვფიქრობ, რა კარგია, კითხვა შემიძლია-მეთქი. წიგნს წიგნზე ვკითხულობ, მაგრამ მერე ბიბლიოთეკაში ვიღაც შუქს აქრობს და ველარაფერს ვხედავ. ვეღარ ვკითხულობ. მერე ვიღვიძებ. მართალია, ეს მხოლოდ სიზმარია, მაგრამ კარგია კითხვის ცოდნა... თუნდაც სიზმარში.

– საინტერესოა. მე კი ვიცი კითხვა, მაგრამ წიგნს ხელში არც ავიღებ. სამყარო უცნაური რამაა, მართლა.

– ბატონო ჰომინო.

– რა იყო?

– დღეს კვირის რა დღეა?

– შაბათი.

– ხვალ კვირა იქნება?

– წესით კი.

– ხვალ დილით მანქანით წამიყვანთ?

– კარგი, მაგრამ სად?

– ნაკატამ ჯერ არ იცის. როცა მანქანაში ჩაჯდება, მიხვდება.

– გინდ დაიჯერე, გინდ არა, გული მიგრძნობდა, ასე მიპასუხებდი.

მეორე დილით ჰომინოს დილის 7 საათზე გაეღვიძა. ნაკატა უკვე საუზმეს ამზადებდა. ჰომინო აბაზანაში შევიდა, პირზე ცივი წყალი შეისხა და წვერი ელექტროსაპარსით გაიპარსა. საუზმეზე ბრინჯი, ბადრიჯნიანი მისოს სუპი, ხმელი სკუმბრია და მწნილი მიირთვეს. ჰომინომ მეორე ულუფა ბრინჯიც შესანსლა. ვიდრე ნაკატა თეფშებს რეცხავდა, ჰომინო ახალ ამბებს გაეცნო ტელევიზორში. ამჯერად ნაკანოში მომხდარი მკვლელობის შესახებ მცირე კომენტარი გააკეთეს:

– ამ ამბის შემდეგ 10 დღე გავიდა და პოლიციამ მკვლელს ჯერ კიდევ ვერ მიაგნო. – განაცხადა NHK-ის წამყვანმა. ეკრანზე სახლის მაღალი ჭიშკარი გამოჩნდა, იქვე პოლიციელი იდგა, შესასვლელი დალუქული იყო, – მსხვერპლის გაუჩინარებული 15 წლის ვაჟის ძიება გრძელდება, მისი ადგილსამყოფელი აქამდე უცნობია. პოლიცია ასევე დაემძვინკარა დაახლოებით სამოცი წლის კაცს, რომელიც მსხვერპლის მეზობლად ცხოვრობს და ამ ამბის შემდეგ პოლიციამ დაჰკითხა მკვლელობასთან დაკავშირებით. არ არის ცნობილი, ამ ადამიანებს შორის არის თუ არა რამე კავშირი. რადგან სახლში ძვირფასეულობა ხელუხლებელია, პოლიცია მიიჩნევს, რომ დანაშაული ჩადენილია პირადი შურისძიების მოტივით და არა გაძარცვის მიზნით. პოლიცია ბატონი თამურას მეგობრებისა და ნაცნობების დაკითხვას განაგრძობს. ტოკიოს ნაციონალურ თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში, სადაც ბატონი თამურას ხელოვნების ნამუშევრებია გამოფენილი...

– ეი, ბაბუ! – ნაკატას სამზარეულოში გასძახა.

– რა ხდება?

– ნაკანოში რომ მოკლეს, იმ ტიპის 15 წლის შვილს იცნობ?

– არა. მხოლოდ ჯონი უოკერზე და მის ძაღლზე იცის ნაკატამ.

– ხო, არა? პოლიცია იმ ბიჭსაც დაემძვინკარა. როგორც ჩანს, ერთადერთი შვილია. დედა არ უხსენებიათ. როგორც ვხვდები, სახლიდან გაიქცა მკვლელობამდე და აქამდე არ ჩანს.

– მართლა?

– კერკეტი კაკალივითაა ეს საქმე. მაგრამ პოლიციელებს მოკეტილი აქვთ, მეტი ეცოდინებათ. პოლკოვნიკ სანდერსს თუ დავუჯერებთ, გემებენ და იციან, ტაკამაცუში რომ ხარ. ისიც იციან, სიმპათიური ყმაწვილი რომ გახლავს თან. მაგრამ ეს ინფორმაცია მედიისთვის არ გადაუციათ. ეშინიათ, თუ გამჟღავნდება, რომ მათი ადგილსამყოფელი ვიცი, სადმე სხვაგან დაიმალევიანო. ამიტომ საჯაროდ აცხადებენ, წარმოდგენა არ გვაქვს, სად შეიძლება იყონო. მათხოვრები...

ცხრის ნახევარზე ნაქირავებ მანქანაში ჩასხდნენ. ნაკატას თან ჰქონდა ცხელი ჩაით სავსე თერმოსი, თავისი ერთგული უფორმო ქუდი, ქოლგა და ტილოს ჩანთა. ბინიდან გამოსვლის წინ, როცა ჰომინო «დრაკონების» კეპის დახურვას აპირებდა, სარკეში ჩაიხედა და გონება გაუნათდა. პოლიციას ეცოდინება, როგორ გამოიყურება ჰომინო, ეცოდინება, დრაკონების კეპს, მწვანე «რეი ბანს» და ჰავაიურ პერანგებს რომ ატარებს. ტაკამაცუში ბევრს არ ეხურება თავზე დრაკონების კეპი, ამ «რეი ბანის» სათვალით და ჰავაიური პერანგით ალბათ ათას

კაცში გამოირჩევა. ამიტომაც გატენიდა პოლკოვნიკი სანდერსი კარადას მუქლურჯი პოლოებით, წინასწარ გათვლიდა ყველაფერს. ჰომინომ გადაწყვიტა, სათვალე და ქუდიც იქ დაეტოვებინა.

– საით გაგვიწევია?

– საითაც გინდათ. ქალაქს წრე დაარტყით. – უპასუხა ნაკატამ.

– დარწმუნებული ხარ?

– შეგიძლიათ, საითაც გინდათ, იქით წახვიდეთ. ხედით დავტკბეთ.

– გამოცდილი მძღოლი ვარ. ყოველთვის, როცა საჭესთან ვჯდები, ვიცი, საით უნდა წავიდე და იქით მივემართები. ასე ვარ მოწყობილი. არასოდეს უთქვამთ, საითაც გინდა, იქით წადიო. საქმეს მირთულეობ.

– ნაკატა ძალიან წუხს.

– არა უშავს, მობოდიშება საჭირო არ არის. თავს არ დავზოგავ, – ტრიო «ერცპერცოგი» ჩართო,
– მე ქალაქს შემოვივლი, შენ კი ხედით დატკბი, კარგი?

– კარგი.

– მანქანას მაშინ გავაჩერებ, როცა მიხვდები, რას ეძებ. და მერე ამბავი ახალ მიმართულებას მიიღებს. მართალი ვარ?

– დიახ.

– იმედი ვიქონიოთ, რომ ასე იქნება.

ჰომინომ კალთაში ქალაქის რუკა გაიშალა. ქალაქში სეირნობდნენ, ჰომინო ყოველ გავლილ ქუჩას რუკაზე აღნიშნავდა, იმაში დასარწმუნებლად, ხომ არაფერი გამოგვრჩაო. ცოტა ხნით შეჩერდნენ, რომ ნაკატას ერთი ფინჯანი ჩაი დაეღია, ჰომინოს კი მალბორო გაებოლებინა. ტრიო «ერცპერცოგი» უსასრულოდ ბრუნავდა. შუადღეზე სასადილოში შევიდნენ და კარი მიირთვეს.

– რა ჯანდაბას ეძებ? – ჰკითხა ნასადილევს.

– არ ვიცი, მაგრამ, მგონია...

– რომ გაიგებ და როცა დაინახავ, გეცოდინება, რა არის.

– მართალია.

ჰომინომ თავი ცივად გააქნია.

– ვიცოდი, ასე მიპასუხებდი, მაინც შევამოწმე.

– ბატონო ჰომინო.

– გისმენ.

– საპოვნელად დრო დამჭირდება.

– არა უშავს. ძალ-ღონეს არ დავიშურებთ. რადგან გემი ნავსადგურიდან უკვე გავიდა, სხვა რა გზაა...

– გემით უნდა გავისეირნოთ?

– არა. გემები ჯერჯერობით მაინც არ გვინდა, რა...

სამისთვის ყავის სახლში შევიდნენ, ჰომინომ ფინჯანი ყავა მოითხოვა. ნაკატა დიდხანს ფიქრობდა, რა შეეკვეთა, საბოლოოდ არჩევანი ცივ რძეზე შეაჩერა. ჰომინო უკვე დაღლილი იყო და ლაპარაკის სურვილი არ ჰქონდა. ბეთჰოვენიც მობეზრდა. არ მოსწონდა ქალაქში უმიზნოდ და უსასრულოდ ხეტიალი. იძულებული იყო, მანქანა ნელა ეტარებინა და ყურადღებით ყოფილიყო და ამიტომ მოიწყინა. საპატრულო მანქანა რომ ჩაუვლიდა, ცდილობდა, თვალეში არ ჩაეხედა პოლიციელებისთვის. იმასაც ცდილობდა, რომ პოლიციის შენობებისთვის აექცია გვერდი. «მაზდა ფამილია», მართალია, არაფრით გამოირჩევა სხვა მანქანებისგან და გზაზე ყურადღებას არ იქცევს, მაგრამ პოლიციას რამდენჯერმე ერთი და იგივე მანქანა რომ მოხვედროდა თვალში, აუცილებლად რაღაცას იეჭვებდა. ძალიან ფრთხილად მართავდა მანქანას, ავარია ხომ ყველაფერს ბოლოს მოუღებდა!

ვიდრე ჰომინო რუკის დახმარებით ქალაქის გარშემო მოძრაობდა, გვერდით გაუნძრევლად მჯდომ ნაკატას ხელები ფანჯარაზე ჩამოეწყო, მიდამოს ათვალიერებდა და ცდილობდა, რამე ეპოვა, თუნდაც ბავშვი ან გაწვრთნილი ძაღლი. სადამომდე ორივე საკუთარ საქმეზე იყო კონცენტრირებული და თითქმის არ უსაუბრიათ.

– რას ვეძებთ? – მოთმინებადაკარგულმა ჰომინომ ინოუე ესუიას სიმღერა წაიღიღინა. ტექსტის დანარჩენ ნაწილს ვერ იხსენებდა, ამიტომ თვითონ შეთხზა:

ჯერ ვერ იპოვე?

მზე უკვე ჩადის.

ჰომინოს შია

და თავიც სტკივა.

უკან 6 საათზე დაბრუნდნენ.

– ხვალ განვაგრძოთ.

– დღეს თითქმის მთელი ქალაქი მოვიარეთ. ხვალ მართლა მოვასწრებთ ქალაქის დარჩენილი ნაწილის დათვალიერებას. რაღაც უნდა გვითხუ.

– მაინც რა?

– თუ ტაკამაცუში ვერ იპოვი, რასაც ეძებ, რა უნდა ვქნათ?

ნაკატამ თავი კარგად მოიქეჯა.

– თუ ტაკამაცუში ვერ ვიპოვით, სადმე სხვაგან უნდა ვეძიოთ.

– და თუ მაინც ვერ იპოვი, რაღა ვქნათ?

– სხვაგან მოვძებნით...

– უფრო და უფრო დიდ წრეებს დავარტყამთ და ბოლოს და ბოლოს ვიპოვით. ნათქვამია, მაწანწალა ძაღლს ჯოხი მოხვდებაო.

– ალბათ ასეა, მაგრამ ნაკატას არ ესმის. რატომ უნდა მოხვდეს ძაღლს ჯოხი? და თუ ჯოხს შეამჩნევს, განა ვერ აიცილებს?

ჰომინო ჩაფიქრდა.

– მგონი, მართალი ხარ. ამაზე აქამდე არ მიფიქრია.

– საოცარია.

– მოდი ჯოხი და ძაღლი დავივიწყოთ, რა. უფრო იხლართება სიტუაცია. მხოლოდ ის მაინტერესებს, სად ვაპირებთ ძებნას. ასე შეიძლება თავი რომელიმე სხვა პრეფექტურაში ამოვყოთ. ეკიმეში, ან კოჩიში, ან სადმე სხვაგან. ზაფხულიც მიიწურება და შემოდგომა დადგება.

– ასეც შეიძლება მოხდეს, მაგრამ შემოდგომაზე თუ ზამთარში, მაინც უნდა ვიპოვო. ვიცი, ვერ გთხოვთ, მუდმივად დამეხმაროთ. ნაკატა მარტო განაგრძობს ძებნას.

– მოდი ამაზე ნუ ვიდარდებთ, ჯერ მაინც, – ენა დაება ჰომინოს, – მაგრამ იქნებ ქვას შეუძლია, რამე ნიშანი მოგვცეს? დაახლოებით სად მდებარეობს, ეგ მაინც ვიცოდეთ...

– ნაკატა წუხს, მაგრამ ქვა ბევრს არაფერს ამბობს.

– ჰო, რაღაც არ უნდა იყოს კომუნიკაბელური ტიპი. თან არა მგონია, კარგად ცურავდეს. რა მნიშვნელობა აქვს... ამაზე ნულარ ვიფიქრებთ. კარგად გამოვიძინოთ და ხვალინდელ დღეს დაველოდოთ.

მეორე დღეს ბევრი არაფერი შეცვლილა. ჰომინო ქალაქის დასავლეთ ნაწილს ურტყამდა წრეებს. მისი რუკა უკვე გადაეჭრელებინა ყვითელ ხაზებს. ჰომინო უფრო ხშირად ამოქნარებდა, მხოლოდ ამით განსხვავდებოდა ეს დღე წინა დღისგან. ნაკატა ფანჯარას თვალს არ აშორებდა, ყველაფერს აკვირდებოდა და იშვიათად თუ იტყოდა რამეს. ვერაფერი იპოვა.

– დღეს ორშაბათია? – იკითხა ნაკატამ.

– ჰო. გუშინ კვირა იყო, ესე იგი დღეს ორშაბათია.

სასოწარკვეთილმა ჰომინომ მელოდია შეთხზა და ის სიტყვები წაილიღინა, თავში რომ უტრიალებდა:

დღეს თუა ორშაბათი, ხვალ სამშაბათი დგება.

ჭიანჭველა თუ გამრჯეა, მერცხალი – პრანჭიკველა.

საკვამურია მაღალი, მზეს ცეცხლი ეკიდება.

– ბატონო ჰომინო.

– ჰო.

– ჭიანჭველების შრომას რომ უყურო, არც კი დაიღლები.

– ალბათ ასეა.

შუადღეზე რესტორანთან გაჩერდნენ, რომლის საფირმო კერძები გველთეფზასგან მზადდებოდა. იმ დღის კერძი შეუკვეთეს – ბრინჯი გველთეფზათი. სამისთვის ყავის სახლში შევიდნენ, ჰომინომ ყავა დალია, ნაკატამ – ჩაი. 6 საათისთვის რუკა ყვითლად იყო აჭრელებული – უჩინარი «ფამილიას» ბორბლებმა ქალაქის ყოველი კუთხე-კუნჭული უშედეგოდ შემოიარეს.

– რას ვეძებთ, – ისევ გულგრილად დილინებდა ჰომინო, – ვერ გვიპოვია. ყველგან ვიყავით. ტრაკი ამტკივდა. კარგად იყავი.

– დიდხანს თუ გაგრძელდება ასე, ალბათ მომღერალი გავხდები. – ჩაილაპარაკა ჰომინომ.

– რატომ?

– ნუ მომაქცევ ყურადღებას, ვხუმრობ.

ქალაქიდან მთავარ მაგისტრალზე გავიდნენ და უკან დაბრუნდნენ. ფიქრებში ჩაძირულ ჰომინოს დაავიწყდა მარცხნივ მოეხვია. უკან, მაგისტრალზე დაბრუნება სცადა, მაგრამ გზა ცალმხრივი ქუჩების უცნაურ კუთხეებს ქმნიდა, ჰომინოს გზა-კვალი აერია. უცნობ საცხოვრებელ უბანში აღმოჩნდნენ, ძველებურ, ელეგანტურ უბანში, სადაც სახლებს გარშემო მაღალი გალავნები ჰქონდა შემოვლებული. ქუჩა უცნაურად ჩუმი იყო და ახლომახლო კაცის ჭაჭანება არ იყო.

– არა მგონია, ძალიან შორს ვიყოთ ჩვენი ბინისგან. მაგრამ არ ვიცი, სადა ვართ. – აღიარა ჰომინომ.

მანქანა ცარიელ ადგილას გააჩერა, ძრავა გამორთო და რუკა გაშალა. უახლოეს ბომზე უბნის სახელი და ქუჩის ნომერი ამოიკითხა და რუკაზე მოძებნა. ალბათ ძალიან იყო გადაღლილი, რადგან ვერაფერი იპოვა.

– ბატონო ჰომინო?

– ჰო.

– მაპატიეთ, რომ ხელს გიშლით, მაგრამ იმ ჭიშკარზე რა წერია?

ჰომინომ თვალი მოსწყვიტა რუკას და იქით გაიხედა, საითაც ნაკატამ მიუთითა – ძველებური მაღალი გალავნისკენ, რომელზეც ხის დიდი აბრა ეკიდა.

– «კომურას სახელობის ბიბლიოთეკა», – ამოიკითხა ჰომინომ. – ვაჰ, ქალაქის ასეთ უდაბურ ნაწილში ბიბლიოთეკა? თან რომ ბიბლიოთეკის შენობასაც არ ჰგავს? უფრო საცხოვრებელ სახლს.

– კომურას სახელობის ბიბლიოთეკა?

– ჰო. სწორად გაიგე. ალბათ ვინმე კომურას პატივსაცემად. ვინაა ეგ ტიპი, არ ვიცი.

– ბატონო ჰომინო.

– ჰო.

– ესაა.

– რას გულისხმობ?

– ამას ეძებდა ნაკატა.

ჰომინომ ისევ მოსწყვიტა თვალი რუკას და ნაკატას ჩახედა თვალებში. წარბშეკრულმა ისევ გახედა აბრას და წარწერა ისევ წაიკითხა. მალბოროს კოლოფიდან ერთი ღერი სიგარეტი ამოიღო, პირში ჩაიდო და მოუკიდა. ნელა შეისუნთქა და მერე ღია ფანჯრიდან გააბოლა.

– დარწმუნებული ხარ?

– კი.

– შემთხვევითობები საშიში რამეა.

– მართლაც.

შეუმჩნევლად, ზოზინით გადის მეორე დღე მთაში. მხოლოდ ამინდია სხვადასხვა. ეს რომ არა, დღეებს ერთმანეთისგან ვერ გავარჩევდი. გუშინ, დღეს, ხვალ – ყველაფერი ერთმანეთშია გადაღბნილი. დრო გაშლილ ზღვაში დატივტივებს უღუზო გემივით. დღეები გადავითვალე – სამშაბათი უნდა იყოს. სამშაბათობით საეკი ბიბლიოთეკის დასათვალიერებელ ტურს ატარებს, თუ მსურველები არიან. როგორც იმ დღეს, ბიბლიოთეკაში პირველად რომ მივედი... წვრილი ქუსლები კიბეებზე დაბაკუნებენ, მეორე სართულზე ადის, სიჩუმეში მხოლოდ ეს ხმა

გაისმის. მზინავი მაღალყელიანი წინდები, პრიალა თეთრი პერანგი, პაწაწინა მარგალიტის საყურეები, Mont Blanc-ის კალამი მაგიდაზე. თავაზიანი ღიმილი, რომლის მიღმა იდუმალი ჩრდილები იმალება. ეს დეტალები ისეთი შორეულია, ისეთი არარეალური...

ქოხში დივანზე ვზივარ. გაცვეთილი ქსოვილის სუნი დგას. თავში მხოლოდ საეკისთან გატარებული ღამე მიტრიალებს. ნელა იხდის ტანსაცმელს. საწოლში წვება. ასო მიმაგრდება. მაგრამ აღარ მტკივა.

მღლის ეს ეროტიკული ფანტაზიები, გარეთ გავდივარ, ვვარჯიშობ. პრესს ვავარჯიშებ, მერე ბუქნებს ვაკეთებ, მერე კი გაწევებს. გავოფლიანდი, ამიტომ წყაროზე პირსახოცი დავასველე და სხეულს ვიწმენდი. ცივი წყალი ნერვებს მიმშვიდებს. აივანზე ვჯდები და უოკმენით რედიოჰედს ვუსმენ. სახლიდან წამოსვლის მერე სულ ერთსა და იმავე მუსიკას ვუსმენ – რედიოჰედის ალბომს Kid A, პრინცის საუკეთესო სიმღერების ნაკრებს და ზოგჯერ კოლტრენის My Favorite Things-ს.

დღის ორ საათზე (ზუსტად ამ დროს ბიბლიოთეკაში ტური იწყება), ტყეში მივდივარ. იმავე ბილიკს მივყვები, ვსეირნობ, მდელოზე გავდივარ. ბალახზე ვჯდები, ხის ტანისკენ ვიხრები და ტოტებს შორის ცას ავყურებ. ზაფხულის თეთრი ღრუბლების კიდეები მოჩანს. ჯერ უსაფრთხოდ ვარ. აქედან უკან დასაბრუნებელ ბილიკს ვიპოვი. დამწყებთათვის შესახურებელი ეტაპია, ვიდეოთამაშების მოყვარულებისთვის – პირველი ტური. თუ წინ წავალ, უფრო რთულ, ჩახლართულ ლაბირინთში შევაბიჯებ. ბილიკი დავიწროვდება და გვიმრის ზღვაში აღმოვჩნდები.

მაინც წინ მივიწევ.

მინდა ვიცოდე, რამდენად ღრმაა ეს ტყე. ვიცი, საშიშია, მაგრამ მინდა ვნახო და შევიგრძნო, რა საფრთხეებია შიგ ჩამალული, რამდენად სახიფათოა. უნდა ვნახო. რაღაც მეწევა სიღრმისკენ.

ფრთხილად მივუყვები ბილიკს. ხეები უფრო და უფრო მალდება, ჰაერი მძიმდება და იბურება. ცა ერთმანეთში გადახლართულ ტოტებს შორის აღარ ჩანს. აქ გაქრა ზაფხულის ყოველი ნიშანი, აქ თითქოს წელიწადის დროებიც არ არსებობს. აღარც კი ვიცი, ბილიკს მივდევ თუ არა. ჰგავს ბილიკს, მაგრამ ბილიკი არ უნდა იყოს. ამ სიმწვანეში ყველა ცნების საზღვრები იშლება. აზრი უაზრობასთან გაითქვიფა. თავს ყვავი დამჩხავის, თითქოს მაფრთხილებს, ტანში მცრის. ვჩერდები. გარემოს ვაკვირდები. აღჭურვილობის გარეშე გზის გაგრძელება სარისკოა. უკან ვბრუნდები.

უკან დაბრუნება კი იოლი არ აღმოჩნდა. ნაპოლეონის არმიასაც წინსვლაზე მეტად უკან დაბრუნება გაუჭირდა. ბილიკი ახლა უფრო გადაშლილია, ზოგჯერ იკარგება, წინ კი მცენარეების კედლებია აღმართული. საკუთარი სუნთქვა იმდენად ხმამაღლა ჩამესმის, თითქოს ქარბორბალა ქრისო. ჩემი ხელისგულისტოლა შავი პეპელა მოფარფატებს ხეების ჩრდილიდან, მისი ფორმა ჩემს მაისურზე მისხმულ სისხლს მაგონებს. თვალწინ დაფარფატებს, მერე კი ხეების ჩრდილში უჩინარდება. უეცრად ყველაფერი სასტიკ იერს იღებს, ჰაერი კი უფრო სუსხიანი ხდება. პანიკა მიპყრობს – აქედან უნდა გავაღწიო! ყვავი ისევ საზარლად დამჩხავის, ისევ რაღაცას მეუბნება. ვშემდები, მაღლა ვიხედები, მაგრამ ვერ

ვხედავ. დროდადრო სიო უბერავს და ჩემს ფეხებს შორის ფოთლებს ავბედიტად აშრიალეხს. ჩრდილები ფეხდაფეხ მომდევნენ, მაგრამ უკან როცა ვტრიალდები, იმალებიან.

როგორღაც ვახერხებ უსაფრთხო ზონაში დაბრუნებას – იმ მდელოზე. ბალახზე ვწვები და ღრმად ვსუთქავ. რამდენჯერმე ცას ავხედე, იმაში დასარწმუნებლად, რომ იმ რეალურ სამყაროში დავბრუნდი, რომელსაც ვეკუთვნი. ზაფხულს ვგრძნობ. მზის სხივები მეთამაშება და მათბობს. მაგრამ ცოტა ხნის წინ განცდილი შიში ბალში შემორჩენილი დაუმდნარი თოვლივით რჩება. დროდადრო გული არათანაბრად მიცემს, ტანში ისევ მცრის.

ღამით სიბნელეში ვწევარ და, თვალგახელილი, უხმაუროდ ვსუნთქავ, იმედი მაქვს, სიბნელეში ადამიანის ფიგურას დავინახავ. ვლოცულობ, გამოჩნდეს, მაგრამ ვიცი, ამ ლოცვას არავინ შეისმენს. მთელი არსებით ამას ვნატრობ. მგონია, რომ, თუ ძალიან მოვისურვებ, ოცნება ამიხდება.

მაგრამ არა, ჩემი სურვილები უარყოფილია. არც ამ ღამით ჩნდება საეკი. არც რეალური, არც ილუზია, არც 15 წლის ორეული. სიბნელე სიბნელედ რჩება. დაძინებამდე ასო მიმაგრდება, მაგრამ ხელს არ ვკიდებ. მინდა, საეკისთან გატარებული ღამის მოგონებები შეურყვნელად შემოვიინახო. მუშტებშეკრული ვიძინებ, იქნებ დამესიზმროს მაინც.

მის ნაცვლად საკურა მესიზმრება.

ან ეს სიზმარია? იმდენად ცხადია, მკაფიო და თანმიმდევრული... მაგრამ სხვა რა ვუწოდო? სიზმარი ალბათ საუკეთესო იარაღიყია. მასთან ვარ, სძინავს. საძილე ტომარაში ვარ, როგორც მაშინ, მასთან რომ დავრჩი. დრო უკან დაბრუნდა. გადამწყვეტი მომენტი.

შუალამისას საშინელი წყურვილი მაღვიძებს, საძილე ტომრიდან ვძვრები და წყალს ვსვამ. ხუთი თუ ექვსი ჭიქა დავლიე. გაოფლიანებული ვარ, ისევ ერექცია მაქვს. ჩემი ასო ცხოველივითაა, სულ სხვა ტალღაზეა მომართული. წყალს მაშინვე ისრუტავს. ხმაც კი მესმის.

ნიჟარასთან ვდგამ ჭიქას და კედლისკენ ვიხრები. მინდა, საათს დავხედო, მაგრამ ვერ ვპოულობ. უკუნი ღამის სიღრმეებში საათიც კი შთაინთქა. საკურას საწოლთან ვდგავარ. ქუჩის განათება ფარდებს შორის ასხივებს. ჩემკენ ზურგით წევს, სძინავს, თხელი გადასაფარებლიდან პატარა ფეხი მოუჩანს. უკნიდან ისეთი ხმა მესმის, თითქოს ვიღაცამ ჩამრთველს ჩამოჰკვრა. ტოტები ხედს ფარავს. აქ წელიწადის დროები არ იცვლება. საკურას გვერდით ვუწვები. ერთადგილიანი საწოლი სიმძიმისგან ჭრიალებს. ოდნავ გაოფლიანებული კისრის სუნს ვგრძნობ. ნაზად ვხვევ მკლავებს. რაღაც ხმას გამოსცემს, მაგრამ მაინც სძინავს. ყვავი ხმამალლა დამჩხავის. მალლა ვიხედები, მაგრამ ფრინველს ვერ ვხედავ. ვერც ცას.

საკურას პერანგს ვუწევ და მკერდზე ვეფერები. ძუძუსთავეებს ისე ვუსრეს, თითქოს რადიომიმღების ღილაკს ვატრიალებდე. ჩემი გამაგრებული ასო თემოზე ეხება. ხმას არ გამოსცემს, თანაბრად სუნთქავს. ღრმად უნდა ეძინოს. ყვავი ისევ დამჩხავის, ისევ რაღაცას მატყობინებს, მაგრამ მისი არ მესმის.

საკურას სხეული თბილი აქვს და ოფლიანი. მინდა, ჩემკენ გადმოვაბრუნო, ნელ-ნელა ვიზიდავ, ისე რომ, მიყურებდეს. ღრმად ჩაისუნთქა, ისევ სძინავს. ფურცელვით თხელ მუცელზე ყურს ვადებ, მინდა, იმ ლაბირინთის სიზმრების ექოს დავუგდო ყური.

ბამბის სიფრიფანა საცვალს ვხდი, დიდი დრო მჭირდება ჯერ ფეხებზე ჩამოსაცურებლად, შემდეგ კი სულ გასახდელად. სასქესო ორგანოზე ვეხები ხელისგულით, თითს კი შიგნით ნელა მივაცურებ. სველია. ნელა ვამოდრავებ თითს. არ იღვიძებს. სიზმრებში ჩაძირულმა კიდევ ერთხელ ამოისუნთქა ღრმად.

ამავდროულად ჩემს ფოსოებში ჩამარხულ რაღაცას სურს ნიჟარიდან გამოდრომა. ჩემ შიგნით თვალებს ჭყეტს რაღაც. არ ვიცი, ეს არსება კეთილია თუ ბოროტი, მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს, მისი დამორჩილება არ შემიძლია. თხელი, უსახო არსებაა, მალე ნიჟარიდან გამოდვრება, სახეს მიჩვენებს და ჟელესებრ საფარველს იშორებს. ალბათ მერე მივხვდები, რაც არის. ახლა მხოლოდ უფორმო ჩანასახია, ხელებს იწვდის და ნიჟარის გამომტვრევას ცდილობს. მის ყოველ მოძრაობას ვხედავ.

გადავწყვიტე.

არა, კონკრეტული არაფერი გადამიწყვეტია. გადაწყვეტილების მიღება ნიშნავს არჩევანის გაკეთებას, მე კი ასარჩევად არა მაქვს საქმე. საცვალს ვიხდი და ასოს ვათავისუფლებ. საკურას ვეხვევი, ფეხებს ვუშლი და მასში შევდივარ. ადვილია – ის სველია, ჩემი ასო – მაგარი. ასო აღარ მტკივა. ბოლო რამდენიმე დღეში კანი გამიუხეშდა. საკურას ისევ სძინავს, მეც მის სიზმარში ვიძირები.

უეცრად იღვიძებს და ხვდება, რაც ხდება.

– კაფკა, რას აკეთებ?

– შენში ვარ, ხვდები ალბათ.

– კი მაგრამ, რატომ? – გაბზარული ხმა აქვს. – ხომ გაგაფრთხილე, რომ ეს ზღვარგადასული საქციელია?

– თავს ვერაფერს ვუხერხებ.

– გეყო! მომშორდი!

– არ შემიძლია. – თავს ვაქნევ.

– მომისმინე. ჯერ ერთი, მეგობარი ბიჭი მყავს. მეორეც, სიზმარში უნებართვოდ შემომეჭერი. არ არის სწორი ეს ყველაფერი.

– ვიცი.

– ჯერ კიდევ არ არის გვიან, ჩემში ხარ, მაგრამ მოძრაობა არ დაგიწყია, ჯერ არ გაგითავებია, უბრალოდ ჩემში ხარ, თითქოს რაღაცაზე ფიქრობ...

თავი დავუქნიე.

– მომშორდი, – ცდილობს ჩემს დაყოლიებას, – დავივიწყოთ. თითქოს არაფერი მომხდარა. მე შემიდლია დავივიწყო. შენც შეგიძლია. მე შენი და ვარ, შენ – ჩემი ძმა. მართალია, სისხლით ნათესავები არა ვართ, მაგრამ მართლა და-ძმა ვართ. გესმის, რას გეუბნები? ერთი ოჯახის წევრები ვართ. ეს არ არის სწორი.

– უკვე ძალიან გვიანაა.

– რატომ?

– უკვე გადაწყვეტილი მაქვს.

– უკვე გადაწყვეტილი გაქვს. – ამბობს ბიჭი, სახელად ყვავი.

აღარ გინდა, საქმე გარემომცველ საგნებთან დაიჭირო, არ გინდა, თავგზა აგერიოს მოვლენებმა, რომლებსაც ვერ აკონტროლებ. მამა უკვე მოკალი და დედაც გააბახე – ახლა კი შენს დაში ხარ. თუ დაწყევლილი ხარ, შენში ჩადებული კოდის ძახილს უნდა მიჰყვე. მოიხსენი ეგ ტვირთი მხრებიდან და იცხოვრე – აღარ გაერიო სხვების საქმეებში. სულ ეს გინდა.

სახეზე ხელებს იფარებს და ტირის. გეცოდება, მაგრამ მის სხეულს ვერ დათმობ. ასო უფრო და უფრო გიმაგრდება, თითქოს მის სხეულში ფესვები გაუდგამსო.

– მესმის. აღარაფერს ვიტყვი. მაგრამ დაიმახსოვრე – მაუპატიურებ, ეს ძალადობაა. მომწონხარ, მაგრამ ეს არ მინდა. შეიძლება ერთმანეთი ველარასოდეს ვნახოთ, როგორც არ უნდა მოვისურვოთ. ამაზე თანახმა ხარ?

არაფერს პასუხობ. გონება გათიშული გაქვს. კიდევ უფრო ახლოს იზიდავ და თემოების ამოდრავებას იწყებ. ნაზად, ფრთხილად, ბოლოს კი სასტიკად. ცდილობ, ხეების ფორმა დაიმახსოვრო, რომ უკან დაბრუნება შეძლო, მაგრამ ერთმანეთს ჰგვანან და ამ უცნობ ზღვაში იკარგები. საკურა თვალებს ხუჭავს და მოძრაობს. არც რამეს გეუბნება, არც წინააღმდეგობას გიწევს, სახეზე არაფერი აწერია, შენგან მიბრუნებული აქვს პირი. მაგრამ გრძნობ, მასში სიამოვნება მატულობს, თითქოს შენი სხეული მასში გრძელდება. ახლა კი გესმის. ერთმანეთში გადახლართული ხეები ბნელი კედელივით გიდგანან წინ და ვერაფერს ხედავ. ფრინველი აღარაფერს ჩამოგძახის. და ათავებ.

ვათავებ.

და ვიღვიძებ. ვწევარ. შუალამეა. ბნელა, თვალთან თითოს ვერ მიიტან, საათები სადღაც გაქრა. ვდგები, საცვალს ვიხდი, სამზარეულოში გავდივარ და თესლს ვიწმენდ. წებოვანს, თეთრს, მძიმეს, სიბნელეში შობილი უკანონო ბავშვის მსგავსს. რამდენიმე ჭიქა წყალს ვსვამ, მაგრამ წყურვილს ვერ ვიკლავ. თავს ისე მარტო ვგრძნობ, ლამის გავგიჟდე. სიბნელეში, შუალამეში, შუაგულ ტყეში, საოცრად მარტო ვარ. აქ არც სეზონები იცვლება, არც სინათლეა. საწოლთან მივდივარ, ვჯდები. ამოვისუნთქე. ნიჟარა გაქრა. აორთქლდა. ველარსად მიაგნებ. ის კი აქაა, მუქი ჩრდილი, ისვენებს. ხელები რაღაცით გაქვს გაწებილი. სისხლს ჰგავს. წინ იშვერს. მაგრამ ვერაფერს ხედავ. საშინლად ბნელა. გარეთაც. შიგნითაც.

აბრის გვერდით საინფორმაციო აფიშა ეკიდა, რომელიც იუწყებოდა, რომ კომურას სახელობის ბიბლიოთეკა ღიაა ყოველდღე 11-დან 17 საათამდე, გარდა ორშაბათისა, როცა ის არ მუშაობს. შესვლა უფასოა, ყოველ სამშაბათს, 14 საათზე კი ბიბლიოთეკის დასათვალიერებლად ტური იმართება. ჰომინომ ეს ინფორმაცია ნაკატას ხმამაღლა წაუკითხა.

– დღეს ორშაბათია და არ მუშაობენ, – უთხრა ჰომინომ და საათს დახედა, – თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს, ამ დროს უკვე დახურული იქნებოდა.

– ბატონო ჰომინო.

– ჰო.

– ეს ადგილი იმ ბიბლიოთეკას სულ არა ჰგავს, რომელშიც აქამდე ვიყავით.

– ის დიდი საჯარო ბიბლიოთეკა იყო, ეს კი კერძოა. ამიტომ განსხვავდება.

– რას ნიშნავს კერძო ბიბლიოთეკა?

– შეძლებული კაცი, ისეთ ადგილს რომ მოაწყობს, სადაც თავისი წიგნების კოლექციას სხვებისთვისაც ხელმისაწვდომს გახდის, აი, ეგ იქნება კერძო ბიბლიოთეკა. კომურა ალბათ მნიშვნელოვანი ფიგურა იყო. გალავანზევე ეტყობა, შთამბეჭდავი ვინმე იქნებოდა.

– შეძლებული კაცი ვინლა?

– მდიდარი ადამიანი.

– რა განსხვავებაა?

ჰომინო დაფიქრდა.

– არ ვიცი, შეძლებული კაცი იმ კაცს ვუწოდოთ, ვინც უფრო კულტურულია, ვიდრე მდიდარი ტიპი.

– კულტურული?

– ყველა, ვისაც ფული აქვს, მდიდარია. მეც და შენც, ფული თუ გვექნება, მდიდრები ვიქნებით. შეძლებულ კაცად ქცევა კი არც ისე ადვილია. დრო სჭირდება.

– რთულია?

– კი. ამაზე ნუ ვიდარდებთ, არა მგონია, რომელიმეს გამდიდრება გვემუქრებოდეს, არც კულტურული გავხდებით.

– ბატონო ჰომინო.

– ჰო.

– რადგან ორშაბათს დაკეტილია, ხვალ დილით აქ 11 საათზე თუ მოვალთ, ღია იქნება?

– ჰო. ხვალ სამშაბათია.

– ნაკატას შეუშვებენ ბიბლიოთეკაში?

– დაფაზე წერია, ყველასთვის ღიააო, რა თქმა უნდა, შეგიშვებენ.

– კითხვა რომ არ ვიცი, მაინც?

– არც ეგაა პრობლემა. შესასვლელში ადამიანებს არ ამოწმებენ, კითხვა იციან თუ არა.

– მაშინ მინდა, შიგნით შევიდე.

– კარგი, ხვალ პირველ რიგში აქ მოვალთ და შიგნით შევალთ. მაგრამ რაღაც მინდა გკითხო ჯერ. ამ ადგილს ეძებდი, არა? და ის ნივთი, რომელსაც დაეძებ, შიგნით არის?

ნაკატამ ქუდი მოიხადა და მოკლედ შეკრეჭილი თმა კინალამ დაიგლიჯა.

– კი, მგონი, ეს უნდა იყოს.

– ანუ შეგვიძლია, ძებნას შევეშვათ?

– დიახ. სწორია. ძიება დასრულებულია.

– მადლობა ღმერთს. უკვე მეგონა, შემოდგომამდე აქეთ-იქით ვიყიალეზდით.

ორივე პოლკოვნიკ სანდერსის ბინაში დაბრუნდა. უხმოდ ეძინათ. მეორე დღეს, 11 საათზე ბიბლიოთეკისკენ წავიდნენ. ფეხით 20 წუთის გზა იყო, ამიტომ გადაწყვიტეს, გაესეირნათ. ჰომინომ უკვე უკან დააბრუნა მანქანა.

ბიბლიოთეკის შესასვლელი ფართოდ გაეღო. ისეთი პირი უჩანდა, რომ დღე ცხელი და ჩახუთული იქნებოდა. გზა რომ არ ამტვერებულყო, ვიღაცას წყალი მიეშხეფებინა ტროტუარზე. გალავნის იქით, კარგად მოვლილი ლამაზი ბაღი იყო.

– ბატონო ნაკატა. – ჭიშკრის წინ მიმართა ჰომინომ.

– რით შემიძლია დაგეხმაროთ?

– ბიბლიოთეკაში რომ შევალთ, როგორ მოვიქცეთ? ყოველთვის ვშიშობ, უცერად თავში რამე გიჟური იდეა არ მოგივიდეს, ჯობს წინასწარ გამაფრთხილო, რომ მოვემზადო.

ნაკატა დაფიქრდა.

– ნაკატამ არ იცის. თუმცა ეს ბიბლიოთეკაა, ამიტომ ვიფიქრე, რომ შეგვიძლია, წიგნების კითხვით დავიწყოთ. მე ან ფოტოალბომებს ვიპოვი, ან ნახატებიან წიგნს. თქვენ, რაც დაგაინტერესებთ, ის შეგიძლიათ წაიკითხოთ.

– გასაგებია. კითხვით დავიწყოთ... ჰო, ჭკვიანურია.

– ამასობაში შეგვიძლია დავფიქრდეთ, მერე როგორ მოვიქცეთ.

– კარგი... ამაზე მერე ვიფიქრებთ. გეგმა გვაქვს.

მშვენიერი ბალის გავლით ძველებურ შესასვლელში შევიდნენ. იქვე რეგისტრატურა იყო. სიმპათიური, ტანწერწეტა ბიჭი იჯდა მაგიდის იქით. თეთრი პერანგი ეცვა და პატარა სათვალე ეკეთა. გრძელი, ლამაზი თმა შუბლზე ჩამოშლოდა. ჰომინომ გაიფიქრა, ასეთ ტიპს ტრიუფოს შავ-თეთრ ფილმებში თუ ნახავო.

ახალგაზრდამ ისინი შენიშნა და გაიბადრა.

– დილა მშვიდობისა! – მხიარულად მიესალმა ჰომინო.

– დილა მშვიდობისა! – უპასუხა ახალგაზრდამ, – კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ბიბლიოთეკაში.

– გვინდა წიგნები წავიკითხოთ.

– რა თქმა უნდა, – თავი დაუქნია ოშიმამ, – რაც გსურთ, შეგიძლიათ წაიკითხოთ. ჩვენი კარი ყველასთვის ღიაა. ყველა საცავში შეგიძლიათ შეხვიდეთ და ნებისმიერი წიგნი ამოირჩიოთ. წიგნი შეგიძლიათ კატალოგში იპოვოთ. თუ რამე კითხვა გაგიჩნდებათ, მომმართეთ, სიამოვნებით დაგეხმარებით.

– გმადლობთ.

– რომელიმე კონკრეტული ჟანრი ან წიგნი გაინტერესებთ?

ჰომინომ თავი გააქნია.

– არა. უფრო ბიბლიოთეკით დავინტერესდით, ვიდრე წიგნებით. ჩავიარეთ და აქაურობამ დაგვაინტერესა. ლამაზი შენობაა.

ოშიმას ღიმილი გადაეფინა სახეზე და კარგად გათლილი ფანქარი აიღო.

– ძალიან ბევრი სწორედ ამიტომ გვესტუმრება ხოლმე.

– მიხარია, რომ ასეა.

– თუ დრო გაქვთ, შეგიძლიათ, ორ საათზე ბიბლიოთეკის დასათვალისწინებელ ტურს შეუერთდეთ. ეს ტური ყოველ სამშაბათს იმართება, თუ მსურველები არიან. ბიბლიოთეკის მმართველი აქაურობას დაგათვალისწინებთ და ბიბლიოთეკის ისტორიასაც მოგიტხრობთ.

– საინტერესოა. რას იტყვი, ბატონო ნაკატა?

ვიდრე ჰოშინო და ოშიმა ერთმანეთს ესაუბრებოდნენ, ნაკატა იქვე იდგა, ხელში ქუდი ეჭირა და ეჭვის თვალით აკვირდებოდა ყველაფერს. თავისი სახელის გაგონებაზე გამოერკვა.

– შემოიძლია დაგეხმარო?

– ორ საათზე ბიბლიოთეკის დასათვალისწინებელი ტურია. შევუერთდეთ?

– დიახ, ბატონო ჰოშინო, გმადლობთ. ნაკატა უარს არ იტყოდა.

ოშიმა ამ საუბარს ყურადღებით ადევნებდა თვალს. ნეტავ ამათ რა ურთიერთობა აქვთ? ნათესავები არ უნდა იყვნენ. უცნაური წყვილია, ასაკითაც დიდად განსხვავდებიან, არც გარეგნობით ჰგვანან ერთმანეთს. ნეტა რა უნდა ჰქონდეთ საერთო? ეს მოხუცი კაცი, ბატონი ნაკატა, უცნაურად ლაპარაკობს. არის მასში რაღაც. არა, ცუდი არაფერი.

– შორიდან ჩამოხვედით?

– ნაგოიდან. – სწრაფად თქვა ჰოშინომ, ვიდრე ნაკატა პირს გააღებდა. ჯობდა, ნაკანო არ ეხსენებინათ. ტელევიზიით უკვე გადმოსცეს, რომ ნაკატას მსგავსი მოხუცი მკვლელობასთანაა დაკავშირებული. საბედნიეროდ, რამდენადაც ჰოშინომ იცოდა, ნაკატას ფოტო საჯაროდ არ უჩვენებიათ.

– დიდი გზა გამოგივლიათ.

– ხიდზე გადმოვედით აქ მოსასვლელად, – ნაკატაც ჩაერთოთ საუბარში, – გრძელი, ლამაზი ხიდია.

– ძალიან დიდია, არა? მე თვითონ არასოდეს მინახავს.

– ნაკატას ამხელა ხიდი არ უნახავს თავის სიცოცხლეში.

– ძალიან დიდი დრო და ფული დასჭირდა მის აშენებას, – წამოიწყო ოშიმამ, – გაზეთებს თუ დავუჯერებთ, ამ ხიდის ფუნქციონირებას წელიწადში მილიონი დოლარი სჭირდება. და სხვათა შორის, ეს თანხა ჩვენი გადასახადებიდან იფარება.

– ნაკატას წარმოდგენა არ აქვს, რამდენია მილიონი.

– არც მე, სიმართლე გითხრათ. რაღაც თანხის მაღლა რიცხვები არარეალურია. თუმცა ნამდვილად დიდი ფულია.

– გმადლობთ, – ჩაერია ჰოშინო მათ საუბარში. ვინ იცის, კიდევ რას წამოროშავდა ნაკატა. ჯობდა, გაერიდებინა უცხოებისთვის, – ტური ორზე დაიწყება, არა?

– დიახ. ორზე. ბიბლიოთეკის მმართველი სიამოვნებით დაგათვალისწინებთ აქაურობას.

– იქამდე წავიკითხავთ.

ოშიმა ხელში ფანქარს ატრიალებდა და იქამდე უყურებდა ამ უცნაურ წყვილს, ვიდრე თვალს არ მიეფარნენ, მერე კი მუშაობა განაგრძო.

საცავიდან რაღაც წიგნები აიღეს, ჰომინომ ბეთჰოვენის და მისი თანამედროვეების შესახებ ამოიჩია წიგნი. ნაკატამ რამდენიმე ფოტოალბომი აირჩია და მაგიდაზე დააწყო.

მერე კი ძალიან უვლიდა ოთახს, ყველაფერს საგულდაგულად ამოწმებდა, ყველაფერს ეხებოდა, ყნოსავდა, ჩერდებოდა და თვალს უშტერებდა რაღაც წერტილებს. თორმეტამდე სამკითხველო დარბაზში მარტონი იყვნენ, ასე რომ, მოხუცის ექსცენტრიული ქცევა არავის შეუმჩნევია.

– ბაბუ! – წაიჩურჩულა ჰომინომ.

– რით დაგეხმარო?

– კარგი იქნება, თუ არავისთან ახსენებ, ნაკანოდან რომ ხარ.

– რატომ?

– გრძელი ისტორიაა. უბრალოდ ასე მოიქეცი. თუ ვინმე გაიგებს, საიდანაც ხარ, შეიძლება პრობლემები შეგვექმნას.

– გასაგებია, – ნაკატამ რამდენჯერმე დაუქნია თავი, – სხვებს პრობლემები არ უნდა შეუქმნა. ნაკატა არავის ეტყვის, ნაკანოდან რომ არის.

– კარგი იქნება. იპოვე, რასაც ეძებდი?

– ჯერ არა.

– მართლა ის ადგილია?

ნაკატამ თავი დაუქნია.

– ეს ადგილია. ღამით, ვიდრე დავიძინებდი, ქვას კარგა ხანს ვესაუბრე. ნამდვილად ეს ადგილია.

– მადლობა ღმერთს.

ჰომინომ კითხვა განაგრძო. ბეთჰოვენი, როგორც წიგნში ამოიკითხა, ამაყი კაცი იყო, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული და არც დიდკაცობასთან მლიქვნელობას ერიდებოდა. სჯეროდა, რომ ხელოვნება, ემოციების გამოხატვის სწორი საშუალება, სამყაროში ყველაზე ამაღლებული რამაა და პოლიტიკა და სიმდიდრე ემსახურება ერთადერთ მიზანს – ხელოვნების შექმნას. როცა ჰაიდნი მდიდარ ოჯახში ჩერდებოდა, – და მან თითქმის მთელი პროფესიული ცხოვრება ასე გაატარა – მსახურებთან ჭამდა. ჰაიდნის თაობის მუსიკოსებს დაქირავებულ მუშაკებად განიხილავდნენ (გულწრფელი და დახვეწილი მანერების მქონე ჰაიდნი მაღალ საზოგადოებასთან გამართულ ტრაპეზზე ყოფნას მსახურების საზოგადოებაში ყოფნას ამჯობინებდა).

ჰაიდნისგან განსხვავებით, ბეთჰოვენს ასეთი აგდებული მოპყრობა რისხვას ჰგვრიდა, კედლისთვის ნივთებიც კი შეუღლეწავს ბრაზისგან. მოითხოვდა, ისეთივე პატივით მოპყრობოდნენ, როგორც დიდებულებს. ხშირად მოთმინებას კარგავდა და დამშვიდება უჭირდა. გარდა ამისა, რადიკალური პოლიტიკური იდეებით იყო შეპყრობილი, რომლებსაც არც კი მალავდა. სმენის დაქვეითების შემდეგ ეს თვისებები უფრო გაუმძაფრდა. დროთა განმავლობაში მისი მუსიკა უფრო ექსპანსიური და უფრო სულშიჩამწვდომიც გახდა. მხოლოდ ბეთჰოვენს შეეძლო ამ კონტრასტული ტენდენციების დაბალანსება. მუსიკის შექმნას უდიდესი ძალისხმევა სჭირდებოდა, რაც მის ცხოვრებაზე უარყოფითად აისახებოდა, ყველასა აქვს ფიზიკური და ემოციური ზღვარი, ის კი, არათუ მიუახლოვდა ამ ზღვარს...

ჰომინომ გაიფიქრა, გენიოსებისთვის ცხოვრება მარტივი არ არისო. გაცეხულმა წიგნი დადო. გაახსენდა – სკოლაში მუსიკის კაბინეტში წარბშეკრული ბეთჰოვენის ბრინჯაოს ბიუსტი ედგათ. აქამდე არ უფიქრია, რამდენი სირთულე შეხვდა ამ ადამიანს ცხოვრებაში. რა გასაკვირია, ასეთი გამომეტყველება რომ ჰქონდა.

დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ ჩემგან გენიოსი არ დადგებაო, გაიფიქრა ჰომინომ.

ნაკატა მოძებნა, იაპონური ავეჯის ფოტოალბომს ათვალთვობდა, ხელებს მექანიკურად ისე ამოდრავებდა, თითქოს საჭრელითა და შალაშინით მუშაობდა. ალბათ ამ ფოტოებმა წარსული მოაგონეს. ნაკატა? ნაკატა კი შეიძლება ერთ დღეს დიდებულ პიროვნებად იქცეს, გაიფიქრა ჰომინომ. განა ვინმეს შეუძლია იმ ყველაფრის კეთება, რაც ნაკატას?

თორმეტის მერე ორი სხვა მკითხველიც შემოუერთდათ. სამკითხველო დარბაზში შუახნის ქალბატონები შემოვიდნენ და ამიტომ ჰომინომ და ნაკატამ დროებით გარეთ გასვლა გადაწყვიტეს. ჰომინომ გზად ლანჩისთვის ფუნთუშები იყიდა, ნაკატას კი, როგორც ყოველთვის, ცხელი ჩაი ჰქონდა თერმოსით. ჰომინომ ოშიმას ჰკითხა, ბიბლიოთეკის ეზოში ჭამა ნებადართულია თუ არაო.

– რა თქმა უნდა, – უპასუხა ოშიმამ, – ვერანდიდან ბაღის მშვენიერი ხედი იშლება. წახემსების შემდეგ ყავა მიირთვით. უკვე მოვამზადე, ნუ მოგერიდებათ.

– გმადლობთ, – უპასუხა ჰომინომ, – აქაურობა სახლივით გაქვთ მოწყობილი.

ოშიმას გაეღიმა და თმა უკან გადაიყარა.

– სხვა ბიბლიოთეკებისგან განსხვავდება. ალბათ სახლივით მყუდრო უფრო ეთქმის. ვცდილობთ, ინტიმური გარემო შევქმნათ, სადაც ადამიანები დაისვენებენ და კითხვით შეიქცევენ თავს.

ჰომინოს ოშიმა მოეწონა. ჭკვიანი, დახვეწილი, კეთილი, მოვლილია, ალბათ კარგი ოჯახიდანაა. ჰომოსექსუალი უნდა იყოს, მაგრამ მე რა მენადვლება, ზოგს ქვებთან ლაპარაკი უსწორდება, ზოგს სხვა კაცთან სექსი, რას გაიგებო, ფიქრობდა.

ლანჩის შემდეგ ჰომინო წამოდგა და გაიზმორა, მერე რეგისტრატურასთან მივიდა, რომ ოშიმას შეთავაზებული ყავა დაეღია. ნაკატა ვერანდაზე დარჩა, ჩაის სვამდა და ჩიტებს უყურებდა, რომლებიც იქვე დაფრინავდნენ.

– იპოვეთ საინტერესო წიგნი? – ჰკითხა ოშიმამ ჰოშინოს.

– დიახ. ბეთჰოვენის ბიოგრაფიას ვკითხულობ. მომწონს. დამაფიქრებელი ცხოვრება ჰქონდა. ოშიმამ თავი დაუქნია.

– უხეშად რომ ვთქვათ, ბევრი რამ გადახდა.

– რთული ცხოვრება გაიარა. მაგრამ მისი ბრალი მგონია. არ შეიძლება, ასეთი ეგოცენტრული და არამეგობრული იყო. ყველაფერი საკუთარ თავს და საკუთარ მუსიკას შესწირა. მასთან ურთიერთობა მარტივი არ იქნებოდა. ეი, ლუდვიგ, შევისვენოთ! – ვეტყვოდი, მისი ნაცნობი რომ ვყოფილიყავი. რა გასაკვირია, მისი ძმისწული რომ ჰკუდიდან შეიშალა. თუმცა ვალიარებ, მისი მუსიკა დიდებულია, სულში ჩამწვდომი და საოცარი.

– სრული სიმართლეა, – დაეთანხმა ოშიმა.

– რატომ იცხოვრა ასე? შეეძლო, ნორმალურად ეცხოვრა.

ოშიმამ ფანქარი აათამაშა.

– მესმის, რასაც გულისხმობთ. მაგრამ ბეთჰოვენის ეპოქაში ადამიანები მიიჩნევდნენ, რომ მნიშვნელოვანი იყო საკუთარი ეგოს გამოხატვა. უფრო ადრე, აბსოლუტური მონარქიის დროს, ასეთი უგვანი და სოციალურად ამორალური საქციელი დაიგმობოდა. ბურჟუაზიის გაძლიერების შემდეგ კი ეს მორალური შეზღუდვები გაუქმდა და საზოგადოება ინდივიდუალურობის გამოვლინებას მიესალმებოდა. თავისუფლება და საკუთარი მე-ს გამოხატვა სინონიმებად იქცა. ხელოვნებას, განსაკუთრებით კი მუსიკას, ეს ცვლილება პირდაპირ შეეხო. ბეთჰოვენის შემდგომი კომპოზიტორები, მის ჩრდილქვეშ რომ იყვნენ – ბერლიოზი, ვაგნერი, ლისტო, შუმანი – ექსცენტრიულად ცხოვრობდნენ. ექსცენტრიულობა ცხოვრების იდეალურ სტილად მიიჩნეოდა. ამას რომანტიზმის ეპოქა ეწოდა. თუმცა ალბათ ასე ცხოვრება ბევრ სირთულეს ქმნიდა. მოგწონს ბეთჰოვენის მუსიკა?

– კარგად არ ვიცნობ მის მუსიკას, – აღიარა ჰოშინომ, – ძალიან ცოტა ნაწარმოები მომისმენია. ერთადერთი კომპოზიცია მომწონს – ტრიო «ერცჰერცოგი».

– ჰო, ეგ კარგია.

– «მილიონდოლარიანი ტრიოს» შესრულება დიდებულია.

– მე ერთი ჩეხური ანსამბლის შესრულება მირჩევნია. ბალანსს იცავენ. გრძნობ, როგორ ელამუნება სიო მწვანე მდელოებს. მილიონდოლარიანი ტრიოს – რუბინშტეინის, ხეიფეცისა და ფოიერმანის შესრულებაც მომისმენია. დახვეწილად ასრულებენ.

– ბატონო ოშიმა, – ჰოშინომ მაგიდაზე მოთავსებულ სახელიან ფირფიტას დახედა, – რამდენი რამ გცოდნიათ მუსიკის შესახებ.

ოშიმას გელიმა.

– ბევრი არაფერი ვიცი. მუსიკა მიყვარს.

– როგორ ფიქრობთ, მუსიკას შეუძლია ადამიანის შეცვლა? შესაძლებელია, რაღაც მოისმინო და შენში ძირეული ცვლილებები დაიწყოს?

ომიმამ თავი დაუკრა.

– რა თქმა უნდა, შეიძლება ასე მოხდეს. ქიმიური რეაქციაა, ჩვენში რაღაცას ცვლის. მოგვიანებით, როცა საკუთარ თავს ვაკვირდებით, ვხვდებით, რომ ჩვენი ცხოვრებისეული სტანდარტები შეიცვალა და სამყარო ახალი კუთხით წარმოგვიდგა. დიახ, გამომიცდია. ხშირად არა, მაგრამ ასეც ხდება. სიყვარულივითაა.

ჰომინოს არავინ ჰყვარებია თავდავიწყებით, მაგრამ მაინც დაუქნია თავი.

– ჩვენთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია, არა?

– ძალიან. ასეთი გამოცდილების გარეშე ჩვენი ცხოვრება მოსაწყენი იქნებოდა და უინტერესო. ბერლიოზმა ეს ასე გამოხატა – იმ ადამიანის ცხოვრება, ვისაც ჰამლეტი არ წაუკითხავს, ქვანახშირის მადაროში გატარებულ ცხოვრებას ჰგავსო.

– ქვანახშირის მადაროში?

– მეცხრამეტე საუკუნისთვის დამახასიათებელი ჰიპერბოლაა.

– გმადლობთ ყავისთვის. ვისიამოვნე თქვენთან საუბრით.

ომიმამ გაუღიმა.

ჰომინო და ნაკატა ორ საათამდე წიგნებს ჩაჰკირკიტებდნენ. ავეჯის ფოტოების თვალიერების დროს ნაკატა დურგლისთვის დამახასიათებელ მოძრაობებს იმეორებდა. ლანჩის შემდეგ, იმ ორი შუახნის ქალბატონის გარდა, კიდევ სამი მკითხველი შემოუერთდათ. მაგრამ ბიბლიოთეკის დათვალიერების სურვილი ნაკატას და ჰომინოს გარდა არავის გასჩენია.

– მარტო ორისთვის ჩაატარებთ ტურს? არ შეგაწუხებთ? არ მინდა, დრო მხოლოდ ჩვენთვის დაკარგოთ.

– ნუ ღელავთ. ბიბლიოთეკის მმართველს ერთი მსურველისთვისაც კი სიამოვნებს ექსკურსიის ჩატარება.

ზუსტად ორ საათზე კიბეებზე კარგი გარეგნობის შუახნის ქალბატონი ჩამოვიდა. გამართული იყო, გრაციოზულად მოძრაობდა. მუქლურჯზოლიანი კოსტიუმი, მაღალქუსლიანი შავი ფეხსაცმელი ეცვა და მოღიავებულ კისერზე წვრილი ვერცხლისფერი ყელსაბამი ეკეთა. თმა უკან შეეკრა. დახვეწილი გარეგნობა ჰქონდა.

– გამარჯობა. მე ქალბატონი საეკი ვარ, ბიბლიოთეკის მმართველი. – ქალმა ღიმილით წარმოთქვა.

– მე ჰომინო ვარ.

– მე ნაკატა, ნაკანოდან. – მოხუცს ხელში ქუდი ეჭირა.

– მახარებს თქვენი სტუმრობა. – უპასუხა ქალმა.

ნაკატას სიტყვების შემდეგ ჰოშინოს ცივმა ოფლმა დაასხა, მაგრამ ქალბატონ საეკის არაფერი შეუმჩნევია.

ნაკატას გულმავიწყობამ ისევ იჩინა თავი.

– დიდ ხიდზე გადმოვედით.

– ლამაზი შენობაა. – სასაუბრო თემის შეცვლა სცადა ჰოშინომ.

– მეიჯის ადრეულ პერიოდში აშენდა, როგორც ბიბლიოთეკა და სახლი კომურების ოჯახის სტუმრებისთვის. ბევრი ლიტერატორი ყოფილა აქ სტუმრად. ქალაქის ისტორიულ ღირსშესანიშნაობად არის მიჩნეული.

– ლიტერა ტორები? – იკითხა ნაკატამ.

ქალბატონ საეკის გაეღიმა.

– პოეტები, მწერლები და სხვები. წარსულში შეძლებული ადამიანები მათ ეხმარებოდნენ. იმ დროს ხელოვნებისადმი სხვაგვარი დამოკიდებულება ჰქონდათ და არ მიიჩნეოდა, რომ მისი მეშვეობით თავის გატანა შესაძლებელია. კომურების ოჯახი ამ რეგიონში კულტურასა და ხელოვნებას აფინანსებდა. ეს ბიბლიოთეკა აშენდა და ფუნქციონირებს მომავალი თაობებისთვის კულტურული მემკვიდრეობის გადასაცემად.

– შეძლებული ადამიანი – ნაკატამ იცის, რასაც ნიშნავს. დიდი დრო გჭირდება, შეძლებულ კაცად რომ იქცე.

ქალბატონმა საეკიმ ღიმილით დაუქნია თავი.

– მართალი ხართ. რამდენი ფულიც არ უნდა იშოვო, დროს ვერ იყიდი. მოდი, ექსკურსია მეორე სართულიდან დავიწყოთ.

ყველა ოთახი მოიარეს, ქალბატონი საეკი, როგორც წესი, იმ ლიტერატორებზე მოუთხოვდა, რომლებიც სხვადასხვა პერიოდში ამ სახლში მოდიოდნენ და ამ ორ დამთვალეიერებელს იმ არტისტების მიერ დატოვებული ხელნაწერები და ნახატები უჩვენა. ნაკატა ყურს საერთოდ არ უგდებდა, სამაგიეროდ ყოველ ნივთს აკვირდებოდა. იმ კაბინეტში, ქალბატონი საეკი ოფისად რომ იყენებდა, მაგიდაზე ავტოკალამი იდო. ჰოშინო იძულებული იყო ფეხდაფეხ მიჰყოლოდა ქალბატონ საეკის და საჭირო დროს საჭირო რამ ეთქვა. საშინლად იყო დამაბული, ნაკატამ რამე საოცრება არ ჩაიდინოსო! მაგრამ ნაკატას ნივთების გარდა არაფერი აინტერესებდა. ქალბატონ საეკის კი არ ადარდებდა, რით იყო დაკავებული ნაკატა. ღიმილით ყველაფერი უჩვენა. ჰოშინო გააკვირვა მისმა სიმშვიდემ.

ტური ოცი წუთის შემდეგ დასრულდა, ნაკატამ და ჰოშინომ მადლობა გადაუხადეს. მთელი ამ ხნის მანძილზე ქალბატონ საეკის სახიდან ღიმილი არ მოშორებია. ჰოშინოს სულ უფრო და უფრო აბნევდა ეს ქალი. გვიყურებს და გვიღიმის, მაგრამ თითქოს ვერაფერს ამჩნევს, ჩვენ გვიყურებს და რაღაც სხვას ხედავსო, ფიქრობდა. მიუხედავად იმისა, რომ მისი გონება სხვაგან

დაფრინავდა, თავაზიანად და კეთილგანწყობით ეპყრობოდა სხვებს. როცა კითხვას უსვამდნენ, მარტივ, თავაზიან პასუხს აძლევდა. ვერ იტყოდი, რომ ამას ძალდატანებით აკეთებდა. მის ნაწილს ამ საქმის კეთება სიამოვნებდა. მაგრამ მთელი არსებით არ იყო იქ.

კაცები სამკითხველო დარბაზში დაბრუნდნენ და დივანზე ჩამოსხდნენ წიგნებითურთ. ჰოშინო წიგნს ფურცლავდა, მაგრამ ქალბატონ საეკიზე ფიქრი თავიდან არ ამოსდიოდა. ამ მშვენიერ ქალში იყო რაღაც ამოუცნობი. ჰოშინო შეეშვა ამაზე ფიქრს. სამ საათზე ნაკატა მოულოდნელად წამოდგა. მტკიცედ მოძრაობდა. ქუდი ხელში მაგრად ჰქონდა ჩაბლუჯული.

– ე, რა ხდება, საით მიდიხარ? – ხმადაბლა დაუძახა ჰოშინომ.

პასუხი ვერ მიიღო. ნაკატა უკვე გასასვლელისკენ მიდიოდა, მისი ნივთები იატაკზე ეყარა.

ჰოშინომ წიგნი დახურა და წამოდგა. რაღაც ვერ იყო რიგზე.

– მოიცა, გაჩერდი! – დაუძახა, მაგრამ მიხვდა, მოხუცს მისი არ ესმოდა, ამიტომ გამოეკიდა. სხვა მკითხველებმა კითხვა შეწყვიტეს და მათ გახედეს.

ნაკატა შენობიდან არ გასულა, მარცხნივ გაუხვია და უყოყმანოდ ავიდა მეორე სართულზე. წარწერას, რომელიც კიბის თავზე ეკიდა (სტუმრები შენობის ამ ნაწილში არ დაიშვებიან), ყურადღება არც კი მიაქცია – მან ხომ კითხვა არ იცოდა. კიბეზე ასვლის დროს მისი გაცვეთილი ტენისის ფეხსაცმელები ჭრაჭუნებდა.

– უკაცრავად, – მაგიდაზე გადაყრდნობილმა ოშიმამ გასძახა ნაკატას, – მაგ ტერიტორიაზე შესვლა არ შეიძლება.

ნაკატას არაფერი ესმოდა.

ჰოშინო უკან გაეკიდა. ისიც აჰყვა კიბეებზე.

– ბაბუ, მანდ შესვლა არ შეიძლება!

ოშიმაც მათ აჰყვა. ნაკატამ უშიშრად გაიარა დერეფანი და კაბინეტში შევიდა. კარი ღია იყო. ქალბატონი საეკი, ფანჯრისკენ ზურგით, მაგიდასთან იჯდა და წიგნს კითხულობდა.

მას ფეხის ხმა მოესმა და აიხედა. ნაკატა მაგიდასთან მივიდა და გაჩერდა. პირდაპირ შეხედა. არც ერთს სიტყვა არ წარმოუთქვამს. ერთი წუთის შემდეგ ჰოშინოც მოვიდა, მას კი ოშიმა შემოჰყვა.

– აი, სად ყოფილხარ, – ჰოშინო მოხუცს მხარზე შეეხო, – აქ არ შეიძლება ყოფნა. ეს აკრძალულია, უნდა გავიდე, კარგი?

– ნაკატას უნდა, რაღაც გითხრათ. – მიმართა ნაკატამ ქალბატონ საეკის.

– რის შესახებ? – მშვიდად ჰკითხა ქალბატონმა საეკიმ.

– მინდა, ქვის შესახებ გელაპარაკოთ. შესასვლელი ქვის შესახებ.

ქალბატონი საეკი უსიტყვოდ აკვირდებოდა მოხუცის სახეს. მის თვალებში ორაზროვანი სინათლე კიაფობდა. რამდენჯერმე დაახამხამა, მერე წიგნი დახურა. ორივე ხელი მაგიდაზე ჩამოაწყო და ისევ ნაკატას შეხედა. არ იცოდა, რა ექნა, მერე თავი დაუქნია.

ოშიმას და ჰოშინოს გახედა.

– გთხოვთ, ცოტა ხნით მარტო დაგვტოვოთ. სასაუბრო გვაქვს. გთხოვთ, კარი მიხუროთ.

ოშიმა ყოყმანობდა. მერე თავი დაუქნია. ჰოშინოს ხელკავი გამოსდო ნაზად და დერეფანში გაიყვანა, კარიც მიიხურა.

– დარწმუნებული ხარ, რომ არაფერი დაშავდება? – იკითხა ჰოშინომ.

– ქალბატონმა საეკიმ იცის თავისი საქმე, – ოშიმა ჰოშინოს დაბლა ჩაუძღვა, – თუ ამბობს, ასეა საჭირო, ასეა საჭირო. მასზე ნუ ვიდარდებთ. ბატონო ჰოშინო, ვიდრე მათ ველოდებით, ფინჯანი ყავა დალიოთ.

– კარგი. როცა საქმე ბატონ ნაკატას ეხება, ნერვიულობა მხოლოდ დროის კარგვას. – თავი გააქნია ჰოშინომ.

41

ამჯერად მომზადებული მივდივარ ტყეში, თან მიმაქვს კომპასი, დანა, მათარა, საჭმელი, ხელთათმანები, ყვითელი საღებავი და პატარა ცული, რომელიც აქამდეც გამომიყენებია. ყველაფერს ინსტრუმენტების ყუთში ნაპოვნ ჩანთაში ვაწყო.

ტყეში შევაბიჯე. გრძელსახელოებიანი მათური ჩავიცვი, ყელზე პირსახოცი შემოვიხვიე, ოშიმას მოცემული ქუდი დავიხურე. სხეულზე მწერებისგან დამცავი ვისხურე. ცა ღრუბლებითაა დაფარული, ცხელა, დახუთული ჰაერია, ყოველ წუთს შეიძლება გაწვიმდეს. კარგია, ლაბადაც რომ ჩავდე ჩანთაში. ჩიტები დაბლა დაფრინავენ და ისე კვიან, მარღვებში სისხლი მეყინება.

იმ მდელიმდე უპრობლემოდ მივდივარ. კომპასს დავყურებ, ვამოწმებ, ნამდვილად დასავლეთისკენ მივემართები თუ არა. ამჯერად გზის მოსანიშნად საღებავით ყვითელ ნიშნებს ვტოვებ ხეების ტანზე. მშვიერი ჩიტები საღებავს – ჰენზელისა და გრეტელის პურის ნამცეცებისგან განსხვავებით – ვერ აკენკავენ.

კარგად მოვემზადე, მაგრამ მაინც ვლელავ. ცნობისმოყვარეობა მეწევა წინ. ნეტა ეს ბილიკი სად მიმიყვანს? თუნდაც არაფერი დამხვდეს ბილიკის ბოლოს, ჩემი თვალით მინდა ვნახო! გარემოს ყურადღებით ვაკვირდები, სწრაფად, მაგრამ ფრთხილად მივიწევ წინ.

დროდადრო უცნაური ხმები ჩამესმის. თითქოს მიწაზე რაღაც დაებერტყა, თითქოს ფეხქვეშ ძველი ხის იატაკი ჭრიალებს... ზოგ ხმას ვერც კი აღვწერ. ზოგჯერ შორიდან მოისმის, ზოგჯერ ძალიან ახლოდან, დისტანცია ხან იზრდება, ხან მცირდება. ჩიტების ფრთების ფრთხილის ექო უფრო ხმამაღალია, უფრო გადამეტებული, ვიდრე ჩვეულებრივ. ყოველთვის, როცა ასეთი ხმა მესმის, ვჩერდები, ყურადღებით ვუსმენ, სუნთქვაშეკრული, რაღაცას ველი. არა, არაფერი ხდება და სვლას განვაგრძობ. ამ იშვიათ ხმებს თუ არ ჩავთვლით, ირგვლივ ყველაფერი დუმს.

ქარი არ ქრის, ხეების კენწეროებზე ფოთლებიც არ შრიალებს, მხოლოდ ჩემი ნაბიჯების ხმაა. როდესაც ჩამოვარდნილ ტოტს ვაბიჯებ, ტკაცუნის ყველგან გაისმის.

კარგად ალესილ ნაჯახს ჩავებლაუჭე, ასე თავს დაცულად ვგრძნობ. რას ვუფრთხი? ამ ტყეში მგლები და დათვები არ ბინადრობენ. შეიძლება, შხამიანი გველები იყვნენ. ალბათ ყველაზე საშიში არსება აქ მე თვითონ ვარ. საკუთარი ჩრდილისაც მეშინია.

ისეთი განცდა მაქვს, რომ სადღაც რაღაც სუნთქვაშეკრული ჩასაფრებულა და ჩემს ყოველ მოძრაობას თვალს ადევნებს. სადღაც შორს რაღაც ყურს უგდებს ყოველ ჩემ მიერ გამოცემულ ხმას, ცდილობს გამოიცნოს, სად მივდივარ და რატომ. ამაზე აღარ ვიფიქრებ. თუ ხშირად წარმოიდგენ რამეს, ის ხორცს შეისხამს.

ვუსტვენ – ამ სიჩუმეს ვარღვევ. კოლტრეინის My Favorite Things-იდან საქსოფონ-სოპრანოს პარტიაა, მაგრამ ეს ჩემი უხეირო სტვენა რას შეედრება იმ კომპლექსურ, სინათლის სიჩქარესავით სწრაფ ორიგინალს. სულ არაფერს მაინც სჯობია. თერთმეტის ნახევარია. ოშიმა ალბათ უკვე ბიბლიოთეკას ამზადებს გასაღებად. დღეს ოთხშაბათია. წარმოვიდგენ, როგორ ასხურებს წყალს ბაღში, როგორ წმენდს მაგიდებს, ყავას იხარშავს. ეს ყველაფერი მე მევალება. მაგრამ ახლა აქ ვარ, ამ ტყეში. ამის შესახებ ვიცით მართლმე და იმათ, სხვამ არავინ...

ბილიკს მივუყვები, თუკი შეიძლება, ამას ბილიკი ეწოდოს. ბუნებრივი არხი უფროა, რომელიც წყალმა გაჭრა დროთა განმავლობაში. თავსხმა წვიმის დროს წყლის ნაკადს თან ნაგავი და ბალახი მიაქვს, ხეების ფესვებს რეცხავს, თუ ქვა დახვდება, გვერდს უვლის. წვიმის შემდეგ დარჩენილი მშრალი კალაპოტი ბილიკს წააგავს. ეს ცრუ ბილიკი გვიმრითა და მწვანე ბალახითაა დაფარული. თუ ყურადღებით არ ვიქნები, მაშინვე დავკარგავ. დროდადრო გზა ციცაბო ხდება. იძულებული ვხდები, ხის ტანს მოვეჭიდო და ისე ავბობლდე მალა.

მალე კოლტრეინის საქსოფონ-სოპრანოს პარტია შეწყდა და ის მაკკოი ტაინერის პიანინოს სოლომ შეცვალა, მარცხენა ხელი რიტმს გამოსცემს, მარჯვენა კი უხეშ, აკრძალულ აკორდებს იღებს. ეს მუსიკა მითოსურ სცენას ჰგავს. უსახელო, უსახო ადამიანის შავბნელი წარსული ისე გამოაქვს საამუკარაოზე, როგორც გაჭრილი მუცლიდან გადმოყრილი ნაწლავები. ეს ჰანგები რეალობას ამსხვრევს და საგნებს ადგილს უცვლის. მომაჯადოებელია და თან მუქარის სურნელი დაჰკრავს.

წინ მივიწევ, ხეებს ვნიშნავ, ზოგჯერ ვტრიალდები და ვამოწმებ, ეს ყვეთელი ნიშნები კარგად ჩანს თუ არა. ისინი ზღვის ტივტივების უსწორმაწორო ხაზივითაა, სახლისკენ გზას მიჩვენებს. გზადაგზა ხის ტანზე ცულის კვალსაც ვტოვებ. ცული ძალიან ბასრი არ არის, ამიტომ წვრილ და ნაზტანიან ხეებს ვირჩევ. ამ დარტყმებს ხეები უსიტყვოდ იტანენ.

დიდი შავი კოლოები მზვერავებივით დამტრიალებენ, თვალების გარშემო დაუცველ კანზე მასხდებიან. ვვანტავ ან ვჭყლეტ კოლოებს. ზოგჯერ მაინც ახერხებენ, რომ სისხლი ამომწოვონ. ქავილი მერე მეწყება. კოლოს მოკვლის შემდეგ კისერზე შემოხვეული პირსახოცით სისხლიან ხელებს ვიწმენდ.

კოლოები ჯარისკაცებსაც შეაწუხებდნენ, თუ ამ ტყეში წვრთნა ზაფხულში გაიარეს. ნეტავ მათი სრული აღჭურვილობა რამდენს იწონიდა? ძველი ცეცხლსასროლი იარაღი ალბათ ტყვიასავით იყო. ხიშტი, ტყვიები, ფოლადის ჩაფხუტი, ჭურვები, საკვები, სანგრის სათხრელი ნიჩბები, ზურგჩანთა – ოცი კილო მაინც იქნებოდა – ჩემს ჩანთაზე გაცილებით მძიმე.

მგონია, რომ აქ 60 წლის წინ გამქრალ ჯარისკაცებს სადმე შევეჩხებები.

გამახსენდა ნაპოლეონის არმია, რომელიც 1812 წლის ზაფხულში რუსეთის დასაპყრობად გაემართა. მოსკოვისკენ მიმავალ გრძელ გზაზე კოლოები ალბათ იმათაც გულს უწყალებდნენ. რა თქმა უნდა, მათ უამრავი სხვა სიძნელეც ექნებოდათ: ალბათ შიოდათ, სწყუროდათ, გზები ატალახებული იყო, ათასგვარი ინფექციური დაავადება სპობდათ, აუტანელი სიცხე აწუხებდათ, წამლები არ ჰქონდათ, კაზაკები საჭმლის მწირ მარაგს სტაცებდნენ... რუსეთის არმიასთან სასტიკ ბრძოლებს აღარც ვახსენებ. როცა ფრანგები, როგორც იქნა, დაცარიელებულ მოსკოვში შევიდნენ, მათი რაოდენობა 500 000-დან 100 000-მდე იყო შემცირებული.

შევჩერდი და წყლის ყლუპი მოვსვი. ზუსტად 11 საათია. ბიბლიოთეკა ახლა იღება. ოშიმა კარს აღებს, რეგისტრატურის მაგიდასთან ჯდება, წინ გრძელი, კარგად გათლილი ფანქრები უწყვია. ერთ-ერთს იღებს, ატრიალებს და საშლელიანი ბოლოთი საფეთქელს ეხება. ძალიან მკაფიოდ ვხედავ ამ სცენას. ბიბლიოთეკა ჩემგან ძალიან შორსაა. მენსტრუაცია არასდროს მქონიაო, ოშიმა ამბობს. ანალური სექსი მაქვს, ვაგინალური – არასდროსო. კლიტორი მგრძნობიარე მაქვს, მკერდი კი არაო.

მახსოვს, ქოხში საწოლზე როგორ დაეძინა, პირით კედლისკენ. როცა წავიდა, იმავე საწოლზე დავიძინე, ყველაფერს მისი კვალი ეტყობოდა.

ჯობია, ამის ნაცვლად ომზე ვიფიქრო. ნაპოლეონის ომებზე, იმ ომებზე, იაპონელი ჯარისკაცები რომ იბრძოდნენ. ხელში ცულის სიმძიმეს ვგრძნობ. მისი ბასრი პირი ბრწყინავს და თვალს ვერ ვუსწორებ. რატომ ომობენ ადამიანები? რატომ იყრის თავს ერთად ასიათასობით და მილიონობით ადამიანი ერთმანეთის გასაყლელად? ომებს სიბრაზის გამო იწყებენ? თუ შიშის? თუ შიში და ბრაზი ერთი და იმავე სულის სხვადასხვა სახეა?

ცულით კიდევ ერთ ხეზე დავტოვე კვალი. ხემ უხმოდ ამოიკვნესა, უხილავი სისხლი წამოუვიდა. მე გაჭირვებით მივიწევ წინ. კოლტრეინი ისევ სოპრანო-საქსოფონს იღებს ხელში.

ეს რეფრენი კიდევ ერთხელ ამსხვრევს რეალობას და საგნებს ადგილს უცვლის. ოცნებებში დაფორინავ. საკურას ვეხვევი. ჩემს მკლავებშია, მასში ვარ.

აღარ მინდა, საქმე გარემომცველ საგნებთან დავიჭირო, არ მინდა, თავგზა ამიბნიოს მოვლენებმა, რომლებსაც ვერ ვაკონტროლებ. მამა უკვე მოვკალი და დედაც გავაბახე – ახლა კი ჩემს დაში ვარ. თუ დაწყველილი ვარ, ჩემში ჩადებული კოდის ძახილს უნდა მივყვე. უნდა მოვიხსნა ეს ტვირთი მხრებიდან და ვიცხოვრო – აღარ გავერიო სხვების საქმეებში. მარტო ეს მინდა. ვათავებ.

– სიზმარშიც კი არ უნდა მოქცეულიყავი ასე.

ბიჭია, სახელად ყვავი. უკან მომდევს ტყეში.

– ყველანაირად ვეცადე, შემეჩერებინე. მინდოდა, გაგეგო. არ მომისმინე, შენი გაიტანე.

არაფერს ვპასუხობ, გზას განვაგრძობ.

– გეგონა, წყევლას ასე დაძლევდი არა?

მამა მოკალი, დედა გააბახე, უფროსი და გააუპატიურე. გეგონა, ამით მამაშენის წყევლა აღსრულდებოდა. მაგრამ ყველაფერი ჯერ კიდევ წინა გაქვს. ეს წყევლა შენში კიდევ უფრო ღრმად ჩაიმარხა. ეს წყევლა შენი გენეტიკური კოდის ნაწილია. შენ ამოისუნთქავ ამ წყევლას, ქარი მას დედამიწის ოთხივე მხარეს მიმოფანტავს, მაგრამ მაინც რჩება შენში. არც შიში, არც ბრაზი, არც მღელვარება – არაფერი გამქრალა. ისევ შენშია ეს განცდები, ისევ გტანჯავს.

– არ არსებობს ომი, რომელიც სხვა ომებს დაამარცხებს, – მეუბნება ყვავი, – ომი ომს შობს. ის დაღვრილი სისხლითა და ჭრილობებით იკვებება. ომი სრულყოფილი, უკარება არსებაა. ეს გახსოვდეს.

– საკურა, დაო!

ეს რა ჩავიდინე! თუნდაც სიზმრად!

– რა ვიღონო? – მიწას დავყურებ.

– შიში და ბრაზი უნდა დაძლიო. შენს გაყინულ გულში სინათლე შეუშვი. თუ ამას შეძლებ, მთელ მსოფლიოში ყველაზე ძლიერი 15 წლის ბიჭი იქნები. გესმის? დრო კიდევ გაქვს. ტვინი გაანძრიე, ყველაფრის უკან დაბრუნება შეიძლება. მიხვდები, რის გაკეთებაა საჭირო.

– მამაჩემი მართლა მოვკალი?

პასუხი ვერ მივიღე. მოვტრიალდი, ბიჭი სახელად ყვავი იქ აღარ არის, და ჩემს კითხვას სიჩუმე ყლაპავს.

შუაგულ ტყეში, სიცარიელეს, საზარელ სიცარიელეს ვგრძნობ. ოშიმამ ერთხელ თქვა, „ფუტურო კაციო“. ასეთ ადამიანად ვიქეცი. ჩემში სიცარიელეა, რომელიც თანდათან მძიმდება, ავიწროებს იმ ნარჩენებს, რაც ჩემგან დარჩა. ჩემი პიროვნება კვდება. ჩემს ადგილსამყოფელს კოორდინატები არა აქვს, აქ არც ცაა, არც მიწა. ვფიქრობ ქალბატონ

საეკიზზე, საკურაზე, ოშიმაზე. მე მათგან სინათლის წლებით ვარ დაშორებული. თითქოს ბინოკლი მიჭირავს უკუღმა – რა შორსაც არ უნდა გავიშვირო ხელი, ვერ მივწვდები. ამ ლაბირინთში მარტოდმარტო ვარ. ოშიმამ მითხრა, ქარს დაუგდე ყურიო, მაგრამ ქარი არ ქრის. ბიჭი, სახელად ყვავიც კი გაქრა.

ტვინი გაანძრიე, დაფიქრდი, რის გაკეთებაა საჭიროო.

ველარ ვფიქრობ. ამ ლაბირინთს თავს ვერ ვაღწევ. რა ჩასახლდა ჩემში? იქნებ ის რაღაც უნდა აღუდგეს წინ სიცარიელეს?

ამ „მეს“ გადაშლა რომ შემეძლოს, ახლა აქ რომ დგას! ამ ხეების სქელი კედლით გარშემორტყმულმა, აი, ამ ბილიკზე, რომელსაც ბილიკსაც ვერ უწოდებ, სუნთქვა რომ შევწვიტო, ჩემი არაცნობიერი სიბნელეში დაინთქმება, ჩემი სისხლის ბოლო წვეთიც დაიღვრება და ჩემი გენეტიკური კოდი ბალახებში ჩაღვება. ჩემი ბრძოლა დასრულდება. სხვაგვარად მუდმივად მოვკლავ მამას და დედას და დას კი გავაბახებ. მუდმივად ამ სამყაროს განადგურების ცდაში ვიქნები. თვალებს ვხუჭავ და საკუთარი ცენტრის პოვნას ვცდილობ. უკუნი სიბნელეა. ღრუბლები იფანტება და ფანჯრიდან შინდის ხის ფოთლები მოჩანს, მთვარის შუქზე აელვარებული.

ვგრძნობ, ჩემს კანქვეშ რაღაც ცვლილებები ხდება. თავშიც რაღაც მიწკარუნებს. თვალები გავახილე და ამოვისუნთქე. საღებავის ქილა, ცული და კომპასი მოვისროლე. შორიდან მოისმა, როგორ დაეცა თითოეული მათგანი მიწაზე. ფანარი ავანთე. მხრიდან ზურგჩანთა ჩამოვიგდე. გრძნობები გამიმახვილდა. ჰაერი უფრო გამჭვირვალე გახდა, ტყე – უფრო დაბურული. კოლტრეინის სოლოს ლაბირინთები გაუჩერებლივ ჩამესმის.

ზურგჩანთიდან სანადირო დანა ამოვიღე და ჯიბეში ჩავიდე. სამართებელივით ბასრი დანა მამაჩემის მაგიდიდან მოვიპარე. თუ საჭირო გახდება, ვენების გადასაჭრელად გამოვიყენებ და სისხლისგან დავიცვლები. ამ მოწყობილობას გავანადგურებ...

ტყის შუაგულისკენ მივდივარ, მე, ეს ფუტურო კაცი, ეს სიცარიელე, რომელიც ყოველივე არსებობის შთანთქავს. საშიში აღარაფერია. აღარაფერი.

ტყის შუაგულისკენ მივაბიჯებ.

ქალბატონმა საეკიმ ნაკატას შესთავაზა, სკამზე დაბრძანდითო. ვიდრე დაჯდებოდა, წუთით დაფიქრდა. ერთხანს უსიტყვოდ ისხდნენ და ერთმანეთს შეჰყურებდნენ. ნაკატამ ქუდი კალთაზე დაიდო და თავი კარგად მოიქექა. ქალბატონმა საეკიმ ორივე ხელი მაგიდაზე ჩამოაწყო და უხმოდ დააკვირდა ნაკატას.

– თუ არ მეშლება, სწორედ თქვენს გამოჩენას ველოდი.

– მართალია, – უპასუხა ნაკატამ, – მაგრამ ნაკატას აქ მოსასვლელად დრო დასჭირდა. იმედი მაქვს, დიდხანს არ გალოდინეთ. უფრო სწრაფად არ შემემლო, ყველანაირად ვეცადე...

ქალბატონმა საეკიმ თავი გააქნია.

– იდეალური დროა. ოდნავ ადრე რომ მოსულიყავით, ან ოდნავ დაგეგვიანათ, ალბათ უფრო გამიჭირდებოდა.

– ბატონი ჰომინო ძალიან კეთილგანწყობილია ჩემდამი და დიდად დამეხმარა. უიმისოდ მეტი დრო დამჭირდებოდა თქვენთან მოსასვლელად. ნაკატამ ხომ კითხვაც კი არ იცის.

– ბატონი ჰომინო თქვენი მეგობარია, არა?

– დიახ, – ნაკატამ თავიც დაუქნია, – მგონი, არის. მაგრამ დარწმუნებული არა ვარ. კატების გარდა ჩემს ცხოვრებაში არავინ ყოფილა ისეთი, ვისთვისაც შემემლო, მეგობარი მეწოდებინა.

– დიდხანს არც მე მყავდა მეგობრები. მხოლოდ მოგონებებში.

– ქალბატონო საეკი...

– დიახ.

– მე მოგონებებიც კი არა მაქვს. უჭკუო ვარ, როგორც ხედავთ. შეგიძლიათ ამიხსნათ, მოგონებები რა არის?

ქალბატონმა საეკიმ ჯერ მაგიდაზე დაწყო ხელეზე დაიხედა, მერე ისევ ნაკატას შეხედა.

– მოგონებები ადამიანს სულს უთბობენ, მაგრამ თან ფლეთენ კიდევ.

ნაკატამ თავი გააქნია.

– რთულია ამის გაგება. ნაკატას არ ესმის. ნაკატას მხოლოდ აწმყო ესმის.

– ამით სრულიად განვსხვავდები თქვენგან.

ოთახში სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა.

ნაკატამ ოდნავ ჩაახველა.

– ქალბატონო საეკი.

– დიახ.

– შესასვლელი ქვის შესახებ იცით, არა?

– ვიცი, – კალამს შეეხო, – დიდი ხნის წინ გადავაწყდი. ალბათ ჯობდა, მის შესახებ არაფერი მცოდნოდა. თუმცა სხვა გზა არც მქონდა...

– ნაკატამ ის რამდენიმე დღის წინ გააღო. ჭექა-ქუხილი რომ იყო, იმ შუადღეს. უამრავი მეხი დაეცა ქალაქს. ბატონი ჰომინო დამეხმარა. მარტო ვერაფერს გავხდებოდი. გახსოვთ ეგ დღე? ქალბატონმა საეკიმ თავი დაუკრა.

– დიახ, მახსოვს.

– უნდა გამელო.

– ვიცი. იმიტომ გააღეთ, რომ ყველაფერი თავ-თავის ადგილას დაბრუნდეს.

ამჯერად ნაკატას ჯერი იყო – თავი დაუქნია.

– ზუსტად ასეა.

– უფლებაც გქონდათ ამის.

– ნაკატამ ეგ არ იცის. არც მე მქონდა არჩევანი. ეგ კი არა, ნაკანოში კაცის მოკვლაც დამჭირდა. არავის მოკვლა არ მინდოდა, მაგრამ ჯონი უოკერი განაგებდა ყოველივეს. 15 წლის ბიჭი უნდა ყოფილიყო იქ, მის მაგივრად მე მოვკალი ადამიანი. ნაკატა იძულებული გახდა, ასე მოქცეულიყო.

ქალბატონმა საეკიმ თვალეები დახუჭა, მერე გაახილა და ნაკატას შეხედა.

– ეს ამბავი იმიტომ მოხდა მრავალი წლის წინ, რომ შესასვლელი ქვა გავაღე? დღემდე ძალა აქვს? დღემდე აზიანებს სამყაროს?

ნაკატამ თავი გააქნია.

– ქალბატონო საეკი.

– გისმენთ.

– ნაკატამ ამის შესახებ არ იცის. ჩემი დანიშნულება წესრიგის აღდგენაა. ამიტომ წამოვედი ნაკანოდან, ამიტომ გადმოვკვეთე ხიდი და ამიტომ ჩამოვედი სიკოკუზე. დარწმუნებული ვარ, ხვდებით, აქ ველარ დარჩებით.

ქალბატონმა საეკიმ გაიღიმა.

– ვიცი. ამას დიდი ხანია, ვნატრობ, ბატონო ნაკატა. ეს დღე წარსულში უნდა დამდგარიყო, მაგრამ მხოლოდ ახლა დადგა. რაც არ უნდა მეცადა, მაინც ვერ დავაჩქარებდი. მხოლოდ ლოდინილა შემეძლო. ყოველთვის იოლი არ იყო. მაგრამ სატანჯველს ვერ ავირიდებდი.

– ქალბატონო საეკი. ჩემი ჩრდილიც განახევრებულია, ისევე როგორც თქვენი.

– ვიცი.

– ნაკატამ ის ომის დროს დაკარგა. არ ვიცი, რატომ. არ ვიცი, რაღა მაინცდამაინც მე... დროა, დავტოვოთ აქაურობა.

– მესმის.

– ნაკატამ დიდხანს იცხოვრა, მაგრამ, როგორც გითხარით, მოგონებები არა მაქვს. ასე რომ, კარგად ვერ გავიგე, რა გტანჯავდათ, თუმცა, მგონი, ვხვდები. ეს მოგონებები გტანჯავდათ, მაგრამ მათ მაინც ვერ ელეოდით.

– მართალი ხართ. მოგონებები უფრო და უფრო გვტანჯავენ, მაგრამ ვერ ველევით, ვერც ვერასდროს შეველევით. მხოლოდ ისინია შენი ცხოვრების მიზანი, მხოლოდ მოგონებებია დასტური იმისა, რომ ცოცხლები ვართ.

ნაკატამ თავი დაუქნია.

– საჭიროზე მეტ ხანს ვიცხოვრე, ამით მხოლოდ დავაზიანე ხალხი და საგნები. ცოტა ხნის წინ სწორედ იმ 15 წლის ბიჭთან, თქვენ რომ ახსენეთ, ინტიმური კავშირი მქონდა. იმ ოთახში მე ისევ 15 წლის გოგონად ვიქეცი და მივესიყვარულე. არ ვიცი, სწორად მოვიქეცი თუ არა. სხვაგვარად არ შემეძლო. ამ საქციელმა ალბათ კიდევ რაღაც დააზიანა სამყაროში. მხოლოდ ამას ვნანობ.

– ნაკატამ არაფერი იცის სექსუალური ლტოლვის შესახებ. არც მოგონებები მაქვს და არც სურვილები გამაჩნია. არც განსხვავება მესმის სწორ და არასწორ სექსუალურ ლტოლვას შორის. მაგრამ რაც მოხდა, მოხდა. სწორია თუ არასწორი, ჩემთვის მისაღებია ყველაფერი, რაც ხდება, ამიტომაც ვარ ის, ვინც ვარ.

– ბატონო ნაკატა.

– დიახ.

– მინდა, რაღაც გთხოვოთ.

ქალბატონ საეკის ფეხებთან ჩანთა ედო, პატარა გასაღები ამოიღო და მაგიდის უჯრა გამოსწია, იქიდან კი ქალაღდის დასტები ამოალაგა.

– ქალაქში დაბრუნების შემდეგ ჩემი ცხოვრების შესახებ ვწერდი. აქ დავიბადე და ამ სახლში მცხოვრები ბიჭი შემიყვარდა. უსაზღვროდ გვიყვარდა ერთმანეთი. ბედნიერად ვცხოვრობდით. ასე ვერ გაგრძელდებოდა მუდმივად. გავიზარდეთ, დროც შეიცვალა. წრე გაირღვა, ჩვენს პირად სამოთხეში გარე სამყარო შემოიჭრა და წრის შიგნით რაც იყო, შეავიწროვა. ალბათ ეს ბუნებრივი მოვლენა იყო, მაგრამ ვერ შევეგუე. ჩვენი სრულყოფილი პირადი სამყაროს ნგრევის ასარიდებლად შესასვლელი ქვა გავადე. ვერც ვიხსენებ, ეს როგორ მოვახერხე. მეგონა, რომ შესასვლელი ქვის გაღებით სატრფოს შევინარჩუნებდი. იმ დროს არ მესმოდა, რა შეიძლებოდა, ამას მოჰყოლოდა. რა თქმა უნდა, ამის გამო დავისაჯე.

ლაპარაკი შეწყვიტა, ხელში კალამი აიღო და თვალეები დახუჭა.

– ოცი წლის ასაკში ჩემი ცხოვრება დასრულდა. მას შემდეგ მხოლოდ მოგონებებით ვცხოვრობდი, ბნელ, ქარიან დერეფანში, რომელიც არსაით არ მიემართება. მიუხედავად ამისა, უნდა მეცხოვრა, ყოველდღიურად თავი გადამერჩინა. იმ ცარიელი დღეების მანძილზე უამრავი შეცდომა დავუშვი. ზოგჯერ მგონია, მხოლოდ შეცდომებს ვუშვებ. ღრმა ჭის ფსკერზე ვცხოვრობდი, საკუთარ თავში გამოკეტილი, თავბედს ვიწყევლიდი, ყველაფერი მეზიზღებოდა. თუმცა გარეგნულად მშვიდ იერს არ ვკარგავდი. უსიტყვოდ მივიღე ყველაფერი, რაც ცხოვრების გზაზე შემხვდა. ყველას ვუწვებოდი, გავთხოვდი კიდეც. მაგრამ ყველაფერი უაზრობა იყო. წამში ყოველივე გაქრა, არ დარჩა არაფერი, ჭრილობების და ნაიარევების გარდა.

იმ ქალაქის დასტებზე ედო ხელი.

– ყველა ეს დეტალი აქ არის. ყველაფრის დალაგება მინდოდა. მსურდა, კიდეც ერთხელ გადამეველო თვალი საკუთარი ცხოვრებისთვის. საკუთარი თავის გარდა ვერავის დავადანაშაულებ. ყველაფრის შესახებ დავწერე. ახლა კი აღარ მჭირდება, არც ის მინდა, ვინმემ წაიკითხოს. ამ ამბების წაკითხვამ შეიძლება კიდეც ვინმე დააზარალოს. მინდა, ყოველივე ეს დაიწვას, ყოველი გვერდი, აღარაფერი გადარჩეს. თუ წინააღმდეგი არა ხართ, მინდა, ამაზე იზრუნოთ. სხვას ვერავის ვენდობი, ბატონო ნაკატა. მაპატიეთ, გაწუხებთ, დამეხმარებით?

– ნაკატას ესმის, – თავი სერიოზულად დაუკრა, – თუ ასე გასურთ, ქალბატონო საეკი, სიხარულით გავანადგურებ. შეგიძლიათ, დარწმუნებული იყოთ.

– გმადლობთ.

– ამის დაწერა მნიშვნელოვანი იყო, არა?

– დიახ. იყო. წერის პროცესი იყო მნიშვნელოვანი. დასრულებული კი სრულიად უმნიშვნელო გახდა.

– მე არც კითხვა ვიცი, არც წერა, ვერაფერს დავწერ. ნაკატა კატასავით არის.

– ბატონო ნაკატა.

– დიახ.

– თითქოს მთელი ცხოვრებაა გიცნობთ. იმ ნახატზე თქვენ ხართ? ადამიანი პლაჟზე. თეთრი საცურაო კოსტიუმით. ფეხებით რომ წყალში დგას?

ნაკატა უხმოდ წამოდგა და ქალბატონი საეკის წინ დადგა. მზისგან დამწვარი ხელები საეკის დაადო ხელებზე. თითქოს რაღაცას ყურს უგდებდა. იგრძნო, როგორ გადაიღვარა სითბო ქალის ხელებიდან მის ხელებში.

– ქალბატონო საეკი.

– დიახ.

– მგონი, ახლა ცოტათი მესმის თქვენი.

– რას გულისხმობთ?

– მოგონებებს. მე მათ თქვენი ხელების მეშვეობით შევიგრძნობ.

გაელიმა.

– გმადლობთ.

ნაკატას დიდხანს ედო ხელები ასე. ქალბატონმა საეკიმ თვალები დახუჭა და მოგონებებს მიეცა. აღარაფერი იყო მტკივნეული. ვიღაცას ტკივილი ამოეშრო. წრე ისევ შეიკრა. ძალიან შორს კარი გააღო და ორი მშვენიერი აკორდი იპოვა, ხვლიკის ფორმისა, კედელზე მიძინებული. ის ნაზად ეხება და შეიგრძნობს მათ უშფოთველ ძილს. ნაზი სიო ქრის და დროდადრო ფარდას აფრიალებს. ამ ხმაში არის რაღაც იდუმალი და მრავალმნიშვნელოვანი. გრძელი ცისფერი კაბა აცია. ეს კაბა დიდი ხნის წინ ეცვა სადღაც. კაბა სიარულის დროს შრიალებს. ფანჯრიდან პლაჟი მოჩანს. ტალღების ხმა ისმის და კიდევ ვიღაცის ხმა. სიოს ზღვის სურნელი მოაქვს. ზაფხულია. აქ მუდამ ზაფხულია. პატარა თეთრი ღრუბლებია ლაჟვარდოვან ცაზე გაბნეული.

ნაკატამ ქვემოთ ჩაიტანა სამივე საქაღალდე. ოშიმა რომელიღაც სტუმარს ესაუბრებოდა. როცა ნაკატა დაინახა, გაიღიმა. საპასუხოდ ნაკატამაც თავაზიანად გაუღიმა და ოშიმა მოსაუბრეს მიუბრუნდა. მთელი ამ ხნის მანძილზე ჰომინო სამკითხველო დარბაზში იყო და კითხულობდა.

– ბატონო ჰომინო.

ჰომინომ წიგნი გადადო და ახედა.

– რა დრო გასულა. მორჩით?

– დიახ. ნაკატას აქ აღარაფერი ესაქმება. და თუ თანახმა ხარ, შეგვიძლია, უკვე გავიდეთ.

– კარგი. თითქმის მოვრჩი კითხვას. ბეთჰოვენი უკვე მოკვდა და დაკრძალვის სცენაზე ვარ. ღმერთო, რა ცერემონია გადაუხდიათ. ოცდახუთი ათასი ვენელი შეუერთდა პროცესიას და იმ დღეს სკოლები დახურეს.

– ბატონო ჰომინო.

– მინდა, კიდევ რაღაც გთხოვო.

– მიდი.

– მინდა, სადმე ეს დავწვათ.

ჰომინომ ნაკატას მიერ გამოწვდილ ქაღალდის დატებს დახედა.

– ვაჰ, რამდენია. სადმე მშრალი მდინარის კალაპოტი უნდა მოვძებნოთ ამის დასაწვავად.

– ბატონო ჰომინო.

– დიახ.

– წავიდეთ მაშინ, ვიპოვოთ.

– ასე მნიშვნელოვანია? სადმე ვერ გადავაგდებთ?

– დიახ. ძალიან მნიშვნელოვანია. უნდა დავწვათ ეს ყველაფერი.

ჰოშინო წამოდგა და გაიზმორა.

– წამოდი, მდინარის დიდი კალაპოტი ვიპოვოთ. არ ვიცი სად, მაგრამ სიკოკუზე ერთი მაინც იქნება.

შუადღეზე აქ გაცილებით მეტი ხალხი იყო, ვიდრე სხვა დროს. უამრავი მკითხველი მოდიოდა, ზოგს დეტალური, განსაკუთრებული კითხვები ჰქონდა. ოშიმას ყოველი მათგანისთვის პასუხი უნდა გაეცა, აქეთ-იქით დარბოდა და იმ მასალას აგროვებდა, რომელსაც მკითხველები სთხოვდნენ. რამდენიმე წიგნი კომპიუტერით იპოვა. ზოგადად ქალბატონ საეკის სთხოვდა ხოლმე დახმარებას, მაგრამ დღეს მარტო იყო. საქმეების გამო თავისი მაგიდიდან შორს იყო და ვერ შენიშნა ნაკატას წასვლა. როდესაც სიტუაცია დაწყნარდა, მიმოიხედა და ველარსად დაინახა. ოშიმა ქალბატონი საეკის კაბინეტში ავიდა. საოცარია, კარი დახურული იყო. ორჯერ დააკაკუნა და დაიცადა, მაგრამ არავინ უპასუხა. ისევ დააკაკუნა.

– ქალბატონო საეკი, თავს კარგად გრძნობთ?

სახელური გადაატრიალა. კარი გაიღო. ოშიმამ კარი ოდნავ შეაღო და შევიდა. ქალბატონი საეკი მაგიდაზე პირქვე იყო დამხობილი. თმა წინ ჰქონდა ჩამოყრილი და სახე არ უჩანდა. არ იცოდა, რა ეღონა. იქნებ დაღლილს ჩაემინა? ქალბატონი საეკი იმ ადამიანების რიცხვს არ ეკუთვნოდა, სამსახურში რომ თვლემენ. მაგიდას მიუახლოვდა. დაიხარა და ყურში ჩასჩურჩულა. პასუხი ვერ მიიღო. მხარზე შეეხო, მაჯა აიღო, პულსი არ ჰქონდა. კანი ჯერ ისევ თბილი ჰქონდა, მაგრამ თანდათან ცივდებოდა. თმა აუწია და სახეზე დახედა. თვალები გახელილი დარჩენოდა. თითქოს სასიამოვნო სიზმარს ხედავდა. მაგრამ არა. მკვდარი იყო. ტუჩებზე ისევ ღიმილი დასთამაშებდა. მკვდარსაც კი შეენარჩუნებინა გრაციოზულობა და ღირსება. თმა უკან გადაუწია და მაგიდაზე ტელეფონს დასწვდა.

შეგუებული იყო იმას, რომ ეს დღე მალე უნდა დამდგარიყო. მაგრამ ახლა, როდესაც ამ წყნარ ოთახში მარტო იყო მკვდარ ქალბატონ საეკისთან, დაიბნა. გული მოეწურა. მჭირდებოდაო, გაიფიქრა. მჭირდებოდა, რომ სიცარიელე შემევესო, მაგრამ თვითონ ვერ შევძელი მისთვის სიცარიელის შევსება. ძალიან დიდხანს სიცარიელის გამზიარებელი არავინ ჰყავდაო.

ვიღაც ემახდა ქვემოდან. იცნო ეს ხმა. კარი ღია დატოვა. ესმოდა სხვების ხმები. ტელეფონი რეკავდა პირველ სართულზე. ყურადღება არ მიუქცევია. გზა გააგრძელა. რეკე, რამდენიც გინდაო. ბოლოს სასწრაფო დახმარების მანქანის სირენას მოჰკრა ყური.

რამდენიმე წუთში ხალხი მაღლა აირბენს, მას სამუდამოდ წაიყვანენ... მარცხენა ხელი ასწია და საათს დახედა – 4:35-ს უჩვენებდა.

4:35, სამშაბათი. ეს დრო უნდა დავიმახსოვრო, – გაიფიქრა. ეს დღე, ეს შუადღე სამუდამოდ უნდა დავიმახსოვრო.

კედელს შეჰყურებდა.

– კაფკა თამურა, – ჩაიჩურჩულა, – უნდა მოგიყვე, რა მოხდა. თუ ჯერ კიდევ არაფერი იცი...

43

ბარგი მოვიშორე, ასე უფრო მსუბუქად ვმოძრაობ. მარტო წინსვლაზე ვფიქრობ. საჭირო აღარ არის ხეებზე ნიშნების დატოვება და უკან დასაბრუნებელი გზის დამახსოვრება. გარემოსაც არ ვაკვირდები. პეიზაჟი არ იცვლება, ჰოდა რა აზრი აქვს? გვიმრის ზღვა, ცად აწვდენილი ხეები, დაკიდებული უსურვაზი, კოჟრიანი ფესვები, ნეშომპალას ბორცვები, ათასნაირი ხოჭოს გამომშრალი ქერქი, აბლაბუდა. და ტოტები. ტოტების სამყარო. მუქართ სავსე ტოტები, ტოტები, რომლებიც ადგილისთვის იბრძვიან, მომაკვდავი, გამხმარი ტოტები, დამტვრეული, დამსხვრეული ტოტები, ყველგან. ყველგან.

პირმოკუმული ბილიკს მივუყვები. მაღლა მიდის, არ არის ძალიან ციცაბო მონაკვეთი. ისეთი აღმართი არ არის, რომ ქოშინი დამაწყებინოს. ზოგჯერ ბილიკი გვიმრის ზღვაში ან ეკლიან ბუჩქებში იკარგება. გზას მაინც ვაგრძელებ და ისევ ვპოულობ ამ ცრუ ბილიკს. ტყე აღარ მაშინებს. მას საკუთარი წესები და ენა აქვს. როცა ტყე აღარ გაშინებს, მის ენას იოლად სწავლობ. ეს კანონზომიერება გავითავისე.

ახლა ხელთ არაფერი მაქვს. ყვითელი საღებავის ქილა და პატარა ცული მივყარე. ზურგჩანთაც. აღარც მათარა მაქვს, აღარც საჭმელი. აღარც კომპასი. ყველაფერი მოვიშორე თავიდან. ამით ტყეს ნიშანი მივეცი, აღარ მაშინებ-მეთქი. სრულიად დაუცველად ყოფნა ვარჩიე. მარტო ხორცი და ძვალი ვარ. მძიმე ნაჭუჭი მოვიშორე და ლაბირინთში გაბედულად შევაბიჯე, მასში არსებულ სიცარიელეს მივენდე.

მუსიკა, რომელიც ჩემს თავში ჟღერდა, გაქრა, უკან მხოლოდ მკრთალი თეთრი ხმაური მოიტოვა, რომელიც უზარმაზარ საწოლზე გადაკრულ თეთრ ზეწარს ჰგავს. ამ ზეწარს ვეხები, თითებით ვსინჯავ. თეთრი უსასრულოდ გრძელდება. ილღები მიოფლიანდება. იშვიათად ცის ნაგლეჯს ვხედავ ხის კენწეროებს შორის. ნაცრისფერი ღრუბლებითაა დაფარული, წვიმას არ აპირებს. ღრუბლები არ მოძრაობს, კადრი უცვლელია. მაღალ ტოტებზე შემოსკუპებული ჩიტები ერთმანეთს ექლურტულებიან, ალბათ ესალმებიან. ბალახებში მწერები ბზუიან.

ნოგატაში მდგარ ჩემს დაცარიელებულ სახლზე ვფიქრობ. ალბათ დაკეტილია. მერე რა. დაე, დარჩეს იქ სისხლის წვეთები. რა მენაღვლება? უკან დაბრუნებას არ ვაპირებ. მკვლელობამდეც კი ამ სახლში უამრავი რამ მოკვდა. არა, სიმართლე ვთქვათ, – იქ უამრავი რამ მოკლეს.

ტყე ზოგჯერ ცდილობს, ზემოდან შემამინოს, ზოგჯერ – ქვემოდან. გრილ სიოს დამკრავს კისერზე და თმა ყალყზე მიდგება. ათასგვარი ხერხით ცდილობს, მე, ეს უცხო სხეული, თავიდან მომიშოროს. თანდათან ამ ხრიკებს მივუხვდი და თვალებს ვხუჭავ მის მცდელობებზე. ტყე ჩემი ნაწილია. საკუთარ თავში ვმოგზაურობ. სისხლთან ერთად ვმოძრაობ ჩემს ძარღვებში. რასაც ვხედავ, ჩემი შინაგანი სამყაროა და საკუთარი გულის ფეთქვის ექო მაფრთხობს. აქ გაბმული ობობას ქსელი ჩემში გახლართული ობობას ქსელია. ეს მოჭიკჭიკე ჩიტები ჩემი გონების ბინადრები არიან. ეს კადრები ჩემს გონებაში ჩნდება და ფესვებს იდგამს.

ბილიკს მივყავარ განსაკუთრებული ადგილისკენ, რომელსაც მზის სხივები დასთანამშებს, იქიდან უხმო ექოები მოდის. საკუთარი თვალით უნდა ვიხილო, რა არის იქ. თან მნიშვნელოვანი, დაბეჭდილი, პირადი წერილი მიმაქვს, საიდუმლო ბარათი.

კითხვა.

რატომ არ ვუყვარდი? განა არ ვიმსახურებ, რომ დედას ვუყვარდე?

წლების მანძილზე ეს კითხვა ცეცხლად ედებოდა ჩემს გულს. დედამ რომ არ შემეყვარა, რამე ძირეულად არასწორი მაქვს? გენეტიკურად ხინჯიანი ვარ? განა იმიტომ დავიბადე, რომ ყველას ებრუნებინა ჩემგან პირი?

წასვლის წინ დედა არც კი მომეხვია. პირი იბრუნა და ჩემს დასთან ერთად სახლიდან უსიტყვოდ წავიდა. კვამლივით გაქრა. და მისი სახეც სამუდამოდ მიმავიწყდა.

ისევ დამჩხავიან თავს ფრინველები, ცაში ვიყურები. არაფერი ჩანს იმ ნაცრისფერი ღრუბლების გარდა. ქარი არ იძვრის. მივდივარ. ქვეცნობიერის სანაპიროზე მივაბიჯებ. ქვეცნობიერის ტალღები მეხეთქება და უკან იხევს, ქვიშაზე კვალს ტოვებს. მერე კი ახალი ტალღები მეხეთქება და ისინი შლის კვალს. ტალღების დატოვებული ნაწერის ამოკითხვას ვცდილობ. მაგრამ, ვიდრე მოვახერხებდე, ახალი ტალღები შლის. მხოლოდ ფრაგმენტები რჩება. მხოლოდ თავსატეხები.

ჩემი გონება სახლში ბრუნდება. ის დღეა, დედაჩემი რომ მიდის. თან ჩემი და მიჰყავს. ხის მერხზე მარტო ვზივარ და ბაღს ვუყურებ. ბინდი. ადრეული ზაფხული. ხეებს გრძელი ჩრდილები აქვთ. მარტო ვარ სახლში. სახლი ცარიელია და მიტოვებული. დასავლეთით ჩამავალ მზეს ვუყურებ. ჩრდილები სამყაროს დასთანამშებს. დროს ვერ დაიბრუნებ, ველარაფერს შეცვლი. ჩრდილები ყველაფერს ყლაპავს, ყველაფერს, რაც კი გზად ხვდებათ, მათ შორის, დედაჩემის სახეს, რომელიც წუთის შემდეგ წყვდიადში იძირება. ამ სასტიკ სახეს, მიბრუნებულს, ჩემი გონება სწრაფად ივიწყებს.

საეკიზე ვფიქრობ. მის მშვიდ, მკრთალ ღიმილზე, მისი ხელების სითბოზე. ვცდილობ წარმოვიდგინო, რომ დედაჩემია, რომელმაც ოთხი წლისა მიმატოვა. თავს ვაქნევ. არა, ეს

სურათი არასწორია. ასე რატომ მოიქცეოდა საეკი? რატომ მატკინა, რატომ დამინგრია ცხოვრება? ალბათ ჩემთვის გაუგებარი, ფარული, მნიშვნელოვანი მიზეზი ჰქონდა.

ვცდილობ, ჩემი თავი მის ადგილას წარმოვიდგინო. რას განიცდიდა? რთულია. ბოლოს და ბოლოს, ეს მე მიმატოვეს. და მან მიმატოვა! ცოტა ხნით საკუთარ თავს ვივიწყებ. ჩემი სული ლაბადას იხდის და შავ ყვავად იქცევა, რომელიც მაღლა, ფიჭვის ტოტზე შემოსკუპებულია და ხის მერხზე მჯდომ ოთხი წლის ბიჭს დაჰყურებს.

თეორეტიკოს შავ ყვავად ვიქეცი.

– მიზეზი ის არ არის, რომ არ უყვარდი, – უკნიდან მეუბნება ბიჭი, სახელად ყვავი, – უყვარდი. ძალიან უყვარდი. პირველ რიგში ეს უნდა ირწმუნო. აქედან უნდა დაიწყო.

– მაგრამ მიმატოვა. გაქრა, აორთქლდა. გაუჩინარდა. იქ დამტოვა მარტოდმარტო, სადაც არ უნდა მეცხოვრა. თანდათან ეს უფრო მტკივნეული ხდება. თუ ვუყვარდი, ასე როგორ მომექცა?

– ასეთია რეალობა. ასე მოხდა. ძალიან გეტკინა და ნაიარევი მუდამ გექნება. ვწუხვარ შენზე, მართლა ვწუხვარ. მაგრამ ასე იფიქრე: არასოდეს არ არის გვიანი. ახალგაზრდა, ამტანი და ძლიერი ხარ. შეგიძლია, ჭრილობები მოიშუშო, თავი მაღლა ასწიო და გზა განაგრძო. მას კი ეს აღარ შეუძლია. მისთვის უკვე ყველა წყალმა ჩაიარა. არა აქვს მნიშვნელობა, ამას ვინმე სწორად მიიჩნევს თუ არა. შენ უპირატესობა გაქვს. ეს უნდა გაითვალისწინო.

არ ვპასუხობ.

– რაც მოხდა, მოხდა და ველარ შეცვლი. არ უნდა მიეტოვებინე. მაგრამ წარსული თეფშის ნამსხვრევებივითაა. ველარასოდეს გაამთელე.

თავს ვუქნევ. ველარასოდეს გაამთელე. რაც მართალია, მართალია.

ბიჭი, სახელად ყვავი, განაგრძობს.

– დედაშენი ისე იყო შეშინებული, გულ-ღვიძლი ეფლითებოდა, თან განრისხებული იყო, გესმის? როგორც ახლა შენ... ამიტომაც მიგატოვა.

– მიუხედავად იმისა, რომ ვუყვარდი?

– მიუხედავად იმისა, რომ უყვარდი, მიგატოვა. უნდა შეძლო, გაიგო მისი მდგომარეობა – მისი აუტანელი შიში და ბრაზი, უნდა გაითავისო და შეეგუო, რომ არ გადმოგეცეს და არ გაიმეორო. უნდა აპატიო. ეს ადვილი არ იქნება, ვიცი, მაგრამ უნდა შეძლო. მარტო ეს გადაგარჩენს. სხვა გზა არა გაქვს.

მისმა სიტყვებმა დამაფიქრა. რაც უფრო მეტს ვფიქრობ ამაზე, უფრო ვიზნევი. თავბრუ მესხმის, თითქოს ტყავს მამრობენ.

– საეკი დედაჩემია?

– განა თვითონ არ გითხრა, ეგ თეორია თეორიადვე რჩებაო? პასუხიც ეგაა. ისევ თეორიაა. მარტო ამის თქმა შემიძლია.

– თეორიადვე დარჩება, ვიდრე კონტრარგუმენტი არ მოეძებნება, არა?

– სწორია.

– მე კი ამ თეორიის დამტკიცებას უნდა ვეცადო?

– ასეა. ღირს იმ თეორიის დამტკიცება, რომელსაც არა აქვს ძლიერი კონტრარგუმენტი. ახლა კი ამ თეორიის დამტკიცების გარდა არაფერი დაგრჩენია. უნდა დაამტკიცო, თუნდაც ამას შეეწირო.

– შევეწირო? – რა უცნაურია. კარგად ვერ გავიგე.

პასუხი არ არის. დაღონებული შევტრიალდი. ბიჭი, სახელად ყვავი, აქვეა. უკან მომდევს.

– რა ტიპის შიშსა და ბრახს განიცდიდა საეკი იმ დროს? – გზას განვაგრძობ, – და რატომ?

– შენი აზრით, რა გამოიწვევდა ამ შიშსა და ბრახს? – კითხვას მიბრუნებს ბიჭი, სახელად ყვავი, – დაფიქრდი, თვითონ უნდა ამოიცნო. თავი ამიტომ გადგას მხრებზე.

მეც ამას ვცდილობ. უნდა გავუგო, ვიდრე გვიან არ არის. მაგრამ ჩემი ქვეცნობიერის სანაპიროზე დატოვებული ნაწერის ამოკითხვას მაინც ვერ ვახერხებ – ტალღებს შორის მცირე ინტერვალაა.

– საეკიზე ვარ შეყვარებული. – წამოსცდათ ჩემს ტუჩებს.

– ვიცი.

– მსგავსი არაფერი მიგრძნია. ეს გრძნობა გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ყველაფერი, რაც თავს გადამხდენია.

– ასეა, რასაკვირველია. ულაპარაკოდ ასეა. ამხელა გზა ამიტომაც გამოიარე.

– მაგრამ მაინც არ მესმის. მეუბნები, დედაშენს ძალიან უყვარდიო. მინდა დაგიჯერო, მაგრამ, თუ ეს მართალია, არაფერი მესმის. ვინმეს სიყვარული რატომ უნდა გულისხმობდეს მისთვის ამხელა ტკივილის მიყენებას? თუკი ასეა, რა აზრი აქვს ვინმეს სიყვარულს?

პასუხს ველი. დიდხანს არაფერს ვამბობ, კრინტს არ ვძრავ, ის კი არაფერს მპასუხობს. ვტრიალდები. წასულა. მაღლიდან ფრთების ფრთხილი მესმის.

საოცრად დაიბენი.

ცოტა ხნის მერე ორი ჯარისკაცი გამოჩნდა.

მათ ძველი საბრძოლო აღკაზმულობა აქვთ. მოკლესახელოებიანი საზაფხულო ფორმები და გამაშები აცვიათ, ზურგჩანთები ჰკიდიათ. ჩაფხუტი არც ერთს არ ახურავს, მარტო ჯარისკაცული პანამები. სახე გაუმურავთ. ორივე ახალგაზრდაა. ერთი მაღალია და გამბდარი, მრგვალი, მეტალისჩარჩოიანი სათვალე უკეთია. მეორე დაბალი, ფართობეჭებიანი და

დაკუნთულია. ორივე ბრტყელ ქვაზე ზის, არც ერთს არ ეტყობა საბრძოლო მზადყოფნა. ფეხებთან შაშხანები უწყვიათ. მაღალი ჯარისკაცი მოწყენილი ჩანს და ბალახს ღეჭავს. ორივე ბუნებრივად გამოიყურება, თითქოს აქაურობის განუყოფილი ნაწილი იყვნენ. არ აკვირვებთ ჩემი გამოჩენა, აუღელვებლად მიყურებენ.

მოშიშვლებულ, მოსწორებულ ადგილზე დგანან.

– გაუმარჯოს! – მხიარულად დამიძახა მაღალმა ჯარისკაცმა.

– როგორა ხარ? – ოდნავ მოღუშულია დაკუნთული ტიპი.

– გამარჯობა!

მათ დანახვას უნდა გავეოცებინე?

– შენ გელოდით. – მომმართავს მაღალი.

– მე?

– შენ, შენ. სხვა არავინ არის აქ მომსვლელი.

– კარგა ხანს გელოდეთ. – ჩაგვერთო დაკუნთულიც.

– დროს აქ მნიშვნელობა არა აქვს, თუმცა იმაზე დიდხანს არ გამოჩნდი, ვიდრე ვვარაუდობდით. – მომმართავს ამჯერად მაღალი.

– თქვენ ძალიან, ძალიან დიდი ხნის წინ წვრთნის დროს გაუჩინარებული ჯარისკაცები ხართ, არა?

დაკუნთულმა თავი დამიქნია, მართალი ხარო.

– ყველგან გემებდნენ.

– ვიცი, – მპასუხოვს ისევ დაკუნთული, – ვიცი, დაგვეძებდნენ. ამ ტყეში რა ხდება, კარგად ვიცი. ისინი კი ვერ გვიპოვიან, როგორც არ უნდა მოინდომონ.

– სინამდვილეში არ დავკარგულვართ, გამოვიქეცით. – ამბობს ახლა მაღალი.

– ამას იმდენად გაქცევა არ ერქვა, რამდენადაც ამ ადგილზე გაჩერება. ეს დაკარგვისგან განსხვავდება. – შეუსწორა დაკუნთულმა.

– ამ ადგილს კი ყველა ვერ იპოვის, – აგრძელებს მაღალი, – ჩვენ ვიპოვეთ, შენც. იღბლის საქმეა, ჩვენთვის მაინც.

– ეს ადგილი რომ ვერ გვეპოვა, უცხოეთში გაგვეზავნიდნენ, – მიხსნის დაკუნთული, – იქ კი ორი გზა გაქვს – ან უნდა მოკლა, ან მოგკლავენ. ეს არ იყო ჩვენი საქმე. მე ფერმერი ვარ, ჩემმა მეგობარმა კი კოლეჯში სწავლა ახლახან დაამთავრა. არც ერთს არ გვინდა, ვინმე მოვკლათ. და არც სიკვდილი გვინდა. გესმის, ალბათ.

– შენ შესახებ რას გვეტყვი?– მეკითხება მაღალი, – მოკლავდი ვინმეს? ან თავს მოაკლევინებდი?

თავი გავაქნიე. არა, არც ერთი, არავითარ შემთხვევაში.

– ყველა ასე ფიქრობს, – მაღალი მელაპარაკება, – უმრავლესობა მაინც. მაგრამ, თუ განაცხადებ, არ მინდა ომში წასვლაო, სახელმწიფო არ გაგილიმებს და არ გეტყვის, სახლში წადიო. ვერ გაიქცევი. იაპონია ერთი ციდა ქვეყანაა, სად გინდა წახვიდე? თავის მოტრიალებას ვერ მოასწრებ, გიპოვიან. ამიტომ აქ დავრჩით. მხოლოდ აქ შეგვიძლია დამალვა. მას აქეთ აქა ვართ. როგორც შენ თქვი, ძალიან, ძალიან დიდი ხანია. მაგრამ აქ დროს დიდი მნიშვნელობა არა აქვს. აქ თითქმის არანაირი სხვაობა არ არსებობს აწმყოსა და წარსულს შორის.

– თითქმის არ არის განსხვავება. – დაკუნთული რაღაცას ხელს უქნევს.

– იცოდით, რომ მოვიდოდით?

– აბა რა. – მიპასუხა დაკუნთულმა.

– აქაურობას დიდი ხანია ვდარაჯობთ, ამიტომ ვიცოდით, ვიღაც მოვიდოდა. ჩვენ ამ ტყის ნაწილი ვართ.

– ეს არის შესასვლელი, – დაკუნთული მითითებს, – მას ვიცავთ.

– ახლა შესასვლელი ღიაა. – მიხსნის მაღალი.

– მაგრამ ძალიან დიდხანს დაკეტილი იყო. თუ შესვლა გინდა, ახლა უნდა შეხვიდე. ხშირად არ იღება.

– ჩვენ წაგიყვანთ, – მეუბნება დაკუნთული, – ბილიკი იკარგება და გზის გაგნება გაგიჭირდება, ჯობია, ვინმე გაგიძღვეს წინ.

– თუ არ გინდა შემოსვლა, უკან დაბრუნდი, გზის პოვნა არ გაგიჭირდება, იმ სამყაროში დაბრუნები, საიდანაც მოხვედი, ძველ ცხოვრებას დაუბრუნდები. არჩევანი მხოლოდ შენზეა. არავინ არაფერს გაიძულებს. მაგრამ თუ შეხვალ, უკან ადვილად ვეღარ დაბრუნდები.

– შემიყვანეთ. – ვთანხმდები უყოყმანოდ.

– დარწმუნებული ხარ? – დაკუნთული მეკითხება.

– შიგნით ისეთი ვინმეა, ვინც უნდა ვნახო.

ნელა, ჩუმად დგებიან ქვიდან და შაშხანებს იღებენ. ერთმანეთს უსიტყვოდ ეუბნებიან რაღაცას და წინ მიმიძღვიან.

– ალბათ გიკვირს, ამ ჯართს რატომ დაათრევენ ისევ თანო, – ჩემკენ ტრიალდება და ისე მეუბნება მაღალი, – უვარგისია. თან არც არასოდეს გვექონია ტყვიები.

– მაგრამ სიმბოლოსავითაა. რაც უკან მოვიტოვეთ, იმის სიმბოლოა. – დაკუნთული ისე მეუბნება, არც ტრიალდება ჩემკენ.

– სიმბოლოები მნიშვნელოვანია. ჩვენ ფორმა და ეს შაშხანები გვაქვს, ამიტომ დარაჯის როლი დაგვეკისრა. სიმბოლოები განსაზღვრავს ჩვენს როლებს.

– რამე ამის მსგავსი გაქვს თან? რაღაც, რაც შენს სიმბოლოდ შეიძლება იქცეს?

– თავი გავაქნიე.

– არა, არაფერი, მხოლოდ მოგონებები.

– ჰმმმ... – ჩაიფრუტუნა დაკუნთულმა. – მოგონებები, არა?

– კარგია. რა მნიშვნელობა აქვს, – მაღალი ჩაგვეჩარა, – მოგონებებიც შეიძლება იქცეს სიმბოლოდ. მაგრამ არ ვიცი, რამდენად გამძლეა მოგონებები, რამდენ ხანს გემახსოვრება.

– ჯობია, ფორმა ჰქონდეს, რაღაც სახე.

– შაშხანასავით. ჰო, მართლა, რა გქვია? – მეკითხება მაღალი.

– კაფკა თამურა.

– კაფკა თამურა. – ორივემ ერთად გაიმეორა.

– უცნაური სახელია.

– ეგრეა.

ამის შემდეგ ჩუმად გავუდექით გზას.

44

ქალაღის დასტები გზატკეცილის გასწვრივ, მდინარის კალაპოტთან მიიტანეს და დაწვეს. ვიდრე ცეცხლს მოუკიდებდა, ჰოშინომ აალებადი სითხე გადაასხა ქალაღის დასტებს. მერე კი ის და ნაკატა ჩუმად იდგნენ და უყურებდნენ, როგორ იფერფლებოდა თითოეული ფურცელი. სიოც კი არ იძვროდა. კვამლი პირდაპირ ზევით ავიდა და ნაცრისფერ ღრუბლებში დაიკარგა.

– არც ერთი გვერდის წაკითხვა არ შეიძლება? – ჰკითხა ჰოშინომ.

– არა. ქალბატონ საეკის შევპირდი. ვალდებული ვარ, პირობა შევასრულო.

– ჰო, პირობების შესრულება მნიშვნელოვანია, – ჰოშინომ შუბლიდან ოფლი მოიწმინდა, – თუმცა უკეთესი იქნებოდა, თან გვექონოდა ფურცლების მჭრელი, უფრო გაგვიადვილდებოდა საქმე. არ ვწუწუნებ, ცუდად ნუ გამიგებ, უბრალოდ წლის ამ დროს კოცონის გაჩაღება ჯოჯოხეთია. ზამთარი მაინც იყოს...

– მაპატიეთ. ქალბატონ საეკის შევპირდი, რომ მთლიანად დავწვავ. ნაკატა ასე უნდა მოიქცეს.

– კარგი მაშინ. მე არსად მეჩქარება. სიცხე არ მომკლავს.

კობტა, გამხდარი, წაბლისფერზოლებიანი კატა მათთან შეჩერდა. კუდის ბოლო ოდნავ გაქუცული ჰქონდა. ნაკატას ძალიან უნდოდა, გასაუბრებოდა, მაგრამ ჰოშინოს გამო თავი შეიკავა. კატა იქამდე ვერ დამშვიდდებოდა, ვიდრე მართლ არ დარჩებოდა ნაკატასთან. გარდა ამისა, ნაკატა დარწმუნებული არ იყო, რომ ძველებურად ისევ შეეძლო კატებთან საუბარი. ყველაზე ნაკლებად კი ამ საწყალი ცხოველის შემინება სურდა. მალე კატა კოცონის ყურებით დაიღალა და იქიდან გაიძურწა. ყველაფერი ჩაიფერფლა. ძლიერი ქარი ამ ფერფლსაც გაფანტავდა. მზე უკვე ჩადიოდა, ყვავები კი უკან, საკუთარი ბუდეებისკენ ბრუნდებოდნენ.

– ახლა ველარავინ წაიკითხავს. არ ვიცი, აქ რა ეწერა, მაგრამ ყველაფერი გაქრა. ფორმა და სახე დაიკარგა და სამყაროს არაფერი შეემატა.

– ბატონო ჰოშინო.

– ჰო.

– კითხვა მაქვს.

– გისმენ.

– შეიძლება, არაფერი გაიზარდოს?

ჰოშინო დაფიქრდა.

– რთული კითხვაა. თუ რამე არაფრად იქცევა, განულდება. და ნულს თუ ნულს მიუმატებ, ისევ ნულს მიიღებ.

– არაფერი მესმის.

– არც მე. ასეთ საკითხებზე ფიქრი თავს მატკივებს.

– მაშინ ნულარ ვიფიქრებთ.

– ჰო. ხელნაწერი კი სულ დაიწვა და ის სიტყვებიც გაქრა. არაფრად იქცა, მხოლოდ ეს მინდოდა მეთქვა.

– ნაკატასაც გულიდან ლოდი ჩამოეხსნა.

– აქ მოვრჩით, არა?

- თითქმის ყველაფერი გავაკეთეთ, რაც საჭირო იყო. ქვის დახურვა და დარჩა.
- ეს ძალიან მნიშვნელოვანია, არა?
- დიახ. რაც ღიაა, უნდა დაიხუროს.
- რაღას ველოდებით?
- ბატონო ჰომინო.
- ჰო.
- ახლა ვერ დავხურავთ.
- რატომ?
- ჯერ დრო არ დამდგარა. საჭირო დროს უნდა დაველოდოთ. იქამდე კი უნდა გამოვიძინო. ნაკატას ძალიან ეძინება.
- ჰომინომ მოხუცს შეხედა.
- მოიცა, ისევ რამდენიმე დღით უნდა დაიძინო?
- არ ვიცი. მგონი.
- არ ჯობია, ჯერ ყველაფერი მოვაგვაროთ და მერე დაიძინო?
- ბატონო ჰომინო.
- რა იყო?
- მირჩევნია, ჯერ შესასვლელი დავხურო. კარგი იქნებოდა. მაგრამ ჯერ უნდა გამოვიძინო. თვალები თავისით მეხუჭება.
- ელემენტები დაგიჯდა?
- მგონი. იმაზე მეტი დრო დაგვჭირდა, ვიდრე მეგონა, რომ დაგვჭირდებოდა. ენერჯია დამეშრიტა. ძალა გამომეცალა. ვერ წამიყვან სადმე, სადაც ნაკატა დაძინებას შეძლებს?
- რა პრობლემაა. ტაქსის გავაჩერებ და ბინაში დავბრუნდეთ. იქ შეძლებ გამოძინებას.
- ტაქსიში რომ ჩასხდნენ, ნაკატა თავის კანტურს მოჰყვა.
- როცა სახლში დავბრუნდებით, რამდენ ხანსაც გინდა, იძინე. მაგრამ იქამდე ფხიზლად იყავი, კარგი?
- ბატონო ჰომინო.
- რა იყო?
- ვწუხვარ, რომ ამდენი პრობლემა შეგიქმენით. - ჩაილულულა ნაკატამ.

– ჰო. მაგრამ არავის უთხოვია, ნაკატასთან ერთად წადიო, ჩემი სურვილით გამოგყევით. თოვლის მწმენდავ მოხალისესავით. ნუ იდარდებ ამაზე.

– რომ არ დამხმარებოდით, ნაკატა ვერაფერს გახდებოდა. რაც ერთად გავაკეთეთ, იმის ნახევარსაც ვერ გავაკეთებდი.

– ღირდა თურმე.

– მადლიერი ვარ.

– მაგრამ იცი, რა?

– რა?

– მეც უნდა გადაგიხადო მადლობა, ბატონო ნაკატა.

– მართლა?

– დაახლოებით ათი დღის წინ დაიწყო ეს ყველაფერი. მთელი ამ ხნის მანძილზე სამსახურში არ წავსულვარ. პირველ დღეებში დავუკავშირდი ბოსს და რამდენიმე დასვენების დღე ვითხოვე, მერე კი დავიკარგე. არა მგონია, ამ სამსახურს დავუბრუნდე. ალბათ, თუ დავუჩოქებ და პატიებას ვთხოვ, მაპატიებენ. მაგრამ ამას არ ვაპირებ. თავი არ მომაქვს, მაგრამ ახალი სამსახურის პოვნა არ გამიჭირდება, მე კარგი მძღოლი და კარგი თანამშრომელი ვარ. ამიტომ ამაზე არ ვდარდობ და არც შენ იდარდო. არ ვნანობ, შენ რომ გამოგყევი. ამ ათ დღეში რა არ მოხდა: ციდან ჩამოცვივდა წურბელები, ჩემ თვალწინ გაჩნდა პოლკოვნიკი სანდერსი, დაუვიწყარი ღამე გავატარე ფილოსოფიის მაგისტრთან, ტაძრიდან ქვა წამოვიღე. ამ ათ დღეში იმდენი უცნაური რამ მოხდა, ზოგს მთელი ცხოვრება რომ არ გადახდება თავს. თითქოს ატრაქციონებზე საცდელ წრეებს ვუვლიდი, – ჰოშინო შეჩერდა, – მაგრამ, იცი რა, ბაბუ? ყველაზე საოცარი შენა ხარ, ბატონო ნაკატა. შენ ჩემი ცხოვრება შეცვალე. ამ ათ დღეში სამყაროს სხვაგვარად შევხედე. რაღაცას, რასაც ადრე მეორედ სულ არ შევხედავდი, ჩემთვის ახლა სულ სხვა დატვირთვა აქვს. მაგალითად, მუსიკას. მუსიკა, რომელიც ადრე მოსაწყენად მეჩვენებოდა, ახლა მაჯადოებს. ეს ვინმეს უნდა მოუყუვე, ვინმეს უნდა ვუამბო, რა გამოვიარე, თორემ გავსკდები. და ეს ყველაფერი შენ გამო მოხდა. სამყაროს შენი თვალეებით შევხედე. მომწონს ცხოვრებისადმი შენი დამოკიდებულება. ამიტომაც მოხდა ასე. ამიტომ დავრჩი შენთან, ამიტომ არ შემემლო შენი მიტოვება. ეს იყო ჩემი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი მონაკვეთი. ასე რომ, მადლობას ნუ მიხდი. მე უნდა გიხდიდე მადლობას. უამრავი კარგი რამ გააკეთე ჩემთვის, ბატონო ნაკატა. გესმის ჩემი?

მაგრამ ნაკატა აღარ უსმენდა. თვალეები დახუჭული ჰქონდა. თანაბრად სუთქავდა.

– რა უზრუნველი ტიპია. – თქვა ჰოშინომ და ამოიოხრა.

ჰოშინომ ნაკატა ბინაში აიყვანა და საწოლში ჩააწვინა. ფეხზე გახადა, ტანსაცმელი – არა, და თხელი პლედი გადააფარა. ნაკატა ოდნავ მოიკუნტა, მაგრამ მერე გასწორდა, ზურგზე დაწვა. როგორც ყოველთვის. თანაბრად სუნთქავდა.

სამდღიანი ძილის მარათონი წამოიწყო ისევო, გაიფიქრა ჰოშინომ.

მაგრამ ახლა ყველაფერი სხვაგვარად მოხდა. ოთხშაბათს შუადღემდე ნაკატა მოკვდა. ძილში მიიცვალა. სახე, როგორც ყოველთვის, მშვიდი ჰქონდა. და ისე გამოყურებოდა, თითქოს ეძინა, უბრალოდ აღარ სუნთქავდა. ჰოშინო მხრებში ჩაეჭიდა მოხუცს და შეანჯღრია. ხმამალა ეძახდა. გამოღვიძებას ცდილობდა, მაგრამ... მკვდარი იყო. პულსი შეუმოწმა – არაფერი, ცხვირთანაც მიუტანა სარკე – არ დაიორთქლა. სუნთქვა შეწყვიტა. აღარ გამოიღვიძებდა. ამ სამყაროში მაინც.

ცხედართან ერთად მარტო დარჩენილმა ჰოშინომ შენიშნა, რომ ხმები გაუჩინარებულიყო. ხმებმა რეალურობა დაკარგა. მნიშვნელოვანი ხმები დადუმდა. სიჩუმე კი იზრდებოდა და იზრდებოდა, როგორც შლამი ზღვის ფსკერზე. ჯერ ფეხებამდე მისწვდა, მერე წელამდე, მერე მკერდამდე. თვალს არ აცილებდა სიჩუმეს, რომელიც იზრდებოდა და იზრდებოდა. სავარძელზე ჩამომჯდარი, ნაკატას უყურებდა და ცდილობდა, შეგუებოდა იმ აზრს, რომ ის აღარ იყო. დიდი დრო დასჭირდა ამ აზრთან შესაგუებლად. თანდათან ჰაერი დამძიმდა და ჰოშინო ველარ ხვდებოდა, ეს ფიქრები და განცდები მართლა მას ეკუთვნოდა თუ ვინმე სხვას. თანდათან რამდენიმე რამ გაიაზრა.

იქნებ სიკვდილს ნაკატა ისევ ნორმალურად ექცია. ნაკატა ყოველთვის კეთილი მოხუცი კაცი იყო, არც ისე ჭკვიანი და კატებთან მოსაუბრე. იქნებ სიკვდილს ის „ნორმალურ ნაკატად“ ექცია, ამაზე ხომ ხშირად ლაპარაკობდა.

– ეი, ბაბუ, იქნებ ამას არ უნდა ვამბობდე, მაგრამ, თუ მაინც უნდა მომკვდარიყავი, ცუდად არ მოკვდი.

ნაკატა ძილის დრო მიიცვალა, ალბათ არაფერი უგრძნია. სახეზე ტანჯვა არ ეტყობოდა, არც წუხილი, არც შეცბუნება – მხოლოდ სიმშვიდე. ნაკატას მსგავსი სიკვდილი იყო, გაიფიქრა ჰოშინომ. მის ცხოვრებას რა აზრი ჰქონდა, არ იცოდა. თუმცა განა ვისი ცხოვრებას აქვს მკაფიო აზრი?

ადამიანებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ მოკვდებიან. ამასთან შედარებით, როგორ იცხოვრებ, არაფერია. თუმცა შენი სიცოცხლე განსაზღვრავს შენს სიკვდილს. აი, ეს ფიქრები უტრიალებდა თავში.

ერთი საქმე რჩებოდა. ვიღაცას შესასვლელი ქვა უნდა დაეხურა. ნაკატამ ყველაფერი გააკეთა, რაც ევალებოდა, ამის გარდა. ქვა იქვე იდო, ჰოშინოს ფეხებთან. იცოდა ჰოშინომ, როცა დრო მოვიდოდა, უნდა გადმოეტრიალებინა და შესასვლელი დაეხურა. თუმცა ნაკატა ამბობდა, ქვასთან სიფრთხილესა და საჭიროო. არასწორად რომ გადმოებრუნებინა, სამყარო თავდაყირა დადგებოდა.

– რაღას გავხდები, ბაბუ, მოკვდი. ეს საქმე კი მე შემომტენე... – მიმართა ჰოშინომ ცხედარს, რომელსაც, რა გასაკვირია, პასუხი არ გაუცია.

ცხედრისთვის რა უნდა მოეხერხებინა? წესით, პოლიციაში ან საავადმყოფოში უნდა დაერეკა და ფაქტის შესახებ განეცხადებინა. დედამიწის მოსახლეობის 99 პროცენტი ასე მოიქცეოდა. ჰოშინოსაც ეს სურდა, მაგრამ პოლიციას ნაკატაზე ძებნა ჰქონდა გამოცხადებული, ასე რომ, პოლიციასთან კავშირის დაჭერა ჰოშინოს არასახარბიელო სიტუაციაში ჩაადგებდა. პოლიცია

რამდენიმესათიან დაკითხვას მოუწყობდა. იმის ახსნა კი, რაც თავს გადახდათ, ყველაზე ნაკლებად უნდოდა. გარდა ამისა, არც კანონდამცველები ეხატებოდა გულზე. ჯობდა, პოლიციელებისთვის თავი მაქსიმალურად აერიდებინა.

ან ამ ბინის შესახებ რაღას ეტყოდა?

პოლკოვნიკ სანდერსივით გამოწყობილმა მოხუცმა კაცმა ეს ბინა სპეციალურად ჩვენთვის მოაწყო და მოგვაქირავაო? ამაზე წამოეგებოდა პოლიცია? პოლკოვნიკ სანდერსზე? აშშ-ს არმიასთან ხომ არ იყო შეკრული? არა, Kentucky Fried Chicken-ის სახეა. ალბათ ბილბორდებზე გინახავთ, არა, დეტექტივო? აი, ის, სათვალისანი, თხაწვერა... ტაკამაცუს ჩიხებში მუშაობს. გოგო გამიჩითაო. არა, ეს ყველაფერი რომ მოეთხრო, პოლიციელები იდიოტად მიიჩნევენ და ყბაში მოსდებდნენ. პოლიციელები არიან განგსტერები, რომლებსაც სახელმწიფო აფინანსებსო. ეს აზრი ჰომინოს პირველად არ მოსვლია თავში.

ღრმად ამოიოხრა.

«ახლა აქაურობას უნდა მოვშორდე, – გაიფიქრა ჰომინომ, – სადგურიდან შევძლებ ანონიმურად დავრეკო პოლიციაში, ეს მისამართი მივცე და შევატყობინო, რომ ვიღაც გარდაიცვალა. მერე ნაგოიისკენ მიმავალ მატარებელს მოვახტე. ისინი ვერასდროს შეძლებენ ამ საქმესთან ჩემს დაკავშირებას. მოხუცი ბუნებრივი სიკვდილით მოკვდა, ასე რომ, საქმე არ აღიძვრება. ისინი ცხედარს ნათესავებს გაუგზავნიან, მცირე პროცესია ჩატარდება. ამბის დასასრული. მერე ჩემს კომპანიაში მივალ, ბოსს შევპირდები: „ეს აღარასდროს განმეორდება, ვფიცავ. ამას იქით მუყათად ვიმუშავებ“. ყველაფერს ვიღონებ, რომ ძველი სამსახური დავიბრუნო.»

მან ნივთების მოგროვება დაიწყო. ჩანთაში ერთი ხელი ტანსაცმელი ჩაალაგა. თავზე «ტიუნტის დრაკონების» კეპი დაიხურა, უკან კიკინა გამოიძვრინა და მუქი მწვანე სათვალეც დაიკოსა. სწყუროდა, ამიტომ მაცივრიდან დიეტური პეპსი აიღო. როცა მაცივრისკენ დაიხარა და პეპსის სვამდა, თვალი მოჰკრა ქვას, რომელიც სავარძლის გვერდით იდო. საძინებელში შევიდა და ცხედარს კიდევ ერთხელ დახედა. ნაკატა მკვდარს არ ჰგავდა. თითქოს სუნთქავდა, ჰომინომ ისიც კი წარმოიდგინა, რომ წამოდებოდა და ჰომინოს ეტყოდა, ეს შეცდომააო, ნაკატა არ მომკვდარაო. მაგრამ არა, ნაკატა ნამდვილად მკვდარი იყო. აღარ მოხდებოდა სასწაული. ალბათ უკვე გავიდა გაღმა...

ხელში პეპსის ბოთლი ეჭირა და თავს აქნევდა. არა, არ შემძლია, უბრალოდ დავკრა ფეხი და წავიდე, ქვა კი აქ დავტოვო, ფიქრობდა. ასე თუ მოვიქცევი, ბატონი ნაკატა საფლავში ვერ მოისვენებსო. ისეთი კეთილსინდისიერი იყო, ყოველთვის ბოლომდე მიჰყავდა საქმე. ძალა რომ არ დაშრეტოდა, ამ საქმესაც აუცილებლად დაასრულებდა. ჰომინომ ცარიელი ქილა მოჭმუჭნა და სანაგვეში ჩაუმახა. ისევ სწყუროდა, ისევ სამზარეულოში გავიდა და კიდევ ერთი ქილა პეპსი აიღო.

«ბატონმა ნაკატამ მითხრა, მინდა, ცხოვრებაში ერთხელ მაინც, კითხვა შევძლო, – გაახსენდა ჰომინოს. – თქვა, მინდა ბიბლიოთეკაში წასვლა, ნებისმიერი წიგნის ამორჩევა და მისი წაკითხვა შემეძლოსო. მაგრამ ვიდრე ამ ნატვრას აიხდენდა, გარდაიცვალა. იქნებ ახლა,

სიკვდილის შემდეგ, ისეთ სამყაროში აღმოჩნდა, სადაც ნორმალურ ნაკატად იქცა და კითხვა შეუძლია? ამ სამყაროში კი არ შეეძლო. ამ სამყაროში საკუთარი სურვილის სრულიად საპირისპირო რამ გააკეთა – ხელნაწერი დაწვა. ყველა ის დაწერილი სიტყვა სიცარიელეში გაგზავნა. ბედის ირონიაც ესაა. თუმცა მისი ბოლო სურვილი უნდა აღვასრულო, შესასვლელი უნდა დავხურო. ვერც კინოში წავიყვანე, ვერ აკვარიუმში და ახლა, როცა ცოცხალი აღარ არის, მისთვის ამას მაინც გავაკეთებ.»

პეპსის მეორე ქილა გამოცალა, სავარძელთან მივიდა, დაიხარა და ქვის აწევა სცადა. არ იყო მძიმე. არც მსუბუქი, მაგრამ დიდი ძალისხმევა არ დასჭირდებოდა ასაწევად. დაახლოებით იმსიმძიმე იყო, როგორც იმ დღეს, პოლკოვნიკ სანდერსთან ერთად ტაძრიდან რომ მოიპარა. დაახლოებით იმავე წონისა იყო, როგორც ამ ზომის ჩვეულებრივი ქვები. ახლა უბრალო ქვა იყო.

«როცა ქვა შესასვლელს წარმოადგენს, მისი აწევა სიკვდილის ტოლფასია. მაგრამ, როცა ასეთი მსუბუქია, ჩვეულებრივი ქვაა, – ფიქრობდა ჰომინო, – რაღაც ექსტრაორდინარული უნდა მოხდეს, ქვა რომ შესასვლელად გადაიქცეს და ისე დამძიმდეს, როგორც საჭიროა. მთელ ქალაქში არნახაული ჭექა-ქუხილი უნდა დაიწყოს ან...»

ჰომინო ფანჯარასთან მივიდა, ფარდა გადასწია და ვერანდიდან ცას ახედა. ცა გუმინდელივით მოქუფრულიყო. წვიმას არ აპირებდა, ჭექა-ქუხილზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. დაიძაბა, იქნებ რამე უჩვეულო შევამჩნიო, მაგრამ ყველაფერი ძველებურად იყო. არაფერი იცვლებოდა, დღის მთავარი თემაც ალბათ ეს იყო.

– ბაბუ! – ხმამაღლა მიმართა მიცვალებულს, – იცი რა, ვიდრე რამე არაჩვეულებრივი მოხდება, აქ შენთან ერთად უნდა ვიყო. რა ჯანდაბა უნდა მოხდეს, არ ვიცი. ან საერთოდ უნდა მოხდეს თუ არა. თან ივნისია, შენი ნეშტი ხრწნას დაიწყებს და აყროლდება. ვიცი, ამის გაგონება არ გინდა, მაგრამ ეს სრულიად ბუნებრივია. რაც მეტი დრო გავა და რაც უფრო გვიან დაუკავშირდები პოლიციელებს, საქმე უფრო გამართულდება. რაც შემძლია, ყველაფერს ვიღონებ, უბრალოდ მინდა, სიტუაციაში გაგარკვიო.

პასუხი, რა თქმა უნდა, არ მიუღია.

ჰომინო ოთახში ბოლთას სცემდა.

მივხვდი! შეიძლება, პოლკოვნიკი სანდერსი დამიკავშირდეს. იმას ეცოდინება, ქვას რა უნდა ვუყო. მისგან ყოველთვის უნდა ელოდე პრაქტიკულ რჩევას.

მაგრამ ტელეფონი არ რეკავდა, იყო თავისთვის, ჩუმად. უსარგებლო ნივთი. არც კარზე დაუკაკუნებია ვინმეს, არც წერილი მიუღია. არც რამე უჩვეულო მომხდარა.

ამინდი არ შეცვლილა, არც შთაგონება სწვევია. წუთს წუთი მისდევდა. შუადღე დადგა და გავიდა, საღამო ბინდად იქცა. ელექტრონული საათის ისრები დროის ზედაპირზე მოქნილად მოძრაობდნენ წყლის ხოჭოსავით, ნაკატა კი ისევ საწოლზე იწვა უსიცოცხლოდ. ჰომინოს შიმშილი არ უგრძნია. მესამე ქილა პეპსიც დალია და კრეკერებზე მიაყოლა.

6 საათზე სავარძელზე ჩამოჯდა, პულტი აიღო და ტელევიზორი ჩართო. NHK-ზე სადამოს სიახლეებს გაეცნო, საინტერესო არაფერი გაუგია. ჩვეულებრივი დღე ყოფილა. წამყვანის ხმამ მის ნერვებზე ცუდად იმოქმედა და დასრულდა თუ არა პროგრამა, ტელევიზორი გამორთო. გარეთ ბნელდებოდა და ღამდებოდა. ოთახი უფრო დიდმა სიჩუმემ და უძრაობამ მოიცვა.

– ე, ბაბუ, არ შეგიძლია, რამდენიმე წუთით წამოდგე? რა ჯანდაბა ვქნა, არ ვიცი. თან შენი ხმაც მომენატრა.

ბუნებრივია, ნაკატას არ უპასუხია, ის ხომ მკვდარი იყო. სიჩუმე გაიზარდა, ისე გაიზარდა, რომ თუ ყურადღებას გაამახვილებდი, დედამიწის ღერძის გარშემო მოძრაობის ხმასაც გაიგონებდი.

ჰომინო მისაღებ ოთახში გავიდა და ტრიო «ერცჰერცოგი» ჩართო. თვალებზე ცრემლები მოადგა, მერე კი აქვითინდა.

ღმერთო, ნეტა ბოლოს როდის ვიტყვი? ვერ გაიხსენა.

45

შესასვლელიდან მიმავალი ბილიკის გავლა მარტივი მართლაც არ არის. ამას ბილიკი არც შეიძლება ეწოდოს. რაც უფრო წინ მივდივართ, ტყე უფრო დაბურული ხდება. ფერდობები სულ უფრო ციცაბოა, მიწა კი ეკალბარდებითაა დაფარული. ცა გაუჩინარდა, დაიბინდა გარემო. ყველგან ობობას ქსელებია გაბმული, ჰაერი კიდეც უფრო დამძიმდა, მცენარეების სუნი დგას. სიჩუმე უფრო და უფრო აუტანელი ხდება, ტყე თითქოს ადამიანების განდევნას ცდილობს საკუთარი ტერიტორიიდან. ზურგზე შაშხანებგადაკიდებულ ჯარისკაცებს ამ ტყე-ღრეში გზის გაგნება სულ არ უჭირთ. ისინი სწრაფად ძვრებიან დაბალი ტოტების ქვეშ, მიძვრებიან აღმართზე, ახტებიან ორმოებს და თავს არიდებენ ეკალბარდებს.

ვცდილობ, არ ჩამოვრჩე. უკან არც იხედებიან, თითქოს არც აინტერესებთ, მივყვები თუ არა. მგონი, მცდიან, აინტერესებთ, გავუძლებ თუ არა. არ ვიცი რატომ, მაგრამ მგონია, რომ ჩემზე ბრაზობენ. კრინტს არ ძრავენ, არც მე მელაპარაკებიან, არც ერთმანეთს. მხოლოდ მიდიან. უსიტყვოდ უთმობენ გზას ერთიმეორეს. მათი შაშხანების პირი ჩემ თვალწინ თანაბრად

ქანაობს. მალე ყველაფერი ჰიპნოზური ხდება. გონება სადღაც მისრიალებს, თითქოს ყინულზე მიცურავსო. მოდუნება არ შეიძლება, უკან უნდა მივყვე. ვოფლიანდები.

– ძალიან სწრაფად ვმოდრაობთ? – ტრიალდება ჩემკენ დაკუნთული და მეკითხება. არც კი ქოშინებს.

– არა, ნორმალურად.

– ახალგაზრდა ხარ, კარგ ფორმაში ჩანხარ. – ისე მეუბნება მაღალი, რომ არ ბრუნდება.

– ჩვენ ამ გზას ძალიან კარგად ვიცნობთ, ამიტომ ზოგჯერ ძალიან სწრაფად ვმოდრაობთ, – მიხსნის დაკუნთული, – თუ გინდა, შევანელოთ. არ მოგერიდოს, კარგი? ერთი სიტყვა გვითხარი და სვლას შევანელებთ. მაგრამ არ გვინდა, საჭიროზე ნელა ვიმოდრაოთ, გესმის?

– თუ ვერ შევძლებ თქვენი ტემპით სიარულს, გეტყვით, – ვცდილობ, ქოშინით არ ვუპასუხო, წარმოდგენაც არა აქვთ, უკვე როგორ დავიღალე, – კიდევ შორია?

– არა, არც ისე. – მპასუხობს მაღალი.

– თითქმის მივედით. – მეუბნება მეორე.

არ მჯერა. არც ის, აქ დრო არ მოძრაობსო, რომ თქვეს.

ერთხანს ხმა არ ამოგვიღია, სვლა შეანელებს, თითქოს მათი გამოცდა წარმატებით ჩავაბარე.

– ამ ტყეში შხამიანი გველები არიან? – ეს კითხვა მაწუხებდა.

– შხამიანი გველები? – სათვალისიანი ისე მიბრუნებს კითხვას, არც ბრუნდება ჩემკენ. როცა მელაპარაკება, უკან არასოდეს ტრიალდება. ყოველთვის წინ იყურება, თითქოს იქიდან რაღაც საფრთხეს მოეღის, – ამაზე არასოდეს მიფიქრია.

– შესაძლოა იყვნენ, – დაკუნთული ნახევრად ჩემკენაა შემოტრიალებული, – მე არ მინახავს, მაგრამ იქნებიან. თუმცა ამას მნიშვნელობა არა აქვს.

– ტყეს არ უნდა, რამე დაგიშავოს. – ამატებს მაღალი ჯარისკაცი.

– გველებზე ნუ იღელვებ. – მამშვიდებს დაკუნთული.

– კარგი.

– არც შხამიანმა გველმა შეგაშინოს და არც სოკოებმა, არც შხამიანმა ობობებმა და არც მწერებმა, ისინი არაფერს დაგიშავენ. – ისე მეუბნება მაღალი, რომ, რა თქმა უნდა, ჩემკენ არ ტრიალდება.

– ისინი? – წარმოდგენა არა მაქვს, რას გულისხმობს. როგორც ჩანს, ძალა გამომეცალა.

– რა – ისინი? არავინ გავნებს აქ. ჩვენ ღრმად ვართ ტყეში და არავინ არაფერს დაგიშავენს, საკუთარ თავსაც კი ვერ ავნებ.

ნეტა რას გულისხმობს? გადაღლის, გაოფლიანების და ამ უსასრულო ხეტიალის ჰიპნოზური ეფექტის გამო მიჭირს აზროვნება.

– როცა ჯარში ვმსახურობდით, იძულებული ვიყავით, ხიშტით მოწინააღმდეგის მუცლის გაფატვრაში გვევარჯიშა, – მიყვება დაკუნთული, – იცი, როგორ უნდა დაჭრა კაცი ხიშტით?

– არა.

– ჯერ ღრმად უნდა ჩაარჭო მუცელში, მერე კი გადაატრიალ-გადმოატრიალო. ნაწლავებს გადმოაყრევინებ და საზარელი, ნელი, მტკივნეული სიკვდილით მოკლავ. მაგრამ, თუ ხიშტს არ დაატრიალებ, მტერი შეიძლება ფეხზე წამოდგეს და თვითონ აგკუწოს. ასეთ სამყაროში ვცხოვრობთ.

ნაწლავები... ოშიმა ამბობს, ნაწლავები ლაბირინთის მეტაფორააო. თავში ათასი აზრი მიტრიალებს. ყველაფერი ერთმანეთშია გადახლართული.

– იცი, ადამიანები ერთმანეთს ასე სასტიკად რატომ ეპყრობიან? – მეკითხება მაღალი ჯარისკაცი.

– წარმოდგენა არა მაქვს.

– არც მე. სულ არ მადარდებს, ვინ არის მტერი – ჩინელი, რუსი თუ ამერიკელი. არც ერთს არ მინდა, მუცელი გავუფატრო. მაგრამ ასეთ სამყაროში ვცხოვრობთ... ამიტომ გამოვიქეცი. ცუდად ნუ გამიგებ, ლაჩრები არა ვართ. კარგი ჯარისკაცები ვიყავით. მაგრამ არ შეგვეძლო, დაუნდობლები ვყოფილიყავით. არც შენ მგონიხარ ლაჩარი.

– არც კი ვიცი, – ვპასუხობ გულახდილად, – მაგრამ ყოველთვის მინდოდა, ძლიერი გავმხდარიყავი.

– ეს ძალიან მნიშვნელოვანია, – მეუბნება ნახევრად ჩემკენ მოტრიალებული დაკუნთული – ყველანაირად ეცადე, გამლიერდე.

– საკმაოდ ძლიერი უნდა იყო, – მომმართავს ახლა მაღალი, – ბევრ შენი ასაკის ბავშვზე ძლიერი ხარ.

– ჰო. ეს შთამბეჭდავიც კია. – ჩაგვერთო დაკუნთული.

მაღალმა სათვალე მოიხსნა, ცხვირი მოიხოცა, მერე სათვალე ისევ გაიკეთა. არც ერთი არ გაოფლიანებულა, არც სუნთქვა ასჩქარებიათ.

– მოგწყურდა? – მაღალი მეკითხება.

– ცოტათი. – სინამდვილეში, მას შემდეგ, რაც ზურგჩანთასთან ერთად მათარაც მოვიშორე, წყურვილით ვკვდები. წელიდან მათარას იხსნის და მიწვდის. რამდენიმე ყლუპ თბილ წყალს ვსვამ. წყალს ჩემი სხეულის ყოველი უჯრედი ისრუტავს. ტუჩებიდან წყლის წვეთებს ვიწმენდ, მათარას უკან ვუბრუნებ.

– გმადლობ.

მაღალი უსიტყვოდ მიქნევს თავს.

– მთის თხემს მივუახლოვდით.

– დაბლა შეუჩერებლივ დავეშვებით, ამიტომ გზას უყურე. – მაფრთხილებს მაღალი.

ფრთხილად მივყვები უკან, ციცაბო დაღმართზე. ნახევარი გზის გავლის შემდეგ, კუთხეში ვუხვევთ და ტყიდან გავდივართ. ჩვენ თვალწინ მთელი სამყარო იშლება. ჯარისკაცები ჩერდებიან და ჩემკენ ტრიალდებიან. არაფერს ამბობენ, მაგრამ მათი თვალები ყვირიან, ეს ადგილიაო, აქ უნდა შეაბიჯო. იქ ვდგავარ, მათთან ერთად და ხედს ვუყურებ.

აქაურობა მიწის რელიეფის მსგავსია. არ ვიცი, რამდენი ადამიანი შეიძლება ცხოვრობდეს. ეს ადგილი ისეთი პატარაა, ბევრი ვერ იცხოვრებს. რამდენიმე გზაა, რომელთა ორივე მხარეს შენობები დგას. პატარა ქუჩებია, შენობებიც პატარაა. ქუჩაში არავინაა. ეს უსახური შენობები, როგორც ჩანს, მხოლოდ თავშესაფრად ააშენეს. ამ ერთი ციდა ადგილს ქალაქს ვერც კი უწოდებ. ერთი მაღაზიაც არ ჩანს. არც აბრებია ან განცხადებების დაფები. მხოლოდ ერთად თავმოყრილი შენობებია, ერთი და იმავე ზომისა და ფორმის, ცოტა ხალხის შესაფარებლად. არც ერთ სახლს ბალი არა აქვს, არც ხეები დგას ქუჩაში. თითქოს, რადგან ქალაქს ტყე ერტყმის გარს, ამიტომ მცენარეები საჭირო არ არის.

ტყიდან ნაზი სიო ქრის და ფოთლებს აშრიალებს. მათი შრიალი გულს მიჩქროლებს. ხელისგულით ხის ტანს ვეხები და თვალს ვხუჭავ. თითქოს ფოთლების შრიალი ნიშანია, სიგნალი, რომელიღაც უცხო ენა. თვალს ვახელ, ჩემ თვალწინ გადაშლილ ახალ სამყაროს ვუყურებ. იქ, იმ ფერდობზე ნახევრად ჩამოსულს, ამ ახალი სამყაროს შემყურეს, შიგნით რაღაც ამიზვირთდა. ეს ნიშნები იცვლება, მეტაფორებიც, და მე საკუთარი თავისგან შორს, შორს, ძალიან შორს მივცურავ.

პეპელად ვიქეცი, ქვემოთ გადაშლილ სამყაროს თავს დავფარფატებ.

სამყაროს ზღვარზე, არარასა და მატერიის გადამკვეთი სივრცეა, სადაც მომავალი და წარსული ქმნიან განგრძობით, უსასრულო სპირალს. აქ დახეტილებენ ნიშნები, აქამდე არავის რომ არ ამოუკითხავს და ბგერები, არავის რომ არ სმენია.

ვცდილობ, თანაბრად ვისუნთქო. გული საგულიდან მაქვს ამოვარდნილი, მაგრამ არ მეშინია. ჯარისკაცები გზას განაგრძობენ. მეც მათ მივყვები. თანდათან ქალაქს ვუახლოვდებით. ვხედავ, ქუჩას პატარა სუფთა წყარო მიუყვება. აქ ყველაფერი სადაა და მყუდრო. ელექტროდენიც უნდა ჰქონდეთ – ბოძებს შორის მავთულებია გაჭიმული. აქ დენი აქვთ?

აქაურობას მწვანე მაღალი ქედები აკრავს. ცა ისევ მოქუფრულია. ჯარისკაცებთან ერთად ქუჩას მივუყვები, მაგრამ გზად არავინ გვხვდება. ყველაფერი უძრავია. ხმა არ ისმის. იქნებ ყველა, სუნთქვაშეკრული, სახლებში შემალულა და იცდიან, იცდიან, როდის გავეცლებით აქაურობას.

ერთ სახლში შევდივართ. უცნაურია. ოშიმას ქოხის ზომის და ფორმისაა. თითქოს იმ ქოხის მოდელისგან შექმნესო. გარეთ ხის სავარძელი დგას და სკამი. შენობას ბრტყელი სახურავი აქვს საკვამურით. სამინებელში ერთადგილიანი საწოლი დგას, კარგად გასწორებული.

მხოლოდ ეს განსხვავებაა – სამინებელი და მისაღები ოთახები ცალ-ცალკეა, აქვეა ტუალეტიც და დენიცაა გაყვანილი. სამზარეულოში პატარა მაცივარი დგას, ძველებური მოდელია. ნათურა კიდია. და ტელევიზორიც დგას. ტელევიზორი?

– დროებით აქ უნდა დარჩე. ვიდრე ყველაფერი ჩაწყნარდება. თუმცა ასე დიდხანს არ გასტანს. ჯერჯერობით ასეა საჭირო. – მომმართავს დაკუნთული ჯარისკაცი.

– როგორც უკვე ვთქვი, აქ დრო თითქმის არ გადის. – მეუბნება ამჯერად მაღალი.

მეორე თანხმობის ნიშნად თავს უქნევს. – არა, დრო აქ საერთოდ არ გადის.

– დენს საიდან აწვდიან?

ერთმანეთს გადახედეს.

– ტყეში პატარა ქარის სადგურია. – მიხსნის მაღალი, – აქ ქარი მუდმივად ქრის. ელექტროენერგია საჭიროა, არა?

– თუ ელექტროენერგია არ გექნება, მაცივარს ვერ გამოიყენებ, – ამბობს დაკუნთული, – მაცივარი თუ არ გექნება, საჭმელს დიდხანს ვერ შეინახავ.

– რა თქმა უნდა, ცოტა ხანს უამისოდაც გაძლებს კაცი, – ამატებს მაღალი, – მაგრამ მაინც კარგია, მაცივარი რომ გაქვს.

– თუ მოგშივდება, ჭამე, მაცივარში რაც არის. თუმცა არა მგონია, ბევრი რამ იყოს.

– აქ არც ხორცია, არც თევზი, არც ყავა, არც სპირტიანი სასმელი. თავიდან გაგიჭირდება, მერე მიეჩვევი.

– მაგრამ კვერცხიც გაქვს, ყველიც და რძეც, პროტეინებს მიიღებ.

– სხვა რამეებს აქ არ ამზადებენ და სხვაგან უნდა მოიპოვო და რამეში გაცვალო.

– სხვაგან?

მაღალმა თავი დამიქნია.

– ჰო. სამყაროს მოწყვეტილი არა ვართ. დრო დაგჭირდება, მაგრამ მიხვდები. აქვეა ეგ სხვაგან.

– საღამოს აქ ვინმე მოვა და სადილს მოგიმზადებს, – მეუბნება დაკუნთული ჯარისკაცი, – მანამდე, რომ არ მოიწყინო, ტელევიზორს უყურე.

– ტელევიზორში პროგრამებს უჩვენებენ?

– სიმართლე გითხრა, არ ვიცი.

მაღალი ცოტა გააღიზიანა ამ კითხვამ. თავი გადახარა და თავის მეგობარს შეჰყურებს.

დაკუნთულმაც თავი ცერად გადახარა.

– სიმართლე გითხრა, ტელევიზორის შესახებ ბევრი არაფერი ვიცი. არასოდეს მიყურებია.

- ტელევიზორები იმათთვის დგას, ვინც ახლახან მოვიდა აქ.
- მაგრამ ალბათ რამის ნახვას შეძლებ. - მიხსნის დაკუნთული.
- ცოტა ხანს დაისვენე. ჩვენ საგუშაგოზე უნდა დავბრუნდეთ.
- გმადლობთ, რომ მომაცილეთ.
- რა პრობლემაა, - მპასუხობს დაკუნთული, - სხვებზე გაცილებით ძლიერი ფეხები გაქვს. ძალიან ბევრი ვერ ახერხებს, რომ გამოგვეყვას. ზოგი ზურგზე მოკიდებულიც კი მოგვეყავს. შენთან არ გაგვჭირვებია.
- თუ მეხსიერება არ მდლალატობს, შენ თქვი, რომ აქ არის ვიღაც, ვინც მე მინდა, რომ ვიხილო.
- მართალია.
- დარწმუნებული ვარ, მალე შეხვდებით, - ამბობს და რამდენჯერმე თავს აქნევს, - ეს სამყარო პატარაა.
- იმედია, მალე შეეგუები. - მეუბნება დაკუნთული.
- მთავარია, შეეჩვიო.
- გმადლობთ.

ორივე სამხედრო სალამს მაძლევს, მერე შაშხანებს იკიდებენ და მიდიან, სწრაფად მიუყვებიან ქუჩას თავიანთი პოსტისკენ. როგორც ჩანს, შესასვლელს დღე და ღამე უდარაჯებენ.

სამზარეულოში შევდივარ, მაცივარს ვამოწმებ. პომიდორია, ყველის ნაჭერი, სტაფილო, თაღამიც კი, და დიდი დოქით რძე. კარაქიც. თაროზე პური დევს, ჩამოვატეხე ყუა და გავსინჯე. ცოტათი გამხმარია, მაგრამ არა უშავს.

სამზარეულოში ნიჟარა და ონკანია. ონკანს ვუშვებ და წყალი მოჩხრიალებს. სუფთა და ცივი. რადგან ელექტროენერგია აქვთ, ალბათ ჭიდან ტუმბავენ წყალს. ფინჯანს წყლით ვავსებ და ვსვამ.

ფანჯარასთან მივდივარ და გარეთ ვიხედები. ცა ისევ ნაცრისფერ ღრუბლებს დაუფარავთ, მაგრამ წვიმას პირი არ უჩანს. დიდხანს ვიყურები ფანჯრიდან, მაგრამ გარეთ კაცის ჭაჭანება არ არის. ქალაქი თითქოს მკვდარია. ან რამე მიზეზით ყველა ცდილობს, თავი ამარიდოს.

ფანჯარას ვცილდები და მაგარ, სწორზურგიან ხის სკამზე ვჯდები. სულ სამი სკამი დგას და ოთხკუთხა სასადილო მაგიდა, რომელიც რამდენჯერმე შეუღებავთ. კედლებზე არაფერი კიდია, არც ნახატები, არც ფოტოები, არც კალენდარი, მხოლოდ თეთრი კედლებია. ჭერზე ერთადერთი ნათურა კიდია, რომლის შუშასაც სიცხისგან ფერი შეუცვლია.

ოთახი სუფთაა. თითები გადავუსვი მაგიდის ზედაპირსა და ფანჯრის რაფებს, მტვრიანი არ არის. ფანჯრებიც დაუწმენდიათ. ქვაბები, თევშები და სხვა სამზარეულოს ნივთები ახალი არ არის, მაგრამ სუფთაა და კარგად მოვლილი. სამზარეულოში ორი ძველებური ელექტროქურა დგას. ერთს ვრთავ და სპირალი მაშინვე წითლდება.

ძველ ფერად ტელევიზორს ხის მძიმე შავი ყუთი აქვს, 15-20 წლის უნდა იყოს. უპულტოა. სანაგვიდან ამოთრეულს ჰგავს. იგივე შემოდლია ვთქვა სხვა ელექტროტექნიკაზეც. განა ჭუჭყიანია, ან არ მუშაობს, უბრალოდ, მათ თავიანთი დრო მოჰამეს და პატრონებმა სანაგვეზე გადაუძახეს. ტელევიზორი ჩავრთე, ძველი ფილმია, „მუსიკის ჰანგები“. დაწყებით კლასებში მასწავლებელმა კინოთეატრში წაგვიყვანა, რომ დიდ ეკრანზე გვენახა. ბავშვობაში კინოში ვინ წამიყვანდა! ეს გამონაკლისი შემთხვევა იყო ჩემს ბავშვობაში. ის სცენაა, როცა მძიმე ხასიათის მქონე მამა, კაპიტანი ფონ ტრაპი, საქმეებზე ვენაში მიემგზავრება და ბავშვების აღმზრდელ ქალ მარიას ისინი მთებში მიჰყავს. ყველანი ბალახზე სხდებიან, ქალი გიტარას უკრავს და ერთად მღერიან ლალ სიმღერებს. ეს ცნობილი სცენაა. ტელევიზორთან ვჯდები და ფილმს მოჯადოებული შევყურებ. თითქოს პირველად ვხედავდე. ნეტა ჩემი ცხოვრება როგორი იქნებოდა, მარიას მსგავსი ვინმე რომ მყოლოდა გვერდით? ჩემს ცხოვრებაში ასეთი არავინ ყოფილა.

რეალობას ვუბრუნდები. კი მაგრამ, ახლა „მუსიკის ჰანგებს“ რატომ ვუყურებ? რაღა მაინც და მაინც ამ ფილმს? შეიძლება ამ ხალხს სატელიტური თეფში აქვს და რაღაც სიგნალს იჭერენ. ან იქნებ ჩანაწერი აქვთ ამ ფილმის და თვითონ გაუშვეს? ჩანაწერი უნდა იყოს. რადგან სხვა არხები მხოლოდ შიშინებს. ტელევიზორის შიშინი ქვიშიან ქარებს მაგონებს.

«ედელვაისს» მღერიან. ტელევიზორი გამოვრთე. ოთახში ისევ სიჩუმე გამეფდა. მწყურია, სამზარეულოში გავდივარ და დოქიდან რძეს ვსვამ. რძე სქელია და ახალი, და ათასჯერ უფრო გემრიელია, ვიდრე სასურსათო მაღაზიაში შეძენილი მუყაოს კოლოფის რძე. ჭიქა ჭიქაზე გამოვცალე და უეცრად გამახსენდა სცენა ფრასუა ტრიუფოს ფილმიდან „400 დარტყმა“, სადაც ანტუანი სახლიდან გარბის და ერთ დილით, მშვიერი, ვიღაცის კართან დატოვებულ რძეს იპარავს. დიდი ბოთლია და ბიჭს მის დასალევად დროც დიდი სჭირდება. სევდიანი სცენაა. საოცარია, რომ რძის სმაც შეიძლება ასეთი სევდიანი იყოს. ესეც ჩემი ბავშვობის ფილმია. მეხუთე კლასში ვიყავი, სათაური მომეწონა, იკებუკუროში მარტო მივედი მატარებლით, ვნახე ფილმი და მატარებლითვე დავბრუნდი უკან. კინოდან გამოსულმა, რძე ვიყიდე და დავლიე.

რძის დალევის შემდეგ მოვითენთე და ძილი მომიწინდა. ფიქრები ნელდება და ჩერდება სადგურში შესული მატარებელივით. ვეღარ ვფიქრობ. თითქოს სისხლი შემიდედდა. საძინებელში გავდივარ, ძლივს ვიხდი შარვალსა და ფეხსაცმელებს, საწოლზე ვეცემები, სახეს ბალიშში ვრგავ და თვალებს ვხუჭავ. ბალიშს მზის სხივების სურნელი აქვს. ვისუნთქავ ამ სურნელს. და ვიძინებ.

გამომეღვიძა. დაბნელებულა. თვალებს ვახელ, ვერ ვხვდები, სადა ვარ. ორმა ჯარისკაცმა ტყის გავლით პატარა ქალაქში მიმიყვანა, სადაც წყარო მოწანწკარებს, არა? ნელ-ნელა ვიხსენებ. ნაცნობი მელოდია მესმის. «ედელვაისი». სამზარეულოში ვიღაც ჩუმად აწკარუნებს ქვაბებს და ტაფებს. კარის ღრიჭოდან საძინებელში სინათლე შემოდის და იატაკზე ყვითელ ზოლს ქმნის. ძველებური ყვითელი სინათლეა.

ვცდილობ, საწოლიდან წამოვდგე, მაგრამ სხეული არ მემორჩლება. ღრმად ვსუნთქავ, ჭერს ავყურებ. თეფშების ხმა მესმის. ვიღაც საქმიანად დააბიჯებს, ეტყობა, სადილს მიმზადებს.

როგორც იქნა, წამოდგომას ვახერხებ. ძლივძლივობით ვიცვამ შარვალს, წინდებსა და ფეხსაცმელებს. კარს ჩუმად ვაღებ.

სამზარეულოში ახალგაზრდა გოგონა ამზადებს საჭმელს. ჩემკენ ზურგით დგას, ქვაბზეა დახრილი და კოვზით საჭმელს გემოს უსინჯავს. კარის ხმაზე ჩემკენ ტრიალდება. ის არის. ის გოგონაა, ბიბლიოთეკაში ჩემს ოთახს რომ ესტუმრებოდა ხოლმე და კედელზე დაკიდებულ ნახატს შეჰყურებდა. 15 წლის საეკია. ისევ ის ტანსაცმელი აცვია, გრძელმკლავებიანი ღია ცისფერი კაბა. თმა უკან შეუკრავს, მხოლოდ ეს განსხვავებაა. მილიმის. თბილად მილიმის. ეს ღიმილი ჩემში ისეთ ემოციას აღძრავს, რომ მთელი სამყარო თავდაყირა დგება, თითქოს ყველაფერი ხელშესახები დაიმსხვრა და გამთლიანდა. ეს გოგონა არც ილუზიაა, არც მოჩვენება. ცოცხალი გოგონაა, შეგიძლია შეეხო. რეალურ სამზარეულოში დგას და საჭმელს მიმზადებს. ამ კაბის ქვეშ პატარა მკერდი იმალება, კისერი ფაიფურივით თეთრი აქვს. რეალურია.

– უი, გაიღვიძე?

ხმას ვერ ვიღებ. ვცდილობ, თავი ხელში ავიყვანო.

– ეტყობა, კარგად გეძინა, – ქვაბისკენ ტრიალდება, – რომ არ გაგღვიძებოდა, საჭმლის მაგიდაზე დატოვებას და წასვლას ვაპირებდი.

– არ მინდოდა ამდენ ხანს ძილი. – ბოლოს და ბოლოს ვახერხებ რაღაცის თქმას.

– ტყეში ამხელა გზა გამოიარე, მშიერი იქნები.

– არ ვიცი. მგონი, კი.

მინდა, ხელი გავიშვირო და შევეხო. მაგრამ არ შემიძლია. იქ ვდგავარ, ვტკბები მისი ცქერით. ჩემთვის ყველა ის ხმა მნიშვნელოვანი და ძვირფასია, რომელსაც აქ, სამზარეულოში გამოსცემს.

თეთრი თეფშით ცხელი კერძი მოაქვს მაგიდასთან, მოშუშული კარტოფილი და სტაფილოა. გარდა ამისა, ბოსტნეულის სალათის თასიც არის პომიდვრით. და პურის დიდი ნაჭერი. ეს სურნელი მოგონებებს აღმიძრავს. ვგრძნობ, რომ კუჭი მიხმება. რამე უნდა ვჭამო. ჩანგლითა და კოვზით ვიწყებ ჭამას. გოგონა გვერდით მიზის და სერიოზული სახით მიყურებს, თითქოს მისი საქმის ნაწილი ჭამის დროს ჩემთვის თვალყურის დევნება იყოს. დროდადრო თმას უკან იწევს.

– შენზე ამბობენ, 15 წლისააო.

– მართალია, – პურს კარაქს ვუსვამ, – ახლახან გავხდი 15-ის.

– მეც 15-ის ვარ.

თავს ვუქნევ. კინალამ ვუთხარი, ვიცი-მეთქი. ჯერ ძალიან ადრეა ამის თქმა... კიდევ ერთხელ მოვკბიჩე პური.

– ცოტა ხანს საჭმელს მოგიმზადებ. აქაურობასაც დავალაგებ, ტანსაცმელსაც გაგირეცხავ. კარადაში ტანსაცმელია, შეგიძლია ჩაიცვა. სარეცხი კალათაში ჩაყარე და მე მივხედავ.

– ეს საქმე ვინმემ დაგავალა?

მიყურებს, მაგრამ არ მპასუხობს. თითქოს არასწორი კითხვა დავსვი, რომელიც უსახელო სივრცეში დაინთქა.

– რა გქვია? – მივმართე სხვა ხერხს.

თავი ოდნავ გააქნია.

– სახელი არა მაქვს. აქ არა გვაქვს სახელები.

– თუ სახელი არა გაქვს, როგორ მოგმართო?

– საჭირო არ არის მომართვა. თუ დაგჭირდება, აქ გავჩნდები.

– როგორც ჩანს, აქ არც მე დამჭირდება სახელი.

თავი დამიქნია.

– შენ შენ ხარ. შენ შენ ხარ, არა?

– მგონი. – ვპასუხობ, მაგრამ მე მართლა მე ვარ?

თვალს არ მაცილებს.

– ბიბლიოთეკა გახსოვს?

– ბიბლიოთეკა? – თავი გააქნია, – არა. არის შორს ბიბლიოთეკა, მაგრამ აქ – არა.

– ბიბლიოთეკა არის?

– კი, მაგრამ შიგ წიგნები არ არის.

– თუ წიგნები არ არის, მაშ რაღაა?

თავს ხრის და არაფერს მპასუხობს. ისევ არასწორი კითხვა დავსვი.

– ყოფილხარ იქ?

– დიდი ხნის წინ.

– და იქაურობა წიგნების წასაკითხად არ არის განკუთვნილი?

თავს მიქნევს.

– წიგნები არ არის იქ.

ჩუმად ვჭამ ცხელ კერძს, სალათას, პურს. არაფერს ამბობს, მხოლოდ მიყურებს. მიკვლევს, მაკვირდება.

– მოგეწონა საჭმელი?

– კარგი იყო.

– უთევზოდ და უხორცოდაც?

– ხედავ, არაფერი დამიტოვებია. – ჩემს ცარიელ თეფშს ვუჩვენებ.

– გასაგებია.

– ძალიან გემრიელი იყო. – მართლა ასე იყო.

მის გვერდით ყოფნა ისეთი მტკივნეულია, გეგონება, გულში დანა ჩამცესო. აუტანელი ტკივილია, მაგრამ მაღლიერიც კი ვარ. ეს ტკივილი თითქოს მე თვითონ ვარ. ტკივილი ჩემი ღუზაა.

გოგონა დგება, წყალს ადუღებს და ჩაის მიმზადებს.

ვიდრე ჩაის ვსვამ, თეფშებს რეცხავს. ვუყურებ. მინდა, რამე ვთქვა, მაგრამ მასთან სიტყვები მნიშვნელობას იცვლის. საკუთარ ხელებს დავუყურებ და ვფიქრობ იმ შინდის ხეზე, მთვარიან ღამით ფანჯრის წინ რომ ვერცხლისფრად ელვარებს. გულში დანა მერჭობა.

– კიდევ გიხილავ?

– რა თქმა უნდა. როგორც გითხარი, თუ დაგჭირდება, აქ ვიქნები.

– უეცრად არ გაუჩინარდება?

არაფერს ამბობს, უცნაურად შემომყურებს, «აბასადუნდაწავიდე» გამომეტყველებით.

– სხვა სამყაროში, სხვა ბიბლიოთეკაში ჩვენ ერთმანეთს შევხვდით.

– რადგან შენ ამბობ... – ხელით კიკინას ეხება, ისევ მყარად თუ არისო. მისი ხმა არაფერს ამჟღავნებს, მგონი, ცდილობს მიმანიშნოს, რომ ეს თემა არ აინტერესებს.

– აქ შენთან კიდევ ერთხელ შესახვედრად მოვედი. შენთან და კიდევ ერთ ქალთან.

მიყურებს, თავს სერიოზულად მიქნევს.

– ტყე გამოიარე აქ მოსასვლელად...

– მართალია. კიდევ ერთხელ უნდა მენახეთ შენ და სხვა ქალი.

– და მე შემხვდი.

თავი დავუქნიე.

– როგორც გითხარი, თუ დაგჭირდება, მოვალ.

ჭურჭელს რეცხავს, ნივთებს თაროზე ალაგებს და ტილოს ჩანთას მხარზე იკიდებს.

– ხვალ დავბრუნდები, იმედია, მალე შეეჩვევი აქაურობას.

ვუყურებ, როგორ მიდის. ისევ მარტო ვარ ამ ჩაკეტილი წრის ამ პატარა ქოხში. აქ დრო არ მოძრაობს. არავის არა აქვს სახელი. როგორც კი დამჭირდება, მოვა. აქ 15 წლისაა. მუდმივად 15 წლისაა. მაგრამ მე რა ბედი მელის? მეც 15-ის წლისად დავრჩები აქ? აქ ასაკიც არ იცვლება?

კართან ვდგავარ და გარემოს ვუცქერი. ცაზე არც მთვარე ჩანს, არც ვარსკვლავები. ზოგიერთი შენობის ფანჯრიდან სინათლე მოჩანს. ასეთივე ძველებური ყვითელი სინათლე. მაგრამ მაინც ვერავის ვხედავ. მხოლოდ შუქებს. სამყაროს მუქი ჩრდილები დასთამაშებს. მოშორებით სიბნელეზე უფრო მუქი ქედები მოჩანს, ქალაქს კი ტყე შემორტყმია გარს კედელივით.

46

ნაკატას სიკვდილის შემდეგ ჰომინო ბინიდან აღარ გადიოდა. ყოველ წუთს შეიძლება, რამე მომხდარიყო, ამიტომ უნდოდა, ახლო ყოფილიყო ქვასთან და დროულად ემოქმედა. ქვისთვის თვალყურის დევნება აქამდე ნაკატას საქმე იყო, ახლა კი სხვა გზა აღარ იყო, ჰომინოს თავად უნდა ეპატრონა შესასვლელი ქვისთვის. ჰომინომ ნაკატას ოთახში ფანჯრები გადარაზა და კონდიციონერი მინიმალურ ტემპერატურაზე დააყენა.

– იმედია, ძალიან არ შეგცივდება. – ამ ფრაზით ჰომინომ ნაკატას მიმართა. მოხუცს, რა თქმა უნდა, პასუხი არ გაუცია.

ჰომინო მისაღები ოთახის დივანზე იწვა. არც მუსიკის მოსმენის სურვილი გასჩენია, არც კითხვის. დაბინდდა, ოთახში ჩამოხნულდა, ის კი შუქის ასანთებადაც არ წამომდგარა. ძალაგამოცლილი იყო და თავი ვერ აიძულა, წამომდგარიყო. დრო ნელა გადიოდა.

ბაბუას გარდაცვალებამაც დააღონა, მაგრამ ასე არ განუცდია. ის დიდხანს ავადმყოფობდა, მარტო დროის საკითხი იყო... ამიტომ ბაბუას სიკვდილს მომზადებული შეხვდა. დიდი მნიშვნელობა აქვს, მზად ხარ თუ არა ამისთვის. თუმცა ნაკატას სიკვდილში იყო კიდევ რაღაც, განსხვავებული, რაზეც ჰომინომ დიდხანს იფიქრა.

უეცრად მოშივდა, სამზარეულოში გავიდა, მიკროტალღურ ღუმელში ბრინჯი გააცხელა, ნახევარი ულუფა შეჭამა და ლუდიც დააყოლა. მერე ისევ ნაკატას დახედა. იქნებ გაცოცხლდაო, გაიფიქრა. მაგრამ არა, მოხუცი ისევ მკვდარი იყო. ოთახი მაცივარით იყო, ისე ციოდა, შეგეძლო ნაყინი შეგენახა.

ჰომინო პირველად იყო სახლში მიცვალბულთან ერთად, ამიტომ ვერ ისვენებდა. განა ეშინოდა. არც ცახცახებდა. უბრალოდ, არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო მკვდართან. დროის დინება მკვდრისთვის და ცოცხალისთვის სულ სხვადასხვაა... ხმებიც. ამიტომაც ვერ დავმშვიდებულვარო, გაიფიქრა. მაგრამ რა უნდა ექნა? ბატონი ნაკატა სამუდამოდ გაემგზავრა მკვდართა საუფლოში, მე კი ჯერ კიდევ ცოცხალი ვარო. რა თქმა უნდა, უფსკრული იქნებოდა მათ შორის.

წამოდგა დივნიდან და ქვის გვერდით ჩამოჯდა. ხელები გადაუსვა, თითქოს კატას ეფერებოდა.

– რა ჯანდაბა უნდა ექნა? მინდა, ბატონ ნაკატაზე ზრუნვა სხვას მივანდო, მაგრამ ვიდრე შენთან დაკავშირებულ ყველა საქმეს არ დავასრულებ, ამას ვერ ვიზამ. ვერაფრით დამეხმარები?

ქვამ პასუხი არ გასცა. ქვა ახლა უბრალოდ ქვა იყო. შეეძლო, ათასჯერ დაესვა ერთი და იგივე კითხვა, მაგრამ პასუხს ვერ მიიღებდა. მიუხედავად ამისა, გვერდით ეჯდა ქვას და ეფერებოდა. რამდენიმე საკითხი წამოსწია, ლოგიკა მოიშველია, ყველანაირად ეცადა, ქვის კეთილგანწყობა მოეპოვებინა. სხვა ვერაფერი მოიფიქრა. ბატონი ნაკატა მთელ დროს აქ, ქვასთან საუბარში ატარებდა. ვითომ ჰომინოსაც რატომ არ შეეძლო იგივე ეკეთებინა?

ქვასთან საუბარი და მისთვის ტკივილის გაზიარება პათეტიკურიაო, მაინც ფიქრობდა. აბა, ის გამონათქვამი – «გულქვა» საიდან გაჩნდებოდა?

წამოდგა, გაიფიქრა, ტელევიზორში ახალ ამბებს გავეცნობიო, მაგრამ მაშინვე გადაიფიქრა და ისევ ქვას მიუჯდა. ახლა ალბათ ყველაფერს დუმილი ჯობდა. ჩუმიად ლოდინი. იქნებ მომხდარიყო რამე.

– მაგრამ ლოდინი ჩემი სტილი არ არის, – ჰომინო ქვას ელაპარაკებოდა, – ღმერთო, ყოველთვის უნებისყოფო ვიყავი და ახლა ვიძუი! ვიდრე ასჯერ გავზომავდი, იქამდე ვჭრიდი და ყველაფერს თავდაყირა ვაყენებდი. ბაბუაჩემი მეუბნებოდა, მარტის კატასავით ხარ ატეხილიო. ახლა კი ლოდინის გარდა აღარაფერი დამრჩენია. ჯანდაბა!

კონდიციონერის გარდა ყველაფერი დუმდა. საათმა ჯერ ცხრა აჩვენა, მერე ათი, მაგრამ არაფერი შეცვლილა. დრო გადიოდა, ღამდებოდა, სხვა არაფერი. ჰომინომ პლედი მისაღებ ოთახში გაიტანა, დივანზე წამოწვა და გადაიფარა. ქვასთან ახლო ჯობია დამინებო, გაიფიქრა. შუქი ჩააქრო და თვალები დახუჭა.

– ქვაო, ახლა დამინებას ვაპირებ. ხვალ ვილაპარაკოთ. გრძელი დღე იყო და თვალი უნდა მოვატყუო.

არა, ამას გრძელიც აღარ ჰქვიაო, გაიფიქრა.

– ეი, ბაბუ! – დაიყვირა, – ბატონო ნაკატა, გესმის ჩემი?

პასუხი არავინ გასცა.

ჰომინომ ამოიხრა, თვალეზი დახუჭა, ბალიში გაასწორა და ჩაეძინა. მთელი ღამე უმფოთველად ეძინა. არც გაღვიძებია, არც სიზმარი უნახავს. მეორე ოთახში ნაკატასაც ეძინა, ღრმა, უსიზმრო ძილით.

როგორც კი ადგა, რვის წუთებზე, მაშინვე ნაკატა შეამოწმა. კონდიციონერი ისევ მთელი სიმძლავრით გუგუნებდა. ნაკატა ისევ მკვდარი იყო. დღეს სიკვდილი უფრო დასტყობოდა. კანი გაფერმკრთალებოდა, თვალეზი სამუდამოდ დაეხუჭა. არ აპირებდა წამოდგომას და თქმას, ბოდიშს გიხდით, ბატონო ჰომინო, ნაკატას ჩაეძინა, ვწუხვარ, ალელვება საჭირო არ არის, ყველაფერს მე მივხედავ, ქვას მე მოვუვლიო. არა, ეს აღარასოდეს მოხდებოდა. ნაკატა ნამდვილად მოკვდაო, ფიქრობდა ჰომინო.

სიცივისგან აკანკალდა, ოთახიდან გავიდა და კარი მიიხურა, მერე სამზარეულოში ყავადანით ყავა მოიძადა, ორი ფინჯანი დალია, პურის ნაჭრები გახუხა და კარაქით და ჯემით მიირთვა. საუზმის შემდეგ სამზარეულოში ჩამოჯდა, რამდენიმე ღერი სიგარეტი მოწია და ფანჯრიდან იქაურობა მიმოათვალიერა. ღამით ღრუბლები გაფანტულიყო და ლაჟვარდოვან ცაზე მზე კამკაშებდა. ქვა დივანის გვერდით იდო. თვალის არ მოუხუჭავს, არც გაუღვიძია, მთელი ღამე იქ იდო, უძრავად. აწევა სცადა. ადვილად შეძლო.

– ეი, შენ! – მხიარულად შესძახა, – მე ვარ, შენი ძველი მეგობარი ჰომინო, გახსოვარ? დღეს აქ ჩვენ გარდა არავინაა.

ქვას არაფერი უთქვამს, როგორც მოსალოდნელი იყო.

– არა უშავს. არა უშავს, რომ არ გახსოვარ. ნუ ვიჩქარებთ, ბევრი დრო გვაქვს ერთმანეთის გასაცნობად.

ქვის გვერდით ჩამოჯდა, მოეფერა და დაფიქრდა, ნეტა რა თემებზე შეიძლება ქვასთან საუბარი. პირველად ელაპარაკებოდა ქვას და ვერაფერი შესაფერისი ვერ მოიფიქრა. ჯობდა, დილაადრიან რთულ საკითხებს მორიდებოდა. წინ მთელი დღე ჰქონდა და ყველაფერი შეეძლო ეთქვა, რაც კი თავში მოუვიდოდა.

ცოტა ხანს დაფიქრდა და საყვარელი თემა ამოირჩია – გოგონები. ყველა გოგონა მიმოიხილა, რომელთანაც დაწოლილა. მარტო ექვსი გოგოს სახელი ახსოვდა, სხვებისა – არა. იმათ რა დათვლისო, გაიფიქრა. ბევრად მეტი კი იქნებოდნენო.

– ალბათ უაზრობაა ქვასთან ჩემს მეგობარ გოგონებზე საუბარი. და ალბათ დილით არც ჩემი საგმირო საქმეების მოსმენა გინდა. მაგრამ სხვა რომ ვერაფერი მოვიფიქრე? ან იქნებ რომელიმე უფრო მსუბუქი თემა აგველო? რამეზე ხომ არ წაგეჭორაო?

ჰომინომ რამდენიმე ეპიზოდი გაიხსენა საკუთარი ცხოვრებიდან. ისე დეტალურად უამბო ქვას, რამდენადაც შეეძლო და ახსოვდა. ჯერ საშუალო სკოლაში სწავლის პერიოდზე მოუყვა, როცა მოტოციკლებით იყო გატაცებული და რამდენჯერმე შარში გაეხვია. ის გოგონა მასზე 3 წლით უფროსი იყო და გიფუ სითიში, პატარა ბარში მუშაობდა. ცოტა ხანს ერთად ცხოვრობდნენ. გოგონა სერიოზულად იყო განწყობილი ამ ურთიერთობისადმი. ეუბნებოდა, უშენოდ ცხოვრება ვერ წარმომიდგენიაო. ჩემს მშობლებს დაურეკა, მაგრამ ეს ამბავი არ

გაუხარდათ. ყველაფერი თანდათან იძაბებოდა, ამიტომ უმაღლესი სკოლის დასრულების შემდეგ თავდაცვის აკადემიაში გადავედი, საცხოვრებლად კი – იამანასის პრეფექტურაში, ამიტომ ურთიერთობა გაწყდა და მას შემდეგ ერთმანეთი აღარ გვინახავსო.

– მგონი, ზარმაცი ჩემი მეორე სახელია, – აუხსნა ჰომინომ ქვას, – და როცა სიტუაცია ირევა, მაშინვე გავრბივარ. თავი არასოდეს დამიკარგავს, სხვები, მგონი, აქ ტყუუდებიან.

მეორე გოგონას იამანასის ბაზასთან ახლო გადაეყარა. დასვენების დღე ჰქონდა. «სუძუკი ალტოს» საბურავის გამოცვლაში დაეხმარა. მასზე ერთი წლით უფროსი აღმოჩნდა, მედღების სკოლაში სწავლობდა.

– კარგი გოგო იყო. დიდი მკერდი ჰქონდა, ძალიან თბილი ადამიანი იყო. და რა ცეცხლოვანი! მეც მხოლოდ 19 წლის ვიყავი მაშინ, ყოველ დღეს ლოგინში ვატარებდით. ერთადერთი ნაკლი ჰქონდა – წარმოუდგენლად ეჭვიანი იყო. თუ დასვენების დღეებში არ ვნახავდი, ტვინს მიბურღავდა კითხვებით – სად მიდიხარ, რას აკეთებ, ვისთან ერთადა ხარ... არაფერს ვუმაღავდი, მაგრამ მაინც არ ჩერდებოდა. ამიტომაც დავშორდით. თითქმის ერთი წელი ვიყავით ერთად. არ ვიცი, შენ როგორი ტიპი ხარ, მე კი ვერ ვიტან, ვიღაც რომ ჩემს ცხოვრებაში ძალიან იჭრება. სუნთქვა მიჭირს და დეპრესიაში ვვარდები. ამიტომ გავრბივარ. თავდაცვაში ყოფნა კარგი ამიტომ არის – ყოველთვის შეგიძლია, ბაზაზე დარჩე და თავი აარიდო ურთიერთობას. ვერც ვერაფერს გახდებიან ამ დროს. თუ გოგონას მიტოვება გინდა, თავდაცვაში უნდა წახვიდე, ეგ არი შენი ბილეთი. კარგად დაიმახსოვრე. მაგრამ გზები იქ ვარდებით არ არის მოფენილი. სანგრების თხრაში ხარ, მიწით სავსე ტომრების თრევაში და ეგეთები.

ლაპარაკის დროს ჰომინო ხვდებოდა, რა ფუჭად ჩაუვლია მის ცხოვრებას. 6-დან 4 კარგი მეგობარი გოგონა ჰყავდა. დანარჩენ ორს კი სერიოზული პრობლემები ჰქონდათო, გაიფიქრა. თითქმის ყველა კარგად ეპყრობოდა. არც ერთი არ ყოფილა მზეთუნახავი, თუმცა ყველა თავისებურად ლამაზი იყო და სექსზე უარს არასოდეს ეუბნებოდნენ. არ საყვედურობდნენ, პირდაპირ სექსუალურ აქტზე თუ გადადიოდა. საჭმელს უშზადებდნენ დასვენების დღეებში, დაბადების დღეზე საჩუქრებს უკეთებდნენ, როცა სჭირდებოდა, ფულს სესხად აძლევდნენ – მგონი, უკან არც არასოდეს დაუბრუნებია – არც უთხოვიათ, დაგვიბრუნეო. და ამ ყველაფრის მიუხედავად, უმაღლური ნაბიჭვარივით ვიქცეოდი, მეგონა, ამ ყველაფერს ვიმსახურებდიო, ფიქრობდა.

მის სასარგებლოდ შეძლება ითქვას, რომ არც ერთი მათგანისთვის არ უღალატია. მაგრამ საკმარისი იყო, რომელიმეს დაეწუწუნა, შეკამათებოდა, ეეჭვანა, ფულის დაზოგვა ეიდულებინა, გადაეღალა ან მომავლის გამო ოდნავ მაინც ენერვიულა, რომ ჰომინო უკვე გარბოდა. ყოველთვის გაურბოდა გოგონებთან დამაბულ სიტუაციებს, მცირე ტალღაც საკმარისი იყო ამ ნავის ასამომრავებლად და ჰომინოს წასაყვანად. ახალ გოგონას სწრაფად პოულობდა და ყველაფერს თავიდან იწყებდა,

– გოგო რომ ვყოფილიყავი და ჩემნაირ ეგოისტ ნაბიჭვარს გადავყროდი, ნამდვილად ჭკუიდან შევიშლებოდი. მარტო ახლა მივხვდი. ან კი ამდენ ხანს როგორ მიძლებდნენ. საოცარია, – მალბოროს ღერს მოუკიდა, ნაფაზი ნელა დაარტყა და ცალი ხელით ქვას ჩაებღაუჭა, – არა ვარ

მართალი? კარგი გარეგნობა არა მაქვს, არც საწოლში ვუქნივარ ღმერთს, არც ფული მაქვს. არც კარგი პიროვნული თვისებები, არც ძალიან ჭკვიანი ვარ. მეტი რაღა გინდა? ღარიბი ფერმერის შვილი ვარ, ყოფილი ჯარისკაცი და სატვირთოს მძღოლი. ალბათ იღბალი მქონდა, იმ გოგონებს რომ გადავეყარე. მათ შორის დიდი პოპულარობით არ ვსარგებლობდი, მაგრამ მეგობარი გოგონა ყოველთვის მყავდა. ყოველთვის იყო ვინმე, ვისაც ჩემთან ეძინა, ვინც მაჭმევდა, ვინც ფულს მამლევდა სესხად. მაგრამ, იცი რა? იღბალი მუდმივად არ გექნება. თანდათან ამას ვხვდები. ერთ დღესაც ამ სიკეთის საფასურის გადახდა მომიწევს.

სასიყვარულო ამბების მოყოლის დროს ქვას ეხებოდა. გაჩერება აღარ უნდოდა. შუადღეზე სკოლის ზარი დაირეკა, ჰოშინო სამზარეულოში გავიდა, უდონი მოიმზადა, მწვანე ხახვით და თოხლო კვერცხით. ლანჩის მერე ისევ ტრიო «ერცყერცოგი» მოისმინა.

– ქვაო! – პირველი ნაწილის დასრულების შემდეგ გასძახა, – კარგი მუსიკაა, არა? თითქოს გულში გწვდება, არა?

ქვა არაფერს ამბობდა.

არც იცოდა, უსმენდა თუ არა ქვა მუსიკას ან მას, მაგრამ თავისას მაინც არ ეშვებოდა.

– როგორც დილით ვამბობდი, უამრავი ცუდი რამ გამიკეთებია ცხოვრებაში. ძალიან ეგოისტი ვიყავი. ახლა კი ამ ყველაფრის გამოსასწორებლად ძალიან გვიანაა. მაგრამ, როცა მუსიკას ვუსმენ, აი, ბეთჰოვენის მუსიკას, თითქოს მელაპარაკება, თითქოს მეუბნება, არა უშავს, ჰოშინო, ნუ დარდობ, ასეთია ცხოვრება. მეც უამრავი ცუდი რამ ჩამიდენია, ახლა ვერაფერს შეცვლი. ცუდი რამეებიც ხდება. მაგრამ უნდა გაუძლო. ბეთჰოვენი ამდაგვარს არაფერს იტყოდა, არ იყო ეგეთი ტიპი. მაგრამ მისი მუსიკა ძალას მამლევს. და რაღაც ამნაირს მეუბნება. გრძნობ?

ქვა არაფერს ამბობდა.

– რა მნიშვნელობა აქვს, ეგ მხოლოდ ჩემი აზრია, მოვკეტავ და მოვუსმინოთ.

ორ საათზე გარეთ გაიხედა, მსუქანი შავი კატა ჩამომჯდარიყო ვერანდაზე, ბინაში იყურებოდა. ჰოშინომ ფანჯარა გააღო და გასძახა:

– ფისუნია, კარგი დღეა, არა?

– დიახ, ბატონო ჰოშინო, კარგი დღეა. – უპასუხა კატამ.

– ღმერთო! – ჰოშინომ თავი გააქნია.

ბიჭი, სახელად ყვავი

ბიჭი, სახელად ყვავი, ტყის თავზე კამარებს კრავდა. ერთ წრეს რომ მოხაზავდა, მეორე ადგილისკენ გაფრინდებოდა და იქაც ასეთსავე წრეს შემოავლებდა იქაურობას. ეს უხილავი წრეები ჰაერში მხოლოდ იმიტომ იხაზებოდა ერთმანეთის მიყოლებით, რომ მაშინვე გაუჩინარებულიყო. ტყეს ზვერავედა სამხედრო თვითმფრინავით, ვიღაცის ადგილსამყოფელის დადგენას ცდილობდა. გადახლართული ტოტების საფარი ოკეანესავით იტალღებოდა. ცა ნაცრისფერ ღრუბლებს დაეფარა, არც ქარი ქროდა, არც მზე მოჩანდა. ახლა ბიჭი, სახელად ყვავი, ამქვეყნად ყველაზე მარტოსული ფრინველი იყო, მაგრამ ამაზე დასაფიქრებლად დრო არ ჰქონდა.

ბოლოს, ხეების ზღვაში მოშიშვლებული ადგილი შენიშნა და იქ დაეშვა. ბალახით დაფარულ მიწის ამ მონაკვეთს სინათლე ეცემოდა. კუთხეში დიდი მრგვალი ქვა იდო და ზედ წითელ კოსტიუმში გამოწყობილი შავი აბრეშუმის ცილინდრიანი კაცი იჯდა. სქელპირიანი სამოგზაურო ჩექმები ეცვა და იქვე, გვერდით ხაკისფერი ჩანთა ედო მიწაზე. უცნაურად ეცვა, მაგრამ ბიჭს, სახელად ყვავს, ამისთვის დიდი მნიშვნელობა არ მიუნიჭებია. სწორედ ეს კაცი სჭირდებოდა ყვავს, იმის გარეგნობას არ დაეძებდა.

კაცმა ფრთების ფრთხილის ხმა გაიგონა, ზემოთ აიხედა და ტოტზე ჩამომჯდარი ყვავი შენიშნა.

– გამარჯობა! – მხიარულად მიმართა.

ყვავს პასუხი არ გაუცია. ტოტზე ჩამომჯდარი ისვენებდა და კაცს არაფრისმთქმელი გამომეტყველებით ისე უყურებდა, თვალსაც არ ახამხამებდა. დროდადრო თავს ცალ მხარეს ხრიდა.

– ვიცი, ვინცა ხარ, – უთხრა კაცმა. ქუდი მოუხადა, – გული მიგრძნობდა, რომ აქ მოხვიდოდი.

შუბლშეკრულმა ჩაახველა, მიწაზე დააფურთხა და მერე ნაფურთხს ფეხი გაუსვა.

– დასასვენებლად ჩამოვჯექი და მოვიწყინე, ხმის გამცემი არავინაა. გვერდით არ ჩამომიჯდები? არ გინდა ვისაუბროთ? ერთმანეთს აქამდე არასოდეს შევხვედრივართ, თუმცა ეს ხომ არ ნიშნავს, რომ სრულიად უცხოები ვართ?

ბიჭი, სახელად ყვავი, არაფერს ამბობდა და არც ტოტიდან აპირებდა აფრენას.

ცილინდრიანმა კაცმა თავი გააქნია.

– აჰ, გასაგებია, ლაპარაკი არ შეგძლება. ეგ არაფერი, მე დაგელაპარაკები, თუ წინააღმდეგი არა ხარ. ვიცი, რასაც აპირებ. მერე რა, რომ სიტყვაც არ გითქვამს. არ გინდა, რომ გზა განვაგრძო, არა? ეს ისე ნათელია, რომ შემძლია ვიწინასწარმეტყველო, რაც მოხდება. შენ არ გინდა, გზა განვაგრძო, მე კი ეს მსურს. რადგან ეს ის შანსია, რომელიც ცხოვრებაში ერთხელ გეძლევა.

ჩექმაზე ხელი მიირტყა.

– ვერ შემაჩერებ. არა ხარ ამ საქმეში გამოცდილი. როგორ ფიქრობ, ჩემს ფლეიტაზე რომ დავუკრა, რა მოხდება? მოახლოებას ვეღარ შეძლებ. ჩემი ფლეიტის ძალა ეგ არის. შეძლება არ იცი, რომ ჩანთაში განსაკუთრებული ფლეიტა მაქვს.

კაცმა ფრთხილად მოუთათუნა ხელი ჩანთას, მერე ისევ ტოტზე შემოსკუპებულ ყვავს ახედა.

– ეს ფლეიტა კატების სულელებისგან დავამზადე. ჯერ კიდევ ცოცხლებს კატებს ამოვადრე სულელები. ის დახოცილი კატები მეცოდებოდა, მაგრამ სხვაგვარად არ შემიძლო. ეს ფლეიტა სამყაროს ჩვეული ცნებების მიღმა დგას, სიკეთისა და ბოროტების, სიყვარულისა და სიძულვილის მიღმა. ამ ფლეიტების დამზადება დიდი ხნის წინ დავიწყე, ჩემი როლის შესრულებას მუდამ ვცდილობდი და მიზნისკენ ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწევდი. სასირცხვილო არაფერია. ცოლი შევირთე, შვილები გავაჩინე და საკმარისზე მეტი ფლეიტა დავამზადე. მეტს აღარ დავამზადებ. ჩვენ შორის დარჩეს, ამ ფლეიტებისგან სხვა უფრო მძლავრი ფლეიტის დამზადებას ვაპირებ. ახლა იმ ადგილისკენ მივემართები, სადაც იმ მძლავრი ფლეიტის დამზადებას შევძლებ. მე არ ვწყვეტ, ეს ფლეიტა სიკეთის სამსახურში ჩადგება თუ ბოროტების, არც შენ წყვეტ. ეს დროსა და ადგილზე იქნება დამოკიდებული. ამის გამო მე ცრურწმენებისგან სრულიად თავისუფალი ვარ, სრულიად ობიექტური. და რადგან ასეთი ვარ, შემიძლია, ყველაფერი ერთიან სისტემად ვაქციო.

ცილინდრი მოიხადა, თმაზე ხელი გადაისვა, ისევ დაიხურა და ქუდის ფარფლები გაისწორა.

– ამ ფლეიტაზე თუ დავუკრავ, თავიდან მოგიშორებ. მაგრამ ახლა არ მსურს დაკვრა. დიდ ენერგიას მაცლის, ახლა კი არ მინდა, ძალა გამომეცალოს. მოგვიანებით მთელი ენერგიის გამოყენება დამჭირდება. შენ კი, ცხადია, მაინც ვერ შემაჩერებ.

კაცმა ისევ ჩაახველა და მუცელზე ხელი დაიდო.

– იცი, რა არის ლიმბო? ეს არის ადგილი სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის.

სევდისმომგვრელი, პირქუში ადგილია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ტყეა ლიმბო. მე საკუთარი ნებით მივიცვალე, მაგრამ სხვა სამყაროში ვერ გადავსულვარ. მე ვარ გარდამავალი სული, რომელსაც ფორმა არ გააჩნია. დროებით ეს ფორმა მივიღე. ამიტომ ზიანს ვერ მომაყენებ. გესმის, არა? სისხლისგანაც რომ დავიცვალო, ეს ნამდვილი სისხლი არ იქნება. საშინლადაც რომ დავიტანჯო, არც ეს იქნება ნამდვილი ტანჯვა. თუმცა ვინმე ამ საქმეში გამოცდილს შეუძლია გამანადგუროს. სამწუხაროდ, შენ ეგეთი ტიპი არა ხარ. შენ მხოლოდ მოუმწიფებელი ილუზია ხარ. და მიუხედავად შენი მცდელობისა, ვერ გამანადგურებ, – ყვავს ახედა, – ამაზე რას იტყვი, მაინც გინდა სცადო?

თითქოს ამ ნიშანს ელოდაო, ყვავმა ფრთები გაშალა, ტოტიდან აფრინდა და პირდაპირ კაცს მიაფრინდა. ბრჭყალები გულმკერდში ჩაასო, თავი უკან გადასწია, მერე მარჯვენა თვალში ისე მწარედ ჩაუნისკარტა, თითქოს წერაქვი ჩასცაო. პრიალა შავ ფრთებს კი გამუდმებით ხმაურით იქნევდა. კაცს თავის დასაცავად თითიც არ გაუნძრევია. არც უყვირია. მხოლოდ გაიცინა. მიწაზე წაიქცა, თვალი მალე დაეგლიჯა და ბუდიდან ამოუვარდა. ბიჭი, სახელად ყვავი, ახლა მეორე თვალს მისდგა. როცა ორივე თვალი ამოსთხარა, ახლა სახე დაუკორტნა.

მალე სახეც დაეჭრა და გაუსისხლიანდა. კანიდან ხორცი გამოეჩარა. მერე ყვავმა თავზე, იმ ადგილას ჩაუნისკარტა, სადაც ყველაზე მეტად ჰქონდა თმა შეთხელებული. კაცი კი ისევ სიცილს განაგრძობდა. რაც უფრო სასტიკად ეპყრობოდა ყვავი, მით უფრო ხმამაღლა ხარხარებდა კაცი. ყვავისთვის მზერა არ მოუშორებია, ახლა კი ცარიელი თვალბუდეებით შესცქეროდა და მიუხედავად იმისა, რომ იცინოდა, მაინც ახერხებდა, შიგადაშიგ რამდენიმე სიტყვაც ეთქვა.

– ვერ გაიგე, რა ვთქვი? ნუ მაცინებ. როგორც არ უნდა ეცადო, მაინც ვერაფერს დამიშავებ, ეგ არ შეგიძლია. შენ მხოლოდ იაფფასიანი ექო ხარ, სუსტი ილუზია. ვერაფერს გახდები, გესმის თუ არა ჩემი?!

ბიჭი, სახელად ყვავი, ახლა პირში ჩააფრინდა. ფრთებს ღონივრად იქნევდა, შავი ბუმბულები სულის ნაწილებივით სცვიოდა. ყვავმა ენაში ჩაუნისკარტა და მთელი ძალით მოსწია. გრძელი და საშინლად სქელი ენა ჰქონდა. კაცის ყელიდან ამოთხრილ გიგანტურ მოლუსკს ჰგავდა, რომელიც შავზნელ სიტყვებს ქმნიდა. უნოდ, რა თქმა უნდა, ამ კაცსაც არ შეეძლო სიცილი. თითქოს სუნთქვაც არ შეეძლო, მაგრამ წონასწორობას ჯერ კიდევ ინარჩუნებდა და უხმოდ იცინოდა. ბიჭს, სახელად ყვავს, ესმოდა ეს უხმო სიცილი, ისეთივე ცარიელი და ავბედითი, როგორც უდაბნოში მუდმივად მქროლი ქარი. და ეს ხმა იმქვეყნიური ფლექტის ხმას წააგავდა.

47

გათენდა თუ არა, გამომეღვიძა, წყალი ელექტროქურაზე ავადუღე და ჩაი მოვიმზადე. ფანჯარასთან ჩამოვჯექი, გარეთ ვიხედე, იქნებ რამე მოხდეს. სამარისებური სიჩუმეა, ქუჩაში არავინ ჩანს. ჩიტებიც კი არ აპირებენ აჭიკჭიკებას. აღმოსავლეთის მთები მკრთალად ჩანს. ეს ადგილი მაღალი მთებითაა გარშემორტყმული, ამიტომ გვიან თენდება და ადრე ღამდება. სამინებელში გავდივარ, რომ ელექტროსაათს დავხედო, მაგრამ ის არაფერს აჩვენებს. რამდენიმე ღილაკს ვეხები, მაგრამ არაფერი იცვლება. ელემენტები დატენილი უნდა იყოს, მაგრამ რაღაც იდუმალი მიზეზით, ვიდრე მეძინა, საათი გაჩერდა. საათს მარცხენა ხელზე ვიკეთებ. აქ დრო დიდად მნიშვნელოვანი საკითხი არ არის.

ამ ცარიელმა გარემომ, სადაც ჩიტებიც კი არ დაფრინავენ, უეცრად წიგნის წაკითხვის დაუოკებელი სურვილი გამიჩინა, ნებისმიერი წიგნის. ოღონდ წიგნის ფორმა ჰქონდეს და არ დავიწუნებ. მინდა, ხელი მოვკიდო რომელიმე წიგნს, გადავფურცლო და ის სიტყვები შევისრუტო. მაგრამ ვერც ერთ წიგნს ვერ ვხედავ. აქ თითქოს დამწერლობა არც შეუქმნიათ. ოთახს ვათვალიერებ და ვერაფერს ვხედავ, რაზეც წარწერაა გაკეთებული.

სამინებლის კარადას ვაღებ. მინდა, დავათვალიერო, როგორი ტანსაცმელია. ყველაფერი კობტადაა დაკეცილი. ტანსაცმელი ახალი არ არის. გახუნებულია, ქსოვილი კი რეცხვისგან გაცვეთილი. თუმცა ყველაფერი სუფთაა – მრგვალყელიანი მაისურები, საცვლები, წინდები, საყელოიანი ბამბის მაისურები და ბამბის შარვლები. ჩემი ზომაა, თუმცა ჩემი სტილი არ არის. ტანსაცმელი ძალიან უბრალოა და თავისუფალი, აქ თითქოს ტანსაცმლის მოდელების ცნებაც კი არ არსებობს. არც ერთს არა აქვს მარკა და არც არანაირი წარწერა. ჩემს სუნიან მაისურს ვიხდი და უჯრიდან ამოღებულ ნაცრისფერ მაისურს ვიცვამ, რომელსაც მზისა და საპნის სუნი აქვს.

ცოტა ხნის შემდეგ (თუმცა ზუსტად რა დრო გადის, ვერ ვხედავ) გოგონა მოდის. კარზე ჩუმად აკაკუნებს და პასუხს არ უცდის, ისე აღებს კარს, რომელსაც არცა აქვს საკეტი. მხარზე ტილოს ჩანთა ჰკიდია. უკვე კარგად გათენებულა.

პირდაპირ სამზარეულოში გადის და პატარა შავ ტაფაზე კვერცხს წვავს. მსიამოვნებს ცხიმში კვერცხის შიშხინის ხმა. ოთახშიც სასიამოვნო სუნი დგება. ამასობაში პურს ისეთ ტოსტერში ხუხავს, რომელიც მხოლოდ ძველ ფილმებში მინახავს. გუშინაც ასე ეცვა – ცისფერი კაბა, გუშინაც ასე ჰქონდა თმა გაკეთებული. ისეთი ნაზი კანი აქვს, დილის მზეში მისი ფაიფურივით თეთრი მკლავები ელვარებს. ღია ფანჯრიდან პაწაწინა ფუტკარი შემოფრინდა, რომ ეს სამყარო უფრო სრულყოფილად ექცია, ეს კადრი კი უფრო რეალურად. გოგონას საჭმელი მაგიდასთან მოაქვს, სკამზე ჯდება და მიყურებს, როგორ ვჭამ ბოსტნეულის ომლეტს, კარაქიან გახუხულ პურს და როგორ ვსვამ ბალახის ჩაის. თვითონ არც ჭამს, არც სვამს. ყველაფერი გუშინდელ დღეს ჰგავს.

– ადამიანები აქ თავისით არ იმზადებენ საჭმელს? მიკვირს, შენ რომ მიმზადებ...

– ზოგი თვითონ იმზადებს, ზოგს სხვა უმზადებს. ისე კი აქ იშვიათად ჭამენ.

– მართლა?

– ზოგჯერ ჭამენ. როცა მოესურვებათ.

– ჩემსავით ბევრს არავინ ჭამს?

– შეძლებ, მთელი დღე არ ჭამო?

თავი გავაქნიე.

– ზოგი აქ მთელი დღე არ ჭამს. ავიწყდებათ ჭამონ, ზოგჯერ რამდენიმე დღე არ ჭამენ...

– ჯერ ვერ შევეგუე აქაურობას. ამიტომ უნდა ვჭამო.

– მეც ასე მგონია. ამიტომაც გიმზადებ საჭმელს.

პირდაპირ სახეში ვუყურებ.

– რამდენ ხანში შევეჩვევი აქაურობას?

– რამდენ ხანში? – თავს ოდნავ აქნევს, – არ ვიცი. ეს დროის საკმე არ არის. ეგ დრო რომ დადგება, უკვე შეჩვეული იქნები.

ერთმანეთის პირისპირ ვსხედვართ. ხელები მაგიდაზე უწყვია. ჩემ თვალწინ. ნამდვილი ხელები. თვალს ვერ ვაშორებ. ვითვლი, რამდენჯერ ახამხამებს თვალებს, როგორ ერხევა შუბლზე ჩამოყრილი თმა.

– ეგ დრო? რა დრო?

– რაღაც არ უნდა ამოიჭრა და გადააგდო. ჩვენ არ ვაგდებთ – ჩვენ მას შიგნით ვისრუტავთ.

– მეც შევისრუტავ?

– ასეა.

– და მერე? რა მოხდება მერე?

ფიქრის დროს თავს ოდნავ ხრის. თმის ღერები ისევ ერხევა.

– მერე შენ მთლიანად შენ გახდები.

გინდა თქვა, რომ აქამდე მე მხოლოდ მე არ ვიყავი?

– შენ ახლაც მხოლოდ შენ ხარ, – ისევ ჩაფიქრდა, – სხვა რამეს გეუბნები. მაგრამ ვერ გიხსნი.

– ვიდრე არ მოხდება, ვერ მივხვდები, არა?

თავი დამიქნია.

ძალიან მტკივნეულია მისი ყურება. თვალებს ვხუჭავ. მერე ვახელ, ვრწმუნდები, რომ ისევ აქაა.

– აქ თემივითაა?

თითქოს აწონ-დაწონა ჩემი სიტყვები.

– აქ ყველა ერთად ცხოვრობს და გარკვეულ ნივთებს ინაწილებენ, მაგალითად, სახშაპებს, ელექტროსადგურს, მაღაზიას. აქ რაღაც უსიტყვო შეთანხმებაა, მაგრამ რთული არაფერია. არაფერზე დაფიქრება არ არის საჭირო. არც მე უნდა გასწავლო რამე. აქ ადამიანები ნივთებში ინთქმებიან, ყველაზე მნიშვნელოვანი ესაა. თუ ასე მოიქცევი, არაფერი გაგიჭირდება.

– შთანთქმვაში რას გულისხმობ?

– მაგალითად, როცა ტყეში ხარ, მისი ნაწილი ხდები, როცა წვიმაში მოხვდები – წვიმის ნაწილად იქცევი. დილით დილის ნაწილი ხარ. როცა ჩემთან ხარ, ჩემი ნაწილი ხდები.

– როცა ჩემთან ხარ, ჩემი უხილავი ნაწილი ხდები?

– ჰო.

– როგორი განცდაა? სხვისი ნაწილი რომ ხარ და ამავდროულად საკუთარი თავიც?

მიყურებს და ხელით კიკინას ეხება.

– ძალიან ბუნებრივი განცდაა. როცა ეჩვევი, მარტივდება. ფრენასავით.

– ფრენაც შეგიძლია?

– მაგალითად მოგიყვანე, – იღიმება. ამ ღიმილს არანაირი ფარული მნიშვნელობა არა აქვს, ეს ღიმილია და სხვა არაფერი, – ვერ გაიგებ, რა არის ფრენა, თუ არ იფრენ. ესეც ასეა.

– ანუ, ეს იმდენად ბუნებრივი მოვლენაა, რომ მასზე არც კი ფიქრობ?

თავი დამიქნია.

– ბუნებრივია, მშვიდი, ჩუმი. დაფიქრებაც რომ არ გჭირდება. უჩინარია.

– ბევრ კითხვას გისვამ?

– არც ისე. ნეტა უკეთ შემეძლოს აგიხსნა.

– მოგონებები გაქვს?

ისევ გააქნია თავი და მაგიდაზე ჩამოაწყო ხელები. ამჯერად ხელისგულები მაღლა აქვს. არაფრისმთქმელი გამომეტყველებით დაჰყურებს საკუთარ ხელებს.

– არ ვიცი. იმ ადგილას, სადაც დროს არა აქვს მნიშვნელობა, არც მოგონებებია მნიშვნელოვანი. რა თქმა უნდა, მახსოვს, გუშინ აქ რომ მოვედი და კერძი მოგიმზადე. მთლიანად შეჭამე. წინა დღის შესახებ ბუნდოვნად მახსოვს. იქამდე კი საერთოდ არაფერი. დრო ჩემში შთაინთქა, ამიტომ ვეღარ ვხედავ განსხვავებას, სად რა არის.

– მოგონებებიც უმნიშვნელოა აქ?

– ასეა. აქ მოგონებებს მნიშვნელობა არ აქვს. აქ მოგონებებს ბიბლიოთეკა ინახავს.

გოგონას წასვლის შემდეგ ფანჯარასთან ვზივარ და ხელები მზეზე მიწყვია, ფანჯრის ჩარჩოს ჩრდილი მეცემა, დაახლოებით ხუთი თითის სისქისა. ფუტკარი ზუზუნს წყვეტს და ფანჯრის რაფაზე ჯდება. თითქოს რაღაც სერიოზულზე ჩაფიქრებულია. მეც ასე ვარ.

მზე რომ ოდნავ გადაიხარა, ის მოვიდა, ჩუმად დააკაკუნა და კარი გააღო. უცებ ვერ მივხვდი, მას ვუყურებდი თუ პატარა გოგონას. სინათლის დაცემის კუთხე ან ქარის ქროლვის მიმართულება მას სრულიად ცვლის, წამით ის 15 წლის გოგონაა, მერე კი ისევ ქალბატონ საეკიდ იქცევა. არა. ჩემ წინ ნამდვილად ქალბატონი საეკი დგას.

– გამარჯობა, – ასეთი ტონით მესალმებოდა ბიბლიოთეკის დერეფანში შეხვედრის დროსაც. მუქლურჯი პერანგი აცვია, მუხლამდე ქვედაბოლო. წვრილი ვერცხლის ყელსაბამი და პატარა

მარგალიტის საყურეები უკეთია. სწორედ ისე გამოიყურება, როგორც ყოველთვის. მაღალ ქუსლებზე შემდგარი, აივანზე ყრუ კაკუნით მოაბიჯებს. ეს ხმა აქაურობას არ შეეფერება. კარში დგას და მიყურებს, თითქოს ცდილობს დარწმუნდეს, ნამდვილად მე ვარ თუ არა. რა თქმა უნდა, ნამდვილად მე ვარ, ის კი ნამდვილად ქალბატონი საეკია.

– ფინჯან ჩაიზე დაგპატიჟებ.

– სიამოვნებით. – თითქოს, როგორც იქნა, გადაწყვიტაო, შემოდის.

სამზარეულოში გავდივარ და ელექტროქურაზე წყალს ვადუღებ, სუნთქვა მიჭირს.

იმავე სკამზე ჯდება მაგიდასთან, სადაც ცოტა ხნის წინ გოგონა იჯდა.

– თითქოს ისევ ბიბლიოეკაში ვართ, არა?

– მართლაც. მხოლოდ ყავა არა გვაქვს, და არც ოშიმაა...

– და არც ერთი წიგნი არ ჩანს.

ორ ფინჯან ბალახეულის ჩაის ვამზადებ. მაგიდაზე ვდგამ ფინჯნებს. მის წინ ვჯდები. ფანჯრიდან ჩიტების ჟღერტული ისმის. ფანჯრის რაფაზე ფუტკარი ისევ თვლემს.

საუბარს ქალბატონი საეკი იწყებს.

– მინდა იცოდე, რომ ჩემთვის აქ მოსვლა არ იყო ადვილი, მაგრამ უნდა მენახე, უნდა დაგლაპარაკებოდი.

– მიხარია, რომ მოხვედი.

ჩვეულებისამებრ იღიმება.

– მინდა, რაღაც გითხრა, – ეს ღიმილი გოგონას ღიმილს ჰგავს, მაგრამ სხვა სიღრმე აქვს. ამიტომ გული ლამის ამომივარდეს.

ფინჯანი ხელებში უჭირავს. მის პაწაწინა მარგალიტის საყურეებს ვუყურებ. ფიქრობს. იმაზე უფრო დიდხანს ფიქრობს, ვიდრე ჩვეულებრივ.

– მე საკუთარი მოგონებები გავანადგურე. დავწვი. ცეცხლი მოეკიდა და ჰაერში გაიფანტა. ამიტომ დიდხანს აღარ გამყვება მოგონებები. შენთან გატარებული დროც დამავიწყდება. ამიტომ მინდოდა, ვიდრე ისევ მახსოვხარ, მოვსულიყავი და გვესაუბრა.

თავს ვაბრუნებ და ფანჯარაზე ჩამომჯდარ ფუტკარს ვუყურებ. ჭერის პატარა ლაქას ჰგავს.

– აქედან აუცილებლად უნდა წახვიდე. რაც შეიძლება სწრაფად. წადი, ტყე გაიარე და შენს ცხოვრებას დაუბრუნდი. შესასვლელი მალე დაიხურება. დამპირდი, რომ ასე მოიქცევი.

თავი გავიქნიე.

– არ გესმის. არ არსებობს ცხოვრება, რომელსაც უნდა დავუბრუნდე. მე იქ არავის ვუყვარვარ, არავის ვჭირდები, მუდამ ასე იყო. არ ვიცი, ვის შეიძლება დავეყრდნო, საკუთარი თავის გარდა. ჩემთვის იმ ცხოვრებას აზრი არ ჰქონდა.

– მაინც უნდა დაბრუნდე უკან.

– თუ იქ არაფერი დამრჩენია? თუ არავის ვადარდებ?

– მე მინდა ასე. მე მსურს, იქ იყო.

– შენ კი იქ აღარა ხარ, არა?

ხელებს დაჰყურებს, რომლებიც ჭიქისთვის შემოუხვევია.

– არა, იქ არა ვარ. მე იქ აღარა ვარ.

– რომ დავბრუნდები, რა გინდა, რომ იქ ვაკეთო?

– მხოლოდ ერთი რამ, – თავი ასწია და პირდაპირ შემომხედა, – მინდა გახსოვდე. თუ შენ გემახსოვრები, დაე, ყველა სხვამ დამივიწყოს.

სიჩუმე ჩამოვარდა.

ჩემში კითხვა აბობოქრდა. აბობოქრდა და ყელში გამეჩხირა, სუნთქვა აღარ შემიძლია. როგორღაც გადავყლაპე და სხვა კითხვა ავირჩიე.

– მოგონებები ასე მნიშვნელოვანია?

– ზოგჯერ ისინი სხვა ყველაფერზე მნიშვნელოვანია.

– შენ კი ისინი დაწვი.

– მე მათ ვედარაფერში გამოვიყენებდი, – ხელები მაგიდაზე დააწყო, ზუსტად ისე, როგორც გოგონამ, – კაფკა, მინდა, რაღაც გთხოვო. მინდა, ის ნახატი თან წაიღო.

– ბიბლიოთეკაში, ჩემს ოთახში რომ ეკიდა? პლაჟი რომ არის გამოსახული?

თავი დამიქნია.

– დიახ. «კაფკა პლაჟზე». მინდა წაიღო. არა აქვს მნიშვნელობა, სად. თან ატარე.

– განა ის არავის ეკუთვნის?

თავი გააქნია.

– ჩემია. როცა ტოკიოს კოლეჯში მიემგზავრებოდა, მაჩუქა. მას შემდეგ თან მქონდა. სადაც კი მიცხოვრია, ყველგან ჩემი ოთახის კედელზე ვიკიდებდი. როცა მუშაობა დავიწყე კომურას ბიბლიოთეკაში, ისევ იმ ოთახის კედელზე დავკიდე, სადაც თავიდან ეკიდა. ოშმას მაგიდაზე წერილი დავუტოვე და შევატყობინე, რომ მინდა, ნახატი შენ წაიღო. ბოლოს და ბოლოს, ეგ ნახატი ხომ შენ გეკუთვნის?

– მე?

თავი დამიქნია.

– იქ იყავი, მე გვერდით გყავდი და გიყურებდი. პლაჟზე, ძალიან დიდი ხნის წინ. ქარი ქროდა, ცაზე თეთრი ღრუბლები მიცურავდა და ყოველთვის ზაფხული იდგა.

თვალეებს ვხუჭავ. ვხედავ – პლაჟზე ვარ, ზაფხულია. შეზღონგზე ვწევარ. სხეულით ვგრძნობ ტილოს სიუხემეს. ზღვის სურნელს ვგრძნობ. თვალდახუჭულიც კი თავარა მზეს ვხედავ. მესმის, როგორ ეცემა ნაპირს ტალღები. ეს ხმა ხან მიახლოვდება, ხან კი გამირბის. იქვე ვიღაც მხატავს. მის გვერდით პატარა გოგონა ზის, მოკლესახელოებიანი ცისფერი კაბა აცვია და შემომყურებს, სწორი თმა აქვს, თეთრლენტშემოვლებული ჩალის ქუდი ახურავს და ქვიშას თხრის. გრძელი თითები აქვს პიანისტივით. მზის სინათლეზე მისი ფაიფურივით თეთრი მკლავები ანათებს. ტუჩებზე ღიმილი დასთამაშებს. მასზე ვარ შეყვარებული.

ესაა ჩემი მოგონება.

– მინდა, ეგ ნახატი მუდამ თან გქონდეს.

დგება, ფანჯარასთან მიდის და გარეთ იხედება. ცაზე მზე ჩანს. ფუტკარს ისევ სძინავს. თვალეებს ხელით იჩრდილავს და შორს იყურება, – უნდა წახვიდე.

მასთან მივდივარ. მისი ყური ყელზე მეხება. საყურე კანზე მებჯინება. ხელისგულებს ზურგზე ვადებ, თითქოს რაღაცის გაშიფვრას ვცდილობდე. მისი თმა ლოყაზე მეხება. მეხვევა. თითებით ზურგზე მეჭიდება. თითები დროის კედელზე დაცურავენ. ზღვის სურნელი, ტალღების ხმა. პლაჟი. შორიდან ვიღაც იმახის.

– დედაჩემი ხარ? – ბოლოს და ბოლოს ვეკითხები.

– ამ კითხვაზე პასუხი უკვე გაქვს.

მართალია, მაქვს ამ კითხვაზე პასუხი, მაგრამ სიტყვებით გადმოცემა არც ერთს არ შეგვიძლია. სიტყვები ყველაფერს მნიშვნელობას დაუკარგავს.

– ძალიან დიდი ხნის წინ ერთი ვინმე მივატოვე, ვინც ამას არ იმსახურებდა. ვინც ყველაზე მეტად მიყვარდა ამქვეყნად. მეშინოდა, რომ მას დაგვარგავდი. ამიტომ იძულებული გავხდი, თვითონ წავსულიყავი. ჯობდა, თვითონ მოვშორებოდი, ვიდრე ვინმეს წაეყვანა ჩემგან, ან შემთხვევით დამკარგვოდა. ამის გამო ძალიან ვბრაზობდი საკუთარ თავზე და დღემდე ვბრაზობ. ძალიან დიდი შეცდომა დავუშვი. მე ის არასდროს არ უნდა მიმეტოვებინა.

ჩუმად ვუსმენ.

– ისეთმა ადამიანმა მივატოვა, ვისაც ეს არ უნდა გაეკეთებინა. კაფკა, მაპატიებ?

– შემიძლია კი?

მხარზე დამყურებს და რამდენჯერმე თავს აქნევს.

– თუ, რა თქმა უნდა, შიში და ბრაზი ამის საშუალებას მოგცემს.

– ამის უფლება თუ მაქვს, გაპატიებ.

«დედა, გაპატიებ», – ამბობ შენ. და ეს სიტყვები შენს გაყინულ გულს ადნობს.

ჩუმი მშორდება. თმიდან სარკის იძრობს და მარცხენა მხრის არეში მაგრად ირჭობს. მარჯვენა ხელით ქვემოთ, ვენისკენ აწვება, სისხლი მოსდის. პირველი წვეთი იატაკზე ეცემა. უსიტყვოდ მიწვდის ხელს. კიდევ ერთი წვეთი სისხლი ეცემა იატაკზე.

ვიხრები და პატარა ჭრილობაზე ენით სისხლს ვწმენდ, თვალდახუჭული, სისხლს ვწოვ. სისხლს პირში ვიჩერებ და ვყლაპავ. ამ სისხლს ჩემი გული იწოვს. ჩემი გონება სადღაც სხვაგან დაფრინავს, ჩემი სხეული კი ცოცხალი სულივით ისევ იქ დგას. მინდა, მისი სისხლის ყოველი წვეთი შევისრუტო, მაგრამ არ შემიძლია. ვშორდები და თვალეში ვუყურებ.

– მშვიდობით, კაფკა თამურა, დაბრუნდი იქ, საიდანაც მოხვედი და იცხოვრე.

– ქალბატონო საეკი.

– გისმენ.

– არ ვიცი, რას ნიშნავს, იყო ცოცხალი.

მიყურებს. ტუჩებზე მეხება.

– უყურე ნახატს, – ჩუმი ამბობს, – ისე უყურე ნახატს, როგორც მე შევყურებდი.

და მიდის.

კარს ალებს ისე, რომ უკან არც იხედება. გადის ქოხიდან და ზურგს უკან კარს იხურავს. ფანჯარასთან ვდგავარ და ვუყურებ, როგორ მიდის. შენობის ჩრდილში უჩინარდება. რაფაზე ხელებდაწყობილი, დიდხანს ვუყურებ იმ ადგილს, სადაც გაუჩინარდა. იქნებ რაღაცის თქმა დაავიწყდა და უკან მობრუნდეს. მაგრამ არ ბრუნდება. სიცარიელე დატოვა. ხვრელი სივრცეში. მთვლემარე ფუტკარი ფხიზლდება და ჩემ გარშემო ზუზუნებს. ბოლოს, როცა მახსენდება, როგორც უნდა მოვიქცე, ფანჯრიდან გარეთ მიფრინავს. მზე ანათებს. მაგიდასთან მივდივარ და ვჯდები. ფინჯანში ჩაია დარჩენილი. არ შევვებები, აქ დავტოვებ. ეს ჭიქა მეტაფორაა. იმ მოგონებების მეტაფორა, რომლებიც მალე დავიწყებას მიეცემა.

მაისურს ვიხდი და ჩემს აყროლებულ მაისურს ვიცვამ. მარცხენა ხელზე გაჩერებულ საათს ვიკეთებ. ოშიმას მოცემულ ქუდს უკუღმა ვიხურავ და ცისფერ სათვალესაც ვიკეთებ. ზემოდან გრძელსახელოებიან მაისურს ვიცვამ. სამზარეულოში გავდივარ, ონკანის წყალს ვსვამ, ჭიქას ნიჟარაში ვდგამ და უკანასკნელ მზერას ვავლებ ოთახს. მაგიდას. სკამებს. სკამს, რომელზეც ქალბატონი საეკი და გოგონა ისხდნენ. ფინჯანს მაგიდაზე. თვალეში ვხუჭავ.

ღრმად ამოვისუნთქე.

პასუხი უკვე ვიცი.

კარს ვალებ, გარეთ გავდივარ და კარს ვხურავ. აივნის კიბეებზე ჩავდივარ, მიწაზე მკაფიოდ ჩანს ჩემი ჩრდილი. თითქოს ფეხებზე მაქვს მოწებებული. მზე ისევ დანათის სამყაროს. ტყის

პირას ორი ჯარისკაცი ისე გადახრილა ხის ტანისკენ, ჩანს მელოდებიან. არაფერს მეკითხებიან. თითქოს ისედაც იციან, რაზეც ვფიქრობ. შაშხანები მხრებზე ჰკიდიათ.

მაღალი ჯარისკაცი ბალახის ღერს ღეჭავს.

– შესასვლელი ისევ ღიაა, ყოველ შემთხვევაში, წუთის წინ რომ შევამოწმე, ღია იყო.

– შეძლებ იმავე სიჩქარით სიარულს? – მეკითხება დაკუნთული.

– შევძლებ.

– თუ მივალთ და შესასვლელი დახურული აღმოჩნდება, შარში აღმოვჩნდებით. – ამბობს მაღალი.

– აქ გამოიკეტები.

– ვიცი.

– გული არ გწყდება, რომ მიდიხარ? – მაღალი მეკითხება.

– არა.

– მაშინ გზას გავუდგეთ.

– ჯობია, უკან არ მიიხედო. – მაფრთხილებს დაკუნთული.

– ჰო, კარგი აზრია. – ეთანხმება მაღალი.

ისევ ტყეში შევდივარ.

აღმართზე ასვლის დროს უკან მივიხედე. ჯარისკაცებმა გამაფრთხილეს, ასე არ მოიქცეო, მაგრამ ვერ შევძელი. ეს ბოლო წერტილი იყო, საიდანაც ქალაქი მოჩანდა. ამის იქით მაღალი ტყეების კედელი მოეფარებოდა და ეს სამყარო სამუდამოდ გაქრებოდა ჩემი თვალსაწიერიდან.

ქუჩაში კაცი არ ჰაჭანებს. წყარო მირაკრავებს, პატარა შენობები ქუჩის ორივე მხარესაა ჩამწკრივებული, მიწაზე ელექტროსადენების ჩრდილებია. ერთი წამით იმ ადგილას ვიყინები. უკან უნდა დავბრუნდე. შემოდია, საღამომდე მაინც დავრჩე, მხარზე ტილოს ჩანთაგადაკიდებული გოგონა მოვა. თუ დაგჭირდება, მოვალო. რაღაც ქალაქისკენ მეწევა. ფეხები წინ აღარ მიდიან. თუ წავალ, ვეღარასდროს ვნახავ. ვშემდეგი. დროის შეგრძნებას ვკარგავ. მინდა, ჯარისკაცებს დავუძახო, აღარ მოვდივარ, ვრჩები-მეთქი. მაგრამ ხორხიდან არაფერი ამომდის. ჩემი სიტყვები დაიხოცნენ.

ვეღარ ვხვდები, რა არის სწორი და რა – არასწორი. აღარც ვიცი, რა მინდა. ქვიშიანი ქარიშხლის შუაგულში ვდგავარ. არ ვინძრევი, თითების წვერებს ვეღარ ვხედავ. ძვალისგან თეთრ ქვიშაში ვიკარგები. მაგრამ მისი ხმა მესმის. ქალბატონი საეკი მელაპარაკება.

– უკან უნდა დაბრუნდე. ასე მსურს. მინდა, იქ იყო.

მაფი წყდება. სისხლი მითბება. მერე უკვე ჯარისკაცებს მივდექ უკან. კუთხეში ვუხვევ და მთებს შორის ის პატარა სამყარო უჩინარდება. ახლა ყურადღება მხოლოდ იმაზე მაქვს გამახვილებული, რომ არ დავიკარგო. ბილიკს არ ავცდე. ახლა ესაა მნიშვნელოვანი, ახლა ასე უნდა მოვიქცე.

შესასვლელი ისევ ღიაა. სადამომდე ისევ დროა. მაღლობას ვუხდი იმ ორ ჯარისკაცს. ისინი შაშხანებს ისევ ძირს აწყობენ და როგორც ადრე, იმ ბრტყელ ქვაზე სხდებიან. მაღალი ისევ ბალახს ღეროს ღეჭავს. ამხელა გზის შემდეგ ისევ არც ერთი არ ქოშინებს.

– არ დაივიწყო, ხიშტის შესახებ რაც გითხარი, – მეუბნება მაღალი, – როცა მტერს ხიშტს ჩასცემ, ის უნდა გადაატრილო, რომ ნაწლავები მუცლიდან გადმოეყაროს. თუ არა და, თვითონ გააკეთებს იმავეს. ასეთია ცხოვრება.

– თუმცა მარტო ეგ არ არის. – ამბობს დაკუნთული.

– არა, რა თქმა უნდა, არა, – ჩაახველა მაღალმა, – მე მხოლოდ ბნელ მხარეებზე ვამბობ.

– გარდა ამისა, სწორის არასწორისგან გარჩევაც რთულია. – ამბობს დაკუნთული.

– თუმცა სხვაგვარად არ შეიძლება.

– უმეტესად, ჰო.

– კიდევ ერთი, – ამბობს მაღალი, – აქედან რომ წახვალ, ვიდრე დანიშნულების ადგილს არ მიაღწევ, უკან არც ერთხელ არ მოიხედო, არც ერთხელ, გესმის?

– ეს ძალიან მნიშვნელოვანია, – ამბობს დაკუნთული.

– როგორღაც იქ გადარჩი, ამჯერად კი საქმე უფრო სერიოზულადაა. ვიდრე იქ არ დაბრუნდები, საიდანაც მოხვედი, აქეთ ნუ მოიხედავ.

– არც ერთხელ.

– მესმის.

კიდევ ერთხელ ვუხდი მაღლობას და ვემშვიდობები.

ორივე სამხედრო სალამს მაძლევს. მათ ვედარასოდეს ვნახავ. ზუსტად ვიცი. იმათაც იციან. ამიტომ ერთმანეთს ვეთხოვებით.

ვერ ვიხსენებ, ომისას ქოხში როგორ დავბრუნდი. ტყეში რომ მოვდიოდი, როგორც ჩანს, ჩემი გონება სხვაგან დაფრინავდა. საოცარია, რომ არ დავიკარგე. ბუნდოვნად მახსოვს, როგორ ვიპოვე და ავიღე ზურგჩანთა, კომპასი, ცულიც და საღებავიც ვიპოვე. მახსოვს, გზადაგზა ხეებზე დატოვებულ ყვითელ ნიშნებს ვხედავდი.

ქოხის წინ, მდელიოზე ვდგავარ და ცას ავყურებ. სამყარო უეცრად საოცარი ხმებით აივსო – ჩიტების ჟღურტულით, წყლის რაკრაკით, ფოთლების შრიალით. თითქოს ყურებიდან საცობები ამომადრეს. და ახლა ყველაფერი ასე ცოცხალია, ასე თბილი, ასე ახლობელი.

ყველაფერი ერთმანეთს ერწყმის. თუმცა ხმების ერთმანეთისგან განცალკევება მიჭირს. საათს დავყურებ. ამუშავდა. მწვანე ეკრანზე ციფრები ციმციმებს, წუთები წუთებს მისდევს.

4:16-ია.

ქოხში შევდივარ და გაუხდელად ვწვები საწოლზე. გადაღლილი ვარ. ზურგზე ვწევარ თვალდახუჭული. ფანჯარაზე ფუტკარი ზის. გოგონას ხელები მზის სინათლეზე ფაიფურივით ანათებს.

– უყურე ნახატს, – ამბობს ქალბატონი საეკი, – როგორც მე ვუყურებდი.

გოგონას თხელი თითებიდან თეთრი ქვიშა ცვივა. ნაპირს ტალღები ეხეთქებიან. ზვირთდებიან, ეცემიან და უკან იხევენ. ზვირთდებიან, ეცემიან და უკან იხევენ. ჩემი გონება კი დაბურულ ბნელ დერეფანში დახეტიალებს.

48

– ღმერთო! – გაიმეორა ჰომინომ.

– ნუ ღელავთ, ბატონო ჰომინო, – კატა დაღლილი ჩანდა. დიდი სახე ჰქონდა და ბებერი იყო, – მივხვდი, მოიწყინეთ. მთელი დღეა, ქვას ელაპარაკებით.

– ადამიანების ენაზე ლაპარაკი შეგიძლიათ?

– არა.

– არ მესმის. აბა, როგორ მელაპარაკები?

– ჩვენ სამყაროს მიჯნაზე ვართ, ამიტომ საერთო ენაზე ვსაუბრობთ. ესაა და ეს.

ჰომინო დაფიქრდა.

– სამყაროს მიჯნაზეო? რა საერთო ენაზე?

– არა უშავს, თუ არაფერი გესმით. შემიძლია აგიხსნათ, მაგრამ გრძელი ამბავია, – თქვა კატამ და რამდენჯერმე კული შეათამაშა.

– მოიცა, პოლკოვნიკი სანდერსი ხარ, არა?

– პოლკოვნიკი – ვინ? არ ვიცი, რაზე ლაპარაკობთ, მე მე ვარ, უბრალოდ, მეზობლად მცხოვრები კატა.

– სახელი გაქვს?

– რა თქმა უნდა.

– რა გქვია?

– ტორო. – ყოყმანით უპასუხა კატამ.

– ტორო? თინუსის ნაწილივით?

– დიახ. ჩემი პატრონი სუშის ამზადებს. ძალიან ჰყავს, რომელსაც თეკა ჰქვია. თინუსის ხვეულა.

– ჩემი სახელი იცი?

– თქვენ საკმაოდ ცნობილი ბრძანდებით, ბატონო ჰომინო. – უპასუხა ტორომ ღიმილით.

ჰომინოს მომღიმარი კატა აქამდე არ ენახა. ღიმილი სწრაფად გაუქრა სახიდან და ჩვეულებრივი კატური გამომეტყველება დაიბრუნა.

– კატებმა ყველაფერი იციან. ვიცი, ბატონი ნაკატა გუშინ მოკვდა, და რომ იქ ძვირფასი ქვაა. დიდი ხნისა ვარ და ყველაფერი ვიცი, რაც გარშემო ხდება.

– ჰმმ... – ჰომინო გაოცებული იყო, – ტორო, რატომ შიგნით არ შემოხვალ?

გალავანზე წამოწოლილმა კატამ თავი გააქნია.

– არა, ასე მირჩევნია, შიგნით ვერ მოვისვინებ. გარდა ამისა, მშვენიერი დღეა, არ ჯობია, აქვე ვისაუბროთ?

– ეგრე იყოს. გშია? მექნება რამე.

კატამ თავი გააქნია.

– გმადლობთ, უკვე დავნაყრდი. სიმართლე გითხრათ, წონის პრობლემა მაქვს, თუ შენს პატრონს სუში-ბარი აქვს, მერწმუნეთ, ქოლესტერინი შეგაწუხებს. არ არის ადვილი აქეთ-იქით ხტუნვა, როცა ზედმეტს იწონი.

– აქ რატომ მოხვედი, მეტყვი, ტორო?

– გეტყვით. მე მგონი, ამ ქვასთან დამოუკიდებლად გამკლავება გიჭირთ.

– მართალი ხარ. ვერაფერი გავაწყვე ამ ქვასთან.

– ვიფიქრე, დავეხმარები-მეთქი.

– მშვენიერი იქნებოდა!

– ქვა პრობლემაა, – ტორომ ბუზის მოსაშორებლად თავი გააქნია, – როცა ქვას თავის ადგილას დააბრუნებთ, ამოცანა შესრულებული იქნება. მერე შეგიძლიათ ქუდი დაიხუროთ და წახვიდეთ იქით, საითაც მოგესურვებათ. მართალი ვარ?

– ჰო, ასეა. მხოლოდ ქვის დახურვაა საჭირო. როგორც ბატონი ნაკატა ამბობდა, როცა რაღაცას გააღებ, ის უნდა დახურო კიდევ. ასეთია წესი.

– ამიტომაც ვიფიქრე, ვაჩვენებ, რაც უნდა ქნას-მეთქი.

– იცი, რაც უნდა ვქნა? – გაუხარდა ჰოშინოს.

– რა თქმა უნდა. არ გითხარით, კატებმა ყველაფერი იციან-მეთქი? ძაღლებივით კი არ ვართ.

– რა უნდა ვქნა?

– უნდა მოკლათ.

– მოვკლა?

– დიახ. უნდა მოკლათ.

– რა უნდა მოვკლა?

– როცა დაინახავთ, მიხვდებით. ვიდრე არ დაინახავთ, ვერაფერს მიხვდებით. ფორმა არც კი აქვს. ამით დავიწყეთ. სახეს იცვლის სიტუაციის მიხედვით.

– ადამიანზე ვსაუბრობთ?

– არა. ადამიანი ნამდვილად არ არის.

– როგორ გამოიყურება?

– განა ახლა არ ავიხსენით? როცა დაინახავთ, მიხვდებით-მეთქი, იქამდე კი ვერა. რა არ გესმით?

ჰოშინომ ამოიოხრა.

– რას წარმოადგენს ეგ არსება სინამდვილეში?

– ამის ცოდნა არ გჭირდებათ. მიჭირს ახსნა. თქვენთვისვე აჯობებს, თუ არ გეცოდინებათ. მან საკუთარი თავი ამოწურა. სიბნელეში ჩუმად სუნთქავს, აკვირდება და ელოდება. მაგრამ მუდმივად ლოდინს არ აპირებს. ადრე თუ გვიან სვლას გააკეთებს. როგორც ვხვდები, დღეს აპირებს ამოდრავდეს. და, სავარაუდოდ, წინ ჩავივლით. ხელსაყრელი მომენტი მოგეცემათ.

– ხელსაყრელი მომენტი?

– მილიონიდან ერთი შანსი. ისღა დაგრჩენიათ, დაელოდოთ და მოკლათ. ამით ყველაფერს ბოლო მოეღება, თქვენ კი გათავისუფლდებით.

– ეს კანონდარღვევა არ იქნება?

– კანონის შესახებ არაფერი ვიცი. მე მხოლოდ კატა ვარ, მაგრამ რადგან ის ადამიანი არ არის, არა მგონია, კანონს ეგ ედარდებოდეს. აუცილებლად უნდა მოკვდეს, ამას მე, ჩვეულებრივი კატაც კი ვხვდები.

– კარგი, ვთქვათ, გადავწყვიტე, მოვკლა. ეს როგორ უნდა გავაკეთო? მე ხომ ისიც არ ვიცი, რამოდენაა ან როგორ გამოიყურება. რთულია მკვლელობის დაგეგმვა, როცა არაფერი იცი მსხვერპლზე.

– ეგ თქვენზეა დამოკიდებული. თუ გინდათ, ჩაქუჩით დაჩეჩკეთ. ან დანით დაჭერით. ან დაახრჩვეთ. ან დაწვით. ან სასიკვდილოდ დაკბინეთ. როგორც მოგიხერხდებათ, მთავარია მოკლათ. გაანადგურეთ. ხომ თავდაცვაში მუშაობდით? გადასახადების გადამხდელთა ფულს ჭამდით, რომ სროლა გესწავლათ, არა? და ხიშტის ალესვა. ჯარისკაცი ხართ, თავი გაანძრით და მიხვდებით, როგორ უნდა მოკლათ.

– თავდაცვის აკადემიაში ისეთი რამ ვისწავლეთ, რაც ომში გამოდგება, – გააპროტესტა ჰომინომ, – მათ არ უსწავლებიათ, როგორ მოვკლა, ვთქვათ, ჩაქუჩით, რაღაც არსება, რომლის არც ზომა ვიცი და არც ფორმა.

– ის ეცდება, შესასვლელში შეძვრეს, – ტორომ ისე განაგრძო, ყური არც დაუგდო ჰომინოს, – მაგრამ ამის საშუალება არავითარ შემთხვევაში არ უნდა მისცეთ. შესასვლელში არ უნდა შევიდეს, გესმით? ხელიდან თუ დაგიძვრებათ, ყველაფერი დასრულდება.

– მილიონიდან ერთი შანსი მაქვს, არა?

– დიახ. თუმცა ეს მხოლოდ გამოთქმაა.

– ეს საკმაოდ საშიშია, არა? – შეშინდა ჰომინო, – შეიძლება თავზე მაგიდა გადამამტვრიოს.

– შესაძლოა, ასე საშიშიც არ იყოს ამოდრავებული. თუმცა მოძრაობას თუ შეწყვეტს, ფრთხილად იყავით, ამ დროს საშიშია. მოძრავს ნუ მისცემთ გაქცევის შანსს. ამ დროს უნდა მოულოთ ბოლო.

– შესაძლებელია?

ამაზე შავმა კატამ არ უპასუხა. თვალები მოჭუტა, მოაჯირზე გაიზმორა და ფეხზე წამოდგა.

– ისევ შევხვდებით, ბატონო ჰომინო. დაიმახსოვრეთ, უნდა მოკლათ. თუ ასე არ მოიქცევით, ბატონი ნაკატა საფლავში ვერ მოისვენებს. მოგწონდათ მოხუცი, არა?

– დიახ, კარგი კაცი იყო.

– ჰოდა, უნდა მოკლათ, უნდა გაანადგუროთ. ბატონ ნაკატას ეს მოუნდებოდა. მისთვის გააკეთეთ. ახლა მის როლს თქვენ ასრულებთ. პასუხისმგებლობის აღება არასოდეს არ გიყვარდათ, არა? დროა, ეს გამოასწოროთ. ყველაფერს ნუ გააფუჭებთ. გგულშემატკივრობთ.

– როგორ გამამხნევე. იცი, თავში რაღაც აზრი მომივიდა.

– რა?

– იქნებ შესასვლელი იმიტომ არის ჯერ კიდევ ღია, რომ ეგ არსება შევიდეს?

– შეიძლება... კიდევ რაღაც მინდა გითხრათ. ის მხოლოდ გვიან ღამით მოძრაობს. ამიტომ დღისით დაიძინეთ, რომ ღამით არ ჩაგეძინოთ და ხელიდან არ დაგისხლტეთ. ეგ კატასტროფის ტოლფასი იქნება.

კატა მეზობლის სახლის სახურავზე გადაძვრა, კუდი გაისწორა და წავიდა. ძალიან მსუქანი იყო, მაგრამ ადვილად მოძრაობდა. ჰომინომ ვერანდიდან დაინახა, როგორ გაუჩინარდა კატა. ტოროს ერთხელაც არ მოუხედავს უკან.

– ღმერთო ჩემო! – შესძახა ჰომინომ და სამზარეულოში შევიდა, რომ სავარაუდო იარაღი შეერჩია.

ძალიან ბასრი სამზარეულოს დანა იპოვა, კიდევ ერთი დანაც ნახა, რომელიც ფორმით ნაჯახს ჰგავდა. სამზარეულოში ქვაბები და ტაფები ცოტა იყო, სამაგიეროდ, დანები – ოხრად. იარაღად კიდევ დიდი ჩაქუჩი შეარჩია, თოკი და ყინულის სამტვრევი წერაქვი. აი, თოფი ახლა გამომადგებოდაო, გაიფიქრა, სამზარეულოში რომ აწყდებოდა აქეთ-იქით. თავდაცვაში რომ მსახურობდა, იქ ასწავლეს სროლა, კარგად ისროდა. არა, კარადაში ვერ გადააწყდებოდა თოფს. ასეთ უბანში რომ გაესროლა, ყურადღებას მიიქცევდა.

მისაღები ოთახის მაგიდაზე დააწყო ყველა იარაღი: ორი დანა, ყინულის სამტვრევი წერაქვი, ჩაქუჩი და თოკი. გვერდით ფანარი მიუდო, მერე ქვას მიუჯდა და ლაპარაკი დაუწყო.

– ღმერთო ჩემო! ჩაქუჩი და დანები მოვამზადე რაღაცასთან შესაბრძოლებლად და რა უნდა დავამარცხო, ისიც კი არ ვიცი. და ვინ ამამხედრა იცი? მეზობლის კატამ! რა სისულელეა!

ქვას, რა თქმა უნდა, არაფერი უთქვამს.

– ტორომ თქვა, შეიძლება არ იყოს სახიფათოო. რომ იყოს? იურული პარკიდან რომ გამოძვრეს რამე? მერე რაღა ვქნა? ადგილზე გამათავებს.

ქვას ისევ არაფერი უპასუხია.

ჰომინომ ჩაქუჩი აიღო და რამდენჯერმე იქვე დაჰკრა.

– ბედა რა. ბატონ ნაკატასაც ბედმა შემახვედრა დასასვენებელ ზონაში. მარტო მე არ ვიცოდი, რა ხდებოდა. ბედი უცნაური რამაა. შენ რას იტყვი?

ქვა ქვასავით დუმდა.

– მე თვითონ არ ავირჩიე ეს გზა? ახლა ბოლომდე უნდა მივყვე. ნეტა კიდევ რა მოხდება? ყველაფერი უნდა მოვაგვარო. ყველანაირად უნდა ვეცადო. ცხოვრება მოკლეა, მე კი დიდხანს ვატარებდი დროს კარგად. ტორომ მითხრა, ეს მილიონიდან ერთი შანსიაო. მოხუცი ნაკატასთვის მაინც უნდა გავაკეთო.

ქვა ისევ დუმდა.

ჰომინო ისე მოიქცა, როგორც კატამ უთხრა და დივანზე დაიძინა. უცნაურია, რომ კატის რჩევა იღო ყურად. საღამოს სამზარეულოში გავიდა, გააღო კრევეტები კარის სოუსით და ბრინჯთან ერთად მიირთვა. საღამოს ქვას მიუჯდა გვერდით, ისეთ ადგილას, რომ დანას და ჩაქუჩს იოლად მისწვდომოდა.

სინათლე ყველგან ჩააქრო, მარტო პატარა მაგიდის ლამპა დატოვა ანთებული – ასე ჯობიაო, გაიფიქრა. მხოლოდ ღამით მოძრაობს, ამიტომ ჯობია ბნელოდესო.

– მეც მინდა, ამ ყველაფერს ბოლო სწრაფად მოვულო, ამიტომ, თუ აქ ხარ, გამოჩნდი, ყველაფერი რომ დასრულდება, ნაგოიაში, სახლში დავბრუნდები და ვინმე გოგონას ავაგდებ, – ჩაილაპარაკა.

ქვას აღარ ელაპარაკებოდა. მხოლოდ იცდიდა და დროდადრო საათს დასცქეროდა. მერე ისე მოსწყინდა, დანები და ჩაქუჩი გარშემო შემოიწყო. ალბათ გვიან ღამით მოხდებოდა რაღაც. ან იქნებ იქამდეც. მთავარია, ეს შანსი ხელიდან არ გაეშვა. ერთი შანსი მილიონიდან. ახლა მოდუნების დრო არ იყო. დროდადრო კრეკერს ჭამდა ან წყალს სვამდა.

– ე, ქვაო! – ჩურჩულებდა ჰომინო, – შუაღამეს უკვე გადასცდა, ამ დროს დემონები ამოდიან მიწის ზედაპირზე და სიმართლის დრო დგება. მოდი გავარკვიოთ, რა მოხდება. რას იტყვი? – ქვას შეეხო, იქნებ ეს მხოლოდ მისი წარმოსახვის ნაყოფი იყო, მაგრამ ქვა ამჯერად უფრო თბილად მოეჩვენა, ვიდრე ჩვეულებრივ. ეფერებოდა და ეფერებოდა.– ცოტათი გამამხნევე, რა. ფსიქოლოგიური დახმარება არ მაწყენდა.

სამი საათის შემდეგ იმ ოთახიდან, სადაც ნაკატას სხეული იყო დასვენებული, ჩუმი ხმები მოისმა. თითქოს რაღაც მოცოცავდა ჭილოფზე. იმ ოთახში ჭილოფი არ იყო, ნოხები იყო დაფენილი. ჰომინომ ყურები ცქვიტა.

– არა, არ ვცდები, რაღაც ხდება იქ!

გული აუჩქარდა. ჩაქუჩი ქამარში გაირჭო, ყველაზე ბასრი დანა აიღო მარჯვენა ხელით, მარცხენათი ფანარი დაიჭირა და წამოდგა.

– წავედით... – თავისთვის ჩაილაპარაკა.

ნელა მიუახლოვდა ნაკატას ოთახის კარს და გააღო. ფანრის შუქი მიანათა და ცხედარს დახედა. სწორედ აქედან მოისმოდა ფაჩუნი. ნაკატას პირიდან გრძელი, ფერმკრთალი, წვრილი არსება ამოდიოდა. ამ არსებამ ჰომინოს გაწელილი გოგრა მოაგონა. კაცის მკლავის სისქისა იყო. ჰომინო მიხვდა, რომ ნაკატას ნემტიდან ჯერ ნახევარიც არ იყო ამოსული.

ლორწოვანი სხეული ჰქონდა. ნაკატას პირი გველივით დაეღო, რომ ეს არსება ამოეშვა. ნაკატას პირი ისე ჰქონდა დაღებულ, ალბათ ყბა ამოუვარდა.

ჰომინომ ნერწყვი ხმაურით გადაყლაპა. ხელები უცახცახებდა, ამიტომ ფანრის შუქიც ირხეოდა. ღმერთო! ეს არსება როგორ უნდა მოვკლავო, ფიქრობდა. არც ხელები ჰქონდა, არც ფეხები, არც თვალები, არც ცხვირი. ისეთი წვრილი იყო, ვერც მოახრჩობდა. ნეტა როგორ უნდა გავანადგურო, ნეტა მაინც რა ჯანდაბაა?! რამე პარაზიტია, რომელიც აქამდე ნაკატას სხეულში იმალებოდა? ან იქნებ მოხუცის სულია? არა, არც ეს იქნება. ნაკატას შიგნით ასეთი ამაზრზენი არსება ვერ იცხოვრებდა. მეც კი ვხვდები ამდენს. სადღაც შორიდანაა მოსული და ბატონი ნაკატას გავლით აპირებს შესასვლელში შეძრომას. ბატონი ნაკატა დერეფნად გამოიყენა. ამას ვერ დავუშვებ. ამიტომაც უნდა მოვკლა. უნდა გავანადგურო, როგორც კატამ მითხრა!

ჰომინო ნაკატასთან მივიდა და დანა იქ ჩასცხო იმ არსებას, სადაც, წესით, თავი უნდა ჰქონოდა. ამოაძრო და ისევ ჩაარტყა. მერე ისევ და ისევ. მცირე წინააღმდეგობა ხვდებოდა, როგორც რბილი ბოსტნეულის დაჭრის დროს. არც ხორცი ჰქონდა, არც ძვლები, არც ორგანოები, არც ტვინი. როგორც კი დანის პირს ამოაძრობდა, ჭრილობა მაშინვე მთელდებოდა. არც სისხლი იღვრებოდა, არც სითხე. ვერაფერს გრძნობსო, გაიფიქრა ჰომინომ. რა სასტიკადაც არ უნდა დასხმოდა თავს, ნაკატას პირიდან ამოძრომას განაგრძობდა.

ჰომინომ დანა იატაკზე დააგდო, უკან, მისაღებ ოთახში დაბრუნდა, მძიმე, ნაჯახივით დანა აიღო. რამდენჯერმე ჩაარტყა იმ თეთრ არსებას, თავი მოაგლიჯა კიდეც, მაგრამ, როგორც ივარაუდა, შიგ არაფერი აღმოჩნდა – შიგნითაც ისეთივე თეთრი ლორწოვანი მასისგან შედგებოდა. რამდენიმე დარტყმის შემდეგ თავის ნაწილი იატაკზე გადმოეკიდა და ისე შეჩერდა, თითქოს მოკვდა. ტანის დანარჩენ ნაწილზე ამას არ უმოქმედია, არსება წინ მიიწევდა. მალე ჭრილობა ისევ გამთელდა.

ბოლოს და ბოლოს ეს არსება ნაკატას სხეულიდან ამოძვრა და მთლიანად გამოჩნდა. ერთი მეტრი იქნებოდა, კუდი სალამანდრასავით ჰქონდა, მოკლე და სქელი, ბოლოში კი სულ უწვრილდებოდა. არც ფეხები გააჩნდა, არც თვალები, არც პირი, არც ცხვირი. მაგრამ საკუთარი ნება ჰქონდა. ერთადერთი, რაცა აქვს, ნებააო, გაიფიქრა ჰომინომ. ამ დასკვნამდე ლოგიკით არ მისულა, უბრალოდ მიხვდა. როცა მოძრაობს, ასეთი ფორმისააო, ფიქრობდა. ხერხემალი დაეცვარა. ნებისმიერ შემთხვევაში, უნდა მოეკლა.

მერე ჩაქუჩის ჩარტყმა სცადა, მაგრამ ისევ არაფერი გამოუვიდა. ამ ამაზრზენ არსებას სხეულის ერთი ნაწილი დაუჩეჩქვა, მაგრამ დაზიანებული ადგილები სწრაფად აღდგა. ჰომინომ პატარა მაგიდის ფეხიც ჩაარტყა რამდენჯერმე, მაგრამ მაინც ვერ შეაჩერა. გველივით ნელა და ჯიუტად მიიწევდა მეორე ოთახში დადებული ქვისკენ.

ჰომინოს ასეთი რამ არასდროს ენახა. ვერც ერთი იარაღით ზიანი ვერ მიაყენა. არც გული ჰქონდა, რომ დანა ჩაეცა, არც ყელი, რომ მოეხრჩო. რაღა შეეძლო? ეს რაღაც ეშმაკი უნდა იყოს და როგორმე ქვასთან არ უნდა მივუშვაო, ფიქრობდა ჰომინო. ტორომ უთხრა, როგორც კი დაინახავ, მიხვდები, ეგააო და მართლა ასე არ მოხდა? წინ უნდა გადაღობებოდა.

ჰომინო სამზარეულოში გავიდა, მიმოიხედა, იქნებ რაღაც სხვა იარაღი ეპოვნა. მაგრამ ვერა, იქ არაფერი იყო. უცებ ქვას დახედა. ეგაა! ამ ქვით უნდა გავჭყლიტო, გაიფიქრა ჰომინომ. მკრთალ სინათლეზე ქვას მოწითალო ფერი მიეღო. ჰომინო დაიხარა, რომ აეწია. საშინლად მძიმე იყო, სანტიმეტრითაც ვერ ასწევდა.

– ისევ შესასვლელ ქვად ქვეულებარ! თუ მის მოახლოებამდე მოვახერხებ, რომ დაგხურო, ველარ შემოდგრება შენში.

ჰომინომ მთელი ძალით სცადა ქვის აწევა, მაგრამ ვერ შეძლო.

– ველარ გძრავ, ასეთი მძიმე არასდროს ყოფილხარ!

ფაჩუნის ხმა არ წყდებოდა. თეთრი არსება თანდათან უახლოვდებოდა. ჰომინოს დრო აღარ ჰქონდა.

– ერთხელაც ვცდი!

ჰომინომ ხელები ქვაზე დააწყო და ღრმად ჩაისუნთქა. ხელები ქვის ერთ მხარეს ეწყო. ახლა თუ ვერ შეძლებდა, მეორე მანსი აღარ ექნებოდა. მიდი, ჰომინო! ან ახლა, ან არასდროს! თუნდაც სიცოცხლის ფასად დაგიჯდეს!

მთელი ძალით მოეჭიდა და ასწია, სულ ოდნავ. მთელი ძალით მოეჭიდა და თითქოს იატაკიდან ქვის ატყავებას ცდილობდა, ასწია.

თავი ასტკივდა, კუნთები ისე დაეჭიმა, ეგონა, დაემლებოდა, კვერცხები კინალამ დასცვივდა. უფრო მალა აწევა კი ველარ შეძლო.

ჰომინომ ნაკატა გაიხსენა. მოხუცმა სიცოცხლე გაწირა ამ ქვის გამო. იქნებ ახლა როგორღაც თვალს ადევნებდა. შავმა კატამ ხომ უთხრა, მოხუცის გამო უნდა დაასრულო საქმეო. ველარ სუნთქავდა, მის სისხლს კი ჟანგბადი სჭირდებოდა, თავისუფლად რომ ემოძრა. სიკვდილს ჩახედა თვალებში. მაგრამ ტკივილს ყურადღება აღარ მიაქცია, ბოლო ძალები მოიკრიბა და თავისკენ მოსწია. იატაკი შეირხა, შუშის კარი აზრიალდა. ქვა წარმოუდგენლად მძიმე იყო. ჰომინო იატაკზე დაასკდა.

– ყოჩაღ ჰომინო! – შესძახა, როცა ამოსუნთქვა ისევ შეძლო.

შესასვლელის დახურვის შემდეგ თეთრ არსებასთან გამკლავება აღარ გასჭირვებია. არსება მიხვდა, რომ ის შესასვლელი დახურეს, საითაც მიილტვოდა. შეჩერდა და მერე ოთახში ცოცვა განაგრძო დასამალად. შეიძლება ისევ ნაკატას პირში ჩაძრომაც კი უნდოდა. მაგრამ ძალა აღარ ჰქონდა. ჰომინომ ის დიდი დანით დააქუცმაცა. ეს პატარა ნაკუწები ჯერ ფართხალებდნენ იატაკზე, მერე კი საერთოდ შეწყვიტეს მოძრაობა. პაწაწინა ბურთულებად იქცნენ და დაიხოცნენ, ხალიჩამ ამ ბურთულებისგან ბზინვა დაიწყო. ჰომინომ ისინი ცოცხით ერთად მოაგროვა, ნაგვის პარკში ჩაყარა, პარკს კარგად მოუკრა პირი და მეორე პარკში ჩადო. ეს პარკი კი კარადაში ნაპოვნ სქელ ტომარაში ჩააგდო.

სრულიად ძალაგამოცლილმა ჰომინომ იატაკზე გაადინა ბრაგვანი. ღრმად სუნთქავდა და ხელები უცახცახებდა. უნდოდა, რამე ეთქვა, მაგრამ ვერაფერს ახერხებდა.

– ყოჩაღ, ჰომინო! – წარმოთქვა რამდენიმე წუთის შემდეგ.

როცა თეთრ არსებას თავს დაესხა და როცა ქვის აწევას ცდილობდა, ისეთი ხმაური იყო ბინაში, იფიქრა, მეზობლები გაიღვიძებდნენ და ალბათ პოლიციაში რეკავდნენ. საბედნიეროდ, ასეთი არაფერი მომხდარა. არც პოლიციის სირენის ხმა გაუგია, არც კარზე მოუკაკუნებია ვინმეს. ყველაზე ნაკლებად ახლა პოლიციის გამოჩენა სურდა.

ჰომინომ იცოდა, რომ პარკებში ჩაყრილი თეთრი არსების ნაწილები აღარ შეერთდებოდნენ და აღარ გაცოცხლდებოდნენ. ისინი ველარსად წავიდოდნენ. თუმცა თავის დასაზღვევად, გადაწყვიტა, როგორც კი გათენდებოდა, პლაჟზე გასულიყო და თეთრი არსების ნარჩენები დაეწვა. ფერფლად ექცია.

მერე კი პირდაპირ ნაგოიაში, სახლში დაბრუნდებოდა. თითქმის 4 საათი იყო, უკვე თენდებოდა. დრო იყო, წასასვლელად მომზადებულიყო. ჰომინომ ტანსაცმელი ჩანთაში ჩაყარა, მათ შორის სათვალეც და «ტიუნტის დრაკონების» კეპიც. პოლიციას ახლა არ უნდა ჩავარდნოდა ხელში. საჭმლის ზეთიც წაიღო თან, რომ ცეცხლი ადვილად მოეკიდებინა ტომრისთვის. გაახსენდა, ტრიო «ერცჰერცოგის» ჩანაწერი რომ ჰქონდა და ისიც ჩანთაში ჩაჩურთა.

ბოლოს ნაკატას ოთახში შევიდა. კონდიციონერი ისევ ჩართული იყო და ოთახი იყინებოდა.

– ბატონო ნაკატა, მე უკვე წასასვლელად გავემზადე. მაპატიე, აქ სამუდამოდ ვერ დავრჩები. სადგურიდან პოლიციაში დავრეკავ, რომ შენი ცხედარი უპატრონოდ არ დარჩეს. ყველაფერი რომელიმე კეთილ პოლიციელს მივანდოთ, არა? ჩვენ ერთმანეთს ველარასდროს შევხვდებით, მაგრამ მე ვერასდროს დაგივიწყებ, ძალიანაც რომ ვეცადო მაინც...

კონდიციონერი ხმაურით გამოირთო.

– იცი რა, ბაბუ? ასე მგონია, მომავალში, როცა რამე პრობლემა მექნება, სულ ასე გავიფიქრებ ხოლმე – ნეტა ბატონი ნაკატა რას იტყოდა ამაზე, ნეტა ბატონი ნაკატა რას იზამდა? და ყოველთვის მეყოლება ვინმე, ვისაც შემემღებოდა მივმართო. ეს კი დიდი რამეა, ხვდები ალბათ. შენი ნაწილი მუდმივად იცოცხლებს ჩემში. რა თქმა უნდა, მე საუკეთესო ჭურჭელი არ ვიქნები შენთვის, მაგრამ სულ არაფერს ხომ ვჯობივარ?

ადამიანი, რომელსაც ის მიმართავდა, ბატონი ნაკატას ნაჭუჭილა იყო. მის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს უკვე კარგა ხანია დაეტოვებინა ეს სამყარო. ჰომინოს ესეც კარგად ესმოდა.

– ქვაო! – მიმართა ქვას და შეეხო. ჩვეულებრივ ქვად ქცეულიყო, ცივ და უხეშ ქვად, – მივდივარ. უკან, ნაგოიაში ვბრუნდები. პოლიციელებს გავაგებინებ, შენზეც იზრუნონ. ვიცი, უკან, ტაძარში უნდა დაგაბრუნო, მაგრამ გზა კარგად არ მახსოვს. უნდა მაპატიო. ნუ დამწყევლი, რა. ისე მოვიქეცი, როგორც პოლკოვნიკმა სანდერსმა მითხრა. ამიტომ, თუ ვინმე უნდა დაწყევლო, ის დაწყევლე. მიხარია, ერთმანეთს რომ შევხვდით, არც შენ დაგივიწყებ.

ჰომინომ ნაიკის ფეხსაცმელი ჩაიცვა და ბინიდან გავიდა, კარი არ დაუკეტავს. ერთ ხელში ჩანთა ეჭირა, მეორეში – ტომარა თეთრი არსების ნაშთებით.

– ბატონებო, დროა კოცონი ავანთოთ! – თქვა და აღმოსავლეთით ამომავალ მზეს გახედა.

49

მეორე დილით, ათის წუთებზე, ქოხს პატარა, ოთხბორბლიანი სატვირთო უახლოვდება. ალბათ ნახევარი წელი იქნება, რაც არ გაურეცხავთ. უკან, ღია საბარგულში, ორი ძველი სერფინგის დაფა დევს. სატვირთო ქოხის წინ ჩერდება. ძრავას გამორთვის შემდეგ სიჩუმე ისადგურებს. სატვირთოს კარი იღება, მაღალი ახალგაზრდა ბიჭი გადმოდის, რამდენიმე ზომით დიდი თეთრი მაისური ზეთის ლაქებით აქვს დასვრილი, ხაკისფერი შორტები და დაგლეჯილი სპორტული ფეხსაცმელი აცვია. ოცდაათი წლისა იქნება. მხარბეჭიანია, გარუჯული. სამი დღე იქნება, რაც წვერი არ გაუპარსავს. თმა ყურებს უფარავს. ოშიმას უფროსი ძმა უნდა იყოს, აი, ის, კოჩიში სერფინგის მაღაზია რომ აქვს.

– გაუმარჯოს!

– დილა მშვიდობისა!

ხელს მაღლა სწევს, უკვე ტერასაზე ამოსული კი ხელს მიწვდის. მართალი ვარ, ოშიმას უფროსი ძმა ყოფილა.

– ყველა სადას მეძახის, – ნელა ლაპარაკობს, სიტყვებს ფრთხილად არჩევს, თითქოს არსად ეჩქარებოდეს. თითქოს მთელ დროს მარტო თვითონ ფლობდეს, – ტაკამაცუდან დამირეკეს, უკან წამოიყვანეო. რაღაც გადაუდებელი საქმეა.

– გადაუდებელი საქმე?

– ჰო. მაგრამ დეტალები არ ვიცი.

– ვწუხვარ, ჩემ გამო რომ შეწუხდი.

– ნუ მეზოდისები. მოემზადე და გავიდეთ.

– ხუთ წუთში მზად ვიქნები.

ვიდრე ნივთებს ზურგჩანთაში ვალაგებ, ქოხს აწესრიგებს, თან უსტვენს. ფანჯარას კეტავს, ფარდებს აფარებს, გაზს ამოწმებს, დარჩენილ საჭმელს აგროვებს, ნიჟარას წმენდს. ყოველ მოძრაობაზე ეტყობა, რომ ეს ქოხი მისი სხეულის ნაწილია.

– ჩემს ძმას მოსწონხარ. იშვიათად მოსწონს ვინმე. რთული ადამიანია.

– კარგად მეპყრობა.

სადამ თავი დააქნია.

– როცა უნდა, შეუძლია, მზრუნველიც იყოს.

სატვირთოში ჩავჯექი, ზურგჩანთა ფეხებთან დავიდე.

სადამ მანქანა დაძრა, კიდევ ერთხელ გახედა ქოხს და გაზს დააჭირა.

– ეს ქოხი ორივეს გვიყვარს, – მთის გზაზე ოსტატურად ეშვება, – ზოგჯერ ამოვდივართ და რამდენიმე დღეს ვატარებთ. ორივესთვის მნიშვნელოვანი ადგილია. აქ თითქოს რაღაც ძალაა, რომლითაც ვიმუხტებით. მიმიხვდი?

– მგონი.

– ჩემმა ძმამ მითხრა, ამას გაიგებსო. ზოგი ვერასოდეს მიხვდება.

გახუნებულ სავარძლებზე ძაღლის თეთრი ბეწვია მოდებული. მანქანაში ძაღლის, ზღვის, სასერფინგე დაფის, ცვილის და თამბაქოს სუნი გზას. კონდიციონერის ჩამრთველი დაზიანებულია. საფერფლე სავსეა, გვერდითა ჯიბე კასეტებითაა გადატენილი.

– რამდენჯერმე ტყეში ვიყავი.

– ღრმად შეხვედი?

– ჰო. ოშიმამ გამაფრთხილა, არ შეხვიდეო, მაგრამ...

– მაგრამ მაინც ღრმად შეხვედი.

– ჰო.

– ერთხელ მეც შევედი, ერთი ათი წლის წინ. – ერთხანს ჩუმადაა. დიდი ბორბლები კენჭებს ისხლეთს. გზად ყვავებს ვხედავთ. ისინი არ გვიფრთხიან, ინტერესით გვაკვირდებიან.

– ჯარისკაცებს გადაეყარე? – ისე უბრალოდ მეკითხება სადა, თითქოს საათი ეკითხოს.

– იმ ორ ჯარისკაცს?

– ჰო. ასე ღრმად შეხვედი?

– ჰო.

ტარების დროს საჭეს მსუბუქად ეხება. არაფერს ამბობს. გამომეტყველება არ ეცვლება.

– სადა!

– ჰო.

– როგორ მოიქეცი იმ ჯარისკაცებთან შეხვედრის შემდეგ?

– როგორ მოვიქეცი?

თავი დავუქნიე. პასუხს ველი.

გვერდითა სარკეში იყურება, მერე ისევ პირდაპირ.

– ამის შესახებ არავისთან მილაპარაკია. ჩემს ძმასთანაც კი. ძმასთან თუ დასთან, რაც გინდა, ის დავარქვათ. მე ძმა უფრო მომწონს. ამ ჯარისკაცებზე არაფერი მითქვამს მისთვისაც კი...

თავი უხმოდ დავუქნიე.

– არც არავის მოვუყვები. არც შენ მოგიყვები. არც შენ მოუყვები ვინმეს. მეც კი არა.

– მეც ასე მგონია.

– რატომ?

– სიტყვებით ვერ ავხსნი.

– მართალი ხარ. თუ სიტყვებით გადმოცემა შეუძლებელია, ჯობია, არც მოყვე.

– არც საკუთარ თავთან?

– არც საკუთარ თავთან.

მენტოლის კეცს მიწვდის. ვიღებ. ვღეჭავ.

– სერფინგი გიცდია?

– არა.

– თუ შანსი მოგვეცემა და თუ გინდა, გასწავლი. კოჩის სანაპიროზე კარგი ტალღებია, სერფერები კი ბევრნი არ არიან. სერფინგი გაცილებით სერიოზული სპორტია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. სერფინგის დროს გრძნობ, რომ ბუნებას არ უნდა შეებრძოლო, თუნდაც სასტიკად მოგეპყროს.

მაისურის ჯიბიდან სიგარეტს იღებს, პირში იჩრის და ანთებს.

– ვერც ამას ახსნი სიტყვებით, – თვალებს ჭუტავს და ფანჯრიდან აბოლებს, – ჰავაიზე ერთი ადგილია, რომელსაც Toilet Bowl ჰქვია. აქ შემომავალი და გამავალი დინებები ხვდება ერთმანეთს და ეჯახება. მათი მოძრაობა ტუალეტის ჩარეცხვას მოაგონებს კაცს. იქ თუ მოხვდი, დინება ჩაგითრევს და შეიძლება ვეღარც გადარჩე. იქ, წყალქვეშ, ვეღარაფერს შეძლებ. ფართხალით მხოლოდ ძალა გამოგეცლება. ამ შიშს თუ ვერ დაამარცხებ, ბუნების შიშს, კარგი სერფერი ვერასოდეს გახდები. სიკვდილს თვალეში უნდა ჩახედო, უნდა გაეცნო, უნდა გადალაზო. იმ მორევში მოხვედრილს, ათასგვარი აზრი მოგივა თავში. იცი რა, სიკვდილს უნდა დაუმეგობრდე, მას გულახდილად უნდა ელაპარაკო.

ჭიშკართან სატვირთოდან გადმოდის, ჭიშკარს კეტავს, ჯაჭვს რამდენჯერმე ამოწმებს.

ბევრი აღარ გვილაპარაკია. რადიოს რთავს, მაგრამ არა მგონია, უსმენდეს. გვირაბშიც კი, რადიო რომ გაითიშა და მხოლოდ შიშინი გვესმოდა, მისთვის ყურადღება არ მიუქცევია. კონდიციონერი არ მუშაობს, ამიტომ ფანჯრები ჩაწეული გვაქვს.

– თუ სერფინგის სწავლა მოგინდება, ჩემთან ჩამოდი, – ზღვა გამოჩნდა, – თავისუფალი ოთახი მაქვს, შეგიძლია, იქ დიდხანს დარჩე.

– გმადლობ. ერთხელაც გეწვევი. ოღონდ ჯერ არ ვიცი, როდის.

– ძალიან დაკავებული ხარ?

– რამდენიმე საქმე უნდა დავასრულო.

– მეც რაღაც საქმეები მაქვს.

დიდხანს არაფერს ვამბობთ, ჩვენსას ვფიქრობთ. გზას უყურებს, მარცხენა ხელით საჭე უჭირავს, დროდადრო სიგარეტს ეწევა. ოშიმასგან განსხვავებით, ჩქარა არ დაჰყავს. მარჯვენა ხელი ფანჯრიდან აქვს გადაყოფილი და ნელა მიუყვება გზატკეცილს. მარტო ძალიან ნელა მოძრავ მანქანებს უსწრებს. გაზს აწვება, წინ მიიწევს და სწრაფადვე ბრუნდება საკუთარ სავალ ნაწილში.

– დიდი ხანია, სერფინგობ?

– ჰმ, – ჩუმადაა. დიდხანსაა ჩუმად. მაშინღა მაძლევს პასუხს, კითხვა რომ აღარ მახსოვს, – უნივერსიტეტში დავიწყე. სერიოზულად კი 6 წლის წინ მოვეკიდე. ტოკიოში დიდ სარეკლამო სააგენტოში ვმუშაობდი. ვერ შევეგუე, წამოვედი და სერფინგი დავიწყე. სესხი ავიღე, მშობლებისგან ფული ვისესხე და სერფინგის დაფების მაღაზია გავხსენი. მარტო, საკუთარ ნებაზე ვმართავ.

– გინდოდა სიკოკუზე დაბრუნება?

– არ ვიცი, თუ ახლოს ზღვა და მთები არა მაქვს, თავს ცუდად ვგრძნობ. ადამიანები იმ ადგილს ეკუთვნიან, სადაც იშვნი და გაიზარდნენ. შენი აზროვნება და გრძნობები რელიეფზე, ჰავაზე, ქარის მიმართულებაზეა დამოკიდებული. შენ სად დაიბადე?

– ტოკიოში. ნოგატას რეგიონში, ნაკანოს რაიონში.

– გინდა უკან დაბრუნება?

თავი გავაქნიე.

– რატომ – არა?

– უკან დასაბრუნებელი მიზეზი არა მაქვს.

– გასაგებია.

– რელიეფზე და ქარის მიმართულებაზე არა ვარ დამოკიდებული.

– ასე გგონია?

ისევ ვჩუმდებით. დუმილი დისკომფორტს არ უქმნის. არც მე. ვზივარ, არაფერზე არ ვფიქრობ, რადიოში მუსიკას ვუსმენ. გზას პირდაპირ უყურებს. გზატკეცილიდან ჩრდილოეთისკენ ვუხვევთ და ტაკამაცუს ვუახლოვდებით.

კომურას ბიბლიოთეკასთან დღის პირველ საათამდე მივდივართ. სადა თვითონ არ გადმოდის მანქანიდან, არც ძრავას რთავს – უკან, კოჩიში უნდა დაბრუნდეს.

– გმადლობ.

– იმედია, ერთმანეთს მალე შევხვდებით. – ხელს ფანჯრიდან მიქნევს, მერე კი ადგილს სწყდება მისი სატვირთოს დიდი ბორბლები. უკან ბრუნდება, დიდი ტალღების დასამორჩილებლად, საკუთარ სამყაროში, საკუთარ საქმეებთან.

ზურგჩანთას ვიკიდებ და ეზოში შევდივარ. ახლად გაკრეჭილი გაზონის სუნი მცემს. თავს ისე ვგრძნობ, თითქოს რამდენიმე თვეა, რაც აქედან წავედი. სინამდვილეში კი მხოლოდ ოთხი დღე გავიდა.

ოშიმა მაგიდასთან დგას. პირველად ვხედავ ჰალსტუხით. თეთრი პერანგი აცვია, ჰალსტუხს ყვითელ-მწვანე ზოლები აქვს. სახელოები იდაყვებამდე აუკაპიწებია, პიჯაკი არ აცვია. წინ ყავის ფინჯანი და ორი წვერწამახული ფანქარი უდევს.

– გაუმარჯოს! – ღიმილით მესალმება.

– როგორა ხარ?

– ჩემმა ძმამ მოგიყვანა, არა?

– ჰო.

– ბევრი ალბათ არაფერი უთქვამს.

– როგორ არა, ვისაუბრეთ.

– რა ილბლიანი ხარ. ზოგს სიტყვასაც არ აღირსებს ხოლმე.

– აქ რამე მოხდა? მითხრა, გადაუდებელი საქმეაო...

ოშიმამ თავი დამიქნია.

– მოხდა რაღაცები. ქალბატონი საეკი გარდაიცვალა. გულით. სამშაბათს, შუადღეზე, მაღლა, მის კაბინეტში მაგიდაზე პირდამხობილი ვიპოვე. უეცრად მოხდა. არ დატანჯულა.

ზურგჩანთას იატაკზე ვდებ და სკამზე ვჯდები.

– სამშაბათს შუადღეზე, არა? დღეს ხომ პარასკევია?

– ჰო. სამშაბათს ტრადიციული ტურის შემოვლის შემდეგ გარდაიცვალა. ალბათ მაშინვე უნდა დაგკავშირებოდი, მაგრამ წესიერად აზროვნება მიჭირდა.

ხელფეხწართმეული ვზივარ. დიდხანს ვსხედვართ ასე, ჩუმად... ვხედავ მეორე სართულზე ამავე კიბეს, კარგად გაპრიალებულ შავ მოაჯირს, ვიტრაჟს. ამ კიბეს ჩემთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, მასთან ადიოდა, საეკისთან. ახლა კი უბრალოდ კიბეა, მნიშვნელობადაკარგული კიბე. ის კი იქ აღარ არის.

– ადრეც გითხარი, ეს წინასწარ იყო განსაზღვრული. ვიცოდი. თვითონაც იცოდა. თუმცა მაინც ძალიან რთული აღმოჩნდა.

ჩუმდება. მინდა, რაღაც ვთქვა, მაგრამ სიტყვებს ვერ ვპოულობ.

– მისი სურვილის თანახმად, არ დაკრძალავენ, დაწვავენ. მაღლა, საკუთარი მაგიდის უჯრაში ანდერძი დატოვა. მთელი ქონება ბიბლიოთეკის მმართველ ფონდს გადასცა. სახსოვრად Mont Blanc-ის კალამი დამიტოვა. შენ კი ნახატი. აი, ის, ბიჭი რომ არის პლაჟზე. წაიღებ, არა?

თავი დავუქნიე.

– გახვეულია.

– გმადლობ.

– კაფკა, მითხარი, – ხელში ფანქარს ატრიალებს, – შეიძლება, გკითხო?

თავი დავუქნიე.

– საჭირო არ იყო ამის თქმა, არა? უკვე იცოდი?

ისევ თავი დავუქნიე.

– მეც ასე ვიფიქრე, – ოშიმამ ღრმად ამოისუნთქა, – წყალი არ გინდა? უდაბნოსავით მშრალი ჩანხარ.

– გმადლობ, უარს არ ვიტყვოდი. – საშინლად მწყურია, მხოლოდ ახლა მივხვდი.

ერთ ყლუპად ვსვამ მის გამოწვდილ ცივ წყალს და თავი მტკივდება. ჭიქას მაგიდაზე ვდგამ.

– გინდა კიდევ?

თავი გავაქნიე.

– ახლა რას აპირებ?

– ტოკიოში უნდა დავბრუნდე.

– იქ რა უნდა აკეთო?

– ჯერ პოლიციაში წავალ და ყველაფერს მოვუყვები. თუ თვითონ არ გამოვცხადდები პოლიციაში, მთელი სიცოცხლე უნდა მეძებონ. მერე ალბათ სკოლაში დავბრუნდები. არ მინდა, მაგრამ ჯობია, დავამთავრო. რამდენიმე თვეში დავამთავრებ და თავისუფალი ვიქნები.

– ჭკვიანურია, – ოშიმა თვალმოჭუტული მიყურებს, – შესანიშნავი გეგმა გქონია.

– დიდხანს ვიფიქრე და მივხვდი, ასე ჯობია.

– გაქცევით ვერ დაიძალეები, არა?

– ჰო, ასეა.

– გაზრდილხარ.

თავი გავაქნიე. არაფერს ვამბობ.

ოშიმა რამდენჯერმე მსუბუქად იკაკუნებს საფეთქელზე ფანქრის საშლელიან მხარეს.

ტელეფონი რეკავს, ოშიმა ყურადღებას არ აქცევს.

– ყველა რაღაც ძვირფასს ვკარგავთ. შესაძლებლობებს, გრძნობებს. აი, რას ნიშნავს სიცოცხლე. მაგრამ თავში პატარა ოთახი გვაქვს, სადაც მოგონებებს ვინახავთ. ოთახი, რომელიც ბიბლიოთეკის წიგნსაცავს ჰგავს. ჩვენი თავის შესაცნობად კი კატალოგები უნდა შევადგინოთ. დროდადრო მოგონებებს მტვერი უნდა გადავწმინდოთ, ოთახი გავანიავოთ, ლარნაკებში კი წყალი შევცვალოთ. ჩვენ სამუდამოდ ვიცხოვრებთ საკუთარი მოგონებების ბიბლიოთეკაში...

ოშიმას ფანქარს ვუყურებ. მტკივა. მაგრამ მე სამყაროში ყველაზე ძლიერი 15 წლის ბიჭი უნდა ვიყო. კიდევ ცოტა ხნით მაინც... ან თავი ასე წარმოვაჩინო. ღრმად ამოვისუნთქე, ფილტვები ჰაერით ამევსო, ამ ემოციების შესუნთქვას ვახერხებ.

– შეიძლება, აქ ოდესმე დავბრუნდე?

– რა თქმა უნდა, – ოშიმა ფანქარს მაგიდაზე დებს. ხელებს თავის უკან იწყობს, პირდაპირ მიყურებს, – ამბობენ, რომ მე უნდა გავხდე ბიბლიოთეკის მმართველი. ამ შემთხვევაში ასისტენტი დამჭირდება. როდესაც პოლიციისგან და სკოლისგან გათავისუფლდები და, თუ სურვილიც გექნება, დაბრუნდი, აქ დაბრუნდი. მე და ქალაქი არსად წავალთ. ჯერჯერობით მაინც. ადამიანი რომელიმე ადგილს უნდა ეკუთვნოდეს.

– გმადლობ.

– არაფრის.

– შენმა ძმამ მითხრა, სერფინგს გასწავლიო.

– კარგია. ზოგადად უჭირს ადამიანებთან შეგუება. ცოტათი რთული ადამიანია.

თავი დავუქნიე. მეღიმება. ჰგვანან ერთმანეთს.

– კაფკა, პირველად ვხედავ შენს ღიმილს.

– შეიძლება. – მართლა ვიღიმები და ვწითლდები.

– როდის ბრუნდები ტოკიოში?

– ახლავე.

– საღამომდე მოიცადე. სადგურამდე მიგიყვან.

დავფიქრდი, მერე თავი გავაქნიე.

– გმადლობ, ჯობია, ახლავე წავიდე.

ოშიმამ თავი დამიქნია. უკანა ოთახში გავიდა და ფაქიზად გახვეული ნახატი გამოიტანა. ჩანთაში „კაფკა პლაჟზე“ დევს.

– საჩუქარია ჩემგან.

– გმადლობ. შეიძლება, ქალბატონი საეკის ოთახში კიდევ ერთხელ ავიდე?

– რა თქმა უნდა.

– ამომყვები?

– ჰო.

მალა ავდივართ, მის ოთახში. მისი მაგიდის წინ ვდგები, მაგიდის ზედაპირს ვეხები. ალბათ რამდენიმე რამე შეუსრუტავს. ვცდილობ, მაგიდაზე დამხობილი წარმოვიდგინო. ყოველთვის აქ იჯდა, ფანჯრის წინ, საქმიანად წერდა. მისთვის ყავა ამომქონდა, კარს რომ გავაღებდი, წამით შემომხედავდა. მილიმოდა.

– აქ რას წერდა?

– არ ვიცი. იმ ქვეყნად კი უამრავი საიდუმლო წაიღო.

და უამრავი თეორიაც...

ფანჯარა ღიაა, ივნისის სიო ნაზად აფრიალებს თეთრ ფარდებს. ჰაერში ზღვის სურნელი ტრიალებს. მახსოვს, პლაჟზე ქვიშა ხელით რომ ავიდე. მაგიდას ვშორდები, ოშიმას ვუახლოვდები და ვეხვევი. მისი სიფრიფანა სხეული უამრავ მოგონებას აღმიძრავს.

თავზე მეფერება.

– სამყარო მეტაფორაა, კაფკა თამურა, – ყურში ჩამჩურჩულებს, – მაგრამ ჩემთვის და შენთვის ეს ბიბლიოთეკა არ არის მეტაფორა. ის უბრალოდ ბიბლიოთეკაა. მინდა, ეს გახსოვდეს.

– მემახსოვრება.

– უნიკალური, განსხვავებული ბიბლიოთეკა. და მის ადგილს ვერაფერი დაიკავებს.

თავი დავუქნიე.

– მშვიდობით, კაფკა.

– მშვიდობით, ოშიმა. გიხდება ეს ჰალსტუხი.

მიყურებს და იღიმება.

– ვიცოდი, ამას მეტყობდი!

ზურგჩანთამოკიდებული, ადგილობრივი სადგურიდან ტაკამაცუს სადგურში მატარებლით მივდივარ. ტოკიოს ბილეთს ვყიდულობ. გვიან ღამით ჩავალ, ამიტომ პირველ რიგში ღამის გასათევი ადგილი უნდა ვიპოვო, მეორე დილითვე კი ნოგატაში, საკუთარ სახლში უნდა წავიდე. იმ უზარმაზარ, ცარიელ სახლში მარტო ვიქნები. სახლში არავინ მელის. სხვაგან კი არსად მაქვს მისასვლელი.

სადგურიდან საკურას ვურეკავ. ვმუშაობ, მაგრამ რამდენიმე წუთი შემოდის დაგითმოო.

– ტოკიოში ვბრუნდები. ტაკამაცუს სადგურში ვარ. მინდოდა მეთქვა.

– სახლში ბრუნდები?

– ჰო.

– ჯერ ადრე იყო შენთვის გაქცევა. ტოკიოში რა უნდა აკეთო?

– სკოლაში დავბრუნდები.

– კარგი აზრია.

– შენც ხომ დაბრუნდები ტოკიოში?

– ალბათ სექტემბერში. მინდა, შუა ზაფხულში, სამოგზაუროდ წავიდე სადმე.

– მნახავ იქ?

– რა თქმა უნდა. ჩამაწერინე შენი ნომერი.

სახლის ნომერს ვაწერინებ.

– რამდენიმე დღის წინ მესიზმრე.

– მეც.

– ბინძური სიზმარი იყო, არა?

– ჰო. მაგრამ ეგ მხოლოდ სიზმარია. შენ რა გესიზმრა?

– დიდ სახლში დახეტიალებდი, რაღაც ოთახს ეძებდი და ვერ პოულობდი. სახლში ვიღაც სხვაც იყო, ვინც დაგეძებდა. ვცადე, დამეყვირა, გამეფრთხილებინე, მაგრამ ჩემი არ გესმოდა. შევშინდი. დაღლილს გამომეღვიძა. მას შემდეგ შენზე ვდარდობდი.

– გმადლობ...

– რამე შეგემთხვა?

– არა, ცუდი არაფერი.

არა, ცუდი არაფერი, – ვუმეორებ საკუთარ თავს.

– კარგად იყავი, კაფკა. როცა მოგინდება, დამირეკე. ახლა მუშაობა უნდა განვაგრძო.

– კარგად იყავი, დაო.

ხიდზე გადავედით. ოკაიამას სადგურში სხვა მატარებელში გადავჯექი.

სავარძელში ვეფლობი და თვალებს ვხუჭავ. ჩემი სხეული მატარებელთან ერთად ვიბრირებს. შეფუთული „კაფკა პლაჟზე“ ფეხებთან მიდევს.

„მინდა გახსოვდე, – მეუბნება საეკი და თვალებში მიყურებს, – თუ შენ გემახსოვრები, დაე, ყველა სხვამ დამივიწყოს“.

დროში ისე ეფლობი, როგორც ძილში. ცდილობ, იმოძრაო და ხელიდან დაუსხლტე. მაგრამ ქვეყნის დასალიერშიც ვერ დაემალე. სამყაროს კიდესთან კი მაინც უნდა მიხვიდე. აუცილებლად უნდა მიხვიდე.

ნაგოიადან გავდივართ, წვიმა იწყება. ფანჯარას წვიმის წვეთები ეშხეფება. ტოკიოდან რომ წამოვედი, იმ დღესაც წვიმდა. ყველაფერს აწვიმს: ტყეს, ზღვას, გზატკეცილს, ბიბლიოთეკას. აწვიმს სამყაროს დასალიერსაც.

თვალებს ვხუჭავ, კუნთებს ვადუნებ. მატარებლის ხმას ვუსმენ. ცრემლი მომდის. პირამდე მიგორავს, მერე კი შრება. არა უშავს. ერთი ცრემლია. ერთადერთი. ჩემს ცრემლსაც არ ჰგავს. მგონი, უფრო წვიმის ნაწილია.

სწორად მოვიქეცი?

– სწორად მოიქეცი, – მეუბნება ბიჭი, სახელად ყვავი, – ეს საუკეთესო საქციელი იყო. შენსავით სწორად არავინ მოქცეულა. შენ მართლაც მსოფლიოში ყველაზე ძლიერი 15 წლის ბიჭი ხარ.

– ცხოვრების შესახებ კი მაინც არაფერი ვიცი.

– ნახატს უყურე და ქარს უგდე ყური.

თავი დავუქნიე.

– ვიცი, შეძლებ.

ისევ დავუქნიე.

– ჯობია, ცოტა ხანს დაიძინო, – მეუბნება ბიჭი, სახელად ყვავი, – როცა გამოიღვიძებ, ახალი სამყაროს ნაწილი იქნები.

გეძინება. და როცა იღვიძებ, რწმუნდები, რომ ბიჭი, სახელად ყვავი მართალია.

შენ ახალი სამყაროს ნაწილი ხარ.

სქოლიო

- [1] იაპონიაში სავალდებულო განათლების სისტემა შეიცავს სკოლის დაწყებითი საფეხურის ექვს, საშუალო საფეხურის სამ და უმაღლესი საფეხურის სამ წელს.
- [2] თარგმანი ივანე მაჩაბლისა.
- [3] თარგმანი ივანე მაჩაბლისა.
- [4] პოპულარული თამაში იაპონიაში.
- [5] მარკეტების ქსელი.
- [6] იაპონური სწრაფი კვების ობიექტების ქსელი.
- [7] კაფეების ქსელი.
- [8] წერტილოვანი მასაჟი ძველ აღმოსავლეთში.
- [9] კრევეტებისგან დამზადებული კერძი.
- [10] ცნობილი სერიული მკვლელი (XIX ს.)
- [11] ტრადიციული იაპონური ქსოვილი.
- [12] კომიქსების გმირი.